

გამონათვის თავისუფლება

მეორე ტომი

გამონათვის თავისუფლება
საქართველოში

თავისუფლების ინსტიტუტი

თბილისი 2005

ეს გამოცემა თავისუფლების ინსტიტუტმა განახორციელა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ თავისუფლების ინსტიტუტი აგებს პასუხს ამ გამოცემის შინაარსზე. მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პოზიციას.



ავტორთა ჯგუფი:
თამარ კინწურაშვილი
ლევან რამიშვილი
ირაკლი კოტეტიშვილი

რედაქტორი:
თამარ კინწურაშვილი

კორექტორი:
ლია ამონაშვილი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

ISBN 99940-714-2-4
99940-714-4-0

წინასიტყვაობა

ამბობენ, კარგ იურისტს ორი რამ მოეთხოვება – ლოგიკის უნარი და იმის ცოდნა, თუ სად რომელი კანონი უნდა ეძებო. ამ ორი კომპონენტის აუცილებლობაში წინამდებარე ნაშრომიც დაგარწმუნებთ, რომელიც გამოხატვის თავისუფლების სფეროში საქართველოს ბოლო რვანლიან გამოცდილებას ასახავს.

გულწრფელად რომ ვთქვათ, სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ქართული სასამართლო პრაქტიკა ერთგვარი ტესტია ლოგიკაში, რომლის პასუხების საძებნელად, ალბათ, მიზანშეწონილია პირველ ტომს, ანუ გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელ საერთაშორისო სტანდარტებს ჩაეხედოთ. და არა იმიტომ, რომ ყველაფრის გასაღები სადღაც ჩვენგან შორსაა. უბრალოდ იმიტომ, რომ გამოხატვის თავისუფლება თავისი ბუნებით უნივერსალური უფლებაა, რომელიც გეოგრაფიული საზღვრებით არ იზღუდება და მისი რეგულირება საერთაშორისო სამართალს ექვემდებარება. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლი ცალსახად განსაზღვრავს, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ადამიანის „თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდევდეს თავის მრწამსს და მოიძიოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.“

წინამდებარე ნაშრომი თვალნათლივ წარმოაჩენს, რომ სიტყვისა და აზრის გამოხატვის უფლების ერთგვაროვანი გაგება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ჯერ კიდევ დიდ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმირების შედეგად გამოხატვის თავისუფლება მაღალი საერთაშორისო სტანდარტებითაა დაცული, სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ უფლებით სარგებლობაში დაუსაბუთებელ ჩარევას ხშირად იმ მოსამართლეთა მსოფლმხედველობრივი პრობლემა განაპირობებს, რომელთაც უჭირთ ლიბერალური ღირებულებების გათავისება და დღესაც საბჭოთა კოდექსებით ხელმძღვანელობენ.

მეორე ტომის I კარი (კანონმდებლობა და პრაქტიკა) მოიცავს როგორც კომენტარებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახლადმიღებულ კანონზე, ასევე განვილილი რვა წლის სასამართლო პრაქტიკის ანალიზს; II კარში (სასამართლო გადაწყვეტილებები) მოცემულია 1996-2004 წლებში ქართული სასამართლოების მიერ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით განხილული საქმეები; ხოლო III კარი (ინფორმაციის თავისუფლება) ასახავს როგორც ინფორმაციის თავისუფლების ფილოსოფიურ ხედვას, ასევე კომენტარებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავზე.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილი საქმეები ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პროფესიული თვალსაზრისითაც. როგორც ქართული, ასევე ამერიკული და ევროპული გამოცდილების გაცნობა ნოყიერ მასალას იძლევა იმის გასაანალიზებლად, თუ რა მოეთხოვება ჟურნალისტს იმისათვის, რომ მისი მხრიდან პროფესიული სტანდარტების უგულებელყოფა სხვათა უფლებების ხელყოფის საფუძველი არ გახდეს.

თამარ კინწურაშვილი

პარი I

გამოხატვის თავისუფლება – კანონმდებლობა და პრაქტიკა 17

თავი I

კომენტარები საქართველოს კანონზე
„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ 19

ირაკლი კოტეტიშვილი

შესავალი 19

სიტყვის თავისუფლების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები 21

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა 38

თავი II

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული
სასამართლო პრაქტიკის ანალიზი 57

თამარ კინწურაშვილი

ირაკლი კოტეტიშვილი

შესავალი 57

1996-1998 წლები 58

1. სისხლისსამართლებრივი დევები
პოლიტიკური გამოხატვა 60

ნესტან კირთაძისა და კლარა აბრამიას საქმე 60

კლარა შუკვანის საქმე 62

2. სამოქალაქო-სამართლებრივი დევები

დივანაძე 65

გლდანის რაიონის ლომისის ნმ. გიორგის ეკლესიის მართლმადიდებელი მრევლისა და გაზეთ „გლდანი 2001“-ის საქმე	65
გიორგი დოლიძისა და გაზეთ „7 დღის“ საქმე	66
1999 წელი	67
1. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები	
აოლიტიკური გამოსატვა	68
ნუგზარ ბირკაიასა და მიხეილ სააკაშვილის საქმე	68
დიშაშავაძე	70
ბორის ივანიშვილის, ნანა და დიმიტრი ცინცაძეების, გაზეთ „სახალხო სიტყვისა“ და კობა კაპანაძის საქმე	70
ბელა შალვაშვილის, გაზეთ „ქართული მხვებისა“ და ჯემალ დავლიანიძის საქმე	70
2000 წელი	72
1. სისხლისსამართლებრივი დავები	
დიშაშავაძე	74
ლაერენტი ნაჭყებუასა კლარა აბრამიას საქმე	74
2. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები	
აოლიტიკური გამოსატვა	76
უშანგი დონჯაშვილის, მედეა მეზერიშვილისა და საინფორმაციო ანალიტიკური ბიურო „გეას“ საქმე	76
დიშაშავაძე	78
ქეთევან ნამებულის საზოგადოების თავმჯდომარისა და კოტე მახარაძის საქმე	78
სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურისა და გელა ლლილვაშვილის საქმე	80
მარი ციყელაშვილის, გაზეთ „ალიას“ და დავით ონოფრიშვილის საქმე	81
გაზეთების „აჭარა P.S.“-ი და „ქობულეთი“, ნატო ქათამაძისა და ქობულეთის გამგეობის საქმე	82
სიმონ ნოზაძის, გაზეთ „მერიდიანისა“ და ილნარ გორელიშვილის საქმე	84
ა. დ.-ს, გაზეთების „კრიმინალი“, „7 დღე“, „ახალი თაობა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე	85
დავით გურგენიძის, გაზეთ „ახალი თაობისა“ და გ. ბალაძის საქმე	86
პირადი ცხოვრების ხელშეშეკავება	88
ნ. ბ.-სა და ვ. ბ.-ს საქმე	88

2001 წელი	90
-----------	----

1. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

დიშამაცია	93
ბასილ მკალაიშვილისა და გაზეთ „რეზონანსის“ საქმე	93
თამაზ წიგნივაძის, საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის საქმე	96
ტელეკომპანია „რიონისა“ და ტელეკომპანია „ქუთაისის“ საქმე	99
მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, გაზეთ „შანსი“-ის, ბონდო ქურდაძისა და გოგიტა მელიქიძის საქმე	100
რომან კვაჭაძის, გაზეთ „ლანჩხუთი PLUS“-ისა და ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების საქმე	101
დემოკრატიული აღორძინების კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციისა და თემურ შაშიაშვილის საქმე	102
პირადი ცხოვრების ხელშეშებლობა	103
გ.ხ.-სა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმე	103
კომერციული გამოსატვა	105
„საქართველოს ავიახაზების“ და „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ საქმე	105

2002 წელი	107
-----------	-----

1. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

პოლიტიკური გამოსატვა	109
ივანე ჩხარტიშვილისა და ლევან ბერძენიშვილის საქმე	109
დიშამაცია	112
ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდისა და „დილის გაზეთის“ საქმე	112
მოგელი ტყეშუჩავას, გაზეთ „ფოთისა“ და ხათუნა ცომაიას საქმე	113
კახა თარგამაძის, ავთანდილ ჩხაიძის, ვასილ დავითაიას, ზაქარია ვარაზიშვილის, ნიკოლოზ ივანიშვილის, ზურაბ უროტაძის, რევაზ მაჭავარიანის, გაზეთ „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის საქმე	115
გ. ჭუმბურიძისა და გ. დიდბარიძის საქმე	116
მამუკა ნოზაძისა და რეზო კლდიაშვილის საქმე	117
პირადი ცხოვრების ხელშეშებლობა	119
ჯემალ ენჯიბაძის, გაზეთ „კრიმინალისა“ და ეკა ჩადუნელის საქმე	119
კომერციული გამოსატვა	122
„ბარაკონის“ დირექტორის იური ბოჭორიშვილის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ახალი თაობის“ საქმე	122
გოგი თოფაძისა და „ბი-ჯი-აის“ საქმე	123

2003 წელი	126
------------------	------------

1. სისხლისსამართლებრივი დავები

აოლიტიკური გამონათვა	128
გურამ შარაძისა და ლევან რამიშვილის საქმე	128

2. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

აოლიტიკური გამონათვა	132
ჯუდი უნიძის, ცეზარ ბუბულაშვილისა და დავით სახეაძის საქმე	132
გივი ჯიქიას, ნანა დევედარიანის, თამაზ ნადარეიშვილისა და ჯონდი ბალათურიას საქმეები	133
დიზამაცია	137
აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ა. გადახაბაძის, პრეს-კლუბ ბათუმისა და გაზეთ „ახალი ვერსიის“ საქმე	137
ვალერი ასათიანის, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ირაკლი კერესელიძის საქმე	139
გიორგი გეთიაშვილისა და ეთერ კვეზერელის საქმე	142
ონისე უგრეხელიძის, გაზეთ „P.S.“-ისა და თინათინ დვალიშვილის საქმე	143
პაატა შავაძის, ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის საქმე	145
გივი ლომინაძის, გაზეთ „მერიდიანისა“ და ი. გორელიშვილის საქმე	148
აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს, ვეტერინარიის დეპარტამენტის, გაზეთ „ბათუმელებისა“ და ემზარ დიასამიძის საქმე	151
მერაბ ტყეშელაშვილისა და გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ საქმე	154
აირადი ცხოვრების ხელშეშებლობა	155
ს.ნ.-ისა და გაზეთ „ალიას“ საქმე	155

2004 წელი	159
------------------	------------

1. სისხლისსამართლებრივი დავები

დიზამაცია	163
მამუკა ნოზაძისა და საბა წინიკაშვილის საქმე	163

2. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

დიზამაცია	162
ა. ჩხაიძის, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალ. მაღლაფერიძის საქმე	164
თემურ შამიაშვილის, დავით კუპრეიშვილისა და გაზეთ „ახალი ვერსიის“ საქმე	169
ვახტანგ ხმალაძის, გაზეთ „ჯორჯიან თაიმსისა“ და ჟურნალისტ ეკა სეხნიაშვილის საქმე	172
ქიტესა გურგენაშვილის, მერაბ გურგენაშვილისა და „თრიალეთის“ საქმე	174

ზ. ჟვანიასა და „თავისუფალი გაზეთის“ საქმე	175
პირადი ცნობრების ხელშეშებლობა	179
შ. შ.-ის, გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და ჟურნალისტ მეგი ცანავას საქმე	179
მამუკა ნოზაძისა და გაზეთ „თრიალეთის“ საქმე	182
დოდო ჩოხელის, „დუშეთის საზოგადოების ინტელიგენციისა“ და „ახალი ვერსიის“ საქმე	184
კომერციული გამოსატვა	185
ნუგზარ მალულარიას, „ბესანა და გიორგის“ და გურამ ხიმშიაშვილის საქმე	185
3. ადმინისტრაციული დევები	
აპოლიტიკური გამოსატვა	187
ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე	187
4. საკონსტიტუციო დევები	
ა. გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	189

ქარი II
გამოსატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული
სასამართლო გადაწყვეტილებები

1996 წელი	
ნესტან კირთაძე კლარა აბრამიას წინააღმდეგ	197
1998 წელი	
პროკურატურა კლარა შუკეანის წინააღმდეგ	203
გლდანის რაიონის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მართლმადიდებელი მრევლი „გლდანი 2001“-ის წინააღმდეგ	204
გიორგი დოლიძე „7 დღის“ წინააღმდეგ	209
1999 წელი	
კონსტანტინე კემულარია „რეზონანსის“ წინააღმდეგ	212
ბორის ივანიშვილი, ნანა და დიმიტრი ცინცაძეები „სახალხო სიტყვისა“ და კობა კაპანაძის წინააღმდეგ	214
ბელა შალვაშვილი „ქართული მახვილისა“ და ჯემალ დავლიანიძის წინააღმდეგ	216
ნუგზარ ბირკაია მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ	217
საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია „რეზონანსის“, „პრაიმ-ნიუსისა“ და „გეას“ წინააღმდეგ	219
2000 წელი	
აკაკი ჩხაიძე თეა რუსიტაშვილის წინააღმდეგ	221

ლია გოგობერაშვილი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ	222
ნ. იოსელიანი „ახალციხის“ წინააღმდეგ	224
ქეთევან ნამებულის საზოგადოების თავმჯდომარე კოტე მახარაძის წინააღმდეგ	225
სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური გელა ლლივაშვილის წინააღმდეგ	228
მარი ციყლაშვილი და „ალია“ დავით ონოფრიშვილის წინააღმდეგ	230
ნ. ბ. ვ. ბ-ს წინააღმდეგ	232
გოგი დოლიძე გიგა ლორთქიფანიძის წინააღმდეგ	233
უშანგი დონჯაშვილი მედეა მეზერიშვილისა და „გეას“ წინააღმდეგ	236
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის პრეზიდენტების წინააღმდეგ	241
„აჭარა P.S.“-ი „ქობულეთის“, ნატო ქათამაძისა და ქობულეთის გამგეობის წინააღმდეგ	243
ივანე ყაჭაური „ალიასა“ და დარეჯან სულაშვილის წინააღმდეგ	248
სიმონ ნოზაძე „მერიდიანისა“ და ილნარ გორელიშვილის წინააღმდეგ	249
„ინტერვალის“ პრეზიდენტი ვასილ მძევაშვილი „7 დღისა“ და რატი ახალაძის წინააღმდეგ	251
ა. დ. „კრიმინალის“, „7 დღის“, „ახალი თაობისა“ და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ	252
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი თენგიზ კიტოვანისა და „დღის გაზეთის“ წინააღმდეგ	254
ემზარ ჩაჩხინი „პრაიმ-ნიუსის“ წინააღმდეგ	255
დავით გურგენიძე „ახალი თაობის“ და გულიკო ბალაძის წინააღმდეგ	257
ლავრენტი ნაჭყებია კლარა აბრამიას წინააღმდეგ	258
გიორგი დანელია და ვახტანგ კოპალიანი „ალიასა“ და დარეჯან სულაშვილის წინააღმდეგ	262

2001 წელი

ქუთაისის მერიის ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტი და გია გრძელიძე შოთა ღირდალაძისა და „რეზიუმეს“ წინააღმდეგ	264
მანანა ხომერიკი „ასავალ-დასავალის“, ელგა ფოლადიშვილისა და რევაზ კვერენჩხალაძის წინააღმდეგ	266
საია გურამ მამულიას წინააღმდეგ	267
მახმუდ მამულაძე „აჭარა P.S.“-ისა და ნატო მახარაძის წინააღმდეგ	269
კახა ცაბაძე ნუნუ გაბუნიას წინააღმდეგ	271
გ. ხ. „რუსთავი 2-ის“ წინააღმდეგ	273
ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ	274
კორნელი სალია და ირაკლი კოპაძე გურამ არაბულისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ	277
ცოტნე გველესიანი დავით ლიკლიკაძისა და „რიონის“ წინააღმდეგ	279

მეკლდე ეგრისაშვილი მაყვალა ბერიანიძის წინააღმდეგ	281
მაია გიორგაძე ლევან ვეფხვაძის, გაზეთ "ალიასა" და ნანა ვასაძის წინააღმდეგ	285
ნ.ნ დეპუტატ მ.მ-სა და ნ.ს-ს წინააღმდეგ	286
ბასილ მკალაიშვილი „რეზონანსის“ წინააღმდეგ	288
თამაზ ნიენიაძე და საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირი აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ	291
გიორგი ჯიშკარიანი ფრიდონ კერვალიშვილის წინააღმდეგ	295
ქუთაისის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსი დავით ძიმისტარაშვილი „რეზიუმეს“ წინააღმდეგ	297
ლაშა შანიძე ავთანდილ შანიძის წინააღმდეგ	298
„რიონი“ „ქუთაისის“ წინააღმდეგ	299
გიორგი ბოგიშვილი გივი გამყრელიძის წინააღმდეგ	301
გიორგი ჯიშკარიანი ბადრი კაპუტეგაძის, დავით ლიკლიკაძისა და ელისო კილაძის წინააღმდეგ	302
ზაირა ფაცურია „მართალი გაზეთის“, „საქართველოს რესპუბლიკის“, თამარ ბერძენიშვილისა და დავით ქაქუთაის წინააღმდეგ	304
კონსტანტინე ნურალოვი „ანარეკლის“ წინააღმდეგ	308
მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „პური არსობისა“ წინააღმდეგ	308
მანანა არჩვაძე-გამასახურდია „შანსი +“-ის, ბონდო ქურდაძისა და გოგიტა მელიქიძის წინააღმდეგ	311
ლ. კ. თ. კ.-ისა და მ. კ.-ის წინააღმდეგ	316
თბილისის შს მთავარი სამმართველო ია დანელიას წინააღმდეგ	317
რომან კვაჭაძე „ლანჩხუთი Plus“-ის, ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ	319
ვალერიან ბერიკაშვილი ქუთაისის საკრებულოს და ქუთაისის მერიის წინააღმდეგ	321
დემოკრატიული აღორძინების კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია თემურ შაშიაშვილის წინააღმდეგ	323
„საქართველოს ავიახაზები“ „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ	325

2002 წელი

თემურ ხევსურიანი სოზარ სუბელიანის წინააღმდეგ	328
„ბარაკონის“ დირექტორი იური ბოჭორიშვილი „საქართველოს რესპუბლიკის“ წინააღმდეგ	329
გოგი თოფაძე „ბი-ჯი-აის“ წინააღმდეგ	331
გიორგი დოლიძე „ახალი 7 დღისა“ და ბესო სოლომონაშვილის წინააღმდეგ	335
ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდი „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ	337
„ბარაკონის“ დირექტორი იური ბოჭორიშვილი „ახალი თაობის“ წინააღმდეგ	339
„ინვალიდთა და ვეტერანთა წმინდა თამარ მეფის ორდენი“ და კ. და ვ.ჯ.-ები „ინვალიდთა კავშირის“ წინააღმდეგ	340
ჯემალ ვეფხიბაძე „კრიმინალისა“ და ეკა ჩადუნელის წინააღმდეგ	344

ფადი ასლი „საქართველოს თამბაქოს ნარმოების“, „სამგორი XXI“-ის, რატი ახალაძისა და „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ	347
მერაბ დოლიძე და გელა ლუნწიძე რუსთავის მერის, ლაშა მინდელის წინააღმდეგ	348
„ასოციაცია საგანმანათლებლო რეფორმების ცენტრი“ „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ	349
მოგელი ტყებუჩავა „ფოთისა“ და ხათუნა ცომაიას წინააღმდეგ	351
ზელიძეან გიორგაძე „ქუთაისის“ წინააღმდეგ	354
ჯემალ ენჯიბაძე „პრაიმ-ნიუსის“ წინააღმდეგ	355
კარლო კალაძე „ალიას“ კორესპონდენტის ჯილდა დათუაშვილის წინააღმდეგ	356
ი. ორჯონიკიძე ნ. ხოფერიასა და ქ. ქურდოვანიძის წინააღმდეგ	358
გოგი ბიჭაშვილი ქეთი ხატიაშვილის და „ალიას“ წინააღმდეგ	360
ივანე ჩხარტიშვილი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ	361
ალექსანდრე კუჭუხიძე მინდია სალუქვაძის, ივანე კილურაძის, გიორგი ხარაძისა და ედუარდ კოდუას წინააღმდეგ	366
აკაკი ახალკაცი „ბაზარი საბურთალო 2000“-ის, „იბერია თაიმსისა“ და „ასაველ-დასაველის“ წინააღმდეგ	369
კახა თარგამაძე, ავთანდილ ჩხაიძე, ვასილ დავითაია, ზაქარია ვარაზიშვილი, ნიკოლოზ ივანიშვილი, ზურაბ უროტაძე, რევაზ მაჭავარიანი „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის წინააღმდეგ	371
გურამ ჭუმბურიძე „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ	376
გ. ჭუმბურიძე გ. დიდბარიძის წინააღმდეგ	379
მერი ჯავახიშვილი „რეგიონის ტრიბუნის“ წინააღმდეგ	381
ინგა აბაშიძე ჯანსუღ ცივადისა და თემურ თხილაიშვილის წინააღმდეგ	382
ნუგზარ ერაგია „ქუთაისის“ წინააღმდეგ	383
გრეგორ გუროვი გურამ შარაძის წინააღმდეგ	384
ალექსანდრე არაბული ირაკლი მაჭარაშვილის და „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ	386
მამუკა ნოზაძე რეზო კლდიაშვილის წინააღმდეგ	387
როლანდ ნიკოლაიშვილი გივი თარგამაძის, „ახალი თაობის“, „დილის გაზეთისა“ და „რეზონანსის“ წინააღმდეგ	392
ემზარ თურმანიძე „აჭარა P.S.“-ის წინააღმდეგ	393

2003 წელი

ჯემალ ჯიქურაული „ექოს“, ვანო პავლიაშვილისა და ია დანელიას წინააღმდეგ	395
ჯუდი უჩიძე და ცეზარ ბუბულაშვილი დავით სახვაძის წინააღმდეგ	397
აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ავთანდილ გადახაბაძის, „პრეს-კლუბ ბათუმისა“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ	401
ს. წ. „ალიას“ წინააღმდეგ	403

ვალერი ასათიანი „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილის და ირაკლი კერესელიძის წინააღმდეგ	406
გიორგი გეთიაშვილი ეთერ კვეზერელის წინააღმდეგ	417
ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე „ფოთის“, ხათუნა ცომიაისა და ანა ჯახიას წინააღმდეგ	419
გურამ შარაძე ლევან რამიშვილის წინააღმდეგ	420
თ. გ.-ი ლ. და ნ. ა.-ების წინააღმდეგ	428
„აზოტის“ გენერალური დირექტორი გიორგი გოგოლაძე მურმან არჯევანიძის წინააღმდეგ	431
მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ალიას“ წინააღმდეგ	432
ზაურ სამხარაძე შრომისა და სოციალური დაცვის იმერეთის რეგიონის დეპარტამენტის დირექტორის გიორგი კუხიანიძისა და „ალიას“ წინააღმდეგ	435
ონისე უგრეხელიძე „P.S.“-ისა და თინათინ დვალისძეების წინააღმდეგ	438
პაატა შავაძე ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის წინააღმდეგ	440
თამაზ ნადარეიშვილი ჯონდი ბალათურას წინააღმდეგ	445
გივი ჯიქია ნანა დედარიანის წინააღმდეგ	450
„მერანი“ „ეკოსა“ და რამინ ყურაშვილის წინააღმდეგ	456
გივი ლომინაძე „მერიდიანისა“ და ილნარ გორელიშვილის წინააღმდეგ	459
რ. მინაშვილი ნ. ცომიაის, მ. ჯორბენაძისა და ლ. ზაქარიასის წინააღმდეგ	464
ზურაბ ყვავაძე „ინეტრ-პრესისა“ და „ახალი თაობის“ წინააღმდეგ	467
აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ვეტერინარიის დეპარტამენტი „ბათუმელებისა“ და ეშვარ დიასამიძის წინააღმდეგ	469
„აგროტექნიკი“ და ფადი ასლი ეკა ქადაგიშვილის, რამაზ კორთხოზჯიას, მარი ჭიჭინაძის, „ტრიბუნისა“ და „ჯორჯიან თაიმისის“ წინააღმდეგ	472
აკაკი ჩხაიძე გოჩა ცქიტიშვილის წინააღმდეგ	474
აკაკი ჩხაიძე „თავისუფალი გაზეთისა“ და ჟურნალისტ ვია მგელაძის წინააღმდეგ	475
ევგენი ჯულაშვილი გრიშა ონიანის წინააღმდეგ	477
ე. კვარაცხელია ნ. გიორგაძე-სირაძისა და ე. მთოლიშვილის წინააღმდეგ	479
მერაბ ტყეშელაშვილი „ჯორჯიან თაიმისისა“ და ნათია ომაძის წინააღმდეგ	480
2004 წელი	
მ. ბუაჩიძე ლ. ლომსაძის წინააღმდეგ	483
კ. გ. და მ. რაისიანები ე. ხოდიკიანისა და ა.ამბარცუმიანის წინააღმდეგ	485
აკაკი ჩხაიძე „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალექსანდრე მაღლაფერიძის წინააღმდეგ	486
თემურ შაშიაშვილი დავით კუპრეიშვილისა და „ახალი ეერისის“ წინააღმდეგ	495
ი. გიორგაძე „ნუგზარის“ წინააღმდეგ	499
შ. შ. „კვირის პალიტრიკისა“ და მეგი ცანავას წინააღმდეგ	502
საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ	507

ავთანდილ ნულუკიანი „ახალი თაობისა“ და შორენა კონონაშვილის წინააღმდეგ	510
ვახტანგ ხმალაძე „ჯორჯიან თაიმსისა“ და ეკა სეხნიაშვილის წინააღმდეგ	512
თამაზ ბუაძე „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ	517
ქიტესა გურგენაშვილი მერაბ გურგენაშვილისა და „თრიალეთის“ წინააღმდეგ	519
ნუგზარ მალულარია და „ბესანა და გიორგი“ გურამ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ	521
ზურაბ ჟვანია „თავისუფალი გაზეთისა“ და ირმა მესხიას წინააღმდეგ	524
მამუკა ნოზაძე საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ	529
მამუკა ნოზაძე „თრიალეთის“ წინააღმდეგ	531
მამუკა ნოზაძე „თრიალეთისა“ და საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ	536
დოდო ჩოხელი „დუშეთის საზოგადოების ინტელიგენციის“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ	537

კარი III

ინფორმაციის თავისუფლება	541
<i>ლევან რამიშვილი</i>	
ინფორმაციის თავისუფლება – ფუძემდებლური პრინციპები	543
კომენტარები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავზე	558

**გამოხატვის თავისუფლება -
კანონმდებლობა და
პრაქტიკა**

კარი I

თავი I

კონვენციური საქართველოს კანონზე „სიჭყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“

შესავალი

2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი *სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ*, რითაც რადიკალურად შეიცვალა ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეჟიმს ანესრიგებდა. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წელს ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამ და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თანამედროვე ლიბერალურ ფასეულობებზე დაფუძნებულ კანონმდებლობას, ქვეყანაში დამკვიდრებულმა არაჯანსაღმა სასამართლო პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობების დახვეწისა და სამართლებრივი ნორმების დეტალიზირების საკითხი.

შესაძლებელია ითქვას, რომ ახალმა კანონმა, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ერთგვარ კონსტიტუციას წარმოადგენს და რომელიც თავისუფლების ინსტიტუტის მიერ არის ინიცირებული¹, მნიშვნელოვანი კორექტირება შეიტანა არსებულ სამართლებრივ სივრცეში და გამოასწორა ის ხარვეზები, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში აქამდე უხვად მოიპოვებოდა და ისედაც წინააღმდეგობრივ სასამართლო პრაქტიკაზე არასახარბიელოდ აისახებოდა.

პირველი და შეიძლება ითქვას, ყველაზე სახარბიელო ცვლილება, რომელიც ახალმა კანონმა შემოიტანა, არის დიფამაციის² დეკრიმინალიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო იმ ერთეულ ქვეყანათა (აშშ, უკრაინა, ბოსნია-ჰერცეგოვინა და ხორვატია) რიცხვშია, სადაც ცილისწამება სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი დანაშაული არ არის.

¹ კანონპროექტი 1999 წელს პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტმა, მისი საბოლოოდ მიღება მხოლოდ 5 წლის შემდეგ, 2004 წელს გახდა შესაძლებელი.

² პირისთვის განზრახ დანაშაულის დაბრალება.

სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის კანონის ის ნორმაც, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი შებრუნებულია. თუ ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, მოპასუხე იყო ვალდებული, ემტკიცებინა გავრცელებული ცნობების სინამდვილე, ახალი კანონის თანახმად, ეს წესი შებრუნებულია და ახლა მოსარჩლეა ვალდებული, ამტკიცოს მის მიმართ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი საკანონმდებლო ნორმები ძირითადად დასავლურ, განსაკუთრებით კი აშშ-ს სამართლებრივ სისტემაშია დამკვიდრებული.

მტკიცების ტვირთის შებრუნების გარდა, ახალ კანონს შემოაქვს საჯარო პირის ცნება, ერთმანეთისგან მიჯნავს ფაქტებსა და აზრებს, ამჭიდროებს ხანდაზმულობის ვადებს, ქმნის პოლიტიკური დებატების გარანტიებს, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში პლურალიზმის წამახალისებელ ფაქტორად ითვლება, შემოაქვს მამხილებლის ინსტიტუტი... და ჯამში, აწესებს გამოხატვის თავისუფლების ისეთ მაღალ სტანდარტებს, რომლებიც მნიშვნელოვნად უახლოვდება ევროპულ და ამერიკულ სამართალში (დიფამაციის დეკრიმინალიზაციისა და აზრის აბსოლუტური თავისუფლების თვალსაზრისით) დამკვიდრებულ ნორმებს.

ნოვაციებს, რომელიც შემოაქვს კანონს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, დეტალურად ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს უპირატესი ძალა სხვა მიმდინარე კანონებთან მიმართებაში, რადგან წარმოადგენს უფრო გვიან მიღებულ კანონს. ამავე დროს კანონთა კოლიზიის შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები კოლიზიის გადაწყვეტის საქართველოში მოქმედი წესი. ამ წესის მიხედვით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონს გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა სხვა მიმდინარე კანონებთან მიმართებით, რასაც ორი მიზეზი აქვს: პირველი – იგი უფრო გვიანაა მიღებული და მეორეც – წარმოადგენს სპეციალურ კანონს. ამდენად, თუ 2004 წლის 24 ივნისამდე მიღებული რომელიმე მიმდინარე კანონი ეწინააღმდეგება კანონს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ნორმა, რომელიც ახალ კანონს შემოაქვს ევროსასამართლოს სამართლიდან მომდინარეობს და საქართველოსთვის, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნისათვის, პრეცედენტული ძალა ისედაც აქვს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შიდასაკანონმდებლო აქტებთან მიმართებით საქართველოსთვის უპირატესი იურიდიული ძალა ევროპის ადამიანის უფლებათა სასა-

მართლოს გადაწყვეტილებებს აქვს; რადგანაც სამართლებრივი აქტების იერარქიაში ევროკონვენცია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ მოდის; ხოლო ევროსასამართლო ერთადერთი ორგანოა, რომელსაც ევროკონვენციის ტექსტის ოფიციალური განმარტების ფუნქცია აკისრია. ახალ კანონში სპეციალური ჩანაწერი – „ამ კანონის განმარტება უნდა მოხდეს ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად“³ – კიდევაც რომ არ გაკეთებულიყო, საქართველო მაინც იქნებოდა შებოჭილი ევროკონვენციითა და შესაბამისად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებით. კანონში სპეციალური ჩანაწერის გაკეთება ისევ და ისევ არსებულმა პრაქტიკამ განაპირობა, რადგან ქართული სასამართლოები თავიანთ გადაწყვეტილებებში იშვიათად აპელირებდნენ ევროსასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით⁴.

დასასრულს უნდა ითქვას იმის შესახებაც, თუ ვინ არის ხსენებული კანონის მომხმარებელი. ჩვენში არსებული მცდარი სტერეოტიპის თანახმად, ყველაფერი, რაც სიტყვის თავისუფლებასთან არის დაკავშირებული, მარტოოდენ ყურნალისტურ უფლებებთან ასოცირდება. არადა, ახალი კანონი ერთნაირად ეხება საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს (როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირს), მათ შორის ყურნალისტსაც, რადგანაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომლის გარეშეც შეუძლებელია სხვა უფლებათა რეალიზება, საყოველთაო და განუყოფელ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება.

სიტყვის თავისუფლების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები

დიფამაციის დეკრიმინალიზაცია. ახალი კანონის მიღების შედეგად გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი, რომელიც ცილისწამებისთვის სის-

³ მუხლი 2

⁴ მაგალითად, კახა თარგამაძე, ავთანდილ ჩხაიძე, ვასილ დავითაია, ზაქარია ვარაზიშვილი, ნიკოლოზ ივანიშვილი, ზურაბ უროტაძე, რევაზ მაჭავარიანი გაზეთ „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის წინააღმდეგ, 2002 წ. გვ. 371; ჯუდი უჩიძე და ცეზარ ბუბულაშვილი დავით სახვაძის წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 397; ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯიანის წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 274;

ხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით ისჯებოდა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ასიდან ორას საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე.

რატომ არის კარგი დიფამაციის დეკრიმინალიზაცია? – ალბათ, გაცილებით მართებული იქნებოდა, თუ კითხვას სხვაგვარად დავსვამდით: რატომ არის საჭირი პირის სისხლის სამართლებრივი დევნა იმის გამო, რომ ის სიტყვის თავისუფლების უფლებით სარგებლობს?

აღსანიშნავია, რომ გავრცელებული ცნობების გამო სისხლის სამართლებრივი დასჯა (განსაკუთრებით კი, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება) არ არის ადეკვატური (პროპორციული) დასჯის ღონისძიება რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანისათვის. ზოგადად, შესაძლებელია ითქვას, რომ, როდესაც სახელმწიფო კრიმინალად აცხადებს ამა თუ იმ ქმედებას, ცხადია, რომ ის ცდილობს აღნიშნული ქმედების გაკონტროლებას. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეპუტაციის დაცვა ითვლება კერძო ინტერესად, ცილისწამებლური განცხადებების კრიმინალიზაცია (მით უმეტეს, იმგვარი მკაცრი სასჯელის არსებობა, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა⁵) სრულიად ზედმეტია პატივისა და ღირსების რესტიტუციისათვის. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ მთავრობა ამ ბერკეტს გამოიყენებს კრიტიკული აზრის ჩასახშობად. ასეთმა საფრთხემ განსაკუთრებული სიმწვავეთ მაშინ

⁵ მცდელობა, ცილისწამებისათვის საქართველოშიც აღედგინათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საბჭოური დებულებები, 2003 წლის ივნისში იყო. 2003 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ცვლილებები და დამატებები სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, რაც ცილისწამებისათვის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. აღნიშნული პროექტი ახლებურად აყალიბებდა ცილისწამების ცნებას და შემოქმენდა შეურაცხყოფის დეფინიცია, რაც საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში იყო გათვალისწინებული. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენელთა აქტიურობის შედეგად, აღნიშნული ცვლილებების მიღება ვერ მოხერხდა.

⁶ იხ. ნესტან კირთაძე კლარა აბრამიას წინააღმდეგ, 1996 წ. გვ. 197; პროკურატურა კლარა შუკვანის წინააღმდეგ, 1998 წ. გვ. 203; ნ. იოსელიანი „ახალციხის“ წინააღმდეგ, 2000 წ. გვ. 224; ლაერენტი ნაჭყებია კლარა აბრამიას წინააღმდეგ, 2000 წ. გვ. 258; ნუგზარ ერაგია „ქუთაისის“ წინააღმდეგ, 2002 წ. გვ. 383; ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე „ფოთის“, ხათუნა ცომაიასა და ანა ჯახიას წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 419; გურამ შარაძე ლევან რამიშვილის წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 420; მ. ბუაჩიძე ლ. ლომსაძის წინააღმდეგ, 2004 წ. გვ. 483; მამუკა ნოზაძე საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ, 2004 წ. გვ. 529.

შეიძლება იჩინოს თავი, როდესაც ამ ტიპის დაევებში სასამართლოში ბრალმდებლად სახელმწიფოს წარმომადგენელი – პროკურორი გვევლინება. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამგვარი მოსაზრებები დაედო საფუძვლად კანონმდებლის გადწყვეტილებას, როდესაც მან გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ცილისწამების დეკრიმინალიზაციამდე საქართველოში ხელისუფლებას არასოდეს ჩაუსვამს პირი ციხეში აღნიშნული ბრალდებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ნეგატიურად არ იყენებდა აღნიშნულ მუხლს თავისუფალი პრესისა და მოქალაქეების დასაშინებლად: 1996-2004 წლებში სასამართლომ განიხილა ათამდე სისხლის სამართლის საქმე⁷. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებულები, მათ შორის ჟურნალისტები, სისხლის სამართლის ბრალდებით გაამტყუნეს, მათ გარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთაც კი მიუსაჯეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში სასამართლომ შეცვალა სასჯელი პირობით გამოსაცდელი ვადის დანიშვნით.

გასული რვა წლის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ ნორმის ეგრეთწოდებული გამყინავი ეფექტი⁷ მაინც არსებობდა, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა თავისუფალი მედიის არსებობას. ის, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველოში არც ერთი ჟურნალისტი ან მოქალაქე არ ჩაუსვამთ ციხეში ცილისწამების მუხლით, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სიტყვის თავისუფლება კანონმდებლობით ყველაზე დაცულ უფლებას წარმოადგენდა. ექსპერტები მიზეზებს უფრო წინა ხელისუფლების სისუსტესა და ხელისუფლების მიმართ საზოგადოების უნდობლობაში ეძებენ⁸. ცხადია, ნებისმიერი იმ ხელისუფლების პირობებში, რომელიც ამ თვალსაზრისით არც ერთის დეფიციტს (ძლიერიც არის და საზოგადოების ნდობითაც სარგებლობს) არ განიცდის, ხსენებული ნორმის გამოყენების ალბათობა მხოლოდ გამყინავი ეფექტებით არ შემოიფარგლება. ამდენად, ზოგადად, სიტყვის თავისუფლების კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და კონკრეტულად, ცილისწამების დეკრიმინალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლების გარანტიების შექმნის მხრივ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში.

⁷ ტერმინი გულისხმობს იმ საფრთხეს, რომლის გამოწვევაც შეუძლია სისხლის სამართლებრივ სასჯელს, როდესაც ამგვარი სანქციის შიშით ჟურნალისტი მომავალში უარს იტყვის კრიტიკული პუბლიკაციის გამოქვეყნებაზე.

⁸ „ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოების ნდობა არ გააჩნია, ვერასოდეს გაბედავს, იერიში მიიტანოს თავისუფალ მედიაზე, ხოლო თუ გაბედავს, ეს შეიძლება მისთვის საკვალად დასრულდეს.“ ზ. ადვიშვილი, „მედია და კანონი“, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2004.

თუ ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორების წყალობით, ამერიკული სამართალი აღარ იცნობს ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯის ზომას, ევროპის ბევრ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში) იგი დღესაც აპრობირებული ფორმაა. მეტიც, ინგლისში სისხლის სამართლის დანაშაულადაა მიჩნეული, მაგალითად, მონარქის შეურაცხყოფა. აღსანიშნავია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ჯერ კიდევ არ დაუფიქსირებია საკუთარი მიდგომა, თუ რამდენად შეთავსებადია ევროკონვენციის მე-10 მუხლთან დიფამაციის სისხლის სამართლის წესით დევნა. ამგვარი დამოკიდებულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ ევროსასამართლო არ წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ წევრი სახელმწიფოს შიდა კანონის კონვენციასთან შეთავსებადობის შესახებ. ევროსასამართლო მხოლოდ კონკრეტულ საქმეებს განიხილავს და ადგენს, ჰქონდა თუ არა ცალკეულ შემთხვევაში ადგილი კონვენციის (მათ შორის, მე-10 მუხლის) დარღვევას. სისხლის სამართლის წესით განხილულ საქმეებთან დაკავშირებით კი, ევროსასამართლომ უმეტეს შემთხვევებში დაადგინა, რომ დაირღვა ევროკონვენციის მე-10 მუხლი.⁹

გარანტიები სამოქალაქო დავებში. არასისხლისსამართლებრივ (სამოქალაქო) დავებს ადრე ძირითადად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებდა. სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლს, რომლის მე-2 პუნქტი უკვე ისტორიის საკუთრება გახდა, არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას აძლევდნენ სასამართლოები. უფრო მეტიც, ერთი და იგივე სასამართლო შემადგენლობა (ან თითქმის იდენტური) ერთსა და იმავე ტიპის დავებზე¹⁰, სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებდა და სწორედ ხსენებული კოდექსის მე-18 მუხლზე ახდენდა აპელირებას. ამდენად, ახალი კანონის შემქმნელებმა არსებითად ჩათვალეს

⁹ იხ. ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 272; დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 321.

¹⁰ იხ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი, მ. გოგიშვილი) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საქმეებზე ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ, 2001 წელი, გვ. 274; თამაზ ნივნივაძე და საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირი აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, 2001 წელი, გვ. 291; თამაზ ნადარეიშვილი ჯონდი ბალათურიას წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 445; ივანე ჩხარტიშვილი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ, 2002 წ. გვ. 361; კახა თარგამაძე, ავთანდილ ჩხაიძე, ვასილ დავითაია, ზაქარია ვარაზიშვილი, ნიკოლოზ ივანიშვილი, ზურაბ უროტაძე, რევაზ მაჭავარიანი „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის წინააღმდეგ, 2002 წ., გვ. 371.

უფრო დეტალურად და ფართოდ განემარტათ, თუ რას ნიშნავს გამოხატვის თავისუფლება.

ხსენებული კანონი გამოხატვის თავისუფლებას განმარტავს, როგორც:

- ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;
- გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტიკის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;
- ე) სწავლის, სწავლების და აკადემიური კვლევის თავისუფლებას;
- ვ) ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;
- ზ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;

თ) ქველმოქმედების უფლებას;

ი) მხილების თავისუფლებასა და მამხილებელთა დაცვას;

კ) თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი.¹¹

ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული ჩამონათვალი ვერ იქნება ამომწურავი, რადგანაც შეუძლებელია საზოგადოების განვითარების დღევანდელი ტემპების გათვალისწინებით სრულად მოიცვა სიტყვისა და გამოხატვის ყველა შესაძლო გამოვლინება. ამასთანავე, კანონი არ უარყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კონსტიტუციით დაცულ და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აღნიშნულ კანონში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებიდან.

ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ ახალმა კანონმა პრაქტიკულად გადაჭრა ის პრობლემა,

¹¹ მე-3 მუხლის II პუნქტი

რაც მახინჯ სასამართლო პრაქტიკაში აისახებოდა: საკუთარი აზრის გამოხატვის გამო სასამართლოებმა არაერთი ადამიანის მიმართ გამოიტანეს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება¹². ამის მიზეზი იყო ის, რომ უწინდელი კანონმდებლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ) ფაქტებისა და შეფასებითი მსჯელობის გამიჯვნას არ ითვალისწინებდა.

ახალმა კანონმა შეავსო საკანონმდებლო ვაკუუმი, როდესაც ერთმანეთისგან გამიჯნა ფაქტები და მოსაზრებები¹³ და აღიარა, რომ აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რითაც კანონი მიუახლოვდა აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დადგენილ სტანდარტს.

ამერიკული სტანდარტის თანახმად, მოსაზრება დაცულია პირველი შესწორებით. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მილკოვიჩი ყურნალ ლორანის¹⁴ საქმეში დადგენილი ნორმა, რომლითაც შეიზღუდა შეფასებითი მსჯელობის ფორმალურად ფართო გაგება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ცილისწამების საქმეში ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტე წარმოადგენს დაცვის საფუძველს; მოსაზრება, რომელიც არ შეიცავს მითითებას მცდარად მიჩნეულ ფაქტებზე, კვლავ არის დაცული პირველი შესწორებით. აღ-

¹² იხ. „აჭარა P.S.“-ი „ქობულეთის“, ნატო ქათამაძისა და ქობულეთის გამგეობის წინააღმდეგ, 2000 წ. გვ. 243; მეკლუდ ეგრისაშვილი მაყვალა ბერიანიძის წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 281; ბასილ მკალაიშვილი „რეზონანსის“ წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 288; თამაზ ნივნივაძე და საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირი აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 291; „რიონი“ „ქუთაისის“ წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 299; მანანა არჩვაძე-გამასახურდია „შანსი +“-ის, ბონდო ქურდაძისა და გოგიტა მელიქიძის წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 311; რომან კვაჭაძე „ლანჩხუთი Plus“-ის, ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ, ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2001 წ. გვ. 319; ივანე ჩხარტიშვილი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ, 2002 წ. გვ. 361; აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ავთანდილ გადახაბაძის, „პრეს-კლუბ ბათუმისა“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 401; გიორგი გეთიაშვილი ეთერ კეზერელის წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 417; პაატა შვაბაძე ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 440; თამაზ ნადარეიშვილი ჯონდი ბალათურისა წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 445; გივი ლომინაძე „მერიდიანისა“ და ი. გორელიშვილის წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 459; მერაბ ტყეშელაშვილი „ჯორჯიან თაიმისის“ და ნათია ომაძის წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 480; აკაკი ჩხაიძე „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალექსანდრე მაღლაფერიძის წინააღმდეგ, 2004 წ. გვ. 486; ზურაბ ყვანია „თავისუფალი გაზეთისა“ და ირმა მესხიას წინააღმდეგ, 2004 წ. გვ. 524.

¹³ მუხლი I, ბ) პუნქტი.

¹⁴ *Milovich v. Lorain Journal*, 497 U.S. 1(1990).

ნიშნული სტანდარტის საფუძველზე, სასამართლოები ვალდებულნი არიან, შეამოწმონ, თუ რამდენად ეფუძნება შეფასებითი მსჯელობა ფაქტებს. „შეფასებითი მსჯელობა“ არ არის დაცული, თუ ფაქტი, რომელსაც ის ეფუძნება, მცდარი ან შეურაცხმყოფელი აღმოჩნდება.

ქართულ კანონმდებლობაში კი აბსოლუტური პრივილეგია¹⁵ განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლება. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია, მოპასუხეს დააკისროს პასუხისმგებლობა მის მიერ გავრცელებული მოსაზრების გამო.

ახალ კანონში აზრი განმარტებულია, როგორც „შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.“¹⁶

ამგვარი დეფინიციის შემოღებით ჩვენ მიუუახლოვდით (თუ არ გაუუსწარიტ კიდევ) ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომელიც იშვიათი გამონაკლისების გარდა, პრაქტიკულად არ ითვალისწინებს რაიმე სახის პასუხისმგებლობას შეფასებითი მსჯელობისათვის. ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამონაკლისის წარმოადგენს იმგვარი განცხადებები, რომელთაც არა აქვთ პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომლებიც უხეშად ლახავენ საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

პოლიტიკური დებატების გარანტიები. ასევე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს კანონის მიერ იმის აღიარება, რომ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;

გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.¹⁷

პოლიტიკური დებატების გარანტია მნიშვნელოვანი ბერკეტია ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, რომელიც დაინტერესებულია პოლიტიკური პლურალიზმის შენარჩუნებით, რაც, თავის მხრივ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

¹⁵ მუხლი 1, ფ) პუნქტი.

¹⁶ მუხლი 1, ბ) პუნქტი.

¹⁷ მუხლი 5, 1 ნაწილი.

სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური დებატების კონტექსტში გაკეთებული განცხადებების დაცვის გარანტიები ძირითადად დასავლეთის დემოკრატიებიდან და რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს პრეცედენტული სამართლიდან მომდინარეობს¹⁸.

რაც შეეხება ქართულ კანონს, უნდა ითქვას, რომ იგი არ აკონკრეტებს, თუ როგორი პრივილეგიით სარგებლობს პირი ამგვარი გარემოებების არსებობისას – აბსოლუტურით თუ კვალიფიციურით.

კვალიფიციური პრივილეგიის ცნების განმარტებას გვთავაზობს კანონის I მუხლის ქ) პუნქტი, სადაც აღნიშნულია: „კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლება. სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, პირმა შეიძლება დაკარგოს პრივილეგია, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.“

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა, რომლის საქმიანობაც დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით, შეიძლება დაკარგოს იგი ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს დასაბუთებული განაჩენის საფუძველზე, თუ მის მიერ გავრცელებული ცნობები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს (მაგალითად, მოწოდებას ეთნიკური შუღლის გაღვივებისაკენ).

პოლიტიკური დებატებისა და სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში გაკეთებული განცხადებებისათვის სპეციალური დაცვის მინიჭება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პრაქტიკულად გამორიცხულია პირის გამტყუნება მის მიერ პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლების კონტექსტში გაკეთებული განცხადების გამო¹⁹.

კანონის მიხედვით, ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მოპასუხეს აქვს უფლება, მოსარჩლისაგან მოითხოვოს ფულადი ანაზღაურების მიღება გონივრულ ფარგლებში. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: გამოიწვევს თუ არა ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას ისეთი სარჩელი, რომლითაც მეორე პირს ბრალი ედება პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში გაკეთებული განცხადების გამო?

პასუხი უარყოფითია, რადგან მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთი გარემოების დადასტურებისას, სასამართლოს გამოაქვს საქართველოს სამოქა-

¹⁸ იხ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ, ტომი I, გვ 173.

¹⁹ იხ. ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ, ტომი I, გვ 344; ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, ტომი I, გვ 272.

ლექო საპროცესო კოდექსის 209-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული განჩინება, რაც არ იწვევს ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

სათანადო მოპასუხე. მეტად საინტერესო სიახლეს გვთავაზობს კანონი ასევე სასამართლო დავისას მოპასუხის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ადრე მოქმედი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, „ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი.“

აღნიშნული ჩანაწერი ძალზედ ბუნდოვანი იყო, რის გამოც სასამართლოები ხშირად ერთ საქმეში რამდენიმე მოპასუხეს რთავდნენ, რაც სრულიად არაეფექტური იყო და სრულებით არ უწყობდა ხელს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ახალი კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, ყურნალისტის სტატუსთან თუ სიუჟეტთან დაკავშირებით წარმოქმნილი სასამართლო დავებისას, მოპასუხედ გამოდის მედიის შესაკუთრე. აღნიშნული პრინციპი გაზიარებული და დამკვიდრებულია ასევე უმეტეს ევროპულ ქვეყნებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ხსენებული ნორმა ხელს უწყობს მედია ორგანიზაციებში თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებას.

მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას.“

მაგალითად, თუ პირდაპირ ეთერში გადის ინტერვიუ, რომლის დროსაც ადამიანი ეთნიკური შუღლის გაღვივებისაკენ მოუწოდებს საზოგადოებას, ყურნალისტი ან საინფორმაციო საშუალება ვერ იქნება პასუხისმგებელი რესპონდენტის სიტყვების გამო. პირდაპირი ეთერის სპეციფიკის გათვალისწინებით (პროგრამა წინასწარი ჩანერის გარეშე მიმდინარეობს), საინფორმაციო საშუალება ვერ შეძლებს თავიდან აიცილოს ამ ტიპის განცხადებების ეთერში გასვლა²⁰.

მე-2 პუნქტისაგან განსხვავებით (რომელიც მხოლოდ მედიაში გამოქვეყნებულ მასალას ეხება), მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა ეხება ნებისმიერი საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას.

²⁰ იხ. ჯერსილი დანიის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 304.

კიდევ ერთ წინადადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ კანონის მიერ იმის აღნიშვნა, რომ „სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე ერთმნიშვნელოვნად არ არის იდენტიფიცირებული.“²¹

ძველ კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერის არარსებობა მრავალჯერ გამხდარა სასამართლოების მიერ მოპასუხე საინფორმაციო საშუალებების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამოტანის მიზეზი ისეთ საქმეებზე, სადაც „პატივი და ღირსება შელახული“ ჰქონდათ არაიდენტიფიცირებულ პირებს. როგორც ნესი, უმრავლეს შემთხვევებში ამგვარ „პირებს“, ანუ მოსარჩლეებს წარმოადგენდნენ არა ფიზიკური, არამედ იურიდიული პირები, სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების სახით²². იურიდიულმა პირმა, ისევე როგორც სამინისტრომ თუ სხვა სახელმწიფო უწყებამ არ შეიძლება მოითხოვოს პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მორალური ზიანისათვის მიყენებული გარკვეული კომპენსაცია. მორალური ზიანი შესაძლებელია მიაღგეს მხოლოდ სულიერ არსებას – ადამიანს, რადგანაც მხოლოდ მას აქვს უნარი, განიცადოს სულიერი ტანჯვა მისი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების გამო. იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიულ პირს მსგავსი უნარი არ გააჩნია, დაუშვებელია, მან მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. რაც შეეხება ისეთი ფასეულობების დაცვას, როგორიცაა „სახელმწიფოს ღირსება“, „ერის ღირსება“, „სახელმწიფო ან სხვა ოფიციალური სიმბოლოები“, „სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტი“, ასეთ კატეგორიებს არ იცნობს ევროკონვენციის 10-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ისევე როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-9 მუხლის 1 პუნქტი, სადაც ამომწურავად არის ჩამოთვლილი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ყველა კანონიერი მიზანი. ისეთი აბსტრაქტული ფასეულობების სიტყვებით, ყესტებით, წარმოდგენით ან სხვა ფორმით გამოხატული კრიტიკა, რომელიც არ არის ნახსენები მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში, არ შეიძლება აიკრძალოს წევრ სახელმწი-

²¹ მუხლი 6, III პუნქტი.

²² სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური გელა ლლიღვაშვილის წინააღმდეგ, 2000 წ. გვ. 228; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი თენგიზ კიტოვანისა და „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ, 2000 წ., გვ. 254; ქუთაისის მერიის ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტი და გია გრძელიძე შოთა ღირდალაძისა და „რეზიუმეს“ წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 264; თბილისის შს მთავარი სამმართველო ია დანელიას წინააღმდეგ, 2001 წ. გვ. 317; აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აეთანდრო გადახაბაძის, „პრეს-კლუბ ბათუმისა“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ, 2003 წ. გვ. 401.

ფოთა კანონმდებლობით ან სასამართლო პრაქტიკით. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედი წესის მიხედვით, მედიის, ჩვეულებრივი ადამიანებისა და, ზოგადად, საზოგადოების ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაცაა ხელისუფლების წარმომადგენელთა ან სახელისუფლებო ინსტიტუტების კრიტიკა. მაგალითად, სახელმწიფოს სიმბოლოს განადგურება ან მისი შეურაცხყოფა შეიძლება, იყოს პირის კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვა ზოგიერთი პოლიტიკური გადანყვეტილების, სახელმწიფო ორგანოების მოქმედების ან ზოგიერთ სფეროში არსებული საჯარო პოლიტიკის მიმართ. ამგვარი კრიტიკა თუ პროტესტის გამოხატვა არ უნდა შეიზღუდოს, რადგან ეს არის საზოგადოებაში მიმდინარე დადებითი და უარყოფითი მოვლენების შესახებ საჯარო დისკუსიის დაწყების ერთ-ერთი საშუალება. დაბოლოს, იმგვარი აბსტრაქტული ფასეულობების დაცვამ, როგორცაა „სახელმწიფოს ავტორიტეტი“, შეიძლება შენიღბოს ხელისუფლებაში მყოფ პირთა უკანონო ინტერესები ან მათი სურვილი – ნებისმიერ ფასად შეინარჩუნონ ხელისუფლება.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ეხმიანება ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს²³, სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ არაგონივრულია, პასუხი მოსთხოვო პრესას საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი იმ ინფორმაციის გავრცელებისათვის, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს.

თუმცა ევროპული პრაქტიკა ნაწილობრივ განსხვავდება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციისაგან, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, პირმა სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ერთმნიშვნელოვნად არ ყოფილა იდენტიფიცირებული სტატიაში, მაგრამ ამავდროულად დაამტკიცებს, რომ აშშ-ს საშუალო დონის მოქალაქე სტატიის წაკითხვისას მას ამოიცნობდა²⁴.

კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სასამართლო დაეა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის, სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.“

ბუნებრივია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია და შესაბამისად, იგი ვერც იდავებს მათი შელახვის გამო. რაც შეეხება ახალი კანონის მიერ გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობის გამორიცხვას, ესეც,

²³ იხ. ტორგერ ტორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ, ტომი I, კარი II, გვ 294.

²⁴ იხ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ. ტომი I, გვ. 173.

რა თქმა უნდა, მისასალმებელი ნორმაა, რადგან გამოხატვის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანი ფასეულობაა დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომ მასში ჩარევა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ამ უფლების შეზღუდვის ძლიერი სოციალური მოთხოვნილება. ცხადია, ასეთი აუცილებლობა არ არსებობს გარდაცვლილი პირის ნაცვლად სარჩელის წარდგენის შემთხვევაში.

თუმცა კანონმდებლებმა ვერ გაითვალისწინეს შესაძლო საკანონმდებლო კოლიზია, რომელიც ხსენებული მუხლის მიღებას მოჰყვა, რადგანაც იმავდროულად ცვლილებები არ შეიტანეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება აღნიშნულ დებულებას. სახელდობრ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლის თანახმად, „18-ე მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელის და ღირსების ისეთი დაცვის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია“.

ზემოთ მოყვანილი ორი ჩანაწერი ურთიერთგამომრიცხავია, რადგან ერთი (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი) კრძალავს გარდაცვლილი პირის მაგივრად სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც მეორე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლი) პირდაპირ უშვებს გარდაცვლილი პირის ნაცვლად სარჩელის შეტანას იმ პირის მიერ, ვისაც საამისოდ დაცვის ღირსი ინტერესი გააჩნია (ასეთები კი, როგორც წესი, გარდაცვლილის შთამომავლები და მემკვიდრეები არიან).

კანონმდებლების მიერ დაშვებული ამგვარი იურიდიული ხარვეზის აღმოსაფხვრელად საკმარისია, უბრალოდ გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლი. თუმცა ამავე დროს მხედველობაშია მისაღები კანონის ნორმათა კოლიზიის გადანყვეტის წესი, რომლის მიხედვით, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე აქტებს შორის²⁵ უპირატესი ძალა ენიჭება გვიან მიღებულ აქტს, ანუ ამ შემთხვევაში კანონს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

მტკიცებულებათა სტანდარტი და ტვირთი. მნიშვნელოვან სიახლედ უნდა

²⁵ ასეთია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

მივიჩნით ასევე სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება. კანონის მიხედვით, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არსებობს სასამართლოში საქმის განხილვისას, უნდა გადანყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. ეჭვი შეიძლება ეხებოდეს მრავალ საკითხს, მათ შორის:

ა) კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხს;

ბ) საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხს;

გ) აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხს.²⁶

ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის II ნაწილი მხარეებს შორის მტკიცების ტვირთს შემდეგნაირად ანაწილებდა: მოსარჩლე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი და ასევე ის, რომ გავრცელებული ცნობებით შეილახა მისი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია; ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, დაედასტურებინა მის მიერ გავრცელებული ცნობების ნამდვილობა.

რადიკალურად განსხვავებული იყო მტკიცების ტვირთის გადანაწილება სისხლის სამართლის საქმეში, სადაც მთლიანად ბრალმდებელი იყო ვალდებული, ემტკიცებინა ბრალდების ყველა ელემენტი, მათ შორის: 1) ფაქტი იმის შესახებ, რომ სადავო ცნობები გავრცელდა; 2) ფაქტი იმის შესახებ, რომ სადავო ცნობები გავრცელდა ბრალდებულის მიერ და 3) ფაქტი იმის შესახებ, რომ სადავო ცნობები შეიცავდა 148-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენელ ყველა საჭირო ელემენტს. აღსანიშნავია, რომ მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება სისხლის სამართალში აბსოლუტურად გასაგებია, რადგან ამ შემთხვევაში მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა, ხოლო ნებისმიერი ეჭვი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ვერ დადასტურდება, უნდა გადანყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ახალმა კანონმა კი მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩლის მხარეს მოაქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩლე ვალდებული, და არა მოპასუხე, ამტკიცოს, რომ:

1) მოპასუხის მიერ გავრცელდა სადავო განცხადება;

2) სადავო განცხადება ლახავს მის პატივსა და ღირსებას;

²⁶ მე-7 მუხლი.

3) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს²⁷;

4) განცხადება არ გაკეთებულა პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში²⁸.

კანონის მიხედვით, არსებობს ორი სახის სტანდარტი, რომელსაც დიფამაციის საქმეებში იყენებენ. რიგითი მოქალაქის მიერ სარჩელის წარდგენისას, იგი ვალდებულია, დაამტკიცოს მხოლოდ ორი გარემოება:

1. რომ მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებები;

2. აღნიშნული განცხადებები ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კანონს შემოაქვს *საჯარო პირის* ცნება, რაც რამდენიმე თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი: პირველ რიგში, დიფამაციის საქმეებში საჯარო პირს ეკისრება გაცილებით მაღალი სტანდარტის მქონე მტკიცების ტვირთი, ვიდრე რიგით მოქალაქეს. ეს კი გამოიხატება შემდეგში: 14-ე მუხლის თანახმად, საჯარო პირი ვალდებულია, დაადასტუროს არა მხოლოდ ის, რომ უურნალისტმა გაავრცელა ცილისმწამებლური ფაქტები, არამედ ისიც, რომ ფაქტების სინამდვილესთან შეუსაბამობა მოპასუხისათვის წინასწარ იყოს ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადების გავრცელება.

ამით ახალი კანონი მიუახლოვდა იმ სტანდარტს, რომელიც პირველად აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა საქმეზე „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ. მოცემულ საქმეზე სასამართლომ განაცხადა, რომ თუ სახეზე არ არის მედიის მხრიდან ბოროტი განზრახვა (*actual malice*) ან უხეში დაუდევრობა, არ შეიძლება, უურნალისტმა პასუხი აგოს საჯარო პირის შესახებ არასწორი და სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც კი. რაც შეეხება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით, მან დალბანის საქმეში²⁹ განაცხადა, „რომ უდავოა, სტატიები მოყვანილი ფაქტები არასწორია და მიზნად ისახავს X-ის წინააღმდეგ ცილისწამების კამპანიის ხელშეწყობას“, არსებითად, კეთილსინდისიერება იკავებს სიმართლის მტკიცების ვალდებულების ადგილს („სიმართლის მტკიცების“ დაცვა). თუკი უურნალისტს ან პუბლიკაციას გააჩნია კანონიერი მიზანი, იგი წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს და ფაქტების დასამტკიცებლად მიმართავენ გონივ-

²⁷ მუხლი 13.

²⁸ მუხლი 5.

²⁹ იხ. ტომი I, გვ. 321.

რულ მცდელობას, პრესა არ ჩაითვლება ბრალეულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცდება ფაქტების არასწორი შინაარსი (უზუსტობა).

მამხილებელი. აღსანიშნავია, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 12-ე მუხლის II პუნქტი იცავს ე.წ. მამხილებლებს. სახელდობრ, „პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საიდუმლოების გამხელა მიზნად ისახავდა, საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.“

დასავლეთში ამ ტერმინით აღინიშნება ამა თუ იმ ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანი, რომელმაც გარკვეულ მომენტში, შესაძლოა, საჭიროდ ჩათვალოს საზოგადოების ინფორმირება საკუთარ ორგანიზაციაში დაცული იმ საიდუმლო ინფორმაციის შესახებ, რომლის გამხელა, მისი შეხედულებით, გამოააშკარავებს უკანონო ქმედებებს. მამხილებლური საქმიანობა დაცულია ასევე ევროსასამართლოს იურისპრუდენციით. ევროსასამართლოს განცხადებით, მსგავსი ტიპის საქმიანობას ძალუძს, საზოგადოებას თავიდან ააცილოს უფრო დიდი ზარალი, ვიდრე კონკრეტული (თუნდაც კომერციული საიდუმლოების შემცველი) ინფორმაციის დაუცველობამ. ევროსასამართლომ ყურნალისტური თავისუფლების უხემ შეზღუდვად შეაფასა ინგლისის სასამართლოების მიერ ყურნალისტის პასუხისგებაში მიცემა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მამხილებლის სახელი არ გაამხილა.³⁰

ყურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობა. ადრე მოქმედი კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ არ ითვალისწინებდა ყურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დაცვის მყარ გარანტიებს. მართალია, ქართული სასამართლოების პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს შემთხვევა, როდესაც მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს ყურნალისტისთვის პროფესიული საიდუმლოების გამხელა დაევალებინოს, მაგრამ კანონმდებლებმა მაინც საჭიროდ ჩათვალეს ახალ კანონში კონფიდენციალური წყაროების დაცვის შესახებ სპეციალური დებულების ჩადება.

კანონის 11-ე მუხლის I პუნქტის მიხედვით, „პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლო დავისას, არ შეიძლება, მოპასუხეს დაეკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება“.

³⁰ ყურნალისტს კომპანიის უკანონო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სწორედ მამხილებელმა მიანოდა, დანვრილებით იხ. გუდვინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ტომი I, გვ 308.

კანონი ასევე დაუშვებლად მიიჩნევს კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელას თვით მისი მფლობელის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.

მედია ორგანიზაციების მუშაობა შეუძლებელია კონფიდენციალური წყაროების გამოყენების გარეშე. თუკი კონფიდენციალურ წყაროებს არ ექნებათ იმის გარანტია, რომ არ მოხდება მათი ვინაობის გამჟღავნება, ისინი თავს შეიკავებენ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებისგან.

ეს ნორმა, როგორც გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი გარანტი, განსაკუთრებულად არის დაცული როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ასევე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციით.

1991 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეეძლო წყაროს, ეჩივლა ჟურნალისტიკისათვის, თუკი ეს უკანასკნელი მისი თანხმობის გარეშე გაამჟღავნებდა წყაროს ვინაობას³¹. სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორება არ იცავს ჟურნალისტებს ამგვარი სარჩელებისაგან და დაასკვნა, რომ თითოეულ შტატს გააჩნია უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, თუ რამდენად ექვემდებარებიან მედია ორგანიზაციები ჩვეულებრივ საკონტრაქტო სამართალს.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ მრავალმა მედია ორგანიზაციამ გადასინჯა საკუთარი პოლიტიკა წყაროების კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებით.

ცნობების უარყოფის დავალდებულების აკრძალვა. აღსანიშნავია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, პირს აღარ შეუძლია, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს მოპასუხისათვის ცნობების უარყოფის დავალდებულება, ანუ პრაქტიკულად ახალი კანონის მიხედვით, მოსარჩლეს შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ ჯარიმის დაკისრება ან/და სათანადო ფორმით სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომა არსებობს დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და აშშ-ს კანონმდებლობაში. გამონაკლის ნარმოადგენს ე.წ. *refutation*, რაც გარკვეულწილად გულისხმობს არასწორი ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ცნობების უარყოფასაც (მსგავსი ნორმა არსებობს მაგალითად, როგორც საფრანგეთში, ასევე გერმანიაში). თუმცა ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აღნიშნული ნორმა მოქმედებს, იგი არ გამოიყენება შეფასებითი მსჯელობის უარყოფისათვის, როგორც ეს ქართული სასამართლოების პრაქტიკაში არაერთხელ მომხდარა.

³¹ *Cohen v. Cowles Media*, 501 U.S. 663, 1991.

მედია ორგანიზაციების რედაქციების (*newsroom*) ჩხრეკის შეზღუდვა. უზრუნველყოფის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს მედია საშუალებების დაცვა რედაქციების (*newsroom*) უკანონო და დაუსაბუთებელი ჩხრეკისაგან. სამწუხაროდ, ახალმა კანონმა არ გაითვალისწინა ეს დამცავი ზომა. არადა, საქართველოში ასეთი საკანონმდებლო გარანტიის აუცილებლობას განაპირობებს ის სამწუხარო გამოცდილება, რომელიც 2001 წელს „რუსთავი-2“-ის ოფისში უშიშროების თანამშრომლების შესვლას, ხოლო 2004 წელს „ხალხის გაზეთში“ პოლიციის თანამშრომლების არასანქცირებულ ჩხრეკას უკავშირდება.

მედია ორგანიზაციების რედაქციებში ჩხრეკის შეზღუდვის თაობაზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ 1978 წელს დაადგინა, რომ შესაძლოა, გაიცეს უზრუნველყოფის სამუშაო ან მისი საცხოვრებელი ადგილის გაჩხრეკის ბრძანება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შენობაში მდებარეობს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება. საქმე ეხებოდა დემონსტრაციის დროს პოლიციელის ცემაში მონაწილე პირთა ფოტოების კოლეჯის გაზეთიდან ამოღების მიზნით ჩატარებულ ჩხრეკას³². ეს ინციდენტი გახდა საფუძველი იმისა, რომ კონგრესმა მიიღო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის 1980 წლის აქტი, რომელმაც ფედერალურ, შტატის ან ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებს შეუზღუდა „უზრუნველყოფის ნაშრომის“ ან „რედაქციაში დაცული დოკუმენტალური მასალების“ ჩხრეკისა და ამოღების უფლება³³.

ამ აქტის თანახმად, „უზრუნველყოფის ნაშრომი“ მოიცავს „მასალებს, რომლებიც იქმნება საზოგადოებისათვის ინფორმაციის მომზადების პროცესში“ და არსებობს „გამოუქვეყნებელი მასალის, ფოტოების ნეგატივების ან შავი ჩანაწერების“ სახით. „დოკუმენტური მასალა“ კი მოიცავს „ფაქტობრივ მასალას დოკუმენტაციის სახით“, მაგალითად, ფოტოები ან აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

სასარჩელო ხანდაზმულობა. კანონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ცილისწამების შესახებ სასამართლოში საარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა და იგი 100 დღით შემოფარგლა. აღსანიშნავია, რომ ზოგადად დიფამაციის საქმეებში ხანდაზმულობის ვადები უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში განსხვავდება ჩვეულებრივი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებისაგან (ევროპის ქვეყნებში ეს ვადა საშუალოდ ერთ წელიწადს შეადგენს). იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში დავის ობიექტია პირის რეპუტაცია, რაც თავისი ბუნებიდან გამომდინარე დაუყოვნებლივ რეაგირებას (ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება) მოითხოვს,

³² *Zurcher v. Stanford Daily*, 436 U.S. 547, *reh'g denied*, 439 U.S. 885, 1978.

³³ 42 U.S.C. § 2000aa, 1998.

საჭიროა, გასაჩივრება გონივრულ ვადებში მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პროცესის გამართვას აზრი ეკარგება.

დაბოლოს, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოებში ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელების წარდგენა, პირველად ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში კანონმა დაანება ნორმა, რომლის მიხედვით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ ამკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს მოსარჩელისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება.“³⁴ აღსანიშნავია, რომ უსაფუძვლო სარჩელების წარდგენისაგან დაცვის ნორმა მოქმედებს აშშ-ს სამართლებრივ სივრცეშიც.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი იძლევა საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს იმ ტიპის გამოხატვებისა, რომელთა შეზღუდვას იგი შესაძლებლად მიიჩნევს, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა კანონმა მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა პასუხისმგებლობის ფორმების ლიბერალიზაციის მხრივ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლიდან ცნობების უარყოფის დავალდებულების შესახებ ნორმის ამოღება და მის ნაცვლად ახალი კანონის მიერ პასუხისმგებლობის ძირითად ფორმებად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების დაწესება. კანონმა ასევე ლიბერალური მიდგომა აირჩია სხვადასხვა ტიპის საიდუმლოების გამჟღავნებისას პასუხისმგებლობის დაკისრების მხრივ.

შინაარსობრივი რეგულირება (content regulation). ახალი კანონი უშვებს შინაარსობრივ რეგულირებას, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური, არადისკრიმინაციული შეზღუდვის სახით. ამასთანავე, შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირებისას დაუშვებელია გამოხატვის საგნის შეზღუდვა.

შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვას გამოხატვის ადგილის, დროისა და ფორმის

³⁴ მუხლი 18.

მიხედვით, რომელიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამოხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტურ შესაძლებლობას.³⁵ რეგულირების მსგავსი ფორმები უხვად მოიპოვება როგორც ევროპის, ისე აშშ-ს სამართლებრივ სისტემაში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამ ქვეყნების უმეტესობაში არ არსებობს სპეციალური კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც ამ ნორმას ითვალისწინებს. სამაგიეროდ, შინაარსობრივი რეგულირების საფუძველზე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წესები მოცემულია სხვადასხვა აქტებში (კანონებში).

საქართველოში შინაარსობრივი რეგულირების ნორმები მოცემულია როგორც საკუთრივ ახალ კანონში, ასევე არასრულწლოვანთა მათზე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ და რეკლამის შესახებ საქართველოს კანონებში.³⁶

ახალი კანონი კი შინაარსობრივად არეგულირებს ისეთი ტიპის გამოხატვებს, როგორიცაა მონოდება, ცილისნამება, უხამსობა, პირისპირ შეურაცხყოფა, დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზება, მუქარა, სახელმწიფო, კომერციული, პირადი ან პროფესიული საიდუმლოება, რეკლამა, ტელეშოპინგი და სპონსორობა. შინაარსობრივი რეგულირება სპეციფიკურად ეხება სამხედრო და საჯარო მოსამსახურეთა, თავისუფლებალკვეთილ ან თავისუფლებაშეზღუდულ პირთა, ასევე ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას³⁷. თითოეულ მათგანს დეტალურად ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ:

მონოდების დეფინიციას იძლევა კანონის პირველივე მუხლი:

მონოდება – განცხადება, რომლის ავტორიც მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას.

ხოლო, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „*მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით და ის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მაშინ, როცა პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.*“

ანუ თუ პირი აკეთებს ისეთ მონოდებას, რომელიც ქმნის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ის უკვე აღარ სარგებლობს ამ კანონის დაცვის მექანიზ-

³⁵ მუხლი 10.

³⁶ მაგალითად, დროის მიხედვით შეზღუდვას შესაძლოა, დაექვემდებაროს საღამოს 11 საათამდე ვთერში გარკვეული კატეგორიის რეკლამის ან ფილმის გაშვება; ხოლო ფორმის მიხედვით შეზღუდვა შეიძლება, გამოიყენონ, მაგალითად, ალკოჰოლური სასმელის რეკლამირებისას უშუალოდ სითხის სმის პროცესის ჩვენების აკრძალვის მხრივ.

³⁷ მუხლი 9.

მებით, ხოლო ის ადამიანი, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს, ცალკე აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით.

იმისათვის, რომ სასამართლოებმა არ მოახდინონ მეცხრე მუხლში მოცემული ნორმების არასწორი ინტერპრეტაცია, კანონმა დეტალურად განმარტა ზოგიერთი მათგანი. სახელდობრ:

დიფამაცია – აღსანიშნავია, რომ კანონის I მუხლის ე) პუნქტის მიხედვით, დიფამაციად მიიჩნევა არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების გავრცელება.

პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონის³⁸ მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩლე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩლის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩლეს მიადგა ზიანი.

უხამსობა – კანონის პირველივე მუხლის მიხედვით, უხამსობას „წარმოადგენს განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“. აღსანიშნავია, რომ ზოგადად მორალის (და შესაბამისად უხამსობის) დეფინიციის უნივერსალური ცნება არ არსებობს. თავად უხამსობის კანონისმიერი დეფინიციის მიხედვით, ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. საზოგადოება (და შესაბამისად, მისი შეხედულებები) არასდროს არის უცვლელი. შესაბამისად, საუბარი მორალისა და უხამსობის ერთიანი, უნიფიცირებული ცნების არსებობაზე აზრს მოკლებულია. შესაძლებელია, გარკვეული გამოხატვა ერთ საზოგადოებაში უხამსობად მიიჩნიონ, მეორეში კი უბრალოდ ადამიანის მიერ საკუთარი შეხედულების მკვეთრი ფორმით გამოხატვად. სწორედ ამის გამო განაცხადა ევროსასამართლომ, რომ მასთან (ევროსასამართლოსთან) შედარებით ეროვნული სასამართლოები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან საიმისოდ, რომ განსაზღვრონ ამა თუ იმ განცხადების უხამსობად მიჩნევის საკითხი.

პირისპირ შეურაცხყოფა – მსგავსი ტიპის გამოხატვა გულისხმობს პირისთვის პირისპირ შეურაცხყოფის მიყენებას (მაგალითად ლანძღვა, გინება) როგორც საჯაროდ, ისე კერძო ვითარებაში. როგორც ევროსასამართლომ მორალთან და უხამსობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას დაადგინა,

³⁸ მუხლი 13.

პირისპირ შეურაცხყოფის შესახებ სარჩელის განხილვის დროსაც სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ იმ დროისათვის საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები.

დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზება – აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზება არც ერთ ქვეყანაში არ არის დაცული სიტყვის თავისუფლების გარანტიებით. ევროსასამართლომ მრავალ საქმეზე³⁹ (რომელთა უმეტესობაში მოპასუხეს თურქეთი წარმოადგენდა) მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზების შემცველი გამოხატვის შეზღუდვისას არ გააჩნიათ დისკრეციის (*margin of appreciation*) ისეთი ფართო საზღვრები, როგორც მორალთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას, ისინი მაინც არიან უფლებამოსილნი, მოახდინონ დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზების შემცველი განცხადებების რეგულირება. ევროკონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ კანონიერ მიზნად სწორედ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას ასახელებს. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც საქართველოს კანონმდებლობა წარმოადგენს. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 10-ე მუხლის 1 პუნქტის დ) ქვეპუნქტი შინაარსობრივი რეგულირების ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზების თავიდან აცილებას ითვალისწინებს.

უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კოდექსში მოიპოვება სპეციალური მუხლი, რომელიც აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მსგავსი შინაარსის შემცველი მონოდეების გავრცელებისათვის. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლის მიხედვით, „საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

იმავე კოდექსის 405-ე მუხლის მიხედვით, „საქვეყნოდ მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.“ კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს ანალოგიური ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ და იგი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით

³⁹ Seylan v. Turkey, 8 July, 1999.

ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.”⁴⁰

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ნამქეზებლობა ანუ განზრახი დანაშაულის ჩადენისაკენ დაყოლიება.

დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზებად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი ისეთი გამონათქვამი, რომელიც შეიცავს მოწოდებას კანონით დასჯადი ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედებისაკენ და შეიცავს მყისიერ და აშკარა საფრთხეს. მაგალითად, თუ ჩხორონყუს ადგილობრივ გაზეთ „ჩხორონყუს სიახლენში“ ადგილობრივი საკრებულოს წევრი გამოაქვეყნებს სტატიას, რომლითაც მოუწოდებს საკრებულოს დანარჩენ წევრებს, „ჭკუა ასწავლონ“ „თბილისიდან დანიშნულ“ მოსამართლეს და შტურმით აიღონ ადგილობრივი სასამართლოს შენობა, ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, დასაჯოს სტატიის ავტორი დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზებისათვის.

მუქარა – აღსანიშნავია, რომ როგორც ზემოთ განხილული მოწოდებები არ არის დაცული სიტყვის თავისუფლების გარანტიებით, ასევე არ არის დაცული მუქარის შემცველი შინაარსის გამოხატვაც. სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით, „სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა ტუსალობით ვადით სამ თვემდე“.

პროფესიული საიდუმლოება – ამ ტიპის საიდუმლოებას ფლობს და შესაბამისად, მისი დაცვის პოზიტიური ვალდებულება ეკისრება მხოლოდ პირთა განსაზღვრულ წრეს (მაგალითად, პარლამენტის წევრს, ექიმს, ჟურნალისტს, უფლებადამცველს, სასულიერო პირს). კანონის I მუხლის ო) პუნქტის თანახმად, პროფესიული საიდუმლოებას განეკუთვნება ინფორმაცია, „რომელიც განდობილ იქნა მათთვის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ინფორმა-

⁴⁰ მუხლი 405, ნაწილი II.

ცია, რომელიც არ არის სახელმწიფო საიდუმლოება ან სხვა პირის პირადი ან კომერციული საიდუმლოება, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას“.

შესაბამისად, ამ ნორმის თანახმად, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაანესოს შეზღუდვები იმგვარი შინაარსის მქონე გამოხატვაზე, რომელიც დაკავშირებულია პროფესიულ საიდუმლოებასთან. მაგალითად, ნოტარიუსი ვალდებულია, დაცვას უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მისთვის განდობილი ინფორმაცია; ასევე ძალოვანი სტრუქტურის უშიშროების თანამშრომელი, რომელსაც სამსახურებრივად ევალება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, ვალდებულია, არ გაამჟღავნოს იგი⁴¹.

სამხედრო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, ნევრის ან თანამშრომლის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. აღსანიშნავია, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-9 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, შეიძლება, შეიზღუდოს სამხედრო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, ნევრის ან თანამშრომლის სიტყვის თავისუფლება. ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში, ისევე როგორც აშშ-ში სამხედრო მოსამსახურეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეიკრიბონ და კოლექტიურად გამოთქვან საკუთარი აზრი, ანუ მათ აკრძალული აქვთ მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პრინციპი ასახულია ასევე საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლში, რომლის მიხედვით, „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარალოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.“

თუმცა ეს ნორმა სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რომ სამხედრო მოსამსახურეს არ შეუძლია, ინდივიდუალურად გამოთქვას საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე. მას იგივე ხარისხის სიტყვის თავისუფლება გააჩნია, რაც ნებისმიერ სამოქალაქო (არასამხედრო) პირს.

პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების გამხელისათვის. სახელმწიფო საიდუმლოების დეფინიციას იძლევა კანონის პირველივე მუხლი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია, რომელიც

⁴¹ ევროსასამართლოს იურისპრუდენციაში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას უურნალისტის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით წარმოადგენს საქმე გუდვინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. ტომი 1, გვ 308.

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დაცვას.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მიღების პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონში, რომლის მიხედვითაც, რიგითი მოქალაქე, მათ შორის ჟურნალისტი ამოირიცხა იმ პირთა სიიდან, ვინც შეიძლება, პასუხი აგოს სახელმწიფო საიდუმლოების გამხელისათვის.

ამასთანავე, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პირი იმ შემთხვევაშიც თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საიდუმლოების გამხელა მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესის დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.

უკვე დღეს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეს ჟურნალისტის მიერ საიდუმლოების გამხელის თვალსაზრისით. სახელმწიფო საიდუმლოების გამხელისათვის პასუხს აღარ აგებს არავინ, გარდა იმ პირისა, ვისაც სამსახურებრივად ევალებოდა მისი დაცვა. სახელდობრ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-12(1) მუხლის თანახმად, „პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ საიდუმლოების გამხელისათვის, რომლის დაცვაც მას ევალება სამსახურებრივად ან სამოქალაქო გარიგებით და რომლის გამხელა აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ სიკეთეებს.“

ანუ თუკი, მაგალითად, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი უშიშროების სამინისტროს პოლკოვნიკი ჟურნალისტს გაანდობს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, რომელსაც ეს უკანასკნელი მეორე დღესვე გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდავს, აღნიშნულის გამო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ უშიშროების თანამშრომელს, და არა ჟურნალისტს.

პასუხისმგებლობა კომერციული საიდუმლოს გამჟღავნებისთვის. კომერციული საიდუმლო განმარტებულია, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით⁴² განსაზღვრული ინფორმაცია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. ბუნებრივია, აღნიშნული შეზღუდვა არსებობს თითქმის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში.

კომერციული საიდუმლოების დაცვა პირს შეიძლება დაეკისროს ორ შემთხვევაში: I. როდესაც მას კანონით ევალება, არ გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია; II. როდესაც იგი ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას აღნიშნული ინფორმა-

⁴² მუხლი 27².

ცია. მაგალითად, ბანკის თანამშრომელი და ზოგადად ბანკი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს მისი კლიენტის შესახებ ბანკში დაცული ინფორმაცია. ასევე ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია და მისი თანამშრომელი ვალდებულია, დაიცვას მისი კლიენტის კომერციული საიდუმლოება. ამ ნების დარღვევის შემთხვევაში, მათ შესაძლოა, დაეკისროთ პასუხისმგებლობა. ზოგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლებით, როგორც შედეგი შრომის კონტრაქტის დარღვევისა (რომლის ძალითაც იგი ვალდებული იყო, საიდუმლოდ დაეცვა კლიენტის კომერციული საიდუმლოება). თუკი იგივე ბანკის თანამშრომლის მეშვეობით მედია საშუალებაში გაჟონავს ბანკის კომერციული საიდუმლოება, ცხადია, ამ შემთხვევაშიც პასუხს აგებს მხოლოდ ბანკის თანამშრომელი, რომელსაც სამსახურებრივად ევალუბოდა საიდუმლოების დაცვა⁴³.

რეკლამა, ტელეშოპინგი ან სპონსორობა – აღსანიშნავია, რომ როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენციის, ასევე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კომერციული გამოხატვა წარმოადგენს გაცილებით ნაკლებად დაცულ კატეგორიას, ვიდრე სხვა ტიპის (მაგალითად, პოლიტიკური) გამოხატვა. კომერციულ გამოხატვაში მეტწილად მოიაზრება რეკლამა ან/და კონკურენტის კრიტიკა. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონი იცნობს ყველა სახის, მათ შორის, კომერციულ გამოხატვასაც. მასში არ არის მოცემული რაიმე პრინციპი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს კომერციული სიტყვის თავისუფლების რეგულირება (გარდა მე-8 მუხლისა, სადაც ზოგადი პრინციპებია მოცემული ნებისმიერი შინაარსის მქონე გამოხატვის რეგულირებისათვის). ამგვარი მიდგომა გამართლებულიც არის, რადგან არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც დეტალურად აწესრიგებს რეკლამის გაშვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. *რეკლამის შესახებ კანონი* იძლევა იმ ძირითად პირობებსა და შეზღუდვებს⁴⁴, რაც რეკლამის სფეროში შესაძლოა, არსებობდეს.

რეკლამის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა აწესებს მთელ რიგ შეზღუდვებს, რომელთა გათვალისწინებაც მართებს რეკლამის გამშვებს. მაგალითად, არ შეიძლება გარკვეული ტიპის პროდუქციის რეკლამირება დღის გარკვეულ პერიოდში. აღნიშნული ტიპის შეზღუდვა ვრცელდება სპირტიან სასმელებსა და თამბაქოს რეკლამაზე.

გარდა შინაარსობრივი შეზღუდვისა, რეკლამა შეიძლება შეზღუდოს ხანგრ-

⁴³ მე-12 მუხლის 1 პუნქტი.

⁴⁴ კანონი არეგულირებს კომერციული გამოხატვის ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, არასათანადო რეკლამა, არაკეთილსინდისიერი რეკლამა, არასარწმუნო რეკლამა, არათიკური რეკლამა, კონტრარეკლამა, თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, ალკოჰოლური სასმელების რეკლამა და ა.შ.

ძლიერების მხრივაც. მაგალითად, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაანესოს გარკვეული შეზღუდვები ერთი საათის განმავლობაში ეთერში გასაშვები რეკლამის მოცულობაზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (*privacy*). აღსანიშნავია, რომ სიტყვის თავისუფლების გარშემო წარმოშობილ დავათა დიდ ნაწილში ძირითადად სწორედ პირადი საიდუმლოების დარღვევის ფაქტებია საკამათო, რადგანაც ანგლო-საქსური ცნება *privacy* თვისობრივ სიახლეს წარმოადგენს ქართული სამართლებრივი სივრცისათვის. პირად საიდუმლოებად კანონი განმარტავს „პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაციას, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა იმ ინფორმაციას და გარემოებას, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს პირად საიდუმლოებას“.⁴⁵

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა მეტად მწირია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხის რეგულირების მხრივ. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონზეც, რომლის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს მხოლოდ ძალზედ ზოგად ჩანაწერს, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს ეს უფლება. სახელდობრ: „კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების დაცვის მოტივით არ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად კი, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს იმის რეალური საფრთხე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების (ნებართვის) მისაღებად საჭირო დროის განმავლობაში შეიძლება, შეიქმნას მტკიცებულების განადგურების საშიშროება.

ამასთანავე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს ამავე მუხლის I და II პუნქტებით დაცული

⁴⁵ მუხლი I, პუნქტი ნ).

უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებასაც. მე-12 მუხლის I პუნქტი ეხება პირის პასუხისმგებლობას იმ ინფორმაციის გამხელისათვის, რომლის დაცვაც მას სამსახურებრივად ან სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებით ევალებოდა. ხოლო მე-2 პუნქტი საუბრობს I პუნქტით განსაზღვრული საიდუმლოების გამხელისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის გათავისუფლების შესაძლებლობაზე. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია როგორც იმ პირს, ვინც არამართლზომიერად დაისაჯა საიდუმლოების გამხელისათვის⁴⁶, ისე იმ პირს, ვისი საიდუმლოებაც არამართლზომიერად გამჟღავნდა (ანუ არ არსებობდა ამ ინფორმაციის გამჟღავნების საზოგადოებრივი აუცილებლობა).

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის შესახებ სასამართლო საქმე წარმოებს კერძო წესით და გამიზნულია ინდივიდის იმ გრძნობების დასაცავად, რომელსაც სასამართლოები ხშირად უწოდებენ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრულ მოლოდინს“. იურიდიულ პირებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ აღნიშნული უფლება და შესაბამისად, არ შეუძლიათ სარჩელის შეტანა მესამე პირთა ამ უფლების დასაცავად⁴⁷.

მართალია, კერძო ინდივიდებს შეუძლიათ, ისარგებლონ „განმარტოების უფლებით“⁴⁸, ეს უფლება არ არის აბსოლუტური. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შესაძლოა, დაირღვეს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ზეპირადაც.

საჯარო ფიგურებს შეზღუდულად გააჩნიათ პირადი ცხოვრების უფლება. ყოფილი და ახლანდელი მთავრობის წევრები, პოლიტიკოსები, შოუბიზნესის წარმომადგენლები და სპორტსმენები ზოგადად მიჩნეული არიან საჯარო ფიგურებად. ამის მიზეზი არის ის, რომ მათ თავიდანვე განაცხადეს თანხმობა, ქცეულიყვნენ საჯარო განხილვის ობიექტებად, სულ მცირე იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მათ საჯარო ფუნქციაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტი და ზოგადად ნებისმიერი მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას სხვათა პირადი ცხოვრების საიდუმლოება. მაგალითად,

⁴⁶ მაგალითად, თუ სკოლის მასწავლებელი გაათავისუფლეს სამსახურიდან საჯარო თანამდებობაზე მყოფი იმ პირის პერსონალური მონაცემის გამხელისათვის, რომელიც თავის დროზე სწავლობდა ამ სკოლაში.

⁴⁷ თუმცა, იხ. მაგ.: საქმე *Reid v. Pierce County*, 961 P.2d 333 (Wash. 1998), სადაც სასამართლომ დასაშვებად ცნო ნათესაების მიერ სარჩელის შეტანა პირის აუტოფსიის ამსახველი ფოტოების გავრცელების გამო.

⁴⁸ „The right to be left alone“.

ჟურნალისტი ვალდებულია, თავი შეიკავოს იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნებისაგან, რომელიც არ უკავშირდება პირის მიერ მისი საჯარო ფუნქციის განხორციელებას. მაგალითად, ჟურნალისტი და ზოგადად ნებისმიერი მოქალაქე ვალდებულია, არ გაამჟღავნოს შვილად აყვანის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია. რა თქმა უნდა, გამონაკლისი ამ საერთო წესიდანაც არსებობს. მაგალითად, ინფორმაცია საჯარო პირის მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, არის პირადი საიდუმლო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანი გავლენას ახდენს საჯარო პირის მიერ მიღებულ არასაოჯახო, სამსახურებრივ გადაწყვეტილებებზე, მაშინ საზოგადოებას აქვს უფლება, ფლობდეს ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ. კანონი ითვალისწინებს ასეთ გამონაკლისებს და უთითებს იმ შემთხვევებზე, როდესაც საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, იცოდეს საჯარო პირის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის დეტალები. კანონის მუხლის მიხედვით, ლეგიტიმური ინტერესი განმარტებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სიკეთები. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ეს მიზნებია: სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. ხოლო 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დაცულ სიკეთებს განეკუთვნება ქვეყნის დაცვა იმგვარი საფრთხისაგან, როგორცაა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ომისა და ძალადობის პროპაგანდა, შუღლის გაღვივება.

ჟურნალისტის ვალდებულება, დაიცვას სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს დეტალური მითითებები, თუ რა ითვლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად და რა არა. ამასთანავე, როგორც შემდგომ თავში ვნახავთ, საქართველოში არც ამ უფლების სამართლებრივი დაცვის ტრადიცია არსებობს. აშშ-ში, სადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ კონცეფცია თავდაპირველად 1890 წელს ჰარვარდის სამართლის მიმოხილვის ჟურნალში ჩამოყალიბდა, სასამართლოებს დასჭირდათ 15 წელზე მეტი დრო იმისათვის, რათა გაეცნობიერებინათ ეს უფლება⁴⁹.

⁴⁹ ჯორჯის უზენაესი სასამართლო იყო პირველი, ვინც ეს უფლება აღიარა საქმეში *Pavesich v. New England Life Insurance Co.* საქმე შეეხებოდა საგაზეთო რეკლამაში ინდივიდუალური ფოტოების გამოქვეყნებას პირის თანხმობის გარეშე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა საკანონმდებლო რეგულირების გარდა თვითრეგულირებითაც ხორციელდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობის პირობებში. ამდენად, მხედველობაშია მისაღები ის გამოცდილება, რომელიც ამ სფეროში სხვა ქვეყნებში არსებობს. მაგალითად, აშშ-ში მოქმედი ორგანიზაცია „პრესის თავისუფლების დაცვის ჟურნალისტთა კომიტეტი“ მიერ მომზადებული კითხვარის თანახმად, პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნებამდე ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს:

ობიექტის თანხმობა – სრულწლოვანია თუ არა ობიექტი? არსებობს თუ არა მშობლის, მეურვის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პუბლიკაცი-აზე? შესწევს თუ არა უნარი პირს, თავად განაცხადოს თანხმობა? თანხმობის არსებობის შემთხვევაში, ხომ არ მომხდარა მისი გადათქმა? მასალის პუბლიკაციის პერიოდში კერძო ფიგურას წარმომადგენს ობიექტი თუ საჯაროს? ხომ არ შეცვლილა დროთა განმავლობაში მისი სტატუსი?

ინფორმაციის მოპოვების მეთოდი – განხორციელდა თუ არა გადაღება საჯარო ადგილზე? გაქვთ თუ არა კერძო ადგილზე შესვლის, ფოტოების გადაღებისა და ინტერვიუს ალების ნებართვა? მოპოვებულია თუ არა სადავო ინფორმაცია საჯარო დოკუმენტებიდან?

შინარსი – ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევაში, მოახდენს თუ არა მასალა საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკის ნორმების დარღვევას? მოხდა თუ არა სადავო ფაქტების გაზვიადება დაუდასტურებელი ინფორმაციით? ხომ არ არის ინფორმაცია ძალზედ მოძველებული, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხს ან ბოლოდროინდელმა მოვლენამ კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ დააყენა მისი უტყუარობა? რამდენად არსებითია სადავო ინფორმაცია ძირითადი ამბის გადმოსაცემად?

კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნება. მართალია, კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის აქვს უფლება, მოითხოვოს მისი გამხელა, მაგრამ როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპუდენცია და აშშ-ში მოქმედი წესი, ასევე ახალი კანონიც შესაძლებლად მიიჩნევენ სასამართლოს მიერ მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანას კონფიდენციალური ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელასთან დაკავშირებით, რომლის გამხელის აუცილებლობაც დამტკიცდა. მაგალითად, თუკი სასამართლოში მიმდინარეობს დავა, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული პროფესიული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, სასამართლო უფ-

ლებამოსილია (თუ მხარე მიმართავს შუამდგომლობით), გამოიტანოს განჩინება, რომლითაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაავალდებულებს მხარეს, გაამხილოს კანონით დაცული, მაგრამ ამავე დროს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საიდუმლოების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია ზემოთ მითითებული მიზნის უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს, გამხელით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი გამოხედა. ანუ სასამართლოს არ შეუძლია X-ის საქმეზე მიღებული განსაიდუმლოებული ინფორმაცია გამოიყენოს Y-ის საქმეზე. თუ Y-ის საქმეზე მხარე მართლაც დააყენებს მსგავსს შუამდგომლობას, სასამართლო ვადლებულია, იგი იმავე პრინციპით განიხილოს, რა პრინციპითაც თავის დროზე გამოიტანა განჩინება X საქმეზე.

ჟურნალისტური წყაროების გადამოწმება. ძველი კანონის მსგავსად, არც ახალი კანონი ათავისუფლებს ჟურნალისტს სრულად პასუხისმგებლობისაგან, თუკი ის გონივრულ ფარგლებში არ გადაამოწმებს მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის წყაროებს. გონივრულობა გულისხმობს წყაროების გადამოწმების მცდელობის იმ დონეს, რაც საშუალო პროფესიული თვისებების მქონე ჟურნალისტს რეპორტაჟის მომზადებისას მოეთხოვება. სამართლიანი და დაბალანსებული რეპორტაჟის (*fair report*) მომზადება, პირველ რიგში, გულისხმობს კომენტარისათვის იმ პირისადმი მიმართვას, ვისზეც გადაიცემა რეპორტაჟი; ასევე, სადაც ეს შესაძლებელია, ოფიციალური სახელმწიფო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვას, წყაროს მიერ მოწოდებული ცნობების ნამდვილობის გადამოწმებლად. თუ ჟურნალისტმა კეთილსინდისიერად და ზუსტად გადმოსცა საჯარო ინტერესის შემცველი ინფორმაცია, არ შეიძლება მან აგოს პასუხი მესამე პირთა მიერ გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებების გამო. კვალიფიციური პრივილეგია ჩვეულებრივ ესადაგება ოფიციალურ სხდომებს, როგორცაა სასამართლო სხდომა ან მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოს სესია.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტური წყაროების გადამოწმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ჟურნალისტი ავრცელებს კონკრეტული ფაქტების შემცველ ინფორმაციას, რომლის გადამოწმებაც შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. მეორე თავში ჩვენ ვნახავთ,⁵⁰ როგორ გამოიჩინა ჟურნალისტმა აშკარა დაუდევრობა, როდესაც უცხო პირის მიერ მიწოდებული, ფაქტობრივი მონაცემის შემცველი ინფორმაცია ისე გაავრცელა, რომ არ გადაუმოწმებია, მართლაც ინა-

⁵⁰ იხ. ქიტესა გურგენაშვილი მერაბ გურგენაშვილისა და „თრიალეთის“ წინააღმდეგ, 2004 წ. გვ 519.

ხადა თუ არა კონკრეტული პირი საკუთარ ეზოში მოპარულ ავტომობილებს. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიღახოს პირის პატივი და ღირსება, თუკი ჟურნალისტი დაარღვევს ჟურნალისტურ პროფესიულ სტანდარტს და არ გადაამონუმებს ფაქტობრივი ცნობების შემცველ ინფორმაციას სულ მცირე ორ დამოუკიდებელ წყაროსთან. პროფესიული ნორმის დარღვევამ შესაძლოა, გამოიწვიოს არასწორი ცნობის გავრცელება და გახდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანი.

გავრცელებული ცნობების სიმცდარე. ცხადია, განცხადების უტყუარობა წარმოადგენს აბსოლუტურ დაცვას, თუ საქმე სასამართლომდე მივიდა. თუმცა, იმისათვის, რომ ცნობა ჩაითვალოს უტყუარად, არ არის აუცილებელი აბსოლუტური აკურატულობის გამოჩენა. ზოგადი სტანდარტის მიხედვით, განცხადება მხოლოდ არსებითად უნდა იყოს ნამდვილი.

საერთო სამართლის ქვეყნებში მოპასუხე მედია საშუალებაა ვალდებული, ამტკიცოს, რომ მოსარჩლის მიერ სადავოდ გამხდარი განცხადებები შეესაბამება სინამდვილეს. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული სტანდარტი შეცვალა იმ საქმეებთან მიმართებით, სადაც მოსარჩლეებს თანამდებობის პირები და საჯარო ფიგურები წარმოადგენდნენ⁵¹. აღნიშნული კატეგორიის მოპასუხეები ვალდებული არიან, თავად დაამტკიცონ, რომ სადავო განცხადებები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ხოლო მოგვიანებით განხილულ საქმეში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, კერძო მოსარჩლე კერძო პირებიც არიან ვალდებული, თავად დაადასტურონ განცხადებების ნამდვილობა, თუ საკითხი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია⁵².

აგებს თუ არა პირი პასუხს ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდება, რომ მან გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტები, რამაც აშკარა ზიანი მიაყენა კონკრეტულ პირს?

პასუხი უარყოფითია. კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ:

○ მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;

⁵¹ იხ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 173. Curtis Publishing Co. v. Butts, 388 U.S. 130, 1967.

⁵² Philadelphia Newspapers v. Hepps, 475 U.S. 767, 1986.

○ იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;

○ მან განცხადება გააკეთა მოსარჩლის თანხმობით. თუ პირი იძლევა თანხმობას ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, მას არ შეუძლია, მომავალში სარჩელი შეიტანოს დიფამაციის გამო. თუმცა უარი პასუხის გაცემაზე ან დუმილი არ შეიძლება ჩაითვალოს თანხმობად.

○ განცხადება წარმოადგენდა მოსარჩლის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს;

○ მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ობიექტურ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოებრივი ყურადღების ობიექტი იყო.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა, სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სახეზეა გარკვეული წინააღმდეგობა კანონის მე-14 მუხლსა და აღნიშნულ ნორმას შორის. კერძოდ, მე-14 მუხლის მიხედვით, ცნობების გამავრცელებლის მხრიდან წინასწარ იმის ცოდნა, რომ ცნობები, რომლის გავრცელებასაც იგი აპირებს, ცილისმწამებლურია, ეხება მხოლოდ საჯარო პირის შესახებ გავრცელებულ ფაქტებს. კანონის მე-16 მუხლი კი ცნობების გამავრცელებლის პასუხისმგებლობას ცილისწამების საქმეებში (მათ შორის, კერძო პირის ცილისწამების საქმეებშიც) უკავშირებს ცნობების გამავრცელებლის მხრიდან განზრახ მოქმედებას. ასევე აღსანიშნავია, რომ განზრახ ქმედების ელემენტი არ არის ჩადებული მე-13 მუხლში, რომელიც კერძო პირის ცილისწამებას ეხება.

პირს შეუძლია, მოითხოვოს ორი სახის ქმედების განხორციელება მოპასუხის მხრიდან, თუკი დამტკიცდება, რომ მან გაავრცელა ცილისმწამებლური ფაქტები. სახელდობრ:

ა) სასამართლოს მეშვეობით დაავალდებულოს მოპასუხე, რომ ამ უკანასკნელმა დადგინილი ფორმით გამოაქვეყნოს სასამართლოს გადანყვეტილება (სადაც ბუნებრივია, მითითებული იქნება იმის შესახებ, რომ სასამართლო განხილვის შედეგად დადასტურდა მოპასუხის მიერ ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელების ფაქტი).

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე კანონით დადგინილ ვადაში გამოაქვეყნებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ მოსარჩლისათვის ეს არ არის საკმარისი

ცილისწამებით მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება, დაეკისროს მოსარჩლისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის თავისუფლების მარეგულირებელი უზინდელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ბოდიშის მოხდის დაკისრების შესაძლებლობას, საერთო სასამართლები (განსაკუთრებით კი პირველი ინსტანციის)⁵³ ხშირად მიმართავდნენ პასუხისმგებლობის ამგვარ ფორმას, რაც აშკარა კანონდარღვევას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე მისასალმებელია ახალ კანონში იმის მკაფიოდ აღნიშვნა, რომ დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მონხადოს ბოდიში.

პასუხის უფლება. მართალია, სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა სპეციალურ ნორმას პასუხის უფლების შესახებ, თუმცა საკანონმდებლო ხელისუფლებამ იგი არ გაიზიარა.

პასუხის უფლებას სამოქალაქო კოდექსი აქამდე ისედაც ითვალისწინებდა და კანონმდებლებს არც ახალი კანონის მიღების შემდეგ გაუუქმებიათ იგი, თუმცა, თუ არსებულ სასამართლო პრაქტიკას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, ითქვას, რომ პასუხის უფლება ფაქტიურად მკედარი ნორმა იყო, რადგან ქართული სასამართლოები ძალზედ იშვიათად იყენებდნენ მას.

⁵³ იხ. ბელა შალვაშვილი „ქართული მახვილისა“ და ჯემალ დავლიანიძის წინააღმდეგ (გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლო), 1999 წ. გვ. 216; ი. ორჯონიკიძე წ. ხოფერიასა და ქ. ქურდოვანიძის წინააღმდეგ (ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო), 2002 წ. გვ. 358; მეულუდ ეგრისაშვილი მაყვალა ბერიანიძის წინააღმდეგ (ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო), 2001 წ. გვ. 281; თამაზ ნივნივაძე და საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირი აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ (თბილისის საოლქო სასამართლო), 2001 წ., გვ. 291; „რიონი“ „ქუთაისის“ წინააღმდეგ (ქუთაისის საქალაქო სასამართლო), 2001 წ. გვ. 299; გიორგი ჯიშკარიანი ბადრი კაპეტვიძის, დავით ლიკლიკაძისა და ელისო კილაძის წინააღმდეგ (ქუთაისის საქალაქო სასამართლო), 2001 წ. გვ. 302; რომან კვაჭაძე „ლანჩხუთი Plus“- ის, ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ (ჩოხატაურის რაიონული სასამართლო), 2001 წ. გვ. 319; ევგენი ჯულაშვილი გრიშა ონიანის წინააღმდეგ (კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო), 2003 წ. გვ. 477; აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ავთანდილ გადახაბაძის, „პრეს-კლუბ ბათუმისა“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ (ბათუმის საქალაქო სასამართლო), 2003 წ. გვ. 401; პაატა შავაძე ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის წინააღმდეგ (ბათუმის საქალაქო სასამართლო), 2003 წ. გვ. 440; ნუგზარ მალულარია და „ბესანა და გიორგი“ გურამ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ (ბათუმის საქალაქო სასამართლო), 2004 წ. გვ. 521; მამუკა ნოზაძე „თრიალეთისა“ და საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ (გორის რაიონული სასამართლო), 2004 წ. გვ. 536.

აღსანიშნავია, რომ პასუხის უფლების მოდიფიცირებული ვარიანტია გათვალისწინებულია მაუწყებლობის შესახებ ახალ კანონში, რომელიც პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო. კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა. ანუ ამ ნორმის შემოღებით, კანონმდებელი პასუხის უფლებას აკანონებს მხოლოდ ელექტრონულ მედიაში და ღიად (უფრო სწორედ კი სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის უფუნქციო ნორმის ანაბარად) ტოვებს ბეჭდვით მედიას. ამგვარი გადაწყვეტილებით, კანონმდებელმა ნაწილობრივ უარყო ამ საკითხისადმი ევროპული მიდგომა და უპირატესობა ამერიკულ მოდელს მიანიჭა.

ამერიკული მიდგომა. ამერიკულ სამართალში პასუხის უფლება აღარ არსებობს 1974 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე *მაიამი ჰერალდი ტორნილოს წინააღმდეგ*, პასუხის უფლების ინსტიტუტი, როგორც კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან წინააღმდეგობაში მყოფი შეზღუდვა, უგულებელყოფილია. ამის მიზეზი არის ის, რომ ამერიკულ სამართალში პასუხის უფლებას მიიჩნევენ მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობაში უხეშ ჩარევად, რაც ეწინააღმდეგება იდეათა თავისუფალი ბაზრის პრინციპს, სადაც ყოველ მოსაზრებას გააჩნია არსებობის უფლება. აშშ-ში პასუხის უფლებაზე მსჯელობის დროს განსხვავებას ახდენენ ბეჭდვითსა და ელექტრონულ მედიას შორის. ბეჭდვითი მედიის შემთხვევაში პასუხის გამოქვეყნების დავალდებულებით სახეზეა რამდენიმე სანქცია: შეპასუხების დაბეჭდვის ხარჯები, მისი მომზადებისთვის საჭირო დრო და საგაზეთო სივრცე, რასაც სავარაუდოდ დაიკავებდა შეპასუხება. ტელევიზიისაგან განსხვავებით, პასუხის უფლების გამოყენებით გაზეთი არ აწყდება ისეთ ტექნოლოგიურ სირთულეებს, როგორცაა მაგალითად დრო. თუმცა, არც იმის თქმა იქნებოდა სწორი, რომ გაზეთი არ განიცდის ეკონომიკურ ზარალს, როდესაც აქვეყნებს მთავრობის თუ კანონის მიერ ნაკარნახევ ინფორმაციას. სწორედ ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, ამერიკული სამართალი თვლის, რომ პასუხის უფლების არსებობით სახეზეა მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობაში სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევა.

ევროპული მიდგომა. ამერიკული სამართლისაგან სრულიად განსხვავებული ტენდენცია იკვეთება ევროპაში. შესაძლებელია, ითქვას, რომ პასუხის უფლება

არსებობს უმეტეს ევროპულ სახელმწიფოებში. უფრო მეტიც, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2004 წლის 15 დეკემბერს მიიღო სპეციალური რეკომენდაცია ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ახალ მედია გარემოში პასუხის უფლების დანსების შესახებ. აღნიშნულ რეკომენდაციას წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულო ხასიათი არა აქვს. იგი მხოლოდ რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს დიფამაციის შესახებ ნაციონალურ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ აღნიშნული უფლება, რადგან მრავალმხრივი (განსხვავებული) ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების (*free flow of information*) უფლება მიჩნეულია პლურალიზმის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიად. ევროსაბჭოს რეკომენდაციის თანახმად, პასუხი უნდა გამოქვეყნდეს უფასოდ, იმავე ადგილას და იმავე დროს რავითარებაშიც მოხდა ფაქტობრივი უზუსტობის შემცველი თავდაპირველი ინფორმაციის გაშვება.

ჯარიმა. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც ყველა კანონს, სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ კანონსაც აქვს თავისი ნაკლოვანებები. კანონის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ თუკი პირი გაავრცელებს ცილისმწამებლურ ფაქტებს მოსარჩლის შესახებ, სასამართლოს არ გააჩნია არავითარი სახელმძღვანელო პრინციპი, თუ რა ზომითა და მოცულობით უნდა დაეკისროს მოპასუხეს ფულადი თანხა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თავისუფლების ინსტიტუტის მიერ მომზადებული კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში გათვალისწინებული იყო ჯარიმის დაკისრება გონიერულობის კრიტერიუმის საფუძველზე.

თუმცა ამ პრობლემას გარკვეულწილად აგვარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, სადაც მითითებულია, რომ სასამართლო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს გონიერული და სამართლიანი ანაზღაურების წესით. იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული კანონი დამკვიდრებული მანვე პრაქტიკის კორექტირებისა და დამატებითი გარანტიების მიზნით შეიქმნა, ალბათ უმჯობესი იქნებოდა ეს ნორმა სპეციალურ კანონშიც ასახულიყო. ასეთი დათქმის აუცილებლობის საფუძველს ქართული სასამართლოების უახლოესი პრაქტიკა იძლევა, როდესაც სასამართლომ ისეთი ფინანსური სანქცია (მილიონი ლარი) დააკისრა საინფორმაციო საშუალებას⁵⁴, რომელსაც შეეძლო მოპასუხე მედია საშუალების გაკოტრება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში კანონი სწორედ

⁵⁴ იხ. თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე აკაკი ჩხაიძე აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, 2004 წ. გვ. 486.

მსგავსი ზოგადი დებულებებით შემოიფარგლება. მაგალითად, ინგლისში გახმაურებულ საქმეზე ლორდი ედლინქთონი ტოლსტოი მილოსლავსკის წინააღმდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა მოპასუხეს დააკისრეს მილიონ ხუთასი ათასი ფუნტის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გავრცელებული ცნობების გამო. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განაცხადა, რომ ინგლისში მოქმედი კანონი, რომლის მიხედვითაც ნაფიცი მსაჯულებისთვის არ არის დაწესებული არავითარი სახელმძღვანელო პრინციპები და არ არის მითითებული თანხა, რომლის ზევითაც არ შეუძლიათ ჯარიმის დაკისრება, წარმოადგენს ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

ალსანიშნავია, რომ თავისთავად ჯარიმის დაკისრებისას სასამართლოსთვის გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა, სახიფათოა, რადგან, ერთის მხრივ, არაგონივრულად მაღალმა სანქციამ შესაძლოა, გამოიწვიოს მედია საშუალების გაკოტრება, რაც სახიფათოა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის; ხოლო, მეორეს მხრივ, არაგონივრულად დაბალი სანქციის დაკისრებით, არ მიიღწევა ის ეფექტი, რაც ზოგადად ჯარიმას (ძირითადად იგულისხმება ჯარიმის სატისფაქციური და რესტიტუციული ფუნქცია) გააჩნია.

ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ ახალი კანონის მიღებით საქართველო მიუახლოვდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა ფაქტია, რომ რაც არ უნდა კარგი იყოს კანონი, ის ფარატინა ქალაქად დარჩება იმ შემთხვევაში, თუკი მონოღების სიმალღეზე არ დადგება ის ორგანო, რომელსაც კანონის ოფიციალური განმარტება ევალება.

თავი II

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

შესავალი

წინამდებარე თავი მოიცავს 1996-2004 წლების სასამართლო პრაქტიკის ანალიზს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე. ანალიზი მოცემულია წლების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა, მართლმსაჯულების ეფექტურობა შეფასდეს არა მხოლოდ საკუთრივ სასამართლო სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესების, არამედ ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ჭრილში.

ანალიზი ეფუძნება რვა წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების მიერ განხილულ 133⁵⁵, პროკურატურაში წარმართულ ერთ⁵⁶ და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ საქმეს. საქმეები დაჯგუფებულია სამართალწარმოების წესის (სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საკონსტიტუციო) მიხედვით, რაც, თავის მხრივ, მოიცავს თემატურ კლასიფიკაციას (პოლიტიკური გამოხატვა, კომერციული გამოხატვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა).

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების, თბილისის რაიონული სასამართლოების, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის საქალაქო სასამართლოების, გორის, გურჯაანის, ჩოხატაურის, ხარაგაულის, დუშეთის რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებები. ეს მონაცემები არ არის სრულყოფილი, რადგან სასამართლო არქივების ტექნიკური და ორგანიზაციული გაუმართაობის გამო ვერ მოხერხდა ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება. დანერილებით იხ. გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები, კარი II. გვ 195.

⁵⁶ ახალციხის პროკურატურის დადგენილება, კარი II. გვ 224.

1996-98

წ ლ ე ბ ი

როგორც მოცემულ სახელმძღვანელოში განხილული რვა წლიანი პერიოდის ანალიზი აჩვენებს, საწყის ეტაპზე მოქალაქეები იშვიათად მიმართავდნენ სასამართლოებს ისეთი სიკეთეების დასაცავად, როგორცაა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 1996-1998 წლების სასამართლო პრაქტიკა მწირია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო დავებით, ამ პერიოდში განხილული ერთეული საქმეებიც კი თავისი სიმძიმით გადასწონის სამოქალაქო-სამართლებრივი სარჩელების ბოლოდროინდელ სიჭარბეს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სწორედ 1996-1998 წლებში შეეცადა ხელისუფლება, აემოქმედებინა სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც ცილისწამებისათვის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ განსახილველ პერიოდში საქართველო არ იყო შებოჭილი ევროსაბჭოს ვალდებულებებით, რადგან ამ ორგანიზაციის წევრი იგი მხოლოდ 1999 წელს გახდა; ასევე ქვეყანაში მოქმედებდა 1961 წელს მიღებული საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის მეტად არადემოკრატიულ ნორმებს ითვალისწინებდა და თავისი ბუნებით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების გაკონტროლებაზე იყო ორიენტირებული.

როგორც ქვემოთ განხილულ ორ საქმეში ნახავთ, მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, პოლიტიკური გამოხატვის შესაზღუდად გამოეყენებინა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმები, მან მაინც ვერ შეძლო სრული დატვირთვით აემოქმედებინა საბჭოური კოდექსის ნორმები: სასამართლოს არც

ერთ შემთხვევაში არ ჩაუსვამს ბრალდებულები ციხეში და სასჯელის ფორმა პირობით გამოსაცდელი ვადით შეცვალა. ამის მიზეზი, ალბათ, საზოგადოებაში არსებულ ლიბერალურ დამოკიდებულებაშიც უნდა ვეძებოთ, რაც, თავის მხრივ, აიძულებდა ხელისუფლებას, თავი აერიდებინა სიტყვის თავისუფლების ისეთი ფორმით შეზღუდვისათვის, რომელსაც საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი რეზონანსი მოჰყვებოდა.

ამ პერიოდში სასამართლომ განიხილა ორი სისხლის სამართლის საქმე: პირველ შემთხვევაში⁵⁸ ჟურნალისტს ბრალი დასდეს დეპუტატის ცილისწამებაში; ხოლო მეორე შემთხვევაში⁵⁹ მოქალაქეს – მიტინგზე შეკრებილი საზოგადოების უპატივცემულობაში. სწორედ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და სახალხო დამცველის შუამდგომლობა გახდა იმის საფუძველი, რომ მეორე შემთხვევაში ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა პირობით გამოსაცდელი ვადით შეეცვალა. ეს უკანასკნელი შემთხვევა იყო პირველი პრეცედენტი, როცა ბრალმდებლად მოგვევლინა სახელმწიფო, რომელმაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანის დასასჯელად სისხლის სამართლის კანონმდებლობა გამოიყენა.

რაც შეეხება სამოქალაქო-სამართლებრივი დიფამაციის საქმეებს, 1996 წლისგან განსხვავებით, როცა სასამართლომ მხოლოდ ერთი სისხლისსამართლებრივი დიფამაციის საქმე განიხილა, 1998 წელი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო კანონმდებლობით დაცვის ორი საქმით აღინიშნა. უნდა ითქვას, რომ ორივე სამოქალაქო საქმეში სასამართლოს არასათანადო მოსარჩლეებმა მიმართეს. პირველ შემთხვევაში⁶⁰ სასამართლომ კანონდარღვევით გამოიტანა გადაწყვეტილება, ხოლო მეორეში⁶¹ – არგუმენტირებულად. თავისთავად ის ტენდენცია, რომ მოსარჩლეებს ბევრი არაფერი ჰქონდათ საერთო დავის საგანთან, სამართლებრივი ურთიერთობის კულტურის დეფიციტზეც მიუთითებს, რაც დამახასიათებელი სწორედ საწყისი ეტაპისთვის იყო და ბუნებრივია, სამართლებრივი ურთიერთობების ტრადიციის არარსებობით იყო განპირობებული.

1996-1998 წლებში განხილული ოთხი საქმიდან სასამართლომ სამ შემთხვევაში გამოიტანა უკანონო, ხოლო ერთ შემთხვევაში დასაბუთებული გადაწყვეტილება.

⁵⁸ იხ. ნესტან კირთაძე კლარა აბრამიას წინააღმდეგ, 1996წ, კარი II, გვ. 197.

⁵⁹ იხ. პროკურატურა კლარა შუკვანის წინააღმდეგ, 1998წ, კარი II, გვ. 203.

⁶⁰ იხ. გლდანის რაიონის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მართლმადიდებელი მრევლი „გლდანი 2001“-ის წინააღმდეგ, 1998წ, კარი II, გვ. 204.

⁶¹ იხ. გიორგი დოლიძე „7 დღის“ წინააღმდეგ. 1998, კარ II, გვ. 209.

1. სისხლისსამართლებრივი დავები

პოლიტიკური გამოხატვა

ნესტან კირთაძისა და კლარა აბრამიას საქმე

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ დავა მიმდინარეობდა 1995 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, შესაბამისად, საკითხი სასამართლოს სწორედ არჩევნების კონტექსტში უნდა განეხილა.

მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ნესტან კირთაძემ ბანკიდან სესხად აიღო 85 ათასი დოლარი და დაბრუნებას აღარ აპირებდა, – შესაძლოა, ჩვეულებრივ ვითარებაში მართლაც ყოფილიყო პირის რეპუტაციისათვის გარკვეული ზიანის მომტანი ცნობები. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს განცხადება უნდა განვიხილოთ არა კონტექსტიდან ამოვარდნილად, არამედ იმ დისკუსიის ფარგლებში, რომელიც მოსარჩელესა და მოპასუხეს, როგორც ორი სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატის მომხრეებს შორის მიმდინარეობდა. ცხადია, თუნდაც მძაფრი პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ პარლამენტარმა ბანკიდან უკანონოდ გაიტანა სესხი, მტკიცებას ექვემდებარება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეჭვს ბადებს ის, თუ რამდენად იყო დაინტერესებული გამოძიება და სასამართლო, საქმეზე ჭკმუარითების დადგენით და შესაბამისად, ფაქტის სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენით. ასეთი ეჭვის საფუძველს შემდეგი გარემოებები იძლევა:

ერთადერთი მონმის – მარადი ანასაშვილის ჩვენება, რომ კლარა აბრამიამ კრედიტის შესახებ ინფორმაცია დეპუტატ იზა ორჯონიკიძისაგან შეიტყო, სასამართლომ არ გაიზიარა. თუ მარადი ანასაშვილმა ცრუ ჩვენება მისცა სასამართლოს, მაშინ ცრუ ჩვენების მიცემისათვის მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღედგინათ, როგორც ეს იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით იყო გათვალისწინებული. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სასამართლოს მიერ საქმის არაღძვრის მოტივად იმის მითითება, რომ მარადი ანასაშვილს კლარა აბრამიას მიმართ მეგობრული გრძნობები ამოძრავებდა. ხოლო, მეორეს მხრივ, თუ სასამართლომ ანასაშვილის წინააღმდეგ არ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, მაშინ ამ უკანასკნელის ჩვენება გამოძიებას უნდა გაეზიარებინა. ეს კი ხელს შეუწყობდა იმის დადგენას, თუ რამდენად შეესაბამებოდა გავრცელებული ცნობა სინამდვილეს.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ერთ-ერთმა მსაჯულმა განსაკუთრებული აზრი დააფიქსირა, სადაც აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა გავრცელებულ ცნობას, რადგან მიმდინარე პერიოდში ანალოგიური შინაარსის არაერთი პუბლიკაცია ქვეყნდებოდა პრესაში და რომ ჟურნალისტს არ ჰქონდა საფუძველი, არ დაეჯერებინა ის ინფორმაცია, რომელიც მას პარლამენტარმა იზა ორჯონიკიძემ მიაწოდა.

რაც შეეხება კლარა აბრამიას მიერ გავრცელებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ნესტან კირთაძე ხშირად ეტანება სასმელს, დეპუტატის ნასვამობის ფაქტი დადასტურა სასამართლოზე მონმედ მიწვეულმა ბესარიონ ფანცულაიამ. სრულიად გაუგებარია გამოძიების მიერ ფანცულაიას ჩვენების არგაზიარების მოტივად ზაზა პეტრიაშვილის ჩვენების დასახელება. სახელდობრ, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მან მოისმინა, თუ როგორ დაჰპირდა ფანცულაია აბრამიას, რომ ნესტან კირთაძის ნასვამობის შესახებ ინფორმაციას დაადასტურებდა. როგორც მარადი ასანიშვილის, ასევე ფანცულაიას შემთხვევაში, სასამართლომ განახორციელა არასწორი საპროცესო მოქმედებები, როდესაც, ერთის მხრივ, ცრუ ჩვენებად მიიჩნია ფანცულაიას ინფორმაცია, მეორეს მხრივ კი, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ იმის გამო, რომ მონმე დევნილი იყო. საქართველოში მინიმუმ 300 000 დევნილია. ამ ლოგიკის თანახმად, ამ 300 000 ადამიანს ჰქონია ცრუ ჩვენების მიცემის კონსტიტუციური უფლება, რაც, ცხადია, აბსოლუტურად შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებასთან.

საერთო ჯამში, რჩება შთაბეჭდილება, რომ სასამართლო მიკერძოებულად მოქმედებდა, რადგან მან მხოლოდ იმ მონმეების ჩვენებები არ გაიზიარა, ვინც ადასტურებდა ჟურნალისტის მიერ გავრცელებულ ცნობებს.

რაც შეეხება ისეთი ცნობის შეურაცხმყოფელად მიჩნევას, როგორიცაა „მასაჟისტი“, თუკი მომჩივანი ზოგად მასაჟისტის პროფესიას და მასაჟისტობას შეურაცხმყოფელად მიიჩნევს, მაშინ იგი ავტომატურად თავად აყენებს შეურაცხყოფას ამ პროფესიის წარმომადგენელ უამრავ ადამიანს, რაც შესაძლოა, თავად განმცხადებლის წინააღმდეგ უამრავი სარჩელის შეტანის საფუძველი გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა მეტად არადემოკრატიულ სასჯელის ზომებს ითვალისწინებდა, ასეთი საკანონმდებლო ნორმებიც კი არ იძლეოდა პოლიტიკოსის „მასაჟისტად“ მოხსენიების გამო ჟურნალისტის სისხლის სამართლებრივი დენის საფუძველს.

სასამართლომ არ გაითვალისწინა განმცხადებლის სტატუსი: იგი იყო საჯარო ფიგურა, პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი, რომელსაც გაცი-

ლებით მეტი თავშეკავება და თმენის ვალდებულება მართებდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს. მეორეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახეზე იყო მხარეებს შორის საჯარო დებატები. სადავო სტატია არ წარმოადგენდა პირველ „აგურს“ ამ დისკუსიის პროცესში, არამედ იყო მისი ლოგიკური გაგრძელება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საქმეში არსებული სადავო ცნობების უმეტესობა წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, და არა ფაქტს. ყურნალისტს ყოველთვის აქვს უფლება, შეფასებითი მსჯელობის საფუძველზე გააკეთოს დასკვნები და გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მრავალ საქმეზე დაადგინა, რომ „პრესის თავისუფლება მოიცავს გაზვიადების შესაძლო ხარისხს და პროვოკაციასაც კი“⁶².

ზოგადად შესაძლოა ითქვას, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სრულიად ვერ აკმაყოფილებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ იურისპრუდენციას სიტყვის თავისუფლებასთან მიმართებით. უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება არა მარტო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, არამედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასაც. ქართულმა სასამართლოებმა არაერთხელ დაადგინეს⁶³, რომ საჯარო მოხელეების მიმართ კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართო შეიძლება იყოს, ვიდრე კერძო პირთა მიმართ და, რომ საჯარო პირებზე არ უნდა გავრცელდეს დაცვის ის სქემა, რაც ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის არის დადგენილი.

მოცემულ დავაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (ყურნალისტს ჯერ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, შემდეგ კი იგი პირობითად შეუცვალეს და გამოსაცდელად დაუნიშნეს სამი წელი) შესაძლოა, მივიჩნიოთ ხელისუფლების ერთგვარ მცდელობად, დაეშინებინა ის ყურნალისტები, ვინც კრიტიკულ აზრს გამოთქვამდა ხელისუფლებისა და მისი წევრების საქმიანობის შესახებ.

კლარა შუკვანის საქმე

იმის ნიმუშად, თუ როგორ შეიძლება გაუსწორდეს ხელისუფლება განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე მოქალაქეებს, სასამართლოს მიერ 1998

⁶² იხ. საქმე დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ, ტომი I, გვ 321.

⁶³ იხ. ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ, 2001, კარი II, გვ 274; კახა თარგაძე, ავთანდილ ჩხაიძე, ვასილ დავითაია, ზაქარია ვარაზიშვილი, ნიკოლოზ ივანიშვილი, ზურაბ უროტაძე, რევაზ მაჭავარიანი „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის წინააღმდეგ, 2002, კარი II, გვ 371.

ნელს განხილული საქმე პროკურატურა კლარა შუკვანის წინააღმდეგ გამოდგება. როგორც უკვე ვთქვით, ამ შემთხვევაში სახელმწიფომ პრაქტიკულად პირველად აამოქმედა სისხლის სამართლის კოდექსი პიროვნების დასასჯელად მის მიერ სიტყვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის გამო.

კლარა შუკვანს ბრალი ნაუყენა ბოროტი ხულიგნობის ჩადენასა და საზოგადოების დაცვის მომენტში პოლიციის მუშაკების შეურაცხყოფის გამო.

მოცემულ საქმეზე მთანმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს სიტყვის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას, შემდეგ გარემოებათა გამო: სადავო განცხადებები გაკეთდა მიტინგზე, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხს – აფხაზეთიდან დევნილთა თემას და თავად ბრალდებულს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი იყო.

პროკურატურამ კლარა შუკვანს ბრალად ნაუყენა ბოროტი ხულიგნური განზრახვით მოქმედება, რაც მიტინგზე შეკრებილი საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაში გამოიხატა და პოლიციელების შეურაცხყოფა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: დაზარალებულთა წრე მხოლოდ პოლიციელებით შემოიფარგლა და მრავალათასიანი მიტინგიდან არც ერთი ადამიანი არ დაუკითხავთ, როგორც დაზარალებული. თუკი სასამართლო დაადასტურებდა კლარა შუკვანის მიერ ბოროტი ხულიგნობის ჩადენის ფაქტს, მაშინ მას უნდა დაეკითხა კიდევ მიტინგზე შეკრებილი ხალხი, რადგანაც აშკარა უპატივცემულობა სწორედ მათკენ იყო მიმართული. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაედასტურებინა სასამართლოს ის, რომ დაკითხული და მონმეებად მონვეული ხალხის უმრავლესობა შეურაცხყოფილად მიიჩნევა თავს იმ ტრანსპარანტის გამო, რომელიც კლარა შუკვანს დემონსტრაციის დროს ხელში ეჭერა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხალხი მიტინგზე სწორედ პრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი პოლიტიკის გასაკრიტიკებლად შეიკრიბა, ლოგიკურიცაა და ნაკლებად სავარაუდო, რომ ხსენებული ტრანსპარანტის გამო მათ თავი შეურაცხყოფილად ჩაეთვალათ.

რაც შეეხება კლარა შუკვანის ქმედებაში ბრალის არსებობას, თავად ბრალდებულის განცხადებით, სადავო ტრანსპარანტი მას შემთხვევით ისე მიანოდეს, რომ მისი შინაარსი არც კი იცოდა. აქედან გამომდინარე, სათუთა განსასჯელის ქმედებაში ბრალის არსებობა.

როცა საუბარია ტრანსპარანტის შინაარსობრივ („ძირს არძინბას ნახმარი შევარდნაძე“) მხარეზე, შესაძლოა, მოვიშველიოთ მსგავსი ფრაზებისა და შეფასებების მიმართ მოქმედი ამერიკული სტანდარტი: თუკი ფრაზა იმდენად არა-

რეალურია, რომ მას საშუალო დონის მოქალაქე ვერ დაიჯერებს, არ შეიძლება მისი ფაქტად მიჩნევა. სისხლისსამართლებრივ დიფამაციაში კი პირის დასჯა მხოლოდ არასწორი ფაქტის გავრცელების გამოა შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში წარმოუდგენელი იყო, საქართველოს საშუალო მოქალაქეს მართლაც დაეჯერებინა ტრანსპარანტის შინაარსი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით.

რაც შეეხება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომენტში პოლიციის მუშაკებისათვის შეურაცხყოფის მიყენებას, ცხადია, კლარა შუკვანის გამონათქვამები – „ძალღებო“, „ლორებო“ და „შევარდნაძის მონებო“ საკუთარი მოსაზრების გამოხატვის ძალზედ კრიტიკული ფორმაა, თუმცა ევროსასამართლო მსგავს ფრაზებს კონტექსტიდან ამოგლეჯილად არ განიხილავს.

სასამართლოს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ აღნიშნული განცხადება გაკეთდა არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, არამედ – მიტინგზე. შესაბამისად, ეს ფრაზა მხოლოდ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა აღიქვა. ასეთი ტიპის დავებში განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენ ადამიანს ჰქონდა შესაძლებლობა, მოესმინა სადავო განცხადებები ანუ რა აუდიტორიას ფარავს განცხადების ავტორი. ბეჭდვითი მედიის შემთხვევაში ეს განისაზღვრება გამოცემების ტირაჟის მიხედვით, ხოლო ელექტრონული მედია საშუალებების (იგულისმება რადიო და ტელევიზია) შემთხვევაში – დაფარვის არეალით.

ცალსახაა, რომ ის კონტექსტი და გარემოება, რომელშიც გაკეთდა აღნიშნული განცხადება, სასამართლოს კლარა შუკვანის დამნაშავედ ცნობის საფუძველს არ აძლევდა. თავისთავად ის გარემოება, რომ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასამართლომ მას პირობითი სასჯელით შეუცვალა, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

2. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

ლიჯამაცია

გლდანის რაიონის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მართლმადიდებელი მრევლისა და გაზეთ „გლდანი 2001“-ის საქმე ამ საქმეში მოსარჩლეებმა მოითხოვეს, გაზეთ „გლდანი 2001“-ს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა იმ ცნობების გავრცელებისათვის, რომლებიც ეხებოდა არა უშუალოდ მოსარჩლეებს, არამედ მესამე პირს – ბ. მკალავიშვილს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, პატივისა და ღირსების შელახვის საქმეებზე სასამართლოში სარჩელის შეტანა პირს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავრცელებული ცნობების შედეგად უშუალოდ მას მიაღვა ზიანი. ანალოგიური ნორმა მოქმედებს ევროსასამართლოს იურისპრუდენციაშიც, სადაც დაუშვებელია პირმა მოითხოვოს გარკვეული კომპენსაციის მიღება მესამე პირის ნაცვლად. თუ პირი უშუალო „მსხვერპლს“ არ წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში ევროსასამართლო უბრალოდ არც კი მიიღებს წარმოებაში საჩივარს, რადგანაც პატივი და ღირსება საკმაოდ სუბიექტური კატეგორიებია საიმისოდ, რომ მის გამო სხვა, თუნდაც ძალზედ ახლობელმა ადამიანმა⁴⁴ იღავოს.

ხსენებული გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ დაუშვა მნიშვნელოვანი შეცდომა. კერძოდ, სასამართლოს თავდაპირველად, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზევე უნდა გაერკვია და შეემოწმებინა, რამდენად წარმოადგენდა სათანადო მოსარჩლეს ბ. მკალავიშვილის მრევლი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს მხოლოდ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ისევე როგორც პრაქტიკულად შეუძლებელია, ამერიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების გამო, სასამართლოში იღავოს მთელმა ამერიკელმა ხალხმა, ასევე შეუძლებელია, მოძღვარის პატივისა და ღირსების შელახვის გამო სასამართლოს მიმართოს მრევლმა, რომელიც მუდმივად განახ-

⁴⁴ ამ საერთო წესიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ის შემთხვევა, როდესაც პირი სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლის საფუძველზე მიმართავს სასამართლოს გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დასაცავად (ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩლეს გააჩნია გარდაცვლილი პირის სახელისა და პატივის დაცვის ღირსი ინტერესი). ნებისმიერ სხვა შემთხვევაში სასამართლომ არასათანადო მოსარჩლეობის საფუძველი უნდა უთხრას უარი პირს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ლებადი ერთობაა და აქედან გამომდინარე, საერთოდაც საკამათოა, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი იდენტიფიცირება.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო უფლებები არ ეკუთვნოდა მოსარჩლეს, სასამართლოს საერთოდ უარი უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისად, არც ის უნდა ერკვია, სადავო ფრაზებიდან რომელი წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას და რომელი მტკიცებას ფაქტის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გამოიტანა არასწორი გადანყვეტილება, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის იშვიათი შემთხვევათაგანია, როდესაც სასამართლომ მოახდინა ფაქტებისა და შეფასებითი მსჯელობების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს წარმოადგენდა ოფიციალური უწყების – გლდანის რაიონის გამგეობის მგდია საშუალება. სასამართლოს გადანყვეტილებით, ამ უკანასკნელს მხოლოდ იმ ცნობის უარყოფა დაევალა, რომელიც ფაქტობრივ უზუსტობას უკავშირდებოდა.

გიორგი დოლიძისა და გაზეთ „7 დღის“ საქმე

აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში განხილულ „გლდანი 2001“-ის საქმისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში სასამართლომ გამოიტანა სწორი გადანყვეტილება, როცა არასათანადო მოსარჩლეობის გამო არ დააკმაყოფილა სარჩელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იდავოს პირმა სამოქალაქო სამართლებრივი დიფამაციის გამო. სახელდობრ, ცნობები უნდა ლაზავდეს უშუალოდ მოსარჩლე პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, უნდა წარმოადგენდეს დადასტურებად ფაქტებს, რომლებიც ამავე დროს, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. არც ერთი ელემენტი ამ შემთხვევაში სახეზე არ არის, რადგანაც, პირველ რიგში, გავრცელებული ცნობები წარმოადგენს არა ფაქტებს, არამედ შეფასებით მსჯელობას ქართული კინოს მდგომარეობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ეხება გავრცელებული ცნობები მოსარჩლის პიროვნებას, ამის დადასტურება პროცესზე ვერ მოხერხდა და არც შეიძლებოდა, მომხდარიყო, რადგანაც ზოგადად ქართული კინოს შესახებ გაკეთებული კრიტიკული გამონათქვამები ვერ შელახავდა ქართული კინოს რომელიმე კონკრეტული მოღვაწის პატივსა და ღირსებას.

1999
წ ე ლ ი

წინა პერიოდისაგან განსხვავებით, 1999 წელს გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენცია იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლოებში საკუთარ უფლებებს მოქალაქეები ძირითადად სამოქალაქო კანონმდებლობით იცავდნენ (ამ პერიოდში საერთოდ არ ვხვდებით სისხლისსამართლებრივი დიფამაციის საქმეებს) და მოსარჩლეებიც უკვე იდენტიფიცირებადი პირები იყვნენ, რომლებიც უშუალოდ მათი მისამართით გამოთქმული ცნობების გამო დაობდნენ. ცხადია, თუ არ ჩავთვლით საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის სარჩელს⁶⁵, რომელიც პარტიის თავმჯდომარის მიმართ გავრცელებულ ცილისმწამებლურ ცნობებს მთელი პარტიის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დისკრედიტაციასთან აიგივებდა. ამ ტიპის დავა⁶⁶ ჩვენ უკვე განვიხილეთ და ამ ნაწილში მასზე აღარ შევჩერდებით.

რაც შეეხება მოსარჩლე სუბიექტებს, უნდა ითქვას, რომ უკვე 1999 წლიდან იმატა სარჩელებმა, რომელთა ავტორები საჯარო პირები იყვნენ. სასამართლოებში წარმართული ექვსი საქმიდან ოთხ შემთხვევაში მოსარჩლე საჯარო ფიგურა⁶⁷, ხოლო ერთ შემთხვევაში – საჯარო პირის პატივის გამო პოლიტიკური პარტია⁶⁸ იყო. ამავე პერიოდში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გა-

⁶⁵ იხ. საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია „რეზონანსის“, „პრაიმ-ნიუსისა“ და „გეას“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 219.

⁶⁶ იხ. გაზეთ „გლდანი 2001“-ის საქმე, გვ. 65.

⁶⁷ კონსტანტინე კემულარია, ბელა შალვაშვილი, ნუგზარ ბირკაია, ვახტანგ ქუთათელაძე (გაზეთ „რეზონანსის“ წინააღმდეგ უშიშროების მინისტრის, ვახტანგ ქუთათელაძის საქმის მოძიება დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს არქივიდან ვერ მოხერხდა, რის გამოც იგი მოცემულ სახელმძღვანელოში ვერ შევიდა).

⁶⁸ საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია.

ნიხილა იმჟამინდელი უშიშროების მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის სარჩელი გაზეთ „რეზონანსისა“ და ჟურნალისტ ელისო ჩაფიძის წინააღმდეგ, რომელიც მოსარჩლის შვილის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას შეეხებოდა. უნდა ითქვას, რომ დავათა უმეტესობა, რომლებიც საჯარო პირების მიერ იყო ინიცირებული, პროცესზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო განუხილველი დარჩა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსარჩლები კარგავდნენ საქმის სამართლებრივი განხილვის ინტერესს და შესაძლოა, ერიდებოდნენ დამატებით აუიოტაჟს პუბლიკაციებში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.

პირველი შემთხვევები⁶⁹, როცა სასამართლომ მოპასუხეებს კანონში არარსებული სასჯელის ფორმა – ბოდიშის მოხდა დააკისრა, სწორედ მოცემულ პერიოდს უკავშირდება. შეიძლება ითქვას ისიც, რომ ხსენებული პერიოდისათვის, ისევე როგორც შემდგომისათვის არც ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემა ყოფილა უცხო, რასაც დაწვრილებით ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

1999 წელს სასამართლოებში წარმართული ექვსი საქმიდან ერთ შემთხვევაში მიღებულია კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება, ხოლო ხუთ საქმეზე სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია სარჩელზე უარის თქმის, მხარეთა გამოუცხადებლობისა და მორიგების გამო.

1. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

აოლიტიკური გამოხატვა

ნუგზარ ბირკაიასა და მიხეილ სააკაშვილის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმე⁷⁰ არსებით განხილვაში არ შესულა, ის წარმოადგენს არატიპიურ დავას ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის, რადგანაც მოსარჩლედ ამ შემთხვევაში მოსამართლე გვევლინება.⁷¹

⁶⁹ იხ. ბელა შალვაშვილი „ქართული მახვილისა“ და ჯემალ დავლიანიძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 216; ი. ორჯონიკიძე ნ. ხოფერიასა და ქ. ქურდოვანიძის წინააღმდეგ, 2002 წელი, კარი II, გვ. 358.

⁷⁰ იხ. ნუგზარ ბირკაია მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 217.

⁷¹ მეორე შემთხვევაში სასამართლოს სარჩელით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის წევრმა აეთანდილ ნულუკიანმა. დაწვრილებით იხ. აეთანდილ ნულუკიანი „ახალი თაობისა“ და შორენა კონონაშვილის წინააღმდეგ, 2004, კარი II, გვ. 510.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა კრიტიკისადმი განსხვავებული მიდგომა არსებობდა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო პრაქტიკაში. ადრეულ ეტაპზე მოსამართლეების მიმართ კრიტიკა იმდენად ღია არ იყო, როგორც ეს პოლიტიკოსის და სხვა საჯარო ფიგურის მიმართაა დაშვებული, რადგან მოსამართლეები არ სარგებლობენ იმგვარი ტრიბუნით, რომლითაც სარგებლობის საშუალება სხვა საჯარო პირებს გააჩნიათ. ამასთანავე მათ შეზღუდული აქვთ უფლება, გამოთქვან საკუთარი შეხედულება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. თუმცა სრული იმუნიტეტით არც მოსამართლეები სარგებლობენ. მით უფრო ისეთ შემთხვევაში, როდესაც საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია და ის საბჭოთა მართლმსაჯულების რეფორმირების მწვავე პრობლემას შეეხება, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში იყო.

ბუნებრივია, შეუძლებელია ამ საკითხის განხილვა პოლიტიკური კონტექსტიდან ამოვარდნილად და იმ საჯარო დისკუსიის გათვალისწინების გარეშე, რომელიც ზოგადად ქვეყანაში სასამართლო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა.

საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში, მოპასუხის პოლიტიკური გამოხატვის შეზღუდვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა: მოსარჩლეც და მოპასუხეც საჯარო პირებს წარმოადგენდნენ და შესაბამისად, მათ მიმართ დასაშვები კრიტიკის განსხვავებული სტანდარტი მოქმედებდა; მოპასუხის გამონათქვამები შეფასებითი მსჯელობა იყო; არსებობდა საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესი და მიმდინარეობდა საჯარო დებატები.

ევროსასამართლომ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში გადასინჯა თავისი დამოკიდებულება მოსამართლეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის შეზღუდვის თაობაზე, იმ მოტივით, რომ თავად მოსამართლეთა საჯარო სტატუსი და მათ მიერ განხილული საქმეებისადმი საჯარო ინტერესი თავისთავად განაპირობებს მოსამართლეთა ქმედების მართლზომიერების განსჯის აუცილებლობას. მოსამართლეების შეურაცხყოფის კონტექსტში უკანასკნელ ხანს განხილულ საქმეში დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ⁷² ევროპულმა სასამართლომ არ გაამართლა პირის დასჯა მოსამართლეთა მკაცრი კრიტიკის გამო და განაცხადა, რომ პრესას ვერ აეკრძალება კრიტიკული გამოხვედები, რომელთა ადრესატი თუნდაც მოსამართლეა (სასამართლო), იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები (სასამართლოები) მუდმივად არიან საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში, რადგან განიხილავენ საჯარო საკითხებს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

⁷² იხ. ტომი I, გვ. 310.

ლიჯამაცია

ბორის ივანიშვილის, ნანა და დიმიტრი ცინცაძეების, გაზეთ „სახალხო სიტყვისა“ და კობა კაპანაძის საქმე

აღსანიშნავია, რომ მოცემული დავა⁷³ არის პატივისა და ღირსების შელახვის ტიპიური საქმე და არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, როგორც ამას მოსარჩლეები ამტკიცებდნენ, რადგან არც ერთი გავრცელებული ცნობით არ გამოვლავნებულა პირადი ცხოვრების რაიმე საიდუმლოება. სადავო ცნობათაგან ზოგი შეფასებითი მსჯელობაა, ზოგიერთი კი – მტკიცება ფაქტის შესახებ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სარჩელში მითითებული ცნობებიდან მხოლოდ ნაწილი წარმოადგენს ფაქტს, რომლის უარყოფა ან დადასტურება შესაძლებელია. მაგალითად, ცნობა იმის შესახებ, რომ მოსარჩლე უკანონოდ ატარებდა კრებებს; ქ-ნ ზ. კ.-ს ცემის ფაქტი.

საკამათოა მოსარჩლეთა მოთხოვნაც მოპასუხებებზე საჯაროდ ბოდიშის მოხდის ვალდებულების დაკისრების თაობაზე, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა (და არც ახლა ითვალისწინებს) პასუხისმგებლობის მსგავსს ფორმას.

რაც შეეხება ისეთ გამონათქვამს, როგორიცაა შვილის მიერ მამისა და მეუღლისათვის თავზე კოლგოტკების ჩამოცმა, მართალია, გამოხატვის ფორმა საკმაოდ მკვეთრია, მაგრამ იგი უფრო ალევორიული ხასიათის გამოთქმაა, ვიდრე რეალური ფაქტი, რაც ჩვენს საზოგადოებაში ქალის მიერ მამაკაცის პოზიციის შესუსტებას გამოხატავს.

საბოლოო ჯამში შესაძლებელია ითქვას, რომ სასამართლოს არსებითად რომ განეხილა საქმე, ფაქტების შემცველი ცნობების ვერადადასტურების შემთხვევაში, მას უნდა მიეღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და მოპასუხეებს უნდა დაკისრებოდათ გარკვეული ცნობების უარყოფა.

ბელა შალვაშვილის, გაზეთ „ქართული მახვილისა“ და ჯემალ დავლიანიძის საქმე

ამ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება გამოიტიანა როგორც გლდანი-ნაძა-ლაღვიის, ისე თბილისის საოლქო სასამართლომაც. კერძოდ:

იმისათვის, რომ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა გავრცელებული ცნობების გამო, აუცილებელია, რომ ეს ცნობები წარმოადგენდეს მტკიცებას ფაქტის შესახებ. ცალსახაა, რომ ცნობები გავრცელდა მეტად მძაფრი ფორმით, მოპასუხემ გამოიყენა შეურაცხყოფელი ტერმინები, რომლებიც ეხება უშუალოდ

⁷³ იხ. ბორის ივანიშვილი, ნანა და დიმიტრი ცინცაძეები „სახალხო სიტყვისა“ და კობა კაპანაძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 214.

მოსარჩლის პატივსა და ღირსებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, სადავო ცნობები არ წარმოადგენს ფაქტობრივი მონაცემების შემცველ ცნობებს. ამ შემთხვევაზე, შესაძლოა, გავრცელდეს ევროსასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას. მაშინ, როდესაც მოსაზრება არის პერსონალური შეხედულება ამა თუ იმ მოვლენასა ან ფაქტზე და შეუძლებელია, მისი სისწორის დამტკიცება, ფაქტები, რომლებსაც ეყრდნობა ეს მოსაზრება, შეიძლება ჩაითვალოს სწორად ან არასწორად.

სასამართლოს ასევე მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ როგორც მოსარჩლე, ისე მოპასუხე, წარმოადგენდნენ საჯარო პირებს: პირველი მათგანი გახლდათ მწერალი, ხოლო მოპასუხე – გაზეთ „ქართული მახვილის“ რედაქტორი და მათ შორის მიმდინარეობდა საჯარო პოლემიკა.

რაც შეეხება მოპასუხეზე მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მოქმედებდა ბრალეულად. ბრალეულობის დასადგენად კი სასამართლოს უნდა დაედასტურებინა შემდეგი გარემოებები:

ა) ის, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები წარმოადგენდა დადასტურებად ფაქტებს;

ბ) რომ ეს ცნობები ეხებოდა უშუალოდ მოსარჩლეს;

გ) რომ გავრცელებული ფაქტები შეურაცხმყოფელი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელებული ცნობებიდან არც ერთი არ წარმოადგენს მტკიცებას ფაქტის შესახებ. ამ შემთხვევაში სახეზეა მეტად მკვეთრი და შეურაცხმყოფელი შეფასებითი მსჯელობა, შესაბამისად, არ არის მორალური ზიანის დაკისრებისათვის აუცილებელი ელემენტი – ცნობები არ წარმოადგენს მტკიცებას ფაქტის შესახებ.

რაც შეეხება ფოტომონტაჟს, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ მკვეთრი ფორმით იყო მომზადებული, გაზეთს ჰქონდა სრული უფლება, ბ. შალვაშვილის ნებართვის გარეშე გამოექვეყნებინა მისი ფოტოსურათი, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა საჯარო ფიგურას და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, საჯარო პირების ფოტოს გამოქვეყნებაზე არ ვრცელდება ნებართვის მიღების ვალდებულება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სასამართლოს (როგორც გლდანი-ნაძალადევის, ისე თბილისის საოლქო სასამართლოს) მიერ მოპასუხისათვის ბოდიშის მოხდის დაკისრება, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც იმ დროს მოქმედი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონი არ ითვალისწინებდა მსგავს სანქციას. შესაბამისად, სასამართლოს გადანყვეტილება ამ ნაწილში აშკარად უკანონოა.

2000

წ ე ლ ი

მოცემულ პერიოდში უკვე საგრძნობლად იმატა სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულმა სასამართლო დავებმა. ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკის თანახმად, ამ პერიოდში სასამართლოებმა ოცამდე დიფამაციური საქმე განიხილეს.

თუმცა ყველაზე მთავარი, რაც ამ პერიოდს გამოარჩევს, არის ის, რომ შეიქმნა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების⁷⁴ გასაჩივრების პრეცედენტები. თავისთავად საერთაშორისო ინსტანციაში გასაჩივრების ფაქტი უკვე იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, ნაციონალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები საერთაშორისო დონეზე (ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო) გაასაჩივრონ. აღსანიშნავია, რომ ევროკონვენციის თანახმად, ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ „პოზიტიური ვალდებულება“, არა მარტო თავად არ დაარღვიონ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, არამედ კერძო სუბიექტებს შორის მიმდინარე დავისას, უზრუნველყონ ამ უფლებათა დაცვა. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის დაშვების შემთხვევაში, მოპასუხე მხარედ გამოდის სახელმწიფო და სწორედ ის აგებს პასუხს ადამიანის უფლებათა დარღვევის ყოველ კონკრეტულ ფაქტზე. თუ რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან შესულ ორ საქმეს, დეტალურად ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. აქვე დავსძენთ, რომ

⁷⁴ იხ. „აქარა P.S.“-ი „ქობულეთის“, ნატო ქათამაძისა და ქობულეთის გამგეობის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 243; დავით გურგენიძე „ახალი თაობის“ და გულიკო ბალაძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 257.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ევროსასამართლოში საქმეების განხილვა დროში საკმაოდ გაწელილი პროცესია, სტრასბურგში გასაჩივრების პერსპექტივას მაინც აქვს გარკვეული შემოჭავი ეფექტი თუნდაც ქართული სამართლებრივი სივრცისათვის, რომელიც ევროპულ პრეცედენტულ სამართალზე მეტად პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენის ქვეშ ექცევა.

რაც შეეხება სხვა სამოქალაქო დიფამაციურ საქმეებს, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში სასამართლოში წარმართული 20 დავიდან თერთმეტი საქმე საბოლოო გადაწყვეტილებამდე არ მისულა, მხარეების მიერ სარჩელზე უარის თქმის, პროცესზე გამოუცხადებლობის ან მორიგების გამო. ასეთი დავები კი ძირითადად საჯარო პირების მხრიდან კანონდარღვევებს, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებას, ზოგიერთ შემთხვევაში კი კორუფციულ თემატიკასაც კი უკავშირდებოდა. ის, რომ მოდავე მხარეებმა დაკარგეს საქმისათვის შემდგომი სამართლებრივი მსვლელობის მიცემის ინტერესი, რიგ შემთხვევებში შესაძლოა, იმითაც იყო განპირობებული, რომ სარჩელის შედგენისას მოსარჩელეთა ქმედებას უფრო ემოციები განსაზღვრავდა, ვიდრე სამართლებრივი მოტივაცია.

არასათანადო მოსარჩლისა⁷⁵ და კანონში არარსებული პასუხისმგებლობის ფორმის – ბოდიშის მოხდის დაკისრების პრობლემა⁷⁶ არც მოცემული პერიოდისათვის ყოფილა უცხო.

სიახლედ უნდა მივიჩნიოთ სამოქალაქოსამართლებრივ დიფამაციურ დავებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფასთან დაკავშირებული პირველი საქმის⁷⁷ განხილვა. მართალია, ამ შემთხვევაში არსობრივად სწორედ პირადი ცხოვრების საიდუმლოსთან დაკავშირებული კონფლიქტი იყო სახეზე, მაგრამ არც მოსარჩელეს გაუხდია სადავოდ ამ უფლების ხელყოფა და არც სასამართლოს უმსჯელია ამ კუთხით. ქათამაძე – „აჭარა P.S“-ის საქმეში კი სასამართლომ საერთოდ არასწორად მოახდინა ამ უფლების არსის ინტერპრეტირება. ცხადია, მიზეზები, პირველ რიგში, ამ მიმართულებით სამართლებრივი ტრადიციის არქონაში უნდა ვეძებოთ. ტრადიციის ჩამოყალიბებას კი, თავის მხრივ, მსგავსი საქმეების სასამართლო წესით განხილვაც განაპირობებს, რაც ნაკლებად არის დამახასიათებელი ტრადიციული საზოგადოებებისთვის, სადაც პირადი საკითხების საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანა არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო აღ-

⁷⁵ იხ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური გელა ლლივაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 228.

⁷⁶ იხ. მველუდ ეგრისაშვილი მყუვალა ბერიანიძის წინააღმდეგ, 2001 წ., კარი II, გვ. 281.

⁷⁷ იხ. ნ. ბ. ვ. ბ. წინააღმდეგ, კარი II, გვ. 232.

ნიშნული საქმე. როგორც მომდევნო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი კატეგორიის საქმეების სამართლებრივი წესით განხილვამ თავისთავად განაპირობა მოსამართლეთა კომპეტენციის შედარებითი გაუმჯობესება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სფეროში და წარმოშვა მისი საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობა.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დიფამაციას, აქ შესაძლოა, პოზიტიურ ტენდენციასზე საუბარი იმ თვალსაზრისით, რომ მოცემულ პერიოდში წარმოქმნილი ორი დავიდან, ერთ-ერთში⁷⁸ საქმე სასამართლომდეც კი არ მისულა, რადგან ახალციხის პროკურატურამ განათლების განყოფილების გამგის მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები არასაკმარისად მიიჩნია სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის; ხოლო მეორე შემთხვევაში⁷⁹ ჯერ გენერალურმა პროკურატურამ, ხოლო შემდეგ სასამართლომ უარი უთხრეს მომჩივანს, ყურნალისტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

2000 წელს განხილული 20 საქმიდან 4 შემთხვევაში სასამართლომ საბოლოოდ გამოიტანა კანონიერი გადაწყვეტილება, 5 შემთხვევაში კანონშეუსაბამო, ხოლო 11 საქმე, როგორც უკვე აღვნიშნეთ არსობრივ განხილვამდე არ მისულა.

1. სისხლისსამართლებრივი დავები

დიფამაცია

ლავრენტი ნაჭყეზიასა და კლარა აბრამიას საქმე

სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანომ, კერძოდ კი, გენერალურმა პროკურატურამ და ასევე სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონთან და ევროკონვენციასთან. სასამართლო ხელისუფლებამ ამ გადაწყვეტილებით ყურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატიები არასაკმარისად ცნო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღსაძრავად.

თუმცა თავისთავად ის ფაქტი, რომ კლარა აბრამიას სტატიების გამო ქ.

⁷⁸ იხ. ნ. იოსელიანი „ახალციხის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 224.

⁷⁹ იხ. ლავრენტი ნაჭყეზია კლარა აბრამიას წინააღმდეგ, კარი II, გვ. 258.

თბილისის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მოკვლევაც დაიწყო, პოზიტიურ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

კლარა აბრამიას ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა სადავო სტატიის გამო, რადგანაც მას გააჩნდა საკმარისი საფუძველი პუბლიკაციაში მოყვანილი დასკვნების გასაკეთებლად:

თავისთავად ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტი გალის მოვლენებთან დაკავშირებით ანარმობებდნენ მოკვლევას და უამრავი მონმეც დაკითხეს, სრულ საფუძველს აძლევდა ჟურნალისტს, რათა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მას საკუთარი ვარაუდები გამოეთქვა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, საბოლოო ჯამში რითი დასრულდა გამოძიება – კონკრეტული პიროვნების მიმართ ბრალის წაყენებით თუ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტით. მთავარია ის, რომ ჟურნალისტს ჰქონდა გარკვეული საფუძველი და ამ საფუძველს ოფიციალური დოკუმენტი – სახელმწიფო უშიშროებისა და სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილება იძლეოდა.

თავად სადავო სტატიის თემა შეეხებოდა საზოგადოებისათვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხს, აფხაზეთის პრობლემას. შესაბამისად, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე პოლემიკის აუცილებლობის გათვალისწინებით, ჟურნალისტისათვის რაიმე სახის შეზღუდვის დაწესება გამოიწვევდა გარკვეულ ცენზურას, რაც, თავის მხრივ, მომავალში არა მარტო კლარა აბრამიას, არამედ სხვა ჟურნალისტებსაც შეზღუდავდა მსგავს საკითხებზე კრიტიკული მასალის გამოქვეყნებისა თუ საკუთარი დასკვნების გაკეთებისაგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტატიაში კონკრეტულად არც ლაერენტი ნაჭყებიას დანაშაული ყოფილა ნახსენები, არც რომელიმე იდენტიფიცირებული თანამდებობის პირის, არამედ გამოითქვა ეჭვი და ვარაუდი, რომელიც ცალკეული ფაქტების ანალიზს ეფუძნებოდა. ეს კი პუბლიკაციაში თავად ჟურნალისტმაც აღნიშნა.

დასასრულს, უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მართებულად მიუთითა, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, შეურაცხყოფა დასჯადი დანაშაული აღარ იყო და მიუხედავად იმისა, რომ სტატია შეიცავდა ძალზე მძაფრ გამონათქვამებს, სისხლის სამართლებრივი დევნის ამ საფუძველით აღძვრა შეუძლებელი იყო.

2. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

პოლიტიკური გამოხატვა

უშანგი დონჯაშვილის, მედეა მეზერიშვილისა და საინფორმაციო ანალიტიკური ბიურო „გეას“ საქმე

აღნიშნული საქმე⁸⁰ წამოჭრის საკითხს იმის შესახებ, უნდა დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა ჟურნალისტსა და საინფორმაციო საშუალებას იმ ცნობების გავრცელების გამო, რომლებიც საჯარო შეხვედრაზე გაკეთებული.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადავო ცნობები გავრცელდა წინასაარჩევანი პერიოდში, ანუ იმ დროს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყველაზე მძაფრი და კრიტიკული პოლიტიკური შეფასებები. შესაბამისად, ამ დროს მხარეებს მოეთხოვებათ თმენის გაცილებით ფართო ვალდებულება.

სასამართლომ მართებულად გადანყვიტა სათანადო მოპასუხეობის საკითხი, როდესაც უარი უთხრა მოსარჩლე მხარეს, თანამოპასუხედ ჩაერთო „დილის გაზეთი“, რადგანაც ამ უკანასკნელმა სააგენტო „გეას“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაბეჭდა მედეა მეზერიშვილის განცხადებები, რომლებიც საჯარო შეხვედრაზე გაკეთდა. თბილისის საოლქო სასამართლომ მართებულად მიუთითა პრესისა და მასობრივი ინფორმაციების სხვა საშუალებების შესახებ კანონის 28-ე მუხლზე, როდესაც არასათანადო მოპასუხედ მიიჩნია არა მარტო „დილის გაზეთი“, არამედ სააგენტო „გეაც“. აღნიშნული ნორმა პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს რედაქტორსა და ჟურნალისტს იმ შემთხვევაში, თუკი გავრცელებული ცნობა სიტყვასიტყვით იმეორებს სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხსმგებელ პირთა გამოსვლებს.

მოცემულ შემთხვევაში კი სააგენტო სიტყვასიტყვით იმეორებდა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ოფიციალური პირის – თელავის გამგებლის, მედეა მეზერიშვილის გამოსვლას.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთარი გამონათქვამების გამო პასუხისმგებლობის მედია საშუალებებზე გადაბრალებას ცდილობდა თავად მოპასუხე მხარე, რომელმაც განაცხადა, რომ სადავო გამონათქვამი გამოქვეყნდა მისი ხელმოწერისა და ნებართვის გარეშე. თვით საბჭოთა კანონმდებლობაშიც კი არ ყოფილა

⁸⁰ იხ. უშანგი დონჯაშვილი მედეა მეზერიშვილისა და „გეას“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 236.

ჩადებული ნორმა, რომელიც საჯარო შეხვედრებზე გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნებისათვის თანამდებობის პირის სპეციალურ რეზოლუცია-ნებართვას საჭიროებდა. აღარაფერს ვამბობთ თანამედროვე ქართულ კანონმდებლობაზე, რომელიც დემოკრატიულ სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციაზეა ორიენტირებული.

სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოსარჩლის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები ლახავდა და ამცირებდა მის პატივსა და ღირსებას, კანონმდებლობის ან მორალური პრინციპების შეუსრულებლობის თვალსაზრისით. კოლეგიის მითითებით, ცნობა პიროვნების პოპულარობის ან არაპოპულარობის შესახებ ვერ იქნება სასამართლოში განსჯის საგანი. პროცესზე უშანგი დონჯაშვილის არაპოპულარობა კიდევაც რომ დამტკიცებულიყო, ამის გამო მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც ვერ დადგებოდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სადავო ცნობების გავრცელების მომენტში უშანგი დონჯაშვილი წარმოადგენდა საჯარო ფიგურას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოფიციალურად რეგისტრირებული პრეზიდენტობის კანდიდატი არ იყო. აუცილებელი არ არის, პრეზიდენტობის კანდიდატად პირის ოფიციალური რეგისტრაცია იმისათვის, რათა საზოგადოებას მის მიმართ ლეგიტიმური ინტერესი გაუჩნდეს. თუკი უკვე გაცხადდა, რომ უშანგი დონჯაშვილი აპირებდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ეს უკვე საკმარისი საფუძველი იყო იმისათვის, რომ იგი არაფორმალურად პრეზიდენტობის კანდიდატად ჩათვლილიყო და შესაბამისად, მასზე აღარ გავრცელებულიყო პატივისა და ღირსების დაცვის ის ნორმა, რომელიც დადგენილია რიგითი მოქალაქეებისათვის. ის ფაქტი, რომ ხსენებულმა კანდიდატმა ვერ შეძლო მხარდამჭერთა საჭირო რაოდენობის ხმების შეგროვება, კიდევ ერთ დამატებით არგუმენტს აძლევდა მოპასუხეს, მსგავსი კრიტიკული განცხადებების გასაკეთებლად.

ევროკონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ სფეროში გამოხატულ შეფასებით მსჯელობებს, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ პლურალიზმის მოთხოვნებს, გააჩნიათ სპეციალური დაცვა. ასევე დაცულია მკაცრი და გაზვიადებული შეფასებებიც. წინასაარჩევნო პერიოდში შეუზღუდავი კრიტიკის მნიშვნელობას ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა ბოუმანის⁸¹ საქმეში.

⁸¹ Bowman v. United Kingdom, 17 February, 1998.

ლიჯაგაცია

ქეთევან წამებულის საზოგადოების თავმჯდომარისა და კოტე მახარაძის საქმე

აღნიშნულ დავას⁸², რბილად რომ ვთქვათ, ძალზედ ცოტა რამ აქვს საერთო სამართლებრივ ურთიერთობებთან და საერთოდაც არ უნდა განხილულიყო, სასამართლოს მართებულად რომ განესაზღვრა სათანადო მოსარჩლეობის საკითხი.

საქმე შეეხებოდა XVII საუკუნის ისტორიული პირის რეპუტაციის დაცვის საკითხს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც მართალია, თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია, სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლე საზოგადოება არ წარმოადგენს წმ. ქეთევან წამებულის მემკვიდრეს, რომელსაც სრული უფლება აქვს, იდავოს ქეთევან წამებულის მისამართით გავრცელებული შეურაცხმყოფელი გამოხატვების გამო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი არ აკონკრეტებს იმ პირთა ვინაობას, ვისაც შეუძლია სარჩელი შეიტანოს გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების შელახვის გამო. თუმცა ამავდროულად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პირებს სავარაუდოდ წარმოადგენენ გარდაცვლილი პირის უშუალო მემკვიდრეები, ვისაც ამგვარი სარჩელის შეტანის ღირსი ინტერესი გააჩნია. აქედან გამომდინარე, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ იგი არასათანადო მოსარჩლის მიერ იყო შეტანილი.

მხედველობაშია მისაღები ასევე ის გარემოება, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის მიხედვით, უკვე გამორიცხულია გარდაცვლილი პირის შესახებ გავრცელებული ცნობის გამო სარჩელის შეტანა; რადგანაც გამოხატვის თავისუფლება, შესაძლოა, შეიზღუდოს ძლიერი სოციალური მოთხოვნების არსებობის პირობებში, რაც არ არსებობს გარდაცვლილი პირის ნაცვლად სარჩელის წარდგენისას.

⁸² იხ. ქეთევან წამებულის საზოგადოების თავმჯდომარე კოტე მახარაძის წინააღმდეგ, კარი II. გვ. 225.

ბუნებრივია, სათანადო მოსარჩლეობის საკითხის სამართლებრივად გადანყვეტის შემთხვევაში, არც საქმის არსებითი დეტალების განხილვა მოგვიწევდა. თუმცა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება ამის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

კანონთან შეუსაბამო იყო სასამართლოს ის გადანყვეტილებაც, რომლის ძალითაც საქმეში თანამოსარჩლედ ჩაერთო საპატრიარქო.

აბსურდულია ასევე, სამართლებრივი დავისას სამოტივაციო ნაწილში აღსარების საიდუმლოზე რაიმე ფორმით აპელირება. მით უფრო, თუ ამ შემთხვევაშიც კი სასამართლო არასწორად ახდენს კანონის ინტერპრეტაციას, უფრო მეტიც, კანონთან ერთად თეოლოგიური საკითხებისაც. სახელდობრ:

სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა წერილის შინაარსზე, რომელიც პროცესზე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა ლევან ფირცხალაიშვილმა წარადგინა და რომლის თანახმად, მოპასუხემ აღიარა და მოინანია მის მიერ დაშვებული მძიმე შეცდომა. ამასთანავე სასამართლომ არასწორად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის „ბ“ პუნქტზე, როგორც აღნიშნული წერილის მტკიცებულებად არმიღების საფუძველზე, იმ საბაბით, რომ სასამართლოსთვის აღსარების საიდუმლოება უცნობი იყო. არადა, ხსენებული მუხლი საშუალებას აძლევს სასულიერო პირს, უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე, როცა საკითხი აღსარების დროს განდობილი გარემოებების გამჟღავნებას შეეხება. ანუ აღნიშნული მუხლი უბრალოდ იცავს სასულიერო პირს აღსარების საიდუმლოს გამჟღავნების ვალდებულებისგან და არაფერი აქვს საერთო თავად ამ დავის სამართლებრივ არსთან. სასამართლომ გამოიჩინა არაკომპეტენტურობა არა მარტო წმინდა იურიდიულ საკითხებში, არამედ თეოლოგიურშიც, რადგან წერილი, რომლის შინაარსი საპატრიარქომ მონანიების შესახებ სასამართლო სხდომაზე გაახმოვანა, არ შეიცავდა აღსარების საიდუმლოს.

რაც შეეხება გავრცელებული ცნობების შინაარსობრივ მხარეს, აქ, ალბათ, ზედმეტია, იმის მტკიცება, რომ სადავო ფრაზებს არაფერი აქვთ საერთო ფაქტებთან და სახეზეა მოპასუხის შეფასებითი მსჯელობა კონკრეტული ისტორიული პიროვნების შესახებ. აზრი შესაძლებელია, იყოს მისაღები ან მიუღებელი, რაც სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დასაშვებია მისი შეზღუდვა იმ შემთხვევაში, თუკი მას არ იზიარებს საზოგადოების მცირე თუ დიდი ნაწილი. გამოხატვის თავისუფლება იმიტომ არის უნივერსალური უფლება, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების მიუხედავად, ის არ ზღუდავს ადამი-

ანს, გამოთქვას საკუთარი შეხედულება ნებისმიერი, თუნდაც ისტორიული ან საეკლესიო პიროვნებისა და გნებავთ, მოვლენის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის იძულება, გამოთქვას საკუთარი აზრის სანიანალმდეგო შეხედულება.

ევროსასამართლოს იურისპრუდენციით, სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს და ის ესადაგება არა მარტო ისეთ ინფორმაციას, რომელიც უწყინარად ან ინდიფერენტულად არის მიჩნეული, არამედ ისეთსაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკს გვრის ან აფორიაქებს სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე სექტორს⁸³.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურისა და გელა ლლიღვაშვილის საქმე ეს საქმე⁸⁴ განეკუთვნება იმ დავათა კატეგორიას, სადაც პატივისა და ღირსების შელახვის გამო ისეთი სუბიექტი დაობდა, რომელსაც, როგორც ასეთი, პატივი და ღირსება არ გააჩნია.

იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ზემოხსენებული ბუნებითი სიკეთეები არ გააჩნია, ის წარმოადგენდა არასათანადო მოსარჩლეს, რომელსაც არც პატივისა და ღირსების შელახვით მიყენებული მორალურ ზიანის მოთხოვნის უფლება ჰქონდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, თბილისის საოლქო სასამართლომ, მიიღო აბსურდული გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნია მოპასუხის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოში ეკოლოგიურ გენოციდს სახელმწიფო ახორციელებდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დასაშვებად მივიჩნევთ, რომ სამინისტროს გააჩნია რეპუტაცია, მაშინაც კი სათუო და ყოველგვარ კანონიერ საფუძველს მოკლებული იქნება მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ განცხადების გამო, რომელშიც მოსარჩლე ცალსახად იდენტიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვანია ის, რომ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეს არ შეიძლებოდა, დაკისრებოდა პასუხისმგებლობა სახელმწიფო უწყების მიერ დაშვებული შეცდომის გამო, რადგანაც გენოციდის შესახებ გამოთქმული მოსაზრება

⁸³ იხ. სანდი ტაიმის საქმე, ტომი I, გვ. 268.

⁸⁴ იხ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური გელა ლლიღვაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 228.

ეფუძნებოდა მცდარ ფაქტს, სახელდობრ, საბაჟოს მიერ დოკუმენტაციაში ნამლის დასახელების შეცდომით მითითებას, რაც, თავის მხრივ, მსგავსი შეფასების გაკეთების საფუძველს იძლეოდა.

მარი ციყელაშვილის, გაზეთ „ალიას“ და დავით ონოფრიშვილის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ საქმე⁸⁵ მორიგებით დასრულდა, მასზე უთუოდ ღირს ყურადღების გამახვილება, თუნდაც იმის გამო, რომ ტიპიური დიფამაციის საქმეებისაგან განსხვავებით, როცა მოსარჩლეს – საჯარო ფიგურა, ხოლო მოპასუხეებს ძირითადად ჟურნალისტი და მედია საშუალება წარმოადგენენ, ამ შემთხვევაში როლები შეცვლილია. მოსარჩლედ ჟურნალისტი და გაზეთი, ხოლო მოპასუხედ პოლიტიკური თანამდებობის პირი – ფინანსთა მინისტრი გვევლინება.

ამ შემთხვევაშიც წარმოიშვა სათანადო მოსარჩლის პრობლემა. სახელდობრ, გაზეთი „ალია“ არ შეიძლება ყოფილიყო სათანადო მოსარჩლე, რადგან მისი საქმიანი რეპუტაცია ვერ შეილახებოდა იმის გამო, რომ მინისტრმა გაზეთის ერთ-ერთი ჟურნალისტი გააკრიტიკა. მით უფრო, რომ ამ უკანასკნელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამონათქვამები ეხებოდა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ჟურნალისტს, ხოლო გაზეთში დასაქმებული იყვნენ სხვა ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ.

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მტკიცებულებები ჟურნალისტის მიერ არაზუსტი ცნობების სისტემატიურად გავრცელებასთან დაკავშირებით, სრულ საფუძველს აძლევდა მას, გამოეთქვა საკუთარი შეფასება ჟურნალისტის პროფესიონალიზმის თაობაზე.

ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ფინანსთა მინისტრის ხსენებული გამონათქვამი არ იყო კონფლიქტის დასაწყისი. იგი წარმოდგენდა იმ პოლემიკის გაგრძელებას, რომელიც მიმდინარეობდა გაზეთსა და სამინისტროს შორის. შესაბამისად, როგორც ევროპული კანონმდებლობის, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი პოლემიკა დანყებულია, შემდგომში მხარეების მიერ გაკეთებული კრიტიკული გამონათქვამები უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე თავდაპირველი „თავდასხმა“.

⁸⁵ იხ. მარი ციყელაშვილი და „ალია“ დავით ონოფრიშვილის წინააღმდეგ, კარი II. გვ. 230.

გაზეთების „აჭარა P.S.“-ი და „ქობულეთი“,

ნატო ქათამაძისა და ქობულეთის გამგეობის საქმე

მოცემული დავა მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ეს არის პირველი საქმე, რომელიც სიტყვის თავისუფლების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით საქართველოდან ევროსასამართლოში შევიდა და რეგისტრირებულია სახელწოდებით *ქათამაძე საქართველოს წინააღმდეგ*.

ორ მედია საშუალებას შორის წარმოქმნილ დავაში, რომელთაგან მოპასუხეს სახელმწიფო უწყების (გამგეობის) მიერ დაფუძნებული გაზეთი წარმოადგენდა, სასამართლომ გამოიტანა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. კერძოდ:

იმისათვის, რომ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა გავრცელებული ცნობების გამო, აუცილებელია, ამ ცნობებში იგი უშუალოდ იყოს იდენტიფიცირებული და ამავ დროს ეს ცნობები წარმოადგენდეს არასწორ ფაქტებს, რითაც ილახება მოსარჩლის პატივი და ღირსება. შესაძლებელია ითქვას, რომ სადავო ცნობათაგან რამდენიმე მართლაც წარმოადგენს არაზუსტ ფაქტობრივ მონაცემს, რომელიც აშკარად ლახავს კონკრეტული პირის პატივსა და ღირსებას (მაგალითად, ტ. ქათამაძის იარაღით ვაჭრობისათვის გასამართლების ბრალდება).

თუმცა, ამავ დროს, სასამართლოს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად არ უნდა მიეჩნია ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა, მაგალითად, „შანტაჟისტი“, „ყველაფრის მკადრებელი“, „უმაღური“, „ჭორიკანი“, „ერთუჯრედიანი“ და ა.შ. რადგან ეს გამონათქვამები არის შეფასებითი მსჯელობა და არა ფაქტები, ხოლო შეფასებითი მსჯელობისთვის პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება დაუშვებელია. საბოლოო ჯამში, სასამართლოს ეს დავა უნდა განეხილა იმ საჯარო დისკუსიის ფარგლებში, რომელიც მხარეებს შორის მიმდინარეობდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარის უმაღლეს სასამართლოს არასწორად ესმის თავად პირადი ცხოვრების საიდუმლოს არსი. კერძოდ, სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად მიიჩნია ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა მაგალითად, „საეჭვო რეპუტაციის“, „სამხედრო ნაწილიდან გამოძევება“, „ჩვენ ასეთების ადგილად გაზეთი რომ მიგვეჩნია და არა ხელვაჩაური“. ცალსახად უნდა ითქვას, რომ მსგავს გამონათქვამებს არაფერი აქვთ საერთო პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან, რადგან მათი საჯაროდ გაცხადებით არ მომხდარა საზოგადოების ინფორმირება მოსარჩლეთა კერძო ცხოვრებიდან რაიმე ფაქტის შესახებ. პირადი ცხოვრების საიდუმლოება

მეცნიერებაში განმარტებულია, როგორც „განმარტოების უფლება“, შესაბამისად, წარმოდგენილია რაიმე ტიპის განცხადებამ, რომელიც არ შეიცავს ადამიანის პირადი ცხოვრების დეტალებს, შელახოს ეს უფლება. პირადი ცხოვრების ხელყოფა მხოლოდ რეალურ ფაქტებს შეუძლია, სხვა შემთხვევაში კი ამგვარი განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხყოფელია (ისიც იმ შემთხვევაში, თუ მათზე ვრცელდება შეურაცხყოფისთვის დადგენილი სტანდარტი). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩლეები მაინც მიიჩნევენ ამ ცნობებს მათი პირადი საიდუმლოების დარღვევად, მაშინ გამოდის, რომ ისინი თავად ეთანხმებიან მათ ნამდვილობას, თუმცა თვლიან, რომ მოპასუხეებს ისინი არ უნდა გავერცელებინა.

კანონთან შეუსაბამოა ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია. მართალია, ქვეყნის მართლმსაჯულების უზენაესმა ინსტანციამ გაიზიარა კასატორთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აჭარის უმაღლესმა სასამართლომ მოპასუხეებს ისეთი ცნობების უარყოფა დააკისრა, რაც თავად მოსარჩლეებს არ მოუთხოვიათ, თუმცა ეს გარემოება მან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის დარღვევად არ მიიჩნია. ცალსახაა, რომ სასამართლო გასცდა სარჩელის ფარგლებს, როდესაც მან მოსარჩლეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია.

ასევე დაუსაბუთებელია მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, აუცილებელია მოპასუხის ქმედებაში ბრალის არსებობა. ამ საქმეში ბრალის არსებობას გამორიცხავს თავად უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც, იგი არ დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის მიერ დადგენილ ფაქტად იმის მიჩნევას, რომ პუბლიკაცია გამოქვეყნდა დაკვეთით და სამაგიეროს გადახდის მიზნით, რისი საფუძველიც ყოფილი გამგებლის შესახებ „აჭარა P.S.“-ში გამოქვეყნებული კრიტიკულ პუბლიკაციები იყო. ამდენად, თუ მოპასუხეების ქმედებაში შურისძიება ან სხვა ანგარებითი მოტივი გამორიცხულია, მაშინ სათუთა მათ ქმედებაში ბრალის არსებობა.

ბუნდოვანია ისიც, თუ რის საფუძველზე დაადგინა სასამართლომ საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი, როდესაც მოპასუხემ მიუთითა „აჭარა P.S.“-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე, სათაურით „ისევ გავეცრუეთ იმედი ქალბატონ ნატოს, ჩვენი მცირე პაუზა და შვებულება ჩვენმა მოპასუხემ ჩვენს დახურვად მიიჩნია“. თავად სტატიის სათაური არ იძლევა საქმიანი რეპუტაციის შელახვასა და მიყენებულ მატერიალურ ზარალზე საუბრის საფუძველს.

რაც შეეხება ხსენებული დავის სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასა-

მართლოში განხილვის პერსპექტივას, უნდა ითქვას, რომ ევროსასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, მოპასუხე მხარემ – საქართველოს სახელმწიფომ, შესაძლოა, წააგოს პროცესი. მოსალოდნელია, ევროსასამართლომ დაადგინოს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა, სულ მცირე, საჩივრის იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს სასამართლოებმა განმცხადებელს დააკისრეს პასუხისმგებლობა შეფასებითი მსჯელობების გამო. რაც შეეხება ისეთ გამონათქვამებს, როგორცაა იარაღით ვაჭრობაში პირის დადანაშაულება, ამ დროს მხედველობაში მისაღები ასევე ევროსასამართლოს იურისპრუდენცია, რომლის მიხედვით, არასწორი შეურაცხყოფელი ფაქტის გავრცელებისათვის პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებები პოლიტიკურ საკითხს უკავშირდება. ევროსასამართლოს იურისპრუდენციით, პრესა მოვალეა, არ გადააბიჯოს დანესებულ ზღვარს, მათ შორის, „სხვათა რეპუტაციის დაცვის“ მხრივ, თუმცა იგი არ არის შეზღუდული ვალდებულებით, პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია იმგვარადვე მიანოდოს საზოგადოებას, როგორც ამას საჯარო ინტერესის სხვა სფეროებში აკეთებს⁸⁶. შესაბამისად, თუკი განცხადებები არ ეხება პოლიტიკურ და ზოგადად საჯარო საკითხებს, პრესა ვალდებულია, დაიცვას უფრო მეტი სიზუსტე ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ცნობების გავრცელებისას.

სიმონ ნოზაძის, გაზეთ „მერიდიანისა“

და ილნარ გორელიშვილის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი საქმე⁸⁷ მორიგებით დასრულდა, მასზე ყურადღების შეჩერება უთუოდ ღირს. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი დავა, რომელიც კორუფციულ თემატიკას უკავშირდება. ამ ტიპის დავების, რომელთაც ჩვენ მოგვიანებითაც შევხვდებით, წარმოშობა განაპირობა 1997 წელს მიღებულმა კანონმა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ, რომელიც საჯარო პირებს ქონებრივი და ფინანსური დეკლარაციის შევსებას ავალდებულებდა. მოცემულ შემთხვევაში სწორედ უშიშროების მინისტრის მოადგილის საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ ჟურნალისტის მიერ მომზადებული საგაზეთო პუბლიკაცია გახდა სასამართლოში მიმართვის საფუძველი.

⁸⁶ იხ. ლინგენსის საქმე, ტომი I, გვ. 272.

⁸⁷ იხ. სიმონ ნოზაძე „მერიდიანისა“ და ილნარ გორელიშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ 249.

ამ შემთხვევაში საკამათოა მოსარჩლის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტს უნდა გადაემონმებინა ის, რაც ენერა ოფიციალურ დოკუმენტში – დეკლარაციაში. აღსანიშნავია, რომ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, „...რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), ასევე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა არასწორი ინფორმაციის გავრცელებისათვის, თუ ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები“.

კანონის ამ ნორმიდან გამომდინარე, ბუნებრივია, აბსურდულია ჟურნალისტის დადანაშაულება რაიმე სახის უზუსტობის დაშვებაში; ისევე როგორც პასუხისმგებლობის (უარყოფის გამოქვეყნება) დაკისრება ისეთი გამონათქვამებისათვის, რომლებიც მხოლოდ ჟურნალისტურ მოსაზრებებსა და ვარაუდებს შეიცავდა ხსენებული დეკლარაციის შესახებ.

ა. დ.-ის, გაზეთების „კრიმინალი“, „7 დღე“, „ახალი თაობა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე

აღნიშნული საქმე⁸⁸ მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ პასუხს სცემს შეკითხვას, ვინ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას – ჟურნალისტი თუ სასამართლო, რომელიც სახელმწიფოს სახელით იღებს გადაწყვეტილებას პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ? იგი ნამოჭრის ასევე ჟურნალისტთა მხრიდან პროფესიული სტანდარტის დაცვის აუცილებლობის საკითხს, რაც დანაშაულის შესახებ მასალების გაშუქებას უკავშირდება

მოცემულ შემთხვევაში მედია საშუალებებმა დაუსაბუთებლად გამოაცხადეს ბრალდებული დამნაშავედ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და იხილებოდა დაკავებული სახელმწიფოს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი. თავად მოსარჩლემ არასწორად მიიჩნია გავრცელებული ცნობები უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. არ შეიძლება, პრესამ დაარღვიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგან მედიას არ ძალუძს იურიდიულად პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობა, ანუ მისი გასამართლება და ეს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

თუმცა ამავე დროს უნდა ითქვას, რომ სახეზეა ჟურნალისტთა დაუდევრობა. დემოკრატიულ ქვეყნებში პრესა ამ დროს შებოჭილია საკუთარი ეთიკური სტან-

⁸⁸ იხ. ა. დ. „კრიმინალის“, „7 დღის“, „ახალი თაობისა“ და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 252.

დარტებით⁸⁹, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება, საჯაროდ გამოაცხადო დამნაშავედ პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით სასამართლოს ჯერ კიდევ არ გაუმტყუნებია. ასეთი ქმედება განსაკუთრებით სახიფათოა, როდესაც საინფორმაციო საშუალებებში პირის დამნაშავედ გამოცხადება კამპანიურ სახეს იღებს და წინ უსწრებს სასამართლოში აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხის გარკვევას, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა. ამ გზით მედია საშუალებები ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ეჭვმიტანილის დამნაშავეობის შესახებ და წინასწარი მიკერძოებული აზრის შექმნით გავლენას ახდენენ სასამართლოს საბოლოო ვერდიქტზე.

მართალია, მედია მიჩნეულია სამართლიანი და ობიექტური სასამართლო განხილვის გარანტად, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო განხილვის ობიექტურად ჩატარებას, ასევე იმას, რომ სასამართლოს, პოლიციისა და პროკურატურის ქმედებები ფართო საზოგადოებრივი განხილვისა და დისკუსიის საგნად იქცეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობას სამართლიანი სასამართლოს უფლების ხარჯზე.

დავით გურგენიძის, გაზეთ „ახალი თაობისა“ და გ. ბალაძის საქმე აღნიშნული საქმე არის მეორე დავა, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით საქართველოდან ევროსასამართლოში შევიდა. წინა საქმისგან განსხვავებით, მოცემულ დავას სტრასბურგის სასამართლოში წარმატების ნაკლები შანსი აქვს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ შემთხვევაში დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება გამოიტანა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე მოსარჩლემ სარჩელი შეიტანა არა თავად ინფორმაციის წყაროს – მანანა არჩვაძე-გამსახურდიას წინააღმდეგ, არამედ გაზეთის მიმართ, რომლისგანაც მოითხოვა მორალური ზიანის კომპენსაცია. რა თქმა უნდა, მოსარჩლეს ამის სრული უფლება ჰქონდა. მას შეეძლო,

⁸⁹ „რეპორტაჟები, რომლებიც მიმდინარე გამოძიებებს, სისხლის სამართლის პროცესებსა და სხვა ოფიციალური საქმეების წარმოებას შეეხება, არ უნდა შეიცავდეს წინასწარ მოსაზრებებს. ამ მიზნით პროცესამდე ან პროცესის მსვლელობის პერიოდში პრესა უნდა მოერიდოს, როგორც სათაურში, ისე რეპორტაჟში, ისეთი სახის კომენტარის გაკეთებას, რომელიც შესაძლოა, აღქმული იყოს მიკერძოებულად. ეჭვმიტანილი არ უნდა წარმოჩნდეს დამნაშავედ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე განაჩენის გაშუქება არ არის მიზანშეწონილი, თუ ამისთვის სერიოზული მიზეზი არ არსებობს.“ მუხლი 13, გერმანიის პრესის კოდექსი. „მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია“, თავისუფლების ინსტიტუტი, 2004.

შეტანა სარჩელი როგორც მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, ასევე ჟურნალისტის ნინაალმდეგაც. მას ჰქონდა სრული დისკრეცია, განესაზღვრა მოპასუხეთა ვინაობა.

იმ დროისათვის საქართველოში მოქმედებდა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონი, რომლის 25-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ყალბი ცნობების გავრცელებისათვის და მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ღირსებისა და პატივის შელახვისათვის. ამ კანონის თანახმად, ყალბი ცნობების გავრცელებისათვის მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელს, რედაქტორს, მთავარ რედაქტორს და მასალის ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი.

იმის გამო, რომ სარჩელი შეტანილი იყო მხოლოდ გაზეთის ნინაალმდეგ, სასამართლომ მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, როდესაც არ დააკმაყოფილა მოსარჩლის მეორე მოთხოვნა მორალური ზიანის კომპენსაციის თაობაზე. გაზეთმა ამ შემთხვევაში გამოაქვეყნა მხოლოდ ინტერვიუ. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად შეურაცხმყოფელი იყო მისი შინაარსი, მთავარია, რომ გაზეთს არ გაუკეთებია საკუთარი კომენტარი. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირს შეუძლია, მოითხოვოს პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელმყოფი მოქმედებდა ბრალეულად. ამ შემთხვევაში გაზეთის ბრალი გამორიცხულია, რადგან მან მხოლოდ რესპონდენტის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, აშკარაა, რომ ჟურნალისტს უნდა გამოეჩინა მეტი წინდახედულება, როდესაც აქვეყნებდა მასალას, სადაც მოსარჩლე დადანაშაულებული იყო სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებაში, სახელდობრ, კოლხური კოშკის გაძარცვაში. ამ შემთხვევაში ჟურნალისტს უნდა შეემონებინა რესპონდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს ჟურნალისტს მოეთხოვება. აშკარაა, რომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გარდა, ჟურნალისტს არ მიუმართავს სხვა დამოუკიდებელი წყაროსათვის, რათა გადაემოწმებინა ინფორმაცია და გამოექვეყნებინა მეტ-ნაკლებად დაბალანსებული მასალა.

ჟურნალისტს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველომ უარი თქვა დავით გურგენიძის

მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, მის ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო. შესაბამისად, ჟურნალისტს რესპონდენტის მონათხრობთან ერთად, როგორც მინიმუმ, უნდა მიეთითებინა მთანმინდის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს აღნიშნული დადგენილების არსებობის თაობაზე, რათა საზოგადოებას ჰქონოდა ნათელი წარმოდგენა, როგორც გურგენიძესთან მიმართებით მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მოსაზრების თაობაზე, ასევე იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი ნაბიჯები მოჰყვა კონკრეტულ ფაქტს.

რაც შეეხება ევროსასამართლოში წარდგენილ სარჩელს, დავით გურგენიძე ასაჩივრებს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც მას უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ნ. ბ.-სა და ვ. ბ.-ს საქმე

პირველ საქმეზე, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შეეხებოდა, სასამართლომ აშკარად კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება გამოიტანა. კერძოდ:

კანონის თანახმად, სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი დამტკიცებულად მიიჩნევა სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი, მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველ რიგში, სასამართლოს უნდა გაერკვია, თუ რა ვითარებაში გავრცელდა ცნობები. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე (რომელიც განქორწინებას ეხებოდა) საკუთარი პოზიციისა და არგუმენტების დასახელება არ ნიშნავს ცნობების საჯაროდ გავრცელებას. ასეთი განცხადებების მიზანი, როგორც წესი, მოსამართლეზე გარკვეული შთაბეჭდილების მოხდენაა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის თანახმად, სამოქალაქო საქმეების დროს სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებები არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ევროსასამართლოს იურისპრუდენციაც, რომლის მიხედვითაც, სასამართლო პროცესის მსვლელობისას სხდომის დარბაზში განხორციელებული გამოხატვა (განსაკუთრებით კი მხარის ინტერესების დამცველის) დაცულია თითქმის აბსოლუტური პრივილეგიით⁹⁰.

⁹⁰ იხ. ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 344.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ო. ბ.-ს წარმომადგენელს შეეძლო პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის სასამართლოსთვის მიწოდება.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თავისთავად საოჯახო დავა მეტად სპეციფიკურია და გარკვეული პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყენების გარეშე, გამორიცხულია, მხარემ შეძლოს, საკუთარი პოზიციის დაცვა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ საქმე ბავშვის რომელიმე მშობლისათვის მიკუთვნების საკითხის გარკვევას ეხება. მაგალითად, მხარეს არათუ შეუძლია, არამედ ვალდებულიც არის, სასამართლოს მიანოდოს ინფორმაცია მონინალმდეგე მხარის ალკოპოლიზმის თუ სხვა „გატაცებების“ შესახებ და ეს არ ჩაითვლება ვინმეს პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფად.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, როდესაც მოსარჩლეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია, სახელდობრ, ცნობების უარყოფა.

წინააღმდეგობრივია გადაწყვეტილების ის ნაწილიც, სადაც მითითებულია, რომ სასამართლო სრულად აკმაყოფილებს სარჩელს, მაგრამ ამავე დროს არ არის დაკმაყოფილებული მოსარჩლის სამი მოთხოვნა: ბოდიშის მოხდა, მოპასუხისათვის პროცესზე რწმუნებულის უფლების ჩამორთმევა და საქმის მასალებიდან მისი პატივისა და ღირსების შემლახველი წერილის ამოღება (ამ უკანასკნელის დაკისრება თავისთავად კანონის დარღვევა იქნებოდა). სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე ბუნდოვანია ისიც, თუ სად და როგორი ფორმით უნდა მოეხდინა ვ. ბ.-ს მის მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფა.



განსახილველი პერიოდი, ისევე როგორც 1999 წელი, გამორჩეულია იმ ნიშნით, რომ დროის ამ მონაკვეთში პრაქტიკულად არ ვხვდებით სისხლისსამართლებრივი დიფამაციის საქმეებს. თუკი წინა წლებში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობისა და ზოგადად საჯარო თანამდებობის პირები ძირითადად სისხლის სამართლის წესით იცავდნენ საკუთარ პატივსა და ღირსებას, თავისთავად პოზიტიური ტენდენციის მაჩვენებელია ის, რომ 2001 წელს როგორც რანგირებული, ასევე არარანგირებული პირები თავიანთი უფლებების სამოქალაქო წესით დაცვას ანიჭებდნენ უპირატესობას. ანუ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლს შორის, რომელიც სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის გაცილებით მძიმე ფორმებს ითვალისწინებს, ისინი არჩევანს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე აკეთებდნენ.

ამავე პერიოდს უკავშირდება უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ერთ-ერთი ყველაზე სამაგალითო გადაწყვეტილება საქმეზე *ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ*⁹¹. ეს იყო პირველი საქმე, რომელშიც უზენაესმა ინსტანციამ მკვეთრი ზღვარი გაავლო ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას შორის; დაადგინა საჯარო მოხელის პატივისა და ღირსების დაცვის გაცილებით დაბალი სტანდარტი; შემოიტანა საზოგადოებრივი და საჯარო მნიშვნელობის საკითხების ცნება და რაც მთავარია, მოახდინა აპელირება ევროსასამართლოს იურისპრუდენციაზე, რითაც ფაქტიურად ქმედითი გახადა ის ნორმა, რომლითაც ევროსაბჭოს გადაწყვეტილებებს საქართველოსთვის პრეცედენტული ძალა აქვს.

⁹¹ იხ. კარი II, გვ. 274.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ საქართველოს შიდა კანონმდებლობა პრეცედენტულ სამართალს არ ითვალისწინებს, ეს გარემოება სრულებითაც არ განაპირობებს კანონის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის დასაშვებობას. ყველაზე პარადოქსული, ალბათ, ის არის, რომ არაერთგვაროვან და წინააღმდეგობრივ პრაქტიკას ხშირად ამკვიდრებენ არა მხოლოდ სხვადასხვა დონის სასამართლო ინსტანციები, არამედ ერთი და იმავე სასამართლოს ერთი და იგივე მოსამართლეები.⁹² მაგალითად, აბსოლუტურად იდენტურმა სასამართლო შემადგენლობამ, რომელმაც ჯაიანი-კერესელიძის ზემოხსენებულ საქმეზე გამოიტანა ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო გადაწყვეტილება თანამედროვე ქართული სასამართლო პრაქტიკის ისტორიაში, ამავე პერიოდში ანალოგიური ტიპის დავაზე მიიღო არსობრივად წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება⁹³. შედეგად, მოხდა ყველა იმ ღირებული ნორმის უარყოფა, რითაც გამორჩეული იყო მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის საქმეზე გამოტანილი ვერდიქტი.

ასეთი წინააღმდეგობრივი პრაქტიკა დამახასიათებელია არა მხოლოდ მოცემული პერიოდისათვის, არამედ შემდგომისთვისაც და იგი წამოჭრის კანონის ერთგვაროვანი გაგების დამკვიდრების აუცილებლობის საკითხს, რაც კონსტიტუციური პრინციპების – თანასწორობისა და წინასწარგანჭვრეტადობის დასაცავად არის საჭირო.

წინანდობლივია ისიც, რომ სასამართლო ერთგვაროვნად და დასაბუთებულად ახდენდა კანონის ინტერპრეტაციას ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოპასუხე მხარეს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები წარმოადგენდნენ. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა ამ პერიოდში განხილული საქმე⁹⁴, რომელშიც მოსარჩლე იმერეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის, თემურ შაშიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდა; ასევე წინა წელს განხილული საქმე⁹⁵, სადაც სადავოდ იყო გამხდარი კახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის, მედეა მეზერიშვილის საჯარო გამონათქვამები. ორთავე შემთხვევაში სასამართლომ სწორად მოახდინა საკანონმდებლო ნორმების განმარტება, თუმცა არ განაერცო ეს პრაქტიკა ისეთ დავებზე, რომლებშიც საქმე

⁹² იხ. სიტყვის თავისუფლების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, თავი I, გვ. 24, სქ. 10.

⁹³ იხ. თამაზ წივნივაძე და საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირი აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 291.

⁹⁴ იხ. დემოკრატიული აღორძინების კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია თემურ შაშიაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 323.

⁹⁵ იხ. უშანგი დონჯაშვილის, მედეა მეზერიშვილისა და საინფორმაციო ანალიტიკური ბიურო „გეას“ საქმე, გვ. 76.

არა თანამდებობის პირებს, არამედ ჟურნალისტებსა და რიგით მოქალაქეებს ეხებოდათ.

მოცემულ პერიოდში გამოიკვეთა ასევე საკმაოდ შემაშფოთებელი ტენდენცია, როდესაც სასამართლოებმა, ფაქტიურად, ტაბუირებულად გამოაცხადეს გარკვეული კატეგორიის ადამიანების კრიტიკა. ერთ შემთხვევაში⁹⁶ ეს იყო სასულიერო პირი – ბასილ მკალავიშვილი, ხოლო მეორე შემთხვევაში⁹⁷ გარდაცვლილი პირი – საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია. ამ უკანასკნელ საქმეში სასამართლომ აკრძალა ისეთი საჯარო პოლიტიკური ფიგურების კრიტიკა, რომლებიც საზოგადოების მიერ ხმათა უმრავლესობით არიან არჩეული. თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი ეს გადაწყვეტილება საკმაოდ დაცილებულია საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც იცავს აზრის თავისუფლებას და ძალზედ ახლოსაა შუა აზიური ტიპის მართლმსაჯულებასთან, სადაც „ერის წინამძღოლის“ კრიტიკა არც სიცოცხლეში და არც გარდაცვალების შემდეგ ნებადართული არ არის.

უნდა აღინიშნოს იმ ნეგატიური ტენდენციის შესახებაც, რომელიც ყველაზე რეკორდულად ამ პერიოდში გამოვლინდა: 2001 წელს სასამართლოებმა⁹⁸ ხუთ შემთხვევაში დააკისრეს მოპასუხეებს კანონში არარსებული პასუხისმგებლობის ფორმა – ბოდიშის მოხდა, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შეფასებების მსჯელობის გამო. აქედან მხოლოდ ორ საქმეში⁹⁹ გააუქმეს შემდგომში ზემდგომმა ინსტანციებმა გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ბოდიშის მოხდას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება სხვა ტიპის დავებს, მოცემულ პერიოდში სასამართლოში წარმართა საქმე¹⁰⁰, რომელშიც აშკარა იყო საინფორმაციო საშუალების მხრიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და ეთიკური ნორმების უხეში ხელყოფა; ამავე პერიოდში ვხვდებით საქმეებს¹⁰¹, რომლებშიც შელახული პა-

⁹⁶ იხ. ბასილ მკალავიშვილი გაზეთ „რეზონანსის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 288.

⁹⁷ იხ. მანანა არჩვაძე-გამსახურდია „შანსი +“-ის, ბონდო ქურდაძისა და გოგიტა მელიქიძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 311.

⁹⁸ თბილისისა და ქუთაისის საოლქო, ჩოხატაურის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. იხ. გვ. 53, სქ. 53.

⁹⁹ ქუთაისის საოლქო სასამართლომ საქმეში რომან კვაჭაძე „ლანჩხუთი Plus“- ის, ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ და თბილისის საოლქო სასამართლომ საქმეში ევგენი ჯულაშვილი გრიშა ონიანის წინააღმდეგ.

¹⁰⁰ იხ. გ. ხ. „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 273.

¹⁰¹ იხ. ქუთაისის მერიის ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტი და გია გრძელიძე შოთა ღირდალაძისა და „რეზიუმეს“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 264; თბილისის შს მთავარი სამმართველო ია დანელიას წინააღმდეგ, კარი II, გვ. 317.

ტივისა და ღირსების გამო ისეთი უწყებები დაობდნენ, რომელთაც პატივი და ღირსება ბუნებით არა აქვთ ბოძებული; ასევე პირველ საქმეს¹⁰², რომელიც კომერციულ გამოხატვას უკავშირდება.

საერთო ჯამში, ამ პერიოდში განხილული 30 საქმიდან, საერთო სასამართლოებმა 7 შემთხვევაში მიიღეს დასაბუთებული, 10 შემთხვევაში – უკანონო, ერთ საქმეზე – ნაწილობრივ დასაბუთებული გადაწყვეტილება; 12 საქმეში კი სახეზე იყო მორიგების, მხარეების პროცესზე გამოუცხადებლობისა და სარჩელზე უარის თქმის შემთხვევები.

1. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

დიჟაგაცია

ბასილ მკალავიშვილისა და გაზეთ „რეზონანსის“ საქმე

აზრის თავისუფლება დაცულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით. შესაბამისად, სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს პირს მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების გამო, შეუთავსებელია კონსტიტუციასთან.

მართალია, როგორც ქართული კანონმდებლობით, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკით, მოსაზრება არ ექვემდებარება მტკიცებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის ეყრდნობა ფაქტებს, მაგრამ დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოსთვის საკანონმდებლო თუ საერთაშორისო ნორმები სრულებითაც არ აღმოჩნდა სახელმძღვანელო პრინციპი ამ საკითხის გადწყვეტისას.

მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არა აქვს და წარმოადგენს აზრის გამოხატვის შეზღუდვის ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითს.

არც ერთი გამონათქვამი, რომელთა უარყოფაც სასამართლომ საინფორმა-

¹⁰² იხ. „საქართველოს ავიახაზები“ „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 325.

ციო საშუალებას დააკისრა, არ წარმოადგენს ფაქტს, რომელიც მტკიცებას ექვემდებარება. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას მხოლოდ დადასტურებადი ფაქტების გავრცელების შემთხვევაში.

სასამართლო ძალზედ შორს წავიდა, როცა მოპასუხეს დაავალა ისეთი მოსაზრების უარყოფა, როგორცაა მინაწერი კარიკატურაზე – „*მოქალაქე მკალავიშვილი ფსიქიატრიულში თავისი ფეხით წავა*“. ცხადია, არც ერთი სამართლებრივი ნორმა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჰოპოტეზური გამონათქვამების გამო, რადგან შეუძლებელია, პირს ანმყოში მოსთხოვო პასუხი იმისათვის, რისი შესაძლებლობაც მან მომავალ დროში იგარაუდა. აღნიშნული ცნობის უარყოფის დავალდებულებით სასამართლომ ავტომატურად დამტკიცებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩლე მომავალში ამ ქმედებას აპრიორი არ განახორციელებს. სასამართლო დავა შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ იმ ფაქტების სიზუსტეთან დაკავშირებით, რაც უკვე მომხდარია. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლომ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, რადგან წინასწარ განაცხადა, თუ რა შეიძლებოდა (არ) მომხდარიყო მომავალში.

სასამართლომ მოპასუხეს ასევე დაავალა ისეთი გამონათქვამების უარყოფა, რომლებიც წარმოადგენდნენ შეფასებებს ფაქტების შესახებ. სახელდობრ, „*სვარჩიკი მკალავიშვილი ხულიგნობას არ იშლის*“ და „*არალიცენზირებული მღვდელი და მისი მორჩილი ბრბო*“.

პირველი გამონათქვამი შეეხებოდა ბასილ მკალავიშვილის მიერ გაზეთ „რეზონანსზე“ თავდასხმის ფაქტს, კერძოდ, მოსარჩლის მიერ რედაქციის რკინის კარების შეღუღებას, რის შედეგადაც ჟურნალისტებს შენობიდან გამოსვლის საშუალება მოესპოთ. ამ შემთხვევაში „*სვარჩიკი მკალავიშვილი ხულიგნობას არ იშლის*“ არის მომხდარი ფაქტის ჟურნალისტური შეფასება. ესეც რომ არ იყოს, თავისთავად „*სვარჩიკის*“ პროფესია დამამცირებელი არ არის. აღნიშნული გამონათქვამის უარყოფის დავალდებულებით სასამართლომ თავად მიაყენა შეურაცხყოფა ამ პროფესიის ათასობით ადამიანს.

ტერმინი „*ხულიგანი*“ კი მკალავიშვილის საქმიანობის ავტორისეულ შეფასებას წარმოადგენს, რის საფუძველსაც ჟურნალისტს მოსარჩლის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები აძლევდა. ამასთან მხედველობაშია მისაღები სასამართლოს მიერ სამოტივაციო ნაწილში საინფორმაციო საშუალების დადნაშაულება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში. წინა ნაწილში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს და არა მედია საშუალებას, რომელიც მოკლებუ-

ლია შესაძლებლობას, ვინმე დამნაშავედ ცნოს¹⁰³. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში საინფორმაციო საშუალებას ჰქონდა სრული უფლება, ესაუბრა მკალავიშვილისა და მისი ჯგუფის დანაშაულებრივ ქმედებებზე, თუნდაც იმიტომ, რომ ერთ-ერთი ასეთი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის მსხვერპლი თავად მოპასუხე რედაქცია იყო. მკალავიშვილის მხრიდან „რეზონანსის“ რედაქციაზე თავდასხმის ფაქტი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯად დანაშაულს წარმოადგენს: გარდა იმისა, რომ მოხდა აღნიშნული ორგანიზაციის ქონების ხელყოფა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, ყურნალისტებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონოდ შეეშალათ ხელი, რაც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით დასჯადი დანაშაულია.

რაც შეეხება მეორე შეფასებას – „არალიცენზირებულ მღვდელს“, როგორც მოპასუხემ სასამართლო განხილვისას აღნიშნა, იგი ეფუძნებოდა კონკრეტულ ფაქტს, კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მიერ ბასილ მკალავიშვილის ეკლესიიდან განკვეთას. ამდენად, ყურნალისტს სრული საფუძველი ჰქონდა, მიეჩნია მკალავიშვილი „არალიცენზირებულად“.

ცალკე განსჯის საგანია ის, რომ სამი გამონათქვამი, რომელთა უარყოფაც სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა, წარმოადგენდა მინანურს კარიკატურაზე. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კარიკატურა განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს როგორც აშშ-ს უზენაესი, ისე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოების იურისპრუდენციით. კარიკატურისათვის დაცვის მსგავსი ხარისხის მინიჭება განპირობებულია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით, რადგან ის შეიცავს არა მარტო პოლიტიკურ (თუ, რა თქმა უნდა, კარიკატურა პოლიტიკურ საკითხს ეხება), არამედ კულტურულ ღირებულებასაც (არტისტული გამოხატვა). შეუძლებელია კარიკატურის მიხედვით სასამართლომ განსაზღვროს ფაქტების სიმცდარე ან უტყუარობა, რადგან ის რეალობის ასახვის შემოქმედებითი ფორმაა და მას არა აქვს პრეტენზია ფაქტობრივი მონაცემის შემცველი ცნობების გავრცელებაზე. კარიკატურის მიზანია, გადმოსცეს ავტორისეული დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ მძაფრი, სარკასტული ფორმით და ამისათვის ის არტისტულ გამოხატვას იყენებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაარღვია არა მარტო სიტყვის, არამედ არტისტული გამოხატვის თავისუფლებაც.

საბოლოოდ უნდა ითქვას ისიც, რომ სასამართლომ კონტექსტიდან ამოვარდნილად განიხილა თითოეული ცნობა და არ გაითვალისწინა ის, რომ სადავო გამონათქვამები იმ საჯარო დისკუსიის ფარგლებში გაკეთდა, რომელიც მხა-

¹⁰³ იხ. გვ. 85.

რეებს შორის მიმდინარეობდა. ამდენად, ამ დისკუსიის ფარგლებში გაკეთებულ, თუნდაც მწვავე შეფასებები, არ შეიძლება გამხდარიყო მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

თამაზ წიგწივადის, საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის საქმე

ისევე როგორც ქართული სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა უმეტესობაში, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც მოახდინა ისეთი ცნებების ერთმანეთში აღრევა, როგორცაა ფაქტი და შეხედულება. მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კანონშეუსაბამოა, რადგანაც სასამართლომ ჟურნალისტსა და საინფორმაციო საშუალებას დააკისრა პასუხისმგებლობა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების გამო.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მხოლოდ ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ეხება, თანაც იმ შემთხვევაში, თუკი ცნობათა გამავრცელებელი ვერ შეძლებს მათი სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებას. იმის დასტურად, რომ სასამართლომ მოპასუხეს პასუხისმგებლობა მოსაზრებებისა და შეხედულებების გამო დააკისრა, შეიძლება რამოდენიმე გამონათქვამის მოყვანა სამოტივაციო ნაწილიდან:

მაგალითად, საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია სასამართლომ ისეთი გამონათქვამი, რომლის თანახმადაც, ეს ორგანიზაცია ქვეყნისათვის სტიქიურ უბედურებადაა მიჩნეული.

სასამართლომ არც ისეთი გამონათქვამები ჩათვალა სუბიექტურ მოსაზრებად, როგორცაა „საცოდავი“, „ქოსამატყუარა“, „აფერისტი“, „შარლატანი“, „უვიცი“, „სულელი“, „უჭკუო“, „ნაძირალა“ და „მალეფუჭებადი პროდუქტი“ – და ისინი შეურაცხმყოფელად და აკაკი გოგიჩაიშვილის პატივისა და ღირსებას შემლახველად მიიჩნია.

ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო კოლეგიისთვის ვინმეს რომ დაეკისრებინა ისეთი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცება, როგორცაა, ვთქვათ, „სტიქიურ უბედურებად მოველინა“, გნებავთ, „საცოდავი“ ან „მალეფუჭებადი პროდუქტი“, მათაც უეჭველი გაუჭირდებოდათ ამ ამოცანისათვის თავის გართმევა. მიზეზი მარტივია, შეუძლებელია ისეთი გამოხატვის ფაქტად მიჩნევა, რომელიც მხოლოდ პირის სუბიექტურ შეფასებას ასახავს.

ცხადია, ცალკე მსჯელობის თემაა, თუ რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი შეფასებები შეურაცხმყოფელად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, ამ თვალსაზრისით არც საკითხის სამართლებრივ ქრილში განხილვაა მიზანშეწონილი. საქმის განხილვის მომენტიცათვის კანონმდებლობა არც უხამსი გამონათქვამებისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. კანონმდებლობაში არარსებული ნორმის კომპენსირება კი არსებულის არასწორი ინტერპრეტირების გზით დაუშვებელია, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა.

სასამართლომ მოახდინა ისეთი თემის იგნორირება, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. სახელდობრ, მას საერთოდ არ უმსჯელია სატელევიზიო გადაცემაში განხილულ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მართლზომიერების საკითხზე. არადა, საზოგადოებას აქვს უფლება, ფლობდეს ინფორმაციას ქვეყნის ბიუჯეტში აკუმულირებული თანხების მოძრაობის შესახებ. თავის მხრივ, საჯარო მოხელეები თუ სხვა პირები, ვისაც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების განკარგვა აკისრია, ანგარიშვალდებულნი არიან მოქალაქეების წინაშე. თუკი საზოგადოებაში ჩნდება რაიმე ეჭვი საბიუჯეტო სახსრების განკარგვის კანონიერებასთან დაკავშირებით, საზოგადოების ნებისმიერ წევრს, მათ შორის ჟურნალისტს, აქვს უფლება, საჯაროდ გამოთქვას თავისი ეჭვები თუ მოსაზრებები და მოახდინოს ამ თემაზე საჯარო დებატების ინიცირება. მოცემულ შემთხვევაში ეჭვის საფუძველს ოფიციალური უწყების – საქართველოს კონტროლის პალატის 1998 წლის დასკვნა იძლეოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საჯარო დისკუსიისას, რომლის მთავარი მიზანი ჭეშმარიტების გარკვევაა, პატივისა და ღირსების დაცვის მოთხოვნები გაცილებით დაბალია, ვიდრე პოლიტიკური საკითხების ღია განხილვის ინტერესი.

გარდა იმისა, რომ სადავო ჟურნალისტური გამოძიება შეეხებოდა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებს და საჯარო პოლემიკაში ორთავე მხარეს ჰქონდა მოწინააღმდეგის განცხადებებსა და შეფასებებზე პასუხის გაცემის საშუალება, მოსარჩლე წარმოადგენდა საჯარო პირს.

აქვე უნდა ითქვას იმ მცდარი სტერეოტიპის შესახებაც, რომლის თანახმად, საჯარო ფიგურებად მხოლოდ საჯარო მოხელეები აღიქმებიან. არადა, საჯარო ფიგურა შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა (მაგალითად, ცნობილი მსახიობი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მწერალი, მეცნიერი, მუსიკოსი და ა.შ.) და

რომელთა მიმართ საზოგადოებას დიდი ინტერესი გააჩნია. მოცემულ შემთხვევაში საჯარო ფიგურებად ჩაითვლება როგორც მოსარჩლე, ისე მოპასუხე მხარე და ბუნებრივია, მათ მიმართ პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის იგივე სტანდარტები ვერ გავრცელდება, რაც ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის არის დადგენილი.

სასამართლომ არც ამ შემთხვევაში უღალატა ქართულ სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრებულ მავნე პრაქტიკას, როდესაც, ერთის მხრივ, იურიდიული პირის – საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის სასარგებლოდ მედია საშუალებას მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა; ხოლო მეორეს მხრივ, საბჭოთა კანონმდებლობაში არსებული და იმჟამად გაუქმებული – ბოდიშის მოხდის – რეანიმაცია მოახდინა.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ იურიდიულმა პირმა შეიძლება პრეტენზია განაცხადოს მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გამო და არავითარ შემთხვევაში საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამოწვეული მორალური ზიანისათვის. როგორც უკვე არაერთი საქმის კომენტარებისას აღვნიშნეთ, იურიდიულ პირს არ შეიძლება მიადგეს მორალური ზიანი, რადგან ეს უკანასკნელი ფიზიკურ და ფსიქიკურ განცდებს უკავშირდება, რასაც მოკლებულია იურიდიული პირი. ერთადერთი, ვისაც ასეთი განცდების და შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ძალუძს, ფიზიკური პირია.

რაც შეეხება ბოდიშის მოხდის ინსტიტუტის შემოტანას, მას არც სამოქალაქო კოდექსი იცნობს და მით უფრო, საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-19 მუხლი იმპერატიულად კრძალავს ვინმეს იძულებას, გამოთქვას თავისი შეხედულება მის მიერ ადრე გავრცელებული ცნობების შესახებ. აღნიშნული უფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონითაა შესაძლებელი. ისეთი სიკეთის დასაცავად, როგორცაა პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია საქმის განხილვის მომენტისათვის კანონმდებლობაში სხვა ფორმები იყო გათვალისწინებული. ეს იყო გავრცელებული ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება, ცილისწამებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ ჩამონათვალში არ ყოფილა ბოდიშის მოხდა, რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ ხსენებული გადაწყვეტილება აშკარა შეუსაბამობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ტელეკომპანია „რიონისა“ და ტელეკომპანია „ქუთაისის“ საქმე

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ყოველთვის გამოირჩეოდა უხეში კანონდარღვევების მხრივ და გამონაკლისს ამ წესიდან არც ქვემოთ განხილული საქმე¹⁰⁴ წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ გადაწყვეტილებაში ერთობლიობაშია თავმოყრილი ყველა ის „უკეთურობა“, რაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ცალკეულ შემთხვევებში იჩენდა თავს. სახელდობრ:

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მოსარჩლეს წარმოადგენდა იურიდიული პირი. ყველაზე უხეში დარღვევა, რაც სასამართლომ დაუშვა, არის ის, რომ მან მოპასუხეს დააკისრა ცნობების უარყოფა იურიდიული პირის პატივისა და ღირსების შელახვის გამო. იურიდიულ პირს კი არ გააჩნია პატივი და ღირსება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის გრძნობების განცდის, შესაბამისად, სულიერი ტანჯვის უნარს მოკლებულია.

მეორე ტიპური შეუსაბამობა სასამართლოს მიერ ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან გაიგივება იყო. ყველა ის ცნობა, რომელთა უარყოფაც სასამართლომ მოპასუხეებს დააკისრა, წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას, მაშინ, როცა, კანონმდებლობის თანახმად, ამ ტიპის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გავრცელებული ცნობები წარმოადგენს დადასტურებად ფაქტებს და არა მოსაზრებებს. ძალზედ ძნელია და პრაქტიკულად შეუძლებელი, ისეთი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცება, როგორცაა „ა-ტალანტი“, „ოთხფეხა პირუტყვები“, „რიონს გატანებული სინდისი“, „წყალში ჩაყრილი ელემენტარული კოლეგიალობა“. აქ უფრო ალერგორიებთან, შედარებებთან და მეტაფორულ გამონათქვამებთან გვაქვს საქმე, ვიდრე ფაქტებთან, რომლებიც მტკიცებას ექვემდებარება. შეუძლებელია, საქართველოს ნებისმიერმა საშუალო მოქალაქემ სიტყვასიტყვით აღიქვას ზემოხსენებული რომელიმე გამონათქვამი და ცნობად მიიჩნიოს, ვთქვათ, ის, რომ ტელეკომპანია „რიონმა“ მართლაც გაატანა მდინარე რიონს სინდისი, რომელიც თავისთავად აბსტრაქტული რამ არის იმისათვის, რომ ვინმემ სასამართლო პროცესზე მისი მოძრაობის ტრაექტორია არკვიოს.

მესამე კანონშეუსაბამობა, რომელიც სასამართლომ დაუშვა, არის ის, რომ მოპასუხეს დააკისრა ბოდიშის მოხდა მაშინ, როცა ბოდიშის მოხდის ინსტიტუტს იმ დროისათვის კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებდა.

სასამართლოს ამასთანავე არ გაუთვალისწინებია არც ის, თუ რა კონტექსტში

¹⁰⁴ იხ. „რიონი“ „ქუთაისის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 299.

გააკეთა ტელეკომპანია „ქუთაისმა“ სადავო კომენტარი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ „პირველი თავდასხმა“ ტელეკომპანია „ქუთაისის“ მხრიდან არ ყოფილა ინიცირებული. „ქუთაისის“ მიერ მომზადებული სიუჟეტი მხოლოდ და მხოლოდ პასუხი იყო ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში გასული სიუჟეტისა, რომელიც, თავის მხრივ, მოპასუხებ არაკოლეგიალურად და მათ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად მიიჩნია. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ევროსასამართლოს ის პრაქტიკა, რომელიც საჯარო დისკუსიასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა. სახელდობრ, საჯარო დისკუსიაში მონაწილე მხარეებს თმენის მეტი ვალდებულება აქვთ, ვიდრე რიგით მოქალაქეებს, რადგან ისინი თავიდანვე ნებაყოფლობით დათანხმდნენ, ჩაბმულიყვნენ ამ დისკუსიაში და ეთმინათ მათ მიმართ გავრცელებული ყველაზე მწვავე განცხადებებიც კი.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, გაზეთ „შანსი+“-ის, ბონდო ჭურდაძისა და გოგიტა მელიქიძის საქმე

მოცემულ დავაზე სასამართლომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, როდესაც დაუშვებლად გამოაცხადა ხმათა უმრავლესობით არჩეული „ერის წინამძღოლის“ კრიტიკა.

საქმე შეეხებოდა გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხს. სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეიძლება გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც თუმცა თვითონ არ არის სახელის და ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. ასეთი ინტერესი კი მოსარჩლეს გარდაცვლილი მეუღლის სახელისა და ღირსების მიმართ უდავოდ გააჩნდა. სხვა საკითხია, რამდენად შეიძლებოდა მიჩნეულიყო მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ გავრცელებული მოსაზრებები სამართლებრივი დავის საგნად და რამდენად შეიძლებოდა სიკვდილის შემდეგ სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური კომპენსაციის მოთხოვნა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავად სტატია იმგვარი ფორმით იყო გადმოცემული, რომ შეუძლებელი იყო, მასში მოყვანილი ცნობები ვინმეს სინამდვილედ აღექვა. სტატია უფრო სატირულ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომი იყო, რაც ზრდიდა მისი შინაარსის დაცვის აუცილებლობას. მაგალითად, აშკარაა, რომ გამონათქვამი – „ბერავი კონსტანტინე, გაკრულ ბაღლ ჰყოლია“ – წარმოადგენს არა მტკიცებას ფაქტის შესახებ, არამედ ლიტერატურულ-მხატვრულ გამონათქვამს, რომელიც მტკიცებას არ ექვემდებარება.

მართალია, ქართული სასამართლოების პრაქტიკისთვის უცხო არ არის კრიტიკული აზრის შეზღუდვის პრაქტიკა, მაგრამ განსახილველი საქმე ამ ტიპის დავებიდანაც კი გამორჩეულია, რადგან სამოტივაციო ნაწილში იმპერატიულად უთითებს, თუ ვისი მიჩნევა არ შეიძლება მშიშრად და მხდალად. ეერძოდ:

თბილისის საოლქო სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ისეთი ცნობის უარყოფა, როგორცაა „თავისი სიმხდალისა და უცნაური „ნარიადის“ გამო სასწრაფოდ უკან შებრუნდა“; ხოლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ არ შეიძლება ზვიად გამსახურდიას მოხსენიება მშიშრად და მხდალად, რადგან იგი საზოგადოებას ქვეყნისა და ერის წინამძღოლობის ღირსად ჰყავდა მიჩნეული. ხმათა დიდი უმრავლესობით გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევა კი საოლქო სასამართლომ მიიჩნია ერთსულოვან საზოგადოებრივ შეფასებად, რომელიც მოსამართლეთა ლოგიკის თანახმად, გადასინჯვას არ ექვემდებარება. სასამართლოს ლოგიკას რომ მივყვეთ, ცხადია, ძალზედ შორს წავალთ და გამოვა, რომ აქამდე არჩეული ყველა პირის კრიტიკა, იქნება ეს საქართველოს პრეზიდენტი, საკრებულოსა თუ პარლამენტის დეპუტატი, ტაბუდადებული ყოფილა; ხოლო არჩევნებში დამარცხებულთა, რაგინდ უშიშარები არ უნდა იყვნენ ისინი, – ნებადართული.

ბუნებრივია, მსგავსი შეზღუდვები უცხოა დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომელიც თავადაა დაინტერესებული კრიტიკული აზრის ნახალისებით, რადგანაც დემოკრატიის არსი სწორედ პლურალიზმშია. ამ ტიპის სასამართლო გადაწყვეტილების კომენტარებისას გაცილებით იოლია პარალელების ძიება ისეთი ტიპის ქვეყნებში, სადაც პრეზიდენტის შეურაცხყოფა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი დანაშაულია, როგორც ეს ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანშია.

მართალია, თავად აღნიშნული დავის სასამართლოში განხილვა ქუჩაში პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა მიტინგების ფონზე მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ვერ გამოდგება იმ სასამართლო გადაწყვეტილების გასამართლებლად, რომელსაც რომელიმე თურქმენული ტიპის სახელმწიფოსთვის პრეცედენტული ძალა ექნებოდა.

რომან კვაჭაძის, გაზეთ „ლანჩხუთი Plus“- ისა და ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების საქმე

აღნიშნულ საქმეზე¹⁰⁵ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება, რაც ზემდგომი ინსტანციის მხრიდან მისი

¹⁰⁵ იხ. რომან კვაჭაძე „ლანჩხუთი Plus“-ის, ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ, კარი II, გვ. 319.

გაუქმების საფუძველი გახდა, კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ მახინჯ სასამართლო პრაქტიკაზე, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეით რეგიონებში იჩენდა თავს.

რაიონული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება ენინაალმდეგება როგორც სამოქალაქო კოდექსს, ისე *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონსაც*.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ თავად სადავო სტატიის თემატიკა წარმოადგენდა საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანს, რადგანაც ეხებოდა მოცემული რაიონისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ საჯარო დებატები განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს.

სასამართლოს არც ის მიუღია მხედველობაში, რომ კრიტიკის ობიექტი იყო საჯარო პირი, რომლის მიმართაც დასაშვები კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ. ამდენად, ყურნალისტს სრული უფლება ჰქონდა, გამოეთქვა შეფასებები მათი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის საპარლამენტო საქმიანობის შესახებ; რაიონულ სასამართლოს კი არ ჰქონდა არავითარი სამართლებრივი საფუძველი, შეფასებითი მსჯელობის უარყოფა და ეკისრებინა საინფორმაციო საშუალებისათვის. მით უფრო, რომ ბევრი გამოწინათქვამი შეკითხვის ფორმით იყო ფორმულირებული და საერთოდაც სათუო იყო, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო მათი უარყოფა. მაგალითად, ისეთების, როგორიცაა *„მატყლის საჩეჩად გაგიშვა ლანჩხუთმა პარლამენტში?“* ან *„დავიჯერო სამივე მოსმენის დროს გეძინა?“*

ქუთაისის საოლქო სასამართლოს მხრიდან ხსენებული გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი გახდა ის, რომ ქვემდგომმა ინსტანციამ არასწორად მოახდინა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის განმარტება.

დემოკრატიული აღორძინების კავშირის

ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციისა და თემურ შაშიაშვილის საქმე განსახილველი საქმე იმ იშვიათ გამოჩაქლისთაგანია, რომელიც სამართლებრივად არის დასაბუთებული. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ მოპასუხე მხარეს ამ შემთხვევაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული წარმოადგენდა.

სამართლებრივი დავის ინიციატორი იყო იურიდიული პირი, რომელსაც პატივი და ღირსება არ გააჩნია. მეტიც, მას არც საქმიანი რეპუტაცია გააჩნია, რადგანაც წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არ შეიძლება მოგვევლინოს მხარედ კომერციულ ურთიერთობებში; არა აქვს საქმე პარტნიორობთან,

რომელთაც შეიძლება, თავი აარიდონ მასთან საქმიან ურთიერთობას მესამე პირების მიერ გავრცელებული ამა თუ იმ ცნობის გამო; მას არ შეიძლება მიადგეს ქონებრივი ზიანი. პოლიტიკური პარტიის იმიჯის და „საქმიანი რეპუტაციის“ განმსაზღვრელი ერთადერთი კრიტერიუმი არის არჩევნები. შესაბამისად, იმისათვის, რათა ამომრჩეველმა გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, პოლიტიკის (და პოლიტიკური პარტიის) შესახებ დისკუსია უნდა იყოს შეუზღუდავი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო ცნობებში არ არსებობდა ცალსახად იდენტიფიცირებული პირი. პარტიის იმ წევრის ვინაობაც რომ დასახელებულიყო, რომელსაც შეეხებოდა მოპასუხის საჯარო განცხადება, სასამართლოს მაინც არ უნდა დაექმყოფილებინა სარჩელი, რადგან პოლიტიკური პარტია ნებისმიერ შემთხვევაში არასათანადო მოსარჩლე იქნებოდა.

ცხადია, დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა ვახდეს ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის უკეთესის არჩევის საშუალებას იძლევა. აღნიშნული კონფლიქტი, პირველ რიგში, საჯარო დებატების კონტექსტში უნდა განვიხილოთ და გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოდავე პარტიას ჰქონდა საშუალება, პასუხი გაეცა სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებაზე და ადეკვატური ინფორმაცია მიენოდებინა საზოგადოებისათვის.

პირადი ცხოვრების ხელშეხელობა

გ.ხ.-სა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმე

საინფორმაციო საშუალებამ ამ შემთხვევაში მოახდინა როგორც მოსარჩლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა, ასევე მის მიმართ დიფამაციური ფაქტების გავრცელებაც. ის, რომ აღნიშნული დავა მორიგებით დასრულდა და მედია საშუალებამ მოსარჩლეს გარკვეული კომპენსაცია გადაუხადა, თავისთავად არის დანაშაულის აღიარების ტოლფასი.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გულისხმობს ინდივიდუალური ინტერესების პრიმატს საზოგადოებრივ ინტერესებზე. საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესობაზე საუბარი კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა არსებობს ინდივიდის პირად ცხოვრებაში ჩარევის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. აღნიშნულ საქმეზე კი ასეთი ინტერესი, ანუ პირად ცხოვრებასა და ინფორმაციის მიღებაზე საზოგადოების მოთხოვნას შორის ბალანსის დარღვევის აუცილებლობა არ არსებობდა.

ტელეკომპანიამ გამაყვანა ისეთი პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, როგორცაა შვილად აყვანის საიდუმლოება. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის საიდუმლოების გამჟღავნებისაგან დაცვას ითვალისწინებს არა მარტო სამოქალაქო კანონმდებლობა, არამედ სისხლის სამართლის კოდექსიც. აღნიშნული ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც საინფორმაციო საშუალების მხრიდან პირის პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი შეჭრა, რადგან მოსარჩლეს ჰქონდა პირადი საიდუმლოს დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ბევრი დემოკრატიული ქვეყნის ეთიკის კოდექსი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება ისეთი საკითხების გაშუქებას, რომელიც კონკრეტული ბავშვის ბედთან არის დაკავშირებული. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ქცევის კოდექსი კრძალავს ბავშვისგან ინტერვიუს აღებას ან მისთვის სურათის გადაღებას მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე.¹⁰⁶ განსახილველ შემთხვევაში კი საინფორმაციო საშუალებამ ისე გააშუქა ბავშვის ინტერვიუ, რომ არა თუ მშობლის ნებართვა არ აუღია, არამედ მოახდინა ბავშვის იდენტიფიცირება, არ გამოიყენა შტრიხი, მისი სახის დასაფარავად. შესაბამისად, მედია საშუალებამ არ გააცნობიერა ის შესაძლო ზიანი, რომელიც მოზარდთან დაკავშირებული პირადი საკითხების გაშუქებას მომავალში შეიძლება, მოჰყოლოდა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ცნობები, რომლებიც მოსარჩლემ მისი პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნია ეფუძნებოდა მისი მცირეწლოვანი შვილის ინტერვიუს. სახელდობრ, დედას ბრალდებოდა შვილის გაუპატიურება, ნარკომანობა და ლოთობა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბავშვის მცირეწლოვანი ასაკიდან გამომდინარე, ის ვერც კი აცნობიერებდა მის მიერ მიცემული ინტერვიუს შინაარსს და გავრცელებული ცნობები, შესაძლოა, მისი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა. სექსუალური ძალადობის ფაქტები სასამართლოში კიდევაც რომ დადასტურებულიყო, ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში უხეშ ჩარევასთან გვექნებოდა საქმე. პირველ რიგში იმიტომ, რომ მოხდა მსხვერპლის იდენტიფიცირება, რასაც შესაძლოა, მავნე ზეგავლენა მოეხდინა მოზარდის მომავალზე. ამდენად, თუ ჟურნალისტს ამ საქმისადმი საზოგადოებრივი ინტერესი ამოძრავებდა, მას, პირველ რიგში, ბავშვის კეთილდღეობა უნდა მიეღო მხედველობაში და ისე წარმოეჩინა სექსუალური ძალადობის პრობლემა.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოზარ-

¹⁰⁶ იხ. „მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია“. თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2004

დილებთან დაკავშირებული საკითხები აქ ექვემდებარება თვითრეგულირებას და არა სამართლებრივ რეგულირებას, მაგრამ სპეციალური საკანონმდებლო ნორმის არარსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე შემთხვევა¹⁰⁷, რომლითაც მედიას ბავშვის პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული ინფორმაციების გამოქვეყნება აეკრძალა.

პრესა სარგებლობს გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის სიტყვის თავისუფლებით, მაგრამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენციის თანახმად, მას ამავე დროს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, „არ გადააბიჯოს იმ ზღვარს, რაც დადგენილია სხვა პირთა უფლებების დასაცავად“.

კომერციული გამოხატვა

„საქართველოს ავიახაზებისა“ და

„აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ საქმე

ძირითადი პრობლემა, რომელიც კომერციულ გამოხატვასთან დაკავშირებულ საქმეებში ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იჩენდა თავს, არის საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს, იდაოს პატივისა და ღირსების შელახვის და შესაბამისად, მორალური ზიანის კომპენსაციის გამო. ერთ-ერთი პირველი სასამართლო დავა კომერციულ გამოხატვასთან დაკავშირებით, სადაც თბილისის საოლქო სასამართლომ მოახდინა ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებების ერთმანეთში აღრევა, არის „საქართველოს ავიახაზებისა“ და „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ საქმე. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი საქმე, სადაც სადავო ვახდა ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია.

მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ, „საქართველოს ავიახაზებისათვის“ მორალური ზიანის სახით თანხის დაკისრება, კიდევ ერთხელ ნარმოშობს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების მკვეთრი გამოჯვანის აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კონკურენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო იურიდიულ პირს შეიძლება, შეელახოს საქმიანი რეპუტაცია და არა პატივი და ღირსება, რომელიც ფიზიკური პირებისგან განსხვავებით, მას არ გააჩნია. მართალია, იურიდიულმა პირმა არ შეიძლება მოითხოვოს მორალური ზიანის კომპენსაცია,

¹⁰⁷ ReZ(Aminor)(Identification and Restriction on Publication) (1997) Fam 1.

რადგან ის მორალური განცდების უნარს მოკლებულია, მაგრამ შეუძლია, პრეტენზია განაცხადოს ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონებრივი ზიანი გამონვეულია არასწორი ინფორმაციის გავრცელებით. ქონებრივი ზიანის არსებობა კი სასამართლო პროცესზე უნდა დაასაბუთოს მოსარჩლე მხარემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, მოსარჩლეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხეთა წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის შედეგად, მომხმარებელმა უარი განაცხადა ამ ავიაკომპანიის ფრენებით სარგებლობაზე, რის შედეგადაც მას მიაღწა მატერიალური ზიანი.

საქმიანი რეპუტაციის აღდგენის მიზნით კი საჭიროა, იურიდიულმა პირმა მოითხოვოს გავრცელებული ცნობების უარყოფა, რაც მოსარჩლეს არ გაუქვთებია.

გარდა იმისა, რომ საოლქო სასამართლომ არასწორად დააკისრა მხარეს მორალური ზიანის ანაზღაურება, არაგონივრული იყო თავად კომპენსაციის ოდენობაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სასამართლომ მოპასუხე მხარეს უპრეცედენტო კომპენსაცია დააკისრა.

რაც შეეხება ევროსასამართლოს პრაქტიკას, უნდა ითქვას, რომ კომერციული გამოხატვის შეზღუდვის სასარგებლოდ გაცილებით მეტი არგუმენტი არსებობს, ვიდრე პოლიტიკური გამოხატვის შეზღუდვის. ბუნებრივია, მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის სტიმულირებისათვის კომერციული გამოხატვა რეგულირებას საჭიროებს. ასეთი რეგულირების აუცილებლობა კი მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მხარემ ვერ დაასაბუთა, რაც უზენაესი სასამართლოს მხრიდან ქვემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის კანონიერი საფუძველი გახდა.

2002
 წ ე ლ ი

განსახილველ პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩინა თავი პრობლე-
 მამ, რომელზეც ჩვენ წინა ნაწილში შევეჩერდით. ეს არის სასამართლო პრაქტიკის
 არაერთგვაროვნების პრობლემა, როდესაც არა თუ სხვადასხვა სასამართლოები,
 ერთი და იგივე მოსამართლეები არ არიან შებოჭილი მათ მიერვე მიღებული გა-
 დანყვეტილებებით. ყველაზე თვალნათლივ ეს წინააღმდეგობა სწორედ 2002
 წელს გამოვლინდა, როდესაც ათდღიან შუალედში საქართველოს უზენაესი სასა-
 მართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ორ იდენ-
 ტურ საქმეში¹⁰⁸ სხვადასხვაგვარად განმარტა საჯარო პირისადმი დასაშვები კრი-
 ტიკის ფარგლები, პოლიტიკური დებატების არსი, საზოგადოებრივი ინტერესის
 საგანი, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია.

დროის მცირე მონაკვეთში უზენაესი სასამართლოს მიერ, ერთის მხრივ,
ჩხარტიშვილი-ბერძენიშვილის საქმეზე ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო გადან-
 ყვეტილების მიღება, ხოლო, მეორეს მხრივ, *თარგამაძე-„რეზონანსის“* საქმეზე
 ერთ-ერთი სანიმუშოსი – ბადებს კითხვის ნიშნებს იმასთან დაკავშირებით, თუ
 რომელ შემთხვევაში მოქმედებდნენ მოსამართლეები კანონისა და საკუთარი
 რწმენის შესატყვისად. შესაძლოა, ისიც ითქვას, რომ თარგამაძის საქმის შემთ-
 ხვევაში პოზიტიური გადანყვეტილების მიღება იმ მკვეთრად უარყოფითი საზო-
 გადოებრივი აზრითაც იყო განპირობებული, რომელიც *ჩხარტიშვილის* საქმეზე

¹⁰⁸ იხ. ივანე ჩხარტიშვილი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 361. კახა
 თარგამაძე, ავთანდილ ჩხაიძე, ვასილ დავითაია, ზაქარია ვარაზიშვილი, ნიკოლოზ
 ივანიშვილი, ზურაბ უროტაძე, რევაზ მაჭავარიანი „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის
 წინააღმდეგ, კარი II, გვ. 371.

საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებას მოჰყვა. სასამართლო ბელისუფლებამ. როგორც ჩანს, გაიღვალისწინა ის სამნუხარო გამოცდილება, რომელიც 2001 წლის მემოდგონაზე სასამართლოს საწიციით ტელეკომპანია „რუსთვი-2“-ის მენობაში უმეორებოს სამასწრის თანამწრომლების მესვლას მოჰყვა. 2001 წლის ნოემბერში სიტყვის თავისუფლების დასაცავად თბილისში ბალმწრავალი დემონსტრაციები გაიმართა, საპროტესტო აქციები კი აღმასწრულბელი ბელისუფლების გადადგომით დასწრულა.

ერთის მწრე, საზოგადოებაში ლიბერალური ღირებულბებების არსებობა, ბოლო, მეორეს მწრე, უწლობლობა როგორც აღმასწრულბელი, ასევე სასამართლო ბელისუფლების მიმართ, განაპირობებდა იმ საფრთბეს, რომელიც სიტყვის თავისუფლების ბელყოფას მესაძლოა მოჰყოლოდა, ისე, როგორც ეს 2001 წლის ნოემბერში მოხდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი ზემოთ განხილული ორი ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ ბელისუფლებას (როგორც პოლიტიკურს, ასევე სასამართლოს) ჰქონდა სურვილი, გაეკონტროლებინა სიტყვის თავისუფლება, მაგრამ არ მესწედა უნარი, ყოველთვის ნარმატებით მგებლულა ეს ფუნდამენტური უფლება, რადგანაც განიცდიდა საზოგადოებრივი ნდობის სერიოზულ დეფიციტს.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ 2000-2002 წლებისათვის დამახასიათებელი იყო ერთგვაროვანი პრობლემები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ხარისხის სიმწვაით იჩენდა თავს. პოზიტიური ნიშნები გამოიკვეთა იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ მართებულად მოახდინა პირადი ცხოვრების უფლებასა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის ზღვარის გავლება იმ შემთხვევაში, როცა საქმე საჯარო პირის შესახებ არსებულ საჯარო ინფორმაციას ეხებოდა¹⁰⁹.

2002 წელს სასამართლოებმა მიიღეს 9 კანონშეუსაბამო და 9 დასაბუთებული, 1 ნაწილობრივ კანონიერი გადაწყვეტილება, 12 შემთხვევაში კი საქმეებს მხარეთა მორიგების, პროცესზე გამოუცხადებლობის ან სარჩელზე უარის თქმის საფუძვლით არ მიეკათ შემდეგი მსვლელობა.

¹⁰⁹ იხ. ჯემალ ენჯიბაძე „კრიმინალისა“ და ეკა ჩადუნელის ნინააღმდეგ, კარი 11, გვ. 344.

1. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

პოლიტიკური გამონახვა

ივანე ჩხარტიშვილისა და ლევან ბერძენიშვილის საქმე

აღნიშნულ საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გულანჯივტი-ღება კიდევ ერთხელ ცხადყოფს წართული სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებას და ეჭვგეგმ აყენებს საბარათელოს კონსტიტუციითა და აღნიშნულ უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით აღიარებულ იანთ ლიბერალურ ღირებულებას, როგორცაა აზრის თავისუფლება.

როდესაც სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებაზე საუბარი, ბუნებრივია, უნდა გაფიქსენოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ერთი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ევროსასამართლოს პრეტენდენტულ სამართალზე დაყრდნობით ასაბუთებდა დემოკრატიული საზოგადოებისათვის პოლემიკის აუცილებლობას და იმას, რომ საჯარო პირთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართო უნდა იყოს, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ. მბედელობაშია საქმე ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის იმავე სასამართლო შემადგენლობამ განიხილა, რომელმაც გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი მოცემულ საქმეზე. პირველი მენტხვევისაგან განსხვავებით, ჩხარტიშვილის საქმეზე უზენაესმა ინსტანციამ კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება გამოიტანა. სახელდობრ:

პირველ რიგში, სასამართლოს მბედელობაში უნდა მივიღო ის, რომ პოლიტიკური დებატების დროს გაკეთებული განცხადებები განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს ევროსასამართლოს იურიისპრუდენციის მიხედვით. ლევან ბერძენიშვილის განცხადებები კი გაკეთდა იმ პოლიტიკური დებატების ფარგლებში, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს – თანამდებობის პირთა დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციის შესახებ კანონპროექტს და საქართველოს ბევრი მოქალაქისათვის აქტუალურ საკითხს – მენაბრეთა თემას შეეხებოდა. უზენაესმა სასამართლომ ძალზედ ვინროდ განმარტა საჯარო პოლემიკის არსი, როდესაც განაცხადა, რომ ჩხარტიშვილს არაფერი შეურაცხმყოფელი არ უთქვამს ბერძენიშვილზე, ამ უკანასკნელს საპასუხო ქმედება რომ განეხორციელებინაო. უნდა ითქვას, რომ საჯარო პოლემიკა კორუფციის მწვავე პრობლემაზე მიმდინარეობდა თავად საზოგადოებაში და პრინციპში, დაუსაბუთებელი ქონების შესახებ

კანონის მიღების აუცილებლობაც სწორედ საზოგადოებრივმა მოთხოვნილებამ წარმოშვა. ამ დებატებში ჩაბმული იყვნენ არა მარტო პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, არამედ ის მეანაბრეებიც, რომელთაც გააჩნდათ კონკრეტული ფინანსური პრეტენზიები გაერთიანებული ქართული ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებლის, იმჟამინდელი ეკონომიკის მინისტრის – ვანო ჩხარტიშვილის მიმართ. ეჭვები საჯარო პირის – ვანო ჩხარტიშვილის ქონების კანონიერებასთან დაკავშირებით ლევან ბერძენიშვილს პირველს არ გამოუთქვამს. ასეთი ეჭვები საზოგადოებაში მანამდეც არსებობდა. უფრო მეტიც, ვანო ჩხარტიშვილის სახელი საზოგადოებაში ცალსახად იდენტიფიცირდებოდა მოპარული ანაბრების თემასთან. ამდენად, შეუძლებელი იყო ლევან ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიჩნევა ფაქტებად, რომელიც მტკიცებას საჭიროებს, რადგანაც მისი განცხადებები ზუსტად ასახავდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მოსაზრებებს. იმის გათვალისწინებით, რომ ლევან ბერძენიშვილი არ ყოფილა „პიონერი“, ვინც ჩხარტიშვილზე პირველმა განახორციელა თავდასხმა, მოსარჩლეს სულ მცირე იმ 200 მეანაბრის წინააღმდეგაც უნდა აღედრა დიფამაციის ბრალდებით საქმე, რომელიც გაერთიანებული ქართული ბანკისგან დაზარალებულად თვლიდა თავს და მოგვიანებით ამის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც კი მიმართა სარჩელით. ლევან ბერძენიშვილს თავისი განცხადებებით არ შეუქმნია ნეგატიური აზრი მოსარჩლის შესახებ, ეს შეხედულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებაში საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო.

ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ პირის, საგნის ან მოვლენის შესახებ და თავისუფლად გამოხატოს თავისი სუბიექტური შეხედულებები; ასევე განაზოგადოს კონკრეტული ფაქტები და მოვლენები, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა. მოსაზრებები და შეფასებები არ იწვევს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. საჯარო მოხელეების შემთხვევაში კი გამოხატვის თავისუფლება გაცილებით მეტი დაცვით სარგებლობს, მით უფრო, თუ საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საგანს ეხება.

საკმაოდ ბუნდოვანია, საერთოდ, როგორ უნდა მოხდეს ისეთი გამონათქვამების უარყოფა, როგორიცაა, მაგალითად, „მან ყველაზე მეტი მოიპარა“. იმისათვის, რომ მოპასუხემ შეძლოს ამ გამონათქვამის სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცება, მან არა მარტო ჩხარტიშვილის მიერ ქონების მოპარვის ფაქტი უნდა დაადასტუროს, არამედ ისიც, რომ სხვა სახელმწიფო მოხელეებმა მასზე ნაკლები მოიპარეს. ასეთი სახელმწიფო მოხელეების რაოდენობა კი ათეულ ათასამდე შეიძლება იყოს.

რაც შეეხება „გურული მაფიის“ წევრობას, იგი უფრო მოსარჩლის მიმართ მოპასუხისა და იმ მეთაურების განზოგადებულ დამოკიდებულებას გამოხატავს, რომლებიც იმ დროისათვის ქართულ პრესაში ხშირად გამოთქვამდნენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას გაერთიანებული ქართული ბანკის სამი დამფუძნებლის შესახებ, რომლებიც წარმოშობით გურიიდან არიან.

საქმეზე კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და აზრების გამოთქმის უფლებას, რომლებიც შეურაცხმყოფელი, აღმამფოთებელი და შემაწუხებელია. დაცვას ექვემდებარება ისეთი ინფორმაციებიც, რომლებიც შეურაცხყოფს, აღიზიანებს ან შოკს ჰგვრის სახელმწიფოს ან საზოგადოების გარკვეულ ფენას“. ამ ნორმის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, საზოგადოების ყურადღება მიაპყროს საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხის განხილვას და ამისათვის მწვავე გამოთქმები გამოიყენოს.

სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ისიც, რომ მოსარჩლე წარმოადგენდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირს, რომლის ქონებრივი მდგომარეობით დაინტერესების კანონიერი უფლება ჰქონდა საზოგადოებას. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი კი თავად საჯარო მოხელეს ავალდებულებს, თანამდებობის დაკავებისას, შემდეგ კი ყოველწლიურად წარუდგინოს საზოგადოებას მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია და შესაბამისად, დაასაბუთოს ყველა შემოსავალი თუ ქონება, რომელიც მას გააჩნია. ეს საკანონმდებლო ნორმა კი იმას ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი მაღალი რანგის საჯარო მოხელის ქონების კანონიერებასთან დაკავშირებით თავად საჯარო მოხელეს ეკისრება და შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის ნაცვლად მტკიცების ტვირთი მოსარჩლეზე უნდა გადახანილებულიყო.

დაბოლოს, მოცემულ შემთხვევაში ვანო ჩხარტიშვილის ქონების მიმართ ინტერესი განაპირობა მისმა პოზიციამ დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით. საზოგადოებას აქვს უფლება, ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა მოტივი ამოძრავებს ამა თუ იმ თანამდებობის პირს საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტისას. იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა აშკარა ინტერესთა კონფლიქტი, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, გამოთქვას თავისი შეხედულება კონკრეტული ჩინოვნიკის პირადი ანგარებითი ინტერესების შესახებ. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, მოქალაქეებს „მოხელეების ქმედებებთან დასაპირისპირებლად სიტყვის გარდა სხვა ბერკეტი ხშირად არ გააჩნიათ“.

ლიზამაცია

ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდისა და „დილის გაზეთის“ საქმე ეს არის მესამე სამართლებრივი დავა¹¹⁰, რომელიც გარდაცვლილი პირის სახელისა და ღირსების დაცვას უკავშირდება და რომელიც წინა საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

პირველ რიგში, გასარკვევი იყო სათანადო მოსარჩლეობის საკითხი და ის, თუ რამდენად ადეკვატური იყო ამ შემთხვევაში მოსარჩლის მოთხოვნა.

იმისათვის, რომ პირმა მოითხოვოს გავრცელებული არასწორი ცნობების გამო მოპასუხისათვის გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრება, აუცილებელია, რომ სადავო ცნობები ეხებოდეს უშუალოდ მას. გამონაკლისს ამ საერთო წესიდან წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც პირი ჩივის არა მისთვის მიყენებული მორალური ზიანის გამო, არამედ იგი ჩივის გარდაცვლილი პირის სახელისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების გამო. ამ შემთხვევაში მოსარჩლეს უნდა გააჩნდეს გარდაცვლილი პირის სახელის დაცვის ღირსი და სათანადო ინტერესი, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლშია მითითებული. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც.

მართალია, იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით, ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდს, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს, შესაძლოა, ჰქონოდა იმ ადამიანის სახელის დაცვის ღირსი ინტერესი, რომლის სახელსაც თავად ატარებდა, მაგრამ ფონდს ამგვარი სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოსთვის არ ნაუყენებია. მოსარჩლემ მოითხოვა ოთარ კვანტრიშვილის სახელობის ფონდის წინაშე ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

პირველ რიგში, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გავრცელებული ცნობები ეხებოდა გარდაცვლილ პირს და არა ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდს. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა არასწორად იყო ფორმულირებული, რადგან მხარეს უნდა ედავა არა საკუთარი საქმიანი რეპუტაციისათვის, არამედ გარდაცვლილის სახელისა და ღირსების გამო.

რაც შეეხება მორალური ზიანის კომპენსაციას და ბოდიშის მოხდას, როგორც ადრე განხილულ საქმეებში აღვნიშნეთ, იურიდიულ პირს მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა არ შეუძლია, ხოლო ბოდიშის მოხდას არ ითვალისწინებს არსებული კანონმდებლობა. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი

¹¹⁰ იხ. ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდი „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 337.

რეპუტაციის შელახვისათვის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა კი სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

მართალია, რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოდავე მხარის უსაფუძვლო მოთხოვნა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი მოტივი მან სრულიად სხვაგვარად განსაზღვრა. სახელდობრ, სარჩელის არდაკმაყოფილების ძირითად საფუძვლად სასამართლომ მიუთითა ის, რომ ჟურნალისტმა მასალა გამოაქვეყნა ერთ-ერთი რუსული ვებ-გვერდის ინფორმაციის საფუძველზე.

სასამართლომ მიუთითა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონზე, რომელიც ათავისუფლებს ჟურნალისტს პასუხისმგებლობისაგან არასწორი ცნობების გავრცელებისათვის, თუ ასეთი ცნობები მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებიდან ან სახელმწიფო ორგანიზაციების პრეს-სამსახურებიდან.

ცხადია, ამ შემთხვევაში იმაზე კამათი, აღნიშნული ვებ-გვერდი სააგენტოს წარმოადგენს თუ ელექტრონულ გამოცემას, აზრს მოკლებულია, რადგან მედია საშუალებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება ისედაც არ შეიძლებოდა სარჩელის უსაფუძვლობის გამო, რაზეც ჩვენ დეტალურად ზემოთ ვისაუბრეთ.

მოგელი ტყებუჩავას, გაზეთ „ფოთისა“ და ხათუნა ცომაიას საქმე ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე¹¹¹ გამოტანილი განწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებში განსაკუთრებით სცოდავენ სასამართლოები რეგიონებში. მით უფრო, ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონფლიქტი მედია საშუალებასა და საჯარო პირებს შორის იჩენს თავს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ პირველივე ცნობა, რომლის უარყოფაც ფოთის საქალაქო სასამართლომ ჟურნალისტს დაავალა, წარმოადგენდა შეფასებას, რომელიც მტკიცებას არ ექვემდებარება. შეუძლებელია, ჟურნალისტს მოსთხოვო იმის დამტკიცება, თუ რატომ ჩათვალა მან, რომ მოგელი ტყებუჩავა პრეზიდენტთან ცრუობდა.

მიუხედავად იმისა, დამტკიცდებოდა თუ არა აღნიშნული განცხადების საფუძვლიანობა, აშკარაა, რომ მოგელი ტყებუჩავას, როგორც ფოთის საკრებულოს თავმჯდომარესა და შესაბამისად, საჯარო თანამდებობის პირს, თმენის მეტი ვალდებულება მართებდა, ვიდრე რიგით მოქალაქეს.

¹¹¹ იხ. მოგელი ტყებუჩავა „ფოთისა“ და ხათუნა ცომაიას წინააღმდეგ, კარი II, გვ. 351.

რაც შეეხება საქალაქო სასამართლოს მიერ ჟურნალისტიკისათვის მეორე ფრაზის უარყოფის დაკისრებას, უნდა ითქვას, რომ სადავო გამონათქვამი (მოგელი ტყებუჩავას არ ჰქონდა უფლება, საკრებულოს სახელით მოენერა ხელი ფოთის თბოელექტროსადგურის მშენებლობის ხელშეკრულებაზე) ეფუძნება კანონს, რომლითაც განსაზღვრულია საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების საკითხი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასამართლომ არასწორად მიუთითა და განმარტა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის „პ“ პუნქტი, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება ქალაქის საკრებულოს კომპეტენციაა. აღნიშნული ნორმა სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რომ საკრებულოს თანხმობის გარეშე საკრებულოს თავმჯდომარეს აქვს ამგვარი ხელშეკრულების დადების უფლება. სწორედ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ კანონის დარღვევის თაობაზე მიუთითებდა ჟურნალისტი როგორც სტატიის, ასევე მის მიერ სასამართლო განხილვისას მიცემულ ახსნა-განმარტებაში, როდესაც განაცხადა, რომ მოსარჩლეს არ ჰქონდა უფლება, ხელი მოენერა 1999 წლის 15 იანვარსა და 2000 წლის 5 მაისს დადებულ ხელშეკრულებაზე, საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე და ამავე საფუძველზე, პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილზე. ეს ფაქტობრივი გარემოება კი საკმარისი იყო ჟურნალისტიკისათვის, გაეკეთებინა ის შეფასება, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

როდესაც წარმოიშობება კონფლიქტი პრესის თავისუფლებასა და პოლიტიკოსის რეპუტაციის დაცვას შორის, ევროსასამართლოს იურისპრუდენციის თანახმად, წვერი სახელმწიფოების სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ პროპორციულობის პრინციპი და დაადგინონ, არის თუ არა ჟურნალისტიკის მიმართ გამოტანილი განაჩენი აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ამ დროს მათ უნდა გამოიყენონ სტრასბურგის სასამართლოს მიერ შემუშავებული ის ძირითადი პრინციპები, რომელთა თანახმად, პოლიტიკოსების მიმართ დადგენილი დასაშვები კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართოა, ვიდრე კერძო პირთა მიმართ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიას განსაკუთრებული სტატუსი აკისრია და მას არა მარტო ნება, არამედ ვალდებულებაც აქვს, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია მისთვის საჭირო როგორც საკითხებზე და შეასრულოს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქცია.

მოცემულ შემთხვევაში საჯარო პირის მიერ კანონის დარღვევაზე მითითების გზით ჟურნალისტი სწორედ ამ ფუნქციას ასრულებდა.

კახა თარგამაძის, ავთანდილ ჩხაიძის, ვასილ დავითიას, ზაქარია ვარაზიშვილის, ნიკოლოზ ივანიშვილის, ზურაბ უროტაძის, რევაზ მაჭავარიანის, გახეთ „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის საქმე უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება რადიკალურად განსხვავდება ამ პერიოდში განხილული იმ საქმეებისაგან, რომლებიც საჯარო პირის პატივსა და ღირსებას უკავშირდება. თარგამაძე – „რეზონანსის“ საქმე ქართული სასამართლოების პრაქტიკაში იმ ერთეულ გადაწყვეტილებათა შორისაა, რომლებიც სამართლებრივად დასაბუთებულია და ეფუძნება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

ერთადერთი, რაც ამ გადაწყვეტილებაში, შესაძლოა, საკამათო იყოს, არის ის, რომ სასამართლოს დასაშვებად მიაჩნია შეფასებისა თუ მოსაზრების გამო პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. სასამართლოს აზრით, თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი. გადაწყვეტილებას შემოაქვს ახალი ცნება – ინფორმაცია შეფასების შესახებ, რომელიც, ამავდროულად ცნობასაც წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსი კი მხოლოდ იმ ცნობათა გამო ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობა ვერ დასტურდება. დაუშვებელია პირის იძულება, ფაქტებით გაამყაროს მის მიერ გამოთქმული შეფასებები. თუ პირი ვერ შეძლებს სათანადო ფაქტების მოყვანას იმის დასადასტურებლად, რომ, ვთქვათ, X-ი უზნეო პრეზიდენტია, არ შეიძლება დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. იმ დროს, როცა ერთსა და იმავე განცხადებაში პირი ფაქტებზეც საუბრობს და, ამავე დროს, ახდენს ამ ფაქტების შეფასებას, პასუხისმგებლობა მას მხოლოდ არასწორი ფაქტების გავრცელებისათვის უნდა დაეკისროს.

ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში ხაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის განსაკუთრებულ მისიას, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც საყოველთაო ინტერესის საგანია და რომ პოლიტიკოსი, რომელიც ახორციელებს სარისკო მოქმედებას, თავად აქცევს თავს ჟურნალისტებისა და საზოგადოების მხრიდან თავდასხმების ობიექტად.

გ. ჭუმბურიძისა და გ. დიდბარიძის საქმე

განსახილველ დავაში¹¹³ გამოიკვეთა მოპასუხის მხრიდან ისეთი ცნობების გავრცელების ფაქტი, რომელიც ცდება ყოველგვარი გონივრული კრიტიკის ფარგლებს და იგი გადაზრდილია პიროვნების აშკარა შეურაცხყოფაში, რაც არ არის დაცული არც საქართველოს კანონმდებლობით და არც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენციით.

გ. დიდბარიძემ გაზეთ „რეზონანსის“ მეშვეობით გაავრცელა მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, როდესაც ბრალი დასდო ამ უკანასკნელს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები ცილისწამებისთვის გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. თუმცა მოსარჩლე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოითხოვდა, რომ როგორც საქმის განხილვისას გაირკვა, გ. დიდბარიძე არ მოქმედებდა ბრალით. კერძოდ, იგი შეცდომაში შეიყვანა სამინისტროს იურისტმა, რომელმაც არასწორად განუმარტა მოპასუხეს სისხლის სამართლის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 84-ე მუხლი და 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღსანიშნავია, რომ ხსენებული საკანონმდებლო ნორმები სრულიად სხვა ტიპის დანაშაულს შეეხება.

თუმცა მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ გ. დიდბარიძე არ წარმოადგენდა ჟურნალისტს, იგი სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე იყო და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება დაცვის ის ზომები, რასაც ჟურნალისტური სიტყვის თავისუფლება ითვალისწინებს. ცხადია, სახელმწიფო მოხელეს უფრო მეტი დაკვირვება და ზუსტი ინფორმაციების გავრცელება მოეთხოვება, რადგან ის, როგორც საჯარო პირი, მსგავსი განცხადებების გაკეთებისას სახელმწიფოს სახელით გამოდის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოპასუხე მხარე არ წარმოადგენდა საჯარო ფიგურას, იგი იყო ბიზნესმენი, ერთ-ერთი შპს-ს დირექტორი. შესაბამისად, მას გააჩნდა საქმიანი რეპუტაცია, რაც აშკარად შეილახა მინისტრის მოადგილის მიერ გავრცელებული არაზუსტი ცნობებით.

იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო მის მიერ გავრცელებული აშკარად შეურაცხმყოფელი ფაქტების ნამდვილობის დადასტურება, სასამართლომ მიიღო მართებული გადაწყვეტილება, თუმცა საკამათოა გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც მორალური ზიანის კომპენსაციას ითვალისწინებს. სახელდობრ:

რაიონული სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის 5000 ათასი ლარის დაკის-

¹¹³ იხ. გ. ჭუმბურიძე გ. დიდბარიძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 379.

რება წარმოადგენს აშკარად არაპროპორციულ სანქციას, რამაც შესაძლოა, „გამყინავი ეფექტი“ მოახდინოს სიტყვის თავისუფლებაზე და მომავალში არა მარტო ამ კონკრეტულ მოპასუხეს, არამედ სხვა პირებსაც გადააფიქრებინოს ამა თუ იმ პირის შესახებ კრიტიკული მოსაზრების გავრცელება¹¹³. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ასევე სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ფულადი თანხის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების წესით.

მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ ფულადი თანხის ოდენობა 2000 ლარამდე შეამცირა, ასეთი კომპენსაციის დაკისრება მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ფინანსური სანქცია მინიმუმ 4-ჯერ აღემატებოდა მინისტრის მოადგილისთვის იმ დროს განსაზღვრული ჯამაგირის ოდენობას. უნდა აღინიშნოს ის წინააღმდეგობაც, რაც არაერთგვაროვანი პრაქტიკის შედეგად იჩენს თავს. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს თითქმის იდენტურმა მოსამართლეთა შემადგენლობამ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ორი დღით ადრე განიხილა „დილის გაზეთსა“ და გ. ჭუმბურიძეს შორის წარმოქნილი დავა¹¹⁴, სადაც სასამართლომ ამ უკანასკნელის პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნია გავრცელებული ცნობები მოსარჩლის სასამართლობის შესახებ. უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ მოპასუხისათვის 3 ათასი ლარის დაკისრება არაადეკვატური ზომა იქნებოდა და გონივრულ სანქციად 100 ლარი განსაზღვრა. მართალია, ამ შემთხვევაში საქმე მედია საშუალებას ეხებოდა, ზემოხსენებულში კი – საჯარო პირს, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ ორთავე შემთხვევაში ცნობების გავრცელება ბრალეული მოქმედებით არ ყოფილა გამოწვეული.

მამუკა ნოზაძისა და რეზო კლდიაშვილის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ დავაზე¹¹⁵ საქმის წარმოება თავად მოსარჩლის მოთხოვნით შეწყდა, საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს იმ ეპიზოდზე, რომელიც სასამართლოს მიერ უპრეცედენტო განჩინების მიღებას უკავშირდება. კერძოდ:

¹¹³ სანქციის ოდენობის პროპორციულობის მნიშვნელობის შესახებ დანვრილებით იხილეთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Tolstoy Miloslavsky v. United Kingdom*, 13 July, 1995.

¹¹⁴ იხ. გურამ ჭუმბურიძე „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 376.

¹¹⁵ იხ. მამუკა ნოზაძე რეზო კლდიაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 387.

სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის, გორის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის შუამდგომლობა გაზეთ „ახალი თაობიდან“ ისეთი მტკიცებულების გამოთხოვნის შესახებ, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა განხილვის საგანთან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებების გამოთხოვნის თაობაზე სასამართლო აკმაყოფილებს მხოლოდ იმ შუამდგომლობას, რომლითაც მხარე დაადასტურებს, რომ აღნიშნული მტკიცებულება არსებითია მისი პოზიციის დასაცავად.

22 პუნქტიანი შუამდგომლობის შინაარსის გაცნობას არა თუ მოსამართლე, საშუალო დონის მოქალაქეც კი, რომელსაც სპეციალური იურიდიული კვალიფიკაცია არა აქვს, უნდა გადაერწმუნებინა ასეთი მტკიცებულებების გამოთხოვნის აუცილებლობაში. ასე მაგალითად, ყურნალისტის დაბადების თარიღს, თანამდებობას, სტაჟს და ლამის მეზობლის დახასიათებას, არავითარი კავშირი არა აქვს ერთი სუბიექტის მიერ მეორის შესახებ გავრცელებულ ცნობებთან და მათი უტყუარობის მტკიცებასთან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა სახის ნებართვების მოთხოვნა – გავრცელებაზე, მივლინებაზე და ა.შ.; ინფორმაციის მოპოვების მეთოდების დაზუსტება, როგორც ინფორმატორებისგან, ასევე ყურნალისტებისაგან; რედაქციის დავალდებულება, წარმოადგინოს გაზეთის რეგისტრაცია და წესდება – არ შეესაბამება წარმოდგენებს დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის რეგულირების ფორმების შესახებ. ინფორმაციის გავრცელებისათვის რაიმე ნებართვის ან რეგისტრაციის აუცილებლობა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

შესაძლოა ითქვას, რომ ქართული სასამართლოების პრაქტიკაში ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა სასამართლო და მოპასუხე მხარე, რომელიც ამჟღადროულად გორის პოლიციის სამმართველოს წარმოადგენდა, შეეცადნენ ამოქმედებინათ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონში არსებული ის რუდიმენტული ნორმები, როგორიცაა ბეჭდური მედიისთვის სპეციალური რეგისტრაციის არსებობა, ყურნალისტისათვის სპეციალური სტატუსისა და რწმუნების მინიჭება.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ცალსახად ადგენს, რომ ყურნალისტური თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ ყურნალისტის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, არამედ სარედაქციო დამოუკიდებლობასაც და რედაქციის უფლებას, არ გასცეს მის სათავსოებში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია.

რედაქციას აქვს უფლება, არ გაამჟღავნოს არა თუ სტატიის ავტორის, არამედ იმ წყაროების ვინაობაც, რომელთა ინფორმაციების საფუძველზეც მომზადდა მასალა.

მოპასუხის მიერ წყაროს გამჟღავნების მოთხოვნა არის მედიის თავისუფლებაში უხეში ჩარევა, რადგანაც კონფიდენციალური წყაროები დაცული არის ევროკონვენციის მიერ. მაგალითად, ევროსასამართლომ გუდვინის საქმეში¹⁶ დაადგინა, რომ ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების დაცვა პრესის თავისუფლების წინაპირობაა. ჟურნალისტისთვის წყაროების გამჟღავნების დავალდებულება, ევროსასამართლოს იურისპრუდენციის თანახმად, მხოლოდ ძლიერი სოციალური მოთხოვნების არსებობის შემთხვევაშია დასაშვები. ასეთი კი, შესაძლოა, იყოს სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული ან დაზარალებული მხარის ძლიერი სოციალური მოთხოვნილება – მისი გამართლებისთვის აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვების შესახებ.

თავისთავად მოსამართლე ტერაშვილის მიერ დაკმაყოფილებული განჩინება იმდენად აბსურდულ ხასიათს ატარებს, რომ შეუძლებელია, მისი გამართლება გორის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის ძლიერი სოციალური მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ჯემალ ენჯიბაძის, გაზეთ „კრიმინალისა“ და ეკა ჩადუნელის საქმე ამ საქმეში სასამართლოს მოუწია პასუხის გაცემა შეკითხვაზე, თუ სად გადის ზღვარი პირად და საჯარო ინფორმაციას შორის და საერთოდ, რამდენად არიან დაცული საჯარო პირები პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფისაგან.

ნიშანდობლივია ის, რომ განსახილველი პერიოდის სასამართლო პრაქტიკაში, იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა საქმე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ეხებოდა, როგორც წესი, მოსარჩლეები პრეტენზიას აცხადებდნენ პატივისა და ღირსების შელახვის გამო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თავად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ცნება სიახლეს წარმოადგენდა ჩვენი სამართლებრივი სივრცისთვის. აღნიშნულ შემთხვევაში კი მოსარჩლემ სწორედ ამ უფლების ხელყოფა გახადა სადაოდ.

თავისთავად ის გარემოება, რომ ჯემალ ენჯიბაძე იმ დროისათვის წარმოადგენდა საჯარო ფიგურას – იყო ხაშურის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე და ამავდროულად საზოგადოება „ხაშურელის“ თავმჯდომარეც, აფართოებდა მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებს. ეს უფლება გულისხმობს როგორც საჯარო პირის შესახებ კრიტიკული ინფორმაციის გავრცელებას, ასევე მისი

¹⁶ იხ. ტომი I, გვ. 308.

პირადი ცხოვრების გარკვეულწილად საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას, თუმცა იმ დოზით, რა დოზითაც ეს საჭიროა იმისათვის, რათა საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა შეექმნას მის მიერ არჩეული საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის შესახებ.

იმ დროს მოქმედი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესახებ კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალისტს ჰქონდა უფლება, ესარგებლა ნებისმიერი სარქივო მასალით, საიდუმლო და სპეცფონდით გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხებოდა სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების პირად ცხოვრებას. თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლომ მართებულად გახადა საკამათოდ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ჩათვლილიყო პირად ცხოვრებაში ჩარევად ღია სასამართლო სხდომაზე საჯაროდ გაცხადებული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მოპოვებაც შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას. შესაბამისად, ამ დროს მოქმედებს პრინციპი, არ შეიძლება პრესას აუკრძალო იმ მასალის გამოქვეყნება, რომელიც უკვე საჯარო არის და ცნობილია საზოგადოებისათვის. განსხვავებული სტანდარტი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესი მოსარჩლის შუამდგომლობის საფუძველზე დახურულია და ადამიანს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ მისი პირადი საიდუმლო დაცული იქნება.¹¹⁷ თუმცა მოცემულ შემთხვევაში ჩვენ განსხვავებულ გარემოებებთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ქვეყნდება საჯაროდ, იმისდა მიუხედავად, დახურულად მიმდინარეობდა პროცესი თუ არა. პრესას და ნებისმიერ მოქალაქეს რომ არ ჰქონდეს უფლება, გაეცნოს და გამოაქვეყნოს სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებები, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, ბუნებრივია, ამ სახელმძღვანელოს მომზადებაც გაჭირდებოდა. ცხადია, ცალკე საკითხია, თუ რამდენად ეთიკურია ცალკეულ შემთხვევებში გადაწყვეტილებებში იდენტიფიცირებულ ბრალდებულთა სახელისა და გვარის მითითება, ვიდრე არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება პირის დამნაშავედ ცნობის ან არცნობის შესახებ, მაგრამ ასეთი საკითხები არ განეკუთვნება საკანონმდებლო რეგულირების სფეროს. თანაც მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტმა გამოაქვეყნა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და გავრცელებული ცნობების ნამდვილობა არც თავად მოსარჩლეს გაუხდია საკამათოდ. მოსარჩლის საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, საზო-

¹¹⁷ დაწერილებით იხ. შ. შ.-ის, გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და ჟურნალისტ მეგი ცანავას საქმე, გვ. 179.

გადოებას გააჩნდა ლეგიტიმური ინტერესი, სცოდნოდა მის მიერ არჩეული ნარმომადგენლის წარსული ცხოვრების დეტალები, მით უმეტეს, თუკი იგი დაკავშირებული იყო კრიმინალთან.

სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ მოსარჩლემ არასწორად გაიგო პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნება და რომ სასამართლო განაჩენზე დაყრდნობით გამოქვეყნებული პუბლიკაცია ასახავდა მოსარჩლის არა პირად, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებას. სასამართლოს აზრით, დაუშვებელია, ასეთი ინფორმაცია ჩაითვალოს გამიზნულად პირთა განსაზღვრული წრისათვის. კანონმდებლობის თანახმად, პირად ცხოვრებაში მოიაზრება პირის პირადი მიმონერა, სატელეფონო საუბარი, პირის პირადი ოჯახური ინტიმური საკითხები, რაც არ ყოფილა მოპასუხის მიერ ხელყოფილი.

იმის გათვალისწინებით, რომ გავრცელებული ცნობების ნამდვილობა არც მოსარჩლეს გაუხდია სადავოდ, შესაბამისად, ვერც მორალური ზიანის კომპენსირების საკითხი დაისმებოდა.

ამ საქმის კომენტირებისას მიზანშეწონილია გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა, პრესის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. უზენაესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ე.წ. „დეილი მეილის“ პრინციპი, რომლის თანახმად, პრესის პასუხისმგებლობაში მიცემა იმ ინფორმაციის გავრცელებისათვის, რომელიც უკვე ცნობილია საზოგადოებისთვის, ნაკლებად ეხმაურება იმ ინტერესებს, რომელთა დასაცავადაც შტატი მოქმედებს. *ოკლაჰომის გამომცემლობის საქმეზე* დადგინდა, რომ როდესაც ხდება უტყუარი ინფორმაციის საჯაროდ გამომზიურება და იგი ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, სასამართლოს აღარ შეუძლია, კონსტიტუციურად შეზღუდოს მისი გავრცელება.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად შესაძლებელია საჯარო პირთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ამ უფლების ხელყოფასთან საქმე არ გვეკონია, სასამართლო ვერც ამ საკითხზე იმსჯელებდა. საბოლოო ჯამში, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეფასდეს პოზიტიურად.

კომერციული გამოხატვა

„ბარაკონის“ დირექტორის იური ბოჭორიშვილის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ახალი თაობის“ საქმე ვინ უნდა აგოს პასუხი ისეთი ინფორმაციის გავრცელებისათვის, რომელიც ოფიციალური წყაროდან არის მიღებული და ლახავს პირის პატივსა და ღირსებას – ინფორმაციის გამტარმა საინფორმაციო საშუალებამ თუ თავად ინფორმაციის ოფიციალურმა წყარომ?

პირველ შემთხვევაში¹¹⁸ სასამართლოს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არც უცდია, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამტკიცებულად ჩათვალა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო მეორე შემთხვევაში¹¹⁹, მოსარჩლემ თავად განაცხადა უარი სარჩელზე, როცა საქმეში სათანადო მოპასუხის ჩართვის აუცილებლობა დადგა.

ორთავე დავა ეხებოდა სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ ერთსა და იმავე შინაარსის ინფორმაციას, რომელიც, მოპასუხე საინფორმაციო საშუალებების ცნობით, მათ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჰქონდათ მიღებული.

იმ დროისათვის მოქმედი პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 28-ე მუხლი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა რედაქტორსა და ჟურნალისტს, თუკი არასწორ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაცია.

მართალია, თავად გავრცელებული ცნობის შინაარსი – მაგალითად, „ბოჭორიშვილმა ყალბი დოკუმენტების წარდგენით შეაცდინა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის „აფხაზეთის“ ნოტარიუსი წარბია, რომელმაც დაუმოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები“, – ბადებს ბევრ კითხვის ნიშანს, რამდენად სამართლებრივად არგუმენტირებულია სამართალდამცავი უწყების მიერ გავრცელებული ეს ოფიციალური ინფორმაცია, მაგრამ სასამართლოს განსჯის საგანი ეს საკითხი არ ყოფილა.

„საქართველოს რესპუბლიკის“ წარმომადგენლის პროცესზე გამოუცხადებლობის გამო, ვერ მოხერხდა იმის გარკვევა, რამდენად წარმოადგენდა ხსენებული საინფორმაციო საშუალება სათანადო მოპასუხეს. თუმცა ეს საფუძველს არ აძლევდა სასამართლოს, მიეღო იმგვარი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რო-

¹¹⁸ იხ. „ბარაკონის“ დირექტორი იური ბოჭორიშვილი „საქართველოს რესპუბლიკის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 329.

¹¹⁹ იხ. „ბარაკონის“ დირექტორი იური ბოჭორიშვილი „ახალი თაობის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 339.

გორიც მან მიიღო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულია და იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, მაშინ სასამართლო გამოიყენებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. თუმცა მოცემულ შემთხვევაში სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას. მით უფრო, რომ მოსარჩლის ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა, იყო ბოდიშის მოხდა, რომელსაც, როგორც უკვე არაერთი საქმის განხილვისას აღვნიშნეთ, არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა. შესაბამისად, გადაწყვეტილების ეს ნაწილი არაკანონიერია. ისევე როგორც „საქართველოს რესპუბლიკისათვის“ იმ ცნობების უარყოფის დაკისრება, რომელიც ოფიციალური წყაროდან იყო მიღებული.

შსს-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მცდარობა კიდევაც რომ დამტკიცებულიყო, კანონმდებლობის თანახმად, საინფორმაციო საშუალებას ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რადგანაც გაზეთი ამ შემთხვევაში არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

სწორედ სათანადო მოპასუხის საკითხი წამოჭრა მეორე სარჩელის განხილვისას „ახალი თაობის“ წარმომადგენელმა, რის შემდეგაც მოსარჩლემ საქმის სამართლებრივი განხილვის ინტერესი დაკარგა და საქმის წარმოებაც შეწყდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ მაშინაც უხეშად დაარღვია კანონი, როდესაც პასუხისმგებლობა დააკისრა გაზეთის რედაქციას, როგორც ეს მოსარჩლემ მოითხოვა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოში მხარეებად გამოდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, ხოლო გაზეთის რედაქცია არ წარმოადგენს არც ფიზიკურ, არც იურიდიულ პირს. შესაბამისად, ეს კიდევ ერთი არგუმენტი იმის დასტურად, რომ მოცემულ დავაში „საქართველოს რესპუბლიკა“ არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

გოგი თოფაძისა და „ბი-ჯი-აი“-ს საქმე

მართალია, განსახილველი საქმე¹²⁰ არსობრივად კომერციულ გამოხატვას განეკუთვნება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოდავე მხარე ერთდროულად ბიზნესმენიც იყო და პოლიტიკოსიც, სასამართლოს ერთმანეთისაგან უნდა გაემიჯნა ბიზნესმენისა და საქართველოს პარლამენტის წევრის რეპუტაცია.

¹²⁰ იხ. გოგი თოფაძე „ბი-ჯი-აის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 331.

თბილისის საოლქო სასამართლოს არც ის მიუღია მხედველობაში, რომ საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი ცალსახად უკრძალავს პარლამენტარს სამენარმოო საქმიანობას. უფრო მეტიც, პარლამენტის წევრს ქვეყნის ძირითადი კანონი – კონსტიტუციაც უკრძალავს „ბიზნესმენობას“. ამდენად, სასამართლოს მიერ აპელირება იმაზე, რომ გავრცელებული ცნობები წარმოაჩენს გოგი თოფაძეს, როგორც არასაიმედო პარტნიორს, ახდენს მისი, როგორც მენარმის დისკრედიტაციას და ლახავს მის საქმიან რეპუტაციას, არის მცდარი. გოგი თოფაძის საქმიანი რეპუტაცია უნდა განისაზღვროს არა ლუდის, არამედ კანონების „წარმოებითა“ და ზოგადად, როგორც პოლიტიკური ფიგურის მოღვაწეობით. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ საჯარო ფიგურას თმენის მეტი ვალდებულება მოეთხოვება, ვიდრე კერძო პირს. აღნიშნული ნორმა ევროსასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა და განაცხადა, რომ პოლიტიკოსი გარდაუვლად და გაცნობიერებულად დებს თავის ყოველ სიტყვას საზოგადოებრივ სამსჯავროზე, და შესაბამისად, მას მოეთხოვება შემწყნარებლობის მაღალი ხარისხი.

გარდა იმისა, რომ მოსარჩლე მხარეს წარმოადგენდა საჯარო ფიგურა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დისკუსია მხარეებს შორის სადავო ცნობების გავრცელებამდეც მიმდინარეობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს მოქმედებს გამოხატვის თავისუფლების დაცვის გაცილებით მაღალი სტანდარტი. შესაბამისად, სასამართლოს უნდა განეხილა დავა სწორედ საჯარო პოლემიკის კონტექსტში.

რაც შეეხება უშუალოდ გავრცელებულ ცნობებს, მათგან მხოლოდ ნაწილი წარმოადგენს დადასტურებად ფაქტს, ხოლო ნაწილი – შეფასებით მსჯელობას. შესაბამისად, საოლქო სასამართლოს ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნა ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ცნობები და შეფასებითი მსჯელობა. მაგალითად, გამონათქვამები „საიმედო პარტნიორი“, „საბჭოთა საქმოსანი“ და ა.შ. აშკარად წარმოადგენს შეფასებით მოსაზრებას, რომლის უარყოფის დაკისრება ელემენტარულად არაგონივრული სანქციაა.

მეტად პრიმიტიულად შეაფასა სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში ლაფრანკის გამონათქვამი – „...ეს არის სამეფო და მასში მეფობს გოგი თოფაძე, სადაც არის ერთადერთი კარი“. საოლქო სასამართლოს აზრით, ხსენებული ცნობა ლახავს მოსარჩლის საქმიან რეპუტაციას, რადგანაც მას (გ. თ.) სხვისი საკუთრების ხელყოფაში ედება ბრალი. ცხადია, საშუალო დონის მოქალაქე ამ აღეგორიულ გამონათქვამს პირდაპირი მნიშვნელობით არ აღიქვამდა, რადგანაც ამისთვის მას, სულ მცირე, იმის დაჯერება მოუწევდა, რომ საქართველოში

მონარქია აღსდგა, ხოლო მონარქი ბაგრატიონთა რომელიმე შთამომავალი კი არა, საქართველოს პარლამენტის ნევრი გოგი თოფაძე იყო.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ სასამართლომ უარი თქვა „ბი-ჯი-აის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ გოგი თოფაძის გამონათქვამებში ნახსენები იყო არა „ბი-ჯი-აი“, არამედ პიერ კასტელი, რომელიც დამოუკიდებელი ფიზიკური პირია და შეეძლო, დამოუკიდებლად გამოსულიყო მხარედ სამართლებრივ ურთიერთობებში. ამ ლოგიკით, სასამართლოს გოგი თოფაძის სასარჩელო განცხადება არა თუ არ უნდა განეხილა, უფრო მეტიც, არასათანადო მოპასუხის საბაბით, ის არც კი უნდა დაეკმაყოფილებინა, რადგანაც თოფაძემ სწორედ ლაფრანკის გამონათქვამები გახადა სადავო სასამართლოში.

განხილულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება აშკარად კანონშეუსაბამო ხასიათს ატარებს.

2003

წ ე ლ ი

პოლიტიკური ხელისუფლების სურვილი, სასამართლოს მეშვეობით გაეკონტროლებინა სიტყვის თავისუფლება, ჩხარტიშვილი-ბერძენიშვილის საქმის შემდეგ, ყველაზე თვალნათლივ მოცემულ პერიოდში გამოვლინდა. სწორედ დროის ამ მონაკვეთს, ანუ წინა ხელისუფლების მმართველობის კრიზისის პერიოდს უკავშირდება ყველაზე მაღალი და არაგონივრული ფინანსური სანქციების დაკისრების სამი შემთხვევა¹²³: თბილისის საოლქო სასამართლომ საქმეში აკაკი ჩხაიძე „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალექსანდრე მალაფერძის წინააღმდეგ მოპასუხეებს დააკისრა 1 000 000 ლარის გადახდა; ქუთაისის საოლქო სასამართლომ საქმეში თემურ შაშიაშვილი დავით კუპრეიშვილისა და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ დავით კუპრეიშვილს – 1 338 000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხის გადახდა ლარებში; ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ კი საქმეში საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ დაავალდებულა ტელეკომპანია, გადაეხადა 127 716, 96 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში.

ამ შემთხვევაში თავად დაკისრებული ფინანსური სანქციების მოცულობა განსაზღვრავს პასუხისმგებლობის ამგვარი ფორმის გონივრულობასაც და დანიშნულებასაც. გამოიკვეთა საშიში ტენდენცია იმ მხრივ, რომ იმჟამინდელმა პოლიტიკურმა ხელისუფლებამ განსხვავებულ აზრთან ანგარიშსწორების პროცესი სასამართლო სისტემის ხელით დაიწყო. პოლიტიკური გამოხატვის შეზღუდვა, რაც მოძრაობა „კმარას“ კლიპების აკრძალვაში გამოიხატა¹²², ამ ტენდენციის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება იყო.

¹²¹ იხ. 2004 წელი, გვ. 159.

¹²² იხ. საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ. 2004 წელი, კარი II, გვ. 507.

მაღალი ფინანსური სანქციების გარდა, საინფორმაციო საშუალებების ფიზიკურ არსებობას ამ პერიოდში სხვა მეთოდებითაც შეექმნა საფრთხე. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა აჭარაში, სადაც თავისუფლების ხარისხის პრობლემა ტრადიციულად არსებობდა. გაზეთ „ბათუმელების“ წინააღმდეგ წარმართულმა ორმა სასამართლო პროცესმა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გაზეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ერთ დავაზე, რომელიც გაზეთის სახელწოდებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, „ბათუმელებს“ აეკრძალა არა მარტო საქმიანობა, არამედ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება, რითაც მას შეეზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება. გაზეთი იძულებული გახდა, თბილისში დარეგისტრირებულიყო და სახელწოდება „გაზეთ ბათუმელებად“ შეეცვალა. აღნიშნულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას (25 ივლისი) ახალი სასამართლო დავა მოჰყვა,¹²² რომელიც არსობრივ განხილვაშიც კი არ იყო შესული, როდესაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა კანონშეუსაბამო განჩინება (1 სექტემბერი) რედაქციის სარგებლობაში არსებული ქონების დაყადაღების შესახებ. კანონის უხეში დარღვევებით გამოტანილი ეს ორი გადაწყვეტილება ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა მეთოდებით ცდილობდა სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალების საქმიანობის შეჩერებას.

ამავე პერიოდში ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა სამი კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება, რითაც მოპასუხეებს ბოდიშის მოხდა დააკისრა; ხოლო გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ კიდევ უფრო გაამდიდრა კანონში არარსებული პასუხისმგებლობის ფორმების პრაქტიკაში დანერგვის გამოცდილება, როდესაც ყურნალისტს „ობიექტური სტატიის“ გამოქვეყნება დააკისრა,¹²⁴ რითაც უხეშად ხელყო არა მარტო კანონი, არამედ საინფორმაციო საშუალების სარედაქციო დამოუკიდებლობა.

აჭარისა და გურჯაანისგან განსხვავებით, საქართველოს ზოგიერთი რეგიონი პოზიტიურ ტენდენციებზე საუბრის საფუძველს იძლევა: ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე ჯუდი უჩიძე და ცეზარ ბუბულაშვილი დავით სახვაძის წინააღმდეგ¹²⁵ სიტვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლებისათვის ფართო გარანტიებს ქმნის; ფოთის საქალაქო სასა-

¹²² იხ. აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ვეტერინარიის დეპარტამენტი „ბათუმელებისა“ და ემზარ დიასამიძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 469.

¹²⁴ იხ. გიორგი გეთიაშვილი ეთერ კვეზერელის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 417.

¹²⁵ იხ. კარი II, გვ. 397.

მართლოს გადაწყვეტილება კი სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის ბოროტად გამოყენების საშუალებას არ აძლევს საჯარო პოლიტიკური თანამდებობის პირს, რაც ჟურნალისტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრაში გამოიხატა.

ზოგადად ამ პერიოდში იმატა პოლიტიკური გამოხატვის საქმეებმა, რომლებიც არა მარტო სამოქალაქო, არამედ სისხლის სამართლის წესით წარიმართა. იმ საქმეებზე, რომლებიც პოლიტიკური დებატებისა და ზოგადად საჯარო ინტერესის საკითხებს ეხებოდა, საერთო სასამართლოებმა არა მარტო ლეიბორისტ ჯონდი ბალათურიას, არამედ მწერალ გრიგოლ რობაქიძის გამონათქვამებიც კი მიიჩნიეს ხელისუფლების წარმომადგენელთა პატივისა და ღირსების ხელმყოფად.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებს, მოცემული პერიოდის სასამართლოს პრაქტიკისათვის დამახასიათებელია ამ უფლების არაერთგვაროვანი გაგება. მაგალითად, დეპუტატ გივი ლომინაძისა და გაზეთ „მერიდიანის“ საქმეში¹²⁶ თბილისის საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა ამ უფლების არსი, როდესაც საჯარო ინფორმაცია პირად საიდუმლოსთან გააიგივა; ხოლო იმ დავაში¹²⁷, რომელიც გამოსახულებაზე მოსარჩლის უფლებას შეეხებოდა, საოლქო და უზენაესმა ინსტანციებმა მართებულად შეაფასეს საინფორმაციო საშუალების ბრალი, რაც ნებართვის გარეშე კერძო პირის გამოსახულების გამოქვეყნებაში გამოიხატა.

2003 წელს სასამართლოში წარმართული 27 საქმიდან 12 შემთხვევაში სასამართლომ მიიღო კანონმდებლობით გადარწმუნებული, 9 შემთხვევაში – კანონიერი, 2 საქმეზე – ნაწილობრივ კანონიერი, ხოლო 4 შემთხვევაში საქმეები მორიგებით, სარჩელზე უარის თქმითა და პროცესზე მხარეთა გამოუცხადებლობით დასრულდა.

1. სისხლისსამართლებრივი დავები

პოლიტიკური გამოხატვა

გურამ შარაძისა და ლევან რამიშვილის საქმე

განსახილველი დავა¹²⁸ მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ წამოჭრის საზოგადო-

¹²⁶ იხ. გივი ლომინაძე „მერიდიანისა“ და ი. გორელიშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 459.

¹²⁷ იხ. ს. ნ. „ალიას“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 403.

¹²⁸ იხ. გურამ შარაძე ლევან რამიშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 420.

დოებრივი ინტერესის მეტად აქტუალურ საკითხს – ლუსტრაციის კანონის არარსებობის პრობლემას და ამდენად, მას უფრო პოლიტიკური ღირებულება აქვს. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეზე გამოტანილი გადანყევტილება იცავს საზოგადოების წარმომადგენლის უფლებას, შეაფასოს პოლიტიკოსის საქმიანობა თვით „იმიტირებული ლუსტრაციის“ პროვოცირების ფორმით.

საქართველოში ლუსტრაციის აუცილებლობაზე საჯარო დისკუსია კარგა ხანს მიმდინარეობდა, თუმცა საზოგადოებრივი მოთხოვნის არსებობის მიუხედავად, შესაბამისი კანონის მიღება ვერ მოხერხდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, საზოგადოებას გაცილებით მეტი საფუძველი ჰქონდა, გამოეთქვა ეჭვები იმ პირთა მიმართ, ვინც საბჭოთა პერიოდშიც ახერხებდა აქტიურ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საქმიანობას. საოლქო სასამართლომ სამართლიანად მიუთითა სამოტივაციო ნაწილში, რომ ლუსტრაციის კანონის არარსებობის გამო, პირთა უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანაში სრული გარანტია არ არსებობდა. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ გამოთქვა მხოლოდ ეჭვები და ერთგვარი „იმიტირებული ლუსტრაციის“ პროვოცირებაც კი მოახდინა, როცა სიცრუის დეტექტორი შესთავაზა გურამ შარაძეს და მოითხოვა მისგან პასუხი შეკითხვაზე – თუ როგორ ახერხებდა ეს უკანასკნელი საბჭოთა პერიოდში საზღვარგარეთ გასვლას და საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებთან შეხვედრას, როდესაც „კავებებს“ ნებართვის გარეშე საბჭოთა საზღვრების გადაკვეთა პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები, პირველ რიგში, უნდა განხილულიყო პოლიტიკური დებატების კონტექსტში. პოლიტიკური დებატების დროს გაკეთებული განცხადებები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. ამასთანავე უნდა გაიმიჯნოს ორი ტიპის განცხადებები: პირველი, ეჭვები და ვარაუდები, რასაც საბჭოთა პერიოდში მოსარჩლის საქმიანობა ბადებდა და ისინი შეკითხვის სახით იყო ფორმულირებული და არა მტკიცებითი ფორმით; და მეორე, ლევან რამიშვილის მიერ მოსარჩლის პოლიტიკური მხილება ეთნიკური შუღლის გაღვივებაში და მიმართვა გენერალური პროკურორისადმი, შეესწავლათ განმცხადებლის საქმიანობა ამ მიმართულებით. ცხადია, ნებისმიერ მოქალაქეს, და მით უფრო, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც ამავდროულად წარმომადგენს საჯარო ფიგურას, აქვს უფლება, ეჭვქვეშ დააყენოს პოლიტიკოსის საქმიანობა და შეფასება მისცეს მას. პარლამენტის დეპუტატი კი ვალდებულია, პასუხი გასცეს იმ პრეტენზიებს, რომელიც ელექტორატს მის მიმართ უჩნდება.

გურამ შარაძის პასუხი ამ შეკითხვებზე კი ლევან რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის სარჩელის აღძვრის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა იყო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ან უკვე გაუქმებული 148-ე მუხლი დასჯად ქმედებად აცხადებდა ცილისწამებას დანაშაულის დაბრალებით. იმისათვის, რომ გავრცელებული ცნობა ცილისწამებად ჩათვლილიყო, სახეზე უნდა ყოფილიყო შემდეგი ოთხი ელემენტი: 1. გავრცელებული ცნობა უნდა ყოფილიყო მცდარი; 2. ზიანი უნდა მიეყენებინა პირის ანუ მომჩივანის პატივისა და ღირსებისათვის; 3. ინფორმაციის გამავრცელებელს წინასწარ უნდა სცოდნოდა გავრცელებული ინფორმაციის სიმცდარე და შეგნებულად გაევრცელებინა ეს ინფორმაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას პირდაპირი განზრახვით უნდა ემოქმედა. აღნიშნული ნორმა გამორიცხავდა პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის, თუკი პირი განზრახ არ აევრცელებდა მცდარ ინფორმაციას; 4. გავრცელებულ ინფორმაციაში უნდა ყოფილიყო ისეთი ცნობა, რომელიც პირს დანაშაულის ჩადენაში ამხელდა. და თუკი საქმე დანაშაულის ჩადენას არ ეხებოდა, მცდარი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც კი, ცნობების გამავრცელებლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხებოდა.

პასუხი შეკითხვაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებდა მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები ზემოთ მოყვანილ ტესტს, უარყოფითია. პირველ რიგში, იმიტომ, რომ აპრიორი შეუძლებელი იყო სადავო ცნობების უტყუარობის მტკიცება, რადგანაც ისინი ვარაუდებისა და ეჭვების სახით იყო ფორმულირებული და წარმოადგენდა შეფასებას, რომელიც აბსოლუტური პრივილეგიითა დაცული. ერთადერთი, ვისაც შეეძლო დაემტკიცებინა ან უარეყო ლევან რამიშვილის მიერ გამოთქმული ეჭვები, ეს თავად გურამ შარაძე იყო, რომელსაც პროცესუალურადაც ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი.

მეორეც, მოპასუხე ვერ იმოქმედებდა განზრახ, ანუ შეგნებულად ვერ გავრცელებდა მცდარ ინფორმაციას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან დანამდვილებით თვითონაც კი არ იცოდა, იყო თუ არა გურამ შარაძე საბჭოთა უშიშროების აგენტი, ამიტომაც იგი მოსარჩლის საქმიანობის შეფასების საფუძველზე, სვამდა შეკითხვებს და მათზე პასუხსაც მოითხოვდა.

სადავო განცხადებები იმიტომაც არ უნდა მიჩნეულიყო ცილისწამებად, რომ ისინი არ შეიცავდნენ მტკიცებას პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. ანუ არც საბჭოთა პერიოდის უშიშროების სუკის აგენტობა, არც გურამ შარაძის წარსული და მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა იმ კონტექსტში, რა კონტექსტშიც მოიხსენია იგი ლევან რამიშვილმა, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე

დანაშაულის შემადგენლობას. იმისათვის, რათა პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა, აუცილებელია, რომ არსებობდეს ცილისწამებლური მითითება პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ.

რაც შეეხება ეთნიკური შუღლის გაღვივებასთან დაკავშირებულ ბრალდებებს, მოპასუხემ შეაფასა, როგორც საკუთრივ გურამ შარაძის, ასევე იმჟამინდელი ხელისუფლების „წვლილიც“ ეთნიკურ-რელიგიური დისკრიმინაციის მხრივ და ამდენად, ამ განცხადებასაც უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე სამართლებრივი.

გაზეთ „რეზონანსში“ ლევან რამიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლითაც იგი პროკურატურისგან შარაძის გამოსვლების სამართლებრივ შეფასებას მოითხოვდა, არ არის არც დასმენა, არც ცილისწამება. ამ შემთხვევაში სახზევა საჯარო პირის საჯარო მიმართვა სამართალდამცავი ორგანოსადმი და მოსარჩლის პოლიტიკური მხილება.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი: სასამართლომ აბსოლუტურად სწორად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით მინიჭებულ უფლებაზე, რომელიც იცავს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას; ასევე მართებული იყო იმის გაცხადება, რომ თუ გურამ შარაძე პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევა გავრცელებულ ცნობებს, მას შეეძლო, დავა წარემართა სამოქალაქო წესით და არ მიემართა სასამართლოსთვის სისხლის სამართლის აღსაძრავად.

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა გურამ შარაძის სააპელაციო საჩივარი, უნდა აღინიშნოს, რომ პალატამ არასწორად განმარტა ცილისწამების არსი, როდესაც განაცხადა, რომ ცილისწამებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუ პირი ამით ამცირებს ადამიანის პატივს, ცდილობს შექმნას საზოგადოების სხვა წევრების თვალში არასწორი წარმოდგენა აღნიშნული პირის მორალური თუ ზნეობრივი თვისებების ან მისი ცხოვრების წესის შესახებ, ყალბი ცნობების გავრცელების გზით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის მიხედვით, ცილისწამებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუ განცხადება შეიცავს მითითებას პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. კანონის ეს ნორმა ცალსახად გამორიცხავს ქმედების ცილისწამებად მიჩნევას სასამართლოს მიერ მითითებულ შემთხვევებში.

ამავე დროს, სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები ხელისუფლების წარმომადგენლის – დეპუტატის მიმართ გაცილებით ფართო უნდა იყოს, ვიდრე რიგითი ადამიანის მიმართ.

სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა დიფამაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე: თუკი მოპასუხის განცხადება გარკვეულწილად წარმოადგენს პასუხს მოსარჩლის მიერ უნინ გაკეთებულ განცხადებებზე, ანუ თუკი მოსარჩლე და მოპასუხე განცხადების გაკეთებამდე იმყოფებოდნენ დისკუსიაში, მათ შორის გარკვეული დაპირისპირება არსებობდა, მაშინ მოპასუხემ უნდა გამოიჩინოს გაცილებით უფრო დიდი თემის ვალდებულება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხე მის მიმართ „პირველ დარტყმას“ განახორცილებდა.

ევროსასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეთა სტატუსს და მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თემის მაღალი ხარისხი უნდა გამოავლინონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჯარო ფიგურა თავად აკეთებს საჯარო განცხადებებს, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკის გამონვევა.

2. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

პოლიტიკური გამოხატვა

ჭუდი უჩიძის, ცეზარ ბუბულაშვილისა და დავით სახვაძის საქმე

აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ აფართოებს საქართველოში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოქმედების არეალს. ქვეყნის უზენაესი და თბილისის საოლქო სასამართლოების მსგავსად, ქუთაისის საოლქო სასამართლომ შექმნა პრეცედენტი, რომლითაც ევროპულ სტანდარტებს საქართველოში პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ სამართლიანად გააუქმა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:

რაიონულ სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ სადავო განცხადებაში მოსარჩლე ერთპიროვნულად არ ყოფილა იდენტიფიცირებული და საუბარი იყო მხოლოდ მის მომხრეთა უკანონო ქმედებებზე. კანონშეუსაბამო იყო რაიონული ინსტანციის გადაწყვეტილების ის ნაწილიც, რომელიც მოპასუხეებს კანონში არარსებულ პასუხისმგებლობის ფორმას – ბოდიშის მოხდას აკისრებდა, ისევე როგორც მორალური ზიანის სახით 600 ლარის გადახდას.

თუმცა ყველაზე მთავარი ის არის, რომ რაიონულ სასამართლოს წარმოქმნილი კონფლიქტი წინასაარჩევნო პერიოდში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონზე არ განუხილავს. არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე კი, ამ პერიოდში პოლიტიკური დაძაბულობა ყოველთვის პიკს აღწევს და შესაბამისად, კანდიდატების მისამართით გამოთქმული განცხადებების სიმწვავის ხარისხიც იმატებს. ზოგადად პოლიტიკური დისკუსიისა და კონკრეტულად წინასაარჩევნო პერიოდის დროს გაკეთებული განცხადებები კი განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. ევროსასამართლო ყოველთვის ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას წინასაარჩევნო პერიოდში დასაშვები კრიტიკის ფარგლების გაფართოებას, იქიდან გამომდინარე, რომ თავად წინასაარჩევნო პერიოდს აქვს განსაკუთრებული დატვირთვა ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ საოლქო სასამართლომ სამართლიანად გამიჯნა ერთმანეთისაგან, ერთის მხრივ, განცხადება, რომელიც №48 საოლქო საარჩევნო უბანში არჩევნების დროს გამოვლენილ დარღვევებს ასახავდა და შემდეგში საფუძვლად დაედო ამ უბანში არჩევნების შედეგების გაუქმებას; და მეორეს მხრივ, გამონათქვამები, რომლებიც მოსარჩლის, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა.

მთლიანობაში ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოა, შეფასდეს ერთ-ერთ სანიმუშოდ, შემდეგ ფაქტორთა გამო:

გადაწყვეტილება ერთმანეთისგან მიჯნავს ფაქტებსა და შეფასებებს;

ადგენს საჯარო პირის პატივისა და ღირსების დაცვის გაცილებით დაბალ სტანდარტს;

იცავს საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს – მიიღოს ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე;

დაბოლოს, სასამართლო გადაწყვეტილებას ასაბუთებს ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით (*კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*).

გივი ჯიქიას, ნანა დევდარიანის, თამაზ ნადარეიშვილისა და ჯონდი ბალათურიას საქმეები

ქვემოთ განხილული ორთავე საქმე¹²⁹ პოლიტიკურ გამოხატვას განეკუთვნება. მათი განხილვისას მხედველობაშია მისაღები მოპასუხეების სტატუსი: დავის

¹²⁹ იხ. თამაზ ნადარეიშვილი ჯონდი ბალათურიას წინააღმდეგ, კარი II, გვ. 445; გივი ჯიქიას ნანა დევდარიანის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 450.

მომენტიცისათვის ნანა დევდარიანი სახალხო დამცველს წარმოადგენდა და მის შემთხვევაში საოლქო სასამართლომ მართებულად გააუქმა რაიონული სასამართლოს კანონმუხსაბამო გადაწყვეტილება, რასაც ვერ ვიტყვით ჯონდი ბალათურიას საქმეზე, რომელიც იმ მომენტიცისათვის ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი იყო და საჯარო დისკუსიაში იმყოფებოდა მოსარჩლესთან.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსებისათვის სიტყვის თავისუფლებას აქვს. სიტყვის თავისუფლება არის უმთავრესი იარაღი პოლიტიკური ფიგურებისთვის და წარმოუდგენელია მათი ფუნქციების ეფექტურად განხორციელება, თუკი პოლიტიკური გამოხატვა განსაკუთრებული დაცვით არ ისარგებლებს.

აღსანიშნავია, რომ გივი ჯიქიასა და ნანა დევდარიანის საქმეში, რომელიც ასევე დისკუსიის ნაწილს წარმოადგენდა, რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება. პირველ რიგში, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო მხარეთა საჯარო სტატუსი – ის, რომ მოსარჩლე წარმოადგენდა საჯარო ფიგურას, რომელსაც გაცილებით მეტი თმენის ვალდებულება აკისრია, ვიდრე რიგით მოქალაქეს; ხოლო ნანა დევდარიანი კი სახალხო დამცველს, რომელსაც კანონით ევალება უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით კი თუ ეს სამართალდამცავ სტრუქტურებს ეხება.

ომბუდსმენის თანამდებობის პოლიტიკური დატვირთვის გათვალისწინებით, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ არარელევანტურად გამოიყურება რაიონული სასამართლოს მიერ სამოტივაციო ნაწილში იმის მითითება, რომ ნანა დევდარიანს არ წარმოუდგენია გამამტყუნებელი განაჩენი და ამდენად, მოსარჩლეს არ ევალებოდა მის მიმართ გაკეთებული განცხადებების თმენა. ბუნებრივია, ომბუდსმენი საერთოდ ვერ შეძლებს საკუთარი ფუნქციის ეფექტურად განხორციელებას, თუ მას საზოგადოებრივად აქტუალური ნებისმიერი საკითხის გამოსა-აშკარავებლად ან ამა თუ იმ თანამდებობის პირის სამხილებლად ყოველ ჯერზე პროცესუალურად დამაგრებული მტკიცებულებების წარდგენა მოუხდება. სახალხო დამცველის თანამდებობა პოლიტიკური პოსტია და შესაბამისად, მისი იარაღი დანაშაულის პოლიტიკური მხილებაა.

ყოველგვარ საღ აზრს არის მოკლებული რაიონული სასამართლოს მიერ სამოტივაციო ნაწილში იმის მტკიცება, რომ დევდარიანის მიერ გავრცელებული მოსაზრებები „კატეგორიული ხასიათის გამო“ წარმოადგენს ცნობებს და არა მოსაზრებებს. ცხადია, ნებისმიერ შემთხვევაში, ვინც არ უნდა იყოს ცნობების გამაერცვლებელი, კატეგორიულობის ხარისხს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის განსასაზღვრად, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის გამონათქვამი. ცნობად

მიიჩნევა დადასტურებული ფაქტი, ხოლო სიმნავისდა მიუხედავად, მოსაზრება წარმოადგენს პირის შეხედულებას ამა თუ იმ მოვლენის ან თავად ფაქტის შესახებ. სწორედ ფაქტების შესახებ ომბუდსმენისეულ შეფასებებთან გვეკონდა საქმე მოცემულ შემთხვევაში.

გავრცელებული ცნობების გამო სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ გავრცელებული ცნობები შეიცავს მტკიცებას ფაქტის შესახებ, ლახავს პირის რეპუტაციას და ამავე დროს მოპასუხე ვერ დაადასტურებს მათ სინამდვილესთან შესაბამისობას. ამ საქმეში კი მოსარჩლის მიერ სადავოდ გამხდარი ცნობების უმრავლესობა წარმოადგენს მის პირად მოსაზრებას, რომელიც ეყრდნობა გარკვეულ ფაქტებს.

დაუშვებელია პირის გამტყუნება იმ დოკუმენტის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის გამო, რომელიც ჯიქიას აფხაზეთის საომარ მოქმედებებში მონაწილეობას შეეხებოდა, რადგან ამ შემთხვევაში დევდარიანი გამოთქვამდა საკუთარ აზრს და შეუძლებელი იყო, სასამართლოს მოეთხოვა მისი „ეჭვების სერიოზულობის“ დამტკიცება. მით უფრო, თუ მსგავსი დასკვნის გაკეთების საშუალებას მოპასუხეს აძლევდა გივი ჯიქიას მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტი, რომელზედაც ერთ-ერთი ხელმოწერა გაყალბებული იყო; ასევე ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში გივი ჯიქიას შესახებ ანკეტაში არსებული „შეცდომა“ მისი შეილების ასაკთან დაკავშირებით.

იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი პროკურორს უკრძალავს სამენარმეო საქმიანობას, ცნობა იმის თაობაზე, რომ ჯიქია არ იხდის გადასახადს მისი კუთვნილი ბიზნესებიდან, შესაძლებელია, ჩაითვალოს მითითებად პირის მიერ უკანონო მოქმედების ჩადენის შესახებ. თუმცა ამავე დროს აღსანიშნავია, რომ დევდარიანი დაეყრდნო საზოგადოებაში მოარულ ხმებს სამხედრო პროკურორის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით, ხოლო ჯიქიას, თავის მხრივ, გააჩნდა ადეკვატური საშუალება – მედიის მეშვეობით გაეცა პასუხი ამ ბრალდებისათვის.

ალბათ, თავისთავად მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ საოლქო სასამართლოში აპელაციის სტადიაზე მოსარჩლე მხარემ დაკარგა საქმის განხილვის იურიდიული ინტერესი.

რაც შეეხება თამაზ ნადარეიშვილსა და ჯონდი ბალატურის შორის თითქმის ანალოგიური ხასიათის დავას, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც კანონშესაბამო გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც აღნიშნული საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საგანზე მიმდინარე საჯარო პოლემიკის კონტექსტში არ განიხილა და ერთმანეთისაგან არ გამოიჯნა ფაქტები და მოსაზრებები.

სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მხარეებს შორის საჯარო დისკუსია ცნობების გავრცელების მომენტისათვის უკვე მიმდინარეობდა და სადავო გამოხატვამები ამ დისკუსიის მხოლოდ ფრაგმენტს წარმოადგენდა. პოლიტიკური დებატები ევროსასამართლოს იურისპრუდენციით დაცულია თითქმის აბსოლუტური პრივილეგიით, რადგანაც ის წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობას. ლინგენსის საქმეში¹³⁰ ევროსასამართლომ დაადგინა, რომ „პოლიტიკური დებატების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი პირობაა, ხოლო კონვენცია მთლიანადაა განმსჭვალული დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციით“.

სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოებაც, რომ მოპასუხის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენდა სიახლეს და საზოგადოებაში საკმაოდ ფეხმოკიდებული შეხედულებების ასახვა იყო; ამასთანავე წარმოადგენდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელების, მათ შორის მოსარჩლის, როგორც ამ ხელისუფლების ხელმძღვანელის შეფასებას ოპოზიციის წარმომადგენლის მხრიდან. ევროსასამართლოს იურისპრუდენციის შესაბამისად, პირს, მით უფრო, თუ იგი პოლიტიკოსია, აქვს უფლება, განცხადებების გაკეთებისას (თუნდაც ძალზედ მწვავე) დაეყრდნოს საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებებს¹³¹.

ასევე გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ თამაზ ნადარეიშვილმა გაზეთ „ქრონიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თავად აღიარა მის უწყებაში ფინანსური დარღვევების არსებობა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩლე ავტონომიური რესპუბლიკის პირველ პირს წარმოადგენდა, მოპასუხეს გააჩნდა საფუძველი, გამოეთქვა საკუთარი ვარაუდი ამ ფინანსურ დარღვევებში მოსარჩლის სავარაუდო მონაწილეობის შესახებ.

უზუნავსმა სასამართლომ სამართლიანად მიუთითა, რომ საოლქო სასამართლოს მიერ სარეზოლუციო ნაწილში იმის მითითება, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყო სიცრუე, არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ასეთ შემთხვევებში ითვალისწინებდა მხოლოდ იმის მითითებას, რომ გავრცელებული ცნობები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

¹³⁰ იხ. ტომი I, გვ. 272.

¹³¹ იხ. ტორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 294.

დიჯამასია

აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს,

ა. გადახაბაძის, პრეს-კლუბ ბათუმისა და გაზეთ „ახალი ვერსიის“
საქმე

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ამ საქმეზე¹³² მიღებული გადაწყვეტილება ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და ეს, პირველ რიგში, კანონის უხეში დარღვევითაა განპირობებული. პირველი, რაც ამ გადაწყვეტილებას სხვებისგან გამოარჩევს, არის ის, რომ ერთი ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების გამო სრულიად სხვა სუბიექტი, თანაც სამინისტრო, დაობდა. კერძოდ, სასამართლოს სარჩელით მიმართა სამინისტრომ, რომელიც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, არ წარმოადგენს სათანადო მოსარჩლეს. პირველ რიგში, იმის გამო, რომ მას, როგორც სახელმწიფოს – წარმომადგენელს არ გააჩნია პატივი და ღირსება. საკუთარი პატივისა და ღირსების გარდა კი, სამინისტრომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად სხვა სუბიექტის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის რეპუტაციის დაცვის მისიაც იტვირთა. ცხადია, სტატიის სათაურიდან გამომდინარე – „ასლან აბაშიძის პოლიტიკამ საქართველოს თევზის მეურნეობას ტრაქტორებით გადაუარა“ – გაცილებით გონივრული იქნებოდა, რომ სასამართლოსთვის თავად ასლან აბაშიძეს მიემართა, ან იგივე შპს „აჭართევზა“ და კოოპერატივ „მებაღურს“, რადგან სტატიაში მხოლოდ ისინი იყვნენ ცალსახად იდენტიფიცირებულნი, და არა მოსარჩლე. კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს პირმა გავრცელებული ცნობების გამო მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება: ამისათვის აუცილებელია, მოსარჩლე ცალსახად იყოს იდენტიფიცირებული სადავო ცნობებში. ამდენად, არასათანადო მოსარჩლეობა უკვე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სასამართლოს ისიც უნდა მიეღო მხედველობაში, რომ თავად პუბლიკაციის თემა წარმოადგენდა საჯარო ინტერესის საგანს, თანაც ისეთი საპორტო ქალაქისათვის, სადაც თევზის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საჯარო ინტერესის შემცველი მოვლენების გაშუქებისას კი პრესა სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით და უფრო მეტიც, მას აკისრია განსაკუთრებული ვალდებულება, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს განეკუთვნება.

¹³² იხ. აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ავთანდილ გადახაბაძის, „პრეს-კლუბ ბათუმისა“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 401.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მრავალ საქმეში დაადგინა, რომ პრესამ უნდა დაიცვას ის მოთხოვნები, რაც დადგენილია სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. მაგრამ, ამავე დროს, მას ეკისრება პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება, რადგანაც საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს საჭირო ინფორმაცია თუ იდეები.

კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ბოდიშის მოხდის დაკისრება, რაც როგორც არაერთ საქმეზე აღინიშნა, კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფორმა არ არის.

მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 1000 ლარის დაკისრებაც იმ მავნე პრაქტიკის გამოვლინებაა, რასაც ამ წლების განმავლობაში საერთო სასამართლოები ამკვიდრებდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, განიცადოს გარკვეული მორალური ტანჯვა, შესაბამისად, მას არც მორალური ზიანისთვის მიყენებული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა და დაადგინა, რომ სამინისტროს არ შეიძლება გააჩნდეს მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება.

რაც შეეხება აჭარის უმაღლესი სასამართლოს უარს საქმეში თანამოპასუხედ სტატიის ავტორის – შ. ხარძეიშვილის ჩართვის შესახებ, იმ დროისათვის მოქმედი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) და მასალის ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი. ნორმის ამგვარი კონსტრუქციის მიხედვით, ცალსახაა, რომ კანონი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც უშუალოდ იყო მითითებული სტატიის ავტორად და არა იმის მიმართ, ვინც რაიმე მონაწილეობას იღებდა მასალის შემუშავებაში.

ვალერი ასათიანის, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ირაკლი კერესელიძის საქმე აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში¹³³ მოპასუხეებმა უხეშად დაარღვიეს როგორც კანონის, ასევე ჟურნალისტური ეთიკის ნორმები.

ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ ტელეკომპანიის ეთერით გავრცელდა მოსარჩლის აშკარად შეურაცხმყოფელი ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ცნობები, რომელთა ნამდვილობის დადასტურება პროცესზე მოპასუხეებმა ვერ შეძლეს. ევროსასამართლოს იურისპრუდენციის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები სარგებლობენ პრივილეგირებული სიტყვის თავისუფლებით, მათ გააჩნიათ პოზიტიური ვალდებულება, უსაფუძვლოდ არ დასწამონ პირს ცილი დანაშაულის (და მით უმეტეს, მკვლელობის) ჩადენაში.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი: თბილისის საოლქო სასამართლომ მიიღო ნაწილობრივ სწორი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

1) ცნობების უარყოფის დაკისრებისას, სასამართლომ ბოლომდე ვერ გამოიჯანა ერთმანეთისაგან გადაცემაში გავრცელებული ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ცნობები და მოსაზრებები. მაგალითად, ფაქტობრივი მონაცემის შემცველ ცნობას არ წარმოადგენდა შემდეგი განცხადებები: „ცოტა მოგვიანებით ამაში თქვენ თავადაც დარწმუნდებით“ და „კულტურის ყოფილი მინისტრის პრესაში გაკეთებული დაგვიანებული აღსარება ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია.“ უნდა ითქვას, რომ ეს გამონათქვამები არ შეიცავენ რაიმე ფაქტობრივ მონაცემს, არამედ წარმოადგენენ პირის აზრს, მის შეფასებით მსჯელობას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოთ მითითებულ ორ გამონათქვამს, მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლომ გადაწყვეტილებაში აპელირება მოახდინა ევროსასამართლოს იურისპრუდენციაზე ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნის თვალსაზრისით.

2) სასამართლომ ცნობების დანარჩენი ნაწილი სწორად მიიჩნია არაზუსტ ფაქტობრივ მონაცემებად, რომლებიც აშკარად ლახავენ პირის პატივსა და ღირსებას (მაგალითად, ცნობა ვალერი ასათიანის მიერ მკვლელობის ჩადენისა და შემდეგ განხორციელებულ მოქმედებათა შესახებ). მართალია, როცა საქმე საჯარო პირებს ეხება, ჟურნალისტს აქვს უფლება, გააზვიადოს ინფორმაცია ან თუნდაც პროვოკაციაზე წავიდეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მას შეუძ-

¹³³ იხ. ვალერი ასათიანი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილის და ირაკლი კერესელიძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 406.

ლია ვინმეს, თუნდაც საჯარო პირს დააბრალოს რაიმე დანაშაული და გაავრცელოს არაზუსტი ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ცნობები. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში მკველელობის დაბრალება მეტისმეტად შორსაა გაზვიადებისა და პროვოკაციის ფარგლებისაგან.

3) სადავოა გადაწყვეტილების ის ნაწილიც, სადაც სასამართლო უთითებს ვალერი ასათიანის, როგორც საჯარო მოხელის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საჯარო მოხელეს არ გააჩნია საქმიანი რეპუტაცია, რადგან ეს უკანასკნელი დაკავშირებულია პირის კომერციულ საქმიანობასთან, ხოლო იმ რანგის საჯარო მოხელეს, როგორცაც წარმოადგენდა ვალერი ასათიანი, კანონით ეკრძალებოდა კომერციული საქმიანობა. მოცემულ შემთხვევაში არასწორი ცნობების გავრცელებით შეილახა მხოლოდ ვ. ასათიანს პატივი და ღირსება და არამც და არამც საქმიანი რეპუტაცია.

4) სასამართლომ მართებულად მიიჩნია მოსარჩლის შვილის ავადმყოფობის შესახებ გავრცელებული ცნობა პირადი ცხოვრების უფლების უხეშ ხელყოფად, რადგანაც საინფორმაციო საშუალებამ საჯარო გახადა ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამგვარი შინაარსის შემცველი ცნობების საიდუმლოება კი დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-20, ისე ევროკონვენციის მე-8 მუხლით. შესაბამისად, ჟურნალისტს არ ჰქონდა პირადი სახის ინფორმაციის გავრცელების უფლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემთხვევაში სასამართლომ სწორად მოახდინა პირადი ცხოვრების უფლების განმარტება.

6) ასევე მართებულად თქვა უარი სასამართლომ გოგიჩაიშვილისა და კერესელიძის შეგებებული სარჩელების დაკმაყოფილებაზე, რადგანაც მოსარჩლის პოლემიკაში ჩაბმა სატელევიზიო გადაცემაში გამოიწვია და მას არ განუხორციელებია ე.წ. „პირველი თავდასხმა“. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეებს გაცილებით მეტი თმენის ვალდებულება მოეთხოვებოდათ.

7) საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მართებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ მოსარჩლის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა ჩაითვალა არაგონივრულად, რადგან მისი დაკისრება გამოიწვევდა მედია საშუალების გაკოტრებას, რაც არ წარმოადგენს აუცილებელს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის.

საკაცაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი: პალატამ სწორად არ გაიზიარა კერესელიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული დავა თავისი შინაარსით სისხლის სამართლებრივი იყო და არა სამოქალაქო წესით განსჯადი. იმ პერიოდისათვის მსგავსი ტიპის დავა შესაძლებელი იყო წარმარ-

თულიყო როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლებრივი წესით (მაშინ სისხლის სამართლის კოდექსში ჯერ კიდევ მოქმედებდა დიფამაციის მუხლი). ამასთანავე, დიფამაციის თაობაზე ყველა სისხლის სამართლებრივი დავა შესაძლებელია, იმავდროულად წარმართოს სამოქალაქო წესითაც, ხოლო ყველა სამოქალაქო სამართლებრივი დავა, რომელიც ეხება პატივისა და ღირსების დაცვას, არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივი წესით განხილული.

საოლქო სასამართლოსაგან განსხვავებით, უზენაესმა სასამართლომ სწორად მოახდინა ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, როდესაც საოლქოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ამორიცხა ცნობები, რომლებიც არ შეიცავდნენ მითითებას ფაქტზე, არამედ წარმოადგენდნენ ავტორის შეფასებით მსჯელობას.

თუმცა უზენაესმა ინსტანციამ სარეზოლუციო ნაწილიდან არ ამორიცხა ცნობა, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში შესასვლელ საშუაზე ვ. ასათიანის ხელმოწერას ეხებოდა. თავისთავად, აღნიშნული ცნობა მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი მონაცემის შემცველია, არ შეიძლება იყოს დიფამაციური იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი უზუსტობა დამტკიცდება. მეტიც, ასათიანის მიერ ამ დოკუმენტზე ხელმოწერის ფაქტი დასტურდება გენერალური პროკურატურის დადგენილებით; ხოლო პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის თანახმად, ჟურნალისტი პასუხს არ აგებს გარცელებულ ინფორმაციაზე, თუ ისინი მიღებულია სახელმწიფო უწყებიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ცნობის სიყალბე მომავალში დადასტურდება.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლომ მრავალ საქმეში აღიარა პრესის, როგორც საზოგადოებრივი დაზარალების, განსაკუთრებული როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, პრესა მაინც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით და შესაბამისად, იგი ვალდებულია, დაუსაბუთებლად არ შელახოს პირის პატივი, ღირსება და პირადი ცხოვრების საიდუმლოება. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ცნობები ეხებოდა საჯარო თანამდებობის პირს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საინფორმაციო საშუალებას ჰქონდა უფლება, გაეგრცელებინა ისეთი შინაარსის შემცველი ინფორმაცია, რომელიც უსაფუძვლოდ (მხოლოდ რესპონდენტის ინტერვიუზე დაყრდნობით) დააბრალებდა პირს ისეთ უმძიმეს დანაშაულს, როგორიცაა მკვლელობა.

რაც შეეხება ჟურნალისტიკისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ ცნობების გავრცელებისათვის, რომელთა ავტორს თავად არ წარმოადგენს, მედია სამართლის საერთაშორისო სტანდარტების (მათ შორის ევროსასამართლოს იურის-

პრუდენციით) თანახმად, ასეთ დროს პასუხისმგებლობას ინანილებს ჟურნალისტიც, თუ იგი არ მიმართავს ყველა გონივრულ ზომას, რათა დარწმუნდეს გასაშუქებელი ინფორმაციის უტყუარობაში; ან აშკარა ფორმით უჭერს მხარს რესპონდენტის განცხადებას (მით უფრო, თუ ეს განცხადება პირს აბრალებს ორი ადამიანის მკვლელობას). ამდენად, მართებულია სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილიც, რომელიც კერესელიძესთან ერთად ტელეკომპანიასა და ჟურნალისტსაც აკისრებს სოლიდარულად პასუხისმგებლობას.

გიორგი გეთიაშვილისა და ეთერ კვეზერელის საქმე

გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება უპრეცედენტოა იმ მხრივ, რომ შემოაქვს „სასჯელის“ იმგვარი ფორმა, როგორიცაა „ობიექტური“ სტატიის გამოქვეყნება, რაც ფაქტიურად, სასამართლოს მხრიდან სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევად უნდა შევაფასოთ.

იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, ასევე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონი შეიცავდა ამომწურავ ჩამონათვალს პასუხისმგებლობის იმ ფორმებისა, რომელთა მოთხოვნის უფლება შეიძლება ჰქონოდა მოსარჩლეს დიფამაციური სარჩელის წარდგენისას. კერძოდ, ესენია: ცნობების უარყოფის მოთხოვნა, პასუხის გამოქვეყნება, მორალური ზიანის ანაზღაურება. ეს ჩამონათვალი არ მოიცავს ისეთ ვალდებულებას, როგორიცაა სტატიის მომზადება და მისი გაზეთში განთავსება. მით უფრო, ობიექტურის, რადგანაც საერთოდაც საკამათოა, თუ სად გადის ზღვარი ობიექტურობასა და სუბიექტურობას შორის, როდესაც საქმე მოვლენებისა და საგნების ჟურნალისტურ აღქმას ეხება და როგორ უნდა განისაზღვროს მოცემულ შემთხვევაში ობიექტურობის კრიტერიუმი.

ჟურნალისტმა გადმოსცა საკუთარი სუბიექტური მოსაზრება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხის შესახებ, რომელიც კონკრეტულ ფაქტს – ავტოსაგზაო ინციდენტის შედეგად მომხდარ უბედურ შემთხვევას ეფუძნებოდა. მოპასუხემ თავის პუბლიკაციაში წამოჭრა ადამიანთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და ხელისუფლების ვალდებულების პრობლემა, უზრუნველყო უსაფრთხოების ზომების გათვალისწინება სხვადასხვა სახის მშენებლობების დაგეგმვისას. მომხდარი ფაქტის საფუძველზე, ჟურნალისტს სრული უფლება ჰქონდა, გამოეთქვა ეჭვი და ვალდებულიც კი იყო, დაინტერესებულიყო, თუ რატომ არ ფუნქცი-

ონირებდა მგზავრთა მოსაცდელი. იმის გათვალისწინებით, რომ სტატია ეხებოდა საჯარო ინტერესის საკითხს, ჟურნალისტს „არა მარტო გაზვიადების, არამედ პროვოკაციის უფლება“¹³⁴ ჰქონდა.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილება კანონის უხეში დარღვევითაა მიღებული, რადგან იგი კანონში არარსებული ფორმით აკისრებს პასუხისმგებლობას ჟურნალისტს შეფასებითი მსჯელობისათვის.

ონისე უგრეხელიძის, გაზეთ „P.S.“-ისა და თინათინ დვალიშვილის საქმე განსახილველ საქმეში¹³⁵ წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა უფლებამოსილი ჟურნალისტი, გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებაში მოარულ ხმებსა და კონფიდენციალური წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეფუძნება; ამასთანავე, ვალდებულია თუ არა ჟურნალისტი, გაამჟღავნოს იმ ინფორმაციის წყაროს ვინაობა, რომელმაც საკუთარი მიზანშეწონილობით ანონიმურად დარჩენა მოითხოვა.

სადავო პუბლიკაცია ეხებოდა საზოგადოებაში მოარულ ხმებს კონკრეტული საჯარო თანამდებობის პირის ნავთობის ბიზნესში მონაწილეობის შესახებ, რასაც ინკოგნიტო რესპონდენტიც ადასტურებდა. ბუნებრივია, წარმოუდგენელია, ჟურნალისტს მოსთხოვო გაავრცელოს მხოლოდ ნოტარიულად დამოწმებული ცნობები. ჟურნალისტის მოვალეობაა, ობიექტური რეალობის ასახვა, რაც არ გამოირიცხავს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ამა თუ იმ მოსაზრების, ჭორისა და მართლის ასახვას. მით უფრო, თუ იგი საჯარო პირებს ეხება. ჟურნალისტი მხოლოდ ახმოვანებს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს, მათ შორის, ეჭვებსა თუ ჭორებსაც, და არ შეიძლება მას დაეკისროს პასუხისმგებლობა მაშინაც კი, თუ მის მიერ გაავრცელებული ინფორმაცია შემდგომში ნამდვილი არ აღმოჩნდება.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა. ტორგეისონის საქმეში¹³⁶ პოლიციის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები არაერთ წყაროს ეფუძნებოდა, ძირითადად კი ხალხში მოარულ ჭორებს. მოპასუხე სახელმწიფო აცხადებდა, რომ სადავო სტატიას აკლდა ობიექტური და ფაქტობრივი საფუძველი, რადგანაც შეუძლებელი იყო განცხადების სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება. მიუხედავად ამისა, ევროსასა-

¹³⁴ იხ. საქმე დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 321.

¹³⁵ იხ. ონისე უგრეხელიძე „P.S.“-ისა და თინათინ დვალიშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 438.

¹³⁶ იხ. ტომი I, გვ. 294.

მართლმად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების მოთხოვნა არაგონივრული და შეუძლებელიც კი იქნებოდა და განაცხადა, რომ „პრესა თითქმის ვერც ერთ საკითხს ვერ შეეხებოდა, თუკი მხოლოდ ზუსტად დამტკიცებული ფაქტების დაბეჭდვა იქნებოდა აუცილებელი“.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ისე დააკისრა საინფორმაციო საშუალებას გავრცელებული ცნობების უარყოფა, რომ მხედველობაში არ მიიღო მოსარჩლის საჯარო სტატუსი და ის, რომ საჯარო თანამდებობის პირს თმენის გაცილებით მეტი ვალდებულება ეკისრება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჟურნალისტი მართლზომიერად იცავდა მისი ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალურობას, რის საფუძველსაც მას მოქმედი კანონმდებლობა აძლევდა. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალისტი მოვალეა, დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა, მათი ავტორობის არგამხელის შესახებ. ჟურნალისტს კანონმდებლობით რომ არ ჰქონდეს გარანტირებული ეს უფლება, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა მისი საქმიანობის ეფექტურობა.

ჟურნალისტური წყაროები განსაკუთრებულად არის დაცული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენციით. მაგალითად, გუდვინის საქმეში ევროსასამართლომ განაცხადა, რომ „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს და რომ პრესისათვის ძლიერი დაცვის მინიჭება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია“, სასამართლომ დაადგინა, რომ „როგორც წვერი ქვეყნების კანონებსა და პროფესიული ქცევის კოდექსებშია მოცემული, ჟურნალისტური წყაროების დაცვა პრესის თავისუფლების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ამგვარი გარანტიების არარსებობის შემთხვევაში, წყაროებმა შესაძლოა, თავი შეიკავონ და უარი თქვან პრესის მემკვიდრეობით საზოგადოების ინფორმირებისგან. შედეგად კი პრესა ვერ შეძლებს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციის შესრულებას და საზოგადოებისათვის ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას“.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნია წყაროს გამჟღავნების დავალდებულება იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა ეს ზომა გამართლებული არის „ძლიერი სოციალური ინტერესით“.

მოცემულ შემთხვევაში ასეთი ძლიერი სოციალური ინტერესი არ არსებობდა.

რაც შეეხება სადავო ცნობების შინაარსს, აღსანიშნავია, რომ ინკოგნიტო რესპონდენტის ინტერვიუს გარდა, თითქმის ყველა საავტორო გამონათქვამი წარმოადგენდა არა მტკიცებას ფაქტის შესახებ, არამედ შეფასებით მსჯელობას. შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა ჟურნალისტის-

თვის მის მიერ გავრცელებული შეფასებების ნამდვილობის დადასტურება. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მრავალ საქმეზე აღნიშნა, რომ მოსაზრება არის პერსონალური შეხედულება ამა თუ იმ მოვლენასა და/ან ფაქტზე და შეუძლებელია მისი სისწორის დამტკიცება. ამასთანავე დალბანის საქმეში ევროსასამართლომ განაცხადა: თუკი ჟურნალისტს ან პუბლიკაციას გააჩნია კანონიერი მიზანი, წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს და ფაქტების დასამტკიცებლად ჟურნალისტმა მიმართა გონივრულ მცდელობას, პრესა არ ჩაითვლება ბრალეულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცდება ფაქტების არასწორი შინაარსი (უზუსტობა).

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის, რომ მოპასუხემ პროფესიული სტანდარტის დაცვით მოამზადა სტატია: მან გადაამოწმა მოპოვებული ინფორმაცია სხვა წყაროებთან; კომენტარისთვის მიმართა მოსარჩლესაც, რასაც ამ უკანასკნელმა თავი აარიდა. ეს გარემოება, ბუნებრივია, ჟურნალისტს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევდა. ამასთანავე, სადავო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მოსარჩლეს ორჯერ მიეცა იმავე გაზეთის მეშვეობით კომენტარის გაკეთებისა და გავრცელებული ცნობების უარყოფის საშუალება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება აშკარად დაუსაბუთებელი და კანონშეუსაბამოა.

პაატა შავაძის, ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის საქმე

ამ შემთხვევაში¹⁷⁷ არც ჟურნალისტს გამოუჩენია სათანადო მცდელობა, მკითხველისათვის მიეწოდებინა გადამოწმებული და უტყუარი ინფორმაცია და არც სასამართლოს გამოუვლენია სათანადო მზადყოფნა, ყველა ზომამ ეხმარა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

ჟურნალისტი ცდილობდა, შეესწავლა სამართლის ინსტიტუტში არსებული მდგომარეობა და შესაბამისად, სტატიაც სწორედ ამ გამოძიების თუ არშემდგარი გამოძიების შედეგებს ეხებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტმა – რექტორმა, უარი განაცხადა კომენტარის გაკეთებაზე, ჟურნალისტს მიეცა საკმარისი საფუძველი, რათა ეჭვი შეეტანა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში და მკითხველისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია სწორედ იმგვარი სახით, როგორც მას ჩამოუყალიბდა თავისი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად.

¹⁷⁷ იხ. პაატა შავაძე ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 440.

პირველ რიგში, ცხადია, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს დადასტურებადი ფაქტები და ჟურნალისტის მოსაზრებები. მოსარჩლისათვის იარაღის უკანონო ტარების დაბრალება წარმოადგენს დადასტურებად ფაქტს. სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადაც აცხადებს ასეთ ქმედებას, ამდენად, ჟურნალისტს უნდა დაესაბუთებინა ამ ცნობის უტყუარობა, რაც მან მოცემულ შემთხვევაში ვერ მოახერხა.

ასევე მძიმე ბრალდებას წარმოადგენს გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ რექტორი ცხოველურ ჟინს ავლენს სტუდენტებისა და ლექტორების მიმართ და მართავს ორგიებს. შესაბამისად, თუკი არ არსებობს საკმარისი საფუძველი ასეთი ტიპის განცხადების გაკეთებისა, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტი უნდა მოერიდოს მსგავსი შინაარსის ფაქტობრივი მონაცემების გავრცელებას. მართალია, გაზეთმა ეს ცნობა გაავრცელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში არსებული მოქალაქის საჩივრის საფუძველზე, სადაც განმცხადებელი რექტორს გაუპატიურების გამო უჩიოდა, მაგრამ ჟურნალისტს უნდა ეთვალისწინებინა ის, რომ პროკურატურამ აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა. თუკი ჟურნალისტი თავის პუბლიკაციაში მიუთითებდა ხსენებულ ინციდენტს, მას ამ საქმის სამართლებრივი შედეგებიც უნდა გაეშუქებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცნობა, რომელთა უარყოფაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოპასუხე საინფორმაციო საშუალებას დააკისრა, მართლაც ლახავდა მოსარჩლის პატივსა და ღირსებას, ცნობათა ნაწილი მტკიცებას არ ექვემდებარება, რადგან სხვა არაფერია, თუ არა ჟურნალისტური შეფასებები. მაგალითად, ისეთი გამონათქვამები, როგორცაა „ჭკუამხიარული“ და „ჩიტირეკია“, ასევე რექტორის მიერ იურისპრუდენციაში დისერტაციის კეთილსინდისიერად დაცვის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, ისევე როგორც მოსარჩლის გარკვეული საქმიანი თვისებების ჟურნალისტისეული შეფასება, არ წარმოადგენს იმგვარ ცნობებს, რომელთა მცდარობის ან უტყუარობის მტკიცება შესაძლებელია. შეფასებითი მსჯელობა არის ის, რაც ჟურნალისტს დიქტოფონისგან განასხვავებს და მას ჟურნალისტურ თავისუფლებას ანიჭებს, რაც, ცხადია, სრულებითაც არ გულისხმობს, რომ ამ შეფასებებს აპრიორი იზიარებს მკითხველი.

ამასთანავე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ პროცესზე მონმეების არგამოძახება აბსურდული საფუძველით, ბადებს ეჭვს, თუ რამდენად იყო სასამართლო დაინტერესებული საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით. მოპასუხე მხარემ მოითხოვა მონმეების გამოძახება გავრცელებული ცნობების დადასტუ-

რების მიზნით. სასამართლოს უარი კი იმით იყო მოტივირებული, რომ მონმეები დაადასტურებდნენ არა თავად ფაქტებს, არამედ იმას, რომ გავრცელებული კომპრომატები სწორედ მათ მიაწოდეს საინფორმაციო საშუალებას. მონმეთა ჩვენებებს, შესაძლოა, აბსოლუტურად შეეცვალა საქმის მსვლელობა, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დაადასტურებდნენ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობას.

რაც შეეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ბოდიშის მოხდის დაკისრებას, ის შეესაბამება იმ მახინჯ პრაქტიკას, რომელიც ქართულ სასამართლოებში იყო ფართოდ აპრობირებული და კანონმდებლობაში არარსებული ნორმის დაკისრებაში გამოიხატებოდა. აჭარის უმაღლესმა სასამართლომ სრულიად სამართლიანად გააუქმა გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ბოდიშის მოხდას ითვალისწინებდა, ისევე როგორც ამორიცხა გადაწყვეტილებიდან რამოდენიმე გამონათქვამი, რომელიც შეფასებას წარმოადგენდა. თუმცა ამავე დროს პალატამ მიუთითა, რომ უსაფუძვლოდ მიაჩნია პაატა შავაძის მიმართ სტატიიში გაკეთებული შეფასებები, რომლებიც დადასტურებდა ცნობებს ეფუძნება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ, ერთის მხრივ, სასამართლომ აღიარა ის, რომ ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ცნობები წარმოადგენდა შეფასებებს, ხოლო, მეორეს მხრივ, მიიჩნია, რომ აღნიშნული შეფასებები ჟურნალისტმა გააკეთა დადასტურებად ცნობებზე დაყრდნობით და ამდენად, უნდა დაემტკიცებინა მათი ნამდვილობა. უმაღლესი სასამართლოს ეს მოსაზრება საკმაოდ წინააღმდეგობრივია და არ შეესაბამება ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის არსს.

სადავოა, სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირს შეუძლია, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხე მოქმედებდა ბრალეულად. მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტის ბრალის არსებობას გამორიცხავს ის გარემოებაც, რომ მან კომენტარისთვის მიმართა მოსარჩლეს და მისგან უარი მიიღო. სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია თავის გადაწყვეტილებაში მოპასუხეთა ქმედებაში ბრალის არსებობის შესახებ. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც უკანონო და დაუსაბუთებელია.

გივი ლომინაძის, გაზეთ „მერიდიანისა“ და ი. გორელიშვილის საქმე საქმეზე, რომელიც თანამდებობის პირის ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებულ დავას ეხებოდა, სამივე ინსტანციის სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა.

ვიდრე დეტალურად განვიხილავდეთ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლობის მიერ დაშვებულ კანონშეუსაბამობებს, უნდა აღინიშნოს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მიღების განსაკუთრებული მნიშვნელობა. თავად კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოავლინოს და ამხილოს თანამდებობის პირთა კორუფციული ქმედებები საჯაროობის გზით, რაც, პირველ რიგში, ანტიკორუფციულ კამპანიაში მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს. საჯაროობა და ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანობის გამჭვირვალეობის მიღწევა კი წარმოდგენელია მედიის მონაწილეობის გარეშე. ამდენად, ჟურნალისტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ იმიტომ, რომ ის „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციას ასრულებს და სააშკარაოზე გამოაქვს ის ეჭვები, რომელთაც ამა თუ იმ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობა წარმოშობს, არა თუ სამართლებრივი თვალსაზრისით არის გაუმართლებელი, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობითაც.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი: მოსარჩლის პოლიტიკური თანამდებობის გათვალისწინებით – იგი იყო პარლამენტის წევრი და აფხაზეთის ყოფილი შს მინისტრი, მასზე ვრცელდებოდა ევროსასამართლოს მიერ საჯარო პირთა მიმართ დადგენილი კრიტიკისადმი თმენის მაღალი სტანდარტი. თანამდებობის პირები, და მით უფრო პოლიტიკოსები, თანამდებობაზე დანიშვნის/არჩევისას ნებაყოფლობით აცხადებენ თანხმობას, თითოეული მათი ნაბიჯი (რომელიც არ არის აუცილებელი, დაკავშირებული იყოს მის პოლიტიკურ საქმიანობასთან) იქცეს საზოგადოების მხრიდან სერიოზული განხილვისა და კრიტიკის ობიექტი.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ისეთი ცნობების უარყოფა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ფაქტებთან. იმის გათვალისწინებით, რომ თავისთავად მოსაზრებების ნამდვილობის დადასტურების მოთხოვნა არაგონივრული და შეუძლებელია, სამოქალაქო კოდექსი პირს აკისრებდა პასუხისმგებლობას მხოლოდ არასწორი ცნობების გავრცელების გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, როდესაც მხარეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია.

კერძოდ, მოპასუხეს დაევალა: 1) მოსარჩლის ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციის მონაცემების გამოქვეყნება; და 2) განმარტების გაკეთება, რომ ლომინაძის ქონების შესახებ გაზეთის მიერ გავრცელებული ცნობები ფაქტობრივ გარემოებათა ზედაპირული შესწავლის შედეგი და პირადი შეხედულებები იყო. უნდა ითქვას, რომ მოსარჩლეს კიდევაც რომ მოეთხოვა მოპასუხეებისათვის მსგავსი ქმედების შესრულების დავალდებულება, სასამართლო მაინც არ იყო უფლებამოსილი, დაეკისრებინა მხარისათვის ისეთი ვალდებულება, რასაც არც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და არც პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონი ითვალისწინებდა. ამასთანავე, სარეზოლუციო ნაწილში მითითება იმის შესახებ, რომ გავრცელებული ცნობები მხოლოდ მოპასუხე მხარის შეხედულებები იყო და სხვა არაფერი, უკვე თავისთავად მეტყველებს იმ სამართლებრივ შეუსაბამობაზე, რაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლსა და ხსენებულ გადაწყვეტილებას შორის არსებობს.

საოლქო სასამართლოს გაადნყვეტილების კომენტარი: მართალია, თბილისის საოლქო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გადასინჯა იგი, მაგრამ არა იმ სამართლებრივი შეუსაბამობის მოტივით, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

ორთავე გამონათქვამი, რომელთა უარყოფაც მოპასუხეებს დაეკისრათ, სხვა არაფერი იყო, თუ არა შეფასებითი მსჯელობა, თანაც ისეთი, რომელიც საზოგადოებრივ განწყობასაც ასახავდა. მაგალითად, ისეთი ფრაზა, როგორიცაა – „საინტერესოა, ლომინაძე და მისი მსგავსი ადამიანები ჰაერით იკვებებიან, თუ ხელფასის დაუხარჯავად, როგორ ახერხებენ ამხელა დანაშოგების გაკეთებას?!“ – ხშირად უჩნდებათ მოქალაქეებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ვაცნობისას და ის აბსოლუტურად ადეკვატურად ასახავს საზოგადოების წარმომადგენელთა დამოკიდებულებას დაბალხელფასიან და „ქონებამოხვეჭილ ჩინოვნიკთა“ მიმართ. თავისთავად ისეთი ცნობის ნამდვილობის მტკიცება, რომელიც თავისი გრამატიკული კონსტრუქციიდან (კითხვითი ფორმა) გამომდინარე, გამორიცხავს მტკიცებით ფორმას, აბსურდულია, რადგან კითხვა თავისთავად გულისხმობს პასუხის მოლოდინს.

არაგონივრულია სასამართლოს ის მოსაზრებაც, რომლის თანახმად, „თუ შეხედულება არ ემყარება ფაქტებს და მოსაზრებები არ შეესაბამება სინამდვილეს“... ამ შემთხვევაში პირის პატივისა და ღირსების ხელყოფასთან გვაქვს საქმე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, პირს მოსთხოვო მხოლოდ ფაქტებზე დამყარებული მოსაზრების გამოთქმა;

ისევე, როგორც მის მიერ გამოთქმული მოსაზრების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცება.

შეუძლებელია პირს მოსთხოვო, მაგალითად, იმის მტკიცება, თუ რა დონეზე ნაუკრა ს. პაპაშვილმა სიმამრს აგარაკის მშენებლობაში ხელი – „ცოტაზე“ თუ „ბევრზე“.

ცალკე მსჯელობის საგანია ის გარემოება, თუ რამდენად მართლზომიერად მიიჩნია საოლქო სასამართლომ გავრცელებული ცნობები პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფად. ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები არ წარმოადგენდა პირად საიდუმლოებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, არ შეიძლება თანამდებობის პირის შესახებ საჯარო დაწესებულებაში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია წარმოადგენდეს პირად საიდუმლოებას. მით უფრო, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევად მოსარჩლემ მიიჩნია ცნობები მისი სიძის – ს. პაპაშვილის შესახებ, რომელიც თავადაც წარმოადგენდა იმ ხანად საჯარო ფიგურას და ამდენად, მისი ქონებაც საზოგადოებრივი განსჯის საგანი იყო. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა შესაძლოა, შეილახოს მხოლოდ სწორი (ნამდვილი) ინფორმაციის გავრცელების გზით, ხოლო განსახილველ შემთხვევაში თავად მოსარჩლე ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ მის მიმართ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოებაც, რომ მოსარჩლეს დარღვეული ჰქონდა საფინანსო დეკლარაციის შევსების წესი: გივი ლომინაძის მიერ მითითებული „25-35 ათასი ლარი“ არღვევდა ათპროცენტიანი ცდომილების წესს. ამდენად, ჟურნალისტს კიდევ ერთი დამატებითი მიზეზი ჰქონდა მის გასაკრიტიკებლად.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი: უზენაესი ინსტანცია უფრო შორს ნავიდა, როდესაც სამოტივაციო ნაწილში მიუთითა იმის შესახებ, რომ გივი ლომინაძის დეკლარაციაზე საუბრისას, ჟურნალისტს არ ჰქონდა გრიგოლ რობაქიძის სიტყვების ციტირების უფლება. ცხადია, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს ჟურნალისტური შემოქმედების პროცესში და განსაზღვროს, რა კონტექსტში აქვს საინფორმაციო საშუალებას რომელიმე კლასიკოსის ციტირების უფლება. გრიგოლ რობაქიძის გამონათქვამში – „ხელისუფლება საკრალური მოვლენაა, ვიგინდარების ყოფნა ხელისუფლებაში დაუშვებელია“ – მოსარჩლის იდენტიფიცირება შეუძლებელია თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გრიგოლ რობაქიძეს ვერ ექნებოდა წარმოდგენა გივი ლომინაძის ქონებაზე და ვერც ამ უკანასკნელის აგარაკი გახდუ-

ბოდა მისი შთაგონების წყარო. ჟურნალისტს ცალსახადაც რომ მოეხდინა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩლის გაიგივება „ვიგინდარასთან“, ევროსასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ეს ვერ გახდებოდა მისი პასუხისმგებლობის საფუძველი. საქმეზე *ობერშლიკი II ავსტრიის წინააღმდეგ*¹³⁸ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიტიკოსის „იდიოტად“ მიჩნევა არ სცილდება საჯარო ინტერესის გამომწვევი მოვლენის შესახებ გამართულ დისკუსიისა და დემოკრატიის პირობებში დასაშვებ კრიტიკის ზღვარს.

აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს, ვეტერინარიის დეპარტამენტის, გაზეთ „ბათუმელებისა“ და ემზარ დიასამიძის საქმე

მოცემულ დავაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ აჭარის რეგიონში სასამართლო პოლიტიკური ხელისუფლების დანამატს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მართლმსაჯულების ორგანოს. ამ მოსაზრებას ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული უსაფუძვლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე გაზეთის ქონებას ყადაღა დაედო. მრავლისმეტყველია ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მოსარჩლემ, რომელიც ამავდროულად აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა, დაკარგა საქმის განხილვის სამართლებრივი ინტერესი და უარი თქვა სარჩელზე.

რაც შეეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გაზეთ „ბათუმელების“ ქონების დაყადაღების სამართლებრივ მხარეს, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების დაყადაღება. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლომ ყადაღა დაადო ქონებას, რომელიც მოპასუხეთა საკუთრებას არ წარმოადგენდა. სწორედ კანონის აღნიშნული ნორმის დარღვევა დაედო საფუძვლად აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებას. თუმცა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც საკმაოდ ბუნდოვანია: ერთის მხრივ, სასამართლომ გააუქმა ყადაღა იმ მოტივით, რომ დაყადაღებული ქონება მოპასუხის საკუთრებას არ წარმოადგენდა, ხოლო მეორეს მხრივ, განჩინებაში მიუთითა იმის შესახებ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმის არსებითი განხილვისას უნდა დაეკითხა მხარეები განჩინებაში მითითებული ქონების საკუთრების შე-

¹³⁸ *Prager and Oberschlick v. Austria*, 16 April, 1995.

სახებ და სრულყოფილად გავრკეცია ხსენებული ქონების საკუთრების საკითხი. ბუნებრივია, თუ უმადლესი სასამართლო არ იყო დარწმუნებული თავის გადანყვეტილებაში, მას არც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება უნდა გაეუქმებინა.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში გაცილებით საინტერესოა, თავად ყადაღის დადების მიზანშეწონილობის საკითხი. ყადაღის დადება იმ უკიდურეს შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც არსებობს საფრთხე, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება სასამართლო გადანყვეტილების აღსრულება. ასეთი საფრთხე მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა, რადგან გაზეთის რედაქცია არსად არ გაურბოდა პასუხისმგებლობას. თანაც მორალური ზიანის კომპენსირება იმ პირობებში, როცა მოდავე მხარე იყო არა ფიზიკური პირი, არამედ საჯარო დაწესებულება, კანონმდებლობით იყო გამორიცხული. გავრცელებული ცნობების სიმცდარე კიდევაც რომ დადასტურებულიყო, მათი უარყოფისთვის გაზეთის ქონების დაყადაღების არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. ასეთ ვითარებაში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სასამართლო მოქმედებდა ერთადერთი მიზნით – შეეჩერებინა საინფორმაციო საშუალების ფუნქციონირება იმ ტექნიკური საშუალებების დაყადაღების გზით, რომელიც აუცილებელია გაზეთის გამოსაცემად. ვალერი ასათიანისა და აკაკი გოგიჩაიშვილის საქმეზეც კი, სადაც აშკარად გამოიკვეთა ჟურნალისტის ბრალი, უზუნაესმა სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ტელეკომპანიისთვის ისეთი ფინანსური სანქციის დაკისრება, რომელიც გამოიწვევდა საინფორმაციო საშუალების გაკოტრებას და შედეგად, პრესის შეზღუდვას. მოცემულ შემთხვევაში კი, არც ჟურნალისტისა და გაზეთის ბრალი იყო სახეზე და არც საინფორმაციო საშუალების შეზღუდვის აუცილებლობა. შეზღუდვა, რომელსაც შეუძლია, გამოიწვიოს საინფორმაციო საშუალების შეჩერება, არ ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებს.

რაც შეეხება საკუთრივ სასარჩელო პრეტენზიების მართებულობას, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, პირს იმ შემთხვევაში ეკისრება გავრცელებული ცნობების უარყოფა, როდესაც: ა) გავრცელებული ცნობები წარმოადგენს დადასტურებად ფაქტებს; და ბ) გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს მოსარჩლის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას.

მოცემულ შემთხვევაში კი, სარჩელის მიხედვით, გაუგებარი იყო: 1) სტატიაში მოყვანილ რომელ გამონათქვამს მიიჩნევდნენ მოსარჩლეები შეურაცხმყოფელად; და 2) რა ფორმით და რა ცნობების უარყოფას ითხოვდნენ მოსარჩლეები. თუმცა

ყველაზე მთავარი გაურკვეველობა სათანადო მოსარჩლეობის საკითხს უკავშირდება.

ისეთი სამართლებრივი სიკეთეები, როგორცაა პატივი ან ღირსება ჯანდაცვის სამინისტროსა და ვეტერინარიის დეპარტამენტს არ გააჩნიათ, რადგან პატივიცა და ღირსებაც ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ფიზიკურ პირებს აქვთ ბოძებული. შესაბამისად, სამინისტროსა და დეპარტამენტს ვერც მორალური ზიანი მიადგებოდათ და აქედან გამომდინარე, უსაფუძვლო იყო მოთხოვნა მოპასუხე მხარისათვის მორალური ზიანის დაკისრების თაობაზე.

საინფორმაციო საშუალებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, პირველ რიგში, გაუმართლებელი იყო იმიტომ, რომ საკითხი ეხებოდა საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციას; და მეორეც, ჟურნალისტმა მასალის მომზადებისას დაიცვა „სამართლიანი რეპორტაჟისა“ და „ჟურნალისტური კეთილსინდისიერების“ პრინციპი. სტატიის მომზადებისას ჟურნალისტს არ ამოძრავებდა რაიმე მიზანი, გარდა იმისა, რომ მიენოღებინა საზოგადოებისათვის ინფორმაცია ბათუმში ცოფიანი ძაღლის ნაკბენით ბავშვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და წამოეჭრა ზოგადად ცხოველების ვაქცინაციასთან დაკავშირებით ხელისუფლების უმოქმედობის პრობლემა, რაც თავისთავად საფრთხეს წარმოადგენდა.

ამ პრობლემის გასარკვევად ჟურნალისტმა მიმართა სხვადასხვა წყაროებს, მათ შორის როგორც გარდაცვლილი ბავშვის მშობლებს, ასევე მის ექიმებს, თავად სამინისტროსა და დეპარტამენტის პასუხისმგებელი თანამდებობის პირებს. მან მოიძია რამდენიმე სამედიცინო დოკუმენტი. ყოველივე ამის შემდეგ კორესპონდენტს წარმოეშვა უფლება (და მოვალეობაც), გაეგრცვლებინა მის ხელთ არსებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია. ევროსასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პრესას არათუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიც არის, გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია და შეასრულოს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქცია.

მხედველობაშია მისაღები ასევე ევროსაბჭოს 2002 წლის დირექტივა დიფამაციისა და მედიის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „როდესაც სიმართლის მტკიცების ტვირთი ჟურნალისტის მხარესაა, ეს უკანასკნელი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია, წარადგინოს გონივრული არგუმენტი და თუ იგი დაამტკიცებს, რომ მოქმედებდა გონივრულად და კეთილსინდისიერად“.

მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტს მოსაზრების გამოთქმის საფუძველს აძლევდა რესპონდენტის ინტერვიუ, ზოგ შემთხვევაში კი – ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ეყრდნობოდა კორესპონდენტი სა-

ზოგადობაში გავრცელებულ მოსაზრებებს. ამასთან, ალსანიშნავია, რომ არ შეიძლება, ჟურნალისტს პასუხისმგებლობა დაკისრებოდა სხვათა გამონათქვამების ციტირების გამო, რადგანაც გავრცელებული ინფორმაცია საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

მერაბ ტყეშელაშვილისა და გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ საქმე

მოცემულ საქმეზე¹³⁹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს უხემ და გაუმართლებელ ჩარევას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში. თუნდაც ის გარემოება, რომ მოდავე მხარე ამ შემთხვევაში იყო არა რიგითი მოქალაქე, არამედ საჯარო თანამდებობის პირი (ქალაქის მერი), საკმარისი უნდა ყოფილიყო სასამართლოსთვის, რათა მას არ გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მით უფრო, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მიხედვით კი, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდნენ სასარჩელო მოთხოვნას.

ის, რომ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკისრა საინფორმაციო საშუალებას ისეთი ცნობების უარყოფა, რომელიც ჟურნალისტისა და საზოგადოების მხრიდან საჯარო თანამდებობის პირის შეფასებებს შეიცავდა, აშკარა გამოხატულებაა მართლმსაჯულების ორგანოს მხრიდან პრესის თავისუფლების შეზღუდვისა.

ისევე როგორც სხვა ანალოგიური ტიპის საქმეებში, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მოსაზრებებისა და ფაქტების ჟურნალისტისეული შეფასებების უარყოფა. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი კი ცალსახად ამბობს, რომ პირს შესაძლებელია, დაეკისროს მხოლოდ ისეთი ცნობების უარყოფა, რომელთა ნამდვილობის დადასტურებაც მან ვერ შეძლო. ბუნებრივია, არაგონივრულია, მოსთხოვო პირს ისეთი ცნობის დადასტურება, როგორიცაა, მაგალითად, „ალავიძისათვის სპეციალურად შექმნილ სავარძელს იმ დროიდანვე გადუქტატების სუნი აუფიდა;“ ან თუნდაც ის, რომ „რუსთავს ერთი პირის საწარმო დაერქვა“. ცალსახაა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ასევე მოითხოვს, რომ გავრცელებულ ცნობებში უშუალოდ მოსარჩლე უნდა იყოს იდენტიფიცირებული. სასამართლომ კი მოპასუხეს დაავალა ისეთი ცნობების უარყოფა, რომლებიც ალავიძის სკამის „სუნსა“ და ქალაქ რუსთავის საზოგადოებაში მერის შესახებ არსებულ შეფასებებს შეეხებოდა.

¹³⁹ იხ. მერაბ ტყეშელაშვილი „ჯორჯიან თაიმსის“ და ნათია ომაძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 480.

მოსარჩლეს შესაძლოა, აშკარად გადაჭარბებულად მიეჩნია ჟურნალისტის მიერ გავრცელებული რომელიმე ფრაზა, მაგალითად, ცნობა იმის თაობაზე, რომ კომერციული შუქიდან მიღებული დამატებითი თეთრები ტყეშელაშვილთან მიღის და ასეთი კომპანიების უკან სწორედ ის დგას ან ცნობა იმის თაობაზე, რომ შავი სამყაროს წარმომადგენლებთან მერს გააჩნია თბილი ურთიერთობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტური თავისუფლება გაზვიადების მაღალ ხარისხსა და პროვოცირებასაც გულისხმობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საჯარო მოხელეებს ეხებათ, რომელთაც თმენის გაცილებით მეტი ვალდებულება ეკისრებათ, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ავიწროებს სიტყვის თავისუფლების არეალს და არ შეესაბამება იმ ცალკეულ პოზიტიურ გადაწყვეტილებებს (თარგამაძე-„რეზონანსისა“ და კერესელიძე-ჯაიანის საქმეები), რომლებიც თანამდებობის პირებთან მიმართებაში ქართულმა სასამართლოებმა შექმნეს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ს.წ.-ისა და გაზეთ „ალიას“ საქმე

ეს საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ წამოჭრის თანხმობის გარეშე პირის გამოსახულების გამოქვეყნების მიზანშეწონილობის პრობლემას. ეს შემთხვევა სპეციფიურია იმ თვალსაზრისითაც, რომ საინფორმაციო საშუალებაში ფოტოს გამოქვეყნება გარკვეული დაავადების საილუსტრაციოდ მოხდა.

პირველ რიგში, სასამართლოს უნდა გაერკვია შემდეგი გარემოებები: რამდენად იყო შესაძლებელი პირის იდენტიფიცირება გამოქვეყნებული სურათის მეშვეობით? არსებობდა თუ არა პირის თანხმობა მისი გამოსახულების გამოქვეყნებაზე? რამდენად ვრცელდებოდა მოცემულ შემთხვევაზე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისები¹⁴⁰? ბრალეულად მოქმედებდა თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალება?

ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ ფაქტორმა, რომ მოსარჩლემ საკუთარი ფოტოსურათის გამოქვეყნების შესახებ ინფორმაცია პირველად მეზობ-

¹⁴⁰ სკ-ს მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური“.

ლებიდან შეიტყო. შედეგად დადასტურდა ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულება ნაწილობრივ შავი შტრიხით იყო დაფარული, სურათის მიხედვით ს.ნ.-ს იდენტიფიცირება მაინც იყო შესაძლებელი. ამდენად, საინფორმაციო საშუალებამ დაარღვია პიროვნების უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, როდესაც მისი თანხმობის გარეშე გამოაქვეყნა ფოტოსურათი.

რაც შეეხება მოპასუხის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ფოტოგადაღება არ მომხდარა გაზეთის ფოტოკორესპონდენტის მიერ და ამიტომ სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო არა მხოლოდ ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან მიმართებაში, არამედ წერილისა და ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან ერთობლივ კავშირში, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ ვის მიერ გადაღებული ფოტოსურათი უნდა გამოაქვეყნოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ პიროვნების თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი არის არა ის, თუ ვინ გადაიღო ფოტო, არამედ იმ პირის თანხმობა, რომლის სურათიც გამოაქვეყნეს.

საკამათო ასევე მოპასუხე მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მეოთხე წინადადების თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირის ბრალეულობა მტკიცებულებით არის დადასტურებული ანუ შეგნებული, ნებაყოფლობითი მოქმედება მიმართულია მხოლოდ პირის პატივისა და ღირსების შელახვისაკენ. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს ამავე მუხლით დაცული ნებისმიერი სიკეთის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში. ამ მუხლით კი დაცულია როგორც პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ასევე პირადი საიდუმლოება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პიროვნების უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, პიროვნების უფლება საკუთარ სახელზე. შესაბამისად, რომელიმე უფლების ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, პირს შეუძლია, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

აქვე უნდა აღინიშნოს კანონში არსებული ხარვეზის შესახებაც. კერძოდ, მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება, ანუ სასამართლოს მეშვეობით ცნობების უარყოფისა და ასევე ხელყოფის მიმართ მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის უფლება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი პიროვნების ფოტოსურათი გამოქვეყნებულია თავად ამ პიროვნების თანხმობის გარეშე. ბუნებრივია, წარმოდგენილიცაა და შეუძლებელიც საკუთარ გამოსახულებაზე უფლების დარ-

ღვევის შემთხვევაში, სამართლებრივი დაცვის საშუალებად გამოყენებული იყოს ცნობების უარყოფა. ცნობების უარყოფას მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გავრცელებული არის პიროვნების პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია.

ანუ საბოლოო ჯამში შესაძლებელია ითქვას, რომ თუკი პიროვნების გამოსახულება ქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე და სახეზე არ არის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის რომელიმე გამომრიცხავი გარემოება, ამ შემთხვევაში პირს აქვს უფლება, ხელმყოფისაგან მოითხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა, ხოლო თუკი ხელმყოფი მოქმედებს ბრალეულად, მას ასევე აქვს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებაც.

საკამათოთა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ფოტოსურათზე თვალების შავი შტრიხით დაფარვა გამორიცხავდა მოპასუხის ბრალს. ამ შემთხვევაში სასამართლოს ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო ის, რომ ფოტოსურათის მიხედვით შესაძლებელი იყო მოსარჩლის იდენტიფიცირება. ბრალეულად მოქმედება არ გულისხმობს მხოლოდ განზრახვას. ბრალი შესაძლებელია გამოიხატოს უხეშ გაუფრთხილებლობაშიც. მართალია, მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ მათ არც კი იცოდნენ რედაქციის არქივში არსებულ ფოტოსურათზე გამოსახული პიროვნების ვინაობა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ათავისუფლებდა საინფორმაციო საშუალებას ვალდებულებისგან, აელო ამ პირის თანხმობა.

ანალოგიურ შემთხვევებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალება უნდა დაუკავშირდეს პირს და მიიღოს მისგან თანხმობა, თანხმობის ვერმიღების შემთხვევაში კი უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლო საშუალება, რათა შეუძლებელი გახდეს გამოსახულების იდენტიფიცირება მესამე პირთა მიერ.

თბილისის საოლქო სასამართლომ მართებულად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 1, 2 და მე-6 ნაწილები. თუმცა სადავო პალატის მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი ადამიანი შეიცნობდა ს.წ.-ს სურათზე, საკმარისი იყო, მას თავად ეხილა საკუთარი დამახინჯებული თავი გაზეთში, რომ ძლიერი სულიერი ტკივილი მიადგებოდა. თუკი ვერც ერთი მესამე პირი ვერ შეძლებს პირის იდენტიფიცირებას სადავო პუბლიკაციაში, ამ შემთხვევაში გამორიცხულია საკუთარ გამოსახულებაზე პიროვნების უფლების დარღვევა. პიროვნებამ შესაძლოა, სარკეში საკუთარი დეფექტის ხილვითაც განიცადოს სულიერი ტკივილი და ამის გამო, ბუნებრივია, ის სარკესთან სამართლებრივ დავაში ვერ შევა.

რაც შეეხება ევროსასამართლოს პრაქტიკას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, საქმეში *N v Sweden*¹⁴¹ სასამართლომ მიუთითა, რომ თუ მედიის მხრიდან აღინიშნება მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, „საკითხის გადაწყვეტისას სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბალანსი კონვენციით გარანტირებულ ორ უფლებას - პირადი ცხოვრების საიდუმლოების პატივისცემისა (მე-8 მუხლი) და გამოხატვის თავისუფლების (მე-10 მუხლი) უფლებათა შორის“. ამ ბალანსის დარღვევა რომელიმე უფლების სასარგებლოდ შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი აუცილებლობის შემთხვევაში.

განხილულ საქმეში კი სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ მოსარჩლის პირადი ცხოვრების ხელყოფის აუცილებლობა არ არსებობდა.

¹⁴¹ App#1136185(1986) 50 Dr 173.

2004

წ ე ლ ი

აღნიშნული პერიოდის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ის რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მხრივ განხორციელდა. თუმცა სასამართლო პრაქტიკაზე ასახვა ჰპოვა არა მარტო საკანონმდებლო რეფორმამ, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებამაც.

პირველი პოზიტიური შედეგი, რაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის ამოქმედების შედეგად სასამართლო პრაქტიკაში გამოვლინდა, იყო ის, რომ ყურნალისტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრას სწორედ ახალი კანონის ნორმა დაედო საფუძვლად.¹⁴²

თუ წინა წლების სტატისტიკას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნორმის გამოყენების ნეგატიური ეფექტი უფრო სანყის პერიოდში აღინიშნებოდა, როდესაც ყურნალისტს დეპუტატის კორუფციაში მხილების, ხოლო მოქალაქეს პოლიტიკური შეხედულების გამოთქმის გამო, აღმკვეთი ღონისძიება მიუსაჯეს და შემდეგ პირობითი სასაჯელით შეუცვალეს. რვა წლიანი პერიოდის (1996-2004) განმავლობაში ცხრა სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში¹⁴³ გამოიტანა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ერთჯერ – ქალაქის პროკურატურამ, რაც საბოლოოდ გაუქმდა კიდეც¹⁴⁴ და ერ-

¹⁴² იხ. მამუკა ნოზაძე საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 529.

¹⁴³ იხ. 1996-1998 წწ. ნესტან კირთაძისა და კლარა აბრამიას საქმე, კლარა შუკეანის საქმე, გვ. 60-62.

¹⁴⁴ გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის დევნა შეწყვიტა და განმცხადებლის მოთხოვნა არც სასამართლომ დააკმაყოფილა. იხ. 2000 წელი, ლაერენტი ნაჭყებია და კლარა აბრამიას საქმე, გვ. 74.

თვე რაიონულმა და საოლქო სასამართლოებმა, როდესაც სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნეს პირი იმ განცხადებების გამო, რომელიც მხარეებს შორის საჯარო პოლემიკის დროს გამოითქვა¹⁴⁵. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოდ უზენაესმა სასამართლომ პროცესუალური დარღვევების მოტივით 2004 წლის დასაწყისში გააუქმა.

ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, არსებული პრაქტიკა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის „გამყინავი ეფექტი“ მაინც მოქმედებდა. სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლში არსებული ნორმა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სიტყვის თავისუფლების გაკონტროლების განსაკუთრებულ ცდუნებას აღძრავდა სახელმწიფო ორგანოებში, პოლიტიკოსებსა და საჯარო თანამდებობის პირებში. განვლილი პერიოდის სტატისტიკაც სწორედ ამ ტენდენციაზე მეტყველებს. კერძოდ: ამ პერიოდში განხილული ცხრა სისხლის სამართლის საქმიდან, მხოლოდ ორ შემთხვევაში მიმართა კერძო პირმა სასამართლოს სისხლის სამართლის წესით თავისი უფლებების დასაცავად; ოთხ შემთხვევაში კერძო ბრალმდებლად საჯარო პოლიტიკური თანამდებობის პირი¹⁴⁶ მოგვევლინა, ორ საქმეში – საჯარო თანამდებობის პირი¹⁴⁷ და ორში კი ბრალმდებელი სახელმწიფო იყო¹⁴⁸.

ამდენად, რვა წლიანი პერიოდის ანალიზი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ქვეყანაში ცილისწამების დეკრიმინალიზაციის აუცილებლობა იმისდა მიუხედავად არსებობდა, თუ რამდენი ადამიანი გაამწესეს ან არ გაამწესეს საკუთარი აზრის გამოხატვის გამო დროის ამ მონაკვეთში სასჯელალსრულებით დაწესებულებებში. ამ საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობას უფრო ის გარემოება განსაზღვრავს, ამგვარი არალიბერალური ნორმისა და თუნდაც შესაბამისი სისხლისსამართლებრივი სასამართლო პრაქტიკის სიმწირის პირობებში, თუ რამდენ ადამიანს დაეკარგა საკუთარი შეხედულების გამოხატვის სურვილი.

ახალი კანონის მიღებამ სასამართლო პრაქტიკაში გამოავლინა როგორც პოზიტიური ტენდენცია, ასევე ის მსოფლმხედველობრივი პრობლემა, რომელიც მოსამართლეთა კორპუსის ნაწილს ლიბერალური ღირებულებების მიღებაში უშლის ხელს. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად, გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი ის გადაწყვეტილება¹⁴⁹ გამოდგება, რომელშიც მოსამართლე

¹⁴⁵ იხ. ბ. შაჩიძე ლ. ლომსაძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 483.

¹⁴⁶ სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის ორი წარმომადგენელი: საქართველოს პარლამენტის წევრები – ნესტან კირთაძე და გურამ შარაძე; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი – ლავერენტი ნაჭყებია; ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე – თ. ნურნუშია.

¹⁴⁷ ახალციხის განათლების განყოფილების გამგე – ნანა იოსელიანი, ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – მამუკა ნოზაძე.

¹⁴⁸ კლარა შუკვანის საქმე, ლავერენტი ნაჭყებიასა და კლარა აბრამიას საქმე.

¹⁴⁹ იხ. მამუკა ნოზაძე „თრიალეთის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 531.

გ. გორჩიტაშვილი ანტიკონსტიტუციურად და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციასთან შეუსაბამოდ აცხადებს ახალ კანონს *სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ*. ამავე გადაწყვეტილებაში მოსამართლის მიერ საინფორმაციო საშუალებისათვის ბოდიშის მოხდის დაკისრება ისევ და ისევ მსოფლმხედველობრივი კონფლიქტის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ამ ინსტიტუტს არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც უკვე გაუქმებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონი იცნობდა. ბოდიშის მოხდას ითვალისწინებდა საბჭოთა კანონმდებლობა, კერძოდ, 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც 1997 წელს, ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადდა. თუმცა, როგორც რევანლიანი სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, საერთო სასამართლოები ისევ საბჭოთა კანონმდებლობას ანიჭებდნენ უპირატესობას და ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, საკმაოდ ხშირად მიმართავენ პასუხისმგებლობის ამ ფორმას¹⁵⁰. ახალი კანონის მიღებამდე სასამართლოებმა ცამეტ საქმეში გამოიტანეს გადაწყვეტილება ბოდიშის მოხდის დაკისრების შესახებ და მხოლოდ ხუთ შემთხვევაში გადასინჯეს ასეთი კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებები ზემდგომმა ინსტანციებმა¹⁵¹. სწორედ არსებული მახინჯი პრაქტიკა გახდა საფუძველი იმისა, რომ ახალ კანონში ჩაიდო სპეციალური ნორმა (მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი), რომელიც კრძალავს პირის იძულებას, მოიხადოს ბოდიში. მამუკა ნოზაძისა და „თრიალეთის“ საქმეზე კანონმდებლობის რეფორმირების შემდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება წამოჭრის, ერთის მხრივ, მოსამართლეთა კორპუსის გადასინჯვის, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი კანონმდებლობის პოპულარიზაციის საკითხს.

აღნიშნული პერიოდის სასამართლო პრაქტიკა ყველაზე ნათლად ასახავს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ ცვლილებებს. 2003 წლის 23 ნოემბრის ვარდების რევოლუციამდე მოძრაობა „კმარას“ კლიპების ტელეკომპანია „რუსთაი-2“-ის ეთერით ტრანსლირების აკრძალვა¹⁵² პოლიტიკური გამოხატვის ყველაზე უხეში ხელყოფის ფაქტი იყო კლარა შუკეანის საქმის შემდეგ. სასამართლო ხელისუფლება კი ამ შემთხვევაში პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებლად მოგვევლინა, რადგანაც გამოხატვის შეზღუდვისა და საინფორმაციო საშუალებაზე არაგონივრული ფინანსური სანქციის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. ის გარემოება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების გადასინჯვა ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პროცე-

¹⁵⁰ იხ. გვ. 53, სქ. 53.

¹⁵¹ თბილისის საოლქო სასამართლომ თამაზ წიწივიძისა და აკაკი გოგიჩაიშვილის საქმეში გამოიტანა გადაწყვეტილება ბოდიშის მოხდის შესახებ, რაც ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

¹⁵² საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური „რუსთაი 2“-ის წინააღმდეგ. კარი II, გვ. 507.

სუალური დარღვევების მოტივით მოხდა, უკვე მეტყველებს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე.

პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენისაგან სასამართლო თავისუფალი არც რევოლუციის შემდეგ აღმოჩნდა. თემურ შაშიაშვილის საქმეზე¹⁵³ ერთი და იგივე სასამართლო კოლეგიის მიერ დროის სხვადასხვა მონაკვეთში (2003 წლის 23 ნოემბრამდე და 23 ნოემბრის შემდეგ) გამოტანილი გადაწყვეტილება თვალნათლივ წარმოაჩენს იმ სამიშ ტენდენციას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს საერთოდ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევაში, ალბათ, საკითხის გამარტივება იქნებოდა, თუ პრობლემას მარტოოდენ „ტელეფონის მართლმსაჯულებაში“ დაინახავდით. სასამართლო ხელისუფლების ტრადიციის არარსებობამ გარკვეულწილად განაპირობა ის, რომ მოსამართლეთა კორპუსის ნაწილი თავადვე ცდილობს მოარგოს საკუთარი გადაწყვეტილებები ყოველი მორიგი სახელისუფლებო ძალის ინტერესებს, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ კომპეტენციაზე მეტად ხშირ შემთხვევებში მოსამართლეთა მსოფლმხედველობრივ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

შაშიაშვილის საქმის მსგავსად, ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები აისახა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2003 წელს გამოტანილ ერთ-ერთ უპრეცედენტო გადაწყვეტილებაზე¹⁵⁴, რომელიც საინფორმაციო საშუალებაზე არაგონივრული ფინანსური სანქციის დაწესების გამო თამამად შეგვიძლია, მივიჩნიოთ საინფორმაციო საშუალების აკრძალვის პირდაპირ განაჩენად.

ზოგადად ფინანსური სანქციების მკვეთრი ზრდის ტენდენცია, რამაც 2003 წლის 23 ნოემბრამდე იჩინა თავი, უკვე იმის მომასწავებელი იყო, რომ იმ დროინდელი პოლიტიკური ხელისუფლება თავისუფალი სიტყვის შეზღუდვას რეპრესიული მეთოდებით ცდილობდა და რეპრესიულ აპარატად სწორედ სასამართლო ხელისუფლებას იყენებდა. 2003 წელს მიღებული ის სამი გადაწყვეტილება¹⁵⁵, რომელიც ყველაზე მაღალი ფინანსური სანქციის დაკისრებას ითვალისწინებდა, 2004 წელს სხვადასხვა ფორმალური საფუძვლით გადაისინჯა.

მოცემულ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აკაკი გოგიჩაიშვილის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც სიტყვის თავისუფლების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციასთან ჰარმონიზაციას ისახავდა მიზნად. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ნაცვლად, ეს პრობლემა გადაწყვეტილების მიღებიდან

¹⁵³ იხ. თემურ შაშიაშვილი დავით კუპრეიშვილისა და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ, კარი II, გვ. 495.

¹⁵⁴ იხ. აკაკი ჩხაიძე „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალექსანდრე მაღლაფერიძის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 486.

¹⁵⁵ იხ. 2003 წელი, გვ. 126.

სამ თვეში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმა გადაჭრა.

ამავე პერიოდს უკავშირდება უპრეცედენტო გადანყვეტილება¹⁵⁶, რომლითაც სასამართლომ, ფაქტიურად, შეურაცხმყოფელად გამოაცხადა ერთ-ერთი ეროვნება.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საქმეებს, უნდა ითქვას, რომ საქმეში შ. შ. „კვირის პალიტრისა“ და მეგი ცანავას წინააღმდეგ¹⁵⁷ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პირველად მოახდინა ამ უფლების არსობრივად ზუსტი განმარტება, თუმცა იმავე საქმეში არასწორად განსაზღვრა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლის პერსონალური მონაცემების დაცვაზე.

საერთო ჯამში 2004 წელს სასამართლოებმა მიიღეს 7 კანონიერი, 7 კანონშეუსაბამო და 2 ნაწილობრივ მართლზომიერი გადაწყვეტილება.

1. სისხლისსამართლებრივი დავები

დიფამაცია

მამუკა ნოზაძისა და საბა წიწიკაშვილის საქმე

აღნიშნულ საქმეზე კასპის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებას პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს. ეს არის პირველი საქმე, სადაც სასამართლომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის საფუძველზე განაცხადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დიფამაცია სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაული არ არის, სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი კი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს ცილისმწამებლური განცხადებების გამო გაუქმებულია.

რაც შეეხება საკუთრივ დავას, იგი შეეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს – ადვოკატის მიერ მოსამართლისათვის ფულის გამოძალგის მცდელობას. ამ საკითხის აქტუალობას ზრდიდა ის გარემოება, რომ განმცხადებელი პარ-

¹⁵⁶ იხ. ვახტანგ ხმალაძე „ჯორჯიან თაიმისისა“ და ეკა სეხნიაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 512.

¹⁵⁷ იხ. კარი II, გვ. 502.

ტიულ საქმიანობასაც ეწეოდა. ამდენად, საზოგადოებას ჰქონდა უფლება, სცოდნოდა ნებისმიერი ინფორმაცია გორის რაიონში მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ადვოკატის შესახებ და ისიც, იმყოფებოდა თუ არა მასთან გარიგებაში კონკრეტული მოსამართლე. ამასთანავე, მოპასუხის განცხადებით, მის მიერ მომზადებული პუბლიკაცია ეყრდნობოდა დამოუკიდებელი წყაროების ინფორმაციას: მან კომენტარისათვის მიმართა როგორც მოსამართლეებს, ასევე თავად განმცხადებელ ადვოკატსაც.

სასამართლომ გამოიტანა კანონიერი გადაწყვეტილება, როდესაც საქმის არაღძვრის საფუძველად ახალი კანონის მიერ დანაშაულის გაუქმება მიუთითა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად კი, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ ახალი კანონი აუქმებს დანაშაულს.

P.S. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო წესით განხილულ საქმეზე¹⁵⁸, რომელიც იმავე დავას შეეხებოდა, გორის რაიონულმა სასამართლომ კანონიერად არ დააკმაყოფილა მოსარჩლე მხარის პრეტენზიები.

2. სამოქალაქო-სამართლებრივი დავები

ღიჟაგაცია

ა. ჩხაიძის, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალ. მაღლაფერიძის საქმე

თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საინფორმაციო საშუალების ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ისეთი ფინანსური სანქცია დააკისრა ტელეკომპანიას, რომ, ფაქტიურად, იგი გაკოტრების საფრთხის წინაშე დააყენა. სასამართლო ხელისუფლების ეს ნაბიჯი შესაძლოა, შეფასდეს საქართველოში სიტყვის თავისუფლებისა და ზოგადად დემოკრატიული ღირებულებების ხელყოფის უხეშ მცდელობად.

მხედველობაშია მისაღები ის ფონი, რომელიც მოცემული დავის განხილვის

¹⁵⁸ იხ. მამუკა ნოძაძე „თრიალეთისა“ და საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 536.

მომენტიცათვის არსებობდა. გარდა იმისა, რომ სახელისუფლებო პარტიის რამოდენიმე ფიგურა, მათ შორის მოსარჩლევ, ცალსახად იყო გაიგივებული საზოგადოებაში კორუფციის სიმბოლოსთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ეს იყო პრაქტიკულად ერთადერთი თანამდებობის პირი, რომელმაც ამ რვა წლის განმავლობაში ოთხჯერ მიმართა სასამართლოს სარჩელით საკუთარი პატივისა და ღირსების დასაცავად. ოთხივე სარჩელი¹⁵⁹ ასახავდა იმ კონფლიქტს, რომელიც აკაკი ჩხაიძეს პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების გამო წარმოუგვა. სადავო სტატიებში მოსარჩლეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, კანონების ხელყოფაში, სახელმწიფოს კუთვნილი თანხებისა და მიწების მითვისებაში, მომგებიანი პროექტების ჩაშლაში ედებოდა ბრალი. ალბათ, მრავლისმთქმელი უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ წინა წლებში წარმართულ სამ საქმეში აკაკი ჩხაიძემ ნებაყოფლობით თქვა უარი სარჩელებზე. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის შემთხვევაში კი სადავო გამონათქვამების შინაარსი თითქმის იდენტური იყო იმ პუბლიკაციებისა, რომელთა სამართლებრივი წესით განხილვის ინტერესი წინა შემთხვევებში მოსარჩლემ დაკარგა.

ამ საქმის განხილვისას საოლქო სასამართლო ვალდებული იყო, მხედველობაში მიეღო შემდეგი ფაქტორები:

- იყო თუ არა გადაცემის თემა საჯარო ინტერესის საგანი;
- მიმდინარეობდა თუ არა გადაცემის ეთერში გასვლამდე საზოგადოებაში საჯარო დისკუსია პროგრამა „60 წუთით“ ნამოჭრილი პრობლემების შესახებ;
- წარმოადგენდა თუ არა ა. ჩხაიძე საჯარო ფიგურას;
- მოქმედებდა თუ არა ჟურნალისტი კეთილსინდისიერად;
- მიეცა თუ არა შანსი მოსარჩლეს, გამოსულიყო იმავე გადაცემაში და გაეკეთებინა კომენტარი ყველა განხილულ საკითხზე.

პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები ის, რომ ჟურნალისტური გამოძიება ეხებოდა იმ დროისათვის ყველაზე აქტუალურ პრობლემას – კორუფციის თემას, რომლის შესახებაც საზოგადოებაში მწვავე საჯარო დისკუსია მიმდინარეობდა. ამასთანავე, საქართველოს რკინიგზა იყო და ამჟამადაც არის ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია, რომელიც ბიუჯეტში ყველაზე მსხვილ გადამხდელად ითვლება, რაც თავისთავად განაპირობებს ინტერესს ამ ორგანიზაციაში მიმდინარე

¹⁵⁹ იხ. აკაკი ჩხაიძე თეა რუსიტაშვილის წინააღმდეგ, 2000 წ, გვ. 221; აკაკი ჩხაიძე გოჩა ცქიტიშვილის წინააღმდეგ, 2003 წ, გვ. 474; აკაკი ჩხაიძე „თავისუფალი გაზეთისა“ და ჟურნალისტ გია მგელაძის წინააღმდეგ, 2003 წ, გვ. 475.

პროცესების მიმართ. გასათვალისწინებელია ასევე ა. ჩხაიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატუსი – იგი წარმოადგენდა საჯარო პირს, რომელიც არცთუ იშვიათად ეწეოდა პოლიტიკაში, იყო სახელისუფლებო პარტიის საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი. ასეთ ვითარებაში სახეზე იყო, ერთის მხრივ, საზოგადოების უფლება, მიეღო მისთვის საინტერესო ინფორმაცია რკინიგზისა და მისი თავმჯდომარის საქმიანობის შესახებ და მეორეს მხრივ, პრესის ვალდებულება, მიეწოდებინა საზოგადოებისათვის მისთვის საინტერესო ინფორმაცია. ჟურნალისტს გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი – მოეხდინა საზოგადოების ინფორმირება რკინიგზის დეპარტამენტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ჟურნალისტმა დაიცვა სამართლიანი რეპორტაჟისა და კეთილსინდისიერების პრინციპი. ინფორმაციების გადასამოწმებლად მან მიმართა სხვადასხვა წყაროებს: მოიძია სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური დოკუმენტები, გამოკითხა ამ საქმესთან დაკავშირებული პირები, მათ შორის ინტერვიუსთვის მიმართა თავად ა. ჩხაიძეს, რომელმაც უარი განაცხადა კომენტარზე და თავადვე არ ისურვა, ესარგებლა შეპასუხების შესაძლებლობით. უარის მიღების შემდეგ კი ტელეკომპანიას წარმოეშვა უფლება (და მოვალეობაც), გაეგრცელებინა საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ინფორმაცია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსარჩლეს ჰქონდა საშუალება, სხვა ოფიციალური არხებითაც გაეცა პასუხი გადაცემაში გამოთქმულ ბრალდებებზე.

ოფიციალური დოკუმენტებისა და რესპონდენტთა ინტერვიუების გარდა, ჟურნალისტმა აპელირება მოახდინა საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებებზეც, რის უფლებასაც მას საქართველოს კონსტიტუცია, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია და პრეცედენტული სამართალი აძლევდა. მაგალითად, გამონათქვამი „პრეზიდენტის ოჯახის პირად ფინანსისტად ცნობილი აკაკი ჩხაიძე...“ ასახავდა საზოგადოებაში მოსარჩლის შესახებ არსებულ აზრს. ამ მოსაზრებას კი თავად მოპასუხე მხარე აკაკი ჩხაიძის მიერ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისათვის 7 მლნ დოლარად ღირებული ვერტმფრენის ჩუქების ფაქტით ამყარებდა. თუმცა ფაქტობრივი საფუძვლის გარეშეც ჟურნალისტს სრული უფლება ჰქონდა, გადმოეცა საზოგადოებაში არსებული განწყობები, ხოლო სამართლოს, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ აძლევდა უფლებას, ისეთი ცნობების უარყოფა დაეკისრებინა მოპასუხისათვის, რომლებიც მტკიცებას არ ექვემდებარება და მხოლოდ მოსაზრებებს წარმოადგენს. როგორც საზოგადოებას ვერ ჩამოვართმევთ უფლებას, ჩამოაყალიბოს აზრი ნებისმიერი მოვლენის თუ საჯარო პირის შესახებ, ასევე დაუშვებელია, საინფორმაციო საშუალებას

დაეკისროს პასუხისმგებლობა საზოგადოებაში არსებული მოსაზრებების გავრცელების გამო. საზოგადოებრივი განწყობის ასახვა არა მარტო ყურნალისტიკის უფლება, არამედ მოვალეობაცაა. უარყოფის მოთხოვნის უფლება პირს წარმოეჭმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც გავრცელებული განცხადებით ილახება მისი პატივი და ღირსება. ცალსახაა, რომ საზოგადოებაში გარკვეული აზრის არსებობით შეუძლებელია, შეილახოს მოსარჩლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. მით უმეტეს, როგორც თავად აკაკი ჩხაიძის სარჩელებიდანაც ჩანს, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საინფორმაციო საშუალებებში მისი საქმიანობის შესახებ ნეგატიური ინფორმაციები და მოსაზრებები გამოქვეყნდა. შესაბამისად, სადავო გადაცემა საზოგადოებრივი აზრის სერიოზულ კორექტირებას ვერ გამოიწვევდა და მოსარჩლის ღირსება საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ აზრზე უარესად ვერ წარმოჩნდებოდა.

ვეროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ნორმების გარდა, ყურადსაღებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც. საქმეში *ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ უზენაესმა ინსტანციამ მიუთითა, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ, ასევე საჯარო სამსახურის თანამდებობის პირზე არ უნდა გავრცელდეს საქმიანი რეპუტაციის ის გაგება, რასაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი განმარტავს. მართალია, ა. ჩხაიძე ფორმალურად არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს (ის მხოლოდ საჯარო პირი იყო), მაგრამ მას მინდობილი ჰქონდა ყველაზე დიდი სახელმწიფო კომპანია, იგი მართავდა საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფო ქონებას, ამავდროულად იყო პოლიტიკოსი და სახელისუფლებო პარტიის ლიდერი. შესაბამისად, მასზე ზუსტად იგივე სტანდარტი უნდა გავრცელებულიყო, რაც საჯარო სამსახურის თანამდებობის პირზე.*

გავრცელებული ინფორმაციის უარყოფის, აგრეთვე მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება პირს მხოლოდ მაშინ გააჩნია, თუ შელახულია მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩლემ ვერ მიუთითა ვერც ერთ გარემოებაზე, რომელიც ა. ჩხაიძის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას დაადასტურებდა. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩლემ საჯარო პირს წარმოადგენდა, მას თმენის მეტი ვალდებულება ეკისრებოდა.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი და 413-ე მუხლი. თავისთავად არასწორი ინფორმაციის გავრცელება არ იძლევა თანხის დაკისრების შესაძლებლობას.

იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვდა მოსარჩლისაგან იმის მტკიცებას, რომ ცნობების გავრცელების შედეგად მას მიაღდა მორალური ზიანი, ასევე იმის დასაბუთებას, თუ რამდენად პროპორციული იყო მოთხოვნილი თანხა დამდგარ ზიანთან, რაც მოსარჩლე მხარეს არც კი უცდია.

იმისათვის, რომ მოპასუხეებს დაკისრებოდათ ფინანსური კომპენსაცია – 1 000 000 ლარი იქნებოდა ეს თუ მხოლოდ და მხოლოდ 1 ლარი, საჭირო იყო სამი აუცილებელი წინამძღვრის არსებობა:

- ა) მორალური ზიანის დადგომის ფაქტი;
- ბ) ბრალეული მოქმედების ფაქტი;
- გ) მოთხოვნილი თანხის მოცულობის გონივრულობა დამდგარ ზიანთან მიმართებაში.

მოსარჩლეს არ დაუსაბუთებია, თუ რა ფსიქიკური განცდები გამოიწვია გადაცემის გაშვებამ და რაში გამოიხატა მორალური ზიანი. საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საერთოდ მორალური ზიანის არსებობის ფაქტს.

მოსარჩლეს არ მიუთითებია არც ერთ გარემოებაზე, რომლითაც დაადასტურებოდა, რომ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ან ა. გოგიჩაიშვილის ბრალით. საქმეში არ არსებობს ტელეკომპანიის ბრალის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება. უფრო მეტიც, „60 წუთმა“ მიიღო ყველა გონივრული ზომა, რათა არ მომხდარიყო არასწორი ინფორმაციის ეთერში გაშვება: ყველა ის ინფორმაცია, რაც გადაცემაში გავიდა, წარმოადგენდა ოფიციალური დოკუმენტების ციტირებას ან ეკუთვნოდა სხვა პირებს. ტელეკომპანიის ბრალის არსებობა არც სასამართლოს დაუსაბუთებია თავის გადანყვეტილებაში. ასეთ ვითარებაში კი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ უნდა დამდგარიყო.

საოლქო სასამართლოს გადანყვეტილებამ უხეშად უგულვებელყო ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებითაც. 1 000 000 ლარი საქართველოს (და არამარტო საქართველოს) სინამდვილეში უზარმაზარ თანხას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თავისთავად ჯარიმის ოდენობა მიზნის არაპროპორციულია, რადგანაც მიზნად ისახავს სიტყვის თავისუფლების უხეშ ხელყოფას, რაც არ შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებს. ასეთ ფინანსურ სანქციას ბუნებრივია, აქვს „გამყინავი ეფექტი“. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ტოლსტოი მილოსლაესკის საქმესთან დაკავშირებულ გადანყვეტილე-

ბაში დაადგინა, რომ 1 500 000 ფუნტი სტერლინგის დაკისრება არაპროპორციული იყო ნებისმიერი კანონიერი მიზნისათვის.

ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ უზენაეს ინსტანციაში საქმის კასაციის სტადიაზე მოსარჩლემ უარი თქვა სარჩელზე, რაც, თავის მხრივ, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ იმ მომენტისთვის ა. ჩხაიძე დაკავებული იყო ნაწილობრივ იმ ფაქტების გამო, რომლებმაც „60 წუთში“ მის საქმიანობასთან დაკავშირებით გაიჟღერა.

თემურ შაშიაშვილის, დავით კუპრეიშვილისა და გაზეთ „ახალი ვერსიის“ საქმე

თანამედროვე ქართული სასამართლოების პრაქტიკაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი კურორული გადაწყვეტილება, როგორც ქუთაისის საოლქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გამოიტანა. თავად ის ფაქტი, რომ თემურ შაშიაშვილის პატივისა და ღირსების გამო, სასამართლოში დაიბარეს დავით მუმლაძე, რომელმაც მისი წინამორბედისაგან (თემურ შაშიაშვილისაგან) მხოლოდ იმერეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილება გადაიბარა, ღმილის მომგვრელიცაა და იმ სამწუხარო რეალობის ამსახველიც, რომლის თანახმად, რევოლუციამდეც და რევოლუციის შემდეგაც სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური კონიუნქტურის შესატყვისად უფრო მოქმედებდა, ვიდრე კანონიერების.

იმ დროისათვის, როცა თემურ შაშიაშვილი საჯარო თანამდებობის პირს – იმერეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს წარმოადგენდა, ქუთაისის საოლქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც შაშიაშვილის სასარგებლოდ ბიზნესმენ დავით კუპრეიშვილს 1 338 000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხის გადახდა დააკისრა, ამ უკანასკნელის მიერ გუბერნატორის მიმართ გაკეთებული განცხადებების გამო. ეს იყო ყველაზე დიდი ფინანსური სანქცია, რაც კი დიფამაციურ საქმეებზე სასამართლოებს აქამდე დაუკისრებიათ.

ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კი, რასაც შაშიაშვილის თანამდებობიდან წასვლა მოჰყვა, უზენაესი სასამართლოს მითითებით, ქუთაისის საოლქო სასამართლოს იმავე კოლეგიას ხსენებული გადაწყვეტილების გადასინჯვა მოუწია. ქუთაისის საოლქო სასამართლომ კი ამ შემთხვევაში მარტივი გამოსავალი იპოვა – მან განუხილველი დატოვა საქმე იმ მოტივით, რომ თემურ შაშიაშვილის უფლებამონაცვლე, დავით მუმლაძე პროცესზე არ გამოცხადდა და არ დააკმაყოფილა თემურ შაშიაშვილის შუამდგომლობა იმ საბაბით,

რომ ეს უკანასკნელი საკუთარ პატივსა და ღირსებას რწმუნებულის რანგში იცავდა, სარჩელის განხილვის მომენტისთვის კი შესაბამის თანამდებობაზე სულ სხვა პირი იყო. ასეთმა ლოგიკამ, შესაძლოა, ისეთ აბსურდულ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის მისამართით გავრცელებული ცნობების გამო, მის უფლებამონაცვლე პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწიოს შევარდნაძის პატივისა და ღირსების დაცვა, შევარდნაძეს – პატიაშვილის და ა. შ.

აღნიშნული განჩინება ეწინააღმდეგება არა მარტო ლოგიკას, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასაც. თემურ შაშიაშვილის სასარჩელო განცხადება მართალია, სახელმწიფო რწმუნებულის ბლანკზე იყო დაბეჭდილი, მაგრამ მოსარჩელედ მითითებული იყო ფიზიკური პირი – თემურ შაშიაშვილი, განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო მოსარჩლის საცხოვრებელი მისამართი. ეს ფაქტობრივი გარემოება თავიდანვე გამორიცხავდა იმის ალბათობას, რომ სარჩელი სახელმწიფო რწმუნებულის სახელით იყო შეტანილი. თავისთავად პატივი და ღირსება არ შეიძლება ახასიათებდეს თანამდებობას, გავრცელებული ცნობების გამო გარკვეული ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვები შესაძლოა, მხოლოდ ფიზიკურ პირს მიადგეს.

გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ბუნდოვანი დარჩა, თუ ვის დაეკისრა 5 ათასი ლარის ოდენობით ბაჟის გადახდა – თემურ შაშიაშვილს თუ მის უფლებამონაცვლე დავით მუმლაძეს, რომელმაც, შესაძლოა, არც კი იცოდა დავით კუპრეიშვილის მიერ თემურ შაშიაშვილის შესახებ გავრცელებული ცნობების შინაარსი.

ალბათ, საჭიროა ყურადღების გამახვილება იმაზეც, თუ რამდენად კანონიერი იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რეგოლუციამდელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც უპრეცედენტო ფინანსური კომპენსაციის გამო საჯარო თანამდებობის პირების შესახებ საკუთარი აზრის გამოხატვის სურვილს და უკარგავდა ნებისმიერ ადამიანს. ანუ სახეზე იყო გადაწყვეტილების „გამყინავი ეფექტი“.

პირველ რიგში, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის, რომ დავით კუპრეიშვილსა და თემურ შაშიაშვილს შორის საჯარო პოლემიკა სადავო საგაზეთო პუბლიკაციამდე გაცილებით ადრე მიმდინარეობდა და მოპასუხის საგაზეთო გამონათქვამები არ წარმოადგენდა ე.წ. „პირველ თავდასხმას“ გუბერნატორის მისამართით. დავით კუპრეიშვილის ცნობით, მოპასუხე მას კაცის მკვლელს, ყაჩაღსა და ბანდიტს უწოდებდა. საჯარო ინტერესის საგანზე – სილიკომანგანუმის თემაზე მხარეებს შორის მიმდინარე საჯარო დისკუსია უკვე თავად განაპირობებდა სიტყვის თავისუფლების დაცვის გაცილებით მაღალ სტანდარტს.

ამასთანავე, ამ დისკუსიის ერთ-ერთი მხარის თანამდებობრივი სტატუსი ამ უკანასკნელს თმენის გაცილებით მეტ ვალდებულებას აკისრებდა.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა სახის ცნობა გაავრცელა მოპასუხემ – ფაქტი თუ მოსაზრება, უნდა აღინიშნოს, რომ დავით კუპრეიშვილის ბრალდება, რომ სახელმწიფო რწმუნებული ქარხანაში 6%-ს ფლობდა, მტკიცებით ფორმაში არ იყო გადმოცემული. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „როგორც ქარხნის მუშები ამბობენ, თემურ შაშიაშვილი წილის 6%-ს ფლობდა“. მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები წარმოადგენდა არა ფაქტებს, არამედ ერთ შემთხვევაში – შეფასებით მსჯელობას, მეორე შემთხვევაში კი – ასახავდა ქარხნის მუშებში მოარულ ხმებს. ამდენად, იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ იძლეოდა ცნობების უარყოფის დაკისრების შესაძლებლობას, რადგან პასუხისმგებლობის ამ ფორმას მხოლოდ სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტების გავრცელების დროს მიმართავდნენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაკმაყოფილების არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა: იმის გათვალისწინებით, რომ საქმე არსებით განხილვაში იყო შესული და სხდომების მიმდინარეობის პროცესში მოპასუხე სასარჩელო პრეტენზიებს არ ცნობდა, სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება და არა დაუსწრებელი. მოცემულ შემთხვევაში არც სარჩელში მითითებული გარემოება ამართლებდა იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას, შესაბამისად, არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ლეგიტიმური საფუძველი არსებობდა.

ცხადია, ცალკე საუბრის თემაა ის სანქციები, რომელიც სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა. კერძოდ, ბოდიშის მოხდა, რასაც არ ითვალისწინებდა და არც ამჟამად ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა; მორალური ზიანის კომპენსაცია და კომპენსაციის ოდენობად 1 338 000 აშშ-ის განსაზღვრა.

მოცემულ შემთხვევაში მორალური ზიანის დაკისრების არავითარი საფუძველი არ არსებობდა: გავრცელებული ცნობა არ წარმოადგენდა ფაქტს, ამდენად, ვერ შელახავდა მოსარჩელის პატივსა და ღირსებას, ხოლო მოპასუხის ბრალეულ მოქმედებაზე თავად მოსარჩელესაც კი არ ჰქონია წარმოდგენილი რაიმე არგუმენტი სასარჩელო განცხადებაში. რაც შეეხება კომპენსაციის განსაზღვრას, პროპორციულობის პრინციპი ამ შემთხვევაში აშკარად დარღვეული იყო. მოპასუხეს მართლაც რომ გაევრცელებინა დიფამაციური ცნობები, ანუ სახეზე რომ ყოფილიყო სანქციის დაკისრების კანონიერი მიზანი, ასეთი ზომის სანქციის დაკისრება მაშინაც კი გაუმართლებელი იქნებოდა და ბევრს დაუქარავდა ხელისუფ-

ლების წარმომადგენლის გაკრიტიკების სურვილს, ანუ მოჰყვებოდა „გამყინავი ეფექტი“. სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებითა და პლურალიზმის შენარჩუნებით, პასუხისმგებლობის ამგვარ ზომებს არ მიმართავს.

ვახტანგ ხმალადის, გაზეთ „ჯორჯიან თაიმსისა“

და ჟურნალისტ ეკა სეხნიაშვილის საქმე

აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უპრეცედენტოა იმ მხრივ, რომ შეურაცხმყოფელად აცხადებს კონკრეტულ ეროვნებას. ეს გადაწყვეტილება არაბიპიურია ქართული სასამართლოების პრაქტიკისთვის იმ თვალსაზრისითაც, რომ წამოჭრის საკითხს, რომელიც უფრო თვითრეგულირების სფეროა, ვიდრე – სამართლებრივის. მართალია, ჯერჯერობით საქართველოში თვითრეგულირება ინსტიტუციონალიზებული სახით არ არსებობს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ამართლებს იმგვარ გადაწყვეტილებებს, როგორც აღნიშნულ საქმეზე ჯერ კრწანისი-მთანმინდის რაიონულმა, ხოლო შემდეგ თბილისის საოლქო სასამართლოებმა მიიღეს.

ერთ შემთხვევაში, როცა საკითხი მოსარჩლის მიერ გვარის გამოცვლას შეეხებოდა, საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა არასწორი ინფორმაცია, რაც თავადვე აღიარა, მაგრამ არასწორი ცნობის გავრცელება არ შეიძლება გამხდარიყო ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საფუძველი. საქმის განხილვის მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იმისათვის, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა არასწორი ცნობების გავრცელების გამო, სადავო ცნობები ერთდროულად უნდა ყოფილიყო სინამდვილესთან შეუსაბამოც და იმედროულად შეურაცხმყოფელიც. ასეთი იყო სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნა.

შემდეგი შეკითხვა, რომელზეც სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი, იყო ის, თუ რამდენად შეიძლება ხელყოფდეს პირის პატივისა და ღირსებას არასწორი ინფორმაციის გავრცელება მის მიერ საკუთარი ეროვნების შეცვლის შესახებ. თუკი მოსარჩლე და სასამართლო თვლიან, რომ თავისთავად სომხური გვარის გადაკეთება ქართულ გვარად შეიძლება წარმოადგენდეს პატივისა და ღირსების შემლახველ, შეურაცხმყოფელ ინფორმაციას, მაშინ ისინი აპრიორი ამბობენ, რომ სომხობა თავისთავად არის სირცხვილი. ამით კი თავად ავლენენ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ამ ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ და აშკარა მორალურ ზიანს აყენებენ მათ.

რაც შეეხება მოსარჩლის წარმომადგენლის მიერ გვარის გამოცვლასთან

დაკავშირებული ეპიზოდის პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციად მიჩნევას, უნდა ითქვას, რომ თავისთავად პირადი საიდუმლოება არ შეიძლება იყოს არასწორი ფაქტი. თუკი მოსარჩლის წარმომადგენელი ამ ეპიზოდს პირადი საიდუმლოების დარღვევად განიხილავს, მაშინ იგი ავტომატურად თავადვე ადასტურებს ფაქტს ვახტანგ ხმალადის მიერ გვარის გამოცვლის შესახებ.

სასამართლომ არასწორად დააკისრა პასუხისმგებლობა საინფორმაციო საშუალებას იმ ზოგადი მსჯელობის გამო, რომელიც გარკვეული დეპუტატების მხრიდან ანტიქართული პოლიტიკის გატარებას შეეხებოდა. პუბლიკაციის ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ის, რომ მოსარჩლე ამ შემთხვევაში ცალსახად იდენტიფიცირებული არ ყოფილა, ანუ გაზეთს კონკრეტულად მასზე არ მიუთითებია. ეს გარემოება კი არ იძლეოდა სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ პირს ედავა ისეთი გამონათქვამების გამო, რომლებშიც იგი ცალსახად იდენტიფიცირებული არ ყოფილა. ხსენებულ გამონათქვამში მოსარჩლე იდენტიფიცირებული კიდეცაა რომ ყოფილიყო, სასამართლოს მანაც არ ექნებოდა მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება, რადგანაც სადავო ფრაზა წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას, აზრს და არა მტკიცებას ფაქტის შესახებ. ხოლო მოსაზრების გამო, რაც არ უნდა კრიტიკული და მიუღებელი იყოს იგი ვინმესთვის, დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაკისრება, რადგანაც აზრის თავისუფლებას იცავს როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია.

ზემოთ განხილული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება – გავრცელებული ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 1000 ლარის დაკისრების შესახებ – წარმოადგენდა კანონის უხეშ დარღვევას. მორალური ზიანის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ლახავს პირის პატივსა და ღირსებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდნენ სასარჩელო მოთხოვნას, არც რაიონულ სასამართლოს ჰქონდა მოპასუხებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლება.

რეგულირების რა მექანიზმები მოქმედებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც გავრცელებული ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს, ან სხვა ტიპის ეთიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე?

უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს პასუხის უფლებას, მაგრამ ამ ნორმის ამოქმედების წინაპირობაც პატივისა და ღირსების შემლახველი არასწორი ცნობების გავრცელების ფაქტი

უნდა ყოფილიყო. ამდენად, ერთადერთი გამოსავალი ასეთ შემთხვევაში თვით-რეგულირების მექანიზმების ამოქმედებაა.

ტრადიციული დემოკრატიისა და ზოგიერთ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში აპრობირებულია საზოგადოების წინაშე მედიის ანგარიშვალდებულების სხვადასხვა სისტემა.¹⁶⁰ ამერიკული მოდელი ითვალისწინებს ცალკეულ საინფორმაციო საშუალებაში მედია ომბუდსმენის ინსტიტუტის არსებობას. ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალების ომბუდსმენი იხილავს მკითხველთა საჩივრებს და ახდენს რეაგირებას არასწორი ცნობის გავრცელების თუ სხვა ეთიკური ნორმის დარღვევის ფაქტზე, მკითხველის წერილის გამოქვეყნების ან სხვა ფორმით. ევროპაში აპრობირებული მოდელი შეედურ გამოცდილებას ეფუძნება და ითვალისწინებს მკითხველთა საჩივრების განხილვას კოლექტიური ორგანოს – პრესის საბჭოს მიერ. საჩივრების განხილვას მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი ორგანო მედიის მიერვე აღიარებული ეთიკის კოდექსების საფუძველზე ახდენს¹⁶¹. თითქმის ყველა ქვეყნის ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ ნორმას, როგორცაა სიზუსტის დაცვა და არასწორი ფაქტების გამოქვეყნების შემთხვევაში, პასუხის საშუალებას აძლევს მკითხველს საინფორმაციო საშუალების მიერ დაშვებული უზუსტობის გამო. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ტიპის ნორმებს სავალდებულო ძალა არა აქვთ და მათი დაცვა უფრო მედიის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

სწორედ პროფესიული სტანდარტისა და ეთიკური ნორმების დარღვევის კუთხით უნდა განხილულიყო აღნიშნული დავა. საქართველოში თვითრეგულირების ინსტიტუტის არარსებობა კი ვერ გამოდგება თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონშესაბამო გადაწყვეტილების გამართლებად.

ჭიტესა გურგენაშვილის, მერაბ გურგენაშვილისა და „თრიალეთის“ საქმე

აღნიშნული საქმე გარკვეულწილად მედიის მიერ პროფესიული სტანდარტის დარღვევას უკავშირდება და ნამოჭრის საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად არის ვალდებული ჟურნალისტი, გადაამოწმოს ინფორმაცია, რომელიც პირის მიერ დანაშაულის ჩადენას ეხება.

¹⁶⁰ იხ. „ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები“, თავისუფლების ინსტიტუტი, 2003.

¹⁶¹ იხ. „მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია“, თავისუფლების ინსტიტუტი, 2004.

ჟურნალისტმა გამოიჩინა აშკარა დაუდევრობა, როდესაც გადაუმონმებლად გაავრცელა მესამე პირის მიერ მიწოდებული ფაქტობრივი მონაცემის შემცველი ინფორმაცია – მოსარჩლის მიერ საკუთარ ეზოში მოპარული ავტომობილების შენახვის შესახებ. ამ შემთხვევაში სამართლიანი რეპორტაჟის პრინციპის უგულებელყოფა, რაც ინფორმაციის სულ მცირე ორ დამოუკიდებელ წყაროსთან გადამონმებას გულისხმობს – გახდა მოსარჩლის შესახებ არასწორი ცნობების გავრცელების მიზეზი. შედეგად, მოხდა პირის პატივისა და ღირსების ხელყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო საკითხების გაშუქებისას ევროსასამართლო ჟურნალისტებს ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, ამასთან ერთად მათ აკისრებს „პოზიტიურ ვალდებულებას“, არ გადალახონ ის ზღვარი, რომელიც დადგენილია „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლე არ წარმოადგენდა საჯარო ფიგურას და შესაბამისად, მას არ ეკისრებოდა თმენის ისეთი ფართო ვალდებულება, როგორც საჯარო პირებს ეკისრებათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად მოპასუხის ბრალისა, რაიონულმა სასამართლომ მიიღო ნაწილობრივ არასწორი გადაწყვეტილება, როდესაც არ დააკისრა მოპასუხეს მორალური ზიანის კომპენსაცია. სწორედ გადაუმონმებელი ინფორმაციის გაშვებით გამოწვეული ტელეკომპანიის ბრალი გახდა საფუძველი იმისა, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ მოპასუხეს მორალური ზიანის კომპენსაცია დააკისრა (თუმცა არა იმ ოდენობით, როგორც ეს მოსარჩლემ მოითხოვა).

პოზიტიური ტენდენცია გამოიკვეთა იმ მხრივაც, რომ დამკვიდრებული მანერა პრაქტიკის მიუხედავად, სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩლეს კანონმდებლობაში არარსებული სასჯელის ფორმის – ბოდიშის მოხდის დაკისრებაზე.

ბ. ჟვანიასა და „თავისუფალი გაზეთის“ საქმე

მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაშია რომ ყოფილიყო კანონის მოთხოვნებთან, ამისათვის სასამართლოს უნდა გადაეჭრა ის ტრადიციული დილემა, რაც ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გამიჯვნას გულისხმობს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ მხოლოდ იმ ცნობების გავრცელების გამო არ დააკისრა პასუხისმგებლობა საინფორმაციო საშუალებას, რომლებიც მტკიცებას ექვემდებარება. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პირველ რიგში, ყურადღება გავამახვილოთ გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც არ

შეესაბამება კანონს და იმ ცნობების უარყოფას ითვალისწინებს, რომლებიც ნარ-
მოადგენენ არა ფაქტებს, არამედ ჟურნალისტის შეფასებით მსჯელობასა და
მოსაზრებებს.

ცნობა იმის შესახებ, რომ *ფეხბურთის ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენ-
ტისა და მადნეულის საქმის უკან ზ. ჟენია დგას*, არ შეიძლება ლახავდეს პირის
პატივსა და ღირსებას და იყოს პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. თა-
ვისთავად გამონათქვამი „უკან დგომა“ არ არის შეურაცხმყოფელი, თუკი ეს კა-
ნონის ან მორალის ნორმის დარღვევის შესახებ ცნობას არ უკავშირდება. სადავო
სტატიაში კი ჟურნალისტი არ აკონკრეტებს ფეხბურთის ფედერაციაში, რკინიგ-
ზის დეპარტამენტსა და მადნეულში არსებული რომელი საქმის უკან დგას მო-
სარჩლე.

მეტიც, ეს ცნობა არ წარმოადგენს მტკიცებას ფაქტის შესახებ, არამედ იგი
მხოლოდ შეფასებითი მსჯელობაა და მოსაზრება, რომლის გამოთქმის უფლება
ვერ აეკრძალება ვერც ერთ პირს, მით უფრო ჟურნალისტს.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ
არასწორი ფაქტების გავრცელების გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშ-
ნავია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის
გადანწყვეტილება საქმეზე *მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარ-
ლამენტის წინააღმდეგ*⁶², სადაც სასამართლომ განმარტა, რომ მე-18 მუხლი
ცალსახად ეხება მხოლოდ ფაქტებს და არა მოსაზრებებს.

რაც შეეხება ცნობას იმის შესახებ, რომ *ჟენია მოლაპარაკებებს აწარმოებს
ვინმე კურტისთან*, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრე-
ბისთვის აუცილებელი ელემენტი არც ამ შემთხვევაშია სახეზე, რადგან ცნობა
არ არის დიფამაციური. აღსანიშნავია, რომ კურტისი წარმოადგენდა იმ ავსტრა-
ლიური კომპანიის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირს, რომელიც გარკვეული პერი-
ოდის განმავლობაში დაკავშირებული იყო საქართველოში ოქროს ბიზნესთან.
აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო, რომ ქვეყნის პრემიერს მასთან მოლაპა-
რაკებები ჰქონდა. სტატიაში არ არის დაკონკრეტებული მოლაპარაკებების
მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ხასიათი. ცნობა კი მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში ითვლება დიფამაციად, თუ იგი მიუთითებს კანონის ან მორალის ნორმის
დარღვევის შესახებ. თავად ის ფაქტი, რომ ჟურნალისტი სვამს შეკითხვას – „*რაზე
შეთანხმდნენ ისინი მოლაპარაკების შემდეგ?*“ უკვე ცხადყოფს, რომ პუბლიკაცია
არ შეიცავს მტკიცებას მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებების ხასიათის

⁶² იხ. ზურაბ ჟენია „თავისუფალი გაზეთისა“ და ირმა მესხიას წინააღმდეგ, კარი II, გვ. 524.

შესახებ. თუ მოსარჩლე შეურაცხყოფად მიიჩნევს მოლაპარაკების წარმოებას კურტისტან, მაშინ ის აპრიორი ადასტურებს იმას, რომ კურტისი დამნაშავეა. ის ფაქტი, რომ კურტისზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არ ნიშნავს იმას, რომ იგი დამნაშავეა.

სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია ნაწილობრივ, რადგან სადავოდ გამხდარი ცნობებიდან ერთადერთი ფაქტი ექვემდებარებოდა მტკიცებას. კერძოდ, ცნობა იმის შესახებ, რომ ზ. ჟვანიამ თანამდებობაზე დანიშნვისათვის გ. ლეჟავას 2 მილიონი მოსთხოვა. აღნიშნული ცნობის სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცება მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო.

სიტყვის თავისუფლების ფართო უფლებასთან ერთად ჟურნალისტს გააჩნია პოზიტიური ვალდებულებაც, არ ხელყოს სხვა პირთა უფლებები და დაიცვას ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლე სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს წარმოადგენდა, ჟურნალისტი ვალდებული იყო, არ გადაეღაბა „დასაშვები ფარგლები“ და საზოგადოებისათვის მტკიცებითი ფორმით არ მიეწოდებინა პირის შესახებ აშკარად დიფამაციური ცნობები (ფაქტები). ამ შემთხვევაში სახეზეა პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი ყველა ელემენტი: 1) ცნობა (ფაქტების შესახებ) გავრცელებულია; 2) ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს (ჟურნალისტმა ვერ შეძლო უტყუარი მტკიცებულების მოყვანა); 3) ცნობა დიფამაციურია. ამდენად, ამ კონკრეტულ გამონათქვამთან დაკავშირებით სახეზეა ცნობების უარყოფის დაკისრების აუცილებლობა, რასაც ვერ ვიტყვით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებაზე.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი ცალსახად ადგენს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუკი დამტკიცდება, რომ ცნობების გამავრცელებელი ბრალეულად მოქმედებდა. აღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხის ბრალეულ მოქმედებასთან არ გვაქვს საქმე. მოსარჩლემ მოპასუხე მხარის ბრალეულობის დასტურად დაასახელა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერით გასული „თავისუფალი გაზეთის“ რეკლამა, რომელიც შეიცავდა სადავო სტატიის ანოტაციას. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხოლოდ იმ ცნობების შესახებ, რაც სარჩელშია მითითებული. მოსარჩლეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია მტკიცებულების სახით „რუსთავი-2“-ის ეთერით გასული რეკლამა. ამიტომ, რაიონულ სასამართლოს საერთოდ არ უნდა ემსჯელა ამ საკითხის შესახებ. პროცესუალური ნორმების დაცვის შემთხვევაში კი სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის

გარემოება, რომ გაზეთი „რუსთავი-2“-ის ეთერით ახდენდა ყველა ნომრის რეკლამირებას და ზურაბ ჟვანიას შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა.

სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ მოსარჩლე წარმოადგენდა საჯარო პირს. იგი სტატიის გამოქვეყნების მომენტში იყო სახელმწიფო მინისტრი, რაც მას კერძო პირებისგან განსხვავებით თმენის მეტ ვალდებულებას აკისრებდა. საჯარო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ რომ გაცილებით ფართოა, ამის შესახებ არა მარტო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალშია არაერთგზის მითითებული, არამედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რამოდენიმე გადაწყვეტილებაშიც. ევროსასამართლომ საქმეზე კასტელის ესპანეთის წინააღმდეგ¹⁶³ მიუთითა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტების შეფასებისას უნდა მოხდეს განსხვავებული სტანდარტების გამოყენება. „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამ შემთხვევაში რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესთან – თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე,“ – ნათქვამია გადაწყვეტილებაში.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცრო ასევე იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩლეს არ უცდია, ესარგებლა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გარანტირებული პასუხის გამოქვეყნების უფლებით.

რაც შეეხება მოსარჩლის წარმომადგენლის მიერ ევროსასამართლოს პრაქტიკაზე მითითებას, უნდა ითქვას, რომ მხარე არასწორად ახდენდა გადაწყვეტილების ინტერპრეტირებას, რადგანაც არასწორად აღწერდა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სარჩელში მითითებული ყველა საქმე მომჩივანის, ანუ ცნობების გამავერცელებლის სასარგებლოდ დამთავრდა.

¹⁶³ იხ. ტომი I, გვ. 292.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მ. შ.-ის, გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და ჟურნალისტ მეგი ცანავას საქმე

განსახილველი საქმე წამოჭრის პრობლემატურ საკითხს, რომელიც სექსუალური ძალადობის თემატიკის მედიაში გაშუქებას და პერსონალური მონაცემების დაცვას უკავშირდება.

თავდაპირველად განვმარტოთ, რას ნიშნავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. პირადი ცხოვრების საიდუმლოება მოიცავს ნებისმიერ უტყუარ ცნობას პირის შესახებ, რომელიც ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, პირის სახელი, გვარი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი, ფოტოსურათი, ნებისმიერი სხვა მახასიათებელი; რომლითაც შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიცირება მესამე პირთა მხრიდან. იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი რუთ გეივისონი¹⁶⁴ გამოჰყოფს ამ უფლების შემადგენელ სამ ელემენტს. ესენია: საიდუმლოება, ანონიმურობა და განმარტობა. ამ მდგომარეობის ხელყოფა შესაძლებელია როგორც თავად ადამიანის სურვილით, ასევე გარედან ჩარევის შედეგად. სწორედ გარედან, ანუ ჟურნალისტის მხრიდან ჩარევასთან გვაქვს საქმე განსახილველ შემთხვევაში.

ვაკე – საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, როდესაც სარჩელის არდაკმაყოფილების მოტივად მიუთითა ის გარემოება, რომ ნებისმიერი სხდომის გადაწყვეტილება – ღია იქნება ის, თუ დახურული – საბოლოო ჯამში საჯაროდ ცხადდება.

მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტი სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას საჯაროდ აცხადებს, მაგრამ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებები:

მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის დახურვის შესახებ. მხარეს შეუძლია, მოითხოვოს სხდომის ნაწილობრივი ან სრული დახურვა, თუკი იხილება არასრულწლოვნების საქმე ან ერთ-ერთი მხარის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები ან განსახილველი საქმე შეიცავს გარკვეული ტიპის საიდუმლოებას.

სწორედ ასეთი შუამდგომლობით მიმართა შ.შ-მ სასამართლოს, რადგანაც პროცესი, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც დაზარალებული მხარე, სექ-

¹⁶⁴ Privacy and the Limits of Law, [1980]89 Yale L.J.421, at 428.

სუალურ ძალადობას ეხებოდა. შესაბამისად, მას ჰქონდა გონივრული მოლოდინი, რომ მისი ინტიმური ცხოვრების დეტალები არ გახდებოდა „საჯარო განხილვის“ საგანი. ამის უფლებას მოსარჩლეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავიკ აძლევდა, რომლის 27¹-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ „*პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია*“. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება, მაგრამ სასამართლო ამავდროულად ვალდებულია, უზრუნველყოს იმ პერსონალური მონაცემების დაცვა, რომელიც დახურულ სხდომაზეა განხილული და პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ანუ დახურული სხდომის გადაწყვეტილებაში არ უნდა ყოფილიყო მითითებული მონაცემები, რომლითაც ჟურნალისტს მიეცა შესაძლებლობა, პუბლიკაციაში მიეთითებინა სექსუალური ძალადობის მსხვერპლის სახელი და გვარი და ამით განემორბით მიეყენებინა მორალური განცდები და ზარალებული მხარისათვის.

აქ საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საინფორმაციო საშუალებებისა და სასამართლოს პასუხისმგებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში ეკისრებოდა სასამართლოს, მოპასუხეც სასამართლო უნდა ყოფილიყო და პასუხისმგებლობაც მას უნდა დაეკისრებოდა. რაც შეეხება ჟურნალისტსა და გაზეთს, მართალია, სამართლებრივი ვალდებულება მათ არ ზღუდავთ, გააშუქონ ის პერსონალური მონაცემები, რომლის დაცვის იურიდიული ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ეკისრება, მაგრამ მორალური თვალსაზრისით ეთიკური ნორმების უხეშ დარღვევასთან გვაქვს საქმე. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლობითი ორგანოს – პრესის საბჭოს მხრიდან საჯარო განსჯის საგანი ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც ჟურნალისტური თვითრეგულირების ინსტიტუტებია განვითარებული. ასეთ საჯარო განხილვას საფუძვლად უდევს მედიის მიერვე დეკლარირებული ეთიკური ნორმები.¹⁶⁵ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე რომ

¹⁶⁵ მაგალითად, გერმანიის პრესის კოდექსის 8.1 მუხლის (გვარების და ფოტოების გამოქვეყნება) თანახმად, „*გაუმართლებელია მსხვერპლთა და მრალდებულთა ვინაობის და ფოტოების გამოქვეყნება უბედური შემთხვევების, დანაშაულის, ძიების ან სასამართლო პროცესის ამსახველ მასალაში. თითოეულ შემთხვევაში უნდა აიწონდა იანონსის საზოგადოების უფლება – ფლობდეს ინფორმაციას და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამ უკანასკნელმა არ უნდა გადასწონოს საზოგადოების უფლება – ფლობდეს ინფორმაციას.*“ იხ. „მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია“, თავისუფლების ინსტიტუტი, 2004.

ყოფილიყო საინფორმაციო საშუალების ბრალეული ქმედება, მაშინ გაზეთისა და ჟურნალისტის პასუხისმგებლობა მხოლოდ საჯარო გაკიცხვით არ შემოიფარგლებოდა და მათ მორალური ზიანის კომპენსირებაც მოუხდებოდათ.

რაც შეეხება თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაიონული სასამართლოსგან განსხვავებით, ზემდგომმა ინსტანციამ მართებულად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ სტატია შეეხებოდა მოსარჩლის პირადი ცხოვრების საჩოთირო და უსიამოვნო ეპიზოდებს. თუმცა სასამართლომ არასწორად განსაზღვრა საკითხი იმის შესახებ, თუ ვისი ბრალეული მოქმედება იყო სახეზე მოცემულ შემთხვევაში. კოლეგიამ არასწორად მიუთითა, თუ ვინ მოახდინა მოსარჩლის პირადი საიდუმლოს გამჟღავნება. შ. შ.-ს სხდომის დახურვისა და მისი ცხოვრების საჩოთირო დეტალების არგამჟღავნების მოთხოვნით არ მიუმართავს გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და მეგი ცანავასათვის, ამ შუამდგომლობით მან, როგორც უკვე აღენიშნეთ, სასამართლოს მიმართა და შესაბამისად, პირადი საიდუმლოს დაცვის გონივრული მოლოდინიც ამ უწყებისაგან ჰქონდა. რადგანაც სასამართლომ ვერ შეძლო დაზარალებულის დაცვა კანონით დაცული ინფორმაციის საჯაროობისგან, ამდენად შ. შ.-ს სასამართლოს წინააღმდეგ უნდა შეეტანა სარჩელი და მორალური ზიანის კომპენსირებაც მას უნდა დაკისრებოდა.

მართალია, უზენაესმა სასამართლომ არ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება, რის საფუძველსაც საქმეში არასათანადო მოპასუხის არსებობა განაპირობებდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში პირველად არის ფართოდ განმარტებული პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის არსი საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლისა და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით. სახელდობრ, უზენაესმა ინსტანციამ აღნიშნა, რომ ეს ნორმა იცავს არა პირადი საქმიანობის ადგილს, პირად ცხოვრებას, პირად ჩანაწერს, მიმოწერას, შეტყობინებას და ა. შ. (ანუ ადგილს, ობიექტებს და საგნებს), არამედ ადამიანს – საქართველოს მოქალაქეს, და შესაბამისად, მისი ნების გარეშე, ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა, კონსტიტუციით აღიარებული პრინციპის – პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის – ხელყოფაა.

ევროსაბჭოს ნევრი ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პერსონალური მონაცემების დაცვას და ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი მონაცემები სპეციალური კანონითაც კი არის დაცული. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოქმედი სტანდარტის თანახმად, არ შეიძლება, სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია, სრულად იყოს მოხსენი-

ებული გაუპატიურების მსხვერპლის სახელი და გვარი. იმის გამო, რომ სასამართლოს ნებისმიერი გადანყვეტილება საჯარო არის ნებისმიერი პირისათვის, შესაბამისად, მასში არ უნდა იყოს მოხსენიებული პირის ისეთი პერსონალური მონაცემები, რომელთა გავრცელებაც თავად ამ პირს არ სურს. ანუ სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა გადანყვეტილებაში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პირის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მახასიათებლების არსებობა.

მამუკა ნოზაძისა და გახეთ „თრიალეთის“ საქმე

განსახილველი საქმე უპრეცედენტოა იმ მხრივ, რომ მოსამართლემ ანტიკონსტიტუციურად და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასთან შეუსაბამოდ გამოაცხადა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახალი კანონი, რომელიც იცავს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას, როგორც ბუნებით უფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ აზრის აბსოლუტური თავისუფლების შეზღუდვა-არ-შეზღუდვის საკითხი მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტურად არ უკავშირდება დავის საგანს – ფოტოსურათის გადაღებაზე ნებართვის აღების აუცილებლობას, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონი კიდევ უფრო აფართოებს კონსტიტუციურ დებულებას, როცა „სხვათა უფლებების“ დასაცავად ითვალისწინებს შეზღუდვებს ისეთ გამოხატვაზე, როგორიცაა, მაგალითად, უხამსობა და პირის-პირ შეურაცხყოფა. მხედველობაშია მისაღები ასევე ევროსასამართლოს იურისპრუდენცია, რომლის მიხედვითაც, არაგონივრულია პირს მოსთხოვო აზრებისა და შეფასებითი მსჯელობების ნამდვილობის დადასტურება¹⁶⁶.

რაც შეეხება დავის ძირითად საგანს – ფოტოსურათის გამოქვეყნების მიზანშეწონილობის საკითხს, უნდა ითქვას, რომ რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება გამოტანილია კანონის უხეში დარღვევებით, კერძოდ:

1. მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 300 ლარის დაკისრების საფუძვლად სასამართლომ მიიჩნია მოპასუხის მიერ მოსარჩლის სურათის არამართლზომიერი გამოქვეყნების ფაქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით, „ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეო-

¹⁶⁶ იხ. ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, ტომი I, გვ. 272.

ოგადალება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადალება (ვიდეოგადალება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური“.

ანუ თუკი სახეზეა პირის გამოსახულების არამართლზომიერი გამოქვეყნების ფაქტი, პირს შეუძლია, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს მხოლოდ იმ პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც მოცემულია მე-18 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში. პირველი და მეორე ნაწილები კი არ იძლევა მორალური ზიანის გამო ფულადი ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის უფლებას. იგი მხოლოდ ამავე მუხლის მე-6 ნაწილით არის გათვალისწინებული. ანუ, სასამართლოს არ შეეძლო, მოპასუხისათვის დაეკისრებინა ფულადი ანაზღაურება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დადასტურდებოდა, რომ გაზეთმა არამართლზომიერად გამოაქვეყნა მოსარჩლის ფოტო. აქედან გამომდინარე, სახეზეა სასამართლოს მიერ კანონის უხეში დარღვევის ფაქტი.

2. სასამართლოს გადანყვეტილება უკანონოა ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი არ ითვალისწინებს პირის თანხმობას მისი გამოსახულების გამოქვეყნებაზე, თუ ეს დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან და ა.შ.

მოსარჩლე მამუკა ნოზაძე მისი გამოსახულების გამოქვეყნების მომენტისათვის წარმოადგენდა თანამდებობის პირს – იგი იყო ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ფოტოს გადალება მოხდა ვიდეო ფირიდან, რომელიც ასახავდა იმ სატელევიზიო გადაცემას, სადაც მოსარჩლე მიწვეული იყო, როგორც თანამდებობის პირი. ანუ ამ შემთხვევაში ცალსახაა, რომ ფოტოსურათის გამოქვეყნებისათვის პირის თანხმობის საჭიროება არ არსებობდა.

ევროსასამართლოს იურისპრუდენცია არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი ფოტოების გამოქვეყნების გამო, რომლებიც საჯარო თანამდებობის პირებს საჯარო ვითარებაში აქვთ გადაღებული. გამოსახულების გამოქვეყნებაზე ნებართვა მხოლოდ ისეთ შემთხვევებშია საჭირო, როდესაც ფოტო არასაჯარო გარემოშია გადაღებული. არასაჯარო გარემო კი განმარტებულია როგორც ადგილი/გარემოება, სადაც პირს აქვს მარტო დარჩენის გონივრული მოლოდინი.

3) მართალია, სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ „დაუშვებელია პირის იძულება, მოიხადოს ბოდში“, სასამართლომ უხეშად დაარღვია კანონი, როდესაც მოპასუხეს პასუხისმგებლობის ეს ფორმა დააკისრა. აღსანიშნავია, რომ ბოდშის

მოხდას არც ადრე მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომლის ანტი-კონსტიტუციურობა მოსამართლეს არ გაუხდია სადავოდ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის იძულება, გამოთქვას საკუთარი მრწამსისა და შეხედულებების სანინაალმდეგო მოსაზრებები.

დოდო ჩოხელის, „დუშეთის საზოგადოების ინტელიგენციის“
და „ახალი ვერსიის“ საქმე

მოცემულ საქმეზე¹⁶⁷ სასამართლომ გამოიტანა ნაწილობრივ არასწორი გადაწყვეტილება.

ერთადერთი ცნობა, რომელიც შეიცავდა მტკიცებას ფაქტის შესახებ და მოპასუხეთა პასუხისმგებლობის საფუძველი იყო, წარმოადგენდა მოსარჩლის პირად საიდუმლოს. ბავშვისათვის გვარის მიცემასთან დაკავშირებული საკითხების საჯაროდ გავრცელება არა მარტო სამართლებრივი, არამედ ეთიკური თვალსაზრისითაც არის გაუმართლებელი,¹⁶⁸ მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში გავრცელებული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არის დაცული სიტყვის თავისუფლების გარანტიებით. მართალია, ბავშვის მშობელი საჯარო პირს წარმოადგენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არსებობდა პირად ცხოვრებაში დაუკითხავად შეჭრის აუცილებლობა, რადგანაც ორ უფლებას – პირადი ცხოვრების საიდუმლოება და სიტყვის თავისუფლება – შორის ბალანსის დარღვევის ლეგიტიმური საფუძველი არ არსებობდა. შვილისათვის გვარის მიცემა-არმიცემის საკითხს არავითარი პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა მოპასუხეთა მიზანთან – გაეკრიტიკებინათ და შეეფასებინათ მათი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის მოღვაწეობა. საინფორმაციო საშუალებას ამ შემთხვევაში უნდა ემოქმედა ბავშვის კეთილდღეობიდან გამომდინარე და არ უნდა გამოექვეყნებინა ისეთი მასალა, რომელიც შესაძლოა, არასახარბიელოდ ასახულიყო მოზარდის მომავალზე.

¹⁶⁷ იხ. დოდო ჩოხელი „დუშეთის საზოგადოების ინტელიგენციის“ და „ახალი ვერსიის“ ნინაალმდეგ, კარი II, გვ. 537.

¹⁶⁸ „დაუშვებელია ბავშვის პირადი ცხოვრების შესახებ მასალის გამოქვეყნება მხოლოდ მისი მშობლების ავტორიტეტის, ცნობადობის ან საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო“ – დიდი ბრიტანეთის ქცევის კოდექსი, მუხლი 6. იხ. „მედის თვითრეგულირების ქრესტომათია“, თავისუფლების ინსტიტუტი, 2004.

სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეებს პასუხისმგებლობა იმ გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდა და არა დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეფასებული იყო რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობა, რისი უფლებაც მოპასუხეებს გააჩნდათ.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი კი შეფასებითი მსჯელობისათვის უარყოფის დაკისრებას არ ითვალისწინებდა.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხეებზე 700 ლარის დაკისრებას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოპასუხეთა ის ნაწილიც კი, რომელმაც აღიარა განცხადებაზე ხელის მოწერის ფაქტი, არ იცნობდა სადავო განცხადების შინაარსს. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. შესაბამისად, ამ სარჩელის განხილვისას სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეეფასებინა ის გარემოება, თუ რამდენად ბრალეულად მოქმედებდნენ მოპასუხეები სადავო ცნობების გავრცელებისას. მართალია, სასამართლომ პასუხისმგებლობა არ დააკისრა გარკვეულ მოპასუხეებს, რადგან მათ ბრალეულ ქმედებაში ვერ დარწმუნდა, მაგრამ ამავდროულად გაურკვეველია, საქმეში არსებული რომელი მტკიცებულებებით გახდა შესაძლებელი დანარჩენი მოპასუხეების ქმედებაში ბრალის დადასტურება.

კომენტარული გამოხატვა

ნუგზარ მალულარიას, „ბესანა და გიორგის“
და გურამ ხიმშიაშვილის საქმე

აღნიშნული საქმისადმი¹⁶⁹ ინტერესს განაპირობებდა ის, რომ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი პირი იყო ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენი – გოგი შევარდნაძე. ამდენად, ბუნებრივი იყო უურნალისტის დაინტერესება, გამოექვეყნებინა პუბლიკაცია თემაზე, რომელიც საზოგადოების საჯარო ინტერესს პასუხობდა.

¹⁶⁹ იხ. ნუგზარ მალულარია და „ბესანა და გიორგი“ გურამ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ, კარი II, გვ. 521.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის უხეში დარღვევითაა მიღებული სულ მცირე იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს საჯაროდ ბოდიშის მოხდა დაეკისრა. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, რადგან ბოდიშის მოხდის ინსტიტუტს არ ითვალისწინებდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ამ კანონდარღვევის ერთგვარი აღიარება იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომელიც ბოდიშის მოხდას ითვალისწინებდა.

თუმცა ყველაზე მთავარი კანონდარღვევა ამ საქმეში მაინც ის არის, რომ სასამართლომ არ გამოითხოვა ფინანსური დოკუმენტები, რომელთა სიყალბეზეც მოპასუხე საგაზეთო ინტერვიუში საუბრობდა და რომელთა გამოთხოვას ის მთელი პროცესის განმავლობაში ცდილობდა. თუკი სასამართლო არ დარწმუნდებოდა მოპასუხის ბრალეულ ქმედებაში, მას არც მხარისათვის მორალური ზიანის დაკისრების უფლება ჰქონდა. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი მხოლოდ პირდაპირი ბრალით მოქმედების შემთხვევაში ითვალისწინებს მორალური ზიანის დაკისრების შესაძლებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასამართლო გამოითხოვს ნებისმიერი პირისაგან იმ დოკუმენტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმისათვის, თუ ამის შესახებ შუამდგომლობას დააყენებს რომელიმე მხარე.

მართალია, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ შეამცირა მორალური ზიანის ოდენობა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ხელისუფლებამ უარი თქვა იმ დოკუმენტების გამოთხოვაზე, რომლებიც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას შეუწყობდა ხელს, ძნელი სათქმელია, რამდენად პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს მოპასუხისათვის რაიმე შეღავათის გაკეთება. ამდენად, სასამართლოს უარი – საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოთხოვაზე – წარმოადგენს კანონდარღვევას, რაც საფუძვლად დაედო ასევე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას.

3. ადმინისტრაციული დავები

პოლიტიკური გამოსატყა

ანტიმონოპოლიური სამსახურისა

და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე

აღნიშნული საქმე საქართველოში პოლიტიკური გამოსატყვის ერთ-ერთი ყველაზე უხეში ხელყოფის ნიმუშია. მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების მცდელობისთვის – შეეზღუდა ორგანიზაცია „კმარას“ სიტყვის თავისუფლება – ხელი არც სასამართლო ხელისუფლებას შეუშლია. უფრო მეტიც, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ხელიც კი წააშველა ანტიმონოპოლიურ სამსახურს პოლიტიკური შინაარსის კლიპების აკრძალვაში და არაგონიერული ფინანსური ჯარიმა დააკისრა რეკლამის გამაგრებულ საინფორმაციო საშუალებას. ამ შემთხვევაში უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო სახეზე, ვიდრე სამართლებრივი და შესაბამისად, მისი გადასინჯვაც ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შედეგად მოხერხდა.

რაც შეეხება ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ამ შემთხვევაში არასწორად განმარტა კანონი რეკლამის შესახებ, რამაც გამოიწვია მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამოსატყვის თავისუფლებაში უხეში ჩარევა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ განსაზღვრული ფინანსური სანქცია არ ითვალისწინებდა პროპორციულობის პრინციპს, რაც ევროსასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს (მიუხედავად იმისა, ჩარევის მიზანი ლეგიტიმური იყო თუ არა).¹⁷⁰

სასამართლომ არასწორად მიუთითა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტზე, რადგანაც იგი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას რეკლამის შინაარსის გამო. აღნიშნული მუხლი მხოლოდ კანონში გამოყენებულ ტერმინთა დეფინიციას იძლევა, რაც ვერ გამოდგება ტელეკომპანიის მიერ ბრალეული მოქმედების ფაქტის დადასტურებად.

თავისთავად, სადავო რეკლამის არაეთიკურ რეკლამად მიჩნევას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არა აქვს, რადგანაც კანონი იძლევა მკაფიო დეფინიციას, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს არაეთიკურად. სახელდობრ, არაეთიკურად

¹⁷⁰ *Tolstoy Miloslavsky v. United Kingdom*, 13 July, 1995.

მიიჩნევა მხოლოდ ისეთი „რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს...“. უნდა ითქვას, რომ მოძრაობა „კმარას“ რეკლამაში არც ერთი პირი არ არის შეურაცხმყოფელი მისი პოლიტიკური მრწამსის გამო. რეკლამა არ შეიცავს არავითარ ცრუ ფაქტს მასში მოხსენიებული პირების შესახებ. რაც შეეხება მითითებას პოლიტიკურ კუთვნილებაზე, აქ ცალსახაა, რომ რეკლამა ცვესკოს წევრებს „ემუქრებოდა“ არა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, არამედ არჩევნების შედეგების გაყალბებისათვის, ანუ მათი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, რაც ორი აბსოლუტურად განსხვავებული რამაა. თანაც ცვესკოს წევრები თავიანთი უფლებამოსილების აღსრულებისას ვალდებული არიან, იმოქმედონ არა პარტიული ინტერესების, არამედ კანონის უზენაესობის შესატყვისად.

დაუშვებელია სასამართლოს მიერ სამოტივაციო ნაწილში აპელირება ცვესკოს თავმჯდომარის წერილზე, რადგანაც კანონის მიხედვით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს უშუალოდ იმ პირს, ვისი უფლებაც ხელყოფილია. მოცემულ შემთხვევაში კი ცვესკოს თავმჯდომარე ტელეკომპანიის დასჯას მოითხოვდა ცვესკოს წევრების შეურაცხყოფის გამო. თუკი ცვესკოს წევრები თვლიდნენ, რომ რეკლამის გავრცელების შედეგად შეილახა მათი პატივი და ღირსება, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, მათ შეეძლოთ, მიემართათ სასამართლოსთვის და თავად ედავათ საკუთარი პატივისა და ღირსების გამო.

სასამართლომ არამართებულად მიუთითა ასევე კანონის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იმის გათვალისწინებით, რომ ტელეკომპანიას არ გაუზრცვლებია არასათანადო რეკლამა, შესაბამისად, არც სადავო კლიპის განთავსება და გავრცელება უნდა აკრძალულიყო.

თუმცა სასამართლომ დაუშვა ყველაზე სერიოზული ხარვეზი, როდესაც აღნიშნული დავა არ განიხილა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კლიმატისა და საჯარო დისკუსიის კონტექსტში. მთელი ქართული საზოგადოების ყურადღება იმ დროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობისაკენ იყო მიპყრობილი, ანუ იმ სახელმწიფო ორგანოსაკენ, რომელსაც უნდა დაესახელებინა ის პოლიტიკური ძალა, ვინც ქვეყანას მომავალი 4 წლის განმავლობაში მართავდა. ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საარჩევნო დაძაბულობა პიკს ყოველ-

თვის შედეგების გამოცხადებისთვის აღწევს. ამ დროისათვის დამახასიათებელია ყველაზე მკაცრი და უხეში შეფასებები. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ საბოლოო ჯამში სწორედ საარჩევნო კომისიის უკანონო გადაწყვეტილებები გახდა ხალხის ქუჩაში გამოსვლის მიზეზი.

სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ასევე მძაფრი წინასარჩევნო პერიოდის ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ევროსასამართლომ არაერთ საქმეზე¹⁷¹ დააფიქსირა.

რაც შეეხება უხეშ პროცესუალურ დარღვევებს, ამის შესახებ თავის გადაწყვეტილებაში საოლქო სასამართლომაც მიუთითა, მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში აღნიშნული გადაწყვეტილების გადასინჯვის საკითხი დადგა.

4. საკონსტიტუციო დავები

აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2003 წლის 23 ივლისს აკაკი გოგიჩაიშვილმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა იმის დადგენა, თუ რამდენად კონსტიტუციური იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტარი:

1. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო აბსოლუტურად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, როდესაც არ ცნო ანტიკონსტიტუციურად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი. სადავო ნორმა, რომელიც შემდგომში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმა გააუქმა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლს. გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციურად აღიარებით სასამართლომ პრაქტიკულად ძალაში დატოვა ის ნეგატიური ეფექტი, რაც მას მუდმივად თან სდევდა. კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ: „დაუშვებე-

¹⁷¹ *Bowman v. United Kingdom*, 17 February, 1998.

ლია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ...”

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის ამჟამად გაუქმებული მე-2 პუნქტი აშკარად ხელყოფდა მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ კონსტიტუციურ უფლებას, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს სიტყვისა და აზრის გამოთქმის იძულებისაგან. უდავოა, რომ ამავდროულად კანონმდებლობა ნებისმიერ პიროვნებას იცავს პატივისა და ღირსების შემლახველი, სინამდვილესთან შეუსაბამო გამონათქვამებისაგან. ეს დაცვა გამოიხატება მრავალი ფორმით: მაგალითად, პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციების გავრცელების შემდეგ სატისფაქციის ზომა, როგორც ნესი, გამოიხატება ფულადი თანხის დაკისრებაში; იმავე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით პასუხის გაცემაში; ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნების შემთხვევაში კი, ამ ინფორმაციის სრული მოცულობით გამოქვეყნების დავალდებულებაში; ასევე გავრცელებული ფორმა დიფამაციური გამონათქვამების შედეგად მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება. როგორც ვხედავთ, ინდივიდის პატივისა და ღირსების დაცვა ნეგატიური ზემოქმედების ფორმით უნდა მოხდეს.

პირის უფლება, არ აიძულონ გაავრცელოს რაიმე აზრი, განსაკუთრებულად დაცულ უფლებას წარმოადგენს. რაც გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც კი არ არის შესაძლებელი ამ უფლების შეზღუდვა.¹⁷²

ცხადია, აზრის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო უფლებას – თავისუფლად გამოხატო საკუთარი აზრი, არამედ, უფლებასაც – თავი შეიკავო ნებისმიერი შენთვის არასასურველი აზრის გამოხატვისაგან. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი პირს აძლევდა უფლებას, დიფამაციური ცნობების გამავრცელებელს სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა გავრცელებული ცნობების უარყოფა, თუ გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერებოდა. ცხადია, რომ ინფორმაცია, რომლის უარყოფასაც აკისრებენ პირს, ამ პირის მრწამსით კვლავ ერთადერთი ჭეშმარიტებაა. ანუ ფორმალური უარყოფის მიუხედავად, პიროვნება ისევ თავის აზრზე რჩება. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლს, როდესაც ავალბდა პირს, მისი ნების საწინააღმდეგოდ გაეცემებინა ინფორმაცია ან/და გამოეხატა აზრი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში მოცემული პრინციპი

¹⁷² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 46.

ენინაღმდეგებოდა არა მარტო საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

საკონსტიტუციო სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც მიუთითებს, რომ „დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“. ეს კი იმას ადასტურებს, რომ სხვისი უფლების დარღვევის მოტივით, დაუშვებელია მე-19 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა. ზოგადად, შეზღუდვა რომ დასაშვებია, ეს ცხადია, რადგან არსებობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ზომები, მაგალითად, ოფიციალური პირის ვალდებულება, არ გაამჟღავნოს მისთვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოება; ბანკის თანამშრომლის მოვალეობა, არ გასცეს კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია; ბიზნესმენის მოვალეობა, არ გააერცელოს არაკეთილსინდისიერი სარეკლამო განცხადება და ა.შ. მცდარია საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლის მე-3 პუნქტის იმგვარი განმარტება, თითქოს პირველ და მეორე პუნქტებში დადგენილი უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა დასაშვებია, რადგან ასეთ შემთხვევაში, საქმე არა გვაქვს აზრის თავისუფლების გამოვლენასთან. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი კი სწორედ უფლების გამოვლენის შემთხვევაში განიხილავს ამ მუხლში გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვას შესაძლებლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ყოველივე ეს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ნეგატიურ ფორმებს. სწორედ ამგვარ შეზღუდვებს გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილს, იგი აწესებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან შეუთავსებელ შეზღუდვას, რითაც ირღვეოდა ადამიანის კონსტიტუციური უფლება.

სადავო ნორმები წარმოადგენდა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული აზრის გამოხატვის იძულებისაგან ადამიანის დაცვის უფლების უხეშ ხელყოფას.

ცხადია, რომ კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული ნებისმიერი პირის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლების დაცვა შესაძლოა, შეიზღუდოს რაიმე ფორმით. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს სწორედ ამ უფლების განუზრელი დაცვა უნდა წარმოადგენდეს.

11. სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო ასევე იმის გათვალისწინებითაც, რომ სადავო ნორმას არ გააჩნდა „სხვა პირთა უფლებების“ დაცვის კანონიერი მიზანი, კერძოდ:

როდესაც საუბარია ვინმეს პატივისა და ღირსების დაცვაზე, მაშინ ლოგიკურია, უნდა ვიგულისხმოთ სხვა პიროვნების სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. ყველა დემოკრატიული ევროპული სახელმწიფო სიტყვის თავისუფლების შესაზღუდად ადგენს ძალზედ მაღალ სტანდარტებს. მაგალითად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში იყენებს სამ ნაწილიან ტესტს, რომლის თითოეული კომპონენტის არსებობა აუცილებელია, რათა გამართლდეს სახელმწიფოს მიერ სიტყვის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევა. ამ ტესტის ელემენტებია: 1) სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2) ჩარევას გააჩნია კანონიერი მიზანი; 3) ჩარევა წარმოადგენს პროპორციულ ზომას მიზნის მისაღწევად და კონკრეტული ჩარევის განხორციელება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი მიზნების დასაცავად.

თუკი შეფასების ამ მოდელს მივუსადაგებთ სადავო ნორმას, მაშინ მივიღებთ ასეთ სურათს: სადავო ნორმა ვერ აკმაყოფილებდა ტესტის მე-2 და მე-3 ნაწილებს, ანუ არ გააჩნდა კანონიერი მიზანი და შესაბამისად, ვერც არარსებული კანონიერი მიზნის პროპორციული იქნებოდა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შესამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში ჩამოთვლილ უფლებათა შეზღუდვა შესაძლოა, განხორციელდეს მხოლოდ ერთადერთი კანონიერი მიზნის გამო. ეს კანონიერი მიზანია „სხვა პირთა უფლებების დაცვა“. ანუ აზრის გამოხატვაში განხორციელებული ნებისმიერი ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს „სხვა პირთა უფლებების დაცვას“.

გავრცელებული ცნობების უარყოფის დავალდებულებას არ გააჩნდა კანონიერი მიზანი, რადგან არ იყო გამიზნული „სხვა პირთა უფლებების დასაცავად“. ანუ ის პირი, ვისზეც სახელგამტეხი არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, მოპასუხის მიერ ასეთი ცნობების უარყოფის გზით ვერანაირად ვერ აღიდგენს პატივსა და ღირსებას. საქართველოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებდა მის მიერ გამოხატული აზრის (შეურაცხმყოფელი იქნებოდა ის, თუ დიფამაციური) ნამდვილობას, სასამართლო მას ავალებდა გავრცელებული ცნობების უარყოფას იმავე საინფორმაციო საშუალებითა და თანაზომადი ფორმით. გაუგებარია, რა სარგებელს ნახულობდა რეპუტაციაშელახული პირი ამგვარი იძულებითი ფორმით აზრის გამოხატვისას.

როდესაც სასამართლო გადანყვეტილების გამო, ცნობების გამავრცელებელი უარყოფდა მის მიერ უნინ გამოთქმულ მოსაზრებას, საზოგადოება ამ ნაბიჯს აღიქვამდა არა როგორც ამ პირის აზრს, რომელიც მას შეეცვალა კონკრეტული ადამიანის შესახებ, არამედ როგორც სასამართლო გადანყვეტილების იძულებით აღსრულებას. ანუ რეპუტაციამელახული პირის შესახებ საზოგადოებას რჩებოდა იგივე შეხედულება, რაც წარმოექმნა სადავო ცნობების გავრცელებით. მაგალითად, თუკი ჟურნალისტი უმნიშვნელო რეპუტაციის მქონე სამხედრო ოფიცერზე დანერდა, რომ ეს უკანასკნელი ცუდი პროფესიონალია, რადგან არმიაში სამსახურის დროს მას რამდენიმეჯერ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა შიდაგანაწესის სისტემატური დარღვევის გამო და საბოლოო ჯამში, მას დროებით აეკრძალა პროფესიული საქმიანობა, ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ მორალურ ზიანს აყენებდა ოფიცერს, ლახავდა მის პატივსა და ღირსებას და შესაძლოა, მიყენებინა გარკვეული მატერიალური ზარალიც (სამსახურიდან დათხოვნა ან ჩამოქვეითება). ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ოფიცერს უნდა ჰქონოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული პატივისა და ღირსების დაცვის ეფექტური და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი საკანონმდებლო მექანიზმების გამოყენების საშუალება.

III. სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში გაამართლა ცნობების უარყოფა, როგორც ყველაზე ეფექტური მექანიზმი პირის პატივისა და ღირსების დასაცავად. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ის მექანიზმები, რომელთაც პატივისა და ღირსების დასაცავად იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა. ესენია: 1) გავრცელებული არასწორი და დიფამაციური ცნობების გამო მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების უფლება; 2) პასუხის გამოქვეყნების უფლება.

რას ემსახურება თითოეული მათგანი?

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჯარიმის მიზანია არა პირის შელახული რეპუტაციის აღდგენა საზოგადოებაში, არამედ შეურაცხყოფილი პირისათვის გარკვეულწილად განცდილი სულიერი ტანჯვების კომპენსირება (ფული დღემდე ითვლება საუკეთესო საშუალებად ამგვარი ტანჯვების კომპენსირების დროს). ანუ ჯარიმის დაკისრებით ხდება მხოლოდ ერთი სიკეთის „ღირსების“¹⁷³ აღდგენა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონი ითვალისწინებდა პასუხის უფლების ინსტი-

¹⁷³ ღირსება განმარტებულია, როგორც საკუთარი მორალური თვისებების შეფასება თავად პიროვნების მიერ.

ტუტს. პასუხის უფლებით რეპუტაციაშელახული პირს ეძლევა შესაძლებლობა, წარუდგინოს საზოგადოებას მის შესახებ გავრცელებული ნეგატიური ცნობების კონტრარგუმენტები იგივე საინფორმაციო საშუალებით; მეორეს მხრივ, უკვე მოპასუხეს უჩნდება შესაძლებლობა, „თავს დაესხას“ ცნობების გამავრცელებელს და შეატყობინოს საზოგადოებას საკუთარი აზრი ცნობების გამავრცელებლის პიროვნული თვისებების შესახებ. ყოველივე ეს მიზნად ისახავს, საზოგადოებაში შეიქმნას სრული და ობიექტური სურათი ყველა გავრცელებული ცნობის შესახებ და წარმოადგენს დავის საგანს. პასუხის უფლება დაზარალებულს აძლევს ეფექტურ საშუალებას, რათა აღიდგინოს საზოგადოების თვალში შელახული პატივი. ანუ პასუხის უფლება ატარებს რესტიტუციულ ხასიათს. ხოლო ჯარიმის დაკისრებას გააჩნია მხოლოდ რეპრესიული დანიშნულება, რადგან იგი ემსახურება არა პიროვნების რეპუტაციის აღდგენას საზოგადოების თვალში, არამედ მხოლოდ: 1) ცნობების გამავრცელებლის დასჯას; 2) განცდილი მორალური ტანჯვების კომპენსირებას.

IV. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია ასევე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. კერძოდ:

სასამართლო პაექრობისას მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო წარმოედგინა მოსარჩლის მოსაზრებების გასაბათილებლად რაიმე მტკიცებულება ან არგუმენტი. მონინალმდევე მხარემ არასწორად განმარტა სადავო ნორმების პროპორციულობა – თითქოს პროპორციულობა გულისხმობს მხოლოდ ცნობების უარყოფას იმავე საშუალებით, რითაც მოხდა ცნობების თავდაპირველად გავრცელება. მხარემ პრაქტიკულად გვერდი აუარა სადავო ნორმების მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

საბოლოო ჯამში, შესაძლოა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა სადავო ნორმა, გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახალმა კანონმდებლობამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ საკითხზე მსჯელობას და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებით გააუქმა ცნობების უარყოფის დაკისრების ინსტიტუტი.

**გამოხატვის თავისუფლებასთან
დაკავშირებული
სასამართლო გადაწყვეტილებები**

კარი

ნესტან კირთაძე კლარა აბრამიას წინააღმდეგ

საჩივარი: 1995 წლის 26 ოქტომბერს ქ. თბილისის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე (№ 1095897) აღძრა ჟურნალისტ კლარა აბრამიას წინააღმდეგ და ბრალად წაუყენა მას საქართველოს პარლამენტის წევრის, ნესტან კირთაძის ცილისწამება და შეურაცხყოფა.

საქმის აღძვრის საფუძველი გახდა დეპუტატ ნესტან კირთაძის განცხადება გენერალური პროკურორის სახელზე, სადაც განმცხადებელმა მიუთითა გაზეთებში „შანსი“ და „თუთარჩელა“ გამოქვეყნებულ კლარა აბრამიას ცილისწამებლურ პუბლიკაციებზე.

საბრალდებო დასკვნა: საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ 1995 წლის ოქტომბერში, საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ნესტან კირთაძე მხარს უჭერდა პრეზიდენტობის ერთ კანდიდატს – ედუარდ შევარდნაძეს, ხოლო კლარა აბრამია მეორეს – ჯუმბერ პატიაშვილს. ორთავე მხარდამჭერი აქვეყნებდა საგაზეთო პუბლიკაციებს და გამოთქვამდა საკუთარ აზრს კანდიდატების შესახებ. დეპუტატმა ნესტან კირთაძემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით. საბრალდებო დასკვნის თანახმად, კირთაძის სტატიის საპასუხო პუბლიკაციები გამოაქვეყნა კლარა აბრამიამ გაზეთებში „შანსი“ და „თუთარჩელა“.

თბილისის პროკურატურამ ბრალი წაუყენა კლარა აბრამიას ცილისწამებაში – შეგნებულად მონაჭორის გავრცელებასა და შეურაცხყოფაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

გაზეთ „თუთარჩელას“ 1995 წლის აგვისტოს ნომერში კლარა აბრამიამ გამოაქვეყნა სტატია „ვისი ხარ ქალო, ნესტანო“, სადაც მიუთითა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს, დეპუტატ ნესტან კირთაძეს ბანკიდან სესხად გამოტანილი ჰქონდა 85 ათასი ამერიკული დოლარი, რომელსაც მესამე წელია აღარ აბრუნებდა. ხსენებული ინფორმაციის გავრცელებით კი, გამოძიების აზრით, ჟურნალისტმა განზრახ დასწამა ცილი ნესტან კირთაძეს მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რაც სსკ-ს 137-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულია.

1995 წლის 21 ოქტომბრის „თუთარჩელას“ ნომერში კი ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სტატია „ტორო, ნესტან, ტორო“, სადაც აღნიშნა, რომ დეპუტატ ნესტან კირთაძეს სახელმწიფო ბანკიდან აჩუქეს 85 ათასი დოლარი. გამოძიებამ ეს განცხადებაც მძიმე დანაშაულის ჩადენაში განზრახ ცილისწამებად (სსკ-ს 137-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული) შეაფასა.

გაზეთ „შანსის“ ნომერის ნომერში ჟურნალისტმა დაბეჭდა სტატია „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდა“, რომელშიც მიუთითა, რომ ნესტან კირთაძეს ბანკიდან 85 ათასის ნაცვლად 105 ათასი ამერიკული დოლარი ჰქონდა გატანილი, რითაც განზრახ დასწამა მას ცილი მძიმე დანაშაულის ჩადენაში (სსკ-ს 137-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული).

გამოძიების შეფასებით, 1995 წლის გაზეთ „თუთარჩელას“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში კი კლარა აბრამიამ უწესო ფორმით განზრახ დაამცირა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის, დეპუტატ ნესტან კირთაძის პიროვნების პატივი და ღირსება, ანუ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ს 138-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. სახელდობრ, ხსენებულ პუბლიკაციაში ჟურნალისტი აღნიშნავს: „...ეს ერთი ციდა ქალი ზორბად სვამს, მამაკაცებსაც კი ათრობს, თუმცა ზოგჯერ ისე ითიშება, საკუთარ სახლსაც ვერ აგნებსო.“

პუბლიკაციაში „ტორო, ნესტან, ტორო“ კი კლარა აბრამიამ განმცხადებლის შესახებ აღნიშნა: „...მაფიოზებმა და შენისთანა დეპუტატებმა გაძარცვეს საქართველო, განმკითხვეი კი არავინაა“... აქვე დეპუტატი მოხსენიებულია პოლიტოლოგად, ჟურნალისტად, მრჩეველად და კირთაძის პიროვნების განზრახ დამცირების მიზნით, „მასაჟისტად“, რაც უწესო ფორმით განზრახ ამცირებს მის პატივსა და ღირსებას (საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ს 138-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული).

ქ. თბილისის პროკურატურამ საქმე განსახილველად თბილისის მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს გადაუგზავნა.

სასამართლო განხილვა: კლარა აბრამიამ თავი დამნაშავედ არ ცნო და გა-

ნაცხადა, რომ 1995 წლის ზაფხულში ის ნვეულებზე იმყოფებოდა ერთ-ერთ რესტორანში, სადაც იზა ორჯონიკიძესთან კერძო საუბარში შეიტყო, რომ დეპუტატ ნესტან კირთაძეს სახელმწიფო ხაზინიდან გამოტანილი ჰქონდა 85 ათასი ამერიკული დოლარი, რომელსაც ვერ აბრუნებდა. ამ საუბარს, ჟურნალისტის ცნობით, ესწრებოდნენ მათი საერთო ნაცნობები მარადი ანასაშვილი და ციალა (ციცო) ჯაფარიძე. იზა ორჯონიკიძის, როგორც დეპუტატის, მიერ მიწოდებული ინფორმაცია კლარა აბრამიამ სარწმუნოდ ჩათვალა და მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად მიიჩნია.

დაზარალებულის სახით დაკითხულმა ნესტან კირთაძემ განაცხადა, რომ მას არასოდეს მიუღია რაიმე სესხი, ალკოჰოლს კი საერთოდ არ იღებდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა იზა ორჯონიკიძემ დაადასტურა რესტორანში კლარა აბრამიასთან, მარადი ანასაშვილთან და ციცო ჯაფარიძესთან შეხვედრის ფაქტი, თუმცა განაცხადა, რომ ამ შეხვედრაზე მას არაფერი უთქვამს ჟურნალისტისთვის კირთაძის მიერ ბანკიდან სესხის აღების შესახებ. მოწმის სახით დაკითხულმა ციცო ჯაფარიძემაც განაცხადა, რომ მსგავსი რამ ხსენებულ შეხვედრაზე მას არ სმენია.

მოწმის სახით დაკითხულმა მარადი ანასაშვილმა შეცვალა თავდაპირველი (1995 წლის 1 დეკემბრის) ჩვენება და დამატებითი დაკითხვისას დაადასტურა ის, რომ 1995 წლის ზაფხულში, რესტორანში კლარა აბრამიასა და იზა ორჯონიკიძეს შორის საუბრისას ამ უკანასკნელმა ახსენა ნესტან კირთაძის მიერ ბანკიდან სესხის გამოტანის ფაქტი.

გამოძიებამ არ გაიზიარა ანასაშვილის ჩვენება სესხის აღების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი გამოძიების მიერ ანასაშვილი დაიკითხა 1995 წლის 1 დეკემბერს, პუბლიკაციები კი, რომლებშიც მითითებული იყო კლარა აბრამიას მიერ დასახელებული თანხა, გამოქვეყნდა 1995 წლის აგვისტოსა და ოქტომბრის თვეში. გამოძიების შეკითხვაზე ანასაშვილმა მაშინ განაცხადა, რომ აბრამიას არასოდეს უთქვამს რაიმე მისთვის იმის შესახებ, რომ კირთაძეს დიდი ოდენობით სესხი ჰქონდა გატანილი ბანკიდან. ამ დროისათვის გამოძიებას არ ჰყავდა დაკითხული თავად კლარა აბრამია, რომელიც მხოლოდ 1996 წლის 11 მარტს დაიკითხა. კლარა აბრამიამ ამ დაკითხვისას მიუთითა მოწმეები, მათ შორის მარადი ანასაშვილი. გამოძიებამ ანასაშვილის ჩვენება წინააღმდეგობრივად, არათანმიმდევრულად და ურთიერთგამომრიცხავად მიიჩნია, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან ერთ შემთხვევაში განაცხადა, რომ პირველ დაკითხვასა და მეორე დაკითხვას შორის შუალედში შეხვდა კლარა აბრამიას, მეორე შემთხვევაში კი უარყო ასეთი შეხ-

ვედრის ფაქტი და ა.შ. იზა ორჯონიკიძემ კი ანასაშვილთან დაპირისპირებისას უარყო მისი ჩვენება კირთაძეზე საუბრის თაობაზე.

სასამართლომ მიზანშეწონილად არ ჩათვალა ცრუ ჩვენების მიცემისთვის მარადი ანასაშვილის მიმართ განაჩენის გამოტანა იმ მოტივით, რომ იგი არის ქალი, ჟურნალისტი და შეეცადა თავისი მეგობარი ჟურნალისტისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას.

გაზეთ „შანსის“ რედაქტორმა ბონდო ქურდაძემ განაცხადა, რომ თავდაპირველად სტატიას არ აქვეყნებდა და მხოლოდ „თუთარჩელაში“ დაბეჭდვის შემდეგ გამოაქვეყნა იგი „შანსში“. შემდეგ კი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, კლარა აბრამიას რედაქტორობითა და მისივე ხელმოწერით დაიბეჭდა ის ფასიან გვერდზე.

წინასწარ გამოძიებას წარედგინა ცნობები საქართველოში არსებული სათაო ბანკებიდან და მათი ფილიალებიდან იმის შესახებ, რომ არც ნესტან კირთაძეს გაუტანია თანხა სესხის სახით, არც ვინმეს მისი რეკომენდაციით. ამავე დროს გამოძიებამ მიუთითა რესპუბლიკის პროკურატურიდან მიღებულ ცნობებზე, რომელთა თანახმად, ეროვნული ბანკის ყოფილი მმართველის, დვალიშვილის მდივნის ე.წ. „შავი ჩანანერების“ ჟურნალში ნესტან კირთაძისა და მისი მეუღლის ზურაბ რეხვიაშვილის გვარები არ ფიგურირებდა.

მონმე ბესარიონ ფანცულაიამ, რომელმაც გაზეთებიდან შეიტყო ხსენებული პროცესის შესახებ, საჭიროდ ჩათვალა ჩვენების მიცემა იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის ერთ-ერთი სხდომის დროს ნესტან კირთაძე ნასვამ მდგომარეობაში ნახა.

ფანცულაიას ცნობით, ის, როგორც აფხაზეთიდან დევნილი, აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად 1994 წლის 1 აპრილს მინვეული იყო პარლამენტის სხდომაზე. ამ დღეს პარლამენტში იხილებოდა „ოთხმხრივი შეთანხმების დოკუმენტი ხიზნებისა და ლტოლვილების შესახებ“. 14-დან 16 საათამდე პარლამენტში გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც ვესტიბიულში მან შენიშნა კირთაძე, რომელიც გაფითრებული მოეჩვენა, მიუახლოვდა თუ არა დაახლოებით 60 სანტიმეტრზე, შეიგრძნო ალკოჰოლის სუნი, სავარაუდოდ, ვისკის ან კონიაკის. ფანცულაიას მონაცემებით, სხდომის განახლებისას, კირთაძე დაჯდა დეპუტატ კვარაცხელიას გვერდით, დაახლოებით ორ წუთში კი დეპუტატმა გერმანე ფაცაციაიმ განცხადებით მიმართა ვახტანგ გოგუაძეს, გაეფრთხილებინათ დეპუტატები – დიდი შესვენების შემდეგ სხდომაზე ნასვამები არ გამოცხადებულიყვნენ. ფანცულაიას მტკიცებით, დაახლოებით 30 წუთში ნესტან კირთაძემ დატოვა სხდომათა დარბაზი.

სასამართლომ არ გაიზიარა ფანცულაიას ჩვენება შემდეგ გარემოებათა გამო:

პარლამენტიდან მიღებული ცნობით, ხსენებული შეთანხმება მართლაც იხილებოდა საკანონმდებლო ორგანოში, თუმცა დახურულ სხდომაზე, რის გამოც ამ სხდომის სტენოგრამის გამოქვეყნება არ შეიძლება. პოლიტიკურ დებატებში ნესტან კირთაძეს მონაწილეობა არ მიუღია.

მონმის სახით დაკითხულმა დეპუტატებმა – გერმანე ფაცაცია, ბორის კაკუბავამ, ვალერი კვარაცხელიამ, ვახტანგ გოგუაძემ და ბესო ლაგვილაძემ განაცხადეს, რომ არასოდეს უნახავთ ნესტან კირთაძე ნასვამ მდგომარეობაში. რაც შეეხება გერმანე ფაცაციას, მან განაცხადა, რომ ერთ-ერთი შესვენების შემდეგ თავად იყო ნასვამი, კამათი მოუვიდა ერთ-ერთ დეპუტატთან, რისთვისაც ბოდიშიც კი მოიხადა, ხოლო სხდომის თავმჯდომარეს გაუგზავნა განცხადება, შესვენების შემდეგ სხდომებზე დეპუტატები ნასვამ მდგომარეობაში არ მისულიყვნენ. გერმანე ფაცაციას ჩვენების თანახმად, ამ განცხადებაში ის მხოლოდ საკუთარ თავს გულისხმობდა.

გამოძიებამ ფანცულაიას ჩვენების არგაზიარების მოტივად დაასახელა ზაზა პეტრიაშვილის ჩვენება, რომელმაც განაცხადა, რომ სასამართლოს შენობის დერეფანში შემთხვევით მოისმინა, როგორ ეუბნებოდა მისთვის უცნობი ფანცულაია აბრამიას, რომ დაადასტურებდა პარლამენტის შენობაში კირთაძის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტს.

ფანცულაიას მიმართ ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის საქმის არალძვრის მოტივად სასამართლომ ის გარემოება დაასახელა, რომ ეს უკანასკნელი იძულებით გადაადგილებული პირია.

გადაწყვეტილება: მთანმინდის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე – ს. დადიანი, მსაჯულები – ზ. ბოგოლიშვილი და ლ. ჯღარკავა) დადგენილებით, კლარა აბრამია ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ს 137-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების და 138-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. მას მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სსკ-ს 137-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სსკ-ს 137-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე და ერთი წლით გამასწორებელი სამუშაოები, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საერთო წესით ხელფასიდან 20%-ის დაკავებით (სსკ-ს 138-ე მუხლის მეორე ნაწილით). საქართველოს სსკ-ს მე-40-ე მუხლის თანახმად, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს, რის საფუძველზეც სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, ქალთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ხსენებული საშელავათო გარემოებების, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ კლარა აბრამიას „წარსული შებღალული არა აქვს“, არის 58 წლის ქალი, სასამართლომ, საქართველოს სსკ-ს 46-ე მუხლის შესაბამისად, მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა დააკისრა.

ვისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობით და გამოსაცდელად დაუნიშნა სამი წელი.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, ჟურნალისტმა შეგნებულად გააგრძელა მონაწირობა, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს. ცნობების გავრცელება მოხდა ნაბეჭდი სახით. კლარა აბრამიამ ჩაიდინა შეურაცხყოფა, ანუ პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უნესო ფორმით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე და 304-ე მუხლებით.

განსაკუთრებული აზრი: მსაჯულმა ლილი ჯღარკავამ თავის განსაკუთრებულ აზრში აღნიშნა, რომ მართალია, მან ხელი მოაწერა განაჩენს, მაგრამ თელის, რომ კლარა აბრამიას მოქმედებაში დანაშაული არ არის, რადგან სადავო ინფორმაცია მას მიაწოდა პარლამენტარმა იზა ორჯონიკიძემ. აბრამიას კი არავითარი საფუძველი ჰქონდა, არ დაეჯერებინა მისთვის.

„საქმის მასალებიდან და სასამართლო პროცესით მივედი იმ დასკვნამდე, რომ აბრამიას მიერ სტატიებში გამოქვეყნებული მასალები შეეფერება სინამდვილეს, რადგან ანალოგიური პუბლიკაციები მიმდინარე პერიოდში ბევრი ქვეყნდება პრესაში“, – აღნიშნულია ლილი ჯღარკავას განსხვავებულ აზრში.

1 ოქტომბერი

1998
წ ე ლ ი

პროკურატურა კლარა შუკვანის წინააღმდეგ

საჩივარი: 1997 წლის 23 აგვისტოს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გამართულ აფხაზეთიდან დევნილთა მიტინგზე, რომელშიც 1500-მდე ადამიანი მონაწილეობდა, კლარა შუკვანმა გამოიტანა ტრანსპარანტი, ნარწერიტ „ძირს არძინბას ნახმარი შევარდნაძე!“ ქალბატონი შუკვანი მიტინგზე შემდეგ სიტყვებს გაიძახოდა: „ძირს იუდა, ძირს არძინბას ქალივით ნახმარი შევარდნაძე!“ ამავე დროს, ბრალდების განცხადებით, შუკვანმა „პოლიციის მუშაკებს, რომლებიც აღნიშნულ მიტინგზე ასრულებდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, მიაყენა შეურაცხყოფა, მოიხსენიებდა მათ სიტყვებით „ძალეზო, ღორეზო, შევარდნაძის მონებო“ და იფურთხებოდა პოლიციის მიმართულებით.“ ამ ინციდენტის გამო პროკურატურამ ბრალი წაუყენა კლარა შუკვანს საქართველოს სსკ-ს 228 მუხლის მეორე ნაწილის და 208' მუხლის დარღვევის გამო და მიმართა ქალაქ თბილისის მთანმინდის სასამართლოს.

პროკურატურის შეფასებით, აღნიშნული ქმედებით ქალბატონმა შუკვანმა „გამოხატა აშკარა უპატივეცემულობა მიტინგზე შეკრებილი საზოგადოებისადმი“, ამასთანავე მომიტინგის განცხადებები „თავისი შინაარსით გამოირჩეოდა უაღრესად დიდი ცინიზმითა და თავხედობით“.

განსასჯელმა თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ ხსენებული ტრანსპარანტი მას უცხო პირმა მიაწოდა და ისე დაიჭირა ხელში, რომ არც კი იცოდა მისი შინაარსი.

საქმეზე დაზარალებულებად დაიკითხნენ პოლიციის თანამშრომლები, რომ-

ლებმაც, როგორც თვითმხილველებმა, დაადასტურეს შუკვანის ხულიგნური ქმედება.

გადაწყვეტილება: ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ს. დადიანი, მსაჯულები – ვ. ტოგონიძე, მ. პაპელაშვილი) 1998 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით, დამნაშავედ ცნო კლარა შუკვანი საქართველოს სსკ-ის 228 მუხლის მე-2 ნაწილით და 208¹ მუხლით და მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის ქალთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ამასთანავე სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა შუკვანის მიმართ სსკ-ის 46 მუხლით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენება: შეფარდებული სასჯელი შეეცვალა პირობით, გამოსაცდელად დაენიშნა ორი წელი და გათავისუფლდა სხდომათა დარბაზიდან.

მოტივაცია: მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ კლარა შუკვანის ქმედება შეაფასა, როგორც ბოროტი ხულიგნობა, ე.ი. განზრახ მოქმედება, ასევე როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომენტში პოლიციის მუშაკების შეურაცხყოფა.

სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ შუკვანი „ხასიათდება მეზობლებისგან დადებითად, წარსული შებღაბული არა აქვს, არის ქალი, ლტოლვილია აფხაზეთიდან, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია“. ამასთანავე მხედველობაში მიიღო სახალხო დამცველის შუამდგომლობა, განსასჯელის მიმართ არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდების შესახებ და აღმკვეთი ღონისძიება პირობითი სასჯელით შეუცვალა.

9 იანვარი

გლდანის რაიონის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მართლმადიდებელი მრევლი „გლდანი 2001“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: გლდანის რაიონის ლომისის წმ. გიორგის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლმა (მამა ბასილის ნდობით აღჭურვილი პირები – ბენაშვილი თეა, ვაშაკიძე ლეილა, ბურდული თამარი, ასატუროვა ევგენია, ფიფია გრიშა) სარჩელით მიმართა გლდანის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „გლდანი 2001“-ის რედაქტორის თამაზ ტყემალაძის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი 1998 წლის 25 აპრილს გაზეთ „გლდანი 2001“-ის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული პუბლიკაცია გახდა.

მოსარჩლეთა განცხადებით, გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული სტატია „პროვოკატორი ბერიკა ანუ როგორ იბრძვის დაქირავებული უმეცრება“ და მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტი „ორიოდ სიტყვით ბასილ მკალა-ვიშვილზე და მის ჯგუფზე“ არის ცილისმწამებლური. სახელდობრ, მოსარჩლე-ებმა ცილისმწამებლურად მიიჩნიეს სტატიის ის ნაწილი, რომელიც მამა ბასილის ნასამართლობას შეეხებოდა.

„სხვათა შორის, მის ცხოვრებაში ეს არ იყო პირველი სასჯელი. თავის დროზე, როცა გლდანის რაიონის ერთ-ერთ საწარმოში მუშაობდა კარისკაცად, ბაცაცო-ბისათვის გაასამართლეს“, – აღნიშნულია სტატიაში.

ხსენებული ცნობა, მოსარჩლეთა აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამავე დროს, მოსარჩლეთა განცხადებით, გაზეთი ბრალს სდებს მამა ბასილს ანტიეროვ-ნულობაში, უწოდებს მას „დაქირავებულს“, „თვითმარქვია ეპარქიის თვითმარ-ქვია მღვდელს“, „ანგაჟირებულს“, „გაუნათლებელ კაცს“ („აქ სრული უმეცრებაა საეკლესიო წესების“, „მკალავიშვილის ინტერვიუებში და მისი პრესამსახურის წერილებში უამრავი საეკლესიო და დოგმატური ხასიათის მძიმე ცდომილება და უამრავი ცილისწამებაა“). ყოველივეს კი მოსარჩლე მხარე მამა ბასილის პა-ტივის და ღირსების შემლახველად მიიჩნევს.

მრევლისთვის ასევე განსაკუთრებით აღმამფოთებელია მამა ბასილის მიმართ სათაურში გამოტანილი გამონათქვამი „პროვოკატორი ბერიკა“. სასამართლო სხდომაზე სასარჩელო განცხადებას მხარი დაუჭირა თავად მამა ბასილის ინტე-რესების დამცველმაც, რომელმაც მოითხოვა, გლდანის რაიონის გამგეობის პრეს-ცენტრის წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რას გულისხმობდნენ „პროვო-კატორ ბერიკაში“.

მოსარჩლეებმა მოითხოვეს, გაზეთის რედაქტორს, თამაზ ტყემალაძეს დაკის-რებოდა მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება შემდეგი ფორმით: გლდანის რაიონის გამგეობის პრესცენტრს გაზეთის პირველ გვერდზე ბოლოში უნდა მო-ეხადა მამა ბასილისთვის და გამოექვეყნებინა ცილისმწამებლური სტატიის უარ-ყოფა.

მოპასუხე „გლდანი 2001“-ის წარმომადგენელმა, გლდანის რაიონის გამგეობის პრესცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო ფრიდონაშვილმა განმარტა, რომ თამაზ ტყემალაძე იმ დროისთვის აღარ მუშაობდა გაზეთის რედაქტორად და გაზეთს სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობდა. მან სარჩელი ნაწილობრივ ცნო და აღნიშნა, რომ სტატიას, რომელიც უშუალოდ მის მიერ იყო მომზადებული, სა-ფუძვლად დაედო თბილისში 1998 წლის 21-22 აპრილს მამა ბასილის ე. წ. „მრევე-ლთან“ დაკავშირებით განვითარებული მოვლენები:

რედაქციისთვის ცნობილი გახდა, რომ 22 აპრილს იმ საბავშვო ბაღში, სადაც აკრძალვის მიუხედავად, „ღეთისმსახურებას“ აწარმოებდა ბ. მკალავიშვილი, დაგეგმილი იყო კანალიზაციის მილების გამოცვლა. ამ მიზნით მითითებულ ადგილას სპეციალური მანქანები მიიყვანეს, რაც „მრევლმა“ აღიქვა გამგეობის მცდელობად, გადაეთხარა მათი შეკრების ადგილი. ამის გამო, მრევლი წინ გადაუდგა მანქანებს, მუშაობის საშუალება არ მისცა მუშებს, რასაც მოჰყვა შეხლა-შემოხლა „მრევლს“ და პოლიციას შორის.

მოპასუხე მხარის განმარტებით, სტატია შეკვეთილი არ ყოფილა და მას საფუძვლად დაედო საბავშვო ბაღთან თავმოყრილი მოსახლეობის ინტერვიუები, რესპონდენტებმა კი თავად ისურვეს ანონიმურად დარჩენა. მოპასუხე მხარემ აღიარა დაშვებული შეცდომა. სახელდობრ, ბასილ მკალავიშვილი ნასამართლევო იყო არა ბაცაცობისთვის, როგორც ეს პუბლიკაციაში იყო მითითებული, არამედ წვრილმანი ხულიგნობისთვის.

რაც შეეხება სხვა გამონათქვამებს, პრესცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, მათ გამოიყენეს საქართველოს საპატრიარქოდან მიღებული მასალები, სადაც ბასილ მკალავიშვილი მოხსენიებულია „თვითმარქვია ეპარქიის თვითმარქვია მღვდლად“, ასევე განმარტებულია, რომ „გლდანის მართლმადიდებელი ეპარქია“ არ არსებობს, გლდანი თავისი მართლმადიდებელი მოსახლეობით ეკუთვნის მცხეთა-თბილისის ეპარქიას. საპატრიარქოს მასალებშივე მითითებულია, რომ ბასილ მკალავიშვილი საეკლესიო წესებისა და კანონების უხეში დარღვევისა და საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შეტანის გამო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა განკვეთა სამღვდელო წოდებიდან, რის გამოც მკალავიშვილი და მისი მრევლი ბრწყალებშია მოხსენიებული.

რაც შეეხება მკალავიშვილის ანგაჟირებულობას, მოპასუხის განმარტებით, იგი დაუჟავშირდა „თვითმარქვია ორიპოსისა და ფილის ეპისკოპოსს“ კვიპრიანეს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩამოაცილოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ის ქართული სარწმუნოების საზიანოდ მოქმედებს, ჭეშმარიტ მორწმუნეთა რწმენის შერყევის გზით, ცდილობს ქვეყნის და ეკლესიის გახლეჩას, მტრის წისკვილზე ახსამს წყალს, რისთვისაც მას კარგად უხდიან, უწყობენ მოგზაურობებს საზღვარგარეთ.

ბასილ მკალავიშვილის გაუნათლებლობის დასტურად კი პრესცენტრის ხელმძღვანელს ისევ საპატრიარქოს მიერ მიწოდებული მასალები მოჰყავს, სადაც ნათლობის საიდუმლოს სრული პროფანაციის არაერთი ფაქტია მოყვანილი, რაც ადრე მონათლულთა გადანათვლას გულისხმობს და რასაც არ ცნობს ქრისტიანული ეკლესია. მოპასუხის აზრით, პატრიარქისადმი განდგომა და ლოცვებში მის ნაცვლად იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის მოხსენიება, არა მხოლოდ

პატრიარქის უპატივცემულობის ნიშანია, არამედ უცოდინარობისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მკლავიშვილი „ამ ეპისკოპოსის ეპარქიაში ასრულებს მისი ლოცვა-კურთხევით ღვთისმსახურებას“.

სათაურში „პროვოკატორ ბერიკას“ გამოყენებასთან დაკავშირებით მოპასუხემ განმარტა, რომ ბერიკებს ძველად უნოდებდნენ სახალხო თეატრის მოხეტიალე მსახიობებს, რომლებიც წარმოდგენებს მართავენ სახალხო დღესასწაულებზე და ხალხს ართობდნენ. პრესცენტრის ხელმძღვანელის აზრით, ბასილ მკლავიშვილის საქციელში ძალიან ბევრი რამ არის პროვოკაციული, რითაც იგი მართლმადიდებელი ეკლესიიდან მრევლის ჩამოშორებას და ე.წ. „გლდანის ეპარქიაში“ გაერთიანებას ცდილობს.

მოპასუხე მხარემ განაცხადა თანხმობა, გამოეცნობინა მკლავიშვილის ნასამართლობასთან დაკავშირებული უზუსტობა, რაც შეეხება სხვა პრეტენზიებს, მოპასუხემ ისინი არ ცნო, რადგანაც მასალა ეფუძნებოდა საპატრიარქოდან მიწოდებულ მასალებს, რასაც თავადაც იზიარებდა.

პროცესში მესამე პირად მონაწილე მკლავიშვილის მრევლის წარმომადგენლებმა მ. გოგოლაურმა, ნ. ასლანიშვილმა, ნ. ქველადემ, გ. ხომტარიამ, ლ. ვაშაკიძემ, ე. ასათუროვამ და ლ. მეხრიშვილმა ბასილ მკლავიშვილი უაღრესად კეთილშობილ და პატიოსან პიროვნებად დაახასიათეს და განმარტეს, რომ მამა ბასილის დაპირისპირება საქართველოში ოფიციალურად აღიარებულ რელიგიასთან მოხდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის „ეკუმენისტ მწვალებელთა“ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის გამო. ეპისკოპოს კვიპრიანესთან დაკავშირებით კი მრევლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იგი არის ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა მსოფლიო ეკლესიების კინოდის წინამძღვარი და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. მათივე განმარტებით, გლდანის ეპარქია მხოლოდ დროებით არის კვიპრიანეს დაქვემდებარებაში, ვიდრე საქართველოშიც მოხდება მათი ოფიციალურად აღიარება. ამდენად, მრევლის წარმომადგენლებმა სადავო პუბლიკაცია თავიანთ პიროვნულ შეურაცხყოფად მიიჩნიეს და მოითხოვეს ცილისმწამებლური გამონათქვამების უარყოფა.

გადაწყვეტილება: გლდანის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე – ც. ხუცურაული, მსაჯულები – ლ. ჯარმელაშვილი, ვ. კლდიაშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. გაზეთ „გლდანი 2001“-ის პრესცენტრს დაეკისრა ბასილ მკლავიშვილის ნასამართლობასთან დაკავშირებით დაშვებული უზუსტობის შესწორება.

სარჩელის სხვა მოთხოვნები კი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: საქმეში არსებული მასალებით¹ დგინდება, რომ ვასილ მკალავიშვილის² მიმართ, წერილმანი ხულიგნობის გამო, გამოყენებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღით და იგი „ბაცაცობისთვის“ არ ყოფილა გასამართლებული, როგორც ეს სტატიაშია აღნიშნული.

საქმეში არსებული სრულიად საქართველოს საპატრიარქოდან ქ. თბილისის ვიცე-პრემიერის, გიგი წერეთლის სახელზე გაგზავნილი 1998 წლის 22 აპრილის წერილით და ბასილ მკალავიშვილის საქმიანობის მამხილებელი დანვრილებითი ინფორმაციიდან დგინდება, რომ გლდანი თავისი მართლმადიდებელი მრევლით ეკუთვნის მცხეთა-თბილისის ეპარქიას და „გლდანის მართლმადიდებელი ეპარქია“ არ არსებობს, – ნათქვამია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

სასამართლომ მისაღებად მიიჩნია ასევე მოპასუხე მხარის განმარტება თვითმარქვიასა და საეკლესიო ტერმინების ბრჭყალებში მოხსენიებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია მოპასუხის განმარტება „ანგაჟირებულის“ გამოყენებასთან დაკავშირებითაც და სამოტივაციო ნაწილში მიუთითა საპატრიარქოდან მიღებულ მასალებზე, სადაც აღნიშნულია: „*მკალავიშვილი ერთ-ერთ ბერძნულ „ეკლესიას“ დაუკავშირდა“... „სწორედ ამ პიროვნებას უხსნის კარს მკალავიშვილი, რათა მან რაც შეიძლება მეტი სული გამოსტაცოს მართლმადიდებელ ეკლესიას.“ „...ათონის მთაზე დარწმუნებული არიან, რომ კვიპრიანე საბჭოთა კავშირის სუკის აგენტი იყო... რომელმაც ფეხი მოიკიდა რუსეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, რაც ამკარად იმაზე მეტყველებს, რომ მას წარმატებით იყენებდა სსრკ-ს სუკი მართლმადიდებელ ეკლესიასთან საბრძოლველად.“* ხოლო ასეთ პიროვნებასთან დაახლოებული და მოსარჩლეთა განმარტებით, „*დროებით კვიპრიანეს მფარველობაში მყოფი“* ბასილ მკალავიშვილი, შესაძლოა, ასევე პროვოკატორად და ქართული ეკლესიის გახლეჩის მოსურნეთაგან დაქირავებულად ჩაითვალოს, – ნათქვამია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არსებული, საპატრიარქოდან მიღებული მასალების, ასევე სხვადასხვა დროს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების საფუძველზე უნოდებს პრესცენტრი ბასილ მკალავიშვილს გაუნათლებელ კაცს. სასამართლოს სარწმუნოდ მიაჩნია მოპასუხე მხარის განცხადება იმის შესახებ, რომ ბასილ მკალავიშვილის მიმართ გაზეთის მიერ გამოყენებული „*პროვოკატორი ბერიკა*“ წარმოადგენს არა ცილისწა-

¹ გლდანის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 4 აპრილის დადგენილება.

² ბასილ მკალავიშვილის სამოქალაქო სახელი.

მებას, არამედ საქართველოს ხელისუფლების მიერ ოფიციალურად აღიარებული ჭეშმარიტი ქრისტიანული ეკლესიის მიერ მისი საქმიანობის შეფასებას, რასაც ასევე იზიარებს გლდანის რაიონის გამგეობის პრესცენტრი. საპატრიარქოს მასალების თანახმად კი, ეს არის არა ჭეშმარიტი ქრისტიანული ღვთისმსახურება, არამედ *„მწვალებელ ბასილ მკალავიშვილის მიერ შესრულებულ, დამლუპველ რიტუალში მონაწილეობა...“* გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია ისიც, რომ ყოველივე რიტუალის დამსწრე საზოგადოებისათვის წარმოადგენს სანახაობას.

სასამართლომ ასევე სარწმუნოდ ჩათვალა მოპასუხეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ საპატრიარქოს მასალებში ძირითადად ფიგურირებდა ბასილ მკალავიშვილი და არ იყო შეფასებული თავად მრევლის საქმიანობა, არც მოპასუხეებს ჰქონიათ გამიზნული ვინმეს შეურაცხყოფა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლებზე და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი.

30 ივნისი

გიორგი დოლიძე „7 დღის“ წინააღმდეგ

სარჩელი: საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორმა, პროფესორმა გიორგი დოლიძემ სარჩელით მიმართა დიდუბის რაიონის სასამართლოს გაზეთ „7 დღის“ რედაქციის წინააღმდეგ.

მოსარჩლემ სარჩელის საფუძვლად მიუთითა „7 დღის“ საახალწლო გამოშვება, რომელშიც გაზეთმა „ყოველი ჩვენთაგანის სათაყვანებელი ქართული კინო, არც მეტი, არც ნაკლები, „მკედრად“ გამოაცხადა, არც ცალკეულ ოსტატებს /ოთარ იოსელიანი, ნანა ჯორჯაძე და ა.შ./ დააკლო ღვარძლი და გესლი, ქარაგმულად თქვენს მონა-მორჩილსაც გადმოჰკრა, რაკი ყველგან ასე მომაქვს თავი იმ წარმატებებით, რომელთაც ჩემი სტუდენტები იპოვებენ სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.“

ამ პუბლიკაციის შემდეგ, მოსარჩლის ცნობით, მან წერილობით მიმართა რედაქციას და მოითხოვა პასუხი ერთადერთ შეკითხვაზე: *„თქვენც მიგაჩნიათ, რომ ჩვენი ეროვნული კინო „მკედარია“ და ახლა აღარაფერი დავგრჩენია გარდა იმისა,*

რომ ვიხითხითოთ და „საქონელი“/ფილმები/ ისევ თურქეთიდან შემოვიტანოთ?!“ საპასუხოდ კი, როგორც გოგი დოლიძე აცხადებს, „7 დღის“ რედაქციამ ის 1991-1992 წლების ეროვნული ტრაგედიის, აფხაზეთის დაკარგვისა და „მხედრონის“ პეროიკული ეპოპეის მიზეზად დაასახელა.

მოსარჩლემ მოითხოვა სასამართლო პროცესზე იმის გარკვევა:

1. თუ რატომ დაბეჭდა რედაქციამ მისი ბარათი მაშინ, როცა მას ხსენებულ გზაენილის გამოქვეყნება არ უთხოვია;
2. რატომ გამოაქვეყნა ის დამახინჯებული სახით;
3. რატომ არ გამოაქვეყნეს მეორე ნერილი, რომელშიც რედაქციის უნიგნურობით გამოწვეულ შეცდომებზე იყო მითითებული და ამავე დროს არ მოუხადეს ბოდიში, როგორც ამას ის ითხოვდა;
4. რატომ არ გამოაქვეყნეს და არ მოახდინეს რეაგირება მესამე ნერილზე.

სხვა მოთხოვნა სასარჩელო განცხადებაში გოგი დოლიძეს არ წაუყენებია. დამატებით სარჩელში კი მიუთითა იმ შეურაცხყოფასა და ცილისწამებაზე, რომელიც მოპასუხე მხარემ უშუალოდ სასამართლო პროცესზე მიაყენა მას. სახელდობრ, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურმე მოსარჩლე „კლავს“ ქართულ კინოს და ტრაგედიას, რომ ქართულ კინოსკოლას ის ხელმძღვანელობს. ამასთანავე თავის სტატიაში მოპასუხემ მას დასწამა ცილი, თითქოს გოგი დოლიძეს ეთქვას, „ქართული კინო – ეს მე ვარო“ და ა. შ. მოსარჩლემ დამატებითი სარჩელით მოითხოვა სტილისტიკური ექსპერტიზის ჩატარება იმის დასადგენად, ნამდვილად სჭირდებოდა თუ არა მის სტატიას სტილისტური შესწორება. გიორგი დოლიძემ პროცესზე წამოაყენა მოთხოვნა ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებისა და გავრცელებული ცნობების უარყოფის თაობაზე.

პროცესზევე გაირკვა, რომ საქმე ეხებოდა გაზეთ „7 დღეში“ გამოქვეყნებულ გოგი გვახარიას წერილს, სათაურით „ქართული კინო – ჩვენი „კინოკულინარიის“ პროვინციული „რეცეპტები“.

მოპასუხე გაზეთ „7 დღის“ რედაქტორმა ზ. ქორიძემ არც ძირითადი და არც დამატებითი სარჩელები არ ცნო.

გადაწყვეტილება: დიდუბის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლეები – დალაქიშვილი, ისაგულოვა, ხატისკაცვი) 1998 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები კონკრეტულად უნდა იყოს გამოხატული პიროვნების მიმართ, ხოლო სადავო წერილში, ისევე როგორც სარედაქციო მინაწერში არც ერთი სიტყვა არ არის მიმართული მოსარჩლის პიროვნების მიმართ. სტატიაში საუბარია ზოგადად საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე მოვლენების

შესახებ, რამაც შეაფერხა ქართული კინემატოგრაფის განვითარება. ზოგადი საუბარი და ქარაგმულად რაიმეს გამოხატვა, როგორც გ. დოლიძე მიიჩნევს, სასამართლოს აზრით, არ ნიშნავს რომელიმე პიროვნების ღირსების შელახვას ან შეურაცხყოფას.

კასაცია: დიდუბის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში საკასაციო წესით გაასაჩივრა გიორგი დოლიძემ, რომელმაც მოითხოვა ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის საქმის იმავე რაიონულ სასამართლოში დაბრუნება.

გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (მოსამართლეები – დ. სუხიტაშვილი, თ. კობახიძე, მ. ციხვაძე) გააუქმა დიდუბის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე რაიონულ სასამართლოს დაუბრუნა.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1997 წლის 18 აპრილის განჩინებაზე, რომლის თანახმად, საქმეში სათანადო მოპასუხედ უნდა ჩართულიყო პუბლიკაციის ავტორი და რედაქცია. მოცემული საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ საქმეში არ ჩართო გიორგი გვახარია, არ შეასრულა სასამართლოს 1997 წლის 18 აპრილის განჩინების მითითებები, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 326-ე მუხლის მოთხოვნები.

გადაწყვეტილება: დიდუბის რაიონული სასამართლოს განჩინებით, სარჩელი დარჩა განუხილველი.

მოტივაცია: სასამართლოს განცხადებით მიმართა გიორგი დოლიძემ და მოითხოვა საქმის განუხილველად დატოვება.

სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ს 328-ე მუხლით.

1999
წ ე ლ ი

კონსტანტინე კემულარია „რეზონანსის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 1998 წლის 17 დეკემბერს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, კონსტანტინე კემულარიამ სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „რეზონანსის“ წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველად მან მიუთითა ის „მცოცავი“ ჭორი, რომელსაც გაზეთი ადგილობრივი არჩევნების წინ მის წინააღმდეგ ავრცელებდა. მოსარჩლე კი იმ დროისათვის თბილისის საკრებულოს არჩევნებში იღებდა მონაწილეობას.

კონსტანტინე კემულარიას განცხადებით, მონაჭორია 1998 წლის 13 ნოემბერს გაზეთში გამოქვეყნებული სტატია. სახელდობრ, სასარჩელო განცხადებაში ვკითხულობთ:

1. იუსტიციის ყოფილ მინისტრ კონსტანტინე კემულარიას ბულგარეთის ფირმა „გერდიკსთან“ არასოდეს არავითარი ხელშეკრულება არ გაუფორმებია, „მით უმეტეს, დაფნის მიწოდებაზე“ (კ.კ.). შესაბამისად, იგი „გერდიკის“ პრეზიდენტს ვერ „გადააგდება“.

2. გაზეთ „რეზონანს“ მიაწერს მოსარჩლე ბატონ კლოდ დე კემულარიასთან მისი ბინძური მეთოდით დაპირისპირების მცდელობას, რადგანაც ტატიანა დელიკთან ბატონი კლოდ დე კემულარიას პიროვნება არავის უხსენებია.

3. ერთადერთ უტყუარ ფაქტად მოსარჩლე მიიჩნევს იმას, რომ ვიტალი კემულარია, რომელსაც მართლაც ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ფირმა „გერდიკის“ დირექტორ ტატიანა დელიკთან, მისი ძმავა. ტატიანა დელიკი კი, მოსარჩლის განცხადებით, ბულგარეთში მოხეტიალე რუსია და არა ბულგარელი

და „საქართველოზე შეყვარებული უცხოელი ბიზნესმენი“, როგორც გაზეთშია აღნიშნული. ფირმა „გერდიკის“ დირექტორი, კემულარიას განცხადებით, მას საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირმა წარუდგინა, რის საფუძველზეც ქალბატონ დელიკს მან საკუთარ ძმასთან გაუნია რეკომენდაცია. თუმცა ამ რეკომენდაციის შემდეგ აღნიშნულ ოპერაციებში პირადად მონაწილეობა არ მიუღია და შესაბამისად, როგორც აცხადებს, ვერც ვერავის „გადააგდებდა“. „თუნდაც ჩემს ძმას რაიმე ჩაედინა, პავლიკ მოროზოვის ეპოქაშიც კი ძმას ძმის ქმედებისათვის არ ასამართლებდნენ“, – ნათქვამია სასარჩელო განცხადებაში.

4. მოსარჩლე აცხადებს, რომ ვიტალი კემულარიას ხელთ არსებული დოკუმენტების თანახმად, ტატიანა დელიკის კი არ მართებს მის ძმას, არამედ პირიქით, „ავადსახსენებელ ტატიანას“ მართებს მისი ძმის და ამის საილუსტრაციოდ მოსარჩლეს კონკრეტული ციფრები მოჰყავს.

5. კონსტანტინე კემულარია „რეზონანსის“ სტატიას გავლენიანი პატრონის დაკვეთად მიიჩნევს.

მოსარჩლის აზრით, ხსენებული პუბლიკაციით გაზეთმა უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის I პუნქტი და მე-20 მუხლის I, IV და V აბზაცი, ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო და მოსარჩლის რეპუტაციის შემლახველი სტატია.

კონსტანტინე კემულარიამ მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ მოითხოვა მოპასუხისათვის 65 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის დაკისრება ლარებში.

1999 წლის 9 თებერვალს მოსარჩლის მოთხოვნის საფუძველზე, საქმე წარმოებით შეწყდა. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩლე არ გამოცხადებულა სასამართლოში საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. სასამართლომ რამდენჯერმე გაუგზავნა მას უწყება, მაგრამ კონსტანტინე კემულარია სასამართლოში არ გამოცხადდა.

გადაწყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ლ. მსხილაძე) სარჩელი განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ს 275-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 284-ე და 285-ე მუხლებით.

1 სექტემბერი

ბორის ივანიშვილი, ნანა და დიმიტრი ცინცაძეები „სახალხო სიტყვისა“ და კობა კაპანაძის წინააღმდეგ

სარჩელი: ბორის ივანიშვილი, ნანა და დიმიტრი ცინცაძეებმა სარჩელით მიმართეს დიდუბე-ჩულურეთის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „სახალხო სიტყვისა“ და კობა (გურული) კაპანაძის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა გაზეთის 1999 წლის 28 ივლისი-3 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული კობა გურულის სტატია „ორი კრისა“ ანდრიაძის წინააღმდეგ“.

მოსარჩელეთა აზრით, სტატიის ავტორმა გამოავლინა ტენდენციურობა რესპონდენტის – მ. ანდრიაძის პოზიციის მიმართ. ხსენებული პუბლიკაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, ლახავს მათ პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, რაც გამოიხატა შემდეგში:

1. შეურაცხმყოფელია სტატიის სათაური, რომელშიც, მოსარჩელეთა აზრით, ისინი იგულისხმებიან. სახელდობრ, პუბლიკაციაში აღნიშნულია: „რაც შეეხება კრისობას – დიმიტრი ცინცაძეს ეტყობა შაქართან ერთად არც სარკე არ გააჩნია სახლში, გავუგზავნი ერთ სარკეს სამადლოდ, რათა ავტოპორტრეტი კარგად დაინახოს. თავის სიძესაც ჩაახედოს სარკეში და ორი „კრისა“ გამოვა. ერთი – ნასომხარი, გაცვეთილი ბებერი, მატყუარა კრისა, მეორე კი – „გამოუცდელი“ არამზადა, მთელი ცხოვრება ინტრიგების და საჩივრების წერას რომ ანდომებს, მაგრამ რას იზამ, თურმე „კვიცი გვარზე ხტის“.

2. აღნიშნული პუბლიკაცია ბრალს სდებს მოსარჩლეებს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. სახელდობრ: „ეს არის ხალხი, ვინც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ფაბრიკის ხელმძღვანელობა, არიან სისხლის სამართლის დამნაშავენი, რადგან მიითვისეს ჩემი 37 000 აქცია ვითომ იმ მოტივით, რომ „დამტაცებელი“ ვარ და საკუთარი დანაშაულობები რომ დაფარონ, ბოლომდე იბრძვიან ჩემს გასანადგურებლად“... „ფაბრიკაში თანამზრახველთაგან კრეფდა ფულეებს, რომელიც მიდიოდა სასამართლოებში საქმის მოსაგებად. სინამდვილეში მოსამართლეებამდე აღწევდა მხოლოდ ნაწილი აკრეფილი თანხისა, დანარჩენი კი ივანიშვილების ჯიბეში ჩადიოდა. ის თავის თანამოაზრეებსაც ატყუებდა“. მოსარჩლეს ასევე ბრალი ედება ისეთ დანაშაულებში, როგორცაა: უკანონო კრებების ჩატარება; სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციაში გატარება კანონდარღვევით, ინკოგნიტო „კრისის“ კუთვნილი 10 აქციის გაუნაწილებლად დატოვება; მოსარჩელეთა ამფსონების მიერ მთავარი ბუღალტრის, ქ-ნ ზ. კ.-ს ცემა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა ტვინის შერყევა მიიღო; შანტაჟითა და ცილისწამებით კადრების განყოფილების უფროსის ქ-ნ ა.-ს იძულება, დაეტოვებინა სამსახურიც და თბილისიც;

შანტაჟით, ბავშვების გატაცების მუქართა და „ძველი ბიჭების“ დახმარებით, რესპონდენტის ოჯახისათვის 12 ათასი ლარის გამოძალვა. მოსარჩელეთა აზრით, რედაქცია მოვალე იყო, გადაემონებინა ზემოხსენებული ფაქტები და ამის შემდეგ გამოექვეყნებინა ისინი.

3. მოსარჩლეებმა თავიანთი პირადი ცხოვრების ხელყოფად მიიჩნიეს შემდეგი გამონათქვამები:

„დიმიტრი ცინცაძე – „ნასედკა“, ლაზიშვილების „ჩამშვები“ – ასე იცნობენ მას ქალაქში. მან, მისი სიძის ბ. ივანიშვილის მთ. ინჟინრობის პერიოდში, თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში, ფაბრიკის მეტალით დაამზადა დაზგები და სიძის სახლის სარდაფში გახსნა „კოლგოტკების“ ცეხი, ერთ მშვენიერ დღეს კი მისმა ქალიშვილმა ნ. ცინცაძემ მამასაც და ქმარსაც თავზე ჩამოაცვა „კოლგოტკები“ ფაბრიკის კოლექტივის და საზოგადოების წინაშე...“

ბორის ივანიშვილი – კაცი, რომელიც ბესო ქუთათელაძის მიერ შანტაჟით მოვიდა ფაბრიკაში... მუდმივად ჭურჭყიანი, გაურეცხავი ტანსაცმლით ცხადდებოდა სამსახურში, ძირითადად იჯდა სასადილოში, სადაც ჩემს მიერ უფასო საკვებს იღებდა კოლექტივი. თან ლობიოს ჭამდა და თან ჩემზე საჩივრებს წერდა...“

ნანა ცინცაძე – ბ. ივანიშვილის ცოლი, ფსიქიურად გაუწონასწორებელი... დადიოდნენ ივანიშვილ-ცინცაძეები და მთელ ქვეყანას გულს უჩუყებდნენ: „ბავშვებისთვის შაქრის ფული არა გვაქვს, ანდრიადემ ფაბრიკა გადაჭამა, ჩვენ კი მშვიერი ვართ“. ეს იმ დროს, როცა ბ. ივანიშვილმა, მთ. ინჟინრობასთან შეთავსებით რომ მუშაობდა ნაციონის ფორმა „სამგორში“, გაიტაცა 21 ათასი ლარი. ეს იმ დროს, როცა ჩემს ოჯახს გამოსძალა 12 ათასი ლარი, ეს იმ დროს, როცა ამუშავებდა „კოლგოტკების“ ცეხს. ბავშვების „შაქრის ფული“ – ნ. ცინცაძის ქურქებში, სიგარეტში, დაქალებში და „დაჩებში“ მიდიოდა.“

მოსარჩლეთა განცხადებით, აღნიშნული პუბლიკაციით მათ მიიღეს სულიერი ტრავმა, მორალურ-მატერიალური ზარალი, დეპრესიაში იმყოფებოდნენ მათი შვილები, ახლობლები, ნათესავები. აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა მათ საქმიან რეპუტაციას, პუბლიკაციის გამო არ შედგა საქმიანი გარიგებები მათ პარტნიორებთან.

მოსარჩლეებმა მოითხოვეს სადავო სტატიის ცნობა ცილისმწამებლურად, მათი პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების ხელყოფად; წერილში მოყვანილი თითოეული პუნქტის უარყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნება და საჯაროდ ბოდიშის მოხდა.

გადაწყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ნ. კვანტალიანი) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომლის თა-

ნახმად, მოსარჩლეებს პრეტენზია არ ექნებათ მოპასუხეთა მიმართ, თუ ეს უკანასკნელები „სახალხო სიტყვაში“ გამოაქვეყნებენ მხარეთა შორის შეთანხმებულ სტატიას აზრობრივი და სიტყვიერი ცვლილების გარეშე.

მხარეთა შორის შეთანხმების შედეგად, შეწყდა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით.

19 ოქტომბერი

ბელა შალვაშვილი „ქართული მახვილისა“ და ჯემალ დავლიანიძის წინააღმდეგ

სარჩელი: ბელა შალვაშვილმა სარჩელით მიმართა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „ქართული მახვილისა“ და მისი რედაქტორის ჯემალ დავლიანიძის წინააღმდეგ.

გაზეთში, რომელიც ადრე „საქართველოს სამრეკლოს“ სახელით გამოდიოდა, გამოქვეყნდა სტატიები, სადაც მოსარჩლე მოხსენიებულია მახინჯი, გაუქმებულ ქალად, რომელიც იჩენს პერმადროდიტულ მხნეობას. მოპასუხე უწოდებს მას უშობელსა და გონჯს.

გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ გამოქვეყნებულ ჯემალ დავლიანიძის სტატიას, სათაურით „უშობელი ბელა შალვაშვილი და სპეც-ოინბაზები“, ახლდა მოსარჩლის ფოტო მაიმუნების გვერდით. ფოტოსურათს ერთვოდა მინანერი, სადაც ბელა შალვაშვილი მოხსენიებული იყო თბილისისხლიან არსებად, მკითხველს კი რედაქცია სთავაზობდა კონკურსს – გამოეცნოთ, რომელი იყო ფოტოსურათზე ცხოველი და რომელი ადამიანი.

მოსარჩლემ მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისათვის 10 ათასი ლარის დაკისრება და იმავე გაზეთის მეშვეობით ბოდიშის მოხდა მოითხოვა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მისი პუბლიკაციები საპასუხო შეურაცხყოფა იყო.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – თ. საბიაშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. ჯემალ დავლიანიძეს დაევალა მოსარჩლისათვის იმავე გაზეთის მეშვეობით ბოდიშის მოხდა და 3 ათასი ლარის გადახდა.

მოტივაცია: სასამართლომ მოპასუხის მოქმედება მოსარჩლის დამამცირებლად და შეურაცხყოფელად, ხოლო სარჩელი ნაწილობრივ სამართლიანად მიიჩნა.

ნია. მოსამართლემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებზე და გაზეთის ტირაჟისა და მოგების გათვალისწინებით, მოპასუხისათვის მხოლოდ 3 ათასი ლარის დაკისრება მიიჩნია მიზანშეწონილად.

აპელაცია: რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯემალ დავლიანიძემ.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – თ. კილანავა, მ. სულხანიშვილი, ზ. კვარაცხელია) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით, დაავალდებულა ჯემალ დავლიანიძე, ბოდიშის მოხდასთან ერთად, 3 ათასი ლარის ნაცვლად, ათასი ლარი გადაეხადა მოპასუხისათვის.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, მატერიალური ზიანის ნაწილში მოთხოვნა საკმარის ბუნდოვანია. კერძოდ, არ არის დადგენილი, თუ რა დანაკლისი განიცადა მხარემ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებით, მაიმუნების გვერდით მისი გამოსახულების გამოქვეყნებით. ამასთან სასამართლომ გაითვალისწინა ზიანის მიმყენებლის გადახდისუნარიანობა და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გონივრული თანხა ათასი ლარი იქნებოდა.

24 ნოემბერი

ნუგზარ ბირკაია მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წლის 11 მარტს ნუგზარ ბირკაიამ სარჩელით მიმართა საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. მოსარჩლის განცხადებით, 19 თებერვალს გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე მის გამოსვლას ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან უსაფუძვლო ბრალდებები მოჰყვა. სახელდობრ:

მიხეილ სააკაშვილი – „ჩვენ საქმე გვაქვს მოსამართლეთა ერთ ჯგუფთან, რომლებმაც პირადი ინტერესიდან გამომდინარე დაიწყეს ბრძოლა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წინააღმდეგ, უფრო მეტიც – საქართველოს უკეთესი მომავლის წინააღმდეგ.“

მოპასუხის განცხადებით, მოსამართლეთა მიზანია „მოიშრონ პრეზიდენტი“.

„მე მინდა ბატონ ბირკაიას შევახსენო: თავისი მოსამართლეობის 25 წლიანი

პრაქტიკის განმავლობაში ისიც კი ვერ ისწავლა, – თუმცა ეს, ალბათ, უცხო ხილია მისთვის, – პარლამენტი დადგენილებით კი არ იღებს ასეთ საკითხებს, არამედ კანონებს იღებს, მაგრამ, ეტყობა, მოსამართლისათვის და მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარისათვის დადგენილებასა და კანონს შორის დიდი განსხვავება არ არის, იმიტომ, რომ ერთნაირად ორივე უაზრო და გამოუყენებელია მის პრაქტიკაში“.

„ქ. თბილისის საბურთალოსა და ვაკის რაიონების სასამართლოებში იხილება ე.წ. „გაზის“ საქმეები. ვაკის რაიონის მოსამართლემ ვ. გაგუამ თავისი გადაწყვეტილებით გააჩერა გაზის მეურნეობა საქართველოში. შუამავალი და მთავარი ლობისტი ამ საქმეში გახლავთ ბატონი ბირკაია, რომელსაც უნდა, ერთის მხრივ, ამას ლობირებდეს და აქედან ჰქონდეს თავისი თბილი რალაც კუთხე; მეორეს მხრივ, აქაც გამოდიოდეს და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდეს.“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა აღნიშნა: „მასალები გადავეცი სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც, ალბათ, გარკვეულ შეფასებას მისცემენ ფაქტს, კონკრეტულ შემთხვევაში კლასიკური ტიპის კორუფციასთან გვაქვს საქმე, რაც სამართალდამცავთა შესაფასებელია.“

მოსარჩლის აზრით, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გაკეთებული მიხეილ სააკაშვილის სინამდვილესთან შეუსაბამო განცხადებებით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ხსენებული სხდომის ტრანსლირება ხდებოდა საქართველოს რადიოს მეშვეობით.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ი. ტაბატაძე) საქმე განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ს 275-ე მუხლის „დ“ პუნქტით და მხარეთა გამოუცხადებლობის გამო საქმე განუხილველი დატოვა.

საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია „რეზონანსის“, „პრაიმ-ნიუსისა“ და „გეას“ წინააღმდეგ

სარჩელი: საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტულმა პარტიამ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გაზეთ „რეზონანსის“, საინფორმაციო სააგენტოების „პრაიმ-ნიუსისა“ და „გეას“ წინააღმდეგ.

დავის საგანი გახდა 1999 წლის 13 ივლისს გაზეთ „რეზონანსის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებული სტატია, სათაურით „პარლამენტარი ავთანდილ საყვარელიძე და „მონარქისტი“ თემურ ჟორჯოლიანი შესაძლოა ციხეში ჩასვან“. პუბლიკაცია, რომელიც „რეზონანსის“ მითითებით, „პრაიმ-ნიუსის“ და „გეას“ ინფორმაციების მიხედვით იყო მომზადებული, 1999 წლის 29 ივნისს რესტორან „თამარიონში“ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაღუპული ნიკა უჩანეიშვილის მამის – თენგიზ უჩანეიშვილის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციას ასახავდა.

მოსარჩელემ სადავო გახადა სტატიის ის ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია:

„გუშინ მოკლულის მამის, თენგიზ უჩანეიშვილის მიერ ჩატარებულმა პრესკონფერენციამ ახალ სკანდალს დაუდო სათავე. „ჩემი შვილის მკვლელობას პარლამენტარი ავთანდილ საყვარელიძე და საქართველოს მონარქისტული პარტიის ლიდერი თემურ ჟორჯოლიანი შეესწრნენ“, – განაცხადა მან“.

მოკლულის მამის ინფორმაციით: „საყვარელიძე და ჟორჯოლიანი ინგლისური კომპანია „ანგლო ოილის“ პრეზიდენტთან, ლევან პირველთან ერთად ისხდნენ რესტორანში, განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი რჩეულიშვილთან ერთად... ავთანდილ საყვარელიძე და თემურ ჟორჯოლიანი ინციდენტის დროს ჩემს შვილს ერხუბებოდნენ.“

სასარჩელო განცხადებაში, რომელსაც პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჯოლიანი აწერს ხელს, აღნიშნულია:

„ვაცხადებ, რომ კონსერვატიულ (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე, 1999 წლის 29 ივნისს რესტორან „თამარიონში“ არ ყოფილა, ლევან პირველს საერთოდ არ იცნობს და სტატიაში მოყვანილი ფაქტები, პარტიის მიერ წარმატებით დაწყებული წინასაარჩევნო საქმიანობის დისკრედიტაციის მიზნით, გამოგონილია სააგენტოების „პრაიმ-ნიუსისა“ და „გეას“ წარმომადგენლების მიერ.“

მოსარჩელის ცნობით, დაზარალებულის დამცველმა გულიკო გაბაიძემ მათთან საუბარში აღნიშნა, რომ თენგიზ უჩანეიშვილს თემურ ჟორჯოლიანი საერთოდ არ უხსენებია და ეს ფრაზა სააგენტოების ინტერპრეტაციის შედეგია.

მოსარჩლის აზრით, ყალბი ინფორმაციის მიღების შემდეგ „რეზონანსის“ სარედაქციო კოლეგიამ გადააჭარბა ინფორმაციის მიმწოდებელს და სტატიას წაუმძღვარა სენსაციური სათაური – „...მონარქისტი“ თემურ ჟორჟოლიანი შესაძლოა, ციხეში ჩასვან.“

ხსენებული პუბლიკაცია საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტულმა პარტიამ ჩათვალა ცილისმწამებლურად და პროვოკაციულად, რომელიც ლახავს არა მხოლოდ პარტიის თავმჯდომარის პატივსა და ღირსებას, არამედ მიმართულია მთელი პარტიის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დისკრედიტაციისაკენ. სტატიის გამოქვეყნების შედეგად, მოსარჩლის განცხადებით, პარტიამ განიცადა უდიდესი მორალური დარტყმა, მთელი დღე მუშაობა შეწყვიტა სხვადასხვა რაიონულმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელთა ხელმძღვანელებმა და პარტიის წევრებმა შესაძლო პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით თბილისს მიაშურეს და მხოლოდ სიმართლის გარკვევის შემდეგ გვიან ღამით დაბრუნდნენ ადგილებზე. ამასთანავე, წინასაარჩევნო პერიოდში სტატიის გამოქვეყნებით შეილახა პარტიის იმიჯი, რითაც პარტიამ განიცადა მნიშვნელოვანი მორალური ზიანი.

მოსარჩლემ მორალური ზიანისათვის მოითხოვა, დაეკისრებინათ „პრაიმ-ნიუსისა“ და „გეასათვის“ 30-30 ათასი ლარის გადახდა, გაზეთ „რეზონანსისათვის“ კი – 40 ათასი ლარის.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მორალური კომპენსაციის ზომის განსაზღვრისას, მოსარჩლემ გაითვალისწინა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი. სახელდობრ ის, რომ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით პარტიამ, მართალია, დაკარგა ელექტორატის მცირე ნაწილი, მაგრამ საარჩევნო კონკურენციის პირობებში, როცა თითოეულ ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, პარტიისა და თემურ ჟორჟოლიანისათვის ეს განსაკუთრებული დანაკარგი იყო.

გადანყვეტილება: მოსამართლე მ. გაბუნია დააკმაყოფილა მოსარჩლე – საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მოტივაცია: თემურ ჟორჟოლიანმა სასამართლოს წარუდგინა განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ მოპასუხე საინფორმაციო საშუალებებმა აღიარეს მის მიმართ დაშვებული შეცდომა, რაც ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებაში გამოიხატა და გამოაქვეყნეს ამ ინფორმაციის უარყოფელი მასალა. ამის გამო მოსარჩლემ მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე, 274-ე და 46-ე მუხლებზე.

აკაკი ჩხაიძე თეა რუსიტიაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ 2000 წლის 14 იანვარს სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტის თეა რუსიტიაშვილის წინააღმდეგ.

მოსარჩლემ დავის საფუძვლად მიუთითა გაზეთ „ალიაში“ (23-24 დეკემბერი) გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „რკინიგზაში არც კითხულობენ, რაზე აწერენ ხელს“. სტატიაში საუბარი იყო სასამართლო დავაზე, რომელიც საქართველოს რკინიგზასა და აფხაზეთში ტყვედნამყოფ რკინიგზელთა საზოგადოება „მამულიშვილს“ შორის 1994 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების გაუქმებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. მოსარჩლის განმარტებით, სტატიის გამოქვეყნების პერიოდში თბილისის საოლქო სასამართლოში იხილებოდა საქართველოს რკინიგზის სააპელაციო საჩივარი აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით.

საოლქო სასამართლოში საქმის განხილვის დამთავრებამდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ერთ-ერთი მოდავე მხარის აშკარა მხარდამჭერი სტატიის გამოქვეყნება, აკაკი ჩხაიძის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, პრესის საშუალებით მოახდინონ ზენოლა საოლქო სასამართლოს ნეკრებზე.

გარდა ამისა, მოსარჩლემ მიუთითა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ გამონათქვამებზე. სახელდობრ, პუბლიკაციაში აღნიშნულია, თითქოს აკაკი ჩხაიძის დეიდშვილმა მოსარჩლე მხარის, ზ.მ.-ს (ზურაბ მამულაშვილის) არასრულწლოვანი შვილი იმიტომ დაჭრა და დააინვალიდა, რომ ეს უკანასკნელი ომში იბრძოდა. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს რკინიგზა ყურადღებას არ აქცევს ომში ნამყოფ მეომრებს.

მოსარჩლის აზრით, სტატიის თანახმად, გამოდის, რომ მას ჰყავს მოლაღატე

ნათესავი. აქვე აკაკი ჩხაიძე უთითებს, რომ ჟურნალისტს მასთან უნდა გადამოწმებინა აღნიშნული ინფორმაცია, ასეთ შემთხვევაში ის გაარკვევდა, რომ აკაკი ჩხაიძეს არც დეიდაშვილი ჰყავს, არც მამულაშვილის დაჭრის თაობაზე სმენია რაიმე.

აკაკი ჩხაიძემ ჟურნალისტი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევაში დაადანაშაულა, რომლის თანახმად, ჟურნალისტი მოვალეა, „შემოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა“.

მოსარჩლემ ასევე მიუთითა ხსენებული კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის დარღვევაზე, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს მოქალაქის პირად ცხოვრებაში ჩარევას, პიროვნების ღირსების ხელყოფას. აკაკი ჩხაიძემ ასევე მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია“.

მოსარჩლის ცნობითვე, საოლქო სასამართლოში დავა მათი სარჩელის დამაყოფილებით დასრულდა, ხოლო ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოში 1993-1999 წლებში არასრულწლოვან მ. მ.-ის დაჭრის შემთხვევა რეგისტრირებული არ ყოფილა.

აკაკი ჩხაიძემ თეა რუსიტაშვილის ცილისმწამებლური სტატია მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად ჩათვალა და მოითხოვა გაზეთ „ალიას“ მეშვეობით მის მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური ცნობების უარყოფა და ბოდიშის მოხდა.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ნ. კვანტალიანი) შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: მოსარჩლემ აკაკი ჩხაიძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლითაც უარი თქვა თავის სარჩელზე, რაც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდა.

27 იანვარი

ლია გოგობერაშვილი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წლის 17 სექტემბერს ლია გოგობერაშვილმა სარჩელით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ.

მოსარჩლემ სადავოდ გახადა ჟურნალ „რეზონანსი-ექსკლუზივი“ გამოქვეყნებული ინტერვიუ (1999 წლის 12-18 ივლისი) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორთან, ლევან ბერძენიშვილთან, სათაურით „ბიბლიოთეკაში მოსვლამდე ბედნიერი კაცი ვიყავი“. ხსენებულ ინტერვიუში რესპონდენტი შეეხო ბიბლიოთეკასთან არსებული ტექნიკის, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განყოფილების გაუქმების საკითხს და აღნიშნა:

„...კარგად ემსახურებოდნენ, კვალიფიციურად, მაგრამ არა მგონია, სახელმწიფომ იმიტომ დაიქირავა ბიბლიოთეკაში ეს ხალხი, რომ ვინმესთვის დისერტაციები ეწერათ ან ფულის გაკეთების საშუალება გამოენახათ“.

ქალბატონი გოგობერაშვილის განცხადებით, ის 15 წელია ასრულებდა ზემოხსენებული განყოფილების გამგის მოვალეობას და მის განყოფილებას არასოდეს შეუსრულებია ვინმეს „დაკვეთა ანაზღაურებით“ და რომ გენერალური დირექტორის ეს განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება. მომჩივნმა ლევან ბერძენიშვილის ეს საგაზეთო განცხადება შეაფასა, როგორც მისი პატივისა და ღირსების, ასევე სამსახურებრივი რეპუტაციის დაუმსახურებელი შელახვა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, მოპასუხისაგან გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა და ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

პროცესზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო სასამართლომ გამოიტანა დაუსრულებელი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – თ. თოდრია) დააკმაყოფილა სარჩელი და დაავალა ლევან ბერძენიშვილს ღია გოგობერაშვილის შესახებ გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა.

მოტივაცია: სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მოსარჩლის შუამდგომლობა დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და გადაწყვეტილების საფუძველად მიუთითა სსსკ-ს 230-ე მუხლი.

14 თებერვალი

P.S. 2000 წლის 17 მაისს სასამართლომ იმსჯელა ღია გოგობერაშვილის განცხადებაზე, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებას შეეხებოდა. სახელდობრ, მოსარჩლემ განაცხადა, რომ მოპასუხემ სასამართლოს 14 მაისის გადაწყვეტილება ცნო და მზად არის შესასრულებლად, მაგრამ „რეზონანსი-ექსკლუზივი“ აღარ გამოდის და ამიტომ გოგობერაშვილმა მოითხოვა მისი გაზეთ „დროთი“ შეცვლა. სასამართლომ მოსარჩლის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ნანა იოსელიანი „ახალციხის“ წინააღმდეგ

საჩივარი: ნანა იოსელიანმა საჩივრით მიმართა ახალციხის რაიონის პროკურატურას 1999 წლის დეკემბერში გაზეთ „ახალციხეში“ (№19-20) გამოქვეყნებული პუბლიკაციის „იქნებ ჩვენმა პოლემიკამ განათლების მინისტრი – ბატონი ალექსანდრე კარტოზიაც დააინტერესოს“ გამო.

ნანა იოსელიანის განცხადების თანახმად, სტატია, რომელიც შეეხებოდა განათლების სისტემაში შექმნილ პრობლემას, უხვად შეიცავდა მისი, როგორც პიროვნების და განათლების განყოფილების გამგის შეურაცხმყოფელ ფრაზებს. განმცხადებლის მტკიცებით, პუბლიკაციის ავტორი ბრალს სდებს მას საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ბავშვთა უფლებების დარღვევაში, მასწავლებელთა ატესტაციის გაყალბებაში, სამსახურებრივ დაუდევრობასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში. ნანა იოსელიანის თანახმად, შეურაცხყოფის გარდა ჟურნალისტი ემუქრება კიდევ მას (რომ ეს მხოლოდ დასაწყისია) და ცდილობს მის დისკრედიტაციას, შეფარვით მოუწოდებს საზოგადოებას მის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებისაკენ.

ყოველივე ამან კი ქალბატონი ნანას განცხადებით, გარკვეულწილად იმოქმედა მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე, რამაც შეურაცხყოფა მიაყენა მის პიროვნებას. ამასთანავე განმცხადებლის მითითებით, გაზეთის ხსენებული ნომერი შეგნებულად, განზრახ გაავრცელეს განათლების სამინისტროს თითქმის ყველა განყოფილებაში მაშინ, როდესაც გაზეთი „ახალციხე“ ახალციხის ფარგლებს არ სცილდება.

ნანა იოსელიანმა პროკურატურისგან მოითხოვა კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება.

დადგენილება: ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ახალციხის რაიონის პროკურატურამ (ახალციხის პროკურორის თანაშემწე – ბ. მუსელიანი) სისხლის სამართლის საქმის არალძვრის დადგენილება გამოიტანა.

მოტივაცია: მართალია, სტატია არის მძაფრი, მასში ზოგჯერ არის კორექტულობას გადაცილებული კრიტიკა, მაგრამ იგი არ არის ცილისმწამებლური – სახელის გამტეხი სხვა პირისათვის. ამასთანავე, არ შეიცავს ისეთ ფრაზებს, რაც განზრახ, უნესო ფორმით დაამცირებდა განმცხადებლის პატივსა და ღირსებას.

პროკურატურამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 28-ე მუხლის „ბ“ პუნქტით.

ქეთევან წამებულის საზოგადოების თავმჯდომარე კოტე მახარაძის წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წლის 17 მაისს კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ქეთევან წამებულის საზოგადოების თავმჯდომარემ იზოლდა ჭელიძემ.

ქალბატონი იზოლდა „ქალთა გაზეთში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს (1999 წლის თებერვალი) იმ პასაჟს ასაჩივრებდა, რომელშიც კოტე მახარაძე აცხადებდა:

„შახს გული წაუვიდა, როცა ქეთევანი შიშველი იხილა. ეს უფრო მომწონს, ვიდრე ის, რომ მკერდს აგლეჯდნენ და ითმენდა. რატომ ითმენდა მერე?!“

მოსარჩლის აზრით, ამ განცხადებით კოტე მახარაძემ შეურაცხყო არა მხოლოდ დიდმონამე ქეთევანის პატივი და ღირსება, არამედ *„ფეხქვეშ გათელა რა ეროვნული სიწმინდე, მორალური ზიანი მიაყენა ჩვენი ერის მომავალ თაობას.“*

ქალბატონი იზოლდა წმინდანისა და ეროვნული გმირის პატრიოტული ღვანლისა და ღირსების შებღალვისათვის კოტე მახარაძისაგან მოითხოვდა ბოდიშის მოხდას ქართველი ერისა და წმინდა ქეთევანის ხსოვნის წინაშე.

განხილვა: კოტე მახარაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ოთარ ბერიშვილმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის საფუძველზე, დააყენა შუამდგომლობა ქეთევან წამებულის საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის არასათანადო მოსარჩლედ ცნობისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

„თუ რომელიმე გარდაცვლილს, თუნდაც წმინდანს მოქალაქემ თავისი ქმედებით რაიმე შეურაცხყოფა მიაყენა, მის წინააღმდეგ ხმა უნდა აღიმადლოს მისმა მემკვიდრემ და არა სხვა ვინმემ, რომელიც მისი სანათესაო კავშირიდან არ არის,“ – ნათქვამია ბერიშვილის შუამდგომლობაში. დაცვის მხარის აზრით, მემკვიდრის გარდა სათანადო მოსარჩლედ შეიძლება ყოფილიყო საპატრიარქო.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მეორე საფუძველი, ბერიშვილის აზრით, არის ის, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის II პუნქტის მოთხოვნას, რადგანაც კოტე მახარაძის მხრიდან ადგილი არ ჰქონია პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევას, მას შეურაცხყოფა არაეისტვის მიუყენებია.

მოსარჩლე მხარის ადვოკატმა გიორგი თოიძემ ხსენებული შუამდგომლობა უსაფუძვლოდ მიიჩნია. მისი აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ ქეთევან წამებულის საზოგადოება პოლიტიკური ორგანიზაციაა, მათ აქვთ უფლება, საქმე

აღძრან ნებისმიერ საკითხზე, „რომელიც საფრთხეს უქმნის სოციალურ პოლიტიკურ უშიშროებას.“ ამასთანავე, თოიძემ საპატრიარქოც არაუფლებამოსილ პირად მიიჩნია.

„ჩვენ ყველანი ვითვლებით ჩვენი წარსულის მემკვიდრეებად. მე ვიცავ ჩემს თავს და ჩვენს მომავალს. ეს არის უდიდესი ომი ათეისტურ მსოფლმხედველობებს შორის,“ – განაცხადა პროცესზე მოსარჩლე მხარის ადვოკატმა.

იზოლდა ჭელიძემ კოტე მახარაძის სანინალმდეგოდ პროცესზე დამატებით არგუმენტებს მოუხმო. მან ბრალი დასდო კოტე მახარაძეს თამარ მეფის სახელის შეურაცხყოფაში და მოიყვანა ამონარიდი ხსენებული ინტერვიუდან:

„მე არ მაინტერესებს, რა ბრძანებებს იძლეოდა თამარი ბასიანის ომის დროს, მომწონს, თუ როგორ იწვევდა ლოგინში იოანე მხარგრძელს (ორიგინალში: უფრო საინტერესოა, როგორ შეიპატიჟა მეფე ქალმა ზაქარია მხარგრძელი საწოლში“ („ქალთა გაზეთი“).

მეორე ბრალდება კი ფაქტობრივ უზუსტობას უკავშირდებოდა. იზოლდა ჭელიძის თქმით, „შაჰი არ ესწრებოდა ქეთევანის წამებას. შაჰს ხორციელი ქეთევანი არ აინტერესებდა, მას სულიერი ქეთევანი აინტერესებდა.“

მოსარჩლემ კოტე მახარაძის საგაზეთო განცხადებები ერის ლალატის ტოლფასად, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად შეაფასა და დაუკავშირა ისეთ მოვლენებს, „როგორცაა სექტების გამრავლება საქართველოში, თავისუფლების ინსტიტუტის ქომავლობა ამ პროცესებისადმი, მათი გამოსვლები როგორც მართლმადიდებლობის, ისე ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ.“

მოპასუხე მხარის ადვოკატის თქმით კი, კოტე მახარაძეს შეურაცხყოფის მიყენების სურვილი არ ამოძრავებდა და მსახიობმა, როგორც შემოქმედმა მხოლოდ თავისი აზრი გამოხატა. „ეს არის ლეგენდა, რომელიც მან ასე იცის და არა როგორც ისტორიული ფაქტი. ეს მისი ნააზრევია, როგორც შემოქმედის,“ – განაცხადა პროცესზე ბერიშვილმა.

მომდევნო პროცესზე კი მოპასუხის ინტერესების დამცველმა არგუმენტაცია შეცვალა და განაცხადა, რომ „რატომ ითმენდა მერე“-ს ნაცვლად კოტე მახარაძემ ინტერვიუს დროს განაცხადა: „როგორ ითმენდა მერე ქალი ასეთ ტანჯვას“. ეს უკანასკნელი ფრაზა ადვოკატის აზრით, განსხვავდება პირველისაგან და არ არის შეურაცხმყოფელი. ეს გარემოება დაადასტურა პროცესზე მონმის სახით დაკითხულმა „ქალთა გაზეთის“ კორესპონდენტმა – ნათელა თუთისანმა, რომელმაც ეს უზუსტობა ბეჭდვის დროს გაპარული შეცდომით ახსნა.

სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მახარაძის წარმომადგენლის შუამდგომლობა და სსსკ-ს 84-ე, 215-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს სა-

პატრიარქო თანამოსარჩლედ ჩართო, თუმცა თავად საპატრიარქომ უარი განაცხადა თანამოსარჩლეობაზე.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ნ. ზვიადაძე) სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მოტივაცია: მონშის სახით დაკითხულმა „ქალთა გაზეთის“ კორესპონდენტმა ნათელა თუთისანმა და გაზეთის რედაქტორმა ცირა კუპატაძემ განაცხადეს, რომ მათ დაუშვეს შეცდომა და არასწორად გამოაქვეყნეს კოტე მახარაძის ინტერვიუ, რის გამოც რედაქციამ ბოდიშის მოხდის მზადყოფნა გამოთქვა.

მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი იყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ ლევან ფირცხალაიშვილის წერილი, საიდანაც სასამართლომ გაარკვია, რომ კოტე მახარაძე შეხვდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორეს და მასთან საუბარში აღიარა დაშვებული მძიმე შეცდომა და ითხოვა პატიება, რაც მისმა უწმინდესობამ შეუწდო. აღნიშნული წერილი სასამართლომ მტკიცებულებად იმ მოტივით არ მიიღო, რომ აღსარების შინაარსი უცნობი იყო სასამართლოსთვის. სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის „ბ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, არ შეიძლება იმ სასულიერო პირის მონშედ დაკითხვა, ვისაც გაანდეს აღსარება.

მოსამართლის აზრით, „წინადადებით „ან კი როგორ ითმენდა მერე“ მთლიანად იცვლება საქმის ფაქტობრივი გარემოება, ხოლო ის, რომ კოტე მახარაძეს ის უფრო მოსწონს, რომ შახს გული წაუვიდა შიშველი „ქეთევანი“-ს ხილვაზე, ვიდრე ის, რომ მკერდს აგლეჯდნენ და ითმენდა, მისი შეხედულებაა, როგორც ხელოვანის და ამისათვის მან პასუხი არ უნდა აგოს.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ კოტე მახარაძეს არ შეუღალავს ქეთევან ნამებულის პატივი და ღირსება.

საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ კოტე მახარაძე არასათანადო მოპასუხე იყო, მაგრამ ქეთევან ნამებულის საზოგადოებამ უარი განაცხადა, შეცვლილიყო ის სათანადო მოპასუხით – „ქალთა გაზეთით“ და ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელი არ დააკმაყოფილა.

6 აპრილი

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური გელა ლლიღვაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურმა სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გელა ლლიღვაშვილის წინააღმდეგ.

სარჩელის საფუძველი გახდა 1999 წლის 3 აპრილს „ახალ თაობაში“ (ასევე გაზეთ „გახმაურებულ ფაქტებში“) გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 50 ტონა ნარკოტიკული ნივთიერება შემოიტანა“. მოსარჩლის შეფასებით, ხსენებული პუბლიკაცია ცილისმნამებლური იყო, შეურაცხყოფდა და ზიანს აყენებდა მცენარეთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა საქმიან რეპუტაციას, რადგანაც რამდენიმე უზუსტობას შეიცავდა. სახელდობრ, მოსარჩლის განცხადებით:

I. სოფლის მეურნეობის სამინისტროს არაფერი შემოაქვს, იგი მცენარეთა დაცვის სამსახურის მეშვეობით გასცემს ნებართვებს ამა თუ იმ ნივთიერების შემოტანაზე;

II. სტატიაში დასახელებული „ბრომეთილი“ ნამდვილად არის ნარკოტიკი, მაგრამ საქართველოში შემოტანილია არა „ბრომეთილი“, არამედ „ბრომმეთილი“, რომელიც შხამქიმიკატია და სათანადო წესების დაცვით მისი გამოყენება დასაშვებია. ასევე სტატიაში საუბარი იყო იმაზე, რომ „1997 წლის ლიცენზიის საფუძველზე, საქართველოში შემოვიდა ორი ნივთიერება – „ზოლონი“ და „ბაზუდინი“. ეს ნივთიერებები განეკუთვნება მაღალტოქსიკურ ნივთიერებებს, ახსიათებს საბრძოლო მომწამვლელი რეაქცია.“ მოსარჩლის მტკიცებით, არ არსებობს შემთხვევა, რომ ხსენებული პროდუქცია ვინმეს საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებად გამოეყენებინოს.

III. ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ლლიღვაშვილმა არ იცის, სად წაიღეს ხსენებული ნივთიერებები, მოსარჩლის აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს.

IV. მოსარჩლე ასევე ასაჩივრებდა ლლიღვაშვილის განცხადებას, რომ „საქართველოში მიზანდასახულად ხორციელდება ეკოლოგიური გენოციდი, რადგან საბაჟომ გამოატარა და ლიცენზიის სამსახურმა გასცა ლიცენზია, ე.ი. სახელმწიფო დივერსია.“ მართალია, ამ შემთხვევაში ბრალი სახელმწიფოს ედება, მაგრამ რამდენადაც შხამქიმიკატების შემოტანაზე ლიცენზიას გასცემს მოსარჩლე, მცენარეთა დაცვის სამსახური თვლის, რომ ეს გამონათქვამი ლახავს მათი თანამშრომლების საქმიან რეპუტაციას.

მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოსარჩლემ მოითხოვა მოპასუხისათვის 2500 ლარის დაკისრება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ (მოსამართლე – მ. ნიკლაური) უსაფუძვლობის გამო, სარჩელი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, რომელმაც, 1999 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გელა ლილვაშვილს მორალური ზიანის სახით 2500 ლარის გადახდა დააკისრა.

საოლქო სასამართლომ (მოსამართლეები – მ. ნასარიძე, ლ. არჩვაძე, ც. დევრისაშვილი) ჩათვალა, რომ ზემოხსენებული ოთხპუნქტიანი ბრალდებებიდან პირველი სამი არ წარმოადგენდა ინფორმაციას, რომლის გამოც შესაძლებელი იყო მორალური ზიანის დაკისრება. ამასთანავე, „ბრომმეთილის“ ნაცვლად პუბლიკაციაში „ბრომეთილის“ მოხსენიება, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერებაა, განპირობებული იყო საბაჟო დოკუმენტაციაში დაშვებული შეცდომით. ამდენად, სასამართლომ ამ შემთხვევაში მოპასუხის ბრალეულობა გამორიცხა. თუმცა კოლეგიამ ცილისმნამებლურად მიიჩნია მოპასუხის ის განცხადებები, რომელთა თანახმად, საქართველოში ეკოლოგიურ გენოციდს სახელმწიფო ახორციელებს. სააპელაციო სასამართლოს აზრით, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო მონაწილეობს როგორც კერძო პირი და ის თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მისი ორგანოების – სამინისტროების, დეპარტამენტების და ა.შ. მეშვეობით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური უფლებამოსილი იყო, დაეცვა სახელმწიფოს ინტერესები.

გელა ლილვაშვილმა საოლქოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – ქ. გაბელაია, მ. გოგიშვილი, თ. ჩიქოვანი) გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი უთხრა მოსარჩლეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოტივაცია: პალატის აზრით, საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმად, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება უკავშირდება ხელმყოფი პირის ბრალეულ ქმედებას. სააპელაციო პალატამ გამორიცხა ლილვაშვილის ბრალი, რადგანაც ნარკოტიკის სახელწოდება შეცდომით საბაჟოს პქონდა მითითებული. „აქედან გამომდინარე, თუ ლილვაშვილს ბრალი არ მიუძღვის ზემოაღნიშნული ინფორმაციის უსწორობაში, – ნათქვამია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, – მას არ შეიძლება ბრალი მიუძღოდეს იმ გამო-

ნათქვამში, რომ სახელმწიფო ახორციელებს ეკოლოგიურ გენოციდს, რამეთუ ლლიღვაშვილს კეთილსინდისიერად სჯეროდა, რომ სახელმწიფომ თავისი ორგანოებით (საბაჟო, სამინისტრო და ა.შ.) შემოიტანა 50 ტონა ნარკოტიკი „ბრომელი“.

ამდენად, უზენაესმა ინსტანციამ ლლიღვაშვილის ბრალი გამოორიცხა.

21 აპრილი

მარი ციყელაშვილი და „ალია“ დავით ონოფრიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტმა მარი ციყელაშვილმა და გაზეთმა „ალიამ“ სარჩელით მიმართეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს ფინანსთა მინისტრის, დავით ონოფრიშვილის წინააღმდეგ.

მოსარჩელთა განცხადებით, 1999 წლის 16 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა შეურაცხყოფა მიაყენა მარი ციყელაშვილს, რაც იმაში გამოიხატა, რომ მინისტრმა ჟურნალისტს უწოდა არაპროფესიონალი, უვიცი, არაობიექტური და არაკვალიფიციური. ამასთანავე, მოსარჩლის განცხადებით, დავით ონოფრიშვილს არ დაუსახელებია კონკრეტული არგუმენტები, არ მიუთითებია კონკრეტული სტატია ან ფრაზა, რის საფუძველზეც მან ეჭვი შეიტანა მარი ციყელაშვილის პროფესიონალიზმში და ობიექტურობაში.

სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ მიუთითა, რომ სამინისტროს მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებზე პასუხისმგებელია მინისტრი. ამდენად, სამინისტროს (თუნდაც მინისტრის) კრიტიკა არ ნიშნავს მისი უფლებების შელახვას, მისი, როგორც პიროვნების (რიგითი მოქალაქის) პატივისა და ღირსების შელახვას. თუმცა, მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხემ ეს არ გაითვალისწინა და კოლეგა-ჟურნალისტების თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა მარი ციყელაშვილს.

„ალიას“ ჟურნალისტის შეურაცხყოფა (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა) თავის შეურაცხყოფად მიიჩნია თავად გაზეთმა „ალიამც“, რადგანაც, მოსარჩელთა განმარტებით, გადაწყვეტილებას კონკრეტული სტატიის დაბეჭდვაზე იღებს გაზეთის რედაქცია. დავით ონოფრიშვილის მხრიდან ჟურნალისტის შეურაცხყოფით შეილახა გაზეთ „ალიას“ საქმიანი რეპუტაცია.

მოსარჩელებმა მოპასუხისაგან მოითხოვეს იმავე საშუალებით (პრესკონფე-

რენციაზე) საჯაროდ ბოდიშის მოხდა, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი – I თეთრის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შესაგებელი სარჩელით მიმართა სასამართლოს. დავით ონოფრიშვილმა მოითხოვა გაზეთ „ალიას“ არასათანადო მოპასუხედ ცნობა, რადგან მისი გამონათქვამები ეხებოდა მხოლოდ მარი ციყელაშვილს და პრესკონფერენციაზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაზეთ „ალიაში“ არიან სხვა ჟურნალისტები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ცოდნითა და პროფესიონალიზმით.

ამასთანავე, მოსარჩლის განცხადებით, მარი ციყელაშვილის შესახებ მის მიერ გავრცელებული მოსაზრებები და შეფასებები შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

1999 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით მარი ციყელაშვილი გაზეთ „ალიაში“ სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს, რომლებიც შეიცავდა არაობიექტურ, არასწორ, დაუზუსტებელ და გადაუმონმებელ ინფორმაციებს. იმის საილუსტრაციოდ, რომ ჟურნალისტი სისტემატიურად ავრცელებდა დაუზუსტებელ ინფორმაციებს, „ვარაუდებსა“ და „მითქმა-მოთქმებს“, დავით ონოფრიშვილის წარმომადგენელმა – ირაკლი ოქრუაშვილმა მოუხმო ამონარიდებს „ალიაში“ გამოქვეყნებული სხვადასხვა პუბლიკაციებიდან:

„20 ივლისიდან 5 აგვისტომდე ავტომობილის იმპორტი დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით იბეგრებოდა“. მოპასუხის განმარტებით, საგადასახადო კოდექსი არასდროს ითვალისწინებდა ავტომობილების დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაბეგრას.

„აი-თი-ეს“-ის და ჩატარებული ტენდერის გამო საქართველოშიც ბევრი მითქმა-მოთქმაა“. ამ მითქმა-მოთქმას კი ჟურნალისტი სტატილაში ხელოვნურად უკავშირებს ფინანსთა მინისტრს.

„ფინანსთა მინისტრებისაგან გამოჩენილი „გულუხვობის გამო, წელს ორჯერ მკვეთრად დაეცა ლარის კურსი“;

„უცხოეთში ვიზიტების დაფინანსებაზე სამინისტროს უარი არასოდეს უთქვამს. მეტიც: ეს ერთადერთი ხარჯია, რომელიც გადაჭარბებითაა დაფინანსებული. როგორც წესი, ამ მივლინებებით ჩინოვნიკები ფინანსდებიან, რომელთა უმეტესობას ანგარიშებსაც კი არ სთხოვენ. „ალიამდე“ მოვიდა ინფორმაცია, რომ ფინანსთა სამინისტროში ფულის კეთების ახალ მეთოდს მიაგნეს. თუ მანამდე იყო ვერსია, თითქოსდა ხაზინიდან გადარიცხვისას ორგანიზაციები თანხის 10%-ს, ხოლო შემდეგ 15%-ს იხდიდნენ, ახლა სხვა ვარაუდი გავრცელდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტრომ „ლევნი“ შემოსავლები იმ ფორმათა ხარჯზე იშოვა, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო ბიუჯეტში დამატებით

გადარიცხეს თანხები. სანდო წყაროს ცნობით, ფინანსისტები თანხების სიმცირეზე ჩივიან და თანხებს მხოლოდ მათ უბრუნებენ, ვინც გარკვეულ პროცენტს ადგილზევე ტოვებს“.

დავით ონოფრიშვილის წარმომადგენელმა მიუთითა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყურნალისტი მოვალეა, შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა.

ი. ოქრუაშვილმა მოითხოვა, სასამართლოს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ამასთანავე დააყენა შუამდგომლობა, სსსკ-ს 134-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, გაზეთ „ალიას“ წარმოედგინა დადგენილება მისი რეგისტრაციის შესახებ (უკანასკნელი მონაცემების მიხედვით), ხოლო მარი ციყელაშვილს – მისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – თ. ანდლულაძე) შეწყვიტა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების გამო.

მოტივაცია: მოსარჩლე მარი ციყელაშვილმა უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნაზე, მოპასუხემ კი მხარი დაუჭირა მოსარჩლის მოთხოვნას, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. დავით ონოფრიშვილმა კი უარი განაცხადა შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნაზე.

22 მარტი

ნ. ბ. ვ. ბ-ს წინააღმდეგ

სარჩელი: ნ. ბ.-მ სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მისი სიმამრის, ვ. ბ-ს წინააღმდეგ.

დავის საფუძველი გახდა მოსარჩლის მეუღლის, ო. ბ.-ს მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი, განქორწინების მოთხოვნით. ხსენებული საქმის განხილვისას მოსარჩლის სიმამრმა – ვ. ბ-მ, რომელიც ამავდროულად იყო ო. ბ.-ს წარმომადგენელი, სასამართლოს წარუდგინა განცხადება, რომლითაც ნ. ბ.-ს აზრით, შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სახელდობრ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ნ. ბ-ს ჰქონდა დარღვევები და იგი ქვეყნიდან (ლუქსემბურგიდან) გაასახლეს.“ ასევე ის, რომ ნ. ბ-მ კავშირი გააბა მეუღლის ნათესავთან, ბიძაშვილის ცოლთან და სამი წელია ამ უკანასკნელთან ცხოვრობს.

მოსარჩლის მტკიცებით, განცხადებაში მითითებული ფაქტები არ შეესაბამება

სინამდვილეს, მიზნად ისახავს სასამართლოს³ თვალში მის დისკრედიტაციას და იმის ახსნას, თუ რატომ არა აქვს ურთიერთობა ბავშვებთან.

ნ. ბ-ს განცხადებით, მსგავსი ინფორმაციის გავრცელება შეურაცხყოფელია მისთვის, როგორც ადამიანისა და ბიზნესმენისათვის და ლახავს მის იმიჯს საერთაშორისო საქმიან წრეებში.

მოსარჩლემ მოითხოვა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი წერილობითი განცხადების საქმიდან ამოღება; ვ. ბ-საგან ბოდიშის მოხდა; მისთვის ჯარიმის სახით 500 ლარის დაკისრება და პროცესზე რწმუნებულის უფლების ჩამორთმევა.

მოპასუხე ვ. ბ. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, რის გამოც მოსარჩლემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება და მოხსნა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

გადაწყვეტილება: კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ნ. ზვიადაძე) დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი და დაავალა მოპასუხე ვ. ბ-ს, წერილობით მოეხდინა მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა.

მოტივაცია: მოპასუხე ვ. ბ., რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება სსსკ-ს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა. სასამართლოს აზრით, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

12 მაისი

გოგი დოლიძე გიგა ლორთქიფანიძის წინააღმდეგ

სარჩელი: გიორგი დოლიძემ სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ გიგა ლორთქიფანიძის წინააღმდეგ.

მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხემ ბრალი დასდო მას მძიმე დანაშაულში. სახელდობრ, გიორგი დოლიძემ მიუთითა თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2000 წლის 18 იანვრის სხდომის ოქმზე, სადაც რექტორმა დაადანაშაულა მოპასუხე, რომლის სახელზეც ანგარიში იყო გახსნილი, თანხის თვითნებ-

³ სასამართლო დავას განქორწინების საკითხზე იმ დროს იხილავდა ქ. თბილისის საოლქო სასამართლო.

ბურ ხარჯვაში, „ვილაც-ვილაცებისთვის“ დაბადების დღეების გადახდაში, ინსტიტუტის სალაროში თანხების გადაუხდელობაში.

გიორგი დოლიძის განცხადებით, გიგა ლორთქიფანიძეს სურდა, შუილი ჩამოეგდო მასსა და რეზო ჩხეიძეს შორის, რის დასტურადაც სასარჩელო განცხადებაში მიუთითა ამონარიდები სამეცნიერო საბჭოს სხდომების ოქმებიდან. სახელდობრ:

1. „რეზო, მე ვიცი, რომ მას სურს გამოყოფა, მაგრამ შენ არ გინდა“;

2. „ახლა მინდა რეზოს საყვედური ვუთხრა, მას უფრო მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს გ. დოლიძეზე“;

3. „ქართული კინოსკოლის ხელმძღვანელი“ – ასეთი თანამდებობა არ არსებობს და საქართველოში მოიძებნება სხვა ხალხი, რომელთაც აქვთ უფლება, თავის თავს ასე უწოდოს, მაგრამ ეს არავის მოსვლია თავში, რეზო ჩხეიძესაც კი“ (ოქმი №5, 2.05. 2000).

მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეს წარმოედგინა გაზეთ „ალიას“ ის ნომერი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ნინა რექტორი, ბ-ნი გიზო ჟორდანიას გიორგი დოლიძემ გააგდო, როგორც ეს გიგა ლორთქიფანიძემ 2000 წლის 18 იანვრის საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

მოპასუხემ გაზეთ „ალიას“ (15-16 აპრილი, 2000) ფურცლებზე ასევე განაცხადა, თითქოს გიორგი დოლიძეს უთქვამს, მომბეზრდა პრორექტორობა, ახლა რექტორი მინდა გავხდეთ.

მოსარჩლემ სიყალბედ მიიჩნია რექტორის მიერ სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებსა და პრესაში გამოთქმული მოსაზრებები და ცნობები:

თავის უკანონო ბრძანებაში (№8/5, 10, თებერვალი, 2000) გიგა ლორთქიფანიძე წერს, რომ კინოფაკულტეტს ცალკე ანგარიში დროებით მისცეს მაშინ, როცა ნინა ბრძანებაში სიტყვა „დროებითი“ საერთოდ არ ფიგურირებს.

მოსარჩლის აზრით, რექტორი მაშინაც ცრუობს, როცა წერს, თითქოს ეს ანგარიში კინოფაკულტეტს ექსპერიმენტის სახით მისცეს და მაშინაც, როცა აცხადებს, რომ ამ ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა. გიორგი დოლიძემ მოითხოვა ისეთი დოკუმენტის ან ექსპერტთა დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა.

მოსარჩლემ სიყალბედ მიიჩნია გაზეთ „ალიას“ მეშვეობით მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობა, თითქოს ფინანსისტებმა კატეგორიულად გააპროტესტეს ინსტიტუტში მეორე ანგარიშის არსებობა.

იმავე საგაზეთო ინტერვიუში მოპასუხემ განაცხადა, რომ კინოფაკულტეტს ინსტიტუტის მეოთხედი ფართობი უკავია. მოსარჩლემ მოითხოვა ინსტიტუტის აუდიტორიების საერთო ფართის აზომვა.

გიორგი დოლიძემ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია რექტორის განცხადება იმის თაობაზე, რომ შეთანხმების მიუხედავად, მოსარჩლეს დაპირებული თანხებიდან (მემოსავლების 30%) კაპიკი არ შეუტანია საერთო სალაროში. მოსარჩლის ცნობით, მოპასუხე ერთმანეთში ურევს შემოსავლების 30%-სა და ფიქსირებული ანგარიშების 33%-ს, როცა მოსამართლე ნ. ჭავჭავაძის წერს:

„ბატონი გოგი წერს, რომ თითქოს შეთანხმებული ეყოფილვართ შემოსავლების 30%-ის ინსტიტუტის სალაროში შეტანაზეო. როგორ შეიძლება ამის უარყოფა? იმავე ბრძანებაში (23.07.99) მესამე პუნქტში ხომ პირდაპირ წერია: „ხარჯთაღრიცხვაში განისაზღვროს ინსტიტუტის ფიქსირებული ანგარიშები 33%-ის ოდენობით...“

მოსარჩლე მხარემ კონფლიქტის მთავარ მიზეზად მიიჩნია რექტორის მიერ 2000 წლის 10 თებერვალს გამოცემული უკანონო ბრძანება №8/5, რომლითაც გაუქმდა კინოფაკულტეტის ფასიანი სწავლების დამატებითი ანგარიში. გიორგი დოლიძის აზრით, იგი რექტორს ერთპიროვნულად, სამეცნიერო საბჭოსთან შეუთანხმებლად აქვს გამოცემული.

საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია მან ასევე 2000 წლის 18 იანვრის საბჭოს სხდომაზე რექტორის მიერ გაკეთებული განცხადება: *„თქვენ დანიშნული პრორექტორი ხართ და ახლა რომ არჩევნები დაენიშნოთ, არავინ არ მოგცემთ ხმასო“*. მოსარჩლის აზრით, ეს არის როგორც მუქარა და დევნა, ასევე საბჭოს წევრთა გაფრთხილება, არჩევნებს რომ დაენიშნავ, არ აირჩიოთ გიორგი დოლიძეო. იგივე გაიმეორა გიგა ლორთქიფანიძემ გაზეთ „ალიას“ ფურცლებზე.

მოსარჩლის აზრით, რექტორი ცდილობდა მისი პიროვნების უარყოფითად წარმოჩენას, როცა რექტორატის სხდომის ოქმში დააფიქსირა, თითქოს მან შეინირა ბრწყინვალე რეჟისორი გიზო ჟორდანი, აქვს დემონური ძალა და სხვა. ხსენებული ოქმი, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა როგორც მოსარჩლის კოლეგებისათვის, ასევე ყველა მსურველისათვის, გიორგი დოლიძის განცხადებით, ბლალავს კანონით დაცულ მის უფლებებს. ამიტომ მოსარჩლემ მოითხოვა, სასამართლოს დაევალებინა მოპასუხისათვის მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებმა განაცხადეს თანხმობა, საქმე მორიგებით დაესრულებინათ და შეადგინეს მორიგების ოქმი, რომლის თანახმადაც, მოპასუხე გიგა ლორთქიფანიძე იღებდა ვალდებულებას, შეეცვალა 2000 წლის 10 თებერვლის №8/5 ბრძანების საფუძველი, დამოუკიდებელი ანგარიშის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამ ცვლილების შესახებ თეატრალური ინსტიტუტის რექტორს ინფორმაცია უნდა გაეკეთებინა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, რითაც ინციდენტი ამონურულად ჩაითვლებოდა.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ნ. ჭავჭავანიძე) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება და შეწყვიტა საქმე.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის “დ” პუნქტზე, 284-ე და 285-ე მუხლებზე.

1 ივნისი

უშანგი დონჯაშვილი მედია მეზვრიშვილისა და „გეას“ წინააღმდეგ

სარჩელი: უშანგი დონჯაშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მედია მეზვრიშვილის და საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეას“ წინააღმდეგ. მოსარჩლის ცნობით, საქართველოს სახელმწიფო შემნახველი სალაროების და კერძო კომერციული ბანკების მეანაბრეთა საინიციატივო ჯგუფის თხოვნით, 2000 წლის 17 თებერვალს ის გატარდა საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციაში მე-15 ნომრად. მხარდამჭერთა აღრიცხვა უშანგი დონჯაშვილმა 19 თებერვლიდან დაიწყო და როგორც თავად აღნიშნავს, კანონით განსაზღვრულ ვადამდე მოაგროვა მხოლოდ 47 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერა, რის გამოც არჩევნების შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით „დილის გაზეთში“ გამოქვეყნებული მედია მეზვრიშვილის გამონათქვამები მოსარჩლემ „ცინიზმის, დამცირების, ცილისწამების, შეურაცხყოფისა და სეპარატიზმისკენ ბიძგის განზრახვით გაყლენთილად“ მიიჩნია. მოსარჩლემ მიუთითა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის, მედია მეზვრიშვილის მიერ საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში გაკეთებულ შემდეგ განცხადებებზე:

„კახელებო, პრეზიდენტობაზე არც იოცნებოთ! სწორება კახელებზე! ვინც საქმეს კახეთიდან დაიწყებს, ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. ჩვენი პროგნოზით ჩვენ გავიმარჯვებთ... ზოგ კანდიდატს 9 აპრილის პრეზიდენტობის უფლებებზე პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს. ზოგსაც კი გაფიქრების უფლებაც არა აქვს“.

მოსარჩლის ცნობით, იქვე მედია მეზვრიშვილმა განაცხადა, რომ მას რცხვენია კახელობის, რადგან ერთ-ერთმა კახელმა თავს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა და იქვე აღნიშნა:

„პრეზიდენტობა ზოგს ვერც კი გაუაზრებია რამხელა პასუხისმგებლობაა.

დონჯაშვილმა თუ ვილაც უბედურებამ მოინდომა გახდეს ქვეყნის რჩეული, მაგის გვარი მე კი არა, თავის სოფელშიც კი არ იციან, არ შეიძლება პრეტენზია გქონდეს არარეალურზე“.

უშანგი დონჯაშვილის განცხადებით, მას, როგორც საქართველოს მოქალაქეს, კონსტიტუციის საფუძველზე ჰქონდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მან ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ის არის მთელ საქართველოში პოპულარული იურისტი, რის დასტურადაც დაასახელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული იურიდიული განათლება; კომკავშირული და პარტიული წარსული; პროკურატურასა და შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის გამოცდილება და ა.შ. მოსარჩლემ ასევე მოიხველია მის შესახებ ე. შევარდნაძის მიერ თქმული სიტყვები: „ყველაზე სამართლიანობისათვის, ობიექტურობისა და პრინციპულობისათვის მთავრობის ჯილდო რომ იყოს, ეს უშანგი დონჯაშვილს ეკუთვნის“.

უშანგი დონჯაშვილის აზრით, მოპასუხემ შეურაცხყოფა მიაყენა არა მარტო მას, არამედ მთელი კახეთის მოსახლეობას, მმართველ პარტიას – მოქალაქეთა კავშირს, თვით პრეზიდენტს, კონსტიტუციას, დემოკრატიის პრინციპებს და მთელ საპრეზიდენტო საარჩევნო სისტემას. მისი პიროვნების განზრახ დანაშაულებრივი შეურაცხყოფისათვის, დაცინვის, დამცირებისა და დიდი მორალური ზიანის მიყენებისათვის მოსარჩლემ მოითხოვა მოპასუხისაგან ბოდიშის მოხდა მისთვის და კახეთის მოსახლეობისათვის, ხოლო მორალური ზიანის მიყენებისათვის – მხოლოდ მის სასარგებლოდ 600 ათასი ლარის გადახდა.

სასამართლოს მთავარ ხსენებაზე მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცება იმის შესახებ, რომ გაზეთში გაკეთებული განცხადება ნამდვილად მედია მეზერიშვილს ეკუთვნოდა, მით უფრო, რომ როგორც მოპასუხის წარმომადგენელმა აღნიშნა, „განცხადება არ არის ხელმოწერილი და არც მედია მეზერიშვილის ნება ჩანს, რომ სადავო წერილი გაზეთში გამოქვეყნებულიყო“.

ამის გათვალისწინებით, მოსარჩლემ მოითხოვა თანამოპასუხედ საქმეში „დილის გაზეთის“ რედაქციისა და საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეას“ ჩართვა.

სასამართლო კოლეგიამ „დილის გაზეთი“ არასათანადო მოპასუხედ ცნო, რადგანაც სადავო პუბლიკაცია მოამზადა და რედაქციას მიანოდა სააგენტო „გეამ“. „გეასა“ და „დილის გაზეთს“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტესა და ობიექტურობაზე პასუხს აგებდა თავად საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო.

თავის შესაგებელში „გეას“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გავრცელებული

ბული ინფორმაცია ეფუძნებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის – ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გურჯაანის თეატრში მოწყობილ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, მედია მეზერიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს. ამასთანავე, „გეას“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არც ჟურნალისტს და არც „გეას“ არ ესაჭიროება მედია მეზერიშვილის თანხმობა მისი ციტირებისთვის, რადგან ინფორმაციაში მოყვანილი სიტყვები ითქვა საჯარო შეკრებაზე, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ესწრებოდნენ. ამასთანავე, მოპასუხის წარმომადგენლის განცხადებით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რედაქცია ერთი თვის განმავლობაში ინახავდა მედია მეზერიშვილის გამოსვლის აუდიო ჩანაწერს, რომელიც ამავე მუხლის შესაბამისად, ერთი თვის შემდეგ განადგურდა. მოპასუხემ ისიც აღნიშნა, რომ შეხვედრას ესწრებოდა რამოდენიმე ასეული ადამიანი, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ ინფორმაციაში მოყვანილი გამონათქვამების სიზუსტე.

აქედან გამომდინარე, „გეამ“ მოითხოვა მისი არასათანადო მოპასუხედ ცნობა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მედია მეზერიშვილის წარმომადგენელმა მოითხოვა „გეას“ ამორიცხვა მოპასუხეთა სიიდან. მან ამასთანავე აღნიშნა, რომ მეზერიშვილის გამონათქვამებში შეურაცხმყოფელი არაფერია, რადგან გასაკვირი არ არის, თუ დონჯაშვილს არ იცნობენ, ვინაიდან ის მცირერიცხოვანი გვარის წარმომადგენელია. მედია მეზერიშვილის წარმომადგენელმა თ. ივანოვამ პროცესზე მოიშველია წიგნი „ქართული გვარ-სახელები“, რომლის თანახმად, უშანგი დონჯაშვილის მშობლიურ სიღნაღის რაიონში ამ გვარის სულ 9 კაცია რეგისტრირებული, ხოლო თავად მოსარჩლე 6 წლის ასაკიდან არის წამოსული სოფლიდან.

რაც შეეხება მოპასუხის მიერ მოსარჩლის მისამართით წარმოთქმულ „ვილაც უბედურება“-ს, თ. ივანოვას აზრით, „თუ დონჯაშვილი ნამდვილი კახელია, მას ეს სიტყვები არ უნდა სწყენოდა, ამგვარი სიტყვებით კახეთში ერთმანეთს ესალმებიან კიდევ.“

მოპასუხის წარმომადგენლის აზრით, სარჩელს არც სამართლებრივი საფუძველი აქვს: მედია მეზერიშვილს არ უმხელია დონჯაშვილი რაიმე დანაშაულში, ამორალურ საქციელში, უკანონობაში, საქმეში არაფერია, რაც დაადასტურებდა მოსარჩლის პატივის შელახვას.

გადანყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – ქ. დუგლაძე, დ. თოდრაძე, მ. ჩანტლაძე) არ დააკმაყოფილა სარჩელი.

მოტივაცია: კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ საინფორმაციო-ანალიტი-

კური ბიურო „გეა“ არის არასათანადო მოპასუხე და მიუთითა პრესის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საინფორმაციო მასალის ავტორი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ სიტყვასიტყვით იმეორებს სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩლის პოზიცია იმის შესახებაც, რომ მედია მეზერიშვილთან ერთად მორალური პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა ქ. თელავის გამგეობას და მოქალაქეთა კავშირის თელავის რეგიონალურ ორგანიზაციას იმის გამო, რომ მოსარჩლეს არა აქვს 600 ათასი ლარის ანაზღაურების საშუალება. კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მედია მეზერიშვილი მოპასუხედ გამოდიოდა, როგორც ფიზიკური პირი.

მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები კოლეგიამ არ მიიჩნია მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველად, ვინაიდან სადავო გამონათქვამები არ ამცირებს პირის პატივსა და ღირსებას კანონმდებლობის ან მორალური პრინციპების შესრულების თვალსაზრისით, არ შეიცავს მტკიცებას მოსარჩლის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის ან უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობაც უნდა ამტკიცოს მოპასუხემ.

ამასთანავე, კოლეგიის აზრით, ცნობა პიროვნების პოპულარობის ან არაპოპულარობის შესახებ ვერ იქნება განხილული ცნობად პიროვნების პატივისა და ღირსების შესახებ, ვინაიდან სამოქალაქო სამართალში პატივისა და ღირსების, როგორც სამართლებრივად დაცული ზნეობრივი კატეგორიების ქვეშ იგულისხმება საზოგადოების დამოკიდებულება პიროვნების მიმართ და პიროვნების მიერ საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება, რაც უნდა ემყარებოდეს სინამდვილის შესაბამის ფაქტებსა და არა პიროვნების პოპულარობის მასშტაბებს. მით უმეტეს, როცა მოპასუხე თავის განცხადებაში არ ეხება მოსარჩლის პოპულარობას ქვეყნის მასშტაბით, ის მხოლოდ უთითებს, რომ მოსარჩლის გვარი მან კი არა, მოსარჩლის სოფელშიც არ იციან. ამასთანავე, სასამართლოს აზრით, მოსარჩლეს რაიმე მტკიცებულებით ან სხვა გარემოებით არ გაუბათილებია მოპასუხის მიერ მითითებული არგუმენტები იმის შესახებ, რომ ის 6 წლის ასაკში წამოვიდა სოფლიდან და არც „ქართულ გვარ-სახელებში“ მითითებული მონაცემები გაუხდია სადავოდ.

კოლეგიამ არც ის მოსაზრება გაიზიარა, რომ მოსარჩლისათვის მოპასუხის განცხადებები მძიმე შეურაცხყოფა იყო, რადგან ის პრეზიდენტობის კანდიდატის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინაიდან ხსენებულ მომენტში დონჯაშვილი არ წარმოადგენდა პრეზიდენტობის კანდიდატს.

„ვილაც ოხერი“ სასამართლოს აზრით, არის არა პირის პატივისა და ღირსების

შემლახველი განცხადება, არამედ ზოგადი კუთხური გამონათქვამი, რომელშიც ავტორი გულისხმობს მისთვის უცნობ პიროვნებას.

კოლეგიამ ასევე გაითვალისწინა ის ვითარებაც, რომელშიც მოპასუხემ გააკეთა განცხადებები მოსარჩლის მიმართ. სახელდობრ, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოწყობილი ამომრჩეველთა შეხვედრისას. სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლითაც „პრეზიდენტის არჩევნების წინასწარი კამპანია ტარდება საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის 47-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.“ ამ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი, „საქართველოს მოქალაქეებს... გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა, გასწიონ აგიტაცია... კანდიდატების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.“

მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება, რომ სადავო განცხადება მიმართული იყო მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატ შევარდნაძის სასიკეთო აგიტაციისაკენ, დადასტურდა „გეას“ კორესპონდენტის, ნ. ბანძელაძის ჩვენებით, რომლის თანახმად, მოპასუხის გამოსვლა მიმართული იყო მხოლოდ ე. შევარდნაძის მხარდასაჭერად და არა უ. დონჯაშვილის წინააღმდეგ, გამოსვლის ტონი არ იყო შეურაცხმყოფელი. კოლეგიამ სამოტივაციო ნაწილში ასევე მიუთითა მონმის განმარტება იმის შესახებ, რომ გარკვეული ემოცია, რომელიც მოჰყვა მეზვრიშვილის გამოსვლას, იყო გაგრძელება იმ იუმორისტული განწყობისა, რომლითაც მიმდინარეობდა ეს შეხვედრა.

სასამართლოს აზრით, თუ მოსარჩლე თვლის, რომ მოპასუხემ მის მიმართ ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა ფიზიკური და მორალური განცდები, მას უნდა ედავა არა სამოქალაქო სამართალწარმოების, არამედ სისხლის სამართალწარმოების წესით.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩლის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან მოპასუხის გამონათქვამები არ ჩათვალა მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველად.

7 ივლისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის პრეზიდენტების წინააღმდეგ

სარჩელი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსმა თემურ კეპულაძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოპასუხეებად მიუთითა პეტრე ჩუბინიძე (იმერეთის მხარის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი) და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მონადირეთა და მეთევზეთა კლუბების პრეზიდენტები (სულ 13 მოპასუხე).

მოსარჩლემ მიუთითა გაზეთ „იმერეთის მოამბეში“ პეტრე ჩუბინიძისა და მის თანამზრახველთა მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე, სათაურით „რეგიონალური „მინისტრი“ ბობოქრობს“.

მოსარჩლემ ცილისმწამებლურად მიიჩნია ნერილის ავტორთა მხრიდან გამოთქმული შემდეგი ბრალდებები:

1. „სპეციალური ბრიგადები მუშაობენ ელექტრო აპარატებით და დაჭერილი თევზით ამარაგებენ რესტორნებს, ქორწილებს. მათ თუ ვერ ამჩნევთ, ან არ ამჩნევთ, იცოდეთ, ორივე შემთხვევაში დანაშაულს ჩადიხართ.“
2. „რაც შეეხება ბრაკონიერებს, მაფიოზებს, მათ შემოწმებლებს და მაკონტროლებლებს, მათ ხელი დააფარეთ და საკმაოდ მოზრდილ თქვენ საგაზეთო სტატიში, მათზე ერთ სიტყვასაც არ ამბობთ“.
3. „თქვენ რომ რამეს აკეთებდეთ გარემოს დაცვის კუთხით, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს იმერეთის მხარეში, ბ-ნ თეიმურაზ შაშიაშვილს არ დასჭირდებოდა გაეკეთებინა განცხადება, თითქმის ეროვნულ ტრადიციასთან დაკავშირებით, რაც ხდება იმერეთსა და საერთოდ საქართველოს ტყეებში. არ დასჭირდებოდა ბ-ნ თეიმურაზს მოსახლეობისათვის მიემართა, გზები გადაეკეტათ ამ მძარცველებისათვის, ტყის ქურდებისათვის, მაფიოზებისათვის. თუ იცით მიანც, ვინ არიან ისინი, თუ პირობა გაქვთ მიცემული არ გაუმხილოთ მათი გვარები და „ლობები“ საზოგადოებას?“
4. „თქვენ რომ რამეს აკეთებდეთ, ასეთ დღეში არ იქნებოდა მხარისა და არა მარტო მისი საავტომობილო პარკი იმ სიბინძურის გამო, რასაც ავტოგასამართ სადგურებზე ბენზინებად და დიზელის საწვავად გვთავაზობენ მეტენზინეები, თანაც მამასისხლად. გვატყუებენ როგორც ხარისხში, ასევე მოცულობაში (წონაში) და ფასშიდაც.“

5. „ეს ბენზოგასამართი სადგურები იმერეთში ხომ ყველა თქვენი და თქვენი სამსახურის ხელდასმითაა გახსნილი. ზოგიც ძალიან საეჭვო ადგილებში – გარემოს (მდინარეების) დაცვის კუთხით, ზოგი ბალებსა და სკვერებშიც კი!“

6. „თქვენს „მუშაობაზე“ ერთი მაგალითიც კარგად მეტყველებს, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინ მოხდა იმერეთში და მოსახლეობამ ამის შესახებ პრესითა და ტელევიზიით შეიტყო, სადგურ აჯამეთის ტერიტორიიდან ბოროტმოქმედებმა დასაველეთისაკენ მიმავალი სალოკომოტივო ეშელონის ცისტერნებიდან მოიპარეს 100 ტონაზე მეტი ნედლი ნავთობი, პოლიციის მეშვეობით ბოროტმოქმედები დააკავებულ იქნენ. ნედლ ნავთობს კი ავტოგასამართ სადგურებში მიაკვლიეს. ყველაფერი ეს გაკეთდა არა თქვენი სამსახურის წყალობით, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს თქვენი „მუშაობის“ პრაქტიკას, თქვენ რომ მოწოდების სიმალეზე იდგეთ, მებენზინეები ნედლი ნავთობის საწვავად გასაღებას ვერ გაბედავდნენ.“

7. „თქვენ ადრე როგორც გვახსოვს, მწვანეებში იყავით და თუ არ ვცდებით, დღესაც იქ ხართ. გვახსოვს თქვენი თანაპარტიელების აქტიურობა „პერესტროიკის“ გარიჟრაჟზე, თუ როგორ დარბოდნენ საკოლმეურნეო ბაზრებში და გულს უწყალებდნენ გლეხობას თქვენი მწვანილი ნიტრატებს შეიცავსო... ახლა აღარ გაინტერესებთ, ბატონო თემურ, ნიტრატების თუ როგორი შემცველობაა თურქულ ხახვში, კარტოფილში, ნიორში, როგორი შემადგენლობის ან ხარისხისაა სხვა პროდუქტები?! თქვენი და სხვა სამსახურების უმოქმედობის გამოა, რომ სხვებს უხდება პასუხის გაცემა მოსახლეობისათვის ბევრ უმსგავსოებასა და ნაშაულებრივ ინერტულობაზე.“

8. „ჩვენ სპეციალურად არ ვსაუბრობთ რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე გარემოს დაცვის კუთხით, რომელიც შეიქმნა სასარგებლო წიალისეულის თუ სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალების ღია კარიერული წესით მოპოვების დროს, აქ ხომ სრული განუკითხაობაა, რაზეც ტომები დაიწერება.“

მოსარჩლისევე განცხადებით, მოპასუხეები მას აბრალებენ, თითქოს ამ უკანასკნელს ეთქვას, „სამინისტრო მე ვარო“; „მონადირეები და „მონკავშირი“ ისე სჭირდება გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბუნების დასაცავად, როგორც მოძრაობა „ქართველი ქალები მშვიდობისათვის“ საჭიროა მშვიდობის დასაცავად.“

თემურ კეპულაძემ მოითხოვა, მოპასუხეებს კონკრეტული მაგალითებით დაემტკიცებინათ:

○ ვინ ან რა არ შეამჩნია გარემოს დაცვის სამმართველომ;

○ რომელ ბრაკონიერს, მაფიოზს ან მაკონტროლებელს დააფარა ხელი გარემოს დაცვის სამმართველომ;

- სამმართველოს დანაშაულებრივი ინერტულობა;
- სამშენებლო მასალების ღია კარიერული წესით მოპოვებაში სამმართველოს ბრალეულობა;
- დაესახელებინათ თუნდაც ერთი ავტოგასამართი სადგური ბაღში ან სკვერში, რომელზეც გარემოს დაცვის სამმართველოს ნებართვა იყო გაცემული;
- დამტკიცებინათ მოსარჩლის ბრალეულობა აჯამეთის ტერიტორიიდან ნავთობის მოპარვის ფაქტთან დაკავშირებით;
- დამტკიცებინათ დაცინვის ერთი ფაქტიც კი, რომელიც მოსარჩლემ ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიმართ გამოხატა;
- დაესაბუთებინათ მოსარჩლის, როგორც სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ყოფნის შეუსაბამობა.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხეები ვერ შეძლებდნენ ხსენებული ფაქტების დამტკიცებას, მოსარჩლე მათგან იმავე გაზეთის მეშვეობით ბოდიშის მოხდას ითხოვდა.

სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების ტექსტი, რომლის მიხედვითაც, მოპასუხეები გაზეთ „იმერეთის მოამბეში“ გამოაქვეყნებდნენ ნერილს, სადაც ბოდიშს მოუხდიდნენ მოსარჩლეს პუბლიკაციისთვის „რეგიონალური „მინისტრი“ ბობოქრობს“.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – გ. გვენცაძე) დამტკიცა მხარეთა მორიგება.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე, 272-ე და 274-ე მუხლებზე.

1 აგვისტო

„აჭარა P.S.“-ი „ქობულეთის“, ნატო ქათამაძისა და ქობულეთის გამგეობის წინააღმდეგ

სარჩელი: 1998 წლის 2 სექტემბერს „აჭარა P.S“-ის დამფუძნებელმა ღირეკტორმა ტარიელ ქათამაძემ, რედაქტორმა ჯემალ მეგრელიძემ, განყოფილების გამგეებმა – ნატო მახარაძემ და ჯონი კალანდაძემ სარჩელით მიმართეს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „ქობულეთის“ რედაქტორის ნატო ქათამაძის წინააღმდეგ.

მადის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა 1998 წლის 14 აგვისტოს გაზეთ „ქობულეთში“ გამოქვეყნებული ნატო ქათამადის პუბლიკაცია, სათაურით „წერილი მკითხველს“, რომელიც „აჭარა P.S“-ის თანამშრომლებს შეეხებოდა. მოსარჩლეებმა მათთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხებებზე 5 ათასი ლარის დაკისრება მოითხოვეს.

1999 წლის 22 ივლისს საქალაქო სასამართლომ საქმე განსახილველად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას გადასცა და მოტივად საქმის განხილვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუთითა.

2001 წლის 21 მარტს მოსარჩლეებმა დამატებითი სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მიყენებული მატერიალური ზიანისათვის მოპასუხებებზე 9750 ლარის დაკისრება მოითხოვეს. მოტივად კი მიუთითეს სადავო სტატიის იმ ფრაგმენტზე, რომელიც შეეხებოდა „აჭარა P.S“-ის მიერ რეგისტრაციის თანხის გადაუხდელობას; ტ. ქათამადის იარაღით ვაჭრობისათვის გასამართლების ბრალდებას; სამხედრო ნაწილში სამსახურის დროს ამ უკანასკნელის საეჭვო რეპუტაციას, სამხედრო ნაწილიდან და კომისარიატიდან მის გაგდებას; ყალბ დიპლომს; აჭარის კონტროლის პალატის თავმჯდომარისაგან ძვირადღირებული პურმარილისა და საჩუქრის მიღებას; მისი თანამშრომლის, ჯ. მეგრელიძის ავადმყოფად მიჩნევას, ხოლო ნ. მახარაძისა და ჯ. კალანდაძის მიმართ არაკოლეგიალურ დამოკიდებულებას. შანტაჟისტად, ყველაფრის მკადრებელად, უმადურად, ჭორიკანად, ერთუჯრედიანად, უზნეო გაზეთად მოხსენიებით, მოსარჩლეთა აზრით, შეურაცხყოფა მიადგა მათ და გაზეთ „აჭარა P.S“-ს, შეილახა გაზეთის რეპუტაცია და შედეგად შემცირდა მისი ტირაჟი. ამასთანავე, მოსარჩლეთა განმარტებით, თანამშრომელთა სტრესული მდგომარეობის გამო, დროებით შეწყდა გაზეთის გამოცემა, საერთო ჯამში კი ზარალმა 9 750 ლარი შეადგინა.

მოგვიანებით საქმეში მოპასუხებებად გაზეთ „ქობულეთის“ რედაქცია და ქობულეთის რაიონის გამგეობაც ჩართეს.

გადანყვეტილება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 2000 წლის 14 აპრილის გადანყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს დაევალიათ მოსარჩლეთა პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და პირადი საიდუმლოების შემცველი შემდეგი ცნობების უარყოფა:

„საეჭვო რეპუტაციის“, „სამხედრო ნაწილიდან გამოძევების“, „ჩვენ ასეთების ადგილად გაზეთი რომ მიგვეჩნია და არა ხელვაჩაური“, „მუხლზე დაჩოქილი იხვეწებოდა“, „მოლაღატეები“, „სულით მონა, მონა ანგარებისა, შანტაჟისტი“, „ყველაფრის მკადრებელი, უმადური, ჭორიკანა“, „ერთუჯრედიანი მხარდამჭერი“, „წილბით დაფარული, მაგრამ მაინც ორპირები, გაიძვერები“, „წახველთ

გარიგებაზე ამ ბინძურ ხალხთან“, „დაარსა უზნეთა გაზეთი“. პუბლიკაციის სხვა ნაწილის უარყოფაზე მოსარჩლეებს ეთქვათ უარი. ამასთანავე, მოპასუხეებს დაეკისრათ, მორალური ზიანის სახით, სოლიდარულად 4 ათასი ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა.

მოტივაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს აზრით, ზემოთ ხსენებული ფრაზები ლახავდა მოსარჩლეთა პიროვნულ რეპუტაციას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, მათი გაზეთის იმიჯს, რაც გამოწვეული იყო მოპასუხეთა ბრალეული მოქმედებებით – უხეში გაუფრთხილებლობით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის, რომ სადავო პუბლიკაციით მოსარჩლეებმა მიიღეს მორალური სტრესი, რაც მათ სულიერ და ზნეობრივ ტანჯვაში გამოიხატა. სასამართლოს აზრით, მოპასუხე თავისი პუბლიკაციით მიზნად ისახავდა მოსარჩლეთა კომპრომეტირების შესაძლებლობას და რადგან მოპასუხეთა მოქმედება გამოიხატა ბრალეულ უხეშ გაუფრთხილებლობაში, სასამართლომ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის „გონივრული სამართლიანი ზომიერების ფარგლებში“ მოპასუხეებს 4 ათასი ლარი დააკისრა.

კასაცია: ხსენებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს ქობულეთის რაიონის გამგებელმა და გაზეთ „ქობულეთის“ რედაქტორმა ნატო ქათამაძემ.

ქობულეთის რაიონის გამგებელმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ მართალია, გაზეთ „ქობულეთის“ ქონება ეკუთვნის რაიონის გამგეობას, მაგრამ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია „წერილი მკითხველს“ არ არის სარედაქციო წერილი და მას ჰყავს ავტორი – ნატო ქათამაძე. გამგებლის აზრით, პასუხისმგებლობა დაშვებული უზუსტობისათვის ეკისრება სწორედ ავტორს და არა რედაქციასა და გამგეობას. კასატორმა მოითხოვა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გაზეთ „ქობულეთის“ საკასაციო საჩივარში კი აღნიშნულია, რომ უმაღლესმა სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნები. ქათამაძის განმარტებით, რედაქციას გააჩნდა ანონიმური წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესახებ კანონის მე-19 და 24-ე მუხლების თანახმად, შეეძლო, გამოექვეყნებინა პუბლიკაციაში გადმოცემული მოსაზრებები. კასატორის აზრით, სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის მოთხოვნა, გასცდა სარჩელის ფარგლებს, როცა გადაწყვეტილების გამოტანის დროს დაეყრდნო არა მხოლოდ სარჩელში ჩამოთვლილ ფაქტებს, არამედ წარმოადგინა ბრალდებები, რომლებიც სასარჩელო განცხადებაში ჩამოთვლილი არ ყოფილა.

ამასთანავე, კასატორის აზრით, „აჭარა P.S“-ს არ განუცდია ქონებრივი ზიანი,

რის დასტურადაც მან მიუთითა მოსარჩლის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე, სადაც ნათქვამია, რომ „ისევ გაეუცრუეთ იმედი ქალბატონ ნატოს, ჩვენი მცირე პაუზა და შევბუღება ჩვენმა მოპასუხებმ ჩვენს დახურვად მიიჩნია“. ქათამაძის აზრით, ეს სიტყვები ადასტურებს იმას, რომ გაზეთს არავითარი ზარალი არ განუცდია. ამდენად, კასატორის განცხადებით, უმაღლესმა სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-ე, 250-ე და სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 993-ე მუხლების მოთხოვნები.

ზიანის ანაზღაურების დაკისრება რედაქციისთვის და არა სტატიის ავტორისათვის „ქობულეთის“ რედაქციამაც უკანონოდ მიიჩნია.

გადანყვეტილება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, დ. ხელაია, რ. ნადირიანი) არ დააკმაყოფილა ქობულეთის რაიონის გამგებლის – რ. გოგოლიშვილისა და გაზეთ „ქობულეთის“ რედაქტორის – ნ. ქათამაძის საჩივრები და უცვლელი დატოვა ქვემდგომი ინსტანციის გადანყვეტილება.

მოტივაცია: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გაზეთი „ქობულეთი“ გამოდის სახაზინო საწარმო „ქობულეთის პრესის“ მეშვეობით და რედაქციის მთელი ქონება ეკუთვნის დამფუძნებელს – რაიონის გამგეობას. აქედან გამომდინარე, პალატამ მართებულად მიიჩნია ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადანყვეტილება – ქონებრივი ზიანის ანაზღაურება დაკისრებოდათ მოპასუხეებს, თანამოპასუხეთა ჩათვლით. მით უფრო, რომ გამგეობის საკუთრების გარდა, სხვა ქონება მოპასუხეებს არ გააჩნდათ. სოლიდარული წესით თანხების მოპასუხისათვის დაკისრება, პალატის განმარტებით, არ უსპობს საშუალებას სოლიდარულ მოვალეებს, აღსრულების შემდეგ რეგრესის წესით მოახდინონ თანხების ერთმანეთს შორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. უზენაესმა ინსტანციამ კანონის დარღვევად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ უმაღლესმა სასამართლომ თანამოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრა მორალური ზიანის გამო ქონებრივი ზიანის გადახდა.

პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს უმაღლესმა სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტი, როცა დასაბუთებისა და მტკიცებულებათა გარეშე მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა არა სტატიის ავტორს, არამედ რედაქციას. პალატის განმარტებით, თანამოპასუხეთათვის ზარალის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების გზით, უმაღლეს სასამართლოს არ დაურღვევია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ

ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს, აღნიშნულ შემთხვევაში კი, გაზეთის ქონება ეკუთვნის გამგეობას და ის გამგეობის დაფინანსებით გამოდის.

პალატამ არც „ქობულეთის“ რედაქტორის არგუმენტაცია გაიზიარა იმის თაობაზე, რომ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონის მე-19, 21-ე და 24-ე მუხლები უფლებას აძლევს მას, ანონიმური წყაროდან მოიპოვოს ინფორმაცია. უზენაესი ინსტანციის განმარტებით, ხსენებული კანონი მართალია, უშვებს ანონიმური წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას, მაგრამ არა ისეთის, რომელიც აშკარად არასწორ ინფორმაციას შეიცავს და შეგნებულად ვრცელდება ბრალეული მოქმედებით. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხის ბრალი გაუფრთხილებლობაში გამოიხატა, პალატამ მართლზომიერად და სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შესატყვისად მიიჩნია უმაღლესი სასამართლოს მიერ მოპასუხეებისათვის 4 ათასი ლარის (ნაცვლად მოთხოვნილი 9750 ლარის) დაკისრება.

უზენაესმა სასამართლომ არც კასატორის ის მოსაზრება გაიზიარა, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის დარღვევას შეეხებოდა. მართალია, უმაღლესმა სასამართლომ მოპასუხეებს დაავალა ზოგიერთი ისეთი ინფორმაციის უარყოფა, რომელიც არ იყო მითითებული სარჩელში და სასამართლოში შეტანილ წერილობით მოსაზრებაში, მაგრამ, პალატის აზრით, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ მოსარჩლეებს მიაკუთვნა ის, რაც მათ არ მოუთხოვიათ, ან მიაკუთვნა იმაზე მეტი, რაც მათ მოითხოვეს. უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩლეები მთლიანობაში მიიჩნეოდნენ სადავო სტატიას მათი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად და მოითხოვდნენ მის უარყოფას.

პალატამ არ გაიზიარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც მოსარჩლე ნ. მახარაძის ბრალდება – რომ ხსენებული პუბლიკაცია მისი დედის სიკვდილის დაჩქარების მიზეზი გახდა – სარწმუნოდ არის მიჩნეული, რადგანაც პალატის აზრით, ამ მოსაზრების სარწმუნოდ მისაჩნევად საკმარისი არ არის მხოლოდ ის, რომ მოპასუხეს სანინაალმდეგო განმარტება არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა ასევე არ დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის მიერ დადგენილ ფაქტად იმის მიჩნევას, რომ პუბლიკაციის გამოქვეყნების მიზეზი იყო დაკვეთა და სამაგიეროს გადახდა ყოფილი გამგებლის შესახებ „აჭარა P.S“-ში გამოქვეყნებულ კრიტიკულ პუბლიკაციებზე.

ამ ორი ეპიზოდის გარდა, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესმა ინსტანციამ სრულებით გაიზიარა.

2 აგვისტო

ივანე ყაჭიაური „ალიასა“ და დარეჯან სულაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: გაზეთ „ალიაში“ (2000 წლის 11-12 მაისი) გამოქვეყნებული დარეჯან სულაშვილის სტატია „დაჭრილი ოფიცერი, დაკარგული 89 ათასი და თევზაძის ნათესაობა“... ივანე ყაჭიაურმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სადავო პუბლიკაცია შეეხებოდა თავდაცვის სამინისტროს ოფიცერ, ლეიტენანტ ბროძელზე განხორციელებულ თავდასხმის ფაქტს. მოსარჩლის აზრით, ყურნალისტი თავის თავზე იღებდა საგამოძიებო ფუნქციებს და თანმიმდევრულად ავითარებდა აზრს იმის შესახებ, რომ აღნიშნული თავდასხმა პირდაპირ უკავშირდებოდა ბროძელის სამსახურებრივ საქმიანობას. ივანე ყაჭიაურმა, რომელიც იმ დროს თავდაცვის სამინისტროს პროტოკოლის უფროსი იყო, ხოლო ჯანო ბროძელი – მისი მოადგილე, სასამართლოს ყურადღება გაამახვილა პუბლიკაციის შემდეგ ფრაგმენტებზე: „დავლიანების დასაფარავად შეგროვილი თანხა ბროძელს გადასცეს საფინანსო სახაზინო სამმართველოში ჩასატანად, მისმა ყოფილმა უფროსმა კი ურჩია, ფულს იქ სამშაბათამდე ნუ მიიტანო. ინფორმაციის წყაროს ერთ-ერთი ვარაუდით, მხოლოდ ამ პირს უნდა სცოდნოდა, სად უნდა წაეღო ჯანო ბროძელს ფული... სწორედ ამ დღეს ბროძელი დააყარაღეს, დაჭრეს და ფული წაართვეს;“ „დასასრულს, ისე, შენიშენისათვის... „ალია“ თავდაცვის სამინისტროში გასულ წელს პროტოკოლის უფროსების ვინაობით დაინტერესდა. ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მინისტრის სიძე, ივა ყაჭიაური აღმოჩნდა“.

მოსარჩლის განცხადებით, ზემოთ მოყვანილი ფაქტები, მისი სახელის, გვარის და თანამდებობის გარდა, არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. მოსარჩლემ მოითხოვა „ალიას“ უახლოეს ნომერში მისთვის ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეებისათვის 50 ლარის დაკისრება.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ს. მუმლაძე) სარჩელი განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე, რომლისთვისაც ცნობილი იყო სხდომის დღე, ხოლო მოსარჩლე ი. ყაჭაიურის საცხოვრებელი ადგილის დადგენა ვერ მოხერხდა⁴. სსკ-ს 275-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ საქმე განუხილველი დატოვა.

4 სექტემბერი

სიმონ ნოზაძე „მერიდიანისა“ და ილნარ გორელიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 12 ივლისს სიმონ ნოზაძემ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გაზეთ „მერიდიანის“ რედაქციისა და ჟურნალისტ ილნარ გორელიშვილის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა გაზეთში გამოქვეყნებული ილნარ გორელიშვილის სტატია, სათაურით „მინისტრებისა და მათი მოადგილეების მიერ „დაეიწყებული“ სასახლეები თავს ვერ მალავენ“.

მოსარჩლემ სადავოდ გახადა შემდეგი გამონათქვამები:

„...თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები უნებურად სცოდავენ. მათ მშვენივრად უწყიან, რომ აკრძალული მეთოდებით უხდებთ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტი ფანტაზიისა და გამოგონებლობის გამოყენება სჭირდებათ, რათა მათ ირგვლივ გარშემორტყმულმა „კარკასმა“ რაც შეიძლება ბუნებრივი ფორმა მიიღოს. იმაზე, თუ რამდენად კარგად გამოდის ეს ამა თუ იმ დიდ მოხელეს, თქვენ თვითონ უკეთესად შეგიძლიათ იმსჯელოთ“.

მოსარჩლემ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია მინანერი გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოზე:

„ვითომ, მსგავსი სასახლეების შენებით მოახერხებს უშიშროების მინისტრის მოადგილე სიმონ ნოზაძე ქვეყნისა და საკუთარი უშიშროების დაცვას?“

სიმონ ნოზაძემ თავის სასარჩელო განცხადებაში ასევე სადავოდ მიიჩნია გაზეთის მე-5 გვერდზე გამოქვეყნებული ფოტოს მინანერი:

„უშიშროების მინისტრის მოადგილის სიმონ ნოზაძის კარ-მიდამოს ბეტონის ეს გალავანი დაახლოებით იმ კედლის ანალოგია, რომელიც ხელისუფლებასა და

⁴ მოსარჩლეს სასარჩელო განცხადებაში მითითებული აქვს თავისი მისამართი.

დანარჩენ მოსახლეობას შორისაა აღმართული და რომლის გამჭვირვალობამდეც, ალბათ, ბევრი დრო და წყალი ჩაივლის. თუმცა, ვინ იცის”...

მოსარჩლის განცხადებით, არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს ფოტოზე აღბეჭდილ სახლთან რაიმე კავშირი არა აქვთ. სიმონ ნოზაძის აზრით, სტატიის ავტორმა ისარგებლა საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მის მიერ შევსებული დეკლარაციით, სადაც მითითებულია, რომ მოსარჩლის მეუღლეს ვაკის რაიონის გამგეობასთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნუცუბიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დელისის მე-3 ქუჩაზე მათი ოჯახისათვის შენდებოდა საცხოვრებელი ბინა. მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხეებმა არ გადაამოწმეს მითითებული ხელშეკრულების რეალობა და აბსოლუტურად უცნობი პიროვნების მიერ საირმის ქუჩაზე დანყებული მშენებლობა დაუკავშირეს მის სახელს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

შეურაცხმყოფელად და ცინიზმით განმსჭვალულად მიიჩნევს მოსარჩლე ხორბლის მოყვანით მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებულ ეპიზოდს. იგი ჟურნალისტიკის ფანტაზიას უკავშირებს სტატიის იმ ნაწილს, რომლის თანახმად, ხორბალი წყნეთშია მოყვანილი. სინამდვილეში კი, ხორბალი ხაშურის რაიონის სოფელ ფლევეშია მოყვანილი მოსარჩლის დედის იჯარით აღებული მიწის ნაკვეთზე, საიდანაც მას 18 ათასი ლარის შემოსავალი ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით, მოსარჩლემ მისი პატივის და ღირსების შემლახველად მიიჩნია შემდეგი გამონათქვამი:

„როგორც ჩანს, პრეზიდენტმა არ იცოდა სიმონ ნოზაძის სასოფლო-სამეურნეო მონაცემები, თორემ სოფლის მეურნეობის მინისტრობის ახალი კანდიდატურის შერჩევაზე იმდენ დროს ნამდვილად არ დაკარგავდა.“

მოსარჩლემ მოითხოვა, „მერიდიანის“ რედაქციას უარეყო გავრცელებული ცნობები გაზეთის იმავე გვერდებზე და იმავე შრიფტით; გაევერცელებინა ანალოგიური უარყოფა „ელექტრონული ფოსტით ინტერნეტში, რადგან გაზეთის ყველა ნომერი ვრცელდება ინტერნეტითაც“ (ს.6.); მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი „მერიდიანის“ რედაქციას მისთვის 25 ათასი ლარი აენაზღაურებინა.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – თ. ტაბატაძე) შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: მოსარჩლე და მოპასუხე მორიდგნენ და მოსარჩლემ მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

„ინტერვალის“ პრეზიდენტი ვასილ მძევაშვილი „7 დღისა“ და რატი ახალაძის წინააღმდეგ

სარჩელი: მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ასოციაცია „ინტერვალის“ პრეზიდენტმა ვასილ მძევაშვილმა სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2000 წლის 22 მაისს გაზეთ „7 დღეში“ გამოქვეყნებული სტატიის „ინგლისში სწავლის მაგივრად თბილისში ჭკუა 1500 დოლარად ისწავლეს“ გამო.

მოსარჩელემ გაზეთის გარდა მოპასუხედ მიუთითა სტატიის ავტორი, ჟურნალისტი რატი ახალაძე, რომელიც ზვიად ჩაკვეტაძის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნერილებს.

ვასილ მძევაშვილის ცნობით, ასოციაციას ინგლისში, ოქსფორდის კოლეჯში სასწავლებლად უნდა გაეგზავნა სტუდენტები, რისი დამადასტურებელი სერტიფიკატიც მას გააჩნდა. ვასილ მძევაშვილის მტკიცებით, სტუდენტებმა და მათმა მშობლებმა თანხები ინდივიდუალურად გადარიცხეს კოლეჯის ანგარიშზე. საგაზეთო პუბლიკაციის მიხედვით, ჟურნალისტი ახალაძე ბრალს სდებდა მოსარჩელეს, თითქოს მან მოგებიდან წილი არ გაუნაწილა ინგლისის საკონსულოსა და უშიშროების სამინისტროს, რის გამოც ბრიტანეთის საკონსულომ უარი უთხრა სტუდენტებს ინგლისში შესვლაზე.

მოსარჩლის აზრით, მოპასუხეები არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ცილს სწამებდნენ არა მარტო მას, არამედ სახელმწიფო სტრუქტურასა და უცხო სახელმწიფოს საკონსულოს. ვასილ მძევაშვილის განცხადებით, სტატიაში დამახინჯებული იყო მისი გვარი, შეცდომით იყო მითითებული ასოციაციის მისამართი და თავად სასწავლებლის დასახელება. მოსარჩლისვე ცნობით, სტატიის გამოქვეყნებამდე ჟურნალისტი რატი ახალაძე, ერთ-ერთი სტუდენტის მშობლის სახელით იმყოფებოდა ასოციაციის ოფისში. ვასილ მძევაშვილის განცხადებით, ამ გზით მათ ოფისში შესულმა ჟურნალისტმა მასთან შეუთანხმებლად გამოიყენა ხმის ჩამწერი, არაკანონიერი გზით მოიპოვა ინფორმაცია და დამახინჯებული სახით გამოაქვეყნა გაზეთში.

მოსარჩლის აზრით, პუბლიკაცია მიზნად ისახავდა მასსა და ინგლისში სასწავლებლად წამსვლელ სტუდენტებს შორის ურთიერთობის დაძაბვას. გაზეთ „7 დღისა“ და ჟურნალისტ რატი ახალაძისაგან მან მოითხოვა მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ 10 ათასი ლარის ანაზღაურება.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ს. მუმლაძე) დააკმაყოფილა მოსარჩლის განცხადება საქმის შეწყვეტის თაობაზე.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა სსსკ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტზე.

29 სექტემბერი

ა. დ. „კრიმინალის“, „7 დღის“, „ახალი თაობის“ და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფმა პატიმარმა ა. დ.-მ 2000 წლის 5 მაისს სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩულუ-რეთის რაიონულ სასამართლოს გაზეთების „კრიმინალი“, „7 დღე“, „ახალი თაობა“ და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ.

სასარჩელო განცხადებაში მოსარჩლის ინტერესების დამცველმა არკადი პარუნია ალნიშნა, რომ 2000 წლის 9 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ე. ჯგერენაიას მოტაცების ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს ა. დ.-ს 17 იანვარს დაკავების ფაქტი გაშუქდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით, პროგრამა „კურიერის“ მეშვეობით. მოსარჩლის აზრით, აღნიშნული სიუჟეტი არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას და იმის გათვალისწინებით, რომ საოლქო სასამართლოში ა. დ.-ს მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების გასაჩივრების განხილვას უსწრებდა წინ, იყო მოსამართლისთვის წინასწარი აზრის შექმნის მცდელობა და შეიცავდა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობებს.

ადვოკატის განცხადებით, 2000 წლის 9 აპრილს ა. დ.-ს მიმართ გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიების ვადა იწურებოდა და თბილისის საოლქო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი, 6 აპრილს კი გაზეთ „კრიმინალში“ გამოქვეყნდა სტატია „რა მიზნით იტაცებენ მაღალჩინოსნის ძმას?“. 7 აპრილს გაზეთებში „ახალი თაობა“ („ბანკის მმართველის სანაცვლოდ ნახევარი მილიონი მოითხოვენ“) და „7 დღე“ („გამტაცებელთა ბანდა პოლიციამ ყალბი ფულით გააცურა“) გამოქვეყნდა სტატიები იმავე თემაზე. აღნიშნული პუბლიკაციები, მოსარჩლის აზრით, არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას, იყო შეურაცხმყოფელი და ბრალეულად არღვევდა ა. დ.-ს პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

მოსარჩლის აზრით, აღმკვეთი ღონისძიების წინ საინფორმაციო საშუალებების მიერ მსგავსი ინფორმაციის გაშუქება მიზანდასახული აქციაა. დამკვეთის ვინაობის გარკვევა კი მოსარჩლემ სასამართლოს მიანდო.

პარუნიანის განცხადებით, დაკავებულის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გასაჩივრების პროცესში, პროგრამა „კურიერი“ მოსარჩლე ადამიანის მომტაცებლად გამოცხადდა. ურნალისტიმა საზოგადოებას ამცნო, რომ გატაცებულში გადახდილი 100 ათასი აშშ დოლარით შეძენილია ა. დ.-ს ავტომანქანა „BMW“. ამასთანავე, სიუჟეტში დასახელებული იყო სასჯელის ის ზომა (20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), რომელიც დაკავებულს ელოდა.

გაზეთებმა „კრიმინალი“, „7 დღე“ და „ახალი თაობა“ ა. დ. ადამიანის მომტაცებლად გამოაცხადეს. „კრიმინალი“ და „7 დღე“ კი დაკავებული მრავალგზის მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევ (ადამიანის მოტაცება, ბანდიტიზმი, გამოძალვა და ყაჩაღობა) პიროვნებად შერაცხეს, რაც ადვოკატის განცხადებით, არ შეესაბამება სინამდვილეს; მისი კლიენტი მხოლოდ ერთხელ, 1986 წელს მისცეს პასუხისგებაში, ისიც მსუბუქი დანაშაულისათვის (სსკ მ' მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის) და მას შემდეგ ეწევა პატიოსან ცხოვრებას.

მოსარჩლის ადვოკატმა მიუთითა პუბლიკაციათა ავტორების სხვა ცილისმწამებლურ განცხადებებზეც: თითქოს ა. დ. სძალავდა ფულს მოვაჭრეებს, ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს; მისი და მისი ბანდის მიერ გატაცებული იყო გალელი ზუხბაია; ჯგერენაია კი ბოლო ხუთი თვის განმავლობაში მეექვსე მსხვერპლი იყო.

ადვოკატმა ურნალისტების ქმედება შეაფასა სასასამართლოზე ზემოქმედებად, რაც არღვევს მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს. ადვოკატმა მიუთითა იმაზეც, რომ საზოგადოებრივი გაკიცხვა სსკ 23-ე მუხლის თანახმად, არის სისხლის სამართლებრივი სასჯელი, იმავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, კი „სისხლის სამართლებრივი სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“.

ადვოკატის განცხადებით, მოსარჩლემ განიცადა როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი: გაუარესდა დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც ის სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა საავადმყოფოში მკურნალობდა; გაუარესდა მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც; მოსარჩლის უფროს ვაჟს, პროფესიით იურისტს, შეექმნა დასაქმების პრობლემა, ხოლო უმცროს, სტუდენტს – სწავლის; მოსარჩლეს წარმოექმნა პრობლემები მის საქმიან პარტნიორებთან და ეჭვევემ დადგა მისი ოჯახის შემოსავლების კანონიერება.

იმის გათვალისწინებით, რომ „ახალი თაობის“ ურნალისტიმა ა. დ.-ს დააბრალა

„მიზერული თანხის“ – 100 ათასი აშშ დოლარის გამოძალვა, მოსარჩლემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად იმავე ოდენობის თანხის დაკისრება ეროვნულ ვალუტაში. მოსარჩლემ ასევე მოითხოვა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების იმავე საშუალებებით საჯაროდ უარყოფა.

„რუსთავი 2“-ის წარმომადგენლის განცხადებით, ტელევიუჟეტი არ შეიცავდა ცილისმწამებლურ ინფორმაციას ა. დ.-ს შესახებ და ამდენად, ტელეკომპანიას არც შეუღალავს მისი კანონიერი უფლებები. „რუსთავი 2“-ის წარმომადგენელმა მოითხოვა მათ მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტა.

სასამართლოს სხდომაზე მოსარჩლემ უარი თქვა სარჩელზე „რუსთავი 2“-ის მიმართ.

მოპასუხე გაზეთების – „კრიმინალი“, „7 დღე“ და „ახალი თაობა“ – წარმომადგენლებმა სარჩელი ცნეს და განაცხადეს, რომ ისინი უახლოეს ხანებში გააშუქებდნენ სწორ ინფორმაციას ა. დ.-ს შესახებ.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – მ. გაბუნია) შეწყვიტა საქმის წარმოება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ.

მხარეთა მორიგების გამო, სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება მოპასუხე გაზეთების – „კრიმინალის“, „7 დღისა“ და „ახალი თაობის“ მიმართ და დაავალა მათ, უმოკლეს დროში გაეშუქებინათ სწორი ინფორმაცია მოსარჩლის შესახებ.

მოტივაცია: სსკ-ს 272-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მხარეთა განცხადების საფუძველზე ან თავისი ინიციატივით წყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩლემ უარი თქვა სარჩელზე ან მხარეები მორიგდნენ.

4 ოქტომბერი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი თენგიზ კიტოვანისა და „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 3 ივნისს „დილის გაზეთში“ გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „რომელი ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო დგას თენგიზ კიტოვანის უკან?“ ხსენებული პუბლიკაციის გამო კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით მისმა თავმჯდომარემ, ვალერი ჩხეიძემ მიმართა.

პუბლიკაციაში აღნიშნული იყო: „...ის, რომ პანკისის ხეობა ვერ კონტროლდება, ამასაც თენგიზ კიტოვანი ქართველ მესაზღვრეებს აბრალებს.

– ისინი ქრთამს იღებენ და შეიარაღებულ ჩეჩნებს საქართველოში ატარებენ. რუსებს ხელს აძლევს კიდევ, რომ შეიარაღებულმა ჩეჩნებმა საზღვარი გამოიარონ და საქართველოში ამოყონ თავი. ამით რუსეთი შანსს იტოვებს საქართველო ნაწილ-ნაწილ დაბომბოს, – აცხადებს იგი (თენგიზ კიტოვანი)“.

ვალერი ჩხეიძემ „სტატიაში მოყვანილი მოსაზრებანი“ დეპარტამენტისა და სამხედრო მოსამსახურეების სახელისა და ღირსების შემლახველად მიიჩნია და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 და მე-18 მუხლების საფუძველზე თენგიზ კიტოვანისა და „დილის გაზეთის“-გან მოითხოვა გავრცელებული სტატიის შინაარსის გაზეთის უახლოეს ნომერში უარყოფა.

24 ოქტომბერს ვალერი ჩხეიძემ სასამართლოს მიმართა და საქმის ნარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

გადანწყვეტილება: მოსამართლე ც. კვატაშიძემ შეწყვიტა საქმის ნარმოება.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტსა და 209-ე მუხლზე.

24 ოქტომბერი

ემზარ ჩაჩხიანი „პრაიმ-ნიუსის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წლის 16 აპრილს სახელმწიფო კომპანია საქენერგოს გენერალურმა დირექტორმა ემზარ ჩაჩხიანმა სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში ახალი ამბების სააგენტო „პრაიმ-ნიუსის“ წინააღმდეგ და იმ სკანდალურ განცხადებაზე მიუთითა, რომელიც 31 მარტის სააგენტოს ეკონომიკურ ბიულეტენში გამოქვეყნდა, სათაურით „საქენერგო-კონტრაქტისკანდალი-სამინისტრო“.

სადავო ინფორმაციაში აღნიშნული იყო, რომ „საქენერგოს ხელმძღვანელის ემზარ ჩაჩხიანის ადგილსამყოფელი ოთხშაბათს უცნობი იყო“.

მოსარჩელემ აბსოლუტურ სიცრუედ და მიზანდასახულ ცილისწამებად მიიჩნია სააგენტოს მიერ მისი გაუჩინარების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. ასევე ის მასალები, რომლებიც „პრაიმ-ნიუსის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით სხვა საინფორმაციო საშუალებებმა მოამზადეს და გავრცელეს. სახელდობრ:

„ახალი თაობა“ – „საქენერგოს გენერალური დირექტორის ემზარ ჩაჩხიანის

ადგილსამყოფელი, რომელიც ენერგეტიკის სფეროში არსებული სკანდალის მთავარი პერსონაჟი გახდა, მისი ხელქვეითებისათვისაც უცნობია. ჩაჩხიანის მობილური ტელეფონი ოთხშაბათს დილიდან გამორთული იყო“.

იდენტური შინაარსის სიუჟეტი გადასცა ტელეკომპანია „იბერია“.

„დილის გაზეთი“ – „ქართულ-ამერიკული ხელშეკრულების ირგვლივ ატეხილ ხმაურს საქენერგოს გენერალური დირექტორის მოადგილის (?) ე. ჩაჩხიანის გაუჩინარება მოჰყვა. თუმცა, გუშინ ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს ელიზბარ ერისთავს იგი საკუთარ კაბინეტში უნახავს... ე. ჩაჩხიანის გაუჩინარებას იმ ხელშეკრულების გამჟღავნებას აბრალებენ, რომელიც საქენერგომ შპს „ანგლო ოილ ინტერნეიშენელთან“ გააფორმა.“

ჩაჩხიანის განმარტებით, 31 მარტს, 1 და 2 აპრილს ის იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე, ჰქონდა საქმიანი შეხვედრები და არც ერთი მისი ტელეფონი გამორთული არ ყოფილა.

მოსარჩლის აზრით, სააგენტოს განზრახვა – შელახოს მისი პატივი და ღირსება – თავისთავად უკავშირდება სახელმწიფო კომპანია საქენერგოს ავტორიტეტის შელახვას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. ჩაჩხიანმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო „როიტერმა“, რომლის ტირაჟი ჩვენი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაც გადის და იღებს საერთაშორისო ხასიათს“ (ე. ჩ.). შედეგად, მოსარჩლის აზრით, საქენერგოს სამეურნეო პარტნიორები თავს შეიკავებენ მათთან საქმიანი ურთიერთობისგან, რაც დიდ მატერიალურ ზიანს მიაყენებს ორგანიზაციას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების საფუძველზე, ე. ჩაჩხიანმა მოითხოვა „პრაიმ-ნიუსის“ მიერ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებებით, რომლითაც აღნიშნული ცნობები გავრცელდა. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩლემ არაქონებრივი მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისათვის 100 ათასი ლარის დაკისრება მოითხოვა; სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად კი, მან მოპასუხე მხარის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და უმკაცრესი ზომების მიღებაც მოითხოვა.

გადანყვეტილება: მოსამართლე თ. ჯალიაშვილმა საქმე განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: მხარეთა გამოუცხადებლობის გამო სასამართლომ საქმე განუხილველი დატოვა. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ს 275-ე მუხლის „დ“ პუნქტზე, 285-ე და 286-ე მუხლებზე.

დავით გურგენიძე „ახალი თაობის“ და გულიკო ბალაძის წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წელს გაზეთ „ახალ თაობაში“ პერიოდულად ქვეყნდებოდა ინტერვიუები მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარი იყო კოლხური კოშკის გაძარცვისა და დავით გურგენიძის მიერ კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერების გაყიდვის ფაქტზე. დავით გურგენიძემ სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციისა და ჟურნალისტ გულიკო ბალაძის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, მორალური ზიანისათვის კი 6 ათასი ლარის ანაზღაურება.

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველომ დავით გურგენიძის ქმედებებში დანაშაულის არარსებობის გამო, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, დავით გურგენიძის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა: მოპასუხეებს დაევალებათ გავრცელებული ცნობების უარყოფა იმავე გაზეთის მეშვეობით, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩლემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

საოლქო სასამართლომ ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე და აღნიშნა, რომ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული სადავო მასალა არის ინტერვიუები მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან და შესაბამისად, წარმოადგენს რესპონდენტის, ამ შემთხვევაში არჩვაძე-გამსახურდიას და არა გაზეთის და ჟურნალისტის მოსაზრებას, რის გამოც არ შეიძლებოდა, გაზეთს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება.

გურგენიძემ საქმე უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რადგან, მისი აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, რ. ნადირიანი, მ. გოგიშვილი) საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

მოტივაცია: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებული, ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსთვის,

თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ დამტკიცებულად არის ცნობილი, რომ გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული იყო ინტერვიუ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან და ცნობები დავით გურგენიძის შესახებ გავრცელდა მანანა არჩვაძე გამსახურდიას მითითებით.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი სიკეთის დაცვა ხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, ხოლო პირს შეუძლია, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ხელმყოფის ბრალეული ქმედების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი წინააღმდეგობაში იყო მეორე პუნქტთან, რადგან ბრალის მიუხედავად, რედაქციას ევალება გავრცელებული ცნობების უარყოფა, მორალური ანაზღაურება კი შესაძლებელია, მხოლოდ ბრალეული ქმედების შემთხვევაში.

პალატის აზრით, საოლქო სასამართლოს განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

1 დეკემბერი

ლავრენტი ნაჭყებია კლარა აბრამიას წინააღმდეგ

საჩივარი: 1999 წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე (№1099859) კლარა აბრამიას მიმართ, საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმის აღძვრის საფუძველი გახდა 1998-1999 წლებში ჟურნალისტ კლარა აბრამიას მიერ გაზეთებში „თუთარჩელა“ და „შანსი“ გამოქვეყნებული სტატიები. სადავო პუბლიკაციები ეყრდნობოდა მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე მოკვლეულ მასალებს და შეეხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა მხრიდან სამშობლოს ღალატის, სახელმწიფო ქონების მითვისებისა და გაფლანგვის, მექრთამეობის ფაქტებს.

კლარა აბრამიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე (№7499897), სსკ-ის 137-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 138-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, 1998 წლის 26 ნოემბერს გენერალური პროკუ-

რატურის საგამოძიებო ნაწილში აღიძრა. 1999 წლის 29 ნოემბერს ორთავე საქმე გაერთიანდა (№1099859), ხოლო 2000 წლის 31 იანვრის დადგენილებით, ჟურნალისტი ბრალდებულის სახით მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, სსკ-ის 137-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, 138-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 214-ე მუხლის საფუძველზე.

კლარა აბრამიას ბრალი წაუყენეს იმის გამო, რომ გაზეთ „თუთარჩელაში“, რომლის გამომცემელი და მთავარი რედაქტორიც თავად იყო, ასევე სხვა გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუებში, ავრცელებდა არასწორ ინფორმაციებს გალის რაიონში 1998 წლის მაისში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით. წინასწარი გამოძიების მითითებით, ჟურნალისტი ადანაშაულებდა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს ლავრენტი ნაჭყებიას სამშობლოს ლალატში, აფხაზი სეპარატისტებისათვის გალის რაიონის ხელმეორედ ჩაბარებაში, კორუფციული ხასიათის მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, იგი შეურაცხყოფდა ხსენებული პირების პატივსა და ღირსებას.

კლარა აბრამიას ბრალი წარედგინა იმის გამოც, რომ მან შეიძინა და გამოიყენა წინასწარი შეცნობით ყალბი დოკუმენტი, რაც შემდეგში გამოიხატა: იგი დაბადებულია 1931 წელს, თუმცა აღირიცხა ჯერ 1932 წელს, ხოლო შემდეგ – 1938 წელს დაბადებულად; 1995 წლის 1 დეკემბერს ქ. მოსკოვში, საქართველოს საელჩოს საკონსულო სამმართველოში წარადგინა ყალბი მონაცემები, მიიღო და გამოიყენა საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი, სადაც დაბადების თარიღად მიუთითა 1945 წლის 26 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების, სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტის მონაცემებით, გალის მოვლენების შესახებ ძალოვან სამინისტროთა ინფორმაციითა და დასკვნებით, საქმეზე ცალკეულ მოწმეთა თუ დაზარალებულად ცნობილ პირთა ჩვენებებით არ დადასტურდა გალის მოვლენებთან მიმართებაში თანამდებობის პირთა თუ სხვა მოქალაქეთა მხრიდან სამშობლოს ლალატის, კორუფციული სამართალდარღვევების ფაქტები, – აღნიშნულია დადგენილებაში. დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო კი ლავრენტი ნაჭყებიასა და სხვა თანამდებობის პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა.

წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ მას ცილი არავისთვის დაუწამებია, არც შეურაცხყოფა მიუყენებია ვინმესთვის, არც ყალბი დოკუმენტები შეუძენია და გამოუყენებია; თავის პუბლიკაციებში მას პირდაპირ არც ერთი თანამდებობის პირი არ დაუსახელებია, არამედ გამოთქვა ეჭვი, ვარაუდი, ცალკეული ფაქტების ანალიზის შედეგად გააკეთა გათვლები

და როგორც ჟურნალისტიკა, მოახდინა ფაქტების ანალიზი. კლარა აბრამიამ აღნიშნა: „კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არსად არ ვამტკიცებ, რომ ნაჭყებია მოლაღატა, რომ მან გალი გაყიდა, არა მაქვს ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები... ყველა მითქმა-მოთქმა, ყველა ვერსია და ანალიზი ამბობს იმას, რომ გალი გაყიდა, გალი ჩვენ მეორედ დავეკარგეთ ჩვენივე ლაღატით და უეციობით... მთავარი, ჩემის აზრით, ჩვენი გენერლების სიბეცე და სიხარბეა. ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრება“...

ზემოხსენებული ჩვენების გასამყარებლად წინასწარმა გამოძიებამ კლარა აბრამიას ადრეულ პუბლიკაციებზე მიუთითა, სადაც აღნიშნულია:

„მოკლედ თუ კონკრეტულად რა გითხრათ, არც ერთ ჩემს სტატიამში მე არ ვამტკიცებ, ნაჭყებია თუ სხვამ (გარდა რატიშვილისა) უღალატა ქვეყანას, რომ გალის გაყიდვაში აიღეს ფული, რომ არძინბასთან შეთანხმებით მოახდინეს გალის მეორედ ჩაბარება. ყველგან, ყველაფერში ვაკეთებ მომხდარის ანალიზსა და მასზე დაყრდნობით გამომაქვს ლოგიკური დასკვნა. ვვარაუდობ ან კიდევ ვეყვები მითქმა-მოთქმას და გავრცელებულ ჭორს. მე არ გამაჩნია დოკუმენტები, რომლებიც დამამტკიცებენ ვინმეს მოლაღატეობას. ბუნებრივია, ამიტომაც არ მისაუბრია გახსნილად ამ თემაზე“...

„მე ჟურნალისტი ვარ და მაქვს უფლება, ჩემი ეჭვები, ვერსიები, გათვლები, ლოგიკური ანალიზი, გავრცელებული ჭორი თუ მითქმა-მოთქმა გაზეთში გამოვიტანო. ვიმეორებ, ნაჭყებია მოლაღატეობაზე მე არსად, არც ერთ სტატიამში მტკიცებით არ ვსაუბრობ და არც ფაქტებს ვასახელებ“ („თუთარჩელა“, 5-14 აგვისტო, 1999).

წინასწარმა გამოძიებამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტი ეყრდნობოდა ამიერკავკასიაში „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტის, აკაკი მიქაძის ინტერვიუს, რომელიც ამ უკანასკნელმა გალის მოვლენებთან დაკავშირებით გაზეთ „ასავალ-დასავალს“ მისცა.

გენერალური პროკურატურის დადგენილება: საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა, გამოძიებელმა რ. ზარანდიამ შეწყვიტა კლარა აბრამიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა და ჟურნალისტიკის წინააღმდეგ აღძრული საქმე.

მოტივაცია: კანონის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია, მონაჭორის გამავრცელებელს (მისი გავრცელების სუბიექტს) შეგნებული ჰქონდეს გავრცელებულის სინამდვილესთან შეუსაბამობა და ამისდა მიუხედავად, მაინც ჩადიოდეს აღნიშნულს. ცილისწამების, როგორც სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი დანაშაულის ჩადენა, როგორც წესი, ხდება პირდაპირი განზრახვით.

კლარა აბრამიას ქმედება არ იძლევა სისხლის სამართლის დანაშაულის შე-
მადგენლობას. პუბლიკაციების თანახმად, ჟურნალისტი ცალკეული ფაქტების
მისეული ანალიზითა და შეფასებით ავითარებს თავის მოსაზრებებს და დარწმუნ-
ებულია გადმოცემული ფაქტების სისწორეში, რითაც არ ირღვევა პრესისა და
მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მოთხოვნა.

ამასთანავე, სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით, ჟურნალისტი-
სათვის წაყენებული ბრალდებები შეურაცხყოფის ჩადენასთან დაკავშირებით,
არ არის დასჯადი ქმედება. ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულობას და
რეგულირდება მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობით, რის გამოც სისხლის-
სამართლებრივი დევნა კლარა აბრამიას მიმართ ამ ეპიზოდშიც შეწყდა.

გამოძიებამ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ყალბი პასპორტების
შექმენისა და გამოყენების ეპიზოდშიც, ხანდაზმულობის ვადის (1995 წლის დეკემ-
ბერი) გასვლის გამო. გამოძიებამ ვერ მოიპოვა იმის მტკიცებულება, რომ ყალბი
დოკუმენტის გამოყენება 1995 წლის შემდგომ მოხდა.

დადგენილება: კრწანისი-მთანმინდის რაიონულმა სასამართლომ, 2000 წლის
17 ოქტომბრის დადგენილებით, არ დააკმაყოფილა ლავრენტი ნაჭყებიას საჩი-
ვარი და უცვლელი დატოვა ზემოხსენებული დადგენილება.

რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ლავრენტი ნაჭყე-
ბიამ და მოითხოვა მისი გაუქმება, საქმის პროკურატურისათვის დაბრუნება, ნი-
ნასწარი გამოძიების განახლებისა და ჩატარების მიზნით.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-
ლატამ (მოსამართლეები – მ. ტურაევა, ნ. გვენეტაძე, შ. ასათიანი) უცვლელი და-
ტოვა რაიონული სასამართლოს დადგენილება.

მოტივაცია: პალატამ მთლიანობაში შეაფასა საქმის გარემოებები და მიაჩნია,
რომ სადავო პუბლიკაციები წარმოადგენს კლარა აბრამიას აზრის, ნაფიქრალის,
ვარაუდის და შეხედულებების ლიად და შეუზღუდავად გადმოცემას. მართალია,
პალატის აზრით, ჟურნალისტის გამონათქვამები შემანუხებელი ეფექტითა და
მძაფრი შეტევით გამოირჩევა, მაგრამ მთლიანობაში სტატიები შეფასებითი
მსჯელობის ხასიათს ატარებს და გამოხატავს აზრის თავისუფლებას, რომელიც
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენ-
ციის მე-10 მუხლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად გვევლინება.

პალატის შეფასებით, კლარა აბრამიას გამონათქვამები, რომლითაც იგი აკ-
ნინებს ლავრენტი ნაჭყებიას პიროვნებას, მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება
განვიხილოთ, როგორც მონაჭორის გავრცელება და თანაც დანაშაულის დაბრა-
ლებით. თვით ჟურნალისტის სუბიექტური განზრახვა, რასაც ის არაერთხელ მი-
უთითებს, არ იძლევა აღნიშნულის საფუძველს. კერძოდ: „მე არ მითქვამს, რომ

ვინმე მოლაღატეა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, იქამდე ბევრი რამ მაქვს დასაზუსტებელი“, „სამეგრელოში მითხრეს მამუკა ნაჭყებიაც გალის საკითხებში მხოლოდ შემსრულებელი იყო“, „ზუგდიდში დიდი ხანია მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს გალიდან მოდის უშველებელი კონტრაბანდა“, „ვეთლი, რომ ჩემი აფეთქება მამუკა ნაჭყებიას დავალებით მოხდა“, „ყველა მითქმამოთქმა, ყველა ვერსია და ანალიზი ამბობს იმას, რომ გალი გაიყიდა“.

პალატამ ზემოხსენებული გამონათქვამები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე, შეფასებით მსჯელობად და ცენზურის გარეშე საზოგადოებისათვის საკუთარი აზრის მიწოდებად შეაფასა.

ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ზოგიერთ პუბლიკაციაში ჟურნალისტი ისეთ შეფასებებს აძლევს ლ. ნაჭყებიას პიროვნებას, რომ უხეშად ამცირებს მის ადამიანურ ღირსებას და ეწინააღმდეგება საზოგადოებაში პიროვნებისადმი დამოკიდებულების არსებულ მოთხოვნებს. მაგრამ აქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც 2000 წლის 1 ივნისიდან შევიდა ძალაში, შეურაცხყოფა აღარ არის დასჯადი ქმედება.

პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის 2000 წლის 19 ივნისის დადგენილება კლარა აბრამიას მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

12 დეკემბერი

გიორგი დანელია და ვახტანგ კოპალიანი „ალიასა“ და დარეჯან სულაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: გაზეთ „ალიაში“ (2000 წლის 12-13 თებერვალი) გამოქვეყნებული ჟურნალისტ დარეჯან სულაშვილის სტატია „ფაქტები პრეზიდენტის საყურადღებოდ!“ სასამართლო დავის საგანი გახდა. გია დანელიამ და ვახტანგ კოპალიანმა აღნიშნული პუბლიკაციის გამო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართეს და ჟურნალისტსა და გაზეთს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დასდეს ბრალი.

სტატია შეეხებოდა ქ. ქუთაისის სურსათ-სანოვარის №1 ბაზასა და №10144 სამხედრო ნაწილის კმაყოფაზე მყოფი №2 ბაგა-ბაღს შორის 1996-1999 წწ-ში

სურსათით მომარაგების ფაქტებს. სტატიის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატის შემონმების შედეგად გამოვლინდა, რომ ფიქტიური დოკუმენტების შედგენის გზით, ქუთაისის სანყობიდან ზედმეტად ჩამონერილი პროდუქციის ღირებულებამ 105 906 ლარი შეადგინა.

სტატიაში აღნიშნულია ისიც, რომ „ქუთაისის სურსათ-სანოვაციის №1 ბაზის საქმიანობით ერთი წრეა დაინტერესებული, რომელშიც შემდეგი პირებია გაერთიანებული: შესყიდვების სამმართველოს ყოფილი უფროსი გია დანელია, მისი მოადგილე მერაბ კოპალიანი“.

მოსარჩლეები ამ ფაქტის სიმცდარეს იმით ადასტურებდნენ, რომ ჟურნალისტის მიერ მითითებულ პერიოდში ისინი ხსენებულ თანამდებობებზე არ მუშაობდნენ.

მოსარჩლეთა განცხადებით, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით შეილახა, მათი პიროვნებების პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩლეებმა მოითხოვეს გაზეთის უახლოეს ნომერში გავრცელებული ცნობების უარყოფა და ბოდიშის მოხდა, მორალური ზიანისათვის კი – მათ სასარგებლოდ 6000-6000 ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ი. ჩხეიძე) საქმე განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: საქმის განხილვა რამდენიმეჯერ დაინიშნა. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდნენ მხარეები, რომელთათვისაც ცნობილი იყო სხდომის გამართვის დღე. მოსამართლემ მიიჩნია, რომ მხარეები არ იყვნენ დაინტერესებული საქმის განხილვით.

25 დეკემბერი

2001
წ ე ლ ი

ქუთაისის მერიის ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტი და გია გრძელიძე შოთა ღირდალაძისა და „რეზიუმეს“ წინააღმდეგ

სარჩელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ გია გრძელიძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მუნიციპალიტეტისა და თავისი სახელით⁵ და მოპასუხეებად მიუთითა შოთა ღირდალაძე და გაზეთი „რეზიუმე“.

მოსარჩლემ სადავოდ გახადა გაზეთ „რეზიუმეში“ (2000 წლის სექტემბერი, №36) გამოქვეყნებული სტატია, სახელწოდებით „ქალაქ-მუზეუმის არაოფიციალური ბაზრობის თემა კვლავ აქტუალურია“. ხსენებულ პუბლიკაციაში მერიის ნებართვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების საქალაქო სამსახურის უფროსმა შოთა ღირდალაძემ განაცხადა, რომ წმინდა ნინოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამასამდე ობიექტიდან „დღე-ღამის განმავლობაში არაოფიციალურად იკრიბება დაახლოებით 1500 ლარი: დახლი – 2 ლარი, მანქანა – 10 ლარი; მოქალაქე – 1 ლარი. ყველა ეს თანხა მიდის ჯიბეში.“

მოსარჩლის მითითებით, ერთ-ერთ ორგანოდ, რომელიც აღნიშნულ საქმიანობას ეწევა, დასახელებულია მუნიციპალიტეტი, რაც შემდეგ ციტატებში გამოიხატა: „შემოგვესია ხალხი, პოლიცია და მუნიციპალიტეტი ვერ გავაძლეო“, „ამ ორომტრიალში „მიამიტურმა“ ჩაბმამ რამდენიმე კვანძი შეკრა. გარე ბაზრობის

⁵ სასარჩელო განცხადებაში მოსარჩლეებად მითითებულია ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტი და გია გრძელიძე.

წურბლების კვალის ერთი ნაწილი მერიაში წყდება, ერთიც სანეპიდსადგურში, ერთი – პოლიციაში, ერთი – მუნიციპალიტეტში, ერთი – საკრებულოში და რაც მთავარია, თავად მწვანე ბაზარშიც“...

სსენებული ინფორმაცია მოსარჩლემ ისეთ სიყალბედ მიიჩნია, რომელიც ჩირქს სცხებს მუნიციპალურ სამსახურს როგორც ხალხის, ისე ხელმძღვანელების თვალში. გია გრძელიძემ მოითხოვა, მოპასუხეებს დაემტკიცებინათ სტატიაში მოყვანილი ცნობების უტყუარობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოექვეყნებინათ გაერცვლებული ცნობების უარყოფა და მიყენებული მორალური ზიანისათვის („ჩვენს სასარგებლოდ“ – გ.გ.) დაკისრებოდათ ათასი ლარი.

მოპასუხე გაზეთ „რეზიუმეს“ რედაქტორმა ცოტნე გველესიანმა გია გრძელიძის მოქმედება შეურაცხმყოფელად მიიჩნია და შეგებებული სარჩელთ, გაზეთის სასარგებლოდ მისგან ათასი ლარი მოითხოვა.

მოპასუხე შოთა ღირდალაძემ მოსარჩლის მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა და მოითხოვა მისი არასათანადო მოპასუხედ ცნობა.

მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებმა გაიზიარეს სასამართლოს რჩევა საქმის მორიგებით დასრულების შესახებ.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – დ. ყორყოლიანი) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომლის მიხედვითაც, მოპასუხე შოთა ღირდალაძე თანახმა იყო, გაზეთ „რეზიუმეს“ მეშვეობით გამოექვეყნებინა გია გრძელიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა. უარყოფის გამოქვეყნებაზე თანხმობა განაცხადა გაზეთ „რეზიუმეს“ რედაქტორმა ცოტნე გველესიანმაც. უარყოფის გამოქვეყნების შემდეგ გია გრძელიძეც უარს იტყოდა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე ათასი ლარის ოდენობით.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 208-ე და 209-ე მუხლებით.

26 თებერვალი

მანანა ხომერიკი „ასავალ-დასავალის“, ელგა ფოლადიშვილისა და რევაზ კვერენჩილაძის წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 29 იანვარს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ელგა ფოლადიშვილის წერილი „დაბრეტა მიმოწერის უფლებით“. პუბლიკაცია, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებას ეძღვნებოდა, ავტორის განმარტებით, მომზადებული იყო საქართველოს სახელმწიფო არქივში მოძიებული და მკვლევარ რეზო კვერენჩილაძის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე.

აღნიშნული წერილის გამო, კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს საჩივრით მიმართა ქალბატონმა მანანა ხომერიკმა. მოსარჩლის განცხადებით, ელგა ფოლადიშვილის პუბლიკაციაში „განზრახ არის გაყალბებული დოკუმენტები და ფაქტები, გადაადგილებულია მნიშვნელოვანი მოვლენები, რითაც დარღვეულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ციტირებულია არარსებული გამონათქვამები.“

მართალია, მანანა ხომერიკი აღნიშნულ პუბლიკაციაში მოხსენიებული არ არის, მაგრამ, როგორც თავად განმარტავს, 1990 წლის ზაფხულში ის მუშაობდა სუკის და სხვა არქივებში და იქ მოპოვებული მასალის საფუძველზე გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე საგაზეთო წერილი და წიგნი „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს (საიდუმლო არქივებიდან)“. ფოლადიშვილის სტატია კი, ნათქვამია სასარჩელო განცხადებაში, ეჭვქვეშ აყენებს მოსარჩლის ნაშრომში დამონშებულ ფაქტებს ანუ მის კეთილსინდისიერებას, შეურაცხყოფს მის საქმიან რეპუტაციას და აყენებს მორალურ ზიანს.

ქალბატონი მანანა ხომერიკის განცხადებით, სასამართლოსთვის მიმართვამდე, ის დაუკავშირდა „ასავალ-დასავალის“ რედაქციას და ითხოვა, კონკრეტული შენიშვნების ნუსხასთან ერთად, გამოექვეყნებინათ მისი მცირე გამომხაურება სადავო პუბლიკაციაზე, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში რედაქციისგან პასუხი ვერ მიიღო. მოსარჩლის აზრით, გაზეთის რედაქტორმა დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის (პირადი არაქონებრივი უფლებები) მეოთხე ნაწილის მოთხოვნა: „პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს, გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ამავე საშუალებებში.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მოსარჩლემ მოითხოვა სასამართლოს მეშვეობით იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავდა მის საქმიან რეპუტაციას; სიმართლის დადგენის შემთხვევაში კი, მორალური ზიანის სახით – რედაქციისაგან ბოდიშის მოხდა.

გადაწყვეტილება: მოსამართლე თ. ჯალიაშვილმა შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: 2001 წლის 30 მარტს მანანა ხომერიკმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. მოტივად კი იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ მოპასუხე რევაზ კვერენჩხილაძემ 2001 წლის 30 მარტის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა „მცირე განმარტება“, სადაც გამოასწორა დაშვებული შეცდომა.

30 მარტი

საია გურამ მამულიას წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) სარჩელით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს გურამ მამულიას წინააღმდეგ.

საია-მ სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნია მათი ორგანიზაციის შესახებ ბატონ მამულიას მიერ 2000 წლის 14-15 ოქტომბერს გაზეთ „ალიაში“ („პრეზიდენტის გვერდით აგენტია?!“) და 20 ოქტომბერს „დილის გაზეთში“ („ვინ აპირებს დეპორტირებული მესხების „შეკაზმვას?“) გავრცელებული ცნობები. სახელდობრ, გურამ მამულია „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ საია-ს მიერ შემუშავებული კანონპროექტი დაინერა საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელიდაც სტალინისდროინდელი თანამდებობის პირის დავალებით, ის „შეუგდეს“ ასოციაციას და ხსენებული ვარიანტის საფუძველზე კანონპროექტის შექმნის შემთხვევაში, ერთის ნაცვლად 25 გრანტს დაჰპირდნენ; ხოლო „დილის გაზეთის“ ფურცლებზე რესპონდენტმა განაცხადა, რომ საია-მ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაკვეთით დაამუშავა პროექტი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაინუნეს, „ისინი ნადირობდნენ იმ თანხებზე, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ რეპატრირებულთა დასაფინანსებლად“...

საია-ს წარმომადგენლის განცხადებით, 1998 წელს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან თანამშრომლობით, ასოციაცია ახორციელებდა პროექტს, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების, სამთავრობო უწყებების წარმომადგენელთა და სპეციალისტთა მონაწილეობით. სწორედ ხსენებულმა ჯგუფმა მოამზადა დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის კონცეფცია და სადავო კანონპროექტი.

გურამ მამულიას მიერ გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები ასოციაციამ მათი ორგანიზაციის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად შეაფასა და საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და 45-ე მუხლების, ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, მოპასუხისაგან მათი იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა მოითხოვა.

გურამ მამულიამ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ გაზეთ „ალიას“ მისთვის ინტერვიუს თხოვნით არ მიუმართავს, ხოლო „დილის გაზეთში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს ტექსტი არეული იყო და ჟურნალისტს გამოსაქვეყნებლად ტექსტზე ვიზის მისაღებად მისთვის არ მიუმართავს. თუმცა სასამართლოს მთავარ სხდომაზე ბატონმა მამულიამ განაცხადა, რომ ძირითადად ეთანხმებოდა სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებათა შინაარსს.

საქმეში მესამე მხარედ ჩართულმა გაზეთ „ალიას“ წარმომადგენელმა ნამოჭრა საკითხი, თუ ვის უნდა დაკისრებოდა ხარჯები უარყოფის გამოქვეყნების შემთხვევაში.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ც. კვატაშიძე) დააკმაყოფილა სარჩელი.

სასამართლომ დაავალა გურამ მამულიას მის მიერ გავრცელებული შემდეგი ცნობების უარყოფა გაზეთ „ალიას“ საშუალებით: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტი დაიწერა საგარეო საქმეთა სამინისტროში“; „იქ ერთი სტალინისდროინდელი მაღალი თანამდებობის პირი მუშაობს. მისი დავალებით დამუშავდა, შემოუგდეს ამ ახალგაზრდებს და უთხრეს, ამის მიხედვით გააკეთეთ კანონი და ერთის ნაცვლად 25 გრანტს მიიღებთ“; „მათი კანონები საბოლოოდ გაერომ და ყველამ დაიწუნა“.

მოპასუხეს ასევე დაევალა მის მიერ გავრცელებული შემდეგი ცნობების უარყოფა „დილის გაზეთის“ საშუალებით: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაკვეთით დაამუშავა პროექტი“; „ეს პროექტი დაწუნებული იყო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ“; „სამაგიეროდ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიიღო დავალება, თუ პროექტის დამტკიცებას მიაღწევდნენ, დაუბრკოლებლად მოიგებდნენ რამოდენიმე გრანტს.“

10 დღის ვადაში გადანყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლომ ნება დართო მოსარჩლეს, შეესრულებინა იგივე ქმედება მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით.

სასამართლომ დაავალა „ალიას“ უარმყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნება გაზეთის მე-13 გვერდზე (შრიფტით „ჩვეულებრივი“, ზომა-8); ხოლო „დილის გაზეთს – მეოთხე გვერდზე (შრიფტით „ჩვეულებრივი“, ზომა-8).

სახელმწიფო ბაჟის გარდა, სასამართლომ მოპასუხეს უარმყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნების ხარჯების გადახდაც დააკისრა.

მოტივაცია: სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ დაადასტურა, რომ სასარჩელო განცხადებაში მითითებული ამონარიდები მას ეკუთვნის. ვინაიდან მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში მოპასუხეზე მოდის, ხოლო ბატონმა მამულიამ ვერ წარუდგინა სასამართლოს რაიმე მტკიცებულება, რომელიც სადავო განონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობას დაადასტურებდა, სასამართლომ გავრცელებული ცნობები მიიჩნია დაუსაბუთებელ ინფორმაციად, რომელიც ლახავს მოსარჩლის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება.

6 აპრილი

მახმუდ მამულაძე „აჭარა P.S.“-ისა და ნატო მახარაძის წინააღმდეგ

სარჩელი: მახმუდ მამულაძემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაზეთ „აჭარა P.S.“-ისა და ნატო მახარაძის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძვლად მან მიუთითა „აჭარა P.S.“-ში გამოქვეყნებული სტატია „დავა მალაზიის გამო სოფელ კალოთაში. ნათესავები ერთმანეთს დაერივნენ“.

მოსარჩლის მითითებით, სტატიაში ყოველგვარი ცვლილების გარეშე იყო გამოყენებული მათი თანასოფლელის, ეთერ მამულაძის წერილი, რომლის თანახმად, საბჭოთა ხელისუფლების დროს მის ოჯახს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ჩამოართვეს მიწის ნაკვეთი, სადაც აშენდა სოფლის მალაზია. საგაზეთო პუბლიკაციაში ეთერ მამულაძე აცხადებდა, რომ მას, როგორც მატერიალურად გაჭირვებულს, სურდა, სარგებლობაში მიეღო ამჟამად უმოქმედო მალაზია, მაგრამ ამაში ხელს უშლიდა მოსარჩლე, მისი და მისი შვილების თანამდებობრივი მდგომარეობის წყალობით. ასევე აღნიშნული იყო, თითქოს მოსარჩლე ეთერ მამულაძეს სიკვდილით ემუქრებოდა. სტატია მთავრდებოდა სარედაქციო კომენტარით: ჩატარდება ამ უპატრონო მალაზიის აუქციონი და ვნახოთ, ვინ გამოვა

გამარჯვებული, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ე. მამულაძე თუ სოფლის „მმართველი“ მახმუდ მამულაძეო.

ხსენებული სტატიის შედეგად, მოსარჩლის განცხადებით, შეილახა მისი პატივი და ღირსება, შეურაცხყოფა მიადგა მის პიროვნებას. სახელდობრ:

მახმუდ მამულაძის აზრით, არის მცდელობა, წარმოაჩინონ ის, სოციალურად გაჭირვებულთა მჩაგვრელად, რომელიც უკანონოდ არის დაპატრონებული მაღაზიას და სარგებლობს სოფლის გამგებლისა და მეტყვეის თანამდებობით. მახმუდ მამულაძის შეფასებით, სტატია ქმნის წარმოდგენას და შინაგან მოთხოვნილებას, რომ აუცილებელია და საჭიროა სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფის გამარჯვება და სოფლის „მმართველის“ დასჯა.

მოსარჩლის აზრით, სტატიის ავტორმა და რედაქციამ ცალმხრივად გააშუქეს მოვლენა და არ გადაამოწმეს მასში მოხმობილი ფაქტების უტყუარობა. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობის დასტურად მან მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სადავო მაღაზია რაიკოოპერატივის მეპატრონეთა საკუთრებას წარმოადგენდა და ის მას ვერ დაეუფლებოდა. მოსარჩლემ მოპასუხის სოციალური გაჭირვებაც სათუოდ მიაჩნია (მოპასუხის სამ ვაჟს სათითაოდ 7000-7000 კვმ ფართის მიწა აქვს გამოყოფილი და მაღაზიის კომპენსაციაც აქვს ანაზღაურებული – მ.მ.).

მოსარჩლის მითითებით, სადავო პუბლიკაციის შედეგად მას გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეიცვალა მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ თანასოფლელების დამოკიდებულება. ყოველივე ამის გამო მან მოითხოვა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ გავრცელებული ცნობების უარმყოფელი სტატიის გამოქვეყნება, გაზეთის მეშვეობით ბოდიშის მოხდა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

გადანყვეტილება: ბათუმის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – დ. ლეონიძე) პროცესზე მხარეების გამოუცხადებლობის გამო საქმე განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 პუნქტით და 275-ე მუხლის „გ“ პუნქტით.

14 აპრილი

კახა ცაბაძე ნუნუ გაბუნიას წინააღმდეგ

სარჩელი: კახა ცაბაძემ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს ნუნუ გაბუნიას წინააღმდეგ.

მოსარჩლის განცხადებით, 2000 წელს გაზეთებში „მუსიკა“ („...სიმართლის თქმა ინტრიგანობა ჰგონიათ“) და „7 დღე“ („დიდი ფული კომპოზიტორთა კავშირშიც კეთდება“) გამოქვეყნდა ინტერვიუ ნუნუ გაბუნიასთან, რომელშიც რესპონდენტმა გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები. სახელდობრ:

„მუსიკა“: „მუსიკონდის ხელმძღვანელობაში მოვიდნენ თუ არა გიგა თაგაური და კახა ცაბაძე, ნულზე დაგვსვეს, კომპოზიტორებისათვის არაფერი კეთდება“.

„7 დღე“: „თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ორწელიწადნახევრის მანძილზე, რაც ამ პიროვნებებს მართვის სადავეები უპყრიათ ხელთ, კავშირის სასიკეთოდ ერთი საქმეც კი არ გაუკეთებიათ... სწორედ მათ (კახა ცაბაძემ და გიგა თაგაურმა – კ. ც.) გაანიავეს კავშირის მთელი საკუთრება“.

ნუნუ გაბუნიას ბრალდების საპასუხოდ – თითქოს გიგა თაგაური მუსიკონდის დირექტორად კახა ცაბაძემ მოიყვანა – მოსარჩლემ სასამართლოს წარუდგინა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის 1998 წლის გამგეობისა და სამდივნოს სხდომათა ოქმები, რომელთა თანახმად, გიგა თაგაურის დანიშვნა სამდივნოსა და გამგეობის გადანაცვეტილებებით მოხდა.

მანქანის ერთპიროვნულად გაყიდვის ბრალდების საპირისპიროდ, მოსარჩლემ კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს სხდომის ოქმი და კომპოზიტორთა კავშირისა და კახეთის ალორძინების ფონდს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგინა.

ამასთანავე, კახა ცაბაძემ უსაფუძვლოდ მიიჩნია ზემოხსენებული გაზეთების მეშვეობით მოპასუხის მიერ გავრცელებული სხვა გამონათქვამებიც:

„7 დღე“: „ამ აქტმა (კონტროლის პალატის აქტი – კ. ც.) იმდენად გააღიზიანა ცაბაძე-თაგაური, რომ მიცვიდნენ კონტროლის პალატაში და დებოში ატეხეს“.

„7 დღის“ ჟურნალისტის შეკითხვაზე – „მინც როგორ გაიყიდა კომბინატი?“ – ნუნუ გაბუნია პასუხობს – „შანტაჟით“.

„კახა ცაბაძემ ვაჟა აზარაშვილი ჩემს მიმართ მტრულად განაწყობა. დაარწმუნა, რომ თავმჯდომარის სკამი მინდა.“

„სწორედ მათ გაანიავეს კავშირის მთელი საკუთრება“;

„ბევრჯერ ვთხოვე ვაჟას დროულად აელაგმა კახა ცაბაძის თვითნებობა, მაგრამ ამაოდ... ჩვენმა მუსიკოსებმა ვერც კი წარმოიდგინეს, რომ გოგი ცაბაძის შვილი რამე ცუდს გაუკეთებდა კავშირს... ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ

გიორგი ცაბაძის შვილი დღეს ასეთ ფრაზას ხშირად იმეორებს: „მე ისეთი კაცის შვილი ვარ, ყველაფერი მეპატიება“.

„მუსიკა“: „7-8 წელიწადია კაპიკი არ მიგვიღია ბორჯომის სახლის დამქირავებლისაგან, ანუ გოგოლაძისაგან. როგორც ის ამბობს, მოგება არა აქვს. ეს იწვევს ეჭვს, რომ მოხდა პირადი გარიგება გოგოლაძესა და კავშირის ხელმძღვანელ პირებს შორის“;

„ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაგვიკარგავს (თუნდაც ბორჯომის სახლი, რომელსაც ასევე ემუქრება გაყიდვა) და დროა გამოვფხიზლდეთ“;

„ამ შემთხვევაშიც თავმჯდომარე კახა ცაბაძესა და გიგა თაგაურს მიენდო. საქმემ კი წინ არ წაიწია. მოკლედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კვლავ კერძო გარიგების ეჭვს იწვევს“.

სასარჩელო განცხადებაში მოსარჩლე უთითებს, რომ დავა ბორჯომის კომპოზიტორთა სახლის დაბრუნების თაობაზე მათი გამარჯვებით დასრულდა.

პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების გამო, კახა ცაბაძემ მოპასუხისაგან მოითხოვა: ბრალდებების უარყოფის მიზნით საჯაროდ ბოდიშის მოხდა; მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი – 50 ათასი ლარის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისი განცხადებები ეფუძნებოდა საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნას.

2001 წლის 28 თებერვალს ნუნუ გაბუნიამ შესაგებელი სარჩელით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ მოპასუხემ მასთან პრესის ფურცლებზე გამართა პოლემიკა, რომლის დროსაც გამოიყენა არაერთი შეურაცხმყოფელი გამონათქვამი, რითაც განმცხადებელს გარკვეული მორალური ზიანი მიადგა. მოსარჩლემ მიუთითა გაზეთებში „ახალი ეპოქა“, „კვირის პალიტრა“ გამოქვეყნებულ სტატიაზე, რომელიც კახა ცაბაძის ინფორმაციებს ეფუძნებოდა. ქალბატონმა ნუნუმ სიცრუედ მიიჩნია მოპასუხისა და ჟურნალისტის პოზიცია, ხოლო შეურაცხმყოფელად ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მცირემეტრობა“, „წინუკანობა“, „ზედაქვედობა“, „ძირგამომთხრელი საქმიანობა“. მოსარჩლემ ასევე მიუთითა კონტროლის პალატის აქტებზე, კომბინატ „ჩანგის“ გაყიდვისა და სხვა დარღვევებზე.

ნუნუ გაბუნიამ მოითხოვა კახა ცაბაძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა; მოსარჩლის პატივის, ავტორიტეტისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი, უსაფუძვლო ბრალდებებისა და ცილისწამებისათვის მისგან ბოდიშის მოხდა, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი – 50 ათასი ლარის გადახდა.

გადანწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ა. კახნიაური) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომლის თანახმად, ნუნუ გაბუნიამ იკისრა ვალდებულება, გაზეთების – „მუსიკა“, „7 დღე“, „ახალი თაობა“, „ალია“, „დილის გაზე-

თი" – მეშვეობით გამოექვეყნებინა ცნობების უარყოფა და მოეხადა ბოდიში, შემდეგი სახით: „მე, ნუნუ გაბუნია, ვაცხადებ, რომ უარყოფ ჩემს მიერ კახა ცაბაძის შესახებ გავრცელებულ ცნობებს და საჯაროდ ვიხდი ბოდიშს.“

სასამართლომ დაავალა ზემოთ მითითებული გაზეთების რედაქციებს ნუნუ გაბუნიას განცხადების ერთი თვის ვადაში გამოქვეყნება.

17 მაისი

გ. ხ. „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 29 იანვარს გ. ხ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის სა-ოლქო სასამართლოს და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ისგან მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

სარჩელის საფუძველად გ. ხ.-მ მიუთითა 2000 წლის 22 ოქტომბერს ხსენებული ტელეკომპანიის პროგრამა „60 წუთით“ გადაცემული სიუჟეტი: „ორი ათას მანეთად ნაყიდ ბავშვს აუპატიურებს ლოთი, ნარკომანი დედა“.

მოსარჩლის განმარტებით, სიუჟეტში საუბარი იყო მასსა და მის მცირეწლოვან შვილზე, რომელიც მან კანონით დადგენილი წესით იშვილა. გ. ხ.-ს განცხადებით, გადაცემაში მას ცილი დასწამეს ნარკომანიასა და გარყვნილ, ალვირახსნილ ცხოვრებაში, ასევე საკუთარი შვილის მიმართ სექსუალურ ძალადობაში.

მოსარჩლის განცხადებით, გადაცემაში მითითებული ფაქტები სიცრუე და აშკარა ცილისწამებაა. სიუჟეტი მომზადებული იყო გადაუმონებელი ფაქტების საფუძველზე, ატარებდა ტენდენციურ ხასიათს, რითაც მოპასუხემ დაარღვია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესახებ კანონი და შელახა მისი, როგორც დედისა და აღმზრდელის პატივი და ღირსება, მიიღო ძლიერი სულიერი ტრავმა და მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციისათვის მოითხოვა მოპასუხი-სათვის მილიონი ლარის დაკისრება.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამე-ნარმეო საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლეები – მ. ლიბრაძე, მ. ჯიყაშვილი, დ. თოდრაძე) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, შემდეგი პირობებით:

„მოპასუხე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ „60 წუთში“ გავრცელებული ინფორმაცია მიმართული იყო მხოლოდ ბავ-

შვის კეთილდღეობისა და ინტერესების დაცვისაკენ, ასევე იმ ფაქტს, რომ სასამართლომ განხილვის დროს დაადგინა, რომ ანაზღაურებული თანხის ნაწილი მიმართული იქნება ბავშვის საკეთილდღეოდ, ვალდებულებას კისრულობს გადაუხადოს გ. ხ.-ს 8 ათასი ლარი.

მოსარჩლე გ.ხ., მოპასუხის პოზიციის გათვალისწინებით, თანახმაა „რუსთავი 2“-ის შეთავაზებულ პირობებზე და უარს აცხადებს მოპასუხის მიმართ სხვა პროტენზიებზე.“

მოტივაცია: სსკ-ს მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, ხოლო ამავ ე კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას მხარეთა შორის მორიგების შემთხვევაში.

17 ივლისი

ვლადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ

სარჩელი: ვლადიმერ კერესელიძემ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ და მიზეზად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „60 წუთის“ ეთერში გასული ჟურნალისტური გამოძიება დაასახელა.

გადაცემაში, რომელიც საქართველოში „აკმ 7.62“ ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებას ეხებოდა, ყოფილმა პარლამენტარმა, ნოდარ ჯაიანმა მრენველობის მინისტრის ყოფილი მოადგილის შესახებ განაცხადა:

„ის, რაც მიუტანეს ბ-ნ შევარდნაძეს, როგორც გაკეთებული ნიმუში, ეს პრაქტიკულად იყო სხვა დეტალებიდან აკრეფილი; ეს გააკეთა ვოვა კერესელიძემ, აუტანა და დაუდო პრეზიდენტს იარაღი, რომელიც პრაქტიკულად აუთვისებელი იყო და თუ ათვისებული იყო, ახლა რატომ არ ვაკეთებთ?“

მოსარჩლემ ეს სიტყვები მიიჩნია მის დადანაშაულებად არა მხოლოდ პრეზიდენტის მოტყუებაში, არამედ სახელმწიფო ინტერესების უგულვებელყოფაში. კერესელიძის განცხადებით, სინამდვილეში მან პრეზიდენტს ავტომატური იარაღის სანიმუშო ეგზემპლარის ჩვენებისას მოახსენა, რომ ლულის გარდა ყველა დეტალი საქართველოში იყო დამზადებული.

მოსარჩლემ მოითხოვა მოპასუხის მიერ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიან რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და ამ უკანასკნელისთვის 2 ათასი ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

ნოდარ ჯაიანმა სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ მას არ შეულახავს კერესელიძის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, 2000 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დააკმაყოფილა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ მოპასუხეს არ გაუვრცელებია ისეთი ცნობები, რომლებიც შეიცავდნენ მტკიცებებს მოსარჩლის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვლადიმერ კერესელიძემ, რომელმაც ის იურიდიულად დაუსაბუთებლად მიიჩნია. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მიუთითა მოპასუხის კიდევ ერთ გამონათქვამზე:

„ეს კაცი (ვ. კერესელიძე) სულ სხვა საქმეზეა გამიზნული და მას არ უნდა, რომ საქართველოში დაენერგოთ იარაღი და ტყვია-წამალი და ცოტა რალაცნაირად ფეხზე წამოედგეთ ამ საკითხებში იმიტომ, რომ მისი პირადი ინტერესები არ არის ჩადებული ამში“.

აპელანტის განცხადებით, ნოდარ ჯაიანმა ის წარმოაჩინა პიროვნებად, რომელიც პირად ინტერესებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებს, რითაც შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

2001 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით, თბილისის საოლქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კერესელიძის საჩივარი. ნოდარ ჯაიანს დაევალა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეშვეობით, ვლადიმერ კერესელიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა. სასამართლომ მიუთითა, რომ მსგავსი განცხადებები შეურაცხმყოფელია ნებისმიერი ადამიანისათვის, *„თუ მას სოლიდური თანამდებობა უკავია და გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.“* მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კი საოლქომ არ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნამდვილად აინყო, მაგრამ მისი სერიული ნარმოება არ მოხდა არა ვლადიმერ კერესელიძის მიზეზით, არამედ ობიექტური მიზეზების გამო.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნოდარ ჯაიანის ინტერესების დამცველმა ლ. ალაფიშვილმა, რომლის აზრით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გეოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) დააკმაყოფილა ნოდარ ჯაიანის საკასაციო საჩივარი და გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოტივაცია: უზენაესმა ინსტანციამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის დასაბუთებული, ხოლო 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი:

იმ პერიოდში, რომელსაც ტელევიზიუფეთი შეეხებოდა, ნოდარ ჯაიანი იყო პოლიტიკური თანამდებობის პირი – მუშაობდა პარლამენტის სამხედრო მრეწველობის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ, ვლადიმერ კერესელიძე კი გახლდათ საჯარო მოსამსახურე – მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე. ამ ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა მე-18 მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი – საქმიანი რეპუტაცია. საკასაციო პალატის განმარტებით, „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი (კომერციული) ოპერაციების, ან მისი პროფესიული თვისებების დისკრედიტაციისათვის.“

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით განმტკიცებული საქმიანი რეპუტაციის გაგება არ უნდა გავრცელდეს როგორც სახელმწიფო პოლიტიკურ, ასევე საჯარო სამსახურის თანამდებობის პირზე. ამ პირების სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს დიფამაციას, მაგრამ არა საქმიანი რეპუტაციის შელახვას. ამდენად, უზენაესი სასამართლოს შეფასებით, ნოდარ ჯაიანის განცხადებით – რომ მრეწველობის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ არასწორი ინფორმაცია მიანოდა პრეზიდენტს საქართველოში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების შესახებ – არ შელახულა საჯარო მოხელის საქმიანი რეპუტაცია.

პალატამ არც ვლადიმერ კერესელიძის მიმართ დიფამაციური ცნობების გამოქვეყნების შესახებ მოსაზრება გაიზიარა, რადგან დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოში იმ მომენტისთვის არ ხდებოდა ავტომატური ცეცხლ-

სასროლი იარაღის სერიული დამზადება, რასაც ადასტურებს მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობა იარაღის „აუთვისებლობის“ და მისი სერიული ნარმოების არარსებობის შესახებ და ასევე პრეზიდენტისთვის საჩვენებელი ეგზემპლარის მიტანის ფაქტი. სასამართლოს აზრით, მოსარჩლე დიფამაციად მიიჩნევს არა ფაქტს, არამედ ამ ფაქტის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას, რაც პალატის შეფასებით, არ შეიძლება ჩაითვალოს კერესელიძის პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად შემდეგ გარემოებათა გამო:

გადაცემა „60 ნუთის“ მეშვეობით აღნიშნულ საკითხზე გამართულ პოლემიკაში კერესელიძეს ჰქონდა საშუალება (და გამოიყენა კიდეც), პასუხი გაეცა ნ. ჯიანის განცხადებებსა და შეფასებებზე; მეორეც, გადაცემა ეხებოდა ქვეყნის ეკონომიკურ საკითხებს, რაც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს და ასეთ დროს, პოლიტიკური და საჯარო სამსახურის მოხელეთა მიერ ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები, ე.ი. „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ შეიძლება გაცილებით ფართო იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართ. პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლებით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაზე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე „კასტელის ესპანეთის წინააღმდეგ“. „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამ შემთხვევაში რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესთან – თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია პოლიტიკურ საკითხებზე“, – ნათქვამია სამოტივაციო ნაწილში.

18 ივლისი

კორნელი სალია და ირაკლი კობაძე გურამ არაბულისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: კორნელი სალიამ და ირაკლი კობაძემ სარჩელით მიმართეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და სასარჩელო განცხადებაში სადავოდ გახადეს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით 2000 წლის 24 ოქტომბერს გადაცემული ცნობები.

საქმე ეხება საინფორმაციო პროგრამა „კურიერი 9 საათზე“ ეთერით გასულ გურამ არაბულის ინტერვიუს, სადაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ სასაზღვრო ჯარების სამხედრო მოსამსახურეებს – კორნელი სალიასა და ირაკლი კოპაძეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადმოჰყავდათ ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეები, რისთვისაც გარკვეულ საფასურს იღებდნენ.

მოსარჩლეთა ცნობით, მათ მიმართეს სამხედრო პროკურატურას, სადაც მოკვლევის პროცესში გურამ არაბულმა აღნიშნა, რომ მის სატელევიზიო განცხადებას საფუძვლად ედო სოფლის მოსახლეობაში მოარული ჭორები, რომელთა წარმომავლობა მისთვის უცნობი იყო. მოსარჩლეთა განმარტებით, ფაქტის უტყუარობის დასადასტურებლად არაბულმა ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, ამასთან განაცხადა, რომ არ იცოდა, მისი განცხადება ვიდეო ფირზე თუ ინერგობდა და ის ტელევიზიით გადაიცემოდა.

მოსარჩლეთა განცხადებით, გურამ არაბულის მიერ გავრცელებული ცნობებით შეილახა მათი პატივი, ღირსება და მათი, როგორც სამხედრო მოსამსახურეების რეპუტაცია. მოსარჩლეებმა მოითხოვეს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამხედრო პროკურატურიდან მოკვლევის მასალების გამოთხოვა; ასევე მოპასუხეების მიერ მათ შესახებ გავრცელებული უსაფუძვლო ბრალდებების უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებით.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოპასუხეები, რომელთაც ეცნობათ სხდომის შესახებ კანონით დადგენილი წესით. მოსარჩლეებმა იშუამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

გადაწყვეტილება: მოსამართლე მ. ნიკლაურმა დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეებს გავრცელებული ცნობების უარყოფა დაავალა.

მოტივაცია: სასამართლომ მოსარჩლეთა მოთხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე მიიჩნია საფუძვლიანად, რადგანაც სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულადაც ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, არაბულის ინტერვიუს შინაარსი არ დადასტურდა მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ მოკვლეული მასალებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 230-ე, 234-ე და 237-ე მუხლებით.

18 ივლისი

P.S. 2001 წლის 6 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით „რუსთავი 2“-ის წარმომადგენელმა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიმართა. სასამართლომ დაუშვებლად ცნო ტელეკომპანიის საჩივარი, რადგან მხარემ გაუშვა კანონით დადგენილი გასაჩივრების 10 დღიანი ვადა.

ცოტნე გველესიანი დავით ლიკლიკაძისა და „რიონის“ წინააღმდეგ

სარჩელი: შპს „შუამავალის“ დირექტორმა ცოტნე გველესიანმა დავით ლიკლიკაძისა და ტელეკომპანია „რიონის“ წინააღმდეგ სარჩელის საფუძველად 2001 წლის 20 აპრილს ტელეკომპანიის ეთერში გასული „ახალი ამბების“ გამოშვება დაასახელა.

მოსარჩლის ცნობით, გადაცემის ნამყვანმა დავით ლიკლიკაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გაზეთ „რეზიუმეს“ უკან ულიცენზიო კერძო სკოლა დგას. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის ავტორს არ დაუსახელებია კონკრეტული სასწავლებელი, ცოტნე გველესიანის აზრით, ყველა, ვისაც კი შეხება აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის კერძო სკოლასთან ან ვინც მომავალში აპირებს მასთან ურთიერთობას, ადვილად მიხვდებოდა, თუ რომელ სკოლას გულისხმობდა ტელენამყვანი. მოსარჩლის ცნობით, ორთავე – სკოლაც და გაზეთი „რეზიუმეც“ ერთი იურიდიული პირის მიერ არის დაფუძნებული და გაზეთის მთავარი რედაქტორიცა და სკოლის დირექტორიც ერთი და იგივე პიროვნებაა, რასაც სკოლაში დირექტორის კაბინეტზე გამოკრული ფირნიშიც მონშობს.

ცოტნე გველესიანის აზრით, ხსენებული ინფორმაციის გავრცელებამ გამოიწვია სკოლის მოსწავლეთა მშობლების შეშფოთება, მათ სკოლის ხელმძღვანელობისგან მოითხოვეს ახსნა-განმარტების მიცემა. ეჭვები გაუჩნდათ სკოლის პოტენციურ კლიენტებსაც. არასწორი ინფორმაციის გავრცელებით მნიშვნელოვნად შეილახა სკოლის საქმიანი რეპუტაცია.

მოსარჩლემ მოითხოვა, ტელეკომპანია „რიონის“ მეშვეობით მოპასუხეს მოეხდინა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა იმის შესახებ, რომ სკოლა, რომელიც გაზეთ „რეზიუმეს“ უკან დგას და რომელშიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის კერძო სკოლა მოიაზრება, არის ულიცენზიო. სკოლის საქმიანი რეპუტაციის აღდგენის მიზნით, ცოტნე გველესიანმა მოითხოვა „რიონის“ ეთერში ერთი კვირის განმავლობაში სკოლის რეკლამების გაშვება, მოსარჩლის მიერ შერჩეულ დროს, მის მიერვე შეთავაზებული სიუჟეტითა და ტექსტით. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 2 ათასი ლარის მოთხოვნაზე კი მოსარჩლემ უარი განაცხადა.

დავით ლიკლიკაძემ სარჩელი უსაფუძვლოდ ცნო და განმარტა, რომ მას არ გაუვრცელებია მოსარჩლის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, სადავო ინფორმაცია კი პროფესიული საქმიანობის შედეგად მოიპოვა. მისი განცხადებით, სკოლის ლიცენზია არასრულყოფილი იყო და ამიტომაც გაავრცელა შესაბამისი ცნობები.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – დ.

ჟორჯოლიანი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი: ტელეკომპანია „რიონ“ და ჟურნალისტ დავით ლიკლიკაძეს დაევალით 2001 წლის 20 აპრილს „ახალი ამბების“ გამოშვებაში გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა; ამასთანავე, ერთი კვირის განმავლობაში, მოსარჩლის მიერ შერჩეულ დროს, მის მიერვე შეთავაზებული სიუჟეტითა და ტექსტით სკოლის რეკლამების ეთერში გაშვება.

მორალური ზიანის კომპენსაციის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

მოტივაცია: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ დავით ლიკლიკაძემ „რიონის“ ეთერით გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთ „რეზიუმეს“ უკან ულიცენზიო სკოლა დგას. მართალია, ავტორს არ დაუსახელებია კონკრეტული სკოლა, მაგრამ სასამართლოს უდავოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ გაზეთ „რეზიუმეს“ უკან ივ. ჯავახიშვილის სახელობის კერძო სკოლა მოიაზრება. მხარემ წარმოადგინა სასამართლოს დადგენილება, რომელიც ადასტურებს, რომ შპს „შუამავლის“ დირექტორი, სკოლის დირექტორი და გაზეთ „რეზიუმეს“ მთავარი რედაქტორი ერთი და იგივე პიროვნება – ცოტნე გველესიანია.

სასამართლოს აზრით, ისეთი სახის ინფორმაციის გავრცელებამ, როგორცაა კერძო სკოლის ულიცენზიოდ მოხსენიება, გამოიწვია მხარის საქმიანი რეპუტაციის შელახვა, დისკრედიტაცია გაუწია სასწავლებელს საზოგადოების თვალში, დაამდაბლა სკოლისა და იქ მოღვაწე პერსონალის ავტორიტეტი. კერძო სასწავლებლისათვის ლიცენზიის არქონა ნიშნავს იმას, რომ მას ფუნქციონირების უფლება არა აქვს. მსგავსი შინაარსის ინფორმაციის გავრცელებით კი სკოლამ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი, რაც საზოგადოების მხრიდან სკოლის მიმართ უნდობლობაში გამოიხატა. საქმეში არსებული ოქმებით დგინდება, რომ ტელეკომპანია „რიონის“ არხით გავრცელებულმა ინფორმაციამ შეაშფოთა სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები. მათ გაუჩნდათ უნდობლობის გრძნობა და ეჭვები სკოლის ხელმძღვანელობისადმი.

სასამართლოს აზრით, ჟურნალისტის მიერ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას ადასტურებს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზია, რომლითაც დადგენილია, რომ შპს „შუამავლის“ დირექტორს ცოტნე გველესიანს უფლება აქვს, აწარმოოს საშუალო ზოგადი განათლების პროგრამა კერძო მეორე და მესამე საფეხურის საშუალო სკოლის სტატუსით, დასწრებული ფორმით. ამდენად, სასამართლომ სადავოდ არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება.

სკოლის საქმიანი რეპუტაციის შელახვის დასტურად სასამართლომ ის გარემოება მიიჩნია, რომ ინფორმაცია გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, ტელეკომპანია „რიონის“ მაუწყებლობა კი ვრცელდება თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში.

მეკლუდ ეგრისაშვილი მაყვალა ბერიანიძის წინააღმდეგ

სარჩელი: 1997 წლის 25 აგვისტოს მეკლუდ ეგრისაშვილმა ვაკის რაიონულ სასამართლოს უურნალისტ მაყვალა ბერიანიძის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა. დავის საფუძველი გახდა გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ „ვაპირებ სიგარეტის, სპილენძის, ტყავის ბიზნესის ალორძინებას“ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილესთან ა. იოსელიანთან.

მოსარჩლის განცხადებით, ინტერვიუს ერთ-ერთ ნაწილში მაყვალა ბერიანიძემ ხელყო მისი ინტერესები, როცა განაცხადა, რომ „ნემსის ქურდი აკაკი ჯავახიშვილი „ზის“, „აქლემის ქურდი“ – ეგრისაშვილი ინტერვიუს იძლევა“.

მოსარჩლემ მიუთითა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ბერიანიძის მეორე სტატიაზეც, სათაურით „მაყვალა ბერიანიძე მხოლოდ მაყვალა ბერიანიძის უკან შეიძლება იდგეს“. მეკლუდ ეგრისაშვილმა მისი ღირსების შემლახველად მიიჩნია სტატიაში მოყვანილი შემდეგი გამონათქვამები:

„ეგრისაშვილმა თვითონაც რომ იცოდეს, ვისი ჯიშისაა, კარგი იქნებოდა და მეც ამოვისუნთქავედი, ხოლო აზერბაიჯანი და სომხეთი შერიგდებოდნენ“; „ამაში, საბედნიეროდ, საქართველოს მძარცველის ეგრისაშვილის დასტური არ მჭირდება“.

მოსარჩლემ მოითხოვა მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და ბოდიშის მოხდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ მეკლუდ ეგრისაშვილმა წინასწარი განზრახვით, საზოგადოებაში მისი დისკრედიტაციის მიზნით, ცილი დასწამა მას, შელახა მისი პატივი და ღირსება, ჩაერია მის პირად ცხოვრებაში, დევნის მას, დაარღვია მისი ოჯახის სიმტკიცე და მიაყენა მატერიალური ზიანი. სახელდობრ:

მეკლუდ ეგრისაშვილმა „ასავალ-დასავალში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც იგი მოიხსენია გარეწრად, ფულის გამომძალველად, კაცთმოძულედ, ბოლმიან, გაუთავებელი საჩივრების მწერლად და მისი ოჯახის ზიანის მომტანად. ხოლო „შანსში“ ეგრისაშვილის განცხადების დაბეჭდვის შემდეგ, სადაც ეს უკანასკნელი ბერიანიძის მასალების ჭეშმარიტების შემომწმებას ითხოვდა, რედაქციამ შეწყვიტა უურნალისტის მასალების გამოქვეყნება.

მაყვალა ბერიანიძემ ეგრისაშვილისგან მოითხოვა ცილისმწამებლური, მისი პატივისა და ღირსების შემლახველი პუბლიკაციების იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა, ბოდიშის მოხდა და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ მისთვის – 2 ათასი ლარის, ხოლო მორალური ზიანისათვის 221 ათასი ლარის დაკისრება.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, 2000 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით, მევლუდ ეგრისაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა და მოპასუხეს გავრცელებული ცნობების უარყოფა და ბოდიშის მოხდა დააკისრა. მაყვალა ბერიანიძის შეგებებული სარჩელი კი სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მევლუდ ეგრისაშვილსაც დაევალა ბერიანიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა და ბოდიშის მოხდა, ასევე მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 21 ათასი ლარის გადახდა. მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე რაიონულმა სასამართლომ ჟურნალისტს უარი უთხრა.

ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. თბილისის საოლქო სასამართლომ უცვლელი დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ ქვემდგომმა ინსტანციამ სწორად გადაწყვიტა დავა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) მე-7 და ახალი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლების საფუძველზე.

საოლქოს გადაწყვეტილება მხარეებმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. მაყვალა ბერიანიძემ მოითხოვა მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მევლუდ ეგრისაშვილმა – სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი, რ.ნადირიანი) 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე პალატას დაუბრუნა.

მოტივაცია: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები და 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნები. არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. სახელდობრ:

მევლუდ ეგრისაშვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში იმ დროს (1997 წლის 25 აგვისტო), როცა ძალაში არ იყო შესული ახალი სამოქალაქო კოდექსი. მაყვალა ბერიანიძის შეგებებული სარჩელის (გარდა 1998 წლის 15-16 აპრილს გაზეთ „მანსში“ გამოქვეყნებული ეგრისაშვილის განცხადებისა) განხილვაც ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1964 წლის რედაქცია) უნდა განხორციელებულიყო.

რაიონულმა სასამართლომ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და ბოდიშის მოხდა დააკისრა მოპასუხეებს მაშინ, როცა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) მე-7 მუხლი საქმიანი რეპუტაციის შელახვასა და ბოდიშის მოხდას არ ითვალისწინებდა.

პალატის აზრით, საოლქო სასამართლომ არასწორად დატოვა ძალაში ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება, რადგან ძველ ურთიერთობებზე ახალი სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნების გავრცელება არამართებულია. უზენაესი ინსტანციის აზრით, სააპელაციო სასამართლოს ასევე არ გამოუკვლევია ფაქტობრივი გარემოებები მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის თანხის დაკისრების შესახებ როგორც არსებითად, ისე თანხის ოდენობის თვალსაზრისით. სასამართლომ არ დააზუსტა, რის საფუძველზე განისაზღვრა მორალური ზიანის ოდენობა 21 ათას ლარად და რატომ ეთქვა ბერიანიძეს უარი 221 ათასი ლარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

პალატამ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია, თუ რატომ ჩათვალა სააპელაციო სასამართლომ ყურნალისტის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად „შანსში“ გამოქვეყნებული ეგრისაშვილის განცხადება, შეემონმებინათ ბერიანიძის სტატიების ჭეშმარიტება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მართალია, სამოტივაციო ნაწილში დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ხსენებული განცხადების გამოქვეყნებით ყურნალისტს მატერიალური და მორალური ზიანი მიადგა, მაგრამ ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დადგენილად მიჩნეული გარემოების სანიშნალობდგომი გადაწყვეტილება მიიღო და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. თოდუა, ზ. კვარაცხელია, ლ. არჩვაძე) მეველედ ეგრისაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო მასველა ბერიანიძის – ნაწილობრივ. მეველედ ეგრისაშვილს დაევალა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული, აპელანტის პატივისა და ღირსების შემლახველი გამონათქვამების იმავე გაზეთის მეშვეობით უარყოფა, ხოლო გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნებული განცხადების გამო, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 5 ათასი ლარის გადახდა.

მოტივაცია: იმის გათვალისწინებით, რომ სადავო სტატიაში არ არის დაკონკრეტებული, რომელი ეგრისაშვილია „აქლემის ქურდი“ და ვინ „ორი-სამი კაცი მდიდრდება ჯარისკაცების ლუკმით“, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ ხსენებული სტატიით კონკრეტული პირის, მეველედ ეგრისაშვილის პატივი და ღირსება არ შელახულა, რადგან ზოგადად დასახელებული ეგრისაშვილის დაკონკრეტებისათვის მას მნიშვნელოვანი კომპონენტი – სახელი აკლია.

რაც შეეხება სტატიას „მაცვალა ბერიანიძე მხოლოდ მაცვალა ბერიანიძის უკან შეიძლება იდგეს“, სააპელაციო პალატის აზრით, ის ვერ ჩაითვლება ეგრისაშვილის პატივისა და ღირსების შემლახველად, რადგანაც წარმოადგენს

საპასუხო პუბლიკაციას ამ უკანასკნელის მიერ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ მასალაზე „ჯავახიშვილს თავი ქუდში უნდა ჰქონდეს“.

სასამართლოს აზრით, ჟურნალისტმა გამოიყენა კანონით მინიჭებული ინფორმაციის მიღების უფლება, მათ შორის თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოხსენებიდან მოიპოვა ინფორმაცია მეველედ ეგრისაშვილის შესახებ, ჰქონდა მასალები პროკურატურიდან ამ უკანასკნელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე, ასევე სხვა მასალები, რის საფუძველზეც და გამოთქვა თავისი მოსაზრება საჯარო მოსამსახურის შესახებ.

რაც შეეხება მაყვალა ბერიანიძის პრეტენზიებს მეველედ ეგრისაშვილის პუბლიკაციასთან დაკავშირებით, საქმის მასალებით დადგინდა, რომ სტატია „ჯავახიშვილს თავი ქუდში უნდა ჰქონდეს“ დაიბეჭდა „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული გივი კიკნაძის წერილის – „შადმან ვლავის წათამამებული კაცი და დაკარგული მილიონები“ – საპასუხოდ. მეველედ ეგრისაშვილის მოსაზრება, რომ გივი კიკნაძის უკან მაყვალა ბერიანიძე დგას, სააპელაციო სასამართლოს აზრით, საქმის მასალებით დადასტურებული არ არის და უტყუარი მტკიცებულებების არარსებობას მოსარჩლედ კი ვერ უარყოფს. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეგრისაშვილს არავითარი უფლება არ ჰქონდა, სტატიაში ბერიანიძის პიროვნებას შეხებოდა. პალატამ მაყვალა ბერიანიძის პატივის შემლახველად მიიჩნია ისეთი გამონათქვამები, როგორცაა „კატმოძულე“, „ბოლმიანი“, „გაუთავებელი საჩივრების მწერალი“, „მისნაირი გარეწრები“. სასამართლოს აზრით, შეილახა ბერიანიძის ღირსებაც – საზოგადოების მიერ აღიარებული ზნეობრივი კრიტერიუმიდან გამომდინარე, შეიცვალა ჟურნალისტის პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა მაყვალა ბერიანიძის შეგებებული სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილება.

ვინაიდან ხსენებული დავა წარმოიშვა 1998 წლის 15-16 აპრილს, ჟურნალისტს, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის VI ნაწილის შესაბამისად, ჰქონდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და სასამართლოს აზრით, იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

ეგრისაშვილის განცხადებების შემდეგ გაზეთმა „შანსმა“ მ. ბერიანიძეს არ გადაუხადა 1997 წლის ივლისის შემდეგ გამოქვეყნებული წერილების თანხა და შეუწყვიტა სტატიების დაბეჭდვაც, მაგრამ პალატამ ჩათვალა, რომ ჟურნალისტმა სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობას და დაუსაბუთებლობის გამო უარი უთხრა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მორალური ზიანის ნაწილში კი საოლქო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები გაიზიარა, თუმცა მოპასუხეზე დასაკისრებელ გონივრულ თანხად 5 ათასი ლარი მიიჩნია.

15 აგვისტო

მაია გიორგაძე ლევან ვეფხვაძის, „ალიას“ და ნანა ვასაძის წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წლის 20 მაისს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს, გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრმა მაია გიორგაძემ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრესცენტრის უფროსის ლევან ვეფხვაძის, გაზეთ „ალიას“ რედაქციისა და კორესპონდენტ ნანა ვასაძის წინააღმდეგ.

მოსარჩლის განცხადებით, 1999 წლის 15 იანვარს ქალაქ ოზურგეთში მას თავს დაესხა 5 ახალგაზრდა, რომელთაც სცემეს როგორც მოსარჩლე, ასევე მის საშველად მისული მამაც. მოსარჩლემ თავდამსხმელთა შორის მოქალაქეთა კავშირის წევრი შოთა სალუქვაძე და მისი სიძე ამოიცნო.

მაია გიორგაძის განცხადებით, ხსენებული ინციდენტი ობიექტურად გააშუქა გაზეთმა „ალიონმა“, გაზეთმა „ალიამ“ კი – არასწორად. მოსარჩლის განცხადებით, „ალიას“ კორესპონდენტმა ნანა ვასაძემ ინფორმაცია მიიღო არა მისგან, ანუ პირველწყაროსგან, არამედ მოქალაქეთა კავშირის პრესცენტრის უფროსისგან ლევან ვეფხვაძისგან. ამ უკანასკნელის მიერ მიწოდებული ინფორმაციით კი, თავდაყირა არის დაყენებული მომხდარი ფაქტი. სახელდობრ, მოსარჩლე მოხსენიებულია გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ ჟურნალისტად, რომელიც წამოვიდა ხსენებული გაზეთიდან და მომხდარს პოლიტიკური ელფერს აძლევს.

ლევან ვეფხვაძე: „მაია გიორგაძე არავის „არანაირი პოლიტიკური მოტივით“ არ უცემია, უბრალოდ „ჟურნალისტმა მისცა ამ ფაქტს ასეთი ელფერი“.

მოსარჩლე სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნევს ასევე ვეფხვაძის მიერ გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ „15 იანვარს მაია გიორგაძე თავის ძმასთან ერთად ქეიფობდა, სუფრაზე მაიას ძმას სმაკის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრთან ჩხუბი მოუვიდა, კამათში მაიაც ჩაერია, მაგრამ სუფრაზე ჩვენები როგორც მოქალაქეთა კავშირის წევრები ისე არ მისულან, ყველანი

ერთმანეთის მეზობლები იყვნენ, ეტყობა ამ განწევ-გამოწევის დროს მაიასაც მოხვდა.“

„გადმოცემით ვიცი, გიორგაძე თურმე ძალიან გაბრაზებულია, მე „კრიმინალური ქრონიკის“ ჟურნალისტს როგორ გამიბედეს ხელის დარტყმაო“.

მის მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური, შეთითხნილი და ყალბი ინფორმაციის გამო, მოსარჩლემ ლევან ვეფხვაძისა და გაზეთ „ალიას“ რედაქციისათვის 20 ათასი ლარის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა.

ლევან ვეფხვაძის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმე განსჯადობის მიხედვით, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა.

გადაწყვეტილება: მოსამართლე თ. ჯალიაშვილმა, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, საქმე განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სსკ-ს 231-ე მუხლის საფუძველზე, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომელთაც გაეგზავნათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს სსკ-ს 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებთან დაკავშირებულ განჩინებას.

17 სექტემბერი

ნ. ნ. დეპუტატ მ. მ-სა და ნ. ს-ს წინააღმდეგ

სარჩელი: ნ. ნ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს პარლამენტარ მ. მ-სა და ნ. ს-ს წინააღმდეგ.

მოსარჩლის განცხადებით, ის არის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, ობოლ და მარტოხელა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა აღზრდა-სოციალიზაციის პრობლემებზე. მუშაობის შედეგად, მან შექმნა კონცეფცია და დებულება. ხსენებული დებულების საფუძველზე, 1992 წელს ჩამოაყალიბა პირველი პროფესიული ოჯახი, რომელიც ორ საკუთარ შვილთან ერთად ზრდის ექვს შვილობილს. ნ. ნ-ს მტკიცებით, 1992 წელს მიღებული კანონის ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობის შესახებ განმარტებით ბარათში დეპუტატმა მ. მ.-მ ამ მიმართებით მოსარჩლისა და ინსტიტუტის მუშაობა არასწორად და დამახინჯებულად შეაფასა, რაც იმაში გამოიხატა, რომ საერთოდ აუარა გვერდი პირველ პროფესიულ ოჯახს. მოსარჩლის განცხადებით, დეპუტატმა ეს მცდარი ინფორმაცია გაავრცელა პარლამენტის კომიტეტებში, ფრაქციებში, ეკონომიკის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებში, არასამთავრობო

ორგანიზაციებსა და „Unisef“-ის საქართველოს წარმომადგენლობაში. რაც შეეხება სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის წარმომადგენელს ნ. ს-ს, მოსარჩლის განცხადებით, მართალია, ეს უკანასკნელი გაეცნო მის საქმიანობასა და პროფესიულ ოჯახს, მაგრამ თავის კონცეფციაში მოახდინა ამ თემის იგნორირება. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, მოსარჩლის მტკიცებით, უხეშად შეილახა მისი და ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, განიცადა მატერიალური და მორალური ზიანი, შეერყა ჯანმრთელობა და დაუქვეითდა შრომის უნარი, რისთვისაც მოპასუხისაგან მოითხოვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის ობიექტური შეფასება, ბოდიშის მოხდა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის – 10 ათასი ლარის ანაზღაურება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მოსარჩლემ ვერ დაამტკიცა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი.

ნ. ნ-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა და მიუთითა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი კომენტარი, არ დაავალდებულა მოპასუხეები, დაემტკიცებინათ მათ მიერ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა და არ გამოიყენა კანონი შეილობილად აყვანის შესახებ. თბილისის საოლქო სასამართლომ (2001 წლის 4 აპრილი) რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. ეს უკანასკნელი კი ნ. ნ-მ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გავრცელების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მოტივაცია: პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და მიუთითა, რომ მოსარჩლემ ვერ დაამტკიცა მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი. მოსარჩლემ უნდა დაამტკიცოს, რომ გავრცელდა ცნობები, რომლებიც ლახავენ მის უფლებას, ხოლო მოპასუხე ვალდებულია, დაამტკიცოს გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლემ ვერ დაამტკიცა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელების ფაქტი. ამასთანავე მოსარჩლემ ვერც იმ გარემოებაზე მიუთითა, თუ რაში გამოიხატა მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

ბასილ მკალავიშვილი „რეზონანსის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 26 აპრილს გლდანის მართლმადიდებელი ეპარქიის დროებითმა მმართველმა და წინამძღვარმა, პროტოპრესვიტერმა ბასილ მკალავიშვილმა გაზეთ „რეზონანსის“ წინააღმდეგ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა და მისი პიროვნების შეურაცხმყოფელი და ცილისმამბეღური პუბლიკაციები გააპროტესტა.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა „რეზონანსში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე:

1. „იმ დღეს კანონმდებელთა ქოხ-სამკითხაოს მორწმუნეთა მოზრდილი ბრბო მიადგა“.

2. „სისხლის სამართლის დამნაშავეთა სექტა“.

3. „იმან, რომელმაც ჩვენს ბურტერიერს (ე.ი. ძალს – ბ. მ.) იესო დაარქვა“.

4. „პირჯვარს ქვეწარმავლის დანახვაზეც იწერენ“ (კარიკატურაზე გამოსახულია მამა ბასილი, რომელსაც ქვეწარმავალს უწოდებენ).

5. „არალიცენზირებული მღვდელი და მისი მორჩილი ბრბო“ (კარიკატურა).

6. „ბასილი – უკან მოსარჩენი პრობლემა“ (ე. ი. ბუასილი – ბ. მ.).

7. „ვასილისაც ისე აქტიურად უნდა ებრძოლო, როგორც სხვა სექტას“.

8. „მოქალაქე მკალავიშვილი ფსიქიატრიულში თავისი ფეხით წავა“ (კარიკატურა).

9. „ამიერიდან კინობითად ბასილისკოდ მოვიხსენიებ“.

10. „ვასო-პოლო“.

გაზეთი „პოლიტიკა“:

1. „გამოჩნდა, რომ მისი საქციელი არაგონივრული და არაადამიანურია, ნამდვილად ეჭვი აღარ დარჩა“.

2. „სვარჩიკი მკალავიშვილი ხულიგნობას არ იშლის“.

მოსარჩელის განცხადებით, გაზეთი სისტემატიურად აწვდიდა მკითხველთა ფართო მასებს შეურაცხმყოფელ და ცრუ ინფორმაციებს, რის შედეგადაც მან მნიშვნელოვანი მორალური ზიანი განიცადა, რისთვისაც თავდაპირველად მოითხოვა 50 ათასი ლარი, ხოლო მოგვიანებით ეს თანხა 20 ათას ლარამდე შემცირა და გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა მოითხოვა.

იმის გათვალისწინებით, რომ სასარჩელო განცხადება გლდანის მართლმადიდებელი ეპარქიის ბლანკზე იყო დაბეჭდილი, გაზეთ „რეზონანსის“ წარმომადგენელმა მოითხოვა დაეზუსტებინათ, ვისი სახელით იყო შეტანილი სასამარ-

თლოში განცხადება – ეპარქიის, თუ მოქალაქე ბასილ მკალავიშვილის. მოსარჩლის წარმომადგენლის ცნობით, სარჩელი შეტანილი იყო როგორც ფიზიკური პირის, ეპარქიის დროებითი მმართველისა და წინამძღვრის პროტოპრესვიტერ ბასილ მკალავიშვილის სახელით.

მოსარჩლის განცხადებით, ის არის ღვთის მსახური, ქვეშარიტი მართლმადიდებელი და ჰყავს ასი ათასზე მეტი მრევლი, აშენებს ეკლესიებს, აქვს საეკლესიო სახელი მამა ბასილი და „ბასილისკოდ“, „ვასო-პოლოდ“ და ვასიად მოხსენიება ლახავს მის პატივსა და ღირსებას. მკალავიშვილის აზრით, ასევე დაუშვებელია მისი გაიგივება სექტასთან, რადგან სექტა არის ბუდიზმში, ისლამში, ქრისტიანობაში და სხვა რელიგიებში გაბატონებული მიმართულებიდან გამყოფი და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების, თემებისა და გაერთიანების საერთო სახელწოდება. მკალავიშვილის წარმომადგენლის განცხადებით, სექტებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ სასულიერო ძალაუფლების აპარატი, მაშინ, როცა მოსარჩლე ქრისტიანული რელიგიის მიმდევარია. ისეთი გამონათქვამი, როგორცაა „არალიცენზირებული მღვდელი“, მოსარჩლის თქმით, შეურაცხყოფს მას, როგორც ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი მრევლის მოძღვარს, რადგან ამ საკითხზე შეიძლება, იმსჯელოს საპატრიარქომ და არა გაზეთმა „რეზონანსმა“.

მოპასუხე მხარის ცნობით, მკალავიშვილის „არალიცენზირებულ მღვდლად“ მოხსენიება ეფუძნება ინფორმაციას მოსარჩლის განცხადების შესახებ. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მკალავიშვილსა და მის მრევლს ისევე უნდა ვებრძოლოთ, როგორც სხვა სექტას, რადგან ისინი არ არიან კავშირში მართლმადიდებლობასთან, „რეზონანსის“ ადვოკატის განცხადებით, არის სტატიის ავტორის პოზიცია, რომლის გამოხატვის აკრძალვა დაუშვებელია.

გაზეთის წარმომადგენლის აზრით, ის, რომ „რეზონანსი“, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, წინ აღუდგა მკალავიშვილისა და მისი მრევლის აგრესიას და დაიცვა დაზარალებულთა ინტერესები, სულაც არ ნიშნავს, რომ რედაქცია იზიარებს მსხვერპლთა პოზიციას.

ამასთანავე, „რეზონანსის“ ადვოკატის თქმით, სადავო სტატიებში საერთოდ არ არის მითითებული მოსარჩლის სახელი და გვარი.

გადანყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ნ. ზარქუა) დააკმაყოფილა სარჩელი. გაზეთ „რეზონანსის“ რედაქციას დაევალა ბასილ მკალავიშვილის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მკალავიშვილის მიერ განეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით.

მოტივაცია: სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობა-

ზე, რომ ციტატები, რომელთაც ეფუძნება სარჩელის მოთხოვნა, არ უკავშირდება მოსარჩლეს, რადგან მათში არ არის მოხსენიებული მოსარჩლის სახელი და გვარი. სასამართლოს აზრით, მართალია, პუბლიკაციებში პირდაპირ არ არის მითითებული პიროვნების სახელი და გვარი, ანუ მისი საერო სახელი, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საეკლესიო პირთან, რომელსაც საერო სახელის გარდა საეკლესიო სახელი აქვს. ეს სახელი კი რამოდენიმე სტატიაში „ცინიკური შინაარსით, სახეშეცვლილი ფორმით“ არის მოხსენიებული. გარდა ამისა, სტატია შეიცავს პირდაპირ მინიშნებას ბასილ მკალავეიშვილსა და მის მრევლზე, რომელიც ფართო საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი.

სასამართლოს შეფასებით, „ზოგიერთი სტატია მკვეთრად გამოირჩევა ცინიკური, არაეთიკური, რეალობასთან შეუსაბამო ხასიათით. კერძოდ, მათში გამოყენებულია ისეთი გამონათქვამები, როგორცაა „არალიცენზირებული მღვდელი“, სადაც სიტყვა „არალიცენზირებული“ გამოირჩევა ამკარა ცინიკური შინაარსით და ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ ნაგულისხმევია ბასილ მკალავეიშვილის მოკვეთა ეკლესიისაგან ან საპატრიარქოსაგან. ეს საკითხი მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საპატრიარქოს გადასაწყვეტია, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან.“

ბასილ მკალავეიშვილის და მისი მრევლის სისხლის სამართლის დამნაშავეთა სექტად მოხსენიებით კი, სასამართლოს აზრით, დაირღვა კიდევ ერთი კონსტიტუციური ნორმა – უდანაშაულობის პრეზუმფცია: ვიდრე არ არსებობს პიროვნების ან პირთა ჯგუფის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, ისინი უდანაშაულოდ ითვლებიან. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, პირს უფლება აქვს, მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს არ შეეფერება, რაც ამ შემთხვევაში გაზეთმა ვერ დაამტკიცა. სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მესამე ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას იმავე საინფორმაციო საშუალებებით, რომლითაც ის გავრცელდა.

თამაზ წივწივაძე და საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირი აკაკი გოგიჩაიშვილისა და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: თამაზ წივწივაძემ და საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნულმა კავშირმა სარჩელი აღძრეს ჟურნალისტ აკაკი გოგიჩაიშვილისა და სამაუნყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ.

თამაზ წივწივაძემ სარჩელის საფუძვლად 2000 წლის 26 მარტსა და 2 აპრილს „რუსთავი 2“-ის ეთერით, გადაცემა „60 წუთის“ მეშვეობით გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები დაასახელა. მოსარჩლემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: პროგრამის წამყვანმა აკაკი გოგიჩაიშვილმა ბრალი დასდო მას სახელმწიფო თანხებით ვაჭრობაში და აღნიშნა, რომ მწერალთა კავშირის ქონების მეტი ნაწილი უკანონო პრივატიზაციის გზით კავშირის რამდენიმე ხელმძღვანელმა მუქთად ჩაიგდო ხელში. მუქთად მითვისებული ქონების ჩამონათვალში გადაცემაში მითითებული იყო გამომცემლობა „მერანი“, რომელიც 1998 წელს 36 ათას დოლარად გაიყიდა, ასევე მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლები, აგარაკები, პოლიკლინიკა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები.

მოსარჩლემ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად მიიჩნია ასევე გადაცემაში „ლიტერატურული საქართველოს“ მოხსენიება ამორალურ, ტერორისტულ და უხამსობის ზღვარგადასულ გამოცემად. ჟურნალისტი აცხადებს: *„უნდა ვივარაუდოთ, რომ რუდიმენტული სტრუქტურითა და წესდებით შექმნილი მწერალთა კავშირი დღეს სწორედ სტიქიურ უბედურებას წარმოადგენს ქვეყნისათვის“.*

გოგიჩაიშვილის განცხადებით, მწერალთა კავშირმა მიითვისა ნოდარ დუმბაძის საიუბილეო ალბომის გამოსაცემად გამოყოფილი 30 ათასი ლარი, პოლიკლინიკის პრივატიზაციისათვის პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი 8 ათასი დოლარი, უკვალოდ გააქრო მწერალთა და მათი ოჯახების დასასვენებლად გამოყოფილი 8 ათასი ლარი. თამაზ წივწივაძის მიერ კი ჩამოყალიბებული იყო მწერალთა კავშირის ალტერნატიული ორგანიზაცია „ოტარიდი“, რომელიც ბენზინის ბიზნესიდან ფინანსდებოდა.

ეკონომიკურ დანაშაულში მამხილებლად, სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნია მოსარჩლემ აკაკი გოგიჩაიშვილის მიერ საჯაროდ გაკეთებული შემდეგი ცნობა: *„ერთი გახმაურებული ანეკდოტის თანახმად, სწორედ წივწივაძის ძალისხმევით გამოიყო 2 000 000 აშშ დოლარი ეროვნული ბანკიდან სოკოს შემოსატანად. ეს კრედიტი დღემდე დაბრუნებული არ არის, თუმცა მისი მიმღებნი მშვიდად ახრამუნებენ სოკოებს“.*

მოსარჩლებმა „60 წუთით“ გავრცელებული ინფორმაცია შეაფასეს როგორც ცილისნამება, რომელიც მიზნად ისახავს საქმიანი რეპუტაციის, ღირსებისა და პატივის დამცირებას, რის შედეგადაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ და მისმა წევრებმა განიცადეს მძიმე ფიზიკური და მორალური ზიანი. მოსარჩლებმა მოითხოვეს გავრცელებული ცნობების უარყოფა, ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეებისათვის 5 მილიონი ლარის დაკისრება.

„რუსთავი 2“-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გადაცემა „60 წუთში“ მოყვანილი ფაქტების უმეტესობა ეხებოდა არა მწერალთა კავშირს, არამედ სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთაც თავად შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

თავის შესაგებელ სარჩელში აკაკი გოგიჩაიშვილმა მიუთითა 2000 წლის აპრილ-მაისში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ, თამაზ ნივნივაძის მიერ გავრცელებულ მის შეურაცხმყოფელ და ცილისმამებლურ განცხადებებზე. ნივნივაძემ გოგიჩაიშვილს უწოდა საცოდავი, ქოსამატყუარა, აფერისტი, შარლატანი, უფიცი, სულელი, უჭკუო, შეადარა ნაძირალას და მალე-ფუჭებად პროდუქტს. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ჟურნალისტს ახალგაზრდა პარლამენტართა ჯგუფისა და უცხოეთიდან დაქირავებული შავი ძალების შეკვეთის შემსრულებელი უწოდა. მისი აზრით, გოგიჩაიშვილი „საკაპუილის კონტროლის არეალში იმყოფება“. „60 წუთის“ ავტორის განცხადებით, თამაზ ნივნივაძე მიზნად ისახავდა მისი, როგორც ჟურნალისტის კომპრომეტირებას, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის განზრახ შელახვას. ამასთანავე, გოგიჩაიშვილის მტკიცებით, ეს განზრახვა გარკვეულწილად განხორციელდა, რითაც მან მნიშვნელოვანი მორალური ზიანი განიცადა, რისთვისაც მოპასუხეზე 10 მილიონი ლარის დაკისრება და გავრცელებული ცნობების უარყოფა მოითხოვა.

გადანწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლეები – დ. თოდრაძე, ქ. დუგლაძე, მ. ჯიყაშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა მწერალთა კავშირის სარჩელი „რუსთავი 2“-ის მიმართ და დაავალა ტელეკომპანიას გავრცელებული ცნობების უარყოფა შემდეგი ფორმით:

„60 წუთით“ გავრცელებული ინფორმაცია „მწერალთა კავშირი სახელმწიფო თანხებით ვაჭრობას ეწევა“ არ შეესაბამება სინამდვილეს. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ ბოდიშს უხდის „საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნულ შემოქმედებით კავშირს“ ქვეყნისათვის მისი სტიქიურ უბედურებად მიჩნევის გამო“.

ტელეკომპანიას მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მწერალთა კავშირის სასარგებლოდ 5 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

სასამართლომ ასევე ნაწილობრივ დააკმაყოფილა აკაკი გოგიჩაიშვილის სარჩელი თამაზ წივნივაძისა და „ლიტერატურული საქართველოს“ მიმართ. მოპასუხეებს დაეკისრათ აკაკი გოგიჩაიშვილის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე გაზეთის მეშვეობით, შემდეგი ფორმით:

„გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გავრცელებული ინფორმაციები „აკაკი გოგიჩაიშვილი სააკაშვილის ჯგუფის კონტროლის არეალში“, „გოგიჩაიშვილისათვის ის კი არაა მთავარი, სიმართლე თქვას, არამედ ის, რა წარმატებით შეასრულებს შეთქმულების ორგანიზატორთა ბინძურ შეკვეთებს“, „ყველაფერი ახლგაზრდა პარლამენტართა ჯგუფის მიერ იყო შეკვეთილი“ არ შეესაბამება სინამდვილეს“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და თამაზ წივნივაძე ბოდიშს უხდის აკაკი გოგიჩაიშვილს მისი პატივისა და ღირსების შელახვისათვის.“

თამაზ წივნივაძესა და „ლიტერატურულ საქართველოს“ აკაკი გოგიჩაიშვილის სასარგებლოდ დაეკისრათ – მორალური ზიანისათვის 5 ათასი ლარის, ხოლო სახელმწიფო ბაჟის სახით 5 ათასი ლარის გადახდა.

სასამართლომ უარი უთხრა თამაზ წივნივაძის სარჩელს „რუსთავი 2“-ის მიმართ უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ კავშირი სახელმწიფოს თანხებით ვაჭრობას ეწევა, არ შეესაბამება სინამდვილეს და საქმის მასალებით არ დასტურდება. სასამართლომ ამ საკითხზე ბანკ "ნარიყალასთან" დაკავშირებული ინფორმაცია არ მიაჩნია საკმარის მტკიცებულებად, რადგანაც ეს ბანკი დამოუკიდებელი იურიდიული პირია. კავშირის მიზანი განსაზღვრულია წესდებით, მას საერთო არაფერი აქვს სახელმწიფო თანხებით ვაჭრობასთან და ასეთი განცხადება საზოგადოების თვალში მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველია.

მწერალთა კავშირის რეპუტაციის შემლახველად სასამართლომ მიიჩნია ის განცხადებაც, რომლის თანახმად, მწერალთა კავშირი ქვეყნისათვის სტიქიურ უბედურებადაა მიჩნეული. სასამართლომ არ გაიზიარა აზრი, რომ ეს სუბიექტური მოსაზრებაა. მოპასუხის მითითება იმის შესახებ, რომ ინფორმაცია ეყრდნობოდა კონტროლის პალატის 1998 წლის 4 მარტის აქტს, არ არის საკმარისი. კონტროლის პალატის აღნიშნულ აქტში ნათქვამი არ არის, რომ მწერალთა დასასვენებელი სახლის საგზურების შესაძენად გამოყოფილი 20 ათასი ლარი უკვალოდ გაქრა. ეს თანხა ჩაერიცხა „საქართველოს ლიტერატურულ ფონდს“, ხოლო ნოდარ დუმბაძის საიუბილეო ალბომის გამოსაცემად გამოყოფილი 30 ათასი ლარი – შპს „პოლიგრაფსერვის – 97“-ს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ გამონათქვამები „საცოდავი, ქოსამატყუარა, აფერისტი, შარლატანი, უფიცი, სულელი, უჭკუო, ნაძირალა და მალეფუჭადი პროდუქტი“ – შეურაცხმყოფელია და ლახავს აკაკი გოგიჩაიშვილის პატივსა და ღირსებას. მოპასუხემ კი მათი სინამდვილესთან შესაბამისობა საქმის განხილვისას ვერ დაადასტურა.

თამაზ ნივნივაძისა და „ლიტერატურული საქართველოს“ წარმომადგენელმა პროცესზე აღიარა, რომ დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისათვის დაკვეთით მუშაობის დაბრალება მისი რეპუტაციის შემლახველია. მოპასუხეებმა ასევე აღიარეს, რომ აკაკი გოგიჩაიშვილის დაკვეთით მუშაობისა და „სააკაშვილის ჯგუფის კონტროლის არეალში“ ყოფნის შესახებ დამადასტურებელი მტკიცებულებები მათ არ გააჩნიათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გაასაჩივრეს თამაზ ნივნივაძემ და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, ლ. გორელაშვილი, რ. ნადირიანი) შეცვალა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება აკაკი გოგიჩაიშვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დააკმაყოფილა ამ უკანასკნელის სასარჩელო მოთხოვნები.

მოტივაცია: პალატის აზრით, სასამართლომ პირადი არაქონებრივი უფლების აღმდგენი სარჩელის განხილვისას უნდა გამოიკვლიოს და შეფასება მისცეს იმ გარემოებას, ხომ არ მონაწილეობდა მოსარჩლე საჯარო პოლემიკაში და ხომ არ იყო მოპასუხის განცხადება პასუხი მოსარჩლის ანალოგიურ მოქმედებაზე.

პალატამ საქმის მასალებით დაადგინა, რომ თამაზ ნივნივაძემ, როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა და არა როგორც ფიზიკურმა პირმა, პასუხი გასცა აკაკი გოგიჩაიშვილის გადაცემაში გაკეთებულ „თავდასხმებს“. პალატის აზრით, ასეთ შემთხვევაში აკაკი გოგიჩაიშვილი ვალდებულია, ითმინოს მოპასუხის შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, „თავდასხმები“.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასებით, ადგილი აქვს ინტერესთა ბალანსს, რადგან მოსარჩლის მიზანი იყო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება მწერალთა კავშირისა და „ლიტერატურული საქართველოს“ საქმიანობის შესახებ (რა დროსაც გავრცელდა არაობიექტური ცნობები და ამისათვის გამავრცელებელს დაეკისრა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა). მოპასუხის საგაზეთო სტატიები მიზნად ისახავდა უსაფუძვლო „თავდასხმების“ მოგერიებას და მწერალთა კავშირის საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას, რაც ოპონენტისათვის შეურაცხმყოფელი ფორმითაა გამოხატული.

რომ არა საჯარო პოლემიკის ფონი, სხვა შემთხვევაში გოგინაიშვილის მიმართ გაკეთებულ განცხადებებს პალატა დიფამაციად მიიჩნევდა და მის გამავრცელებელს სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც დააკისრებდა.

ის, რომ საჯარო პოლემიკაში მონაწილეობისას შეურაცხმყოფელი გამონათქვამები გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ უხეშად არ ხდება პირის პირადი ცხოვრების ან საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა, სასამართლო პრაქტიკით არის დადგენილი. ამის დასტურად სასამართლომ მოუხმო 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე *ელადიმერ კერესელიძე ნოდარ ჯაიანის წინააღმდეგ*⁶, როცა საჯარო პოლემიკაში მონაწილე ოპონენტს უარი ეთქვა დიფამაციური სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება ჟურნალისტის შესახებ ნივნივადის გამონათქვამებს, პალატამ ისინი მიიჩნია არა ფაქტებად, არამედ მოსაზრებებად, რომლებიც მართალია შეურაცხმყოფელია, მაგრამ „თავდასხმითი“ ხასიათი გამოწვეულია მოსარჩლის უკანონო მოქმედებით.

პალატამ განმარტა, რომ პიროვნების რეპუტაციის უხეში ხელყოფა გულისხმობს მძიმე შედეგს, რაც ამ ხელყოფას მოჰყვა (საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, შემცირდა გასაღება, დაიკარგა მნიშვნელოვანი კლიენტი, პირმა დაკარგა სამუშაო ადგილი და სხვა). აქედან გამომდინარე, უზენაესი ინსტანციის აზრით, საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი.

10 ოქტომბერი

გიორგი ჯიშკარიანი

ფრიდონ კერვალიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: გიორგი ჯიშკარიანმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და გიორგი ჟორჯოლიანთან ერთად ერთ-ერთ მოპასუხედ გაზეთ „რეზონანსის“ იმერეთის საკორესპონდენტო პუნქტის ხელმძღვანელი ფრიდონ კერვალიშვილიც დაასახელა.

მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხეების, მათ შორის, ფრიდონ კერვალიშვილის უსაფუძვლო და ცილისმნამებლური საგაზეთო სტატიებით შეილახა მისი

⁶ იხ. გვ. 274.

პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, რის გამოც მან მოითხოვა გავრცელებული შეურაცხმყოფელი ცნობების საჯაროდ უარყოფა, ასევე ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში ორ საათიანი საეთერო დროის დათმობა.

2001 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გ. ჯიშკარიანის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

მთავარ სხდომაზე მოსარჩლემ განმარტა, რომ ფრიდონ კერვალიშვილს ის 1998 წლის 9 იანვარს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული სტატიის გამო ედავებოდა. სახელდობრ, სტატიაში, რომლის სათაურია „შაშიაშვილი სახელმწიფო მოხელისა და ეკონომიკური ექსპერტობის შეთავსებას ცდილობს“, აღნიშნულია:

„ამ და კიდევ სხვა ფინანსური დარღვევების გამო პირად საქმეებზე დროებით ქვეყნის გარეთ გამგზავრებულ და მისდა საბედნიეროდ ფირმის სალაროს აღწერილ მდგომარეობაში დატოვების შემდეგ, კომერციულ დირექტორს 75 000 დოლარის ოდენობის დეფიციტი დახვდა. სწორედ ეს გახდა ჯიშკარიანის ამ საქმიანობიდან მოკვეთის მიზეზი.“

მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ ხსენებული ციტატა შპს „ნათიას“ დირექტორს ნათელა კუპრეიშვილს ეკუთვნოდა, შესაბამისად, მას ეს გამონათქვამი ბრწყალბებში უნდა მოექცია და წყაროს იდენტიფიცირებაც მოეხდინა. ფრიდონ კერვალიშვილმა აღიარა დაშვებული შეცდომა, რაც ციტატის არასწორი ფორმით გადმოცემაში გამოიხატა და რითაც შეილახა მოსარჩლის პატივი და ღირსება. მოპასუხემ განაცხადა მზადყოფნა, გამოესწორებინა დაშვებული უზუსტობა.

მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა, დავა მორიგებით დაესრულებინათ.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – მ. სუბელიანი, მ. მაისურაძე, ა. შენგელია) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, შემდეგი პირობით:

გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდება სტატია, სადაც აღნიშნული იქნება, რომ „უშუალოდ ფრიდონ კერვალიშვილის მიერ წარმოდგენილი სიტყვიერი განმარტებით დადგენილია, რომ ციტატაში დაფიქსირებული აზრი და სიტყვები ეკუთვნის შპს „ნათიას“ დირექტორს, ამჟამად მსჯავრდებულ ქალბატონ ნ. კუპრეიშვილს, რომელმაც აღნიშნული უშუალოდ განაცხადა ჟურნალისტთან საუბარში და შესაბამისად, ციტატა მოხსენიებული უნდა ყოფილიყო მისი რეალური ავტორის მითითებით ბრწყალბებში. რედაქციას მიაჩნია, რომ რესპონდენტის მოსაზრების სტატიაში მითითებული ფორმით მოყვანამ შელახა გ. ჯიშკარიანის პატივი და ღირსება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელს ჟურნალისტის მიმართ ამ განმარტების შემდეგ არავითარი პრეტენზია არ გააჩნია“.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 218-ე მუხლებით, 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლის მეორე ნაწილით, 274-ე, 416-ე, 390-ე მუხლებით.

16 ოქტომბერი

ქუთაისის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსი დავით ძიმისტარაშვილი „რეზიუმეს“ წინააღმდეგ

სარჩელი: ქუთაისის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსმა დავით ძიმისტარაშვილმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გაზეთ „რეზიუმეს“ წინააღმდეგ, რისი მიზეზიც 2001 წლის 7-14 აგვისტოს გაზეთში გამოქვეყნებული ჟურნალისტ ნ. ძონენიძის სტატია „ვაი, ავტონისპექტორებს, ვაი, მათ შეფეებს“ გახდა.

ხსენებული პუბლიკაცია მოსარჩელემ შეაფასა წინასწარი განზრახვით შექმნილ სიყალბედ, რომელმაც შელახა როგორც მისი, ასევე ქუთაისის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის განყოფილების პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. უსაფუძვლო და არასწორი სტატიის მიზანი კი, დავით ძიმისტარაშვილის აზრით, საჯარო სამსახურის წარმომადგენელთა შესახებ საზოგადოებაში ნეგატიური აზრის შექმნა იყო.

მოსარჩლის განმარტებით, შეურაცხმყოფელია თავად სტატიის სათაური და საპირველგვერდო ამონარიდი, რომლითაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საგზაო პოლიციის თანამშრომლები მძღოლებს ფულს სძალავენ.

სასარჩელო განცხადების თანახმად, ცინიზმითაა აღსავსე თავად სტატიის „ტონი და წყობა“, პუბლიკაციის ცალკეული მონაკვეთები კი არაობიექტური და არასწორია.

მოსარჩელემ მოითხოვა სადავო სტატიის იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა, მორალური ზიანის კომპენსაციის სახით კი ჟურნალისტისთვის – 1 ლარის დაკისრება.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე მხარე, რომელსაც ეცნობა სხდომის ჩატარების შესახებ კანონით დადგენილი წესით. მოპასუხე მხარემ კი მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ზ. ყვა-

ვადე) უარი უთხრა დავით ძიმისტარაშვილს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლის პირველი პუნქტი.

19 ოქტომბერი

ლაშა შანიძე ავთანდილ შანიძის წინააღმდეგ

სარჩელი: ლაშა შანიძემ ავთანდილ შანიძის წინააღმდეგ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მიმართა და სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ გაზეთებში „ალია“ და „ახალი თაობა“, ასევე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერით“ მოპასუხემ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც ლახავს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. კერძოდ:

გაზეთ „ალიას“ 2001 წლის 24-25 აპრილის ნომერში, სტატიაში „საკონტროლო გასროლა, წაქცეული ქილერი და გამომძიებლის - 09!“ მოპასუხემ განაცხადა: „ეს თავდასხმა (შალვა შანიძის) შვილმა მომიწყო, მამისათვის რომ ესიამოვნებინა“.

იმავე გაზეთის 22-23 მაისის ნომერში კი გამოქვეყნდა მოპასუხის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელზე, სადაც აღნიშნულია:

„შალვა შანიძემ და მისმა ვაჟმა ლაშა შანიძემ გადაწყვიტეს ჩემი ლიკვიდაცია.“

გაზეთ „ახალი თაობის“ 5 მაისის ნომერში კი დაიბეჭდა პუბლიკაცია, სათაურით „ბრძოლა კია მოტორსში ქილერებამდე მივიდა“, სადაც აღნიშნულია:

„დამფუძნებლის შვილი ლაშა შანიძე შავ სამყაროსთან შეკრულად, უფრო სწორად კი, ქილერთა დამქირავებლად მონათლა.“

გარდა ამისა, მოსარჩელემ მიუთითა პროგრამა „კურიერით“ გავრცელებულ ინტერვიუზე, სადაც მოპასუხემ ის მის წინააღმდეგ მკვლევების დამქირავებლად მოიხსენია:

„დამკვეთი არის შალვა შანიძე და მისი ვაჟიშვილი ლაშა შანიძე“.

მოსარჩელის განცხადებით, შეურაცხმყოფელი, ცილისმამებლური, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებით, მოპასუხე მიზნად ისახავდა მის დისკრედიტაციას და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

მოსარჩლემ მოითხოვა მოპასუხისაგან მის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა, ბოდიშის მოხდა და არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის 10 ათასი ლარის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – მ. ნიკლაური) საქმე განუხილველად დატოვა.

მოტივაცია: მოსარჩლემ მოითხოვა საქმის განუხილველად დატოვება, რადგან მის მიერ სასამართლოსთვის რამოდენიმეჯერ წარდგენილ მისამართზე მოპასუხე ავთანდილ შანიძე არ ცხოვრობდა, რის გამოც ამ უკანასკნელს სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა.

იმის გამო, რომ მოსარჩლემ ვერ დააზუსტა მოპასუხის მისამართი, სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა საქმის განუხილველად დატოვება.

25 ოქტომბერი

„რიონი“ „ქუთაისის“ წინააღმდეგ

სარჩელი: ტელერადიო კომპანია „რიონის“ პრეზიდენტმა ბადრი კაპეტივაძემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ტელერადიო კომპანია „ქუთაისის“ დირექტორის თემურ გაბადაძის და ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტის ნანა თვალაბერიშვილის წინააღმდეგ.

სარჩელის თანახმად, 2001 წლის 22 ივლისს „ქუთაისის“ ეთერში, ანალიტიკურ პროგრამაში „კვირიდან კვირამდე“ გადაიკა სიუჟეტი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფიქსირებულ კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით. სიუჟეტში საუბარი იყო პროფესორ ვერა ოცხელის მისამართით დაწერილი ანონიმური წერილის თაობაზეც. გადაცემიდან რამდენიმე დღეში ტელეკომპანია „რიონის“ რედაქციას მიმართეს უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამე კურსის იმ სტუდენტებმა, რომელთა გვარებიც ანონიმურ წერილში იყო მოხსენიებული. მათ განცხადების გასაკეთებლად საეთერო დრო ითხოვეს და ამისათვის შესაბამისი თანხაც გადაიხადეს, რის შემდეგაც ერთ-ერთმა მათგანმა პირდაპირ ეთერში წაიკითხა განცხადება, რომლითაც უარყო სტუდენტთა მიერ ანონიმური წერილის დაწერის ფაქტი და გამოთქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ ჟურნალისტმა ნანა თვალაბერიშვილმა არ მისცა მათ საეთერო დრო და შესაბამისად, საშუალება, იმავე საინფორმაციო

საშუალებით მოეხდინათ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა.

მოსარჩლის განმარტებით, „რიონის“ ჟურნალისტებს სტუდენტების გამოსვლისთვის კომენტარი არ გაუკეთებიათ. მოპასუხე მხარემ კი მათი ტელეკომპანიის ეთერით ხსენებული განცხადების გაკეთება არაკოლეგიალურ ქმედებად შეაფასა და 2001 წლის 6 აგვისტოს იმავე გადაცემაში ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა მოსარჩლე მხარის მისამართით, რითაც შეილახა მათი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩლის აზრით, ჟურნალისტ ნანა თვალაბერიშვილის ქმედებები ერთ მიზანს ისახავდა – საზოგადოების თვალში ტელეკომპანიის როლისა და ჟურნალისტთა პროფესიული მომზადების დონის დაკნინებას. სახელგამტეხი ცნობების გავრცელებით ზიანი მიადგა როგორც ტელევიზიის სახელსა და ღირსებას, ასევე მოხდა თანამშრომელთა დისკრედიტაციაც. ერთ-ერთ ასეთ გამონათქვამად, რომელიც სცილდება ყოველგვარი ეთიკის ფარგლებს, ტელეკომპანია „რიონის“ ხელმძღვანელმა მათი თანამშრომლების „ა-ტალანტებად“ მოხსენიება მიიჩნია. ტელეკომპანიის თანამშრომელთა აუგად მოხსენიებით კი, მოსარჩლის განცხადებით, მათ მიადგათ ძლიერი ემოციური სტრესი, რისთვისაც მოითხოვეს 5 ათასი ლარის ოდენობით კომპენსაცია, ასევე გავრცელებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისა და ფრაზების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა.

ტელეკომპანია „ქუთაისმა“ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მათ არავისთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა და გადაცემა წარმოადგენდა „რიონის“ ეთერით გაშუქებული გადაცემის საპასუხო რეაქციას, რასაც არ შეულახავს მოსარჩლის – იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია. ამ გადაცემის შედეგად არ შემცირებულა ტელეკომპანიის შემოსავალი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩლეს არ განუცდია ქონებრივი ზიანი. იმის დასტურად, რომ არ შელახულა მოსარჩლე მხარის საქმიანი რეპუტაცია, მოპასუხემ დაასახელა ის ფაქტი, რომ ტელეკომპანიის რამდენიმე თანამშრომელი სახელმწიფო ჯილდოზე წარადგინეს.

გადანყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ზ. ყვავაძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. ტელეკომპანია „ქუთაისის“ დირექტორს თემურ გაბადაძეს და ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტს ნანა თვალაბერიშვილს დაევაღათ იმავე გადაცემის მეშვეობით ტელეკომპანია „რიონის“ თანამშრომლების შესახებ გავრცელებული შეურაცხმყოფელი ფრაზების უარყოფა და მათთვის ბოდიშის მოხდა.

მოსარჩლეს უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე.

მოტივაცია: სასამართლომ ჩათვალა, რომ ისეთი გამონათქვამებით, როგორ

რიცაა „ა-ტალანტები“, „ოთხფეხა პირუტყვებთან შედარება“, „რიონს გატანებული სინდისი“ და „წყალში ჩაყრილი ელემენტარული კოლეგიალობა“, ტელეკომპანია „ქუთაისმა“ და ჟურნალისტმა ნანა თვალაბერიძემ შურაცხყოფა მიაყენეს ტელეკომპანია „რიონის“ მუშაკებს, რითაც შეილახა მათი პატივი და ღირსება.

31 ოქტომბერი

გიორგი ბოგიშვილი გივი გამყრელიძის წინააღმდეგ

სარჩელი: გიორგი ბოგიშვილმა სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და აღნიშნა, რომ ის წლების განმავლობაში მუშაობდა „საქსპეცმონტაჟის“ მთავარ სამმართველოში ტრესტ „საქსანტექმონტაჟში“ სამუშაოთა მნარმოებლად, სამმართველოს უფროსად, შემდეგ კი ტრესტის მმართველად. მის ხელმძღვანელად დაინიშნა გივი გამყრელიძე, რომელთანაც მოსარჩლეს თავდაპირველად კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ეს ურთიერთობა გაურკვეველი მიზეზით შეიცვალა.

მოგვიანებით გიორგი ბოგიშვილმა მეგობრებისაგან შეიტყო, რომ გივი გამყრელიძემ მას მის წინააღმდეგ დაწერილი ანონიმური წერილების ავტორობა დააბრალა. აღნიშნული ინფორმაცია კი, ბოგიშვილის განცხადებით, სწრაფად გავრცელდა ახლობლებსა და საზოგადოებაში, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. მოსარჩლის მტკიცებით, მას ჩამოსცილდნენ მეგობრები, ხოლო საქმიანმა პირებმა უარი განაცხადეს მასთან თანამშრომლობაზე, ყოველივე კი იმით დასრულდა, რომ მოსარჩლეს შეერყა ჯანმრთელობა და იგი ჰიპერტონიით დაავადდა.

გიორგი ბოგიშვილმა მოითხოვა მოპასუხის მიერ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და სასამართლოზე ბოდიშის მოხდა.

მოპასუხემ სარჩელი ცნო და სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მასსა და მოსარჩლეს შორის მართლაც კარგი ურთიერთობები იყო, მაგრამ აღმოჩნდნენ მოსარჩლის სამუშაო ადგილით დაინტერესებული პირები, რომელთაც ბოგიშვილს ხსენებული ანონიმური წერილების ავტორობა დააბრალებს. მოპასუხის განცხადებით, სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე გამოთქვა მან მოსაზრება, რომ ანონიმური წერილები მართლაც ბოგიშვილის მიერ იყო დაწერილი. ეს ინ-

ფორმაცია კი სწრაფად გავრცელდა სამსახურსა და საზოგადოებაში. გივი გამყრელიძემ სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ დაუშვა შეცდომა, რადგან დაადგინა ანონიმური წერილების ნამდვილი ავტორის ვინაობა.

მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე ბოდიში მოუხადა მოსარჩლეს.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ა. კახნიაური) დააკმაყოფილა გიორგი ბოგიშვილის სარჩელი.

მოტივაცია: სსკ-ს 208-ე მუხლის შესამე ნაწილის თანახმად, თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს, მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

6 ნოემბერი

გიორგი ჯიშკარიანი ბადრი კაპეტივაძის, დავით ლიკლიკაძისა და ელისო კილაძის წინააღმდეგ

სარჩელი: გიორგი ჯიშკარიანმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ტელეკომპანია „რიონის“ პრეზიდენტის ბადრი კაპეტივაძის და ჟურნალისტების – დავით ლიკლიკაძისა და ელისო კილაძის წინააღმდეგ.

მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხეები აღიანსში იყენენ შპს „ნათიას“ ყოფილ დირექტორთან ნათელა კუპრეიშვილთან (ის ბადრი კაპეტივაძის ახლო ნათესავია) და ამავე საზოგადოების გენერალურ დირექტორთან, იმ ხანად ძებნაში მყოფ გივი ვანიშვილთან და შპს "ნათიას" მენაბრეებისა და პირადად გიორგი ჯიშკარიანის წინააღმდეგ საზღვარგადაცილებულ საინფორმაციო ომს აწარმოებდნენ.

სარჩელის საფუძვლად ჯიშკარიანმა მიუთითა 2000 წლის დეკემბერში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერით გადაცემული სამი სიუჟეტი, რომელიც მისი აზრით, ტენდენციურად დამონტაჟებული და გაყალბებული იყო. სახელდობრ, ტელეეთერით აჩვენეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური კომიტეტის მიერ დაწესებული იურიდიულ პირთა რეგისტრაციის ფორმის პირველი გვერდი, სადაც მე-11 კოდის გასწვრივ ეწერა მოსარჩლის სახელი, გვარი და მამის სახელი. დავით ლიკლიკაძის განმარტებით, მოსარჩლეს შპს „ნათიას“ ხელმძღვანელისთვის განკუთვნილ გრაფაში მითითებული ჰქონდა საკუთარი გვარი. ტელესიუჟეტის მიხედვით, ჟურნალისტებს სურდათ დაემტკიცებინათ, რომ მოსარჩლე შპს „ნათიას“ ხელმძღვანელი იყო და ამ თანამდებობის უარყოფა მას ხსენებულ შპს-ში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისაგან პასუხისმგებლობის ასაცილებლად

სჭირდებოდა. მოსარჩლის მტკიცებით, აღნიშნული ფორმა მას არ შეუვსია, თავად ამ ფორმის მეორე გვერდზე კი ხელმძღვანელისთვის განკუთვნილ გრაფას ხელს აწერდა იმ დროისათვის გარდაცვლილი ა. ხუროძე. გიორგი ჯიშკარიანის აზრით, სწორედ ფორმის ეს გვერდი არ აჩვენა შეგნებულად ტელეკომპანიამ მაყურებელს.

მოსარჩლემ მიუთითა 2 მარტს „რიონის“ ეთერით გაშუქებულ მეორე სიუჟეტზეც, რომელიც ასევე ტენდენციურად, ყალბად და პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნია. სახელდობრ, საინფორმაციო ბლოკში პროგრამის ნამყვანმა განაცხადა, რომ: „ქუთაისის სასამართლოში გრძელდება შპს „ნათიას“ საქმის განხილვა, ჯერჯერობით ჩვენმა გადამღებმა ჯგუფმა სასამართლო დარბაზში შესვლა ვერ მოახერხა, კუროიზია, მაგრამ ფაქტია, რომ დარბაზში ყურნალისტებს მხოლოდ დავით ჯიშკარიანის (იგივე გიორგი ჯიშკარიანი – რედ.) და მისი მხარდამჭერი ქალბატონების ნებართვით უშვებენ, ტ/კ „რიონი“ კი ამ „სიმპათიას“ ჯერ არ იმსახურებს.

ჯიშკარიანი და ავანტიურისტთა ერთი ჯგუფი დღემდე დაჟინებით ამტკიცებს, რომ შპს „ნათიას“ მოლარე, ნათელა კუპრეიშვილი დამნაშავეა და ამას სასამართლო დაადასტურებს.

პარადოქსია, მაგრამ თუ ნათელა კუპრეიშვილს დანაშაული უმტკიცდება, ყურნალისტები დარბაზში ამ ფაქტის დასაფიქსირებლად მინც უნდა შეუშვან. ჩვენ ჩვენის მხრივ გვანტიერებს, ვინ მართავს პროცესს მოსამართლე თუ დავით ჯიშკარიანი?”

მოსარჩლის განცხადებით, ეს იყო აშკარა ცილისწამება, მიმართული სიმართლის, ობიექტურობისა და დაზარალებულ მენაბრეთა წინააღმდეგ, რადგან მას არ ჰქონია სასამართლო პროცესის მართვის არც სურვილი და არც საშუალება. გიორგი ჯიშკარიანმა პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნია ასევე მისი ავანტიურისტად მოხსენიება.

მოსარჩლემ მოითხოვა ბადრი კაპეტივაძის, დავით ლიკლიკაძისა და ელისო კილაძის მიერ მის შესახებ გავრცელებული ცილისწამებლური განცხადებების უარყოფა ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემის მეშვეობით და მისთვის ბოდიშის მოხდა; ასევე ერთსაათიანი საეთერო დროის მიცემა, საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

დავით ლიკლიკაძემ სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ მან არ იცოდა იმის შესახებ, რომ ტელევიზიით ნაჩვენები სარეგისტრაციო ბარათი მოსარჩლის ხელით შევსებული არ იყო. ხელწერის გაყალბების დადასტურების შემთხვევაში, მოპასუხემ გამოთქვა მზადყოფნა, ეცნო სარჩელი და ბოდიშიც მოეხადა.

გადანწყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ვ. სა-

ჯაია) დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხეებს დაევაღათ ცილისმნამებლური, გიორგი ჯიშკარიანის შეურაცხმყოფელი და მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და ბოდიშის მოხდა; ტელეკომპანია „რიონის“ ხელმძღვანელობას კი – გავრცელებული ცილისმნამებლური და ყალბი ბრალდებების გასაქარწყლებლად, მოსარჩლისათვის ერთსაათიანი დროის გამოყოფა.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებლობის თანახმად, მტკიცების ტვირთი – შეესაბამება თუ არა გავრცელებული ცნობები სინამდვილეს – მოპასუხეს ეკისრება. მოპასუხე დავით ლიკლიკაძემ კი ვერ დაადასტურა მისი თანავეტორობით მომზადებულ სიუჟეტში ასახული ფაქტების რეალობა. მოპასუხე მხარემ სასამართლოს ვერც ტელესიუჟეტში ნაჩვენები, მოსარჩლის ხელმოწერილი ფორმა წარუდგინა და ვერც ის დაამტკიცა, იყო თუ არა გიორგი ჯიშკარიანი როდესმე შპს „ნათიას“ დირექტორი.

სასამართლოს აზრით, დაირღვა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ურუნალისტი მოვალეა, „შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა“. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს, მიმართოს საინფორმაციო საშუალებას პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალის უარყოფის თხოვნით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა მოსარჩლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 18 მუხლით.

7 ნოემბერი

**ზაირა ფაცურია „მართალი გაზეთის“,
„საქართველოს რესპუბლიკის“, თამარ ბერძენიშვილისა
და დავით ქაქუთიას წინააღმდეგ**

სარჩელი: 2001 წლის 24 ივლისს ზაირა ფაცურიამ სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს „მართალი გაზეთის“, „საქართველოს რესპუბლიკის“ და „მართალი გაზეთის“ კორესპონდენტების – თამარ ბერძენიშვილისა და დავით ქაქუთიას წინააღმდეგ.

სადავო გახდა სტატია, სათაურით „რატომ უნდა დაიბრალოს თენგიზ სიჭი-

ნავამ ფაცურიას მკვლელობა, როცა იგი მას არ მოუკლავს.“ პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ ზაირა ფაცურია დანაშაულისაკენ უბიძგებდა საკუთარ შვილსა და მის მეგობრებს და რომ ის არის საკუთარი შვილის, ვანო ფაცურიას სიკვდილის მიზეზი და მის კისერზეა უამრავი სხვა ადამიანის სისხლი და ცრემლი:

„ნათუ ის და მისი მსგავსი კალმონები ერთხელ მაინც არ შეძრწუნებულან იმ საშინელებებით, რაც ფაცურიების ოჯახის წევრმა გოჩა ფაცურამ დაატრიალა, ამ საშინელებების ეპიცენტრში კი თითქმის ყოველთვის ქალბატონი ზაირა იდგა, რომელსაც იმის ნაცვლად, რომ თავისი შვილი და შვილის მეგობრები დროზე გაერიდებინა სისასტიკის, ყაჩაღობის, კაცის კელის მიუტყეველი ცოდვისგან, ხშირად თვითონ ევლინებოდა მათ ყოველივე ამის წამქეზებლად და ხელის შემწყობად.

ჩვენ ამჯერად თავს შევიკავებთ იმ დანაშაულობათა ჩამოთვლისაგან, რომელთა უშუალო მონაწილეც ბრძანდება ქალბატონი ზაირა... მაგრამ ისიც არ შეიძლება, შენი მწუხარებით და ტრაგედიით სხვებს გაუმწარო ცხოვრება.

ფაცურიების ოჯახის უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ავტომობილი თუ სხვა იარაღი ამ ოჯახის განუყოფელ ატრიბუტად და „სამუშაო საშუალებად“ იქცა. აი, მაშინ უნდა აეტეხა ქალბატონ ზაირას განგაში, მაშინ უნდა გადაფარებოდა თავის შვილებს და თავის ოჯახს, რომ კარს მომდგარი ბოროტებისაგან დაეცვა. ის კი პირიქით მოიქცა და საბედისწერო შედეგებამაც არ დააყოვნა: – უდანაშაულო ადამიანების გვამები, აწიოკებული ოჯახები, სისხლი და ცრემლები და ბოლოს 19 წლის ვანო ფაცურია, რომელიც ამ გაუთავებელი სისასტიკის მსხვერპლი გახდა...”

მოსარჩლის განცხადებით, ხსენებული სტატია შეიცავს ცნობებს, რომლებიც ფეხქვეშ თელავს მის პიროვნულ ღირებულებებს, უსამართლოდ სერის მას ცუდი ყოფაქცევის ლაფში როგორც ქალს, დედას, მეუღლეს და საზოგადოების სრულფასოვან წევრს, ლახავს მის პატივსა და ღირსებას, რამაც გამოიწვია მისი ფსიქიკის რღვევა და ფიზიკური დაუძლურება.

მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებებითა და იმავე ფორმით, რა ფორმითაც მოხდა მათი გავრცელება.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარმა რედაქტორმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რედაქციამ ხსენებული პუბლიკაციის შემოკლებული ვარიანტი „მართალი გაზეთიდან“ გადმობეჭდა. თუ სტატია ქალბატონ ზაირა ფაცურიას პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს შეიცავდა, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის აზრით, პასუხისმგებლობა მის გავრცელებაზე პუბლიკაციის ავტორებს უნდა დაკისრებოდათ.

სარჩელი არც „მართალი გაზეთის“ და მისი კორესპონდენტების თამარ ბერძე-

ნიშვილისა და დავით ქაქუთიას წარმომადგენელმა ცნო და განმარტა, რომ სტატის გამოქვეყნების დროს ჟურნალისტებმა იხელმძღვანელეს თ. სიჭინავას განცხადებით, 1998-2001 წწ-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით, *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 და 21 მუხლებით* და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმებით. მოპასუხეთა განცხადებით, მათ გაითვალისწინეს თ. სიჭინავას მოთხოვნა, რომელსაც ზაირა ფაცურია მისი შვილის მკვლელობაში ადანაშაულებდა და სადავო პუბლიკაციის გამოქვეყნებით განახორციელეს სიჭინავას კანონიერი, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების – მისთვის უკიდურესად შეურაცხმყოფელი ინფორმაციის უარყოფა – რეალიზაცია. „მართალი გაზეთის“ წარმომადგენლის განცხადებით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-7, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და მე-8 მუხლების თანახმად, ბრალის დადასტურების გარეშე, არაეის აქვს უფლება, თ. სიჭინავას მკვლელი უწოდოს; *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 28-ე მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად* კი, შეუძლებელია გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფა მოპასუხეების სურვილის შემთხვევაშიც კი, ვიდრე არ მოხდება სახელმწიფო ორგანოების იმ ოფიციალური ინფორმაციის უარყოფა, რის საფუძველზეც მომზადდა სადავო პუბლიკაცია. აღნიშნული გარემოება, „მართალი გაზეთის“ წარმომადგენლის აზრით, ამავდროულად არის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უპირობო და აბსოლუტური საფუძველი, რადგან *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში უპირატესი იურიდიული ძალა აქვს.*

გადანყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ნ. ზარქუა) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხეებს დაევალათ სტატის იმ ნაწილის უარყოფა, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულში მოსარჩლის მონაწილეობას და ნამქვებლობას ეხებოდა.

მოტივაცია: სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 28-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად*, შეუძლებელია გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფა, ვიდრე სახელმწიფო ორგანოები არ უარყოფენ იმ ოფიციალურ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით და რის საფუძველზეც მომზადდა სადავო ინფორმაცია. სასამართლომ არც ის მოსაზრება გაიზიარა, რომ აღნიშნული გარემოება მოპასუხეთა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უპირობო და აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, რადგან მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები – შს მინისტრის წერილი

საქართველოს გენ. პროკურორის სახელზე და გამომძიებელ გ. გვარამიას ხელმოწერილი ე.წ. ცნობა ინფორმაციული ხასიათის იყო. სასამართლოს შეფასებით, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ არის დადგენილი და ვერც დადგინდება მოსარჩლის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რადგან ეს მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება დადგინდეს, რაც მოცემულ ეტაპზე სახეზე არ არის. გამომძიებელ გვარამიას ცნობა, სასამართლოს აზრით, შეიცავს ვარაუდს ზ. ფაცურიას მიერ სსკ-ის 17-105-ით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესახებ. სადავო სტატიაში კი გამომძიებლის პოზიცია აისახა არა როგორც ვარაუდი, არამედ როგორც ფაქტი. ეს კი, სასამართლოს შეფასებით, არის საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული უფლების დარღვევა, რადგან ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, ვიდრე კანონით დადგენილი წესით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა.

სასამართლოს აზრით, მოპასუხემ ასევე არასწორად მოუხმო პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 25-ე მუხლს, რადგან მოპასუხემ არასწორად გაიგო და გამოაქვეყნა მოსარჩლის შესახებ სახელმწიფო ორგანოში არსებული ინფორმაცია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ ცნობების გამეორცელებელი ვერ დაამტკიცებს გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობას, პირს უფლება აქვს, მოითხოვოს იმ ინფორმაციის უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, პირადი ცხოვრების საიდუმლოსა და პირად ხელშეუხებლობას. სასამართლომ ასევე მოიშველია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფა უნდა მოხდეს იმავე საშუალებებით.

„საქართველოს რესპუბლიკის“ შემთხვევაში სასამართლომ მოსარჩლის პრეტენზიები უსაფუძვლოდ ჩათვალა, რადგან გაზეთმა „მართალი გაზეთის“ პუბლიკაცია შემოკლებული სახით გადმობეჭდა და ის, სასამართლოს აზრით, არ შეიცავდა ზ. ფაცურიას კონსტიტუციით მინიჭებული მოქალაქეობრივი უფლებების შემლახველ ცნობებს⁷.

9 ნოემბერი

⁷ თუმცა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გადმობეჭდილი შემოკლებული ვარიანტიც შეიცავდა ბრალდებებს მოსარჩლის მიმართ (რედ.).

კონსტანტინე ნურალოვი „ანარეკლის“ წინააღმდეგ

სარჩელი: კონსტანტინე ნურალოვმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გაზეთ „ანარეკლის“ რედაქტორის დარეჯან გაბუნიას, ჟურნალისტების – ეთერ ნაცვლიშვილისა და ალექსანდრე გოგებაშვილის წინააღმდეგ. მოსარჩლემ მიუთითა გაზეთ „ანარეკლში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე, სათაურით „მკვლელობა ბალახვანში“, რომლის ავტორები იყვნენ ეთერ ნაცვლიშვილი და ალექსანდრე გოგებაშვილი და რომელიც მოსარჩლის ბებუის ზოია კლუჩნიკოვა-თვალაძის მკვლელობას შეეხებოდა.

სტატიის თანახმად, მოსარჩლემ და გია ნემსაძემ ზუსტად იცოდნენ, თუ რა მოხდა თვალავაძეების ოჯახში. კონსტანტინე ნურალოვის აზრით, ხსენებული ინფორმაციის გავრცელებით შეილახა მისი რეპუტაცია, რის გამოც მან მოპასუხეებისაგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლომ მხარეებს საქმის მორიგებით დასრულება შესთავაზა, რასაც ისინი დაეთანხმნენ.

დადგენილება: სასამართლომ (მოსამართლე – გ. კვირიკაშვილი) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომლის თანახმად, მორიგების აქტის შედგენიდან ორი კვირის ვადაში ეთერ ნაცვლიშვილი გაზეთ „ანარეკლში“ გამოაქვეყნებდა სტატიას, სადაც აღნიშნული იქნებოდა:

„ვინაიდან ნურალოვი თვლის, რომ 2001 წლის 9 აგვისტოს გაზეთ „ანარეკლში“ გამოქვეყნებული სტატიის ბოლო ფრაზამ მას მიაყენა მორალური ზიანი, რაც სასამართლო მსჯელობის საკითხიც კი გახდა, მე მოვიხდი ბოდიშს“.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 208-ე და 209-ე მუხლებით.

14 ნოემბერი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „პური არსობისას“ წინააღმდეგ

სარჩელი: ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მომხმარებელთა დაცვის ასოციაციამ და განმარტა, რომ ის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს წარმოებისა და მომსახურების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონტროლს, ატარებს დამოუკი-

დებელ ექსპერტიზას და გამოვლენილ დარღვევებს რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოებს გადასცემს. მოსარჩლის განცხადებით, ამის გამო ბევრი უპატიოსნო მენარმე და ბიზნესმენი მათ მიმართ ცილისწამებას მიმართავს და ცდილობს, ჩირქი მოსცხოს ასოციაციას.

ერთ-ერთ ასეთ საწარმოდ მოსარჩლემ სააქციო საზოგადოება „პური არსობისა“ – მე-6 პურის ქარხანა (გენერალური დირექტორი – ვ. კვინიხიძე) დაასახელა, რომელიც, მისი მტკიცებით, სხვადასხვა დროს მომხმარებელთა მოტყუებაში, უხარისხო, წონადაკლებული, ინფიცირებული პურის გამოშვებაში და დოკუმენტაციის არასწორ გაფორმებაში იყო მხილებული. ასოციაციის პრეზიდენტის ა. მამულაშვილის ცნობით, ერთ-ერთი ასეთი დარღვევის ამსახველი მასალა 1998 წლის მარტში ანტირეკლამის სახით გადაეცა ჟურნალ „სარკეს“, სადაც გამოქვეყნდა სტატია „მუჭანაბეგარა პურის მცხობელი“. სტატია ასახავდა მე-6 პურის ქარხანაში არსებულ დარღვევებსა და აქედან გამომდინარე შედეგებს.

„სარკის“ ერთ-ერთ მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა ქარხნის დირექტორის, ვ. კვინიხიძის საპასუხო სტატია, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:

„პატ. რედაქცია, როგორ ფიქრობთ, ღირს კი ცინიზმით აღსავსე ჩვენი გაქილიკება ისეთი საზოგადოების გულის გახარებისათვის, როგორცაა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება, რომელსაც მეწარმეებიდან ფულის გამოძალვის მცდელობის მეტი არაფერი უკეთებია და რომელიც, როგორც ავთესებიანი სიმსივნე, ისე ღრღნის მეწარმეებსა და მთლიანად საზოგადოებას.“

მოსარჩლემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა ნუცუბიძის პლატოს II მ/რ-სა და ყაზბეგის ქუჩაზე მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების შესახებ, რომელშიც დასახელებული იყო მე-6 პურის ქარხნის მიერ წონის ნაკლოვანებით და დასწეულებული ფქვილით გამომცხვარი პურის რეალიზაციის ფაქტები. მოსარჩლის ცნობით, ამ შემთხვევების შესწავლის მიზნით ჩატარებულმა ექსპერტიზამ პურპროდუქტების სახელმწიფო ინსპექციის ექსპერტებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით, დაადასტურა დარღვევის ფაქტები. ხსენებული კომისიის წარმომადგენლები ვ. კვინიხიძემ ქარხნის ტერიტორიიდან გაყარა. მომხდართან დაკავშირებით „დილის გაზეთისათვის“ მიცემულ ინტერვიუში კვინიხიძემ კომისიის წევრების გაყრის ფაქტი ასე ახსნა: „ფულის გასაკეთებლად შევიდა მასთან და კიდევაც მიიღო თავისიო“. მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხემ ცილისწამებლურად მოსცხო ჩირქი ა. მამულაშვილის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას სხვა საინფორმაციო საშუალებებითაც („ახალი თაობა“, „დრონი“, ტელევიზიის I არხი, პროგრამები „50/50“-ზე და „ალიონი“).

ა. მამულაშვილმა მოითხოვა, გამოვლენილი დარღვევების გამო, მოსარჩლეზე გავრცელებულიყო ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სისხლის სა-

მართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციები; მოპასუხეს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოეხდინა ასოციაციისა და მისი პრეზიდენტის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა.

გადაწყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე - თ. ტაბატაძე) დააკმაყოფილა სარჩელი და დაავალა ვ. კვინიხიძეს მის მიერ გავრცელებული ასოციაციის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა იმ საშუალებებით, რომლებითაც მოხდა მათი გავრცელება.

მოტივაცია: სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. საქმეში არსებული მასალებისა და მონშეთა დაკითხვის საფუძველზე სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მოსარჩლის მიერ გატარებული ღონისძიებები უფლებამოსილების ფარგლებს არ სცილდებოდა, რაც იურიდიულად ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას.

სასამართლოს აზრით, მოსარჩლის მიმართ ნახმარი „ეპითეტები“ (*გამომძალველი, ავთვისებიანი სიმსივნე, უზნეო და უკანონო თარეში*) სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და ლახავს მის პატივსა და ღირსებას, ამავდროულად აკნინებს ამ უკანასკნელის საქმიან რეპუტაციას საზოგადოების თვალში.

II დაუსწრებელი გადაწყვეტილება: მოსამართლე თ. ტაბატაძემ, 2001 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, ძალაში დატოვა მის მიერ გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მოტივაცია: 1999 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა. ხსენებული საჩივარი, 2000 წლის 17 იანვრის განჩინებით, დაუშვებლად მიიჩნია სასამართლომ, რაზეც მოპასუხემ კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს. საქმის მასალები გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომელმაც რაიონული სასამართლოს 17 იანვრის განჩინება გააუქმა და მოპასუხის საჩივარი განხილვას დაექვემდებარა.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელმაც მიმართა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის მოთხოვნით.

განჩინება: მოსამართლე თ. ტაბატაძემ არ დააკმაყოფილა ვ. კვინიხიძის განცხადება აღსრულების შეჩერების შესახებ იმ მოტივით, რომ მას გადაწყვეტილების ასლი არ ჩაბარებია და ამავდროულად მოცემულ მომენტში ის აღარ მუშაობდა სს „პური არსობისას“ დირექტორად.

მოტივაცია: მოსამართლის აზრით, განმცხადებლის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, რადგან ის არ მიუთითებს, თუ რომელ კანონზე ამყარებს თავის მოთხოვნას.

ნას. სასამართლოს შეფასებით, განცხადება მიზნად ისახავს გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებას და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

15 ნოემბერი

მანანა არჩვაძე-გამსახურდია „შანსი“-ის, ბონდო ქურდაძისა და გოგიტა მელიქიძის წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 18 დეკემბერს მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს გაზეთ „შანსი“-ის, გაზეთის რედაქტორის ბონდო ქურდაძისა და ჟურნალისტ გოგიტა მელიქიძის წინააღმდეგ.

მოსარჩლემ სარჩელის საფუძველად მიუთითა გაზეთ „შანსი“-ში გამოქვეყნებულ გოგიტა მელიქიძის პასკვილზე „პრეზიდენტის წაქცეული კელაპტარი“ და მოუხმო ჟურნალისტის ისეთ გამონათქვამებს, როგორცაა:

„...ამეების გამო ჩვენთან სტუმრობა მიუსაჯესო“,

„შეშინებულ-დათრგუნული ახალმოსულები“,

„...რომ ვაჟკაცი ბუნების მქონე მამის ერთადერთი ძე არც ცხენით ჯირითს ელტვოდა, არც ნადირობას და არც რამ „სავაჟკაცო საქმეს“,

„ბეჩავი კონსტანტინე, გაკრულ ბაღლ ჰყოლია“,

„...ბაბუშკების მიერ გერგეტის სამებაში დასვენებული ხატების გამო დისიდენტი გამსახურდია დიდად აღშფოთდა, – ქართულ სალოცავში რუსული ხატების დასვენება ვინ გაიგოო, – შემოუძახა თავის ერთგულ ახალგაზრდებს და ხატებს წედნენ. ბიჭებს ხატები ტაძრიდან წინა ოთახში გაუმართავე რუსული სიტყვების ბურღლუნით გამოჰქონდათ, თვითონ კი გამართული რუსულით ქადაგებდა“,

„მოხვევთა ერთ ნაწილს მისი „ურაპატრიოტული“ სიტყვები და სამების ტაძრიდან გამოყრილი ხატები ცუდად ენიშნა“,

„...კრემლის წინააღმდეგ მებრძოლი ცნობილი დისიდენტი ტრუსის ამარა დერეფანში გამოვარდნილიყო, უცხო ხალხის დანახვაზე დერეფანში, ასე კენტად მყოფი, თავისი სიმბდალისა და უცნაური „ნარიადის“ გამო სასწრაფოდ უკან შებრუნდა“,

„ზვიადის მშობრობის შესახებ მასთან დაახლოებული პირები უამრავ მაგალიტს ასახელებენ“,

„გამსახურდია „ინტურისტს“, უკვე როგორც საქართველოს პრეზიდენტი ისე

ენჯია და როდესაც იგი ხალხით გაჭედული დახვდა, ოპერატიულად გაათავისუფლებინა პრეზიდენტის, მისი ახლობლებისა და მათი დაცვისათვის. ბავშვიან დედებს შენობა ისეთი ფორმით დაატოვებინეს, რომ იქ შემსწრე მოხევეები აღშოთებულნი დარჩნენ“.

„კინწისკერით გამოყრილი დამსვენებლები... ფაცხაფუცხით გაცვივდნენ“, „ისე დაეშვა, რომ იქიდან პრეზიდენტი ერთი წუთითაც არ გადმოსულა... დაეშვა სამუდამოდ და უკანასკნელად“.

მოსარჩლის განცხადებით, აღნიშნული პუბლიკაციით შეილახა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პატივი და ღირსება, სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე კი, არჩვადე-გამსახურდიას შეუძლია მისი სახელოვანი მეუღლის ღირსების დაცვა. პუბლიკაციით ასევე შეილახა თავად მოსარჩლის სახელი, პატივი და ღირსება, მანვე განიცადა მორალური ზიანიც, რაც „ფსიქოლოგიური ზიანის“ იდენტურია და მოსარჩლისვე განმარტებით, გულისხმობს „ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას“, რაც უმეტესად არამატერიალური სიკეთის ხელყოფაში გამოიხატება. მანანა არჩვადე-გამსახურდიამ მოითხოვა გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფა, ყურნალისტ გოგიტა მელიქიძისათვის – 400 ათასი ლარის, ხოლო გაზეთისათვის 200 ათასი ლარის დაკისრება და გაზეთ „შანსი +“-ის საქმიანობის აკრძალვა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ პუბლიკაცია არ შეიცავდა ზვიად გამსახურდიასა და მისი ოჯახის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. ამასთანავე, მოპასუხეებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს მიყენებული ზიანისათვის 600 ათასი ლარის მოთხოვნა, რადგან სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, სიკვდილის შემდეგ მორალური ზიანისათვის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია.

გადანყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლეები – მ. ჯიყაშვილი, მ. ლიბრაძე, დ. თოდრაძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი.

ყურნალისტ გოგიტა მიქელაძეს დაევალა ზვიად გამსახურდიას პატივის შემლახველი ცნობების უარყოფა შემდეგი ფორმით:

1. „გერგეტის სამებაში დასვენებული ხატების გამო დისიდენტი გამსახურდია დიდად აღშფოთდა, – ქართულ სალოცავში რუსული ხატების დასვენება ვინ გაიგოო, – შემოუძახა თავის ერთგულ ახალგაზრდებს და ხატებს წვდნენ“.

2. მოხევეთა ერთ ნაწილს მისი „ურაპატრიოტული“ სიტყვები და სამების ტაძრიდან გამოყრილი ხატები ცუდად ენიშნა.

3. თავისი სიმხდალისა და უცნაური „ნარიადის“ გამო სასწრაფოდ უკან შებრუნდა... ზვიადის მშობრობის შესახებ მასთან დაახლოებული პირები უამრავ მაგალითს ასახელებენ.

4. პრეზიდენტმა გამსახურდიამ ხალხით გაჭყდილი „ინტურისტი“ ოპერატიულად გაათავისუფლებინა“ არ შეესაბამება სინამდვილეს“.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მორალური ზიანის ანაზღაურებისა და გახეთ „მანსი +“-ის საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნა:

მოტივაცია: საოლქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლზე, რომლის თანახმად, „მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც“.

კოლეგიის აზრით, მანანა არჩვადე-გამსახურდია არის პირი, რომელსაც მისი გარდაცვლილი მეუღლის ზვიად გამსახურდიას სახელისა და ღირსების ასეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელების ინტერესი გააჩნია.

საოლქო სასამართლოს განმარტებით, პატივი და ღირსება პირის პიროვნული მახასიათებელია. ღირსება მისი სუბიექტური შეფასებაა ანუ პირის, საკუთარი თავის მის მიერვე შეფასება, ხოლო პატივი ობიექტური შეფასებაა, ანუ მისი მორალური თუ ეთიკური თვისებების საზოგადოების მხრიდან შეფასება.

გამონათქვამების ნაწილი სასამართლომ არ მიიჩნია ზვიად გამსახურდიას პატივის შემლახველად, თუმცა სარეზოლუციო ნაწილში მითითებული გამონათქვამები ასეთად ჩათვალა. მაგალითად, კოლეგიის აზრით, ზვიად გამსახურდიას პატივის შემლახველია ცნობები მართლმადიდებლური ხატების შეურაცხყოფის შესახებ, რადგან ასეთი ქმედება მართლმადიდებლური ქრისტიანული მრწამსის პიროვნებას უღირს საქციელად ეთვლება. ზვიად გამსახურდიას პიროვნების, როგორც ეროვნული სულისკვეთებისა და პატრიოტული მიზნების მქონე პოლიტიკური მოღვაწის საზოგადოებრივი შეფასება, კოლეგიის განცხადებით, გამოიხატა იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობამ ის დიდი უმრავლესობით აირჩია ქვეყნის პირველ პრეზიდენტად. მოპასუხე კი თავის წერილში შეგნებულად უსვამს ხაზს ზვიად გამსახურდიას ხასიათის სისუსტეს და მთლიანობაში ამძაფრებს აზრს იმის შესახებ, რომ იგი მშობრად იყო. კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მშობრად პიროვნებად მოხსენიება მისი პატივის შემლახველია. პიროვნება, რომელიც საზოგადოების მიერ ქვეყნის, ერის წინამძღოლობის ღირსად იქნა მიჩნეული, არ შეიძლება მშობრად და მხდალად მოიხსენიონ და ასეთი ცნობის გავრცელებით საზოგადოების თვალში დაამცირონ და შელახონ მისი ავტორიტეტი.

ვინაიდან მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს სადავო ცნობების ნამდვილობა, სასამართლომ მათ გავრცელებული ცნობების უარყოფა დაავალა.

კოლეგიამ ჩათვალა, რომ ხსენებულ პუბლიკაციაში არ მოიპოვებოდა ცნობები, რომლებიც უშუალოდ მოსარჩლეს შეეხებოდა და ლახავდა მის პატივსა და ღირსებას. ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი გარდაცვლილი პირის პატივის შელახვის გამო ქონებრივ ანაზღაურებას არ ითვალისწინებს.

კასაცია: მანანა არჩვადე-გამსახურდიამ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენეს სასამართლოს და მოითხოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ მოტივით, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ს მე-4 მუხლი. კასატორის აზრით, საოლქო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ ილახებოდა იმ ქალის პატივი და ღირსება, რომელსაც საზოგადოებაში თავისი ადგილი უჭირავს, ეამყება თავისი სახელოვანი მეუღლე, ხოლო სადავო სტატია კი მთელ ქვეყანას ამცნობდა, რომ ის „ურაპატრიოტის“, „ლაჩრისა“ და ფსიქიურად გაუნონასწორებელი ადამიანის მეუღლე იყო.

არჩვადე-გამსახურდიას მოსაზრებით, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმ ეპიზოდზე, რომლის მიხედვითაც, იგი „ფაცხაფუცხით“ გამოქცეულა ყაზბეგიდან და გერგეტის სამებაში კელაპტრის ყოველ ნაქცევაზე აღელვებული თავს ვერ იკავებდა და „ჰმ“, „ნუ“, „ვაა“-ს გაიძახოდა.

გადაწყვეტილება: უზენესი სასამართლო სამოქალაქო, სამენარმეო და აკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვადე, ლ. გორელაშვილი, რ. ნადირიანი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა მანანა არჩვადე-გამსახურდიას სარჩელი.

საოლქოს მიერ განსაზღვრული გამონათქვამების გარდა, მოპასუხე გოგიტა მელიქიძეს დაევალა კიდევ ერთი ფრაზის უარყოფა. კერძოდ: „ბერავი კონსტანტინე, გაკრულ ბაღლ ჰყოლია“.

დანარჩენ ნაწილში საოლქო სასამართლო გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

მოტივაცია: ის გარემოება, რომ საოლქო სასამართლომ გაზეთში გამოქვეყნებული სადავო პუბლიკაციის ზოგიერთი ფრაზა არ მიიჩნია მოსარჩლის და მისი ოჯახის პატივისა და ღირსების შეურაცხყოფად, პალატის აზრით, არ წარმოადგენს სსკ-ს მე-4 მუხლით დადგენილი შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას.

სადავო პუბლიკაცია მხოლოდ ზვიად გამსახურდიას შეეხება და მის ოჯახთან, მით უმეტეს მეუღლესთან, არავითარი კავშირი არა აქვს. პალატა თვლის, რომ გერგეტის სამებაში კელაპტრის ნაქცევის დროს წამოძახებული „ჰმ“, „ნუ“, „ვაა“ არ შეურაცხყოფს რაიმენაირად არც ქალს და არც მამაკაცს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლზე, რომლითაც აღიარებულია გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, ასევე ადამიანის უფლე-

ბათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე: ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ. პალატამ აღნიშნა, რომ პოლიტიკოსის, სახელმწიფო ხელისუფალის მიმართ მისაღები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირთა მიმართ.

პრესის წინააღმდეგ სანქციის გამოყენება იმისათვის, რომ მან გააკრიტიკა პოლიტიკური მოღვაწე, შელახა მისი პატივი და ღირსება, პალატის აზრით, წარმოადგენს გარკვეულ ცენზურას, რომელმაც შეიძლება დააშინოს იგი და თავი შეაკავებინოს მომავალში კრიტიკული წერილების გამოქვეყნებისაგან. ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუშლის ჟურნალისტებს და პრესას, თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საკითხების საზოგადოებრივ განხილვაში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე. გაზეთის საქმიანობის აკრძალვამ ასევე შეიძლება შეაფერხოს პრესა ინფორმაციის გაცემისა და საზოგადოებრივი ინტერესების დარაჯის ფუნქციის შესრულებისაგან, რაც ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით დაცული პრინციპების უხეში დარღვევა იქნება.

პოლიტიკური თანამდებობის პირებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ანალოგიურად, მათი გარდაცვალების შემდეგ მათი ოჯახის წევრებმა დასაშვებზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამ შემთხვევაში რეპუტაციის დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესით – თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია პოლიტიკოსებსა და საჯარო პირებზე, მაგრამ კრიტიკა უხეშად არ უნდა ხელყოფდეს პირის (მით უმეტეს, გარდაცვლილის) პატივსა და ღირსებას.

პალატის აზრით, პუბლიკაციაში მოყვანილი სიტყვები – „ბერაიე კონსტანტინე, გაკრულ ბალდ ჰყოლია“ – გარკვეულწილად ხელყოფს გარდაცვლილი პრეზიდენტის პატივსა და ღირსებას და ამ ნაწილში სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს განმარტებით, გაზეთის აკრძალვა ხდება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე და შესაძლებელია იმ შემთხვევაში, „თუ დაირღვა კანონი, რითაც ხელი ეწყობა დანაშაულს, საფრთხე ექმნება სახელმწიფო უშიშროებას, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას“. მოსარჩლემ კი ვერ დაასაბუთა, რომ გაზეთმა დაარღვია კანონით განსაზღვრული რომელიმე პირობა.

გარდაცვალების შემდეგ ადამიანი ქრება როგორც პირი, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, მაგრამ რჩება როგორც ადამიანი, პიროვნება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისათვის.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს ადამიანის პიროვნულობის გარკვეულ გამოვლინებებს მისი სიკვდილის შემდეგ. გარდაცვლილის პიროვნების დაცვით ხორციელდება არა მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლების, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესი, ამიტომ კოდექსში არ არის ჩამოთვლილი იმ პირთა წრე, რომლებსაც გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ. ამის უფლება აქვს როგორც გარდაცვლილის მემკვიდრეებს (მეუღლეს), ისე – სხვა პირებს.

სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დაცვას ექვემდებარება გარდაცვლილის პიროვნულობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა სახელი, პატივი, რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, საკუთარ გამოხატულებაზე უფლება. პირადი არაქონებრივი უფლებები მემკვიდრეობით არ გადაიცემა. მემკვიდრის მიერ ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვა და არა გარდაცვლილისაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების დაცვა. მორალური ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლების სუბიექტს.

5 დეკემბერი

დ. კ. თ. კ.-ისა და მ. კ.-ის წინააღმდეგ

სარჩელი: დ. კ.-მ სარჩელით მიმართა ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თ. კ.-სა და მ. კ.-ს წინააღმდეგ და სარჩელის საფუძველად მოპასუხეების მიერ მის მიმართ გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები დაასახელა.

მოსარჩლის განცხადებით, თ. კ.-მ და მ. კ.-მ, მეზობლებისა და მისი ოჯახის წევრების თანდასწრებით, უწოდეს მას ჰომოსექსუალისტი, რომელსაც ოთხი სტუდენტი ბიჭი ჰყავს და მათთან გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს ამყარებს. მოპასუხეებმა გათახსირებული უწოდეს ან გარდაცვილ მოსარჩლის დედასაც, რომელიც თითქოს უამრავ მამაკაცთან ამყარებდა სქესობრივ კავშირს და ისიც კი გაურკვეველია, თუ ვისი შვილია საერთოდ დ. კ.

მოსარჩლის განცხადებით, ამ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის შედეგად მას გაუმწვავდა ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებით საკუთარ ვაჟთან, რადგანაც მოპასუხეები მისი მძახლები არიან. ოჯახის წევრები დ. კ.-

სგან სიმართლის დამტკიცებას მოითხოვდნენ. ის იძულებული გახდა, გაენწყვიტა მათთან ურთიერთობა.

დ. კ.-ს მტკიცებით, მოპასუხეების მოქმედებით ზიანი მიადგა არა მარტო მის პატივსა და ღირსებას, არამედ საქმიან რეპუტაციასაც, რადგანაც ის 26 წელია ერთსა და იმავე ადგილზე მუშაობს პედაგოგად. მოპასუხეთა ქმედების შედეგად, დ. კ.-ს განცხადებით, დაირღვა მისი არაქონებრივი უფლება, ზარალი მიადგა მის არამატერიალურ სიკეთეს, რამაც ფიზიკური ტანჯვა და ზნეობრივი განცდები მიაყენა მას. შედეგად გაუარესდა მოსარჩლის ჯანმრთელობა, რის დასტურადაც ამ უკანასკნელმა სასამართლოს ექიმის მიერ გაცემული ავადმყოფობის ისტორია წარუდგინა.

მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 5 ათასი ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება: მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, მოსამართლე ქ. ბახტაძემ საქმე განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ს 275-ე მუხლით.

6 დეკემბერი

თბილისის შს მთავარი სამმართველო ია დანელიას წინააღმდეგ

სარჩელი: ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსმა სოსო ალავიძემ 2001 წლის 26 ივლისს თბილისის შს მთავარი სამმართველოს სახელით დიდუბე-ჩულურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა. მოსარჩლის განცხადებით, გაზეთ „ალიაში“ (2001 წლის 7-8 ივლისი) გამოქვეყნებული ია დანელიას პუბლიკაციით – „ქართველ პოლიციელთა ახალი ფოკუსი“ – შეილახა მისდამი დაქვემდებარებული სამსახურისა და ამ სამსახურის ხელმძღვანელობის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

სტატია, რომელიც, სოსო ალავიძის აზრით, შს ორგანოების და მათი ხელმძღვანელების დისკრედიტაციას, ქართული პოლიციისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულების გაღრმავებას ისახავდა მიზნად, შეიცავდა სინამდვილესთან შეუსაბამო „პოზიციებს“. სახელდობრ, მოსარჩლემ მიუთითა ჟურნალისტის სამ პოზიციაზე:

1. „მეორე კვირაა, პოლიციაში რეიდების ახალი სისტემა შეიმუშავა. მეტი ორი-გინაღურობისათვის რეიდები ეწყობა არა ტრადიციულ, ცენტრალურ მაგისტრალებზე, არამედ პატარა ქუჩებში, შესახვევებში, ჩიხებსა და ლამის ყველა მრავალსართულიანი შენობის წინ. ასეთ ადგილებში პოლიციის კორდონები 20 წელია არავის ახსოვს“.

2. ჟურნალისტი აცხადებს, რომ პოლიციის მიერ ამოღებული ყველა იარაღი არ ფორმდება სათანადოდ და იმონებს ადვოკატ თემურ თევდორაშვილის სიტყვებს: „პოლიციაში ვითომ ოფიციალურად ფორმდება ამოღებული უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი. ადვოკატს, კანონის თანახმად, უფლება აქვს, თვალი გაადევნოს ამა თუ იმ იარაღის მოძრაობას, მაგრამ, როგორც წესი, ეს არ ხდება. წარმოიდგინეთ ორშაბათს და ოთხშაბათს მყავდა 2 კლიენტი (გვარებს მათივე თხოვნით ადვოკატი არ ასახელებს), ერთი ვერაზე, ერთიც საბურთალოზეა დაკავებული. ორივეს აბრალებენ ერთი და იგივე ნომრის „ბერეტას“ უკანონო ტარებას“.

3. „პოლიციაში ყოველთვის მოიპოვება უპატრონო იარაღის არც თუ მცირე რაოდენობა. უპატრონო იარაღი იმიტომ არსებობს, რომ მას ოდესღაც გამოუჩნდეს პატრონი. იარაღის შექენის მსურველებს რა გამოლევს საქართველოში, პოდა, პოლიციაც, შეძლებისდაგვარად, ყიდის ამოღებულ იარაღს, მაგრამ ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება. ამოღებული იარაღის გარკვეული რაოდენობა აუცილებლად ფორმდება. გარდა ამისა, ასეთი ერთი-ორი იარაღი ყოველთვის აქვთ რეიდზე მდგომ პოლიციელებს. ისინი, ჩვეულებრივ, რეიდზე გაჩერებული მძღოლების მანქანებში „აღმოჩნდება“ ხოლმე“...

მოსარჩლის განცხადებით, ჟურნალისტი ია დანელიას „ანტიკონსტიტუციურმა და ანტიადამიანურმა ქმედებამ“ თავად სოსო ალავიძესა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურის წარმომადგენლებს მიაყენა მორალური და სულიერი ტკივილი, რაც პიროვნული ღირსების, პატივის და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგია.

საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის და პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, სოსო ალავიძემ მოითხოვა ჟურნალისტი ია დანელიას წინააღმდეგ სარჩელის მიღება და განხილვა. მოსარჩლემ მოპასუხისაგან ასევე მოითხოვა სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, იმავე გაზეთის მეშვეობით გავრცელებული ცნობების უარყოფა.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩლე მხარე, რის გამოც მოპასუხემ დააყენა შუამდგომლობა საქმის განუხილველად დატოვების შესახებ.

გადაწყვეტილება: სასამართლოს (მოსამართლე – ნ. კვანტალიანი) გადაწყვეტილებით, საქმე განუხილველი დარჩა.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ს 275-ე მუხლის „გ“ პუნქტით, რომლის თანახმად: „სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ: სასამართლო სხდომაზე მოსარჩლე არ გამოცხადდა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელის განუხილველად დატოვებისა.“

17 დეკემბერი

რომან კვაჭაძე „ლანჩუთი Plus“- ის, ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისას წარმოიშვა სასამართლო დავა რეგიონალურ გაზეთ „ლანჩუთი Plus“- სა და წინა მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატსა და იმჟამად დეპუტატობის კანდიდატ რომან კვაჭაძეს შორის. რომან კვაჭაძემ სარჩელით მიმართა ლანჩუთის რაიონულ სასამართლოს გაზეთის მესაკუთრეების – ქეთევან და ზაზა ნაკაშიძეების წინააღმდეგ.

დავის საფუძველი გახდა ინფორმაცია, რომელშიც დაცული ტერიტორიების შესახებ კანონპროექტში ლანჩუთელებისათვის არასასურველი ცვლილებების შეტანის მცდელობაზე იყო საუბარი. მართალია, ინფორმაციაში ლანჩუთის მაჟორიტარი დეპუტატი მოხსენიებული არ ყოფილა და მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ მიხეილ სააკაშვილის გარდა, ცვლილებების შეტანისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, მაგრამ ამ ინფორმაციის გამოქვეყნებით თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა რომან კვაჭაძემ, რომელმაც „ლანჩუთის მოამბეში“ დაბეჭდა ლია წერილი „ლანჩუთი Plus“-ის რედაქტორის ქეთევან ნაკაშიძის სახელზე (18 ოქტომბერი). ამ პუბლიკაციას საპასუხო წერილით – „ეჰ, რომან, რომან“ – გამოეხმაურა თავად „ლანჩუთი Plus“ (25 ოქტომბერი), რაც სასამართლო დავის საფუძველი გახდა.

კვაჭაძემ შეურაცხყოფილად ჩათვალა პუბლიკაციაში მოყვანილი ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა:

„კაცი, რომელმაც თავისი თავი დაკარგა;“

„ვინ ხარ შენ და როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა პქვია სახელად;“

„დავიჯერო, სამივე მოსმენის დროს გეძინა?“

„ლანჩხუთში ფეხებს გვეჭრის და პარლამენტში თავსო;“

„ისე ნელა მწიფდება, ვაი, რომ ლანჩხუთს ამდენი დრო არა აქვს, რომ ამ უიმედო პროცესის დასასრულს დაელოდოს;“

„მატყელის საჩეჩად გავიშვა ლანჩხუთმა პარლამენტში?“

„კანონის წაკითხვაც ვერ გისწავლია ერთი რიგითი მოქალაქის დონეზე, გაზეთის წაკითხვა არ გცოდნია კიდე;“

„ამგვარი გამოხტომებისათვის თავში წაუთაქებენ ხოლმე, ჩემო რომან, მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ უშველის შენს გაჭირვებას;“

„ჩვენში ყოველ ნაბიჯვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა.“

მოსარჩლემ ხსენებული სტატია ამომრჩევლებისა და თანამოქალაქეთა თვალში მისი პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებად მიიჩნია, რამაც შედეგი გამოიღო და მან არჩევნები წააგო. რომან კვაჭაძემ მოითხოვა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, ბოდიშის მოხდა და მიუღებელი შემოსავლისათვის (მისი აზრით, ის 1999 წლის არჩევნებზე სწორედ ამ სტატიის გამო არ აირჩიეს) მოპასუხისათვის 25 ათასი ლარის დაკისრება.

ლანჩხუთის რაიონის მოსამართლემ რომან კვაჭაძესთან ახლო ურთიერთობის გამო საქმეს აცილება მისცა და საქმე ჩოხატაურის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა. ჩოხატაურის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ურიდია) ნაწილობრივ დააკმაყოფილა კვაჭაძის სარჩელი და მოპასუხეებს 15 ათასი ლარის სოლიდარულად გადახდასთან ერთად გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და პრესის მეშვეობით კვაჭაძისათვის ბოდიშის მოხდა დააკისრა.

რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება მოპასუხეებმა ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს.

გადანყვეტილება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – ა. შენგელია, თ. სვანიძე, ფ. ბასილაია) დააკმაყოფილა ზაზა და ქეთევან ნაკაშიძეების სააპელაციო საჩივარი და უარი უთხრა რომან კვაჭაძის სარჩელს უსაფუძვლობისა და მოთხოვნის დაუსაბუთებლობის გამო.

მოტივაცია: პალატის აზრით, ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია გადანყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა; დარღვეულია სსკ-ს 394-ე მუხლის „ე“ პუნქტი, რაც გადანყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველმა ინსტანციამ არასწორად გა-

მოიყენა (განმარტა) სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. მან ვერ დაასაბუთა სტატიაში გამოყენებული გამონათქვამებიდან, რომელმაც ფრაზამ შელახა რომან კვაჭაძის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

პალატის აზრით, „ლანჩხუთი Plus“-ში გამოქვეყნებული სტატია მართალია ბევრ კრიტიკულ შეფასებასა და გამონათქვამს შეიცავს ყოფილი პარლამენტარისა და ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის რომან კვაჭაძის მიმართ, მაგრამ ის არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის დარღვევას. რადგანაც ზაზა ნაკაშიძის სტატიაში, საოლქო სასამართლოს აზრით, არსად არის მტკიცება იმის შესახებ, რომ მოსარჩლემ დაარღვია რომელიმე კანონი და მორალური ნორმა, ან ჩაიდინა უღირსი საქციელი.

პალატის განმარტებით, გამონათქვამებში კი არ უნდა იგულისხმებოდეს კანონის, მორალის ნორმების დარღვევის ან უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ ფაქტი, არამედ სინამდვილეს შეუფერებელი ცნობის გამავრცელებელი აზრი. ცნობის გამავრცელებელი ფაქტებისა და სხვა მტკიცებულებების მოშველიებით, პირდაპირი მინიშნებით უნდა ადასტურებდეს კანონის, მორალის ნორმების დარღვევასა და უღირსი საქციელის ჩადენას, რასაც საოლქო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

18 დეკემბერი

P.S. რომან კვაჭაძემ ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა უზენაესმა ინსტანციამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სარჩელი განუხილველი დატოვა.

ვალერიან ბერიკაშვილი ქუთაისის საკრებულოს და ქუთაისის მერიის წინააღმდეგ

სარჩელი: ვალერიან ბერიკაშვილმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა და ქუთაისის მერიის წინააღმდეგ.

სარჩელის საფუძვლად მან მიუთითა საკრებულოსა და მერიის გაზეთ „ახალ ქუთაისში“ გამოქვეყნებულ, მერიისა და საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წერილზე. მოსარჩლის განცხადებით, ხსენებული პუბლიკაცია შეიცავდა უსაფუძვლო ბრალდებებსა და ფაქტებს, რითაც შეილახა მისი ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

2000 წლის 7 მარტს გაზეთ „ახალ ქუთაისში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ფრთხილად! ქალაქის მოსახლეობას ინფორმაციის მსხვერპლად ქცევის საშიშროება ელის“ ნათქვამია:

„ბატონმა ვ. ბერიკაშვილმა ერთ-ერთ პიროვნებას გამოართვა გარკვეული თანხა და დაჰპირდა მას, რომ დანიშნავდა უბნის კომიტეტის თავმჯდომარედ. რა თქმა უნდა, დაპირება დაპირებად დარჩა და ის პიროვნება დღემდე უშედეგოდ ცდილობს კუთვნილი თანხის უკან დაბრუნებას.“

ამავე სტატიაში აღნიშნულია:

„ამ ეტაპზე ბატონ ვ. ბერიკაშვილის მიუნიჭაუზენობას საზღვარი არა აქვს და ვაი მას, ვისაც ზღაპრების კიდევ სჯერა. თავად ბატონ ბერიკაშვილს დენის მოხმარების გადასახადი ვალად აწევს... კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ ქალაქის მოსახლეობას, თავი შეიკავეთ და ლამაზ დაპირებას არ აპყვეთ. ცხვერების ტყაუში გახვეული მგლები ბევრი გვინახავს, მაგრამ არც ამ უკანასკნელთა მსხვერპლნი ყოფილან მცირენი.“

მოსარჩლემ მოპასუხისაგან მოითხოვა გაზეთში გამოქვეყნებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მისთვის 3 ათასი ლარის დაკისრება.

მოპასუხე პროცესზე ორჯერ არ გამოცხადდა, რის გამოც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა.

გადანყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ნ. გავაშელიშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩლის მოთხოვნა:

ქ. ქუთაისის საკრებულოსა და მერიის საქალაქო სამსახურს დაევალებათ მათ საზოგადოებასთან ურთიერთობის საინფორმაციო სამსახურის მიერ „ახალი ქუთაისის“ მეშვეობით გავრცელებული ცნობების იმავე გაზეთის მეშვეობით უარყოფა; ასევე მოსარჩლის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 500 ლარის გადახდა.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, ზემოთ მოყვანილ პირველ ციტატაში მოსარჩლე, ფაქტიურად, თაღლითობაშია დადანაშაულებული, რაც ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, რადგან ვალერიან ბერიკაშვილის მიმართ არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

რაც შეეხება მეორე ბრალდებას, სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩლემ ნარმოადგინა ცნობა იმის თაობაზე, რომ გადახდილი აქვს ელექტროენერგიის გადასახადი 40 ლარის ოდენობით, ასევე არ გააჩნია კომუნალური გადასახადების დავალიანება.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, ზემოხსენებული გარემოებები აშკარად ლახავს მოსარჩლის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

სასამართლომ გაზრდილად მიიჩნია მოსარჩლის მოთხოვნა მორალური ზიანის დაკმაყოფილების თაობაზე და მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ის.

აპელაცია: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ქუთაისის მერიამ. ქუთაისის საოლქო სასამართლომ, 2001 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით, წარმოებაში მიიღო სააპელაციო სარჩელი და დანიშნა საქმის ზეპირი განხილვა. ვალერიან ბერიკაშვილმა კი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა 2 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვალერიან ბერიკაშვილის კერძო საჩივარი და 2001 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით, დაუშვებლად მიიჩნია იგი. ხსენებული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

გადაწყვეტილება: საკასაციო სასამართლო ზეპირი განხილვის გარეშე მივიდა დასკვნამდე, რომ საჩივარი არ უნდა დაიშვას და დარჩეს განუხილველი.

მოტივაცია: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე მხოლოდ ამავე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოტივაცია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, ვალერიან ბერიკაშვილის კერძო საჩივრის დასაშვებად მიჩნევა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

18 დეკემბერი

დემოკრატიული აღორძინების კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია თემურ შაშიაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: დემოკრატიული აღორძინების კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციამ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულის თემურ შაშიაშვილის წინააღმდეგ.

მოსარჩლე მხარემ სარჩელის საფუძვლად მიუთითა 2001 წლის 3 ნოემბერს სატელევიზიო გადაცემაში „გისმენთ პრეზიდენტის რწმუნებული“ და შემდგომში 6 და 13 ნოემბერს ტრადიციულ პრესკონფერენციებზე თემურ შაშიაშვილის მიერ პირდაპირი ეთერით გაკეთებული განცხადებები. ხსენებული განცხადებების თა-

ნახმად, დემოკრატიული აღორძინების კავშირში არის უზნეო პიროვნება, რომელიც ქონების გაყოფის მიზეზით საკუთარ შვილს უჩივის. მოსარჩლის განცხადებით, მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, დაესახელებინა ეს უზნეო პიროვნება, ან საჯაროდ მოეხდინა ამ ინფორმაციის უარყოფა, პრეზიდენტის რწმუნებულმა არა თუ არ შეასრულა აღნიშნული მოთხოვნა, არამედ კვლავ გააგრძელა დაუსაბუთებელი, შეურაცხმყოფელი გამოსვლები მათი პარტიის მისამართით.

მოსარჩლემ მოითხოვა დემოკრატიული აღორძინების კავშირის იმ უზნეო წევრის დასახელება, რომელზეც საუბრობდა გუბერნატორი, ან გავრცელებული ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა და ბოდიშის მოხდა.

თემურ შაშიაშვილის წარმომადგენელმა თემურ თოლორაძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სახელმწიფო რწმუნებულმა მოახდინა მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია იმის შესახებ, რომ მამა ქონების გაყოფის მიზნით შვილს უჩიოდა, რაც ყოველი ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. ასეთი ფაქტის არსებობა კი არ წარმოადგენს პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

ამასთანავე, მოპასუხის წარმომადგენლის განცხადებით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი იმ შემთხვევაში იცავს იურიდიულ პირს, თუ გავრცელებული ინფორმაცია ეხება უშუალოდ იურიდიულ პირს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ინფორმაცია ეხება არა იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირს.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – შ. ხაჭაპურიძე) არ დააკმაყოფილა დემოკრატიული აღორძინების კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის სარჩელი უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი პირი არ დამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება“. პირის ცნებაში მოიაზრება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იურიდიული პირის მიმართ ჩადენილ არაკანონიერ ქმედებას, რაც გამოიხატება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით დაცული უფლებების ხელყოფაში, სასამართლოს აზრით, გააჩნია განსაკუთრებული სპეციფიკა. იურიდიული პირი თავისი ბუნებით წარმოადგენს ხელოვნურად შექმნილ სუბიექტს, რომელსაც არ გააჩნია ფსიქიკა და არ შეუძლია განიცადოს ემოციები, რაც თან სდევს პატივისა და ღირსების შელახვას, რის გამოც იურიდიულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველი და სახელის გამტეხი ცნობების უარყოფა. ასეთ ცნობად, სასამარ-

თლოს აზრით, შეიძლება მიიჩნიონ იურიდიული პირის მოღვაწეობა, ან მთელი მისი კოლექტივის და არა ცალკეული წევრების ქცევა. ამდენად, მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ „დემოკრატიული კავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში არის უზნეო პიროვნება, რომელიც საკუთარ შვილს უჩივის ქონების გაყოფის მოტივით“ არ შეიძლება ჩაითვალოს მთელი ორგანიზაციის შეურაცხყოფად.

21 დეკემბერი

„საქართველოს ავიახაზები“ „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ

სარჩელი: ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზებმა“ სარჩელი აღძრა „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მილიონი ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა მოპასუხის მიერ ერთი წლის განმავლობაში ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებულ ყალბ ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ 1999 წლის 31 ოქტომბერს სამი ავიაკომპანიის – „ეარ ჯორჯია“, „საქართველოს ავიახაზები“ და „აირზენა“ – ერთ მძღავრ კომპანიად გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა „აირზენა-საქართველოს ავიახაზები“. გარდა ამისა, მოსარჩლის განცხადებით, 2001 წლის 16 თებერვალს, სააგენტო „კავკას-პრესის“ მეშვეობით მოპასუხემ გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია, სათაურით „აირზენას“ პრეზიდენტი „საქართველოს ავიახაზების“ მიერ ფრენების განახლებას ფანტაზიად მიიჩნევს“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საქართველოს ავიახაზების“ მიერ ფრენების განახლების შესახებ განცხადებებს აკეთებენ იქ მომუშავე არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი და ავიაციის სფეროსაგან შორს მდგომი პირები“. 2001 წლის 16 თებერვალს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში კი მოყვანილია თამაზ გაიაშვილის სიტყვები: „სახელმწიფო ავიაკომპანიის მუშაობა მოძველებული ტექნიკით ფანტაზიაა... ესენი არიან ავიაციაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი“. იმავე დღეს გამოსულ „ახალ თაობაში“ კონცერნის გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი ვლადიმერ სილვერსტოუნი აღნიშნავს, რომ „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ ბოინგებში მგზავრთა მომსახურება საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპაში ავიაკომპანიის ფრენის გეოგრაფია“. ხსენებულ პუბლიკაციაში იგი გაკვირვებას გამოთქავს

იმის გამო, რომ საქართველოში სახელმწიფო ავიაკომპანიის შექმნა განზრახული. მოსარჩლემ ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ 2001 წლის 14 მაისს „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერის“ ეთერში თამაზ გაიაშვილმა „საქართველოს ავიახაზების“ კოლექტივი კრიმინალურად მოიხსენია.

„საქართველოს ავიახაზებმა“ სარჩელის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, 413-ეს პირველი ნაწილი, 992-993-ე მუხლები და რეკლამის შესახებ კანონი.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ინტერნეტით მართლაც გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, მაგრამ აღნიშნულის გამო და ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადების საფუძველზე, ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ „აირზენა-საქართველოს ავიახაზებს“ დააკისრა 500 ლარიანი ჯარიმა. თუმცა მოპასუხემ უარყო მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების პრესით გავრცელების ფაქტი და განაცხადა, რომ თამაზ გაიაშვილის მხრიდან ასეთს ადგილი არ ჰქონია; რომ ეს უფრო ურნალისტური კომენტარები იყო, ვიდრე თავად გაიაშვილის მიერ უშუალოდ გაკეთებული განცხადება.

თბილისის საოლქო სასამართლომ 2001 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და „აირზენა-საქართველოს ავიახაზებს“ „საქართველოს ავიახაზების“ სასარგებლოდ 500 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ: „საქართველოს ავიახაზებმა“ მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და განაცხადა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგან მორალური ზიანის ანაზღაურება გონივრული და სამართლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოპასუხეს მილიონ ლარს დააკისრებდა.

„აირზენა-საქართველოს ავიახაზებმა“ მოითხოვა საოლქოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება იმ საფუძველით, რომ იგი არასათანადო მოპასუხე იყო, რადგანაც ცნობების გავრცელება არ მომხდარა შპს-ს სახელით. „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ წარმომადგენლის აზრით, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო, რადგან არასათანადო რეკლამა არ ინვესტს პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და ეკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი

გადანყვეტილება, რომლითაც არ დააკმაყოფილა „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელი.

მოტივაცია: უზენაესი ინსტანციის შეფასებით, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, რადგან სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. პალატამ უსაფუძვლოდ ცნო ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. პალატის აზრით, საოლქო სასამართლომ ასეთ შემთხვევად არასწორად მიიჩნია „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-6 და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტები. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირებს, რომელთა უფლებები დაირღვა არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა. ამდენად, პალატის აზრით, აღნიშნული ნორმა ადგენს არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფას და არა არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების წესს.

პალატამ ასევე იურიდიულად უსაფუძვლოდ ცნო იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, რადგან მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს. პალატის განმარტებით, მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა).

პალატის აზრით, მართალია, მოსარჩლემ სარჩელში მიუთითა „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ მიერ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელების შესახებ, მაგრამ ამ ცნობების უარყოფა მას არ მოუთხოვია, ამდენად, არც მოპასუხეს დაუდასტურებია მათი სინამდვილესთან შესაბამისობა. რაც შეეხება ქონებრივ ზიანს, პალატის განცხადებით, მოსარჩლეს სასამართლოში არ წარუდგენია ამ ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ამასთანავე სარჩელით ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არც დაუყენებია. სკ-ს 248-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლოს უფლება არა აქვს, თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე მოითხოვა.

26 დეკემბერი

თემურ ხევსურიანი სოხარ სუბელიანის წინააღმდეგ

სარჩელი: 1998 წლის 25 ივნისს თემურ ხევსურიანმა სარჩელით მიმართა კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს და სარჩელის მიზეზად დაასახელა გაზეთ „კავკასიონის“ მთავარი რედაქტორის სოხარ სუბელიანის სტატია, სათაურით „კოდორის ხეობაში უმართავი ვითარება“.

მოსარჩლის განცხადებით, ხსენებული სტატიით შეურაცხყოფა მიადგა აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ბატონ თემურ ხევსურიანს. მისი აზრით, პუბლიკაციის ავტორი ფაქტიურად ბრალს სდებდა მოსარჩლეს 1993 წელს სვანეთის გზაზე პიკეტების მოწყობაში. ბატონმა ხევსურიანმა მისი პატივის და საქმიანი რეპუტაციის უხემ შელახვად მიიჩნია ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პიკეტების დროს „უკანდახეულ ჯარისკაცებს იარაღს ართმევდნენ. შემდეგ კი ყველაფერი ადგილობრივ მოსახლეობას ბრალდებოდა.“

მოსარჩლემ ცრუ ბრალდებად მიიჩნია ასევე გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, თითქოს „მოსახლეობის დაპირისპირებაში საკმაო როლი აფხაზეთის უშიშროების მინისტრს მიუძღვის“. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ თემურ ხევსურიანი აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პოსტზე მხოლოდ 1996 წელს დაინიშნა, 1993 წელს კი ის კონტრდაზვერვაში მუშაობდა.

თემურ ხევსურიანის შეფასებით, „ს. სუბელიანის „თხზულებაში“ მოყვანილი ფაქტები სხვა არაფერია, თუ არა ცილისწამება და შეესაბამება საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ პირადი არაქონებრივ

⁸ სამოქალაქო კოდექსის ნაცვლად მოსარჩლეს სასარჩელო განცხადებაში მითითებული აქვს საბაჟო კოდექსი.

უფლებების დარღვევას.“ მოსარჩლემ ხსენებული სტატია მიიჩნია მისი პატივის და საქმიანი რეპუტაციის უხემ შელახვად, საქართველოს კონსტიტუციის და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 2, 3, 4 პუნქტების დარღვევად და მიყენებული მორალური (არაქონებრივი) ზიანისათვის მოპასუხისაგან 15 ათასი ლარი მოითხოვა.

2002 წლის 17 იანვარს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ა. პარუნიანი) სარჩელი გაუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ს 231-ე, 276-ე, 278-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით.

17 იანვარი

„ბარაკონის“ დირექტორი იური ბოჭორიშვილი „საქართველოს რესპუბლიკის“ წინააღმდეგ

სარჩელი: შპს „ბარაკონის“ დირექტორმა იური ბოჭორიშვილმა სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის წინააღმდეგ.

მოსარჩლემ მიუთითა 2000 წლის 17 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილზე, რუბრიკით „ფაქტი“, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი:

„შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამართველოს თანამშრომლებმა ყალბი დოკუმენტის დამზადება გამოყენების ფაქტზე ამხილეს შპს „ბარაკონის“ დირექტორი, თბილისელი, 59 წლის იური ბოჭორიშვილი. მან 1999 წლის ივლისში დაამზადა მეექვსე პურის საცხობის ყალბი ტექნიკური პასპორტი და გენერალური გეგმა, რომელიც წარადგინა თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტში საკადასტრო რუკისა და მიწის სარეგისტრაციო მოწმობის მისაღებად. ამასთანავე, ბოჭორიშვილმა ყალბი დოკუმენტების წარდგენით შეაცდინა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის „აფხაზეთის“ ნოტარიუსი წარბია, რომელმაც დაუმონმა წარმოდგენილი დოკუმენტები. მოკვლეული მასალები გადაეცა საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამართველოს“.

მოსარჩლის განცხადებით, სტატიაში მითითებული ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს. მან ამ პუბლიკაციის გამო არაერთხელ მიმართა წერილობით გაზეთის რედაქტორს და მოითხოვა იმ დოკუმენტების გაცნობა, რის საფუძველზეც მოამზადა რედაქციამ აღნიშნული სტატია, თუმცა პასუხი არ მიუღია. იური ბოჭორიშვილის ცნობით, ამის შემდეგ მან მიმართა ქ. თბილისის საგამოძიებო დეპარტამენტის სამმართველოს და საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტს, საიდანაც აიღო ცნობები იმის შესახებ, რომ მათ უწყებებს „საქართველოს რესპუბლიკისათვის“ ხსენებული ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

მოსარჩლის განცხადებით, სადავო სტატიის გამოქვეყნებით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მან „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისაგან მოითხოვა ბოდიშის მოხდა და გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა.

მოპასუხემ შესაგებელი სარჩელით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ მოცემული დავა არ იყო სასამართლოს განსახილველი. რედაქციის აზრით, იური ბოჭორიშვილი უნდა გამოცხადებულიყო რედაქციაში და გაერკვია, თუ რა ვითარებაში მოხდა საგაზეთო წერილის გამოქვეყნება. მოპასუხის განცხადებით, მათ ინფორმაცია მიიღეს შსს-დან და თუკი ბოდიში იყო მოსახდელი, ეს ინფორმაციის მიმწოდებელს უნდა გაეკეთებინა. ამასთანავე, რედაქციამ ურჩია მოპასუხეს შსს-ს იმ თანამშრომელს დაკავშირებოდა, რომელმაც მათ სადავო ინფორმაცია მიანოდა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხის წარმომადგენელი, რომელსაც კანონით გათვალისწინებული წესით ეცნობა სხდომის ჩატარების შესახებ.

მოსარჩლემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ვ. ნიკოლაიშვილი) დააკმაყოფილა სარჩელი. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ დაევალა მის მიერ გავრცელებული, იური ბოჭორიშვილის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მოსარჩლისათვის ბოდიშის მოხდა.

მოტივაცია: სასამართლომ ჩათვალა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულია და იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

მოსამართლემ მოუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 234-ე, 237-ე, 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე მუხლებსა და 249-ე მუხლის I, II, III ნაწილებზე.

გოგი თოფაძე „ბი-ჯი-აის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 23 აგვისტოს გოგი თოფაძემ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მინისა და ლუდის წარმოების საერთაშორისო საზოგადოება „ბი-ჯი-აის“ წინააღმდეგ.

მოსარჩლის განმარტებით, 2000 წლის 5 ივლისს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაცემული ინტერვიუს დროს და 2000 წლის 6 ივლისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე მოპასუხის წარმომადგენელმა უან პოლ ლაფრანკმა გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია, რითაც შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სახელდობრ:

1. „ბატონ გოგისაც უნდა შემოეტანა თავისი შენატანი, თავისი წელილი ამ საქმეში. მას არაფერი არ მოუტანია საქმეში, არაფერი არ შემოუტანია ამ ერთობლივ საწარმოში“.

2. „ჩვენ ჩამოვედით თოფაძელენდში. ეს აღარ არის საქართველო, ეს თოფაძელენდია. ის აქ არის მეფე და აკეთებს რაც უნდა, და ჩვენ არ შეგვიძლია არაფერი, წარმოუდგენელია გავაკეთოთ ის, რაც ჩვენ გვინდა.“

3. „ბატონი თოფაძე გვიქმნის ჩვენ უამრავ პრობლემებს და ამჟამად ჩვენ მივდივართ სასამართლოში და ჩვენ გვინტერესებს, რა მოიტანა ბატონმა თოფაძემ. შეუძლია მას დაგვიმტკიცოს, დაგვიდასტუროს, რა შემოიტანა? მას არ შეუძლია არაფრის დამტკიცება, მას არაფერი არ შემოუტანია ამ ქარხანაში“.

4. „ბატონი გოგი თოფაძე არის საბჭოთა საქმოსანი. მას არც ერთი ცენტი არ ჩაუდია კომპანიაში და მას უნდა თავი აჩვენოს, რომ მე ვარ აქ მეფე, მე ვმართავ საწარმოსო.“

5. „ჩვენ გარკვეულწილად მახეში ვართ გაბმული. ჩვენ – ეს არის სამეფო და მასში მეფობს გოგი თოფაძე, სადაც არის ერთადერთი კარი – შესასვლელი კარი: თქვენ შედიხართ თქვენი ტვირთით და ერთადერთი კარია გამოსასვლელი, მაგრამ გამოსვლა თქვენ არ შეგიძლიათ თქვენს ბარგთან ერთად. თქვენ ტოვებთ თქვენს ჩემოდნებს.“

6. „ჩვენ აქ იმისთვის არ ჩამოვსულვართ, რომ მუხლი მოვუდრიკოთ ბატონ თოფაძეს. ჩვენ გვაქვს ჩვენი თავმოყვარეობა და გვინდა, რომ გვექონდეს ურთიერთობა ასევე თავმოყვარე ადამიანებთან.“

7. „საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტთან, სახეზეა არასამართლებრივი კონკურენცია, როდესაც ხდება ერთი ადამიანი ორი კონკურენტი საწარმოს სათავეში“.

8. „20 000 ლარი გადავიხადეთ იანვრის თვეში მხოლოდ ბატონი გოგი თოფაძის მობილური ტელეფონით საუბრისათვის, არა ბატონი თოფაძისათვის, არამედ – მისი უდიდებულესობა „ჯინი თოფაძისათვის“.

მოსარჩლემ მოითხოვა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა, რომლითაც მოხდა მათი გავრცელება და მორალური ზიანისათვის – 500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტის მოპასუხეზე დაკისრება.

მოპასუხემ არც გავრცელებული ცნობები უარყო და არც სარჩელი ცნო. მისი აზრით, გავრცელებული ცნობები არ ლახავს მოსარჩლის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, რადგან შეესაბამება სინამდვილეს. თავის მხრივ, „ბი-ჯი-აიმ“ შეგებებული სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ისა და მეორე არხის ეთერით გოგი თოფაძის მიერ გავრცელებულ შეგებულ მონაჭორზე, ცრუ, არაზუსტ, შეურაცხმყოფელ ინფორმაციაზე „ბი-ჯი-აისა“ და კასტელის ჯგუფის მიმართ. სახელდობრ:

1. „ფრანგებს უულიკებად გამოვაცხადებთ, ვინაიდან სცადა მოეტყუებინა ქართული მხარე“.

2. „ბატონ კასტელს მე თაღლითად გამოვაცხადებ, ვინაიდან მას უნდოდა ქართული მხარის მოტყუება და ვერ შეძლო.“

3. „მე დავეუდასტურებ მათ და საზოგადოებას, რომ არიან თაღლითები და მათ ასეთი რამ არ გაუვათ.“

4. „ჩამოიტანეს კარგად შეღებილი საწარმო ხაზი და ე.ი. იყო მცდელობა ნახმარი ხაზი უხმარად მიგველო. 15 წლის წინ გამოშვებული დაგვაწერეს 5 მილიონ დოლარად.“

5. „როგორც აცხადებენ, ინვესტიცია 33 მილიონი არისო, მე ვლაპარაკობ, რომ თავის გადმორიცხვიანად და შეძენილი მოწყობილობებით არ აღემატება 17-18 მილიონს“.

6. „მე დავეუმტკიცებ ფრანგებს, რომ თაღლითობენ, რომ მათ მიერ შემოტანილი მოწყობილობა 15-16 წელი აფრიკაში ნასაქმები იყო, მერე გადაღებილი. მათ მიერ წამოყენებული ინვესტიციების ოდენობა არ შეესაბამება სინამდვილეს და იმ ფასებს, რომელთაც გვიყენებენ.“

7. „ერთ-ერთი დანადგარი, რომელიც ჩამოიტანეს და დაგვაწერეს 5 მილიონ დოლარად, შიგ პალმის ფოთლები იყო, 1982 წელს გამოშვებული და შეღებილი თითქოსდა, ახალი დანადგარი იყო.“

8. „ჩამოიტანეს 15 წლის ნახმარი მანქანა-ხაზი, როცა ის დავატრიალეთ, პალმის ტოტები ამოცვივდა იქიდან“.

შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა ხსენებული ცნობების უარყოფა

და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისათვის 1 მილიონი აშშ დოლარის დაკისრება.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლომ, 2001 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ნანილობრივ დააკმაყოფილა გოგი თოფაძის სარჩელი. „ბი-ჯი-აის“ დაეკისრა გოგი თოფაძის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 100 ათასი ლარის გადახდა, ხოლო განუული სასამართლო ხარჯების საკომპენსაციოდ 5 ათასი ლარის გადახდა. „ბი-ჯი-აის“ შეგებებული სარჩელი კი სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

მოტივაცია: საოლქო სასამართლომ გოგი თოფაძის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია ჟან პოლ ლაფრანკის გამონათქვამები, რადგანაც კოლეგიის აზრით, მენარმე, რომელიც ვალდებულებას არ ასრულებს და უქმნის უამრავ პრობლემას პოტენციურ პარტნიორს, აღიქმება არასაიმედო პარტნიორად და მისი, როგორც მენარმის იმიჯი დისკრედიტირებულია, შელახულია მისი საქმიანი რეპუტაცია.

ამასთანავე, სასამართლოს შეფასებით, ლაფრანკის გამონათქვამი – „...ეს არის სამეფო და მასში მეფობს გოგი თოფაძე, სადაც არის ერთადერთი კარი ...“ – ლახავს მოსარჩლის საქმიან რეპუტაციას, რადგანაც ამ შემთხვევაში გოგი თოფაძეს ბრალი ედება სხვისი საკუთრების ხელყოფაში.

კოლეგიის აზრით, მოპასუხემ მის მიერ გავრცელებული ვერც ერთი ცნობის, მათ შორის იანერის თვის სატელეფონო გადასახადის, სინამდვილესთან შესაბამისობა ვერ დაამტკიცა.

რაც შეეხება „ბი-ჯი-აის“ შეგებებულ სარჩელს, საოლქო სასამართლოს შეფასებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება მოსარჩლის მიერ მისი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი, რადგან გოგი თოფაძის გამონათქვამებში ნახსენები იყო არა „ბი-ჯი-აი“, არამედ კასტელი, რომელიც დამოუკიდებელი ფიზიკური პირია და უფლება აქვს, დამოუკიდებლად გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში; ისევე, როგორც მანქანა-დანადგარების მიმწოდებელ „საკოფრინასა“ და „ბი-ბი-ენს“, რომლებიც დამოუკიდებელი იურიდიული პირები არიან.

კასაცია: 2001 წლის 15 ოქტომბერს მინისა და ლუდის წარმოების საერთაშორისო საზოგადოება „ბი-ჯი-აიმ“ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის აზრით, საოლქო სასამართლომ დაარღვია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის მე-2 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 273-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნები, როდესაც არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ. ხსენებული ნორმების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს არა აქვს უფლება, არსებითად განიხილოს მხარეებს შორის დავა და მიიღოს გადაწყვეტილება, რადგანაც ეს მხოლოდ კერძო არბიტრაჟის მეშვეობითაა შესაძლებელი. კასატორის აზრით, საოლქო სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ ხელშეკრულების (რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმებას) მხარეებს წარმოადგენენ შპს „ყაზბეგი“ და „გომბორი – BGI“, სამოქალაქო დავისას კი – ფიზიკური პირები. კასატორმა არც საოლქოს ის მოსაზრება გაიზიარა, რომლის თანახმად, ხელშეკრულება კერძო არბიტრაჟში დავის განხილვის შესახებ ეხება მხოლოდ საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებულ დავებს და არ შეიძლება ეხებოდეს პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შესახებ დავების გადაწყვეტის წესს. კასატორის აზრით, დავა „ყაზბეგი-კასტელში“ სწორედ მათ პარტნიორულ ურთიერთობებთანაა დაკავშირებული. იმის დადგენის გარეშე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად სრულდებოდა პარტნიორის საქმიანობა „ყაზბეგი-კასტელში“, შეუძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. ამ საკითხის განხილვა კი, კასატორის განმარტებით, მხოლოდ კერძო არბიტრაჟის პრეროგატივაა.

გარდა ამისა, კასატორის განცხადებით, საოლქო სასამართლომ დაამახინჯა გამონათქვამი და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 105-ე მუხლებით დაცული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არასწორად გააერთიანა შემდეგი გამონათქვამები: „ბატონ გოგისაც უნდა შემოეტანა თავისი შენატანი, თავისი წველილი ამ საქმეში. მას არაფერი არ მოუტანია საქმეში, არაფერი არ შემოუტანია ამ ერთობლივ საწარმოში.“ და „ბატონი თოფაძე გვიქმნის ჩვენ უამრავ პრობლემებს და ამჟამად ჩვენ მივიღვართ სასამართლოში და ჩვენ გვაინტერესებს, რა მოიტანა ბატონმა თოფაძემ. შეუძლია მას დაგვიმტკიცოს, დაგვიდასტუროს, რა შემოიტანა? მას არ შეუძლია არაფრის დამტკიცება, მას არაფერი არ შემოუტანია ამ ქარხანაში“. არასწორად გაერთიანებასთან ერთად, კასატორის მითითებით, სასამართლომ საერთოდ ამოგდო ტექსტიდან მომდევნო სიტყვები: „ბ-ნ თოფაძეს შემოტანილი აქვს თბილისის ცენტრში მდებარე ლუდის ქარხანა.“

კასატორის აზრით, სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ გოგი თოფაძეს რეალურად არ განუხორციელებია შესატანის შეტანა, ხოლო წარდგენილი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ თოფაძე ერთდროულად ორ კონკურენტ საწარმოს ხელმძღვანელობდა, არასწორად შეაფასა.

კასატორის შეფასებით, ზოგიერთი გამონათქვამი, რომელიც არ შეიცავს

ცნობას, ანუ ფაქტობრივ მონაცემებს, საოლქო სასამართლომ კანონის დარღვევით მიაკუთვნა ცნობებს.

კასატორმა ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია საოლქო სასამართლოს უარი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ არც ერთ გამონათქვამში „ბი-ჯი-აი“ ნახსენები არ იყო. კასატორის აზრით, დარღვეული არაქონებრივი უფლებების აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება წარმოიშობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის პირი მთელი თავისი რეგალიებითაა ნახსენები გამონათქვამებში, არამედ მაშინ, როდესაც საზოგადოება და თავად ეს პირი ამ გამონათქვამებში საკუთარ თავს ამოიცნობს.

უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს მხარეებმა წარადგინეს შეთანხმება, რომლითაც მორიგდნენ შემდეგ პირობებზე:

მორიგების დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საშუალებით „ბი-ჯი-აი“ გააშუქებდა მხარეთა შორის მორიგების ფაქტს და უარყოფდა გოგი თოფაძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს ამ უკანასკნელისათვის მისაღები ფორმით.

ამ პირობის შესრულების შემთხვევაში, გოგი თოფაძე უარს იტყოდა საოლქო სასამართლოს მიერ „ბი-ჯი-აისთვის“ დაკისრებულ 100 ათას ლარსა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურებისათვის განკუთვნილ 5 ათას ლარზე.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლეები – ვ. ხრუსტალი, მ. ნიქვაძე, მ. გოგიშვილი) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რის საფუძველზეც გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას მხარეთა განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით.

1 თებერვალი

გიორგი დოლიძე „ახალი 7 დღისა“ და ბესო სოლომონაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 1998 წლის 17 აპრილს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორმა გიორგი დო-

ლიდემ სარჩელით მიმართა კრწანისის რაიონის სასამართლოს გაზეთ „ახალი 7 დღის“ რედაქციისა და ბესო სოლომონაშვილის წინააღმდეგ.

მოსარჩლემ მიუთითა 1998 წლის 13 მარტს გაზეთ „ახალ 7 დღეში“ გამოქვეყნებულ მასალაზე (ბ. სოლომონაშვილის ინტერვიუ), რომელიც მისი აზრით, არის ცილისწამება ქართულ კინოსკოლაზე, ანუ თაქტრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტზე. მოსარჩლემ ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს პუბლიკაციის იმ ნაწილს, სადაც საუბარია იმაზე, თითქოს მათ ფაკულტეტს მიუხეხინის „უშველებელი“ ვალი მართებს; თითქოს მოსარჩლემ სასამართლო პროცესზე განაცხადა – „მე ვარ ქართული კინო“; თითქოს ახალგაზრდა ოსკარის მფლობელის არჩევისას მოსარჩლეს რაღაც დაეშავებინოს და ა. შ.

გოგი დოლიძის აზრით, ამ ცილისწამებლური პუბლიკაციის გამო პასუხი უნდა აგოს, როგორც რესპონდენტმა, ასევე რედაქციამ, რომელმაც გამოაქვეყნა გადაუმონმბელებელი მასალა და უფრო მეტიც, სარედაქციო მინაწერში გამოხატა დადებითი პოზიცია რესპონდენტის მონათხრობის მიმართ. მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეებს წარმოედგინათ და პრესაში გამოექვეყნებინათ დოკუმენტები, რომლითაც დაასაბუთებდნენ მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს.

მოპასუხე გაზეთ „ახალი 7 დღის“ წარმომადგენელმა ხათუნა მასიაშვილმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რედაქციას არც სამართლებრივი, არც ზნეობრივი ნორმები არ დაურღვევია, გაზეთმა მაქსიმალურად მოკლე დროში გამოაქვეყნა ბ-ნ დოლიძის წერილი და შემდეგში ინტერვიუ მიუხეხინის ფესტივალის შესახებ.

მოპასუხეთა ადვოკატის განმარტებით, მოსარჩლის გამონათქვამი – „მე ვარ ქართული კინო“ – გამოქვეყნდა გაზეთ „რეზონანსში“ და იგი გოგი დოლიძემ მასსა და ზვიად ქორიძეს შორის დიდუბის რაიონის სასამართლოში მიმდინარე პროცესზე წარმოთქვა, რაც სასამართლო სხდომის ოქმშიც აისახა. მოსარჩლემ მოითხოვა ხსენებული დოკუმენტის წარმოდგენა.

2002 წლის 22 იანვარს გაზეთ „ახალი 7 დღის“ წარმომადგენელმა ვლ. კაკაბაძემ დააყენა შუამდგომლობა არასათანადო მოსარჩლის სათანადო მოსარჩლით შეცვლის შესახებ. სახელდობრ, მოპასუხემ მოითხოვა გიორგი დოლიძის შეცვლა სათანადო მოსარჩლით – ვოლფგან ლანგსფელდით, რადგანაც სადავო იყო ამ უკანასკნელის ინტერვიუ და თუ რაიმე დამახინჯებული სახით გამოქვეყნდა, კაკაბაძის აზრით, ამის შესახებ თავად ლანგსფელდს უნდა ედავა.

გიორგი დოლიძემ შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირა და აღნიშნა, რომ ვოლფგან ლანგსფელდის ინტერვიუს სინამდვილესთან შეუსაბამოდ გამოქვეყნებით შეილახა მისი, როგორც „ქართული კინოს ხელმძღვანელის“ პატივი და ღირსება.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა შემდეგ გარე-

მოებათა გამო: მოსარჩლის განცხადებით, რესპონდენტის ინტერვუს თარგმანის არასწორი გამოქვეყნებით შეილახა მისი, როგორც ქართული კინოსკოლის ხელმძღვანელის პატივი და ღირსება. სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებლობის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია სასამართლო წესით უფლების დაცვა.

გადაწყვეტილება: კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ა. პარუნიაანი) შეწყვიტა საქმის წარმოება მოსარჩლის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ს 272-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით.

18 თებერვალი

ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდი „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 2 მარტს ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდმა სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ.

მოსარჩლე ორგანიზაციის განცხადებით, „დილის გაზეთმა“ და მისმა კორესპონდენტმა მანანა ცხადაიამ 2001 წლის 25 იანვარს გაავრცელეს სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები, რაც გამოიხატა შემდეგში:

სტატია შეეხებოდა სანკტ-პეტერბურგში ვინმე მიხეილ მირილაშვილის დაკავების ფაქტს. ყურნალისტი მას ახასიათებდა, როგორც დამნაშავეთა სამყაროში საკმაოდ გავლენიან და ცნობილ პიროვნებას, რომელიც დაკავშირებული იყო სანკტ-პეტერბურგის კრიმინალურ ლიდერებთან – ფეოკტისტოვსა და კაპლანთან. „დილის გაზეთის“ თანახმად, ამ უკანასკნელებმა, თავის მხრივ, მირილაშვილი მსოფლიო მასშტაბის კანონიერ ქურდებთან – ნიკოფოროვთან, „იაპონჩიკასა“ და ოთარ კვანტრიშვილთან დააკავშირეს. ფონდის წევრებმა მიუღებლად მიიჩნიეს ის, რომ წარსულში ცნობილი ქართველი სპორტსმენი, დამსახურებული მწვრთნელი, მეცენატი, ქველმოქმედი და ბიზნესმენი, ცნობილი პოლიტიკური ფიგურა, მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენის ლევ იაშინის სახელობის ფონდის პრეზიდენტი, პოლიტიკური პარტიის „სპორტივნიაია როსიას“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე ოთარ კვანტრიშვილი წარმოჩენილი იყო როგორც შავბნელი ძალების, მსოფლიო

კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი, ქურდი და ყაჩაღი. მოსარჩლის განცხადებით, ამ ინფორმაციის გავრცელების შედეგად, კვანტრიშვილის ხსოვნის ფონდი და მისი იდეის გამგრძელებელი ფონდის წევრები საზოგადოების თვალში ავტორიტეტმალახული წარმონედიან.

მოსარჩლე ორგანიზაციის ცნობით, 1994 წლის 5 აპრილს დაქირავებული მკვლელის ხელით მოკლული ოთარ კვანტრიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მათ ჩამოაყალიბეს ცნობილი ბიზნესმენის სახელობის ფონდი, რომელიც ძირითადად კულტურასა და სპორტში საქველმოქმედო საქმიანობით არის დაკავებული. მოსარჩლის აზრით, ქართულ მედიაში ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნების მიზეზი ერთადერთია – ოთარ კვანტრიშვილის სახელობის ფონდისათვის სახელის გატეხა. ორგანიზაციის განცხადებით, ხსენებული პუბლიკაციის შედეგად შეილახა მათი საქმიანი რეპუტაცია, რადგანაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მათ ზურგი აქცია, შემცირდა ადრინდელი ერთუზიანში და მხარდაჭერა, რამაც უდიდესი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა მას.

მოსარჩლემ გაზეთისაგან მოითხოვა ოთარ კვანტრიშვილის სახელობის ფონდის წინაშე ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, 20 ათასი ლარის გადახდა.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ სადავო პუბლიკაცია ჟურნალისტიკა მოამზადა ელექტრონული გამოცემის მასალებზე დაყრდნობით და წარმოადგენდა თარგმნილ მასალას და არა რედაქციის მიერ მომზადებულ საავტორო სტატიას.

გადაწყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ს. მუმლაძე) 2001 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მოტივაცია: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სადავო სტატია მომზადებული იყო რუსულ საინფორმაციო საშუალებაში (www.compromat.ru) გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე.

მოსამართლემ მიუთითა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონის 28-ე მუხლის „ბ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, „რედაქტორს, მთავარ რედაქტორს, ასევე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა არასწორი ცნობების გავრცელებისათვის, თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოების ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისაგან“. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო სტატია მომზადებულია www.compromat.ru-ს მასალებზე დაყრდნობით, სასამართლომ არც „დილის გაზეთი“ და არც ჟურნალისტი არ მიიჩნია სათანადო მოპასუხეებად, რადგანაც მათ არ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, „თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩლის თანხმობით, შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ მოსარჩლე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩლეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.“

აპელაცია: რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ოთარ კვანტრიშვილის შვილმა, გიორგი კვანტრიშვილმა. მან მოითხოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს (მოსამართლეები – თ. მუხრანელი, ლ. არჩვაძე, თ. კილანავა) გადაწყვეტილებით, მოსარჩლის წარმომადგენლის თ. ფერაძის სარჩელი დარჩა განუხილველი.

მოტივაცია: აპელანტმა არ შეასრულა განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 374-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

27 თებერვალი

„ბარაკონის“ დირექტორი იური ბოჭორიშვილი „ახალი თაობის“ წინააღმდეგ

სარჩელი: შპს „ბარაკონის“ დირექტორმა იური ბოჭორიშვილმა სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და სარჩელის საფუძველად გაზეთ „ახალ თაობაში“ 2000 წლის 16 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატია მიუთითა.

რუბრიკით „კრიმინალური ქრონიკა“ გამოქვეყნდა სტატია „ამხილეს „ბარაკონის“ დირექტორი“. სადავო პუბლიკაციაში აღნიშნული იყო, რომ შსს-ს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე ამხილეს შპს „ბარაკონის“ დირექტორი იური ბოჭორიშვილი, რომელმაც 1999 წლის ივლისის თვეში დაამზადა მეექვსე პურის საცხობის ყალბი ტექ-პასპორტი, გენერალური გეგმა და ა.შ.

მოსარჩლის განმარტებით, გაზეთის მიერ გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს მის ღირსებას, რის შედეგადაც მას მიაღდა მორალური ზიანი. მოსარჩლის განცხადებით, მან არაერთგზის მიმართა რედაქციას და მოითხოვა განმარტება, თუ რა დოკუმენტებს ეფუძნებოდა გავრცელებული ინფორმაცია, მაგრამ უშედეგოდ.

იური ბოჭორიშვილმა „ახალი თაობის“ რედაქციისაგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

გაზეთ „ახალი თაობის“ წარმომადგენელმა ზაზა ხატიაშვილმა სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შესახებ. სათანადო მოპასუხე კი ამ შემთხვევაში იყო შსს-ს პრესსამსახურის უფროსი პაატა გომელაური, რომელმაც გაავრცელა აღნიშნული ინფორმაცია.

ამ შუამდგომლობის დაყენების შემდეგ იური ბოჭორიშვილმა უარი თქვა თავის სარჩელზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

გადაწყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ს. მუმლაძე) დააკმაყოფილა იური ბოჭორიშვილის განცხადება და შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სსკ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, როდესაც მოსარჩლე უარს ამბობს თავის სარჩელზე, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას.

1 მარტი

„ინვალიდთა და ვეტერანთა წმინდა თამარ მეფის ორდენი“ და კ. და ვ. ჯ.-ები „ინვალიდთა კავშირის“ წინააღმდეგ

სარჩელი: რეგისტრირებულმა კავშირმა „ინვალიდთა და ვეტერანთა წმინდა თამარ მეფის ორდენმა“ და კ. და ვ.ჯ.-ებმა „ინვალიდთა კავშირის“ წინააღმდეგ სასამართლოს მიმართეს.

მოსარჩლეთა განმარტებით, ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის, მათმა ორგანიზაციამ 1998 წელს დააფუძნეს არარეგისტრირებული კავშირი „ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების სააკორდინაციო საბჭო“. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განმტკიცდა ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა ინვალიდთა არასამთავ-

რობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამების დაფინანსების დამატებით ღონისძიებებს. მოსარჩლემ მიუთითა, რომ ის სწორედ ამ მექანიზმის შესაბამისად ახორციელებდა სამენარმო საქმიანობას, სპეციალურ ანგარიშზე აკუმულირებულ თანხებს კი ინვალიდთა დახმარების სხვადასხვა პროგრამებზე მიმართავდა.

2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებისათვის 2 600 000 ლარი იყო გათვალისწინებული. აღნიშნული თანხა, საკოორდინაციო საბჭოს თანხმობით, მასში შემავალ სხვადასხვა ორგანიზაციებზე პროგრამების დასაფინანსებლად უნდა განაწილებულიყო. მოსარჩლემ საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინა მოთხოვნა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ 555 018 ლარზე, თუმცა აღნიშნული თანხა ვერ მიიღო, რაც მისი აზრით, არის განპირობებული იმით, რომ „ინვალიდთა ლიგამ“ დაარღვია საკოორდინაციო საბჭოს მიერ დადგენილი თანხების განაწილების წესი, რითაც აზარალა მოსარჩლე. ამასთანავე, „ინვალიდთა ლიგის“ დირექტორის გ. ძ.-ს მიერ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ცნობებით შეილახა „წმინდა თამარ მეფის ორდენისა“ და მისი წევრების – მაგისტრ ვ. ჯ-იას და ეკონომიკურ საქმეთა კოორდინატორ კ. ჯ-იას პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

აქედან გამომდინარე, „წმინდა თამარ მეფის ორდენმა“ მოითხოვა:

1. მოპასუხისათვის 555 018 ლარის დაკისრება;
2. მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით უარყოფა;
3. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 2 მილიონი ლარის დაკისრება;
4. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ ვ. და კ. ჯ.-იების სასარგებლოდ მოპასუხისთვის 2 მილიონი ლარის დაკისრება.

მოგვიანებით მოსარჩლემ გაზარდა თავისი სასარჩელო მოთხოვნა და „წმინდა თამარ მეფის ორდენისათვის“ დამატებით 2 მილიონი, ხოლო ვ. ჯ-იას სასარგებლოდ მილიონი ლარი მოითხოვა. სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა კი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში „ინვალიდთა ლიგის“ პრეზიდენტის გ. ძ.-ს მიერ გაკეთებული განცხადებებით ახსნა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ სადავო 555 018 ლარი 1999 წლის აპრილამდე უნდა გაცემულიყო. 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად ადრე მოქმედი მექანიზმი გაუქმდა, სპეციალური ანგარიშები კი დაიხურა. ამიტომაც, მათი განმარტებით, კონკრეტულ პროგრამებს 2000 წლიდან პრიორიტეტების მიხედვით ფინანსთა სამინისტ-

ტრო აფინანსებდა. „ინვალიდთა ლიგის“ მიერ აღნიშნული თანხის არამიზნობრივი ხარჯვა კი, მოპასუხის ცნობით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად არ დადგინდა.

რაც შეეხება საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით მათი პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, მოპასუხის განმარტებით, სადავო განცხადებები გააერცელა არა ორგანიზაციამ, არამედ კონკრეტულმა ფიზიკურმა პირმა, რაზეც ორგანიზაცია პასუხს არ აგებს.

თბილისის საოლქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი: „ინვალიდთა ლიგას“ დაეკისრა ვ. ჯ.-ის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, ასევე უურნალ „სარკის“ მეშვეობით კ. ჯ.-ს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა. მოპასუხეს ვ. და კ. ჯ.-ების სასარგებლოდ ათას-ათასი ლარის გადახდა დაეკისრათ.

კასაცია: თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია „ინვალიდთა და ვეტერანთა წმინდა თამარ მეფის ორდენმა“, რომელმაც იგი საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

კასატორმა სარჩელში აღნიშნა, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ არ მიიჩნია მათი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად შემდეგი ცნობები:

ა) „იმავე წუთში შეიქმნა ინვალიდთა უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, სამი კაცი შეიკრიბებოდა, შექმნიდნენ რაიმე საზოგადოებას, ჩასხდებოდნენ საბაჟოზე და მხოლოდ ფულის შოვნაზე ფიქრობდნენ, ხოლო პროგრამებზე არავინ მუშაობდა, მათ შორის არც „თამარ მეფის საზოგადოება“, რომელიც იმ პერიოდში კარგად სარგებლობდა, მაგრამ ერთი პრობლემა არ მახსოვს მათ მიერ მოგვარებული“;

ბ) „ამბობენ, 200 ინვალიდს ვურიგებდით 200 ლარს, სინამდვილეში მხოლოდ რამდენიმე კაცს აძლევდნენ“;

გ) „თუ რა გზით შეიძინეს (ლაპარაკია მცხეთაში არსებულ კომპლექსზე), ეს გამოსაკვლევია. პროკურატურა ამ საქმეს იძიებდა, მაგრამ უშედეგოდ, ამითაც არ არიან დაინტერესებული ძალისმიერი სტრუქტურები, თუმცა ყველაფერი ხელისგულზე დევს“;

ე) „მე ეჭვი მაქვს, რომ ეს ორგანიზაცია უბრალოდ საჯაროდ ახლა უკვე სასამართლოში ახორციელებს ვილაცის დაკვეთას, ამ შემთხვევაში სამართალდამცავების“.

კასატორმა მოითხოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 555 018 ლარისა და მორალური ზიანის სახით 4 მილიონი ლარის დაკისრება, ასევე საჩივარში მითითებული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა.

გადანყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმო და გავრცელების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები - ვ. ხრუსტალი, მ. გოგიშვილი, რ. ნადირიანი) სარჩელი არ დააკმაყოფილა და უცვლელი დატოვა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება.

მოტივაცია: პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულების არსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. კასატორი ვერ მიუთითებს საფუძველს, რომლითაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს 555 018 ლარის გადახდა მის სასარგებლოდ.

საკასაციო პალატამ გაიზიარა კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 555 018 ლარის მოთხოვნა არასათანადო მოპასუხის მიმართ არის წაყენებული. მოცემულ შემთხვევაში „ინვალიდთა ლიგა“ არასათანადო მოპასუხეა, რადგანაც კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და კონტროლზე უფლებამოსილი პირი არის ფინანსთა სამინისტრო, მოსარჩლემ კი უარი განაცხადა „ინვალიდთა ლიგის“ სათანადო მოპასუხით შეცვლაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

კოლეგიის აზრით, ცნობათა ნაწილი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „სარკეში“ („შავი და თეთრი ბიზნესი ბეიბრების ხარჯზე“), გავრცელებულია არა მოსარჩლის, არამედ ზოგადად ინვალიდთა ორგანიზაციების შესახებ და ამდენად ის არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად. ცნობების ნაწილი, კოლეგიის აზრით, სინამდვილეს შეესაბამება.

კოლეგიის შეფასებით, მოპასუხეების მიერ „შავი ბიზნესის“ განხორციელებისა და გადასახადებისაგან თავის არიდების შესახებ გაკეთებული განცხადებებით, გავრცელდა ცნობები ვ. ჯ.-სა და კ. ჯ.-ს მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაც, სასამართლოს აზრით, ლახავს მათ პატივსა და ღირსებას. მოპასუხემ ვერ დაამტკიცა გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა, რის გამოც მხარეს მათი უარყოფა დაეკისრა.

მორალური ზიანის ოდენობა კოლეგიამ განსაზღვრა მოპასუხის ბრალის, მისი გადახდისუნარიანობისა და დამდგარი ზიანის საფუძველზე.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე და აღნიშნა, რომ

ხსენებულ ნორმაზე დაყრდნობით კოლეგიამ სწორად არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ ნაწილში, სადაც ცნობების გამავრცელებელმა დაადასტურა მათი სინამდვილესთან შესაბამისობა; ხოლო იმ ცნობების გავრცელებისათვის, რომელთა ნამდვილობა მოპასუხე მხარემ ვერ დაამტკიცა, მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების შესაბამისად, დააკისრა მათი უარყოფა და ზიანის ანაზღაურება.

ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

პალატის აზრით, საოლქო სასამართლოს გადანყვევტილების გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

1 მარტი

ჯემალ ენჯიბაძე „კრიმინალისა“ და ეკა ჩადუნელის წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 4 ივნისს გაზეთ „კრიმინალში“ (№45) გამოქვეყნებული ეკა ჩადუნელის სტატია „კამათს, გვარის წარმოშობის შესახებ, მკვლელობა მოჰყვა“ სასამართლო დავის საგანი გახდა. ჯემალ ენჯიბაძემ აღნიშნული პუბლიკაციის გამო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა და განაცხადა, რომ მისი პირადი ცხოვრების შესახებ ძველი ცნობების გავრცელების გზით ჟურნალისტმა შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

სასარჩელო განცხადებაში ჯემალ ენჯიბაძემ აღნიშნა, რომ მან წარსული შეცდომა მოინანია, ნასამართლობა მოხსნილი აქვს სასამართლოს მიერ და საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია – არის ხაშურის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე, საზოგადოება „ხაშურელის“ თავმჯდომარე. აქვს რეპუტაცია, რომელიც მოიპოვა პატიოსანი შრომით და რომელსაც უფროსილდება.

საგაზეთო პუბლიკაციამ კი, რომელიც არქივის მასალებს ეფუძნებოდა, მას გაუხსნა ძველი იარა, შეულახა პატივი და ღირსება. მოსარჩლის აზრით, ჟურნალისტს არ ჰქონდა უფლება, გამოექვეყნებინა მისი ცხოვრების 28 წლის წინანდელი ისტორია. მოსარჩლემ მიუთითა კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსით გარანტირებულ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევაზე, ასევე

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონით დადგენილი ნორმების დარღვევაზე, რომელთა თანახმად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, პიროვნების ღირსების ხელყოფა: არქივიდან პირადი ცხოვრების შესახებ მასალის გამოქვეყნება შეიძლება თვით ამ პიროვნების ან მისი ახლო ნათესავის ნებართვით.

მოსარჩლემ მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური ზიანის საზღაურის – 10 ათასი ლარის დაკისრება, ხოლო შემდგომში გადიდებული სარჩელით – 50 ათასი ლარის.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას არ შეუღახავს ჯემალ ენჯიბადის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია და არ ჩარეულა მის პირად ცხოვრებაში. მოპასუხის წარმომადგენელმა მოიშველია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 21-ე მუხლის მე-18 პუნქტი, რომლის თანახმად, „*უურნალისტს უფლება აქვს, ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეც-ფონდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების პირად ცხოვრებას*“. მოპასუხის განმარტებით, კანონის მოცემული ნორმა ეხება პირის პირად ცხოვრებას, მაგრამ სადავო შემთხვევაში „*კრიმინალში*“ გამოქვეყნებული სტატია ასახავს მოსარჩლის სასჯელის შესახებ განაჩენის აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილს და არ შეიცავს სხვა დამატებით ინფორმაციას. რამდენადაც სასამართლო განაჩენი ქვეყნდება საჯაროდ, გაზეთის მეშვეობით გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. ამასთანავე, მოპასუხემ აღნიშნა ისიც, რომ ჯემალ ენჯიბაძემ სარჩელში კონკრეტულად არ მიუთითა, თუ რამ შეურაცხყო მისი ღირსება – ისტორიული მასალის გამოქვეყნების ფაქტმა, თუ თავად საგაზეთო მასალამ. მორალური ზიანის ანაზღაურებას კანონი ითვალისწინებს, როცა გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. სადავო სტატია კი არის ობიექტური სინამდვილე, და არ წარმოადგენს მოსარჩლის პირად ცხოვრებაში ჩარევას, რადგან პირად ცხოვრებაში, კანონმდებლობის თანახმად, მოიაზრება პირადი მიმოწერა, პირადი სატელეფონო საუბრები, პირის პირადი ჩანაწერები, ოჯახური პირადი ინტიმური საკითხები, რაც მოპასუხეს არ ხელუწყია, – აღნიშნა მოპასუხის ადვოკატმა.

გადანწყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ნ. ზარქუა) ჯემალ ენჯიბაძის სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა.

მოტივაცია: სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სტატიის გამოქვეყნებით მოპასუხემ დააღვია პრესისა და მასობრივი

ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 21-ე მუხლის მე-8 პუნქტი და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. გაზეთ „კრიმინალში“ გამოქვეყნებული სტატია, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს მასალას ჯემალ ენჯიბაძის შესახებ, ვინაიდან პირადი ცხოვრების საიდუმლოების ქვეშ არ შეიძლება მოიაზრებოდეს ცნობები, რომლებიც შეიცავენ პირის შესახებ ღია სასამართლო სხდომაზე, კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. მოსარჩლის მიმართ დადგენილი განაჩენი საჯარო ინფორმაციაა და გამოქვეყნებული სტატიაც ამ ინფორმაციას დაეყრდნო.

სასამართლოს აზრით, მოსარჩლემ არასწორად გაიგო პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნება. სოციოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული განმარტების თანახმად, ეს არის ინფორმაცია, რომელიც არ შეეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, ან მისი ვინმესათვის განდობა საერთოდ არ შეადგენს პირის ინტერესს. აქედან გამომდინარე, სასამართლო განაჩენზე დაყრდნობით გამოქვეყნებული სტატია და მასში მოყვანილი ფაქტები, სასამართლოს შეფასებით, ასახავს მოსარჩლის საზოგადოებრივ და არა პირად ცხოვრებას და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იგი ჩაითვალოს გამიზნულად პირთა განსაზღვრული წრისათვის.

აპელაცია: რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯემალ ენჯიბაძემ.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – ც. დვერისაშვილი, მ. ნასარიძე, ზ. კვარაცხელია) შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სააპელაციო პალატაში საქმის განხილვამდე გარდაიცვალა აპელანტი. სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, სახელის, პატივისა და ღირსების შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირის სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

მოსარჩლე ითხოვდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და არა პიროვნების არსების განმსაზღვრელი სახელისა და ღირსების დაცვას. ამდენად, სასამართლოს აზრით, მოცემულ დავაში უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია.

სსკ-ს 272-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, საქმეში უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია.

ფადი ასლი „საქართველოს თამბაქოს წარმოების“, „სამგორი XXI“-ის, რატი ახალაძისა და „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ

სარჩელი: ფადი ასლიმ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“, შპს „სამგორი XXI“-ის, ჟურნალისტ რატი ახალაძისა და „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ.

სარჩელის საფუძვლად მან მიუთითა 2001 წლის 10-16 დეკემბრის გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული სტატია, სათაურით „ნუგზარ შევარდნაძეს ადგილობრივი თამბაქოს წარმოების გაკონტროლება სურს“. პუბლიკაცია შეიცავდა ინტერვიუებს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ მენეჯერთან რუსიკო ლომიძესთან და დირექტორთან ავთანდილ ნერეთელთან, ასევე „სამგორი XXI“-ს დირექტორთან დავით ჭუბაბრიასთან.

მოსარჩლემ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია შემდეგი გამონათქვამები:

„ფადის ე.წ. ბიზნესი სხვა არაფერია, გარდა, კარგად შენიღბული კონტრაბანდული საქმიანობისა“, – რუსიკო ლომიძე;

„მოითხოვეთ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მის მიერ შეტანილი კვების პროდუქტების ტრანზიტის რაოდენობა და შეუდარეთ იგი აზერბაიჯანის საბაჟო დეპარტამენტის რაოდენობას. მიღებული სხვაობა ფადი ასლის დიდ კონტრაბანდულ მადაზე მიგანიშნებთ“, – დავით ჭუბაბრია.

ავთანდილ ნერეთელმა კი ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფადი ასლიმ მას პარტნიორის „გადაგდება“ სთხოვა, ამ წინადადებაზე უარის მიღების შემთხვევაში კი, უარყოფითი იმიჯის შექმნითა და ამერიკაში, როგორც ბიზნესმენისათვის სახელის გატეხვით დაემუქრა.

სტატიაში გავრცელებული ცნობები მოსარჩლემ მიიჩნია სიყალბედ, რომელიც ბრალეულად ხელყოფს მის უფლებებს.

ფადი ასლიმ ჟურნალისტ რატი ახალაძისა და „კვირის პალიტრის“ პასუხისმგებლობის საკითხიც წამოჭრა. მოსარჩლის აზრით, რატი ახალაძის ბრალი გამოიხატა ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში: ჟურნალისტმა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად არ შეამონმა მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა, გაზეთის მეშვეობით კი მოხდა მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება.

მოსარჩლემ მოითხოვა:

1. რუსიკო ლომიძესა და დავით ჭუბაბრიას გაზეთ „კვირის პალიტრის“ მეშვეობით უარეყოთ მათ მიერ გავრცელებული ცნობები, შემდეგი სახით: „სიცრუეა ის, რომ ფადი ასლი კონტრაბანდულ საქმიანობას ეწევა“;

2. ავთანდილ წერეთელს გაზეთ „კვირის პალიტრის“ მეშვეობით უარეყო მის მიერ გავრცელებული ცნობები შემდეგი სახით: „სიცრუეა ის, რომ ფადი ასლი მე დამემუქრა უარყოფითი იმიჯის შექმნითა და ამერიკაში, როგორც ბიზნესმენისათვის, სახელის გატეხით“;

3. „კვირის პალიტრასა“ და რატი ახალაძეს ბოდიში მოეხადათ მათ მიერ გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის (კონტრაბანდული საქმიანობა, მუქარა) გამო;

4. უარყოფის გამოქვეყნება მომხდარიყო თანაზომადი ფორმით;

5. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ „საქართველოს თამბაქოს წარმოებას“ დაკისრებოდა 2 მილიონის, „სამგორი XXI“-ს – მილიონის, ხოლო „კვირის პალიტრასა“ და რატი ახალაძეს – 100 ათასი ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – გ. გულედანი, მ. ლიბრაძე, მ. ჯიყაშვილი) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება და შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: მხარეებმა გამოხატეს ნება, საქმე მორიგებით დაესრულებინათ. კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, 218-ე მუხლის მე-4 პუნქტით, 272-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებით და 273-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

23 აპრილი

მერაბ დოლიძე და გელა ლუნწკიძე რუსთავის მერის, ლაშა მინდელის წინააღმდეგ

სარჩელი: მერაბ დოლიძემ და გელა ლუნწკიძემ სარჩელით მიმართეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს რუსთავის მერის, ლაშა მინდელის წინააღმდეგ. მოსარჩლეთა განცხადებით, 2002 წლის 12 მარტს ქვემო ქართლის ტელეკომპანიისა და I არხის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ ეთერით ლაშა მინდელმა ბრალი დასდო მათ თანხის (ქრთამის) გამოძალვის მცდელობაში. სახელდობრ, თითქოს მერაბ დოლიძემ და გელა ლუნწკიძემ ს/ს „რელასის“ დირექტორს ვ. კობიაშვილს თანამდებობის შენარჩუნების სანაცვლოდ 20 ათასი ლარი მოსთხოვეს.

მოსარჩლეთა განმარტებით, ისინი არიან ქალაქ რუსთავის საკრებულოსა და ს/ს „რელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. მოპასუხის მიერ მათ მიმართ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, მტკნარი სიცრუეა და ლახავს მათ პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას. მოსარჩლეთა მტკიცებით, სამეთვალყურეო საბჭოს აქტიურობის შედეგად გაკოტრებას გადაურჩა ს/ს „რელასი“ და მოხდა მისი ჩალის ფასად გაყიდვის მცდელობის ნეიტრალიზება.

მერაბ დოლიძისა და გელა ლუნჩიძის ცნობით, მოპასუხემ განაცხადა, რომ თანხის მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია მას ვ. კობიაშვილმა მიანოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს მსგავსი განცხადება საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პირადად არ გაუკეთებია. ამდენად, მათ მოპასუხედ მიიჩნიეს არა ვ. კობიაშვილი, არამედ ლ. მინდელი. „თუ ვ. კობიაშვილი დაადასტურებს მის მიერ ლ. მინდელისათვის ამგვარი ინფორმაციის მიწოდებას, ასეთ შემთხვევაში გვეყოლება ორი მოპასუხე, ანუ ის პირები, რომლებმაც აღნიშნული ცნობები გაავრცელეს“, – ნათქვამია სასარჩელო განცხადებაში.

მოსარჩლეებმა მოითხოვეს მათ მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოსარჩლეები, რომელთაც უწყება ჩაბარდათ კანონით დადგენილი წესით. მოსარჩლეებს სასამართლოსთვის არ წარუდგენიათ ცნობა გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

გადაწყვეტილება: რუსთავის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – გ. ჯაბანიშვილი) უარი უთხრა მოსარჩლეებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სხდომაზე მათი გამოუცხადებლობის გამო.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი პუნქტით.

1 მაისი

„ასოციაცია საგანმანათლებლო რეფორმების ცენტრი“ „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ

სარჩელი: „ასოციაცია საგანმანათლებლო რეფორმების ცენტრმა“ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გაზეთ „კვირის პალიტრის“

წინააღმდეგ. მოსარჩლემ მიუთითა 2000 წლის 29 მაისს აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებულ ე. ლომიძის სტატიაზე, რომელიც ეხებოდა ასოციაციის მიერ მონ-ყობილ საერთაშორისო თამამ-კონკურსს, სახელწოდებით „კენგურუ“.

პუბლიკაციაში აღნიშნული იყო, რომ „საქართველოში ადგილი აქვს საეჭვო რეპუტაციის მქონე უცხოური ორგანიზაციების უკონტროლო მოქმედებას“. ასეთად კი სტატიის ავტორმა მოსარჩლის პარტნიორი ასოციაცია „კენგურუ საზღვრებს გარეშე“ მიიჩნია.

ასოციაციის განმარტებით, „კენგურუ საზღვრებს გარეშე“ სინამდვილეში საერთაშორისო აღიარებისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციაა. მის სათავეში არიან მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-მათემატიკოსები, რომელთა მიზანია, მათემატიკით დაინტერესოს მოსწავლეთა ის ნაწილიც, ვისაც ნაკლებად აქვს, ან სულაც არა აქვს „საგნობრივი“ ინტერესი მათემატიკის მიმართ. ამ მიზნით კი ატარებენ თამამ-კონკურსებს. მოსარჩლის განცხადებით, საგაზეთო პუბლიკაციის ლოგიკიდან გამომდინარეობს, რომ „საეჭვო რეპუტაციის ორგანიზაცია“ („კენგურუ საზღვრებს გარეშე“) თანამშრომლობს ასევე „საეჭვო“ პარტნიორთან („ასოციაცია საგანმანათლებლო რეფორმების ცენტრი“).

მოსარჩლემ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია სტატიის ავტორის მინიშნებები თანხების მითვისებისა და გაფლანგვის თაობაზე. სახელდობრ, ყურნალისტმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კონკურსში მონაწილე 7 ათასზე მეტი ბავშვის მიერ გადახდილი თანხის ბედი. ასოციაციის განმარტებით, თანხა, რომელმაც 14 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, კონკურსის ორგანიზებასა და გამარჯვებულთათვის საჩუქრების შეძენას მოხმარდა. გამარჯვებულების მიერ ჯილდოების მიღება კი, ასოციაციის მითითებით, მიღება-ჩაბარების აქტებით იყო დადასტურებული.

სტატიის ავტორმა განაცხადა, რომ ასოციაციის პრეზიდენტმა ლალი ბერძენიშვილმა „იცრუა“ და „არც ადმინისტრაციული კოდექსის არსებობა ცნო“. მოსარჩლის განცხადებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მხოლოდ საჯარო დანესტებულებებს ავალდებულებს, გასცენ საჯარო ინფორმაცია, კერძო სამართლის იურიდიული პირი კი არ არის ვალდებული, გასცეს მისი კუთვნილი ინფორმაცია.

ასოციაციის აზრით, სტატია მიზანმიმართულად ცდილობდა კონკურსის ორგანიზატორთა საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

ამასთანავე, მოსარჩლის ცნობით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, ასოციაციამ 2000 წლის ივნისში წერილით მიმართა რედაქციას და მოითხოვა გავრცელებული უზუსტობების გაზეთის მეშვეობით უარყოფა, მაგრამ „კვირის პალიტრის“ რედაქციისგან პასუხი ვერ მიიღო. ასოციაციამ მოითხოვა ხსენებული საპასუხო წერილის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნება, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით კი გაზეთისთვის 5 ათასი ლარის დაკისრება.

მხარეებმა გაიზიარეს სასამართლოს რჩევა, საქმე მორიგებით დაესრულებინათ.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ა. კახნიაური) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომლის თანახმად, „კვირის პალიტრამ“ განაცხადა თანხმობა, გამოექვეყნებინა გავრცელებული ცნობების უარყოფა. მორიგების თანახმად, უარყოფა უნდა მომზადებულიყო ან მოპასუხის ნარგზავნილი უურნალისტიის მიერ აღებული ინტერვიუს, ან მოსარჩლის მიერ მომზადებული სტატიის სახით.

მოსარჩლემ იკისრა ვალდებულება, მის მიერ მომზადებული სტატია ყოფილიყო კორექტული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხე იტოვებდა უფლებას, მოეხდინა სტატიის სათანადო კორექტირება.

მოტივაცია: მხარეთა შორის დადებული შეთანხმება არ ეწინააღმდეგება კანონს, ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს და მისი პირობები არ არღვევს მესამე პირის კანონით დაცულ უფლებებს.

7 მაისი

მოგელი ტყებუჩავა „ფოთისა“ და ხათუნა ცომიას წინააღმდეგ

სარჩელი: ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ მოგელი ტყებუჩავამ სარჩელით მიმართა ფოთის რაიონის სასამართლოს გაზეთ „ფოთისა“ და ყურნალისტ ხათუნა ცომიას წინააღმდეგ. მოსარჩლის მითითებით, ხათუნა ცომიას მხრიდან პრესაში მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გამოქვეყნებამ სისტემატიური და ზღვარგადასული ხასიათი მიიღო. ამის დასტურად მოგელი ტყებუჩავამ მიუთითა მოპასუხის მიერ გავრცელებულ შემდეგ ცნობებზე:

1. თითქოს მოგელი ტყებუჩავა ცრუ ინფორმაციებს აწვდის პრეზიდენტს (სტატიაში „ტყებუჩავა პრეზიდენტთან ცრუობს“);

2. სტატიაში „ახალი სკანდალი საკრებულოს თავმჯდომარის ირგვლივ“ უურნალისტმა ბრალი დასდო მოსარჩლეს, რომ მას არ ჰქონდა უფლება, საკრებულოს სახელით მოეწერა ხელი ფოთის თბოელექტროსადგურის მშენებლობის ხელშეკრულებაზე.

პირველ ბრალდებასთან დაკავშირებით მოსარჩლემ აღნიშნა, რომ ქალაქის ინტერესების დაცვა (რაც პრეზიდენტისათვის ნერილის მიწერასა და საპასუხოდ

ქ. ფოთში კოლხეთის ეროვნული პარკის დირექციის განთავსებაში გამოიხატა) ხათუნა ცომაიამ პრეზიდენტის მოტყუებად შეაფასა და ამით შეგნებულად შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია საზოგადოებისა და ამომრჩევლის წინაშე.

საკრებულოს თავმჯდომარის აზრით, ჟურნალისტის ქმედებების შედეგად დაირღვა მისი არაქონებრივი უფლება, კერძოდ, ზიანი მიადგა მის არამატერიალურ სიკეთეს – ჯანმრთელობას. მოსარჩლემ მოითხოვა, გაზეთ „ფოთის“ რედაქციასა და ხათუნა ცომაიას დაკისრებოდათ გავრცელებული ცნობების უარყოფა იმავე გაზეთის მეშვეობით, მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი – 10 ათასი აშშ დოლარის გადახდა.

მოპასუხეების წარმომადგენელმა ლ. სანიკიძემ სარჩელი არ ცნო და იმის გათვალისწინებით, რომ პუბლიკაცია ფაქტებს ეყრდნობოდა, მოითხოვა, სასამართლოს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოპასუხე მხარის განმარტებით, მოსარჩლეს არ ჰქონდა უფლება, საკრებულოს გადაწყვეტილების გარეშე მოენერა ხელი 1999 წლის 15 იანვარსა და 2000 წლის 5 მაისს დადებულ ხელშეკრულებებზე თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ; ამავე საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტისათვის 2000 წლის 11 თებერვალს გაგზავნილ წერილზე.

გადაწყვეტილება: ფოთის საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე – გ. გვაზავა) გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

ხათუნა ცომაიას დაევალა, გაზეთ „ფოთის“ საშუალებით უარეყო ცნობა იმის შესახებ, რომ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს მოგელი ტყუებუჩავას არ ჰქონდა 1999 წლის 15 იანვარს დადებულ მემორანდუმსა და 2000 წლის 5 მაისს დადებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლება.

ჟურნალისტს ასევე დაევალა, იმავე გაზეთის საშუალებით გამოექვეყნებინა გავრცელებული ცნობების უარყოფა შემდეგი სახით: ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს მოგელი ტყუებუჩავას საქართველოს პრეზიდენტი არ მოუტყუებია.

უსაფუძვლობის გამო, მოსარჩლეს უარი ეთქვა მორალური ზიანის ფულადი სახით კომპენსაციაზე.

მოტივაცია: სასამართლომ განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის „პ“ პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება ქალაქის საკრებულოს კომპეტენციაა. შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს საკრებულოს თავმჯდომარემ. ამდენად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის მიერ გაე-

რცელებული ცნობები იმის შესახებ, თითქოს საკრებულოს თავმჯდომარეს არ ჰქონდა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლება.

იმევე კანონის თანახმად, ქალაქის ბიუჯეტს ამტკიცებს საკრებულო. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კანონი, ისევე როგორც სხვა კანონები საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერილია და შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმაც იცოდა, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან საჭირო თანხების გამოყოფა შემდგომი ეტაპი იყო, რასაც ადასტურებს წერილზე პრეზიდენტის რეზოლუცია – „მისასაღმებელია ფოთელების ინიციატივა“.

ზემოხსენებული გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩლის სამსახურებრივი საქმიანობა არჩევითია, სასამართლომ ჩათვალა, რომ შეილახა მოგელი ტყეებუჩავას პატივი და ღირსება.

რაც შეეხება მორალური ზიანის კომპენსაციას, სასამართლოს აზრით, მოპასუხე მოქმედებდა ბრალის გარეშე, რადგან სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელება გამონეეული იყო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის არასწორი ინტერპრეტაციით.

აპელაცია: პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხათუნა ცომიაძემ, რომელმაც მოითხოვა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

მოგელი ტყეებუჩავას წარმომადგენელმა ნ. ალფაიძემ საოლქო სასამართლოს წარუდგინა ტყეებუჩავას განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – ი. შვანგირაძე, მ. მაისურაძე, ალ. გერსამია) დააკმაყოფილა ნ. ალფაიძის შუამდგომლობა და შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს 272-ე, 273-ე, 274-ე, 53-ე, 387-ე, 372-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით.

10 მაისი

ზელიმხან გიორგაძე „ქუთაისის“ წინააღმდეგ

სარჩელი: ზელიმხან გიორგაძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ტელერადიო კომპანია „ქუთაისის“ წინააღმდეგ. მოსარჩლემ მიუთითა 29 ივნისს ნანა თვალაბეიშვილის საავტორო პროგრამით გაშუქებულ სიუჟეტზე, რომელიც ქუთაისში შპს „იმერეთის“ ტერიტორიაზე 2001 წლის 21 ივნისს მომხდარ ხანძარს და საწარმოს დირექტორის ზელიმხან გიორგაძის საქმიანობას შეეხებოდა.

მოსარჩლის განცხადებით, ხსენებული ინფორმაციის გავრცელებით შეილახა მისი, როგორც მენარმის საქმიანი რეპუტაცია, პატივი და ღირსება. ზელიმხან გიორგაძემ მოითხოვა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ზ. ყვავაძე) არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლოდ გამო და სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ ინფორმაცია არ შეიცავდა ისეთ ფაქტებს, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ზელიმხან გიორგაძემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მონინააღმდეგე მხარე – ტელეკომპანია „ქუთაისის“ დირექტორი თემურ გადაბაძე და ჟურნალისტი ნანა თვალაბეიშვილი, რომელთაც უწყება ჩაბარდათ კანონის შესაბამისად. მხარეს არც გამოუცხადებლობის შესახებ ცნობა წარუდგენია სასამართლოსთვის.

აპელანტმა იშუამდგომლა დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – ალ. გერსამია, მ. მაისურაძე, ხ. ხომერიკი) გააუქმა საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა ზელიმხან გიორგაძის სასარჩელო მოთხოვნები. მოპასუხეებს დაევალებათ გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა.

მოტივაცია: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებენ აპელანტის მოთხოვნას.

ჯემალ ენჯიბაძე „პრაიმ-ნიუსის“ წინააღმდეგ

სარჩელი: ჯემალ ენჯიბაძემ სარჩელით მიმართა კრწანისი-მთანმინდის სასამართლოს ახალი ამბების სააგენტო „პრაიმ-ნიუსის“ წინააღმდეგ და სადავოდ გახადა მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რუბრიკით „კრიმინალი-იარაღი-ტარება, ექვმიტიანილი-დაკავება“. მოსარჩლემ სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნია სააგენტოს მიერ გავრცელებული შემდეგი ინფორმაცია:

„დაკავებულის მამა ჯემალ ენჯიბაძე რამოდენიმე წლის განმავლობაში მოქალაქეთა კავშირის ხაშურის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში პრაიმ-ნიუსს ასევე აცნობეს, რომ არჩილ ენჯიბაძის ძმა – ჯემალ ენჯიბაძე ორი წლის წინ ნარკოტიკების დიდი დოზით მიღების გამო გარდაიცვალა.“

მოსარჩლის განმარტებით, მას მართლაც გარდაეცვალა შვილი, მაგრამ არა ჯემალი, როგორც ინფორმაციაში იყო მითითებული, არამედ – არჩილი. ამასთანავე, არ არსებობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის გარეშეც არავის აქვს უფლება, თვითნებური განცხადება გააკეთოს სიკვდილის მიზეზებზე.

ჯემალ ენჯიბაძის განცხადებით, ხსენებული ინფორმაციის გავრცელებით შეურაცხყოფა მიადგა როგორც გარდაცვლილს და მის ცოლ-შვილს, ასევე თავად მოსარჩლის ოჯახსაც. არასწორი ინფორმაციის გამო კი – თითქოს გარდაიცვალა ჯემალ ენჯიბაძე – ოჯახში არ წყდებოდა სატელეფონო ზარები და აღშფოთებული ნაცნობების სტუმრობა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, მოსარჩლემ მოითხოვა მოპასუხისათვის 10 ათასი ლარის დაკისრება, აქედან 10 პროცენტის სურამის უდედმამო ბავშვთა სახლის ანგარიშზე ჩარიცხვა. ჯემალ ენჯიბაძემ ასევე თხოვნით მიმართა სასამართლოს, პროცესზე მოწვევით სახელმწიფო ტელევიზია და გადანყვეტილება გამოქვეყნებულიყო პრესაში.

სააგენტოს გენერალური დირექტორის ინგა დადიანის განმარტებით, სადავო წერილში აღნიშნული იყო, რომ მათ ხსენებული ინფორმაცია გაავრცელეს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ნოდარ დალაქიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

პროცესზე მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო, კრწანისი-მთანმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ჯალიაშვილი), 2001 წლის 10 დეკემბრის დაუსწრებელი გადანყვეტილებით, სარჩელი დააკმაყოფილა.

„პრაიმ-ნიუსმა“ ეს გადანყვეტილება გაასაჩივრა. სასამართლომ არ დააკმა-

ყოფილა სხდომის გადადების შესახებ საინფორმაციო საშუალების მოთხოვნა და 2002 წლის 23 იანვარს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. საინფორმაციო სააგენტომ ეს უკანასკნელი სააპელაციო წესით გაასაჩივრა. მოგვიანებით აპელანტმა მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა იმ მოტივით, რომ მოსარჩლე ჯემალ ენჯიბაძე გარდაიცვალა. სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად კი, სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

გადანწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – ლ. კობალაძე, ზ. კვარაცხელია, მ. სულხანიშვილი) დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის შეწყვეტის თაობაზე.

მოტივაცია: ჯემალ ენჯიბაძე გარდაიცვალა 2002 წლის 14 თებერვალს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით, რომლის თანახმად, სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია.

28 მაისი

კარლო კალაძე „ალიას“ კორესპონდენტის ჯილდა დათუაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: კარლო კალაძემ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული ჟურნალისტ ჯილდა დათუაშვილის სტატია გაასაჩივრა.

მოსარჩლის მითითებით, სტატიის სათაური – „კარლო კალაძემ შეიღო გაატაცებინა?“ (ქვესათაური – „გატაცების წლისთავზე სკანდალური ვერსია ჩნდება“) – მართალია შეკითხვის ფორმითაა დაწერილი, მაგრამ ამ კითხვაზე ჟურნალისტს „ერთადერთი სწორი“ პასუხი აქვს, რითაც ავრცელებს არასწორ და დაუსაბუ-

თებელ ცნობებს, თითქოს ლევან კალაძე, გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით, მისმა მამამ და ძმამ გაიტაცეს.

კარლო კალაძემ ჟურნალისტური თვალთმაქცობა უნოდა ჯილდა დათუაშვილის მიერ გატაცების მიზეზის რამოდენიმე ვერსიის დასახელებას. ეს ვერსიებია: „ლევან კალაძე კრიმინალებმა ფულის გამო გაიტაცეს“; „ლევან კალაძე თავად პოლიციამ გაიტაცა“; „ლევან კალაძე მამამისის, კარლო კალაძის ვალების გამო გაიტაცეს“ და ბოლო ვერსია – „ვალების გამო კი არა, შვილი თვითონ მამამ გაატაცებინა, რადგან კიევის და მილანის საფეხბურთო კლუბიდან მიღებული ფული დასაველეთის სპორტულ მაფიას არ რგებოდა“.

მოსარჩლემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჟურნალისტმა სტატიაში არ მიუთითა ვერსიების წყარო და ის, თუ როდის გაჩნდა თითოეული ვერსია. კარლო კალაძის აზრით, ჟურნალისტი მიზანმიმართულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, როცა ასაბუთებს ბოლო ვერსიის უტყუარობას.

მოსარჩლის აზრით, ჟურნალისტი ვალდებულია, დააკონკრეტოს წყაროს ვინაობა, როდესაც საუბრობს ზოგადად ფეხბურთელებზე და მათზე დაყრდნობით აცხადებს შემდეგს:

„ფეხბურთელთა მტკიცებით, ნებისმიერი სპორტული გარიგებიდან არაოფიციალური წილი, რაც თითქმის 50%-ს უტოლდება იქაურ სპორტულ მაფიას ეკუთვნის... ამავე ფეხბურთელთა ინფორმაციით, თანხის გადახდა მათ კახი კალაძესაც მოსთხოვეს“.

ამასთანავე, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ჟურნალისტი ასაბუთებს ხსენებული ვერსიის უტყუარობას.

მოსარჩლის ცნობით, ჟურნალისტი ტელეფონით ესაუბრა გატაცებულის დედას, თავისი შეკითხვებით ნონასწორობიდან გამოიყვანა ის და ყოველგვარი ნებართვისა და შეთანხმების გარეშე, ინტერვიუს სახით გამოაქვეყნა სატელეფონო საუბარი.

მოსარჩლემ ჟურნალისტისგან მოითხოვა: ვერსიის წარმომავლობის დასაბუთება; ვერსიის ავტორისა და იმ კონფიდენციალური წყაროს დასახელება, რომელსაც ეყრდნობოდა ჟურნალისტი; სტატიაში მოხსენიებული ფეხბურთელების იდენტიფიცირება; ასევე იმის მითითება, თუ როდის და სად მიიღო ჟურნალისტმა ხსენებული ინფორმაცია; წინააღმდეგ შემთხვევაში კარლო კალაძემ მოითხოვა გავრცელებული ინფორმაციის იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა და მისთვის ბოდიშის მოხდა.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – მ. კვარაცხელია) სარჩელი განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: სხდომაზე არ გამოცხადდნენ მხარეები, რომელთაც კანონით დადგენილი წესით ეცნობათ სხდომის ჩატარების დღე.

სსკ-ს 275-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად ტოვებს სარჩელს, თუ პროცესზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება.

7 ივნისი

ი. ორჯონიკიძე ნ. ხოფერიასა და ქ. ქურდოვანიძის წინააღმდეგ

სარჩელი: ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს ზ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა იზა ორჯონიკიძემ და მოპასუხე მხარედ დაასახელა სამეცნიერო დარგში მისი ყოფილი მოადგილე ნინო ხოფერია.

მოსარჩლის მითითებით, 1991 წლის 1 მაისს მან დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა ნინო ხოფერია. მუზეუმის კანცელარიის გამგეს ნ. ლურსმანაშვილს გათავისუფლების ბრძანებაში ბეჭდვისას გაეპარა მექანიკური შეცდომა, რამაც სხვა დოკუმენტებშიც ჰპოვა ასახვა.

1999 წლის 17 ივნისს ნინო ხოფერიამ სარჩელით მიმართა კრწანისი-მთან-მინდის რაიონულ სასამართლოს სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურებისა და იზა ორჯონიკიძისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. რაიონულმა სასამართლომ ეს სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც, იზა ორჯონიკიძის აზრით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხოფერიას მხრიდან მისი შეურაცხყოფის მიზეზი გახდა.

მოსარჩლემ მიუთითა გაზეთებში „შანსი“, „ახალი თაობა“, „თბილისის სიახლენი“ გავრცელებულ მისი პიროვნების შეურაცხყოფელ და დამამცირებელ ცნობებზე, თითქოს ის არის ბოროტი, ავინროებს უდანაშაულო ადამიანებს, არის მიმთვისებელი და საზოგადოებისათვის საშიში, 37 წლის მეთოდებით მართავს მუზეუმს.

იზა ორჯონიკიძემ მოითხოვა, მისი პატივისა და ღირსების შელახვის გამო, მოპასუხე ნ. ხოფერიასა და ქ. ქურდოვანიძეს დაკისრებოდათ საჯაროდ ბოდიშის მოხდა, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით კი – 4 ათასი ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს 1999 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, იზა ორჯონიკიძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ქ. ქურდოვანიძეს დაეკის-

რა მოსარჩლისათვის ბოდიშის მოხდა გაზეთ „შანსის“ მეშვეობით, ხოლო ნ. ხოფერიას – გაზეთების „შანსის“, „ახალი თაობის“ და „თბილისის სიახლენის“ საშუალებით. ამ უკანასკნელს ასევე დაეკისრა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოსარჩლისათვის ათასი ლარის გადახდა.

ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორთავე მხარემ. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის დანებებული ათასი ლარი იზა ორჯონიკიძემ საკმაოდ დაბალ კომპენსაციად მიიჩნია და მიზანშეწონილად ჩათვალა მოპასუხისათვის იმ ოდენობის თანხის დაკისრება, რაც ამ უკანასკნელს ცრუ ინფორმაციის გავრცელების ინტერესს დაუკარგავდა.

მოპასუხეებმა კი მოითხოვეს გადაწყვეტილების გაუქმება, რადგანაც სასამართლომ სარჩელში არ მიუთითა, თუ რომელი ცნობები იყო ი. ორჯონიკიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი.

თბილისის საოლქო სასამართლომ რაიონული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება გააუქმა და ხელახალი განხილვისათვის ის პირველ ინსტანციას დაუბრუნა.

ნინო ხოფერიამ შეგებებული სარჩელი აღძრა იზა ორჯონიკიძის მიმართ და პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის – ბოდიშის მოხდა, ხოლო მორალური ზიანისათვის 4 ათასი ლარის დაკისრება მოითხოვა. სარჩელის საფუძვლად მან მიუთითა მისი გათავისუფლების ბრძანება, სადაც აღნიშნულია:

„მუზეუმის თანამშრომელთა და დირექტორს შორის, აგრეთვე თანამშრომელთა შორის უნდობლობის დათესვისათვის, თუხარელთან ერთად (რომლებიც თურმე, ჩაჩხიანის განცხადებით, ჩემს თანამშრომლებს საცავის ვირთხებს ეძახდნენ), საკუთარი უფლებების გაზვიადებისა და გადაჭარბებისათვის, დაწესებულებაში ხელმძღვანელი მუშაკების ზნეობრივი როლის დაეწიყებისათვის, თანამშრომელთა დაცინვის, დევნის, დამცირებისა და პ. თუხარელის მიერ ჩაფიქრებული ვერგანხორციელებული მოსასმენი აპარატურის დაყენების მცდელობის დაფარვისათვის, ამასთან დაკავშირებულ შანტაჟში მონაწილეობისათვის, უტიფარი სიცრუისა და მზაკვრული ხვანჯების ხლართვისათვის, ატესტაციითა და სამსახურიდან დათხოვნით თანამშრომელთა დაშინებისათვის, ქ. გრიგალაშვილის საკუთარ აგენტად გადაქცევის მცდელობისათვის, ქართული ლიტერატურის მუზეუმის საკუთარ „საუფლისწულო მამულად“ მიჩნევისათვის, ა/წ 21 აპრილიდან დღემდე მუზეუმის პრესტიჟის, მუზეუმში მომუშავე ადამიანების ღირსებისა და მათი კონსტიტუციური უფლების – მშვიდად შრომის უფლების ხელყოფისათვის, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ნინო ივანეს ას ხოფერია – განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ა/წ 1 მაისიდან.“

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, 2001 წლის 17 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა იზა ორჯონიკიძის სარჩელი, პროცესზე მისი გამოუცხადებლობის გამო და დააკმაყოფილა ნ. ხოფერიას შეგებებული სარჩელი ბრძანების ტექსტში მითითებული ცნობების უარყოფისა და ი. ორჯონიკიძისათვის 4 ათასი ლარის დაკისრების თაობაზე.

ხსენებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა იზა ორჯონიკიძემ, რის შედეგადაც იგი გაუქმდა და საქმის განხილვა განახლდა.

გადანყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს (მოსამართლე – ა. კახნიაური) გადაწყვეტილებით, შეწყდა ორთავე საქმის წარმოება, ვინაიდან მოსარჩლეებმა უარი თქვეს სარჩელზე.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 273-ე, 274-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით.

11 ივნისი

გოგი ბიჭაშვილი ქეთი ხატიაშვილის და „ალიას“ წინააღმდეგ

სარჩელი: ჟურნალისტ ქეთი ხატიაშვილისა და გაზეთ „ალიას“ წინააღმდეგ დეპუტატ გოგი ბიჭაშვილის სარჩელის საფუძველი გახდა გაზეთ „ალიაში“ (5-6 იანვარი, 1999) გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „ვინ აკეთებს საიდუმლო შარებს პარლამენტიდან“.

სტატია შეეხებოდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, კახა ჩიტაიას სამსახურებრივ ტელეფონებზე წარმოქმნილ დავალიანების საკითხს. მოსარჩლის განცხადებით, ქეთი ხატიაშვილის პუბლიკაციაში მას ბრალს სდებდნენ თალღითობაში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში.

მოსარჩლემ მოითხოვა, გაზეთ „ალიას“ დაკისრებოდა სადავო სტატიაში მოყვანილი ფაქტების უარყოფა და ბოდიშის მოხდა.

სასამართლომ მხარეებს ურჩია, საქმე გადაეწყვიტათ მორიგებით, რაზეც ისინი დათანხმდნენ.

გადანყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ტაბატაძე) დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, რომლის თანახმად,

გაზეთი „ალია“ და ჟურნალისტი ქეთი ხატიაშვილი მორიგების დამტკიცებიდან 7 დღის ვადაში ბოდიშს მოუხდიდნენ გოგი ბიჭაშვილს იმ პუბლიკაციისათვის, რომლითაც შეილახა მისი ღირსება და ავტორიტეტი.

მხარეთა მორიგების საფუძველზე შეწყდა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, მხარეთა შორის დადებული შეთანხმება არ ეწინააღმდეგება კანონს, ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს და მისი პირობები არ არღვევს მესამე პირის კანონით დაცულ უფლებებს.

19 ივნისი

ივანე ჩხარტიშვილი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: ივანე ჩხარტიშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ და მიზეზად მიუთითა გაზეთ „ახალ დერიტაში“ (5-19 სექტემბერი) გამოქვეყნებული მოპასუხის ინტერვიუ, რომელიც დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციის შესახებ კანონპროექტს შეეხებოდა.

ივანე ჩხარტიშვილმა სასარჩელო განცხადებაში ასევე მოუხმო გაზეთის პირველ გვერდზე გამოტანილ ციტატას ლევან ბერძენიშვილის ინტერვიუდან, სადაც ნათქვამია:

„არსებობს საშიშროება, ამ სასახლეებს გადაყვეს არა მარტო პრეზიდენტი, მისი ოჯახი და „ვანოები“, არამედ მთელი საქართველო“.

ინტერვიუს დასაწყისში მოპასუხემ აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციის შესახებ კანონპროექტს ზოგიერთმა ბოლშევიკურიც კი უწოდა, რის შემდეგაც შეეხო იმ „კორუმპირებულ ჩინოვნიკებს“, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონპროექტის მიღებას:

„სხვათა შორის, ზოგიერთ კორუმპირებულ ჩინოვნიკს ნუ დაავიწყდება, რომ ბოლშევიკები უბრალო და მშრომელ ხალხთან ტყუოდნენ, თორემ ქურდებთან და მეფის რუსეთთან მართლები და ლმობიერნი იყვნენ. როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენეს, ჯერ არ მიღებული კანონის წინააღმდეგ უკვე ილაშქრებენ ის მაფიოზები, რომლებსაც ნამდვილად აქვთ არაკანონიერი გზით მოპოვებული სიმდიდრე და არ უნდათ მისი დაკარგვა. მაგალითად, ვანო ჩხარტიშვილი, რომელსაც ყველაზე თავშეუკავებელი და თავხედური გამოსვლები ჰქონდა. ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ყველაზე მეტი აქვს მოპარული. ჩხარტიშვილისათვის არც მამას, არც დედას, არც სიდედრს ან სიმამრს

არ დაუტოვებია არანაირი სიმდიდრე. ჩხარტიშვილი თანამდებობაზე დანიშნულადან მცირე ხანში ნულიდან გახდა მილიონერი. ჩხარტიშვილის წრიდან, რომელსაც ე.წ. „გურულ მაფიას“ ეძახიან, სხვებმაც გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება, მაგრამ ისინი ცოტა მოკრძალებით მაინც ლაპარაკობენ“.

ეს საგაზეთო განცხადებები, მოსარჩლემ ალიქვა მისი, როგორც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სფეროს ხელმძღვანელის – ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის – დადანაშაულება მაფიოზური დაჯგუფების წევრობაში, ქურდობის გზით დიდძალი ფინანსების მოხვეჭაში. ჩხარტიშვილის განცხადებით, ყოველივე არის სიცრუე და წარმოადგენს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის (როგორც საჯარო მოსამსახურის) გამიზნულ ბრალეულ შელახვას.

მოსარჩლისათვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა სიტყვა „ვანოები“, რომელიც, მისი აზრით, კონტექსტიდან გამომდინარე, „გაუმძლარ მაფიოზებს“ გულისხმობს. ეკონომიკის მინისტრმა სიცრუედ მიიჩნია განცხადება იმის შესახებ, თითქოს კანონპროექტთან დაკავშირებით მას თავშეუკავებელი და თავხედური გამოსვლები ჰქონდა.

ივანე ჩხარტიშვილმა მოპასუხისაგან მოითხოვა გავრცელებული ცნობების უარყოფა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის ანაზღაურება მილიონი ლარის ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას არ გაუფრცელებია ცნობები მოსარჩლის მაფიოზობისა და სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო გზით მისაკუთრების, ანუ „მოპარვის“ შესახებ. მან გამოხატა საკუთარი აზრი, რომელიც ეფუძნებოდა მამხილებელი ხასიათის კონკრეტულ დოკუმენტებს და კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ ურთიერთშედარებით ანალიზს. გამოთქმას – „გურული მაფია“ მოპასუხე ეროვნული ფოლკლორის ნაწილად მიიჩნევს, ხოლო რაც შეეხება ვანო ჩხარტიშვილის თავშეუკავებელ და თავხედურ გამოსვლებს, იგი წარმოადგენს „კურიერ პოსტ სკრიპტუმისათვის“ მიცემული მოსარჩლის ინტერვიუს მისეულ შეფასებას.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩლემ არაერთხელ გამოხატა უკმაყოფილება მთავრობის სხდომაზე განსახილველად შეტანილი კანონპროექტის გამო, დაგმო ის, როგორც ბოლშევიკური, რითაც საზოგადოების ნაწილის თვალში იგი გაიგივდა საკუთარი ქონების გადარჩენაზე მზრუნველ პიროვნებასთან. ვინაიდან მოსარჩლე ხალხის მიერ დაქირავებული მოხელეა, რომლის ნება ასცდა და არ ემთხვევა დაქირავებულის ნებას, გაჩნდა ინტერესი, თუ რა გზით დააგროვა მან ეს ქონება. ქონებრივ დეკლარაციაში ასახულმა ხელმისაწვდომმა მონაცემებმა გამოაშკარადა, რომ მოსარჩლის შემოსავალი მის მიერ განეული ხარჯების არაადეკვატურია, ხოლო მინის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული სარეგისტრ-

ციო მასალები ცხადყოფს, რომ მოსარჩლემ დეკლარაციებში არასწორი მონაცემები მიუთითა. კერძოდ, წყნეთში მშენებარე აგარაკს და თბილისში, მცხეთისა და ზაქარიაძის ქუჩებზე მდებარე სახლებს მოსარჩლე მისი და მისი ოჯახის ნეერების საკუთრებად აცხადებს მაშინ, როდესაც ეს ქონება საჯარო რეესტრში სხვა პირზეა აღრიცხული.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვანო ჩხარტიშვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოტივაცია: კოლეგიის აზრით, მოსარჩლის საქმიანი რეპუტაცია არ შელახულა, რადგანაც საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირს არ გააჩნია საქმიანი რეპუტაცია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი გულისხმობს.

საოლქო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხის პატივი და ღირსება არ შელახულა, რადგან კანონის თანახმად, ამ სიკეთების შელახვა შეიძლება ცნობის (ფაქტის) გავრცელების გზით, ხოლო მოპასუხე მითითებულ საგაზეთო სტატიაში გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებს. ეს მოსაზრებები კი ეხმიანება კანონპროექტის ირგვლივ გამართულ პოლემიკას. კერძოდ, იგი გარკვეულწილად, წარმოადგენს პასუხს მოსარჩლის მიერ კანონპროექტის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

ისეთი საკითხების გაშუქებისას, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, პოლიტიკური და საჯარო პირების მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები, ე.ი. „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ შეიძლება უფრო ფართო იყოს, ვიდრე კერძო პირის მიმართ.

მოპასუხის გამონათქვამები სასამართლოს არ მიაჩნია ისეთი ხასიათის ცნობად, რომლისგანაც დაცულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებები. პრესაში გამოქვეყნებული ან სხვაგვარი პუბლიკაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მიჩნეული ცილისმწამებლურად (მართლსაწინააღმდეგოდ), თუკი ამ პუბლიკაციაში კამათია არა ფაქტის გამო, არამედ იგი მიზნად ისახავს მოსარჩლის პიროვნების დამცირებას.

დასაშვები კრიტიკის საზღვრები პოლიტიკოსის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო ფიზიკური პირის მიმართ. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, პოლი-

ტიკური მოღვაწე აუცილებლად და შეგნებულად თავად აყენებს მის თითოეულ სიტყვას და საქმეს ჟურნალისტების, ასევე მთელი საზოგადოების თვალნი და ამდენად, მან უფრო მეტად უნდა გამოიჩინოს შემყნარებლობა (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ).

კასტელის ესპანეთის წინააღმდეგ საქმეში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და აზრის გამოთქმის უფლებას, რომლებიც შეურაცხყოფელი, აღმაშოთებელი და შემაწუხებელია.“

მოპასუხის მოსაზრებები ემყარებოდა მის ხელთ არსებულ საჯარო ინფორმაციის შემცველ ობიექტურ მონაცემებს, დოკუმენტებსა და თვით მოსარჩლის მიერ საკუთარი ქონების შესახებ სატელევიზიო გადაცემა „კურიერი პოსტ სკრიპტუმისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

კასაცია: საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა ვანო ჩხარტიშვილმა, რომელმაც საჯაროდ ბოდიშის მოხდისა და მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა მოხსნა და მხოლოდ გავრცელებული ცნობების უარყოფა მოითხოვა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, რ. ნადირიანი, ლ. გოჩელაშვილი) დააკმაყოფილა ვანო ჩხარტიშვილის საკასაციო საჩივარი, გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაავალა ლევან ბერძენიშვილს მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა გაზეთ „ახალი დერიტას“ ფურცლებზე, შემდეგი ფორმით:

„გაზეთ „ახალი დერიტას“ 2001 წლის 5-19 სექტემბრის ნომერში გავრცელებული ივანე ჩხარტიშვილის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები იმის შესახებ, რომ ივანე ჩხარტიშვილი არის კორუმპირებული ჩინოვნიკი, აქვს არაკანონიერი გზით მოპოვებული, მოპარული სიმდიდრე და არის მაფიის წევრი, არ შეესაბამება სინამდვილეს“.

მოტივაცია: პალატის აზრით, საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საკასაციო პალატა არ დაეთანხმა ქვედგომი ინსტანციის მითითებებს იმის შესახებ, რომ ლევან ბერძენიშვილის ინტერვიუ შეიცავდა რესპონდენტის დასკვნებსა და მოსაზრებებს და არ იყო გამიზნული იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მოსარჩლე არის მაფიოზური დაჯგუფების წევრი, რომელსაც ყველაზე მეტი სიმდიდრე აქვს მოპარული და ნამდვილად აქვს არაკანონიერი გზით მოპოვებული ქონება.

უზენაესი ინსტანციის აზრით, პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ლვარძლიან კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი

კრიტიკის ფარგლებს და მიზნად ისახავს ადრესატის ღირსების შელახვას. კრიტიკამ არ უნდა გადალახოს ზღვარი, რომელიც დადგენილია „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის“ დასაცავად. გადაწყვეტილებაში ლინგენსი აესტრიის წინააღმდეგ მითითებულია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესითა და ტელევიზიით გამართულ დებატებში დასაშვებზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუკი ინფორმაცია შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს და ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს პირის პატივსა და ღირსებას.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პუბლიკაცია შეიცავს მტკიცებას, რომ ვანო ჩხარტიშვილს ნამდვილად აქვს არაკანონიერი გზით მოპოვებული „მოპარული“ ქონება, რის დასტურადაც მითითებულია ფაქტზე, რომ ის „ნულიდან გახდა მილიონერი“. პალატა თვლის, რომ მოპასუხე გასცდა კრიტიკის ფარგლებს და კრიტიკა გადაიზარდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის დაბრალებაში, რაც ექვემდებარება მტკიცებას. ამდენად, კრიტიკამ გადალახა ზღვარი, რომელიც დადგენილია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად და ასეთ შემთხვევაში მოსარჩლეს არ ევალება, ითმინოს დანაშაულის ჩადენის ბრალეულობა.

პირადი არაქონებრივი უფლების აღმდგენი სარჩელის განხილვისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეფასება მისცეს იმ გარემოებას, მონაწილეობდა თუ არა პირი საჯარო პოლემიკაში და ხომ არ იყო მოპასუხის განცხადება პასუხი ანალოგიურ მოქმედებაზე. არ დასტურდება და არც მოპასუხე მიუთითებს, რომ ვანო ჩხარტიშვილმა საჯარო პოლემიკაში მიიღო მონაწილეობა და ლევან ბერძენიშვილის მიმართ რაიმე შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა. ამიტომ მოპასუხის განცხადება, პალატის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს პასუხად მოსარჩლის ანალოგიურ მოქმედებაზე.

საოლქო სასამართლოს არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს გავრცელებული ცნობები მოსარჩლის შესახებ და არ მიუთითებია იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებდა იმ ბრალდებას, რაც პუბლიკაციაშია მოცემული.

25 ივნისი

ალექსანდრე კუჭუხიძე მინდია სალუქვაძის, ივანე კილურაძის, გიორგი ხარაძისა და ედუარდ კოდუას წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 28 ნოემბერს ალექსანდრე კუჭუხიძემ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მინდია სალუქვაძის, ივანე კილურაძის, გიორგი ხარაძისა და ედუარდ კოდუას წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული მოპასუხეთა პუბლიკაცია, სათაურით „სასაცილოა და მერე როგორი, ცხარე ცრემლით სატირალი რომ არ იყოს!“

მოსარჩლის აზრით, მოპასუხეებმა გაავრცელეს ცილისმწამებლური, სინამდვილესთან შეუსაბამო, სახელგამტეხი ცნობები. საქმე შეეხებოდა „აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის სახელობის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის“ (ხსენებული სასწავლებლის რექტორი და დამფუძნებელი არის მოსარჩლე) მიერ საინფორმაციო საშუალებებში გაკეთებულ განცხადებებს მისაღები გამოცდების თაობაზე. სტატიის ავტორებმა უზნოდ მიიჩნიეს სასწავლებლისათვის ცოცხალი ადამიანის სახელის მინიჭება; მათ კანონის დარღვევაში დასდეს ბრალი მოსარჩლეს, რაც ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი თავის აკადემიკოსად გამოცხადებაში გამოიხატა. ალექსანდრე კუჭუხიძემ ცილისმწამებლურად მიიჩნია მოპასუხეთა განცხადება, თითქოს ინსტიტუტის სახელწოდება მან კორუმპირებულებთან დანაშაულებრივი კავშირის, ქრთამის გადახდის გზით ან პურ-მარილით მოახერხა. მანვე მიუთითა ისეთ შეურაცხმყოფელ გამონათქვამზე, როგორიცაა:

„უმრავლესობა კერძო უმაღლესი სასწავლებლებისა ახალგაზრდობას არავითარ ცოდნას არ აძლევს და ატყუებს მათ მშობლებს... საქართველოში მხოლოდ ფულის შოვნა არ აკმაყოფილებს მავანთ, გამდიდრების შემდეგ ტიტულების სურვილი უჩნდებათო, გატიტულებისათვის სულ რაღაც სხვა ხასიათის შრომა და ტვინის სულ სხვანაირად დაძაბვაა საჭირო“.

ალექსანდრე კუჭუხიძემ მოითხოვა მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფელი წერილის გამოქვეყნება; ბოდიშის მოხდა როგორც სასამართლო პროცესზე, ასევე გაზეთის მეშვეობით; მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 80 ათასი ლარის ოდენობით. მოსარჩლის განმარტებით, მას მიადგა მორალური ტანჯვა, განცდები, წყენა, დაკარგა სულიერი სიმშვიდე, ნაწილობრივ გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ყოველივე კი გამონეული იყო იმით, რომ სადავო წერილში ის მოიხსენიეს გარდაცვლილად, კორუმპირებულად, განდიდების მანიით შეპყრობილად.

თავის შესაგებელ სარჩელში მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ სადავო თემაზე საპასუხო წერილი ალექსანდრე კუჭუხიძემ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა, რითაც კონფლიქტი უნდა ამოწურულიყო. მოპასუხეებმა მიუთითეს იმ ორ კანონზე, რომლის დარღვევის გამო მათ მოსარჩლე გააკრიტიკეს:

პირველი არის კანონი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, რომლის მე-18 მუხლის თანახმად, „აკადემიკოსად დარგობრივი უწყების მიუთითებლად შეიძლება იწოდებოდეს მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი“. ბატონმა ალექსანდრემ კი ამ მოთხოვნის იგნორირების გზით, მედიის საშუალებებით გააცნო საკუთარი თავი საზოგადოებას „აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძედ“, მაშინ, როცა მოსარჩლეთა განცხადებით, ის არასოდეს ყოფილა აკადემიკოსი.

მეორე კანონი, რომელიც ალექსანდრე კუჭუხიძემ დაარღვია, მოსარჩლეთა მითითებით, არის რეკლამის კანონი. ალექსანდრე კუჭუხიძემ ჩაიდინა ე.წ. „თეთრ-საყელოიანთა დანაშაული“. აღნიშნული ცნების შემომტანი, სამართლის პროფესორი, ამერიკელი სატერლენდი თეთრსაყელოიანთა დანაშაულის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს ისეთ რეკლამას, რომელიც არ შეესაბამება კომერციული პროდუქციის ხარისხს და ცდილობს წარმოაჩინოს საქონელი იმაზე უკეთესად, ვიდრე ის რეალურად არის. ეს ნორმა ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც, კერძოდ, მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ კანონში, რომელიც კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. ასეთად კი ითვლება „კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უზიძგებს გარკვეული სამეურნეო ქმედებებისაკენ“¹. ამავე კანონის მიხედვით, სარეკლამო საქმიანობის რეგულირება ევალება ანტიმონოპოლიურ სამსახურს, კანონის დამრღვევ პირს კი ეკისრება „მატერიალური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“. ასეთი ტიპის დანაშაულად მიიჩნევა მოსარჩლეებმა ალექსანდრე კუჭუხიძის ქმედება, რადგანაც საქართველოში რეგისტრირებული ბიზნესის რამდენიმე ინსტიტუტისათვის კონკურენციის განევის მიზნით, ამ უკანასკნელმა საზოგადოებას თავი წარუდგინა არა ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, არამედ აკადემიკოსად ყოველგვარი პრედიკატის გარეშე, რითაც ის ცოდნა, რომელსაც ხსენებული ინსტიტუტი სთავაზობს აბიტურიენტებს, გაცილებით სარფიანად წარმოადგინა. „მას რომ დაეწერა „ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიკოსი“, აბიტურიენტები და მათი მშობლები იოლად შეაფასებდნენ სოკოებივით მომრავლებული აკადემიების წევრის დონეს და არჩევანს არ გააკეთებდნენ მისი ინსტიტუტის სასარგებლოდ“, – აღნიშნეს მოსარჩლეებმა თავიანთ შესაგებელში.

¹ მუხლი 9, პუნქტი 2.

შესაგებელი სარჩელის ავტორები თვლიან, რომ მათ უბრალოდ შეაფასეს ზნეობრივი ნორმების დარღვევა, რაც დამფუძნებლის მიერ სასწავლებლისთვის საკუთარი სახელის მინიჭებაში გამოიხატა.

მოსარჩლეებმა მოითხოვეს ალ. კუჭუხიძისათვის იმ ოდენობის თანხის დაკისრება, რისი მიღებაც ამ უკანასკნელს მათგან სურდა.

გადაწყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ტაბატაძე) არ დააკმაყოფილა ალექსანდრე კუჭუხიძის სარჩელი.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, სადავო პუბლიკაციაში მართლაც არის ისეთი წინადადებები, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში შეიძლება პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას უკავშირდებოდეს. ასეთებად სასამართლომ შემდეგი გამონათქვამები მიიჩნია:

„გვეგონა, რომ ამ ინსტიტუტს მიენიჭა გარდაცვლილი მხცოვანი მეცნიერის სახელი“. „ვინ გაატარა რეგისტრაციაში ინსტიტუტი ასეთი სახელწოდებით, რა დაუფლდა ეს დაინტერესებულ პიროვნებას“. „უმრავლესობა ამ სასწავლებელთან ახალგაზრდობას არავითარ ცოდნას არ აძლევს და ატყუებს მათ მშობლებს“.
„გამდიდრების შემდეგ ტიტულების სურვილი უჩნდებათ... სიმდიდრე არ უნდა იყოს გატიტულების საფუძველი, ამისათვის სულ სხვა ხასიათის შრომა და ტვინის სულ სხვანაირად დაძაბვაა საჭირო“.

თუმცა, სასამართლოს აზრით, მოპასუხეები, რომლებიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტიტულოვანი წარმომადგენლები არიან, აკრიტიკებენ არა კონკრეტულ პირს, არამედ ცხოვრების „მანკიერ“ მოვლენებს, რათა მათ არ მიეცეთ გაგრძელებისა და განვითარების საშუალება.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა არგუმენტი მოსარჩლის მიერ კანონის ნორმათა დარღვევის შესახებ და დაასკვნა, რომ მოსარჩლემ ვერ დაასაბუთა, რომ იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ხოლო მოპასუხეებმა დაამტკიცეს, რომ ალ. კუჭუხიძე არ არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და მას უფლება არ ჰქონდა საზოგადოებისათვის თავი წარედგინა აკადემიკოსად, დარგობრივი უწყების მითითების გარეშე, რაც ამ უკანასკნელმა გააკეთა როგორც ინსტიტუტის სასამართლოში რეგისტრაციისას, ისე ინსტიტუტის რეკლამირების დროს. ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო პუბლიკაცია მიზნად არ ისახავდა ალ. კუჭუხიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას. პუბლიკაციით საზოგადოების ერთმა ნაწილმა (მოპასუხეთა სახით) გააკრიტიკა საზოგადოების მეორე ნაწილი (მოსარჩლის სახით), რადგან ამ უკანასკნელის ქმედება ზნეობრივი ნორმებისა და კანონის დარღვევად მიიჩნიეს. ამასთან მოპასუხეთა დამოკიდებულება სასამართლომ განიხილა, როგორც მითითება, თხოვნა საზოგადოები-

სადმი – თავი შეიკავონ ამგვარი ქმედებებისაგან. სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ მოუხმო ამონარიდს მოპასუხეთა წერილიდან: „*ნუ გავაცინებთ მტერს, ნუ ვათქმევინებთ, რომ როგორ სახელმწიფოშიც ცხოვრობენ, ისეთივე ბედოვლათები არიანო*“.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია, მით უფრო, რომ სასამართლოსთვის მიმართვამდე მოსარჩლემ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა საპასუხო წერილი. სასამართლოს აზრით, მოპასუხეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია არა თუ ბრალეულ; არამედ დაუსაბუთებელ მოქმედებას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისიც, რომ მოსარჩლე გარკვეული გაგებით მოეკიდა კრიტიკას და რეკლამიდან ამოიღო ტიტული აკადემიკოსი.

სასამართლოს არ უმსჯელია შესაგებელ სარჩელზე.

აპელაცია: რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ალ. კუჭუხიძემ.

სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მონინალმდევე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლომ (მოსამართლეები – მ. სულხანიშვილი, მ. ჭყონია, ლ. კობალაძე) არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 386-ე, 372-ე და 237-ე მუხლებით.

1 ივლისი

აკაკი ახალკაცი „ბაზარი საბურთალო 2000“-ის, „იბერია თაიმსისა“ და „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ

სარჩელი: აკაკი ახალკაცმა სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, რისი საფუძველიც მასსა და „ბაზარი საბურთალო 2000“-ის დირექტორს, ნათელა წიქარიშვილს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი გახდა. მოსარჩლე, რომელიც საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე განთავსებული ჯიხურის მესაკუთრე იყო, ითხოვდა მოპასუხის თვითნებური ქმედების აკრძალვას, რაც ჯიხურის დანგრევაში გამოიხატა.

2001 წლის 23 მარტს აკაკი ახალკაცმა დამატებითი სარჩელი შეიტანა სასა-

მართლოში, რომელშიც მოპასუხეებად ნათელა ნიქარიშვილის გარდა, გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „იბერია თაიმსი“ მიუთითა. მოსარჩლის განმარტებით, ნათელა ნიქარიშვილი მას კუთვნილ ჯიბურში ვაჭრობის საშუალებას არ აძლევდა. გაზეთ „ასავალ-დასავალი“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში („საბურთალოს ბაზრის დირექტორი თავს დღესაც პატიმრად თვლის“...) კი ამ უკანასკნელმა მას უწოდა „დანოსჩიკი“ და სულით ავადმყოფი, რითაც განიცადა მორალური ზიანი. გაზეთ „იბერია თაიმსში“ კი გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორმა, გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ცისანა სანადირაძემ ახალკაცს უწოდა „ჯაშუში“, რითაც ასევე შელახა მოსარჩლის პატივი და ღირსება.

მოსარჩლემ მოითხოვა, ნათელა ნიქარიშვილს მიეცა მისთვის ჯიბურში მუშაობის ნებართვა; თითოეულ მოპასუხეს (ნათელა ნიქარიშვილი, „ასავალ-დასავალისა“ და „იბერია თაიმსის“ რედაქტორები) კი დაკისრებოდა მორალური ზიანის სახით 10 000 — 10 000 ლარის გადახდა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით, აკაკი ახალკაცის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩლემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლომ (მოსამართლეები – ხ. არევაძე, თ. მუხრანელი, თ. კილანავა) არ დააკმაყოფილა სარჩელი.

მოტივაცია: სარჩელის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც პატივის და ღირსების შელახვას შეეხებოდა, სასამართლომ აღნიშნა: საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე სააპელაციო წესით განხილვისას, მხარეს არ მოუთხოვია გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობების უარყოფა და განმარტა, რომ მას მხოლოდ მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება და მოპასუხეებისათვის 10 000-10 000 ლარის დაკისრება სურდა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ამასთან ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს არაქონებრივი მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან გამომდინარე, ასევე მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად არ დასტურდება მოპასუხეთა მიერ ბრალეული მოქმედებით მოსარჩლის პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა.

პირადი არაქონებრივი უფლებების ბრალეული ხელყოფა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა.

ფას, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (პიროვნული ღირებულებების ხელყოფის დროს პირი ცდილობს სწორედ მორალური და არა მატერიალური ზიანის დადასტურებას), ამასთან მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლითაც ხდება პირადი არაქონებრივი უფლებების, ამ შემთხვევაში პატივის და ღირსების შელახვა. სასამართლოს აზრით, მოცემულ დავაში არ დასტურდება მოპასუხეთა მიერ მოსარჩლის მიმართ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით პატივისა და ღირსების ხელყოფის ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხეებზე 30 ათასი ლარის დაკისრების საფუძველი.

2 ივლისი

კახა თარგამაძე, ავთანდილ ჩხაიძე, ვასილ დავითაია, ზაქარია ვარაზიშვილი, ნიკოლოზ ივანიშვილი, ზურაბ უროტაძე, რევაზ მაჭავარიანი „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 16 მარტს გაზეთ „რეზონანსში“ გრიფით „ჟურნალისტური გამოძიება“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ელისო ჩაფიძის პუბლიკაცია, სათაურით „დინამო“ შვიდი პოლიციელის საკუთრება, თარგამაძეს და კომპანიას შევარდნაძე ბიუჯეტიდან 7 მილიონს ჩუქნის“. გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული იყო გამოძიების ანონსი, სათაურით „სუპერაფერა“ და კახა თარგამაძის ფოტოსურათი. საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ემბლემას კი ახლდა მინაწერი: „თარგამაძე მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე.“ აღნიშნული პუბლიკაციის გამო კახა თარგამაძემ, ავთანდილ ჩხაიძემ, ვასილ დავითაიამ, ზაქარია ვარაზიშვილმა, ნიკოლოზ ივანიშვილმა, ზურაბ უროტაძემ და რევაზ მაჭავარიანმა სარჩელი აღძრეს გაზეთ „რეზონანსისა“ და ელისო ჩაფიძის წინააღმდეგ.

„რეზონანსის“ ჟურნალისტურ გამოძიებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტმა „თბილისის დინამო“ აჩუქა პოლიციის შვიდ მაღალჩინოსანს; რომ უხეშმა ძალამ „დინამო“ წაართვა საქართველოს, ხალხს, ფეხბურთელებს და გახადა შპს „თარგამაძე და კომპანიის“ საკუთრება. ელისო ჩაფიძე მომხდარს აფერას უწოდებს და ამ აფერის კონტექსტში განიხილავს შს მინისტრის 1997 წლის 6 ოქტომბრის №575 ბრძანებას, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს პირადი

შემადგენლობის ხელფასიდან 0,2%-ის გადახდას ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს“ დასაფინანსებლად. ამ ფაქტს თან ერთვის ჟურნალისტის კომენტარი: „აი ასე აცურებს პოლიციის ნომენკლატურა თავისივე თანამშრომლებს“. მოსარჩელეთა აზრით, ელისო ჩაფიძე ვასილ დავითაიას მიანერს აზრს იმის თაობაზე, რომ გამგეობაში მყოფი შვიდი პიროვნება საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს უზარმაზარ ქონებას. ჟურნალისტის აზრით, იმისა და მიუხედავად, დარჩება თუ არა კახა თარგამაძე შს მინისტრად, იგი ყოველთვის იქნება „თბილისის დინამოს“ მენეჯერად. ელისო ჩაფიძე აღნიშნავს, რომ კახა თარგამაძე არად ადგებს საკუთარი თანამშრომლების ნება-სურვილს და რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თანახმანი არიან თუ არა ისინი, განევიანდნენ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელსაც შს მინისტრი თავმჯდომარეობს.

მოსარჩლეებმა მიუთითეს „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ მეორე ჟურნალისტურ გამოძიებაზე (2001 წლის 17 მარტი), სათაურით „ქურდებისა და პოლიციელების „დინამო“. გაზეთის პირველ გვერდზე, სათაურით „სუპერაფერისტი“ განთავსებული იყო ჟურნალისტური გამოძიების ანონსი: კახა თარგამაძის ფოტოსურათს ერთვოდა მინანერი: „დინამო თარგამაძეს გამარტივებული წესით“ და „როგორ გააცუცურა კახა თარგამაძემ შევარდნაძე“. მოსარჩელეთა განცხადებით, პუბლიკაციაში განმტკიცებულია გაზეთის წინა ნომერში განთავსებული აზრი. ჟურნალისტი მიუთითებს, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო „დინამოს“ გადასცემს არა შს-ს, არამედ 7 ფიზიკურ პირს. ელისო ჩაფიძე აღნიშნავს, რომ ქართულ ფეხბურთს დაუდგა დრო, როდესაც პოლიციის მაღალჩინოსნებმა მოინდომეს ამ მომგებიან სფეროში არსებული ქონების მნიშვნელოვანი წილის საკუთარ ჯიბეში გადაქაჩვა და რომ ამ მიზნით კახა თარგამაძემ მოატყუა პრეზიდენტი და კლუბის სახელით შვიდი კაცი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7 მილიონის ხელში ჩაგდებას აპირებს.

მოსარჩლეების აზრით, აღნიშნული პუბლიკაციით შეილახა მათი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, მათ მოითხოვეს: გაზეთისა და ჟურნალისტის მხრიდან მოპასუხეებისათვის ბოდიშის მოხდა, იმავე შრიფტით და იმავე ადგილას, სადაც წერია „სუპერაფერისტი“ და „სუპერაფერა“; უარყოფის გამოქვეყნება სათაურით „გაზეთი „რეზონანსი“ უარყოფს მის მიერ გავრცელებულ ყალბ ცნობებს“.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და თავიანთ შესაგებელში აღნიშნეს, რომ ჟურნალისტური გამოძიება ემყარება ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს“ და შს „დინამო თბილისის“ რეგისტრაციის მასალებს; საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 მარტის №42 ბრძანებულებასა და შს მინისტრის 1997 წლის 6 ოქტომბრის №575 ბრძანებას; საქართველოს პარლამენტის დეპუტა-

ტების – კობა დავითაშვილის, ვახტანგ ხმაღაძის, ვასილ მაღლაფერიძის, დემურ გიორხელიძის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის ირაკლი ოქრუაშვილის, იურისტ დავით უსუფაშვილის შეფასებებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

მოპასუხეთა განმარტებით, მათ ყალბი ცნობები არ გაუვრცელებიათ, უურნალისტისა და გაზეთის შეფასებები არის მათი პოზიცია, რაც სრულიად შესაბამება სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურ ნორმას. ამა თუ იმ მოვლენის აფერად შეფასება, მოპასუხეთა განცხადებით, არ წარმოადგენს ყალბი ცნობების გავრცელებას, არამედ არის მოვლენის უურნალისტისა და გაზეთისეული აღქმა.

თბილისის საოლქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რის გამოც მოსარჩლე მხარემ იგი საკასაციო წესით გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და ეკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) არ დააკმაყოფილა კახა თარგამაძისა და პოლიციის 7 მაღალჩინოსნის სარჩელი.

მოტივაცია: უზენაესმა ინსტანციამ მიუთითა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საკანონმდებლო აქტებზე, რომლებითაც დადგენილია როგორც მოსაზრებების, ინფორმაციის გამოხატვისა და გავრცელების, ისე პირთა პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიები.

პალატის აზრით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სახელმწიფოს ჩარევა სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში მოცემულ შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სიტყვის თავისუფლება იმ სახით, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი საერთაშორისო აქტებით, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ საფუძველს, საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ პირობას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის მისიაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები პოლიტიკურ საკითხებთან და იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც საყოველთაო ინტერესის საგანია. სიტყვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ის იარაღი, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას, შეიტყოს პოლიტიკური ლიდერების საზოგადოებრივ პრობლემებთან დამოკიდებულება, ერთმანეთს შეადაროს მათი შეხედულებები და იდეები.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პრესის თავისუფლება, არამედ საზოგადოების უფლებაც – იყოს სათანადო დონეზე ინფორმირებული.

პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზო-

გადოების გულს. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო პირთა. პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის გარდაუვალია და ამგვარი თანამდებობის დაკავება თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება იქნება უურნალისტა მუდმივი და დაკონტრულებული ანალიზისა და კრიტიკის ობიექტი. პოლიტიკოსმა, შესაბამისად, უნდა გამოავლინოს მოთმინების მაღალი დონე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელმაც შესაძლოა, გამოიწვიოს მძაფრი კრიტიკა. სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამასთან, კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და იგი არ უნდა გადაიზარდოს ღვარძლიან კრიტიკაში, რომელიც ამკარად შეუსაბამოა კრიტიკისა და განსჯის საგანთან.

პალატის აზრით, რაც უფრო დიდია პოლიტიკური თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, მით ფართოა მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები, მისი მისამართით გამოთქმულ საფუძვლიან კრიტიკას მეტი დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი, სახელმწიფო და თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

პოლიტიკოსს, რა თქმა უნდა, აქვს მისი რეპუტაციის დაცვის უფლება, მაგრამ ამგვარი დაცვის მოთხოვნის საპირისპირო და გამანონასწორებელ გარემოებას წარმოადგენს საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები პოლიტიკურ საკითხებზე და დისკუსიის მიმართ.

ცნობა არის ოფიციალურად გადაცემული ამბავი, ცხოვრების აღწერა, მონათხრობი ვინმეს შესახებ.

პატივისა და ღირსების შელახვაში იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირების შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

მოსაზრება არის განსჯის პროდუქტი. ამდენად, თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი.

მოცემულ შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება დაიყოს ინფორმაციად ფაქტობრივი მონაცემების შესახებ და ინფორმაციად შეფასებების შესახებ, რომლებიც ერთდროულად ცნობებსაც წარმოადგენენ.

მოპასუხეს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა არა იმიტომ, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ცნობებს არ წარმოადგენს, არამედ სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველი უნდა გახდეს შემდეგი გარემოებები:

პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა მკვეთრი შეფასებები, რომლებიც არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობს, არ შეიძლება იყოს ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საფუძველი. ჟურნალისტური შეფასებები ფაქტების ადეკვატური უნდა იყოს.

სასამართლოს აზრით, „რეზონანსში“ ხსენებული პუბლიკაციის გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო იმ პრობლემების საჯარო განხილვას, რომლებიც საყოველთაო ინტერესის საგანია.

როდესაც საგაზეთო პუბლიკაცია ეხება შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ უკანონო მოქმედებას, ვინც თვითონ არის პასუხისმგებელი ქვეყანაში კანონიერების დაცვაზე და ამ დარღვევების არსებობის უარყოფა არ ხდება, ამ შემთხვევაში კრიტიკის ფარგლები ფართოა. ასეთ ვითარებაში პრესის ფუნქციაა, შეასრულოს „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლი და გაავრცელოს ინფორმაცია პოლიტიკური ლიდერის შესახებ, რათა ხალხმა შეაფასოს ლიდერთა საქმიანობა. პოლიტიკოსი, რომელიც ახორციელებს ასეთ სარისკო მოქმედებებს, თვითონ აქცევს თავის თავს ჟურნალისტებისა და საზოგადოების მხრიდან მძაფრი თავდასხმების ობიექტად.

როდესაც უდავოა ფაქტების ნამდვილობა, რომელსაც შეფასებითი განსჯა ეფუძნება და თვით ეს შეფასება გამოტანილია სხვა პოლიტიკოსთა და სპეციალისტთა მოსაზრებებიდან, მოთხოვნა – ჟურნალისტმა უარყოს ამგავარი ცნობები – ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების პრინციპებს.

ჟურნალისტს და რედაქციას მოცემულ შემთხვევაში საგაზეთო პუბლიკაციის მკვეთრი და ყოველი ადამიანისათვის თვალშისაცემი ფორმა აქვს შერჩეული. განსახილველი პრობლემიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის ობიექტები აღმოჩნდნენ შსს-ს მაღალჩინოსნები, რომლებიც თავად არიან პასუხისმგებელნი კანონის დაცვაზე, არ შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკის ამგვარი ფორმის არჩევით ჟურნალისტმა და რედაქციამ გადალახეს სიტყვის თავისუფლების ფარგლები.

პალატამ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის დებულებათა განმარტებისას გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, „სანი ტაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

4 ივლისი

გურამ ჭუმბურიძე „დილის გაზეთის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 1999 წლის 27 აპრილს გურამ ჭუმბურიძემ სარჩელით მიმართა ჩუ-ღურეთის რაიონის სასამართლოს „დილის გაზეთის“ რედაქციის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძვლად მან მიუთითა 1998 წლის 28 ოქტომბერს „დილის გაზეთში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „კუზიანს სამარე ასწორებს, გამოცდილ ბიზნესმენს კი“...

მოსარჩლის მითითებით, სტატია, რომლის ავტორია მაია დევდარიანი, ცილს სწამებს მას ისეთი მძიმე დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა სისხლის სამართლის 74-ე მუხლით გათვალისწინებული თაღლითობა, სხეულის განზრახ მძიმე ხარისხის დაზიანება, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, კონტრაბანდა (40 სახარატო ჩარხის საქართველოდან თურქეთში უკანონოდ გატანა), ნარკოტიკების შენახვა და რეალიზაცია. გურამ ჭუმბურიძის განცხადებით, ამ არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ უარყოფითად იმოქმედა მის ღირსებაზე, მას პრობლემები შეექმნა სანათესაო, სამეგობრო წრეში, როგორც ერთ-ერთი შპს-ს პარტნიორს და დირექტორს კი – საქმიანი კონტრაქტების დადებაში.

მოსარჩლემ მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოპასუხეზე 80 ათასი ლარის დაკისრება მოითხოვა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 6 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხეს გურამ ჭუმბურიძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 3 ათასი ლარი დაეკისრა, მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე კი უარი ეთქვა.

თბილისის საოლქო სასამართლომ კი გააუქმა რაიონული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს დაუბრუნა.

რაიონული სასამართლოს 2001 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. „დილის გაზეთს“ დაევალა მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, ხოლო გურამ ჭუმბურიძის მოთხოვნა – გაზეთისათვის 5 ათასი ლარის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით, მოსარჩლის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. „დილის გაზეთს“ დაევალა შემდეგი ცნობების უარყოფა: რომ მოსარჩლე ხონის რაიონის პროკურატურაში ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკების შენახვა-გასაღებაში, რომ მან უკანონოდ გაიტანა თურქეთში 40 ჩარხი და რომ მისმა თაღლითობამ გამსესხებლის ფულები შეინირა. რედაქციას ასევე დაევალა გურამ ჭუმბურიძის ნასა-

მართლობის შესახებ ცნობის გამოქვეყნება ნასამართლობის წლების მითითებით. „დილის გაზეთს“ დაევალა მოსარჩლის სასარგებლოდ 3 ათასი ლარის გადახდა.

საოლქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. „დილის გაზეთმა“ მიუთითა, რომ სადავო მასალა მომზადებული იყო მოქალაქე ბ. დავითულიანისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და გაზეთის კორესპონდენტს არ ჰქონია განზრახვა, შეეღახა გურამ ჭუმბურიძის პატივი და ღირსება. რედაქციამ მოითხოვა გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც მას 3 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

გურამ ჭუმბურიძემ კი მოითხოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომელიც მისი ნასამართლობის შესახებ ცნობის გამოქვეყნებას ეხებოდა. კასატორის განმარტებით, იგი იმ ბრალდებით, რომელიც სასამართლომ მიუთითა, ნასამართლევი არ ყოფილა. გ. ჭუმბურიძის მითითებით, სასამართლომ არ გამოიკვლია მისი მოთხოვნა და მოპასუხეს იმის შესრულება დაავალა, რაც მას არ უთხოვია, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) დააკმაყოფილა გურამ ჭუმბურიძის შეგებებული საკასაციო საჩივარი. კერძოდ, გააუქმა საოლქო სასამართლოს 2002 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც „დილის გაზეთს“ დაევალა გურამ ჭუმბურიძის ნასამართლობის შესახებ ცნობის გამოქვეყნება.

პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა „დილის გაზეთის“ საკასაციო საჩივარიც. გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება მოსარჩლის სასარგებლოდ 3 ათასი ლარის გადახდის თაობაზე და გაზეთს გურამ ჭუმბურიძის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა დაეკისრა.

მოტივაცია: პალატამ მართებულად მიიჩნია გურამ ჭუმბურიძის საკასაციო საჩივარი იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლო გაცდა სარჩელის მოთხოვნას და მოპასუხეს დააკისრა იმის შესრულება, რაც მას არ მოუთხოვია. ამით კი სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს, თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე მან მოითხოვა.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია „დილის გაზეთის“ საკასაციო სარჩელში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ არ არის დამტკიცებული გაზეთის ბრალეულობა მორალური ზიანის მიყენების ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამის-

სად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

სასამართლოს აზრით, მარტოოდენ იმის მითითება, რომ მორალური ზიანის მიყენების ნაწილში გაზეთის ბრალეულობა დადასტურებული არ არის, არ წარმოადგენს არც დამატებით და არც დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, ამიტომ ის მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მიღებული გადანყევტილების მთლიანად გაუქმების და სარჩელზე მთლიანად უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება.

ამასთანავე, უზენაესმა ინსტანციამ გაიზიარა რედაქციის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სააპელაციო პალატამ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა დაეკისროს გაზეთს 3 ათასი ლარი.

საკასაციო სასამართლოს აზრით, მორალური ზიანის განსაზღვრისას აუცილებელია, მრავალი გარემოების გათვალისწინება, მათ შორის, გავრცელებული ცნობების ხასიათის საზოგადოებრივი შეფასება (სასამართლოს არ შეუძლია იხელმძღვანელოს დაზარალებულის სუბიექტური აღქმით, რადგან ზნეობრივი განცდის გამომწვევი ვითარებები ფასდება სხვადასხვაგვარად), ცნობების გავრცელების სფერო (არეალი) მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს მოსარჩლის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მხოლოდ მოსარჩლის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის გადანყვეტა ხდება სასამართლოს შეხედულებით, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრულობა და სამართლიანობა უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანის განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური ვალდებულების ეს სახე. მორალური ზიანის ანაზღაურებას სიმბოლური ხასიათი აქვს. პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა, გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის ოდენობის უზომოდ გაზრდა და პრესის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა და ზიანის მიმყენებლის გადახდის დაბალი უნარი ამცირებს ფულადი კომპენსაციის ოდენობას. ზიანის მოცულობის განსაზღვრისათვის ასევე საჭიროა იმის დადგენა, თუ რა სარგებელია მიღებული პიროვნული უფლებების ხელყოფის გზით.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არაადეკვატურად ჩათვალა 3 ათასი ლარის დაკისრება, იმის გათვალისწინებით, რომ ხელმყოფს დავალებული ჰქონდა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა. საკასაციო სასამართლომ გონივრულ თანხად 100 ლარი განსაზღვრა.

გ. ჭუმბურიძე გ. დიდბარიძის წინააღმდეგ

სარჩელი: გ. ჭუმბურიძემ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილის გ. დიდბარიძის წინააღმდეგ, რისი საფუძველიც ამ უკანასკნელის მიერ გაზეთ „რეზონანსის“ (1998 წლის 25 ოქტომბერი) მეშვეობით გავრცელებული ცნობები გახდა. მოსარჩლის განცხადებით, მინისტრის მოადგილემ მის შესახებ გაავრცელა ცრუ მონაჭორი, სახელდობრ, ბრალი დასდო მას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში – სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ასევე ნარკოტიკების გასაღებასა და თურქი მძღოლების „ქალებით მომსახურებაში“ (სუტენიორობა).

მოსარჩლის განცხადებით, ამ ცნობების გავრცელებამ ხელყო მისი უფლებები, შელახა კანონით დაცული მისი ინტერესები და ღირსება, რითაც განიცადა მორალური ზიანი. ამასთანავე მას, როგორც ბიზნესმენსა და ერთ-ერთი შპს-ს დირექტორს მიადგა გარკვეული მატერიალური ზიანიც. მოსარჩლემ მოითხოვა გ. დიდბარიძის მიერ გაზეთ „რეზონანსის“ მეშვეობით გავრცელებული ცნობების უარყოფა და მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისთვის 8 ათასი ლარის დაკისრება.

რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პუბლიკაციაში მითითებულ ბრალდებას სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, რითაც მოსარჩლეს შეელახა პატივი და ღირსება. ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ჭუმბურიძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და დაავალა მოპასუხეს მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, ამასთანავე, მორალური ზიანის სახით – 5 ათასი ლარის გადახდა.

ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. დიდბარიძემ, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და გ. ჭუმბურიძის სარჩელზე უარის თქმა.

საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, 2000 წლის 28 მარტის განჩინებით, ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

ხსენებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. დიდბარიძემ და მიუთითა, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს. სახელდობრ, შს საინფორმაციო ცენტრში გ. ჭუმბურიძის ნასამართლობის გადამონმების შედეგად გაირკვა, რომ ეს უკანასკნელი ნასამართ-

ლევნი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 84-ე მუხლისა და 74-ე მუხლის მე-2 ნაწილით. კასატორის განმარტებით, ის, როგორც არასპეციალისტი დაეყრდნო მისი უწყების იურისტების განმარტებას, რომ 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სხეულის მძიმე დაზიანებას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი. ხსენებული მუხლი კი სულ სხვა დანაშაულს ითვალისწინებს. გ. დიდბარიძემ ნაწილობრივ ცნო სარჩელი, მაგრამ არ უარყო ნარკოტიკებით ვაჭრობისა და თურქი მძღოლების „ქალებით მომსახურების“ ბრალდება. აღნიშნული ინფორმაცია, როგორც თავად განმარტა, მას შპს „ბროლის“ დირექტორმა ბ. დავითულიანმა მიაწოდა. ამ უკანასკნელის განცხადებით, არიან მონაწილეები და შესაძლებელია მათი სასამართლო სხდომაზე მოწვევა.

გ. დიდბარიძის განცხადებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გამოიძახეს პროცესზე მონაწილეები, რომლებიც შესაძლებლად მის მიერ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის დადასტურებას. ამასთანავე, მისი აზრით, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა კომპენსაციის ოდენობა და ამ დროს არ გაითვალისწინა მისი შესაძლებლობა.

გადანყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარქო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ნიქვაძე, მ. გოგიშვილი, რ. ნადირიანი) გააუქმა საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა გ. დიდბარიძის საკასაციო საჩივარი.

გ. დიდბარიძეს დაეკისრა გადანყვეტილების მიღებიდან 40 დღის ვადაში გაზეთ „რეზონანსის“ მიერ გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა, შემდეგი ფორმულირებით:

„1998 წ. 25 ოქტომბრის ვაზეთ „რეზონანსით“ გავრცელებული ცნობები გ. ჭუმბურიძის ნასამართლობის, ნარკოტიკების რეალიზაციაში და სუტენიურობაში მონაწილეობის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს.“

მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი მას 2 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

მოტივაცია: საკასაციო პალატის აზრით, საოლქო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილზე, რომლის თანახმად, სიკეთის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში დარღვევა გამოწვეული იყო ბრალეული მოქმედებით, რის გამოც გ. ჭუმბურიძეს ჰქონდა ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

ამასთანავე, პალატის აზრით, ფულადი კომპენსაციის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალის ხარისხი, მხარეთა ქონებრივი

მდგომარეობა, ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური და სოციალური ფონი. ფულადი კომპენსაცია კი უნდა განისაზღვროს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში გონივრული ფულადი კომპენსაცია 2 ათასი ლარი იქნებოდა.

19 იელისი

მერი ჯავახიშვილი „რეგიონის ტრიბუნის“ წინააღმდეგ

სარჩელი: მერი ჯავახიშვილმა სარჩელით მიმართა კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „რეგიონის ტრიბუნის“ წინააღმდეგ.

1998 წლიდან მოსარჩელე ცხოვრობდა თბილისში, ხიდის ქ. №1-ში. ხსენებულ მისამართზე განთავსებული იყო გაზეთ „რეგიონის ტრიბუნის“ რედაქციაც. ჯავახიშვილსა და რედაქციას შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა მოსარჩლის კუთვნილი ფართის ნაწილის გამოთავისუფლების შესახებ. სადავო ფართი ჯავახიშვილს კრწანისი-მთანმინდის სასამართლოს გადამწყვეტილებითაც დაუკანონდა. ამ გადამწყვეტილების გამო გაზეთის რედაქციამ ღია წერილებით მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, თბილისის მერს და სხვა მაღალჩინოსნებს. ხსენებულ ღია წერილებში მერი ჯავახიშვილი მოხსენიებულია „გამძვინვარებულ-გაშლევებულ ქალბატონად“, „ყბადღებული კარვის ქალად“, რომელიც კარვა ხანს „კარვის ქალების“ ერთ-ერთ ლიდერად იყო ცნობილი“, „ე.წ. „კარვის ქალების“ ხროვის აქტიური წარმომადგენელი, რომლებმაც თავის დროზე პირველ პრეზიდენტსაც მიაყენეს ჩრდილი თავიანთი არაეთიკური და არაზნეობრივი საქციელით“. გაზეთის რედაქტორის მოადგილემ გ. ჭყოიძემ 2001 წლის 9 სექტემბერს პირადად მისწერა წერილი მერი ჯავახიშვილს, სათაურით „შეურაცხყოფილი მერიჯან“.

მერი ჯავახიშვილის განცხადებით, აღნიშნული ღია წერილები „იგზავნება ყველა შესაძლო ინსტანციაში და მათი საერთო ტირაჟი „რეგიონის ტრიბუნის“ ტირაჟს არ ჩამოუყვარდება.“ ღია წერილები და პირადად მის სახელზე გაგზავნილი წერილი, მოსარჩლის მტკიცებით, ლახავენ მის ღირსებას და ავტორიტეტს, რისთვისაც მან მოითხოვა მოპასუხისათვის 3 ათასი ლარის დაკისრება.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რედაქციამ ღია წე-

რილები მას შემდეგ დააგზავნა, რაც მოსარჩლემ განცხადებით მიმართა პოლიციას, თითქოს ჟურნალისტები მას ბაზარზე ფულს სძალავდნენ. რედაქციის წარმომადგენლის განცხადებით, ჯავახიშვილმა სასამართლოს მეშვეობით თაღლითურად მოიპოვა ბინის ფართზე უფლება.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – პ. ნოზაძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და გაზეთ „რეგიონის ტრიბუნას“ მოსარჩლის სასარგებლოდ 300 ლარის გადახდა დააკისრა.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, რედაქციის მიერ გავრცელებული ღია წერილები შეიცავდნენ ისეთ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, როგორცაა „ქარვის ქალი“, „ქარვის ქალების“ აქტიური წევრი“, „არაეთიკური და არაზნეობრივი ქცევის ადამიანი“, „მაქინატორი“, „თაღლითი“ და სხვა. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე, რომლის თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით დაიცვას მისი პატივი და ღირსება, თუ ასეთი შინაარსის ცნობები გავრცელდება მასობრივი ინფორმაციისა და სხვა საშუალებების მეშვეობით, ასევე მოითხოვოს ამ ქმედებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება. ამავ დროს, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მოთხოვნით, რომ მორალური ზიანის კომპენსაცია უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი, და ნაცვლად მოთხოვნილი 3 ათასი ლარისა, მოპასუხეს 300 ლარი დააკისრა.

9 სექტემბერი

ინგა აბაშიძე ჯანსუღ ცივაძისა და თემურ თხილაიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: გაზეთ „აჭარა P.S.“-ის ჟურნალისტმა ინგა აბაშიძემ ბათუმის სამოქალაქო სასამართლოში აღძრა სარჩელი ბათუმის ლუდის ქარხნის გენერალური დირექტორის ჯანსუღ ცივაძისა და მისი მეგობრის თემურ თხილაიშვილის წინააღმდეგ. ჟურნალისტმა შეურაცხმყოფელად ჩათვალა მოპასუხეთა ქმედება, რაც, სასარჩელო განცხადების თანახმად, გამოიხატა შემდეგში:

25 სექტემბერს ინფორმაციის მომზადების მიზნით, მოსარჩლე ეწვია ლუდის ქარხნის დირექტორს, რომელიც მისი ქარხანაში მისვლის მომენტში მეგობრებთან ერთად კაბინეტში ქეიფობდა. მდივანი გოგონას მეშვეობით, ჯანსუღ ცივაძემ მას დალოდება სთხოვა და მიღება აღუთქვა. 20 წუთიანი ლოდინის შემდეგ კაბი-

ნებიდან გამოვიდა ციკაძის მეგობარი თემურ თხილაიძე, რომელმაც ინგა აბაშიძეს დაუნყო ხელისკვრა და განუცხადა: „ფეხზე მკიდხართ ჟურნალისტები, მე შენ გიცნობ, წადი აქედან და სადაც ვინდა მიივლეო.“ მოსარჩლის განცხადებით, თხილაიძე მის მძვინვარებასთან დაკავშირებით გამოთქმულ უცენზურო სიტყვებს არ გამომხაურებია თავად ქარხნის დირექტორი, რომელიც ნახევრად ღია კარში ისმენდა მის შეურაცხყოფას.

ჟურნალისტის მტკიცებით, ამ ქმედებით შეილახა მისი, როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული პატივი და ღირსება. მოსარჩლემ მოითხოვა მორალური კომპენსაციის სახით მოპასუხეებისათვის 500 ლარის დაკისრება.

გადანყვეტილება: ბათუმის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე - ა. ბენიძე) შეწყვიტა საქმის ნარმოება, მოსარჩლის მიერ სარჩელზე უარის თქმის საფუძველზე.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 274-ე მუხლებით.

9 ოქტომბერი

ნუგზარ ერაგია „ქუთაისის“ წინააღმდეგ

საჩივარი: ნუგზარ ერაგიამ საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორის ა. შენგელიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გაზეთის სხვადასხვა ნომრებში მის მიმართ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური განცხადებების გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 4 მაისის დადგენილებით არ დააკმაყოფილა ერაგიას საჩივარი და მას უარი ეთქვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩლემ სააპელაციო წესით ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

კერძო საკასაციო საჩივრით ნუგზარ ერაგიამ მოითხოვა საოლქო სასამართლოს განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით, მასალების პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის გადაცემა.

გადანყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (მოსამართლეები - მ. ტურავა, მ. გოგელია, ი. ბიბილაშვილი) ნუგზარ

ერაგიას კერძო საჩივარი განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: საქართველოს სსსკ-ის 631-ე მუხლში მოცემული წესის თანახმად, მოსამართლის დადგენილება კერძო ბრალდების საქმეზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გაასაჩივროს საჩივრის შემტანმა პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, ანდა პროკურორმა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, ამ კატეგორიის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება ან განჩინება საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ საკასაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება და ამდენად, ნ. ერაგიას სარჩელი განუხილველი უნდა დარჩეს.

22 ოქტომბერი

გრეგორ გუროვი გურამ შარაძის წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 22 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გრეგორ გუროვმა სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გურამ შარაძის წინააღმდეგ.

მოსარჩლემ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ გურამ შარაძესთან, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს:

„მე ერთხელ განეაცხადა ეს ფრაზა ტელევიზიით, პრესაში კი პირველად ვაცხადებ და იმედია, დამიბეჭდავთ: აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი გუროვისა! მას პირველად თვალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მოვკარი და მოსალმება ვერ გამიბედა, თუმცა მანამდეც მქონდა ინფორმაცია, თუ რა ფუნქცია ელოდათ ამ სამი მუზეუმის დირექტორს ამერიკაში განძის გატანით; დღეს ეს დირექტორები ჩემზე გაალმასებულნი არიან, გეგმები რომ ჩაუფუარცხებ. რასაც ახლა გეტყვით, პირველად ვამბობ თქვენთან; შარშან ეოშინგტონში გახლდით და იქ შევხვედი გუროვს, საქართველოს ელჩის, თედო ჯაფარიძის თანდასწრებით. გუროვმა როცა შემატყო, რომ განძის გატანის წინააღმდეგი ვიყავი, ჩემი დავერბოვება მოინდომა და შემომთავაზა: ოღონდ ნუ წახვალ განძის გატანის წინააღმდეგ და ორი წლის მანძილზე რვა ათას დოლარიან ჰილტონის სასტუმროში გაცხოვრებთ თქვენი ოჯახითო. გარდა ამისა, მგზავრობისა და კვების ხარჯებსაც ჩვენ აგინაზღაურებთ და საშუალო ამერიკელი მოხელის ხელფასს

მოგცემთო. მისი ხელფასი კი კარგად მოგეხსენებათ, რამდენია – 5 ათასიდან 10 ათას დოლარამდე”.

გუროვის განცხადებით, შარაძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სიცრუე, რისი დადასტურებაც შეუძლია არა მარტო თედო ჯაფარიძეს, არამედ საქართველოს საელჩოს რამოდენიმე მაღალჩინოსანს, რომლებიც ესწრებოდნენ ხსენებულ შეხვედრას. მოსარჩლის აზრით, აღნიშნული ინფორმაცია მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის თვალში მისი იმიჯის შელახვას და საქართველოში მისი და მისი ფონდის საქმიანობისათვის ხელის შეშლას.

გუროვის განცხადებით, მასსა და მის ფონდს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები აქვთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან. აქედან გამომდინარე, მოსარჩლე თვლის, რომ გურამ შარაძის განცხადებით შეილახა პირადად მისი და მის მიერ რწმუნებული ფონდის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. გუროვის თვალსაზრისით, თუკი ორგანიზაციის ხელმძღვანელი მექრთამეა და ამგვარ ქმედებას არ აპროტესტებს ორგანიზაცია, ე. ი. თავად ორგანიზაციაც კორუმპირებულია.

მოსარჩლემ მოითხოვა, საქართველოში არსებული ყველა საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელთა თანდასწრებით გურამ შარაძეს მოეხდინა მის შესახებ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის უარყოფა.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქმე ეხებოდა 1998 წელს საქართველოს სახელმწიფო საორგანიზაციო კომისიას (თავმჯდომარე – ვ. ასათიანი) და ხელოვნებისა და განათლების საერთაშორისო ცენტრს (პრეზიდენტი – ლ. გუროვი) შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ქართული კულტურის ექსპონატები 1999 წლის ოქტომბერში საგამოფენოდ უნდა გაეტანათ აშშ-ში. ექსპონატების გატანის წინააღმდეგი იყო გურამ შარაძე, რომლის აზრით, მისი საგაზეთო ინტერვიუთი არ უნდა შელახულიყო გერეგორ გუროვის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩლემ მას შესთავაზა გამოფენის ორგანიზებასთან დაკავშირებით ამერიკაში მიწვევა იმ პირობების დაცვით, რაც გათვალისწინებული იყო მხარეთა შორის ხელშეკრულებით. ვინაიდან ხელშეკრულების პირობები საჯაროდ არ ვაცხადებულა, შარაძის თქმით, მან პრესის მეშვეობით გაახმოვანა იგი.

გადაწყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ანდლულაძე) არ დააკმაყოფილა სარჩელი.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, პატივი ეს არის პიროვნების სოციალური და სულიერი თვისებების საზოგადოებრივი შეფასება, ღირსება კი არის საკუთარი თვისებების, შესაძლებლობებისა და მსოფლხედვის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შინაგანი შეფასება, საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს თვისებების და შეფასებების კრებულს, რომლის მატარებელი პიროვნება ასოცირდება თავისი

კონტრაგენტების, კლიენტების, მომხმარებლების, თაყვანისმცემლების, ამომრჩევლების თვალში და პერსონიფიცირდება ამ სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონატი შორის. ადამიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეიძლება შეილახოს, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი მოქმედებით.

რაციონული სასამართლოს აზრით, მოსარჩლე გრეგორ გუროვმა გურამ შარაძეს შესთავაზა საქმიანი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ეფუძნებოდა ხელშეკრულებას და ის არ შეიძლება ყოფილიყო შეურაცხმყოფელი რომელიმე მხარისათვის. ამერიკულ და ქართულ მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების პატიოსნებაში ეჭვის შეტანის საფუძველი კი სასამართლოს არა აქვს.

აპელაცია: გრეგორ გუროვმა აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო.

2002 წლის 15 ნოემბერის პროცესზე კი გუროვის წარმომადგენელმა იშუამდგომლა საოლქოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების, რაციონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის შეწყვეტის თაობაზე.

თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

15 ნოემბერი

ალექსანდრე არაბული ირაკლი მაჭარაშვილის და „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 5 სექტემბერს ალექსანდრე არაბულმა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მიმართა და გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული სტატია „დოლარებზე გაყიდული საქართველოს ფაუნა“ გაასაჩივრა. ხსენებული პუბლიკაცია შეიცავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცხოველთა დაცვის განყოფილების უფროსის ირაკლი მაჭარაძის გამონათქვამებს, რომლებიც მოსარჩლის აზრით, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი იყო. სახელდობრ:

„ის (ალ. არაბული) არის დაბადებიდანვე ბრაკონიერი, ჩვენს სამინისტროზე განაწყენებული პიროვნება. დღე და ღამე თოფი უჭირავს ხელში და განურჩევლად ჟღერს ნადირს და ფრინველს. ამასთანავე არის მატყუარა და უდიდესი

ფანტაზიის მქონე. იგი თავის დამქაშებთან ერთად სამინისტროს ხელმძღვანელობას ცილს სწამებს.”

¶

„ამ სურათზე და კინოფირზე გადაღებულია ჩვეულებრივი მკვდარი ძაღლი. არაბული და მისი დამქაშები რამდენიმე წელია ცდილობენ, ეს მკვდარი ძაღლი ალბურ მგლად გაასაღონ“, – ამ უკანასკნელი გამოხატულებით, მოსარჩლის აზრით, ის გამოცხადებულია თაღლითად, მატყუარად და გამყალბებლად. გავრცელებულ ცნობებს შეცდომაში შეჰყავს საზოგადოების ფართო ფენები, ეჭვქვეშ აყენებს მეცნიერის ავტორიტეტს, მის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენციას, ლახავს მის რეპუტაციას.

მოსარჩლემ ყურადღება გაამახვილა ასევე მოპასუხის მიერ მის ბრაკონიერობაში დადანაშაულებაზე. ბრაკონიერობა ქართული კანონმდებლობით ისჯება ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი წესით, ამდენად, არაბულის აზრით, არავის აქვს უფლება, შესაბამისი ორგანოების მიერ ბრალდების დადასტურებამდე ბრაკონიერი უწოდოს მას. მოსარჩლის განცხადებით, მის მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია და ადგილი ჰქონდა ცილისწამებასა და შეურაცხყოფას.

მოსარჩლემ მოითხოვა, მისი შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის ირაკლი მაჭარაშვილს ბოდიში მოეხადა იმავე საინფორმაციო საშუალებით; მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი – დაკისრებოდა 10 ათასი აშშ დოლარის გადახდა.

გადანყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – თ. ჯალიაშვილი) უარი უთხრა ალ. არაბულს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოტივაცია: პროცესზე მოსარჩლის გამოუცხადებლობის გამო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩელი.

სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 242-ე მუხლით.

21 ნოემბერი

მამუკა ნოზაძე რეზო კლდიაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: მამუკა ნოზაძემ სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს რეზო კლდიაშვილის წინააღმდეგ და მიუთითა გაზეთ „ახალ თაობაში“ (2001 წლის 23 იანვარი) გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე, სათაურით „გორის პოლიცია ხალხს აშანტაყებს?“ „საქართველოში სიმართლეს ველარ მიაღწევ“.

მოსარჩლის განმარტებით, სტატია შეეხებოდა პოლიციის ქმედებებს მოქალაქეთა მიმართ. პუბლიკაციაში მოყვანილი იყო მ. ვარძელაშვილისა და მ. მაზანაშვილის მოსაზრებები. ასევე თავად მოსარჩლის კომენტარი იმის შესახებ, თუ როგორ არის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები მისი დაცვის ქვეშ მყოფი მ. გიუნაშვილის შემთხვევაში. მამუკა ნოზაძის ცნობით, მისი საგაზეთო კომენტარი იყო ზოგადი და მას კონკრეტულად ვინმესთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

იმავე სტატიაში წარმოდგენილი იყო გორის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის რეზო კლდიაშვილის პოზიციაც. მოსარჩლის აზრით, ამ უკანასკნელმა გაავრცელა ცილისმწამებლური ცნობები მის შესახებ. სახელდობრ, კლდიაშვილმა განაცხადა: „...მაგათ მთელს ოჯახს ერთი ადვოკატი იცავს, ეს ადვოკატი ჩემი ძებნილი იყო, ჩემგან გამწარებული რომაა, იმიტომ ამბობს ასეთ რამეებს“.

მამუკა ნოზაძემ ხსენებული განცხადება შეურაცხმყოფელად მიიჩნია. მისი თქმით, ის არასოდეს ყოფილა ძებნილი, მით უფრო რეზო კლდიაშვილის მხრიდან. მოსარჩლემ მიუთითა, რომ ძებნილად ითვლება პიროვნება, რომლის მიმართ გამომძიებლის მიერ გამოტანილია მოტივირებული და დასაბუთებული დადგენილება, თუ მის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება, ანუ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და იგი გამოძიებას ემალება. მამუკა ნოზაძის განცხადებით, მოპასუხე ვერ წარმოადგენდა დადასტურებულ მტკიცებულებას მისი ძებნილობის შესახებ.

მამუკა ნოზაძემ მოპასუხისაგან მოითხოვა ბოდიშის მოხდა იმავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით და მორალური ზიანის ანაზღაურება 50 ათასი ლარის ოდენობით. მოსარჩლის განცხადებით, შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია; ცნობები გავრცელდა პრესის მეშვეობით, გავრცელებული ცნობები კი არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც ის ძებნილი არასოდეს ყოფილა. ძებნილის იარლიყის მიკერებით კი საზოგადოებაში მისი იმიჯი შეირყა.

მოსარჩლემ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ის არის ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი და საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. რეზო კლდიაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი შეილახა მისი მორალური ღირსება, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა მის იმიჯს კლიენტების თვალში, კლიენტების დაკარგვით კი მიაღდა მატერიალური ზიანი.

თავის მხრივ, მოპასუხე რეზო კლდიაშვილმა სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა „ახალი თაობისა“ და „ალბის“ რედაქციებიდან მტკიცებულებების გამოთხოვა.

მოსამართლე ა. ტერაშვილმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და მიიჩნია, რომ მასალების და დოკუმენტების გამოთხოვა უნდა მომხდარიყო მხოლოდ „ახალი თაობიდან“, რადგან მოსარჩლე მხოლოდ აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას. მოსამართლემ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე, 113-ე და 284-ე მუხლებზე და 2001 წლის 23 თებერვლის განჩინებით დაადგინა, რომ გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციიდან უნდა მომხდარიყო შემდეგი ინფორმაციის გამოთხოვა:

1. გაზეთ „ახალი თაობის“ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. გაზეთ „ახალი თაობის“ პროგრამა და წესდება;
3. გაზეთ „ახალი თაობის“ 23-ე ნომრის გავრცელებაზე რედაქციის ნებართვა;
4. ვინ არის გაზეთ „ახალი თაობის“ 23-ე ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციის „გორის პოლიცია ხალხს აშანტაუებს?“ ავტორი, აგრეთვე ვის მიერ არის მოგროვებული, შექმნილი, რედაქტირებული და მომზადებული ზემოაღნიშნული პუბლიკაცია გამოსაქვეყნებლად;
5. ვინ მიაწოდა პუბლიკაციის მასალები ავტორს, არის თუ არა მიწოდებული მასალები ხელმოწერილი მისი მიმწოდებელი პირის მიერ. სასამართლომ ასევე მოითხოვა „მიწოდებული მასალების მომზადების თაობაზე თხოვნის ქსეროასლების გადაგზავნა“, თარიღებისა და ვადების მითითება;
6. ვის მიერ არის მომზადებული ზემოაღნიშნული პუბლიკაციის კომენტარი.
7. ვის მიერ არის გადაცემული, როდის და რა საშუალებით არის მოპოვებული კომენტარი რეზო კლდიაშვილისგან (გადმოიგზავნოს მასალის ასლი);
8. არის თუ არა გაზეთში გამოქვეყნებული მასალის მიმწოდებელი პირების თანხმობა მასალის შესაძლო პუბლიკაციაზე, რა ფორმით გამოიხატა თანხმობა (ზეპირი ნებართვის, ცალმხრივი ნებართვის, განცხადების, ხელწერილის, ხელშეკრულების სახით) და რით შეიძლება დადასტურდეს ასეთი ნებართვის არსებობა (გადმოიგზავნოს თანხმობის ქსეროასლი);
9. აცნობა თუ არა კორესპონდენტმა იმ პირს, ვინც ამზადებდა ინტერვიუს ან მასალას, რა მიზნით აპირებდნენ ინტერვიუს გამოყენებას (გადმოიგზავნოს შეტყობინება რაიმე მტკიცებულების სახით – ქსეროასლები);
10. ხომ არ მიუმართავს პუბლიკაციის ავტორს სპეციალისტებისათვის მასალის შესამოწმებლად, ვის მიმართეს, როდის, როგორი იყო სპეციალისტის პოზიცია (გადმოიგზავნოს ქსეროასლი);
11. შეესაბამება თუ არა გამოქვეყნებული პუბლიკაცია სტატიაზე ხელისმომწერი ავტორის მრწამსს;
12. იყო თუ არა პუბლიკაციის ავტორი მივლინებული გორის კრიმინალურ პოლიციაში ინფორმაციის მოსაპოვებლად, არსებობდა თუ არა მივლინების თა-

ობაზე გაზეთის რედაქტორის თანხმობა (გადმოიგზავნოს დოკუმენტების ქსე-როასლი);

13. გორის კრიმინალური პოლიციის უფროსის რეზო კლდიაშვილისაგან ხომ არ ყოფილა უარი ინფორმაციის, კომენტარის მიწოდებაზე;

14. ხომ არ გასაჩივრებულა ინფორმაციის მიწოდებაზე უარი ზემდგომ ინსტანციაში, ვისთან, რა ფორმით (წერილობით, ზეპირად) (წარმოადგინეთ მტკიცებულებები);

15. არის თუ არა პუბლიკაციაში გამოყენებული მასალა შემონმებული თავად პუბლიკაციის ავტორის მიერ უტყუარობის თვალსაზრისით და როგორ მოხდა შემონმება;

16. მოგვანოდეთ ცნობები პუბლიკაციის ავტორის შესახებ, კერძოდ დაბადების თარიღი, განათლება (სპეციალზაცია-კვალიფიკაცია), თანამდებობა, სტაჟი;

17. ეკუთვნის თუ არა პუბლიკაციის ავტორს პონორარი, როგორ და რა რაოდენობით;

18. შესაძლებლობის ფარგლებში გამოიანგარიშეთ ის მოგება, რაც 23-ე ნომრის გავრცელებით მიიღო „ახალმა თაობამ“ კონკრეტულად გორში, ან შიდა ქართლში, ხომ არ გაზრდილა ტირაჟი და რა რაოდენობით?

19. ინფორმაციის მიმწოდებელი ინფორმატორები ხომ არ დაჯილდოვებულან თანხით ან რაიმე ფორმით მიწოდებული ინფორმაციისათვის; ხომ არ გადაუხდიათ რაიმე თანხა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის ან ხომ არ მოუთხოვიათ თავიანთი ინფორმაციის დამალვა და მისი გამოქვეყნება სხვისი გვართ, რა საფუძვლით;

20. პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდგომ ხომ არ მიმართა რედაქციას ვინმემ უარყოფის გამოქვეყნების თხოვნით, დაკმაყოფილდა თუ არა მოთხოვნა და რა მიზეზით;

21. იყო თუ არა გაზეთ „ახალი თაობის“ აღნიშნული 23-ე ნომერი კანონიერად მომზადებული, კერძოდ, რეგისტრირებული, ვიზირებული და ხელმონერილი სათანადო წესით;

22. ხომ არ იყო სტატიაში გამოყენებული რეზო კლდიაშვილის ინფორმაციები მოპოვებული შემდეგი სახით:

ა) ოფიციალური ინფორმაციიდან მიღებული;

ბ) საინფორმაციო სააგენტოებიდან და სახელმწიფო საზოგადოებრივი ორგანოების სპეცსამსახურებიდან მიღებული;

გ) ხომ არ არის სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობაზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლების სიტყვასიტყვითი განმეორება;

დ) ხომ არ იყო ასეთი ცნობები გამოსვლებში, რომლებიც ეთერში წინასწარი

ჩანერის გარეშე გავიდა ან ტექსტებში, რომლებიც არ ექვემდებარება ციტირებას კანონის შესაბამისად.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ახალი თაობის“ რედაქციას დაევალა, პასუხების წარმოდგენა ნუმერაციის მიხედვით.

2001 წლის 23 თებერვლის ხსენებული განჩინება გაასაჩივრა გაზეთ „ახალი თაობის“ ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა. მოსამართლე ა. ტერაშვილმა „ახალი თაობის“ წარმომადგენლის საჩივარი მართებულად მიიჩნია და გააუქმა მის მიერვე მიღებული 2001 წლის 23 თებერვლის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი, ასევე ის მიზეზები, რომელმაც აიძულა განმცხადებელი, შუამდგომლობით მოეთხოვა მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ არც მამუკა ნოზაძეს, არც მოპასუხე რეზო კლდიაშვილს პროცესში გაზეთ „ახალი თაობის“ არა თუ მესამე პირად ჩართვა, საქმეზე მოწმედ გამოძახებაც კი არ მოუთხოვიათ.

მოსამართლე ა. ტერაშვილმა აღნიშნა, რომ 2001 წლის 23 თებერვლის განჩინების განხილვისას მას კრიტიკულად არ შეუფასებია და გამოუკვლევია რეზო კლდიაშვილისა და მისი ადვოკატების მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, რომელიც შეიცავდა ისეთ შეკითხვებს, რომლებიც საქმესთან და მის შემდგომ განხილვასთან არავითარ კავშირში არ არის. ამდენად, სასამართლომ გააუქმა აღნიშნულ საკითხზე ადრე მიღებული გადაწყვეტილება.

2002 წლის 23 მაისს ხსენებული საქმის წარმოება შეჩერდა, რადგანაც რეზო კლდიაშვილმა სასამართლოს წარუდგინა ცნობა იმის შესახებ, რომ იგი იმყოფებოდა საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ამბულატორიულ მკურნალობაზე.

2002 წლის 4 დეკემბერს კი სასამართლოს მიმართა თავად მოსარჩლემ და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

გადაწყვეტილება: გორის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. შავერდაშვილი) დააკმაყოფილა მოსარჩლის განცხადება და შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტითა და 285-ე მუხლით.

4 დეკემბერი

როლანდ ნიკოლაიშვილი გივი თარგამაძის, „ახალი თაობის“, „დილის გაზეთისა“ და „რეზონანსის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 10 მაისს როლანდ ნიკოლაიშვილმა სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გივი თარგამაძისა და გაზეთების „ახალი თაობა“, „დილის გაზეთი“ და „რეზონანსის“ წინააღმდეგ.

მოსარჩლის განცხადებით, გივი თარგამაძემ ზემოხსენებულ გაზეთებში დაა-დანაშაულა ის სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ:

თარგამაძის ბრალდებების მიხედვით, მოსარჩლე დაკავებულია „ფინანსური მაქინაციებითა და შავი ფულის გათეთრებით“ („რეზონანსი“) და იღებს მონაწილეობას „ფინანსურ გარიგებებში“, რაც „ფინანსების არამიზნობრივ და არარაციონალურ ხარჯვასა და გადარიცხვებში გამოიხატება“ („დილის გაზეთი“). მოსარჩლის აზრით, ამ განცხადებების საფუძველზე, ის სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 194-ე და 218-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების თანამონაწილეა.

საგაზეთო განცხადებებში აღნიშნულია ისიც, რომ მოსარჩლე ავსტრალიაში რეგისტრირებული კომპანიის „Bolnisi Gold Limited“-ის 50 ათასი ცალი აქციის მფლობელია.

როლანდ ნიკოლაიშვილის მტკიცებით, აღნიშნული განცხადებები არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

მოსარჩლის თქმით, აღნიშნული საგაზეთო ბრალდებებით მას არა მარტო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, არამედ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევაც ბრალდება.

როლანდ ნიკოლაიშვილმა მოითხოვა მის შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებებით, რომლითაც მოხდა მათი გავრცელება.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – ა. კახნიაური) საქმე განუხილველი დატოვა.

მოტივაცია: მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, სასამართლომ საქმე განუხილველი დატოვა და აღნიშნა, რომ მხარეებს ეცნობათ სასამართლო სხდომის დღის, საათისა და ადგილის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

ემზარ თურმანიძე „აჭარა P.S.“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ემზარ თურმანიძემ და განაცხადა, რომ გაზეთ „აჭარა P.S.“-მა მის შესახებ გააერცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია.

მოსარჩლის ცნობით, 2001 წლის 30 ნოემბერს ქ. ბათუმის საგამოძიებო განყოფილებაში მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ს 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე. წინასწარი გამოძიების პერიოდში მას აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. წინასწარი გამოძიების საფუძველზე, 7 მარტს მოსარჩლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა, მის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

სარჩელის საფუძველი კი გახდა 2001 წლის 7-14 დეკემბერს გაზეთ „აჭარა P.S.“-ში ემზარ თურმანიძის შესახებ გაერცელებული ინფორმაცია, სახელდობრ:

„გენერალ აბაშიძის ქ. №24 სახლის წინ აეტომანქანა „ვაზ 53“, რომელიც ეკუთვნის ქალაქის დასუფთავების გაერთიანებას და მართავდა ამავე საწარმოს მძღოლი, ქედის რაიონის სოფ. მერისში მცხოვრები 33 წლის ემზარ თურმანიძე, შეეჯახა ქვეითად მოსიარულეს, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ანვისში მცხოვრებ, 37 წლის იზოლდა ბერიძე-მსხალაძეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.“

ხსენებული პუბლიკაცია მოსარჩლემ მიიჩნია სინამდვილესთან შეუსაბამოდ, მის მიმართ საქართველოს კონსტიტუციითა და სსსკ-ით დაცული უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. მოსარჩლის მტკიცებით, წინასწარი პატიმრობის პერიოდში აღნიშნული სტატიის ნაკითხვამ მას გაუძლიერა განცდები, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მისი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის გაუარესება, მიაყენა მას სტრესი.

ემზარ თურმანიძემ მოითხოვა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 10 ათასი ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილება: ბათუმის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ა. ფაღავეა) არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ პუბლიკაციას თანახლავს მინაწერი: „მასალა მომზადებულია აჭარის ა/რ შ.ს. სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით.“

სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმ-

ფციას, რადგანაც პუბლიკაციის გამოქვეყნების დღისათვის აღნიშნულ ფაქტზე ანზორ თურმანიძის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. მოპასუხეს კი არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა, რომ ასე რადიკალურად შეიცვლებოდა ვითარება და მოსარჩლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდებოდა, მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, მით უფრო, რომ პუბლიკაცია გამოქვეყნდა შსს-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით.

სასამართლოს აზრით, მოსარჩლემ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დანესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ წინასწარი პატიმრობის პერიოდში სადავო სტატიის ნაკითხვამ გააძლიერა მისი სულიერი და ფიზიკური განცდები და მას მიადგა დიდი სტრესი.

სასამართლომ ნიშანდობლივად მიიჩნია ისიც, რომ სადავო პუბლიკაცია გაზეთში გამოქვეყნდა არა მოპასუხის ინიციატივით, არამედ აჭარის ა/რ შ.ს. სამინისტროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და იგივე ცნობა გამოქვეყნდა სხვა გაზეთებშიც.

25 დეკემბერი

ჯემალ ჯიქურაული ვანო პავლიაშვილისა და ია დანელიას წინააღმდეგ

სარჩელი: ჯემალ ჯიქურაულმა სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში გაზეთ „ექოს“ მთავარი რედაქტორის ვანო პავლიაშვილისა და ამავე გაზეთის უფრნალისტის ია დანელიას წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა 2002 წლის 30 ივლისი - 5 აგვისტოს „ექოში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „პოლიციის მახრებელი მკვდარი“.

სტატიიში საუბარი იყო იმაზე, რომ მცხეთის პოლიციამ აღმოაჩინა მდინარიდან გამორიყული გვამი, რომლის წყალში გადაგდების ბრძანება ხელქვეითებს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ჯემალ ჯიქურაულმა მისცა. *„როგორც მისი (ჯ. ჯ.) კოლეგები ამბობენ, სამხარეო პოლიციის შუეს გაუხსნელი მკვლელობების და საქმის ჩაფარცხვის დიდი გამოცდილება ჰქონია“*, - ნათქვამია პუბლიკაციაში. ამასთანავე ნერილში აღნიშნულია, რომ გვამის თავიდან მოშორების ერთ-ერთი აპრობირებული ხერხი მისი მდინარით „ტრანსპორტირებაა“, რადგან სისხლის სამართლის საქმეს პოლიციის ის ნაწილი აღძრავს, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება გვამი.

ჯიქურაულის ინტერესების დამცველმა კ. გოგოტიშვილმა უფრნალისტის მიერ დაშვებულ ფაქტობრივ უზუსტობებზე მიუთითა. მისი განცხადებით, შეუძლებელი იყო ამ საქმის მიჩუმათება, როგორც ეს სტატიიში იყო აღნიშნული (*„სიტუაცია დაიძაბა, ინფორმაცია წყალში მოტივტივე გვამის შესახებ ყოველ წუთს შეიძლება გახმაურებულიყო“*) შემდეგ გარემოებათა გამო: შეტყობინება ხსენებული

ინციდენტის შესახებ მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის ზაპისის განყოფილებაში ლეიტენანტმა გ. ზანდარაშვილმა ტელეფონით მიიღო, მან კი, თავის მხრივ, ნერილობითი რეზოლუციით დაავალა ქვეშევრდომებს, პროკურატურის გამოძიებლებთან თანამშრომლობით, გადაემონმებინათ ფაქტი და მიეღოთ შესაბამისი ზომები. ამასთანავე, მოსარჩლე მხარის ადვოკატის მტკიცებით, თავად ჯიქურაული იმ მომენტში სოფელ ლისში, სხვა მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, მოსარჩლემ მოითხოვა გაზეთ „ექოს“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის ცნობა მისი პატივისა და ღირსების შემლახველად და მოპასუხისათვის ნერილობი აღნიშნული ფაქტების უარყოფის დაკისრება. სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის საფუძველზე კი, მოსარჩლემ ვანო პავლიაშვილისა და ია დანელიასათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის სახით სოლიდარულად 3 ათასი დოლარის შესაბამისი ლარის დაკისრება მოითხოვა.

გაზეთ „ექოს“ მთავარმა რედაქტორმა ვანო პავლიაშვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოში მოქმედი კანონმდებლობიდან და თავისუფალი პრესის პრინციპებიდან გამომდინარე, რომლითაც უშუალოდ ხელმძღვანელობს გაზეთი „ექო“, პრესაში გამოქვეყნებული მასალების უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ ავტორებს და არა გაზეთის რედაქტორებს,“ – აღნიშნა პავლიაშვილმა თავის შესაგებელში. სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე, მან თავდაპირველი მოპასუხეების სათანადო მოპასუხეებით შეცვლა მოითხოვა. ამასთანავე, „ექოს“ რედაქტორის განმარტებით, სტატიაში მოყვანილი ფაქტი იყო არა მთავარი რედაქტორის ან სტატიის ავტორის პირადი აზრი, არამედ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული რეალური პირების მოსაზრებები და მოპასუხეს შეეძლო, პატივისა და ღირსების შელახვის გამო ამ ადამიანებისთვის მიემართა.

პავლიაშვილის აზრით, ჯიქურაულის სასარჩელო განცხადების საფუძველზე ვერ მტკიცდება გაზეთის რედაქტორისა და სტატიის ავტორის ბრალეულობა, რადგანაც მოსარჩლემ მხოლოდ საგაზეთო სტატიაზე მიუთითა. ამასთანავე, „ექოს“ რედაქტორმა გაუგებრად მიიჩნია სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის საფუძველზე მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მაშინ, როცა მოპასუხეების მიერ ჩადენილ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ ყოფილა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე არ გამოცხადდა და მოსარჩლემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით.

გადანყვეტილება: კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსა-

მართლე – თ. ყაჭვიშვილი) სარჩელი დააკმაყოფილა. „პოლიციის მახორბელი მკედარი“ სასამართლომ ჯემალ ჯიქურაულის პატივისა და ღირსების შემლახველად ცნო და დაავალა მოპასუხეებს წერილში აღნიშნული ფაქტების უარყოფა იმავე გაზეთის საშუალებით. მოპასუხეებს ასევე დაეკისრა თორალური ზიანის სახით სოლიდარულად 3 ათასი აშშ დოლარის¹⁰ გადახდა.

მოტივაცია: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვლება; ხოლო თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

31 იანვარი

კუდი უჩიძე და ცეხარ ბუბულაშვილი დავით სახვაძის წინააღმდეგ

სარჩელი: ხარაგაულის რაიონულ სასამართლოს დავით სახვაძემ 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი და თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შემდეგ მიმართა.

მოსარჩელემ, რომელიც ხარაგაულის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი იყო, სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ ჯ. უჩიძემ, ც. ბუბულაშვილმა, თ. მალრაძემ, პ. გოგოლაძემ, ა. ტაბატაძემ და ნ. ვეფხვაძემ როგორც წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარების დროს, ისე არჩევნების მიმდინარეობისას უკანონოდ და სინამდვილესთან შეუსაბამოდ შელახეს მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სახელდობრ:

2002 წლის 3 ივნისის მოპასუხეებმა კოლექტიური წერილით მიმართეს №48 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელშიც აღნიშნეს, რომ ხარაგაულის №48-01 და 02 საარჩევნო უბნებში არჩევნების კანონმდებლობის უხეში დარღვევით ჩატარება გამოწვეული იყო სახვაძის წარმომადგენელთა კანონსა-წინააღმდეგო ქმედებით, მათი მხრიდან ამომრჩევლებზე ზეწოლით.

¹⁰ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია უცხოური ვალუტა.

მოსარჩლემ მოითხოვა გაზეთ „ხარაგაულის მოამბეში“ გამოქვეყნებული მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეებზე 1000 ლარის დაკისრება.

ც. ბუბულაშვილმა, ჯ. უჩიძემ და ალ. ტაბატაძემ სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სახვადის მიმართ შეურაცხყოფელი ცნობები მათ არ გაუზრცვლებიათ. ამ უკანასკნელებმა მოითხოვეს ძირითად სარჩელზე უარის თქმა, ხოლო საგაზეთო პუბლიკაციაზე – ცალკე სარჩელის აღძვრა. სხვა მოპასუხეები სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ.

ხარაგაულის რაიონულმა სასამართლომ, 2002 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩლის პრეტენზიები და ჯუდი უჩიძეს და ცეზარ ბუბულაშვილს დაავალა გავრცელებული ცნობების ადგილობრივი პრესით უარყოფა, შეურაცხყოფელი ინფორმაციის გავრცელების გამო სახვადისათვის ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ სოლიდარულად 600 ლარის გადახდა.

სხენებული გადაწყვეტილება ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს ჯუდი უჩიძემ და ცეზარ ბუბულაშვილმა. აპელანტთა განმარტებით, მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს დავით სახვადის პიროვნებასთან.

დავით სახვადემ თავის შესაგებელში მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

გადანყვეტილება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ქამადაძე, მ. მასურაძე, მ. სუბელიანი) 2002 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა აპელანტთა მოთხოვნა და გააუქმა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

სახვადის შესაგებელ სააპელაციო საჩივარს უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის დასაბუთებული, ასევე ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილება კანონის დარღვევით გამოტანილად ჩაითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 ნაწილები და არასწორად განმარტა ამ მუხლის ნორმები:

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია 2 და 30

იენის სახვადის შეურაცხყოფის, მისი პატივისა და ღირსების დამცირების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი, რაც არჩევნებში მოსარჩლის დამარცხებისკენ იყო მიმართული. ამასთანავე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს აზრით, რაიონულ სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ ჩათვალა საგაზეთო სტატიასა და განცხადებაში გამოთქმული მოსაზრებები მოსარჩლის შეურაცხყოფად და მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვად. მით უფრო, რომ №48-ე უბანში არჩევნების დროს არსებული უბეში დარღვევები საფუძვლად დაედო საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას – არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც დაადასტურა. ყოველივე კი იმის დასტურია, რომ აპელანტთა მიერ განცხადებაში მითითებული ფაქტები დადასტურდა, რამაც გამორიცხა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შედეგის დადგომა, ანუ ძირითადი სასამართლო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას სახვადემ დააზუსტა სარჩელი და საქმიანი რეპუტაციის შელახვად მიიჩნია გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ 16-21 იენისის ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, მათ შორის მოპასუხეთა განცხადება და მოითხოვა მათი პრესის მეშვეობით უარყოფა.

საოლქო სასამართლომ მიუთითა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული იყო საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი უჩიძე-ბუბულაშვილის და სხვათა განცხადება. რაც შეეხება სხვა პუბლიკაციებს, სასამართლოს აზრით, მათში არაფერი იყო თქმული დ. სახვადის პიროვნების საწინააღმდეგოდ. სადავო გამოწვევები მოსარჩლის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს ეკუთვნოდათ და მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა.

„პოლიტიკური და საჯარო სამსახურის მოხელეთა მიერ ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები ანუ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ შეიძლება გაცილებით ფართო იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართ. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების უფლება, რაც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და „ადამიანის უფლებათა შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლებით. კონვენციის მე-10 მუხლი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, დაიცვას თავისი აზრები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები,“ – ნათქვამია ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. სასამართლომ ასევე მიუთითა ამ ნორმათა საფუძველზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქმეზე კასტელის ესპანეთის წინააღმდეგ, რომელშიც ნათქვამია, რომ ხელი-სუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ შეურაცხ-

ყოფის ფაქტების შეფასებისას უნდა გამოიყენონ განსხვავებული სტანდარტები, რომ „მთავრობის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქის მიმართ.“

დ. სახვაძე იყო საკრებულოს თავმჯდომარე და აქედან გამომდინარე, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში მას დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ეთმინა. ამ შემთხვევაში რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესით – თავისთავად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.

სასამართლოს აზრით, სახვაძის სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ აკმაყოფილებენ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილების მოთხოვნებს.

კასაცია: ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით სახვაძის შეგებებული სააპელაციო საჩივარი თ. მალრაძის, პ. გოგოლაძის, ა. ტაბატაძის, ნ. ვეფხვაძის მიმართ დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

დავით სახვაძემ კერძო საჩივრით მოითხოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმობაში მიღება.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, მ. წიქვაძე, რ. ნადირიანი) არ დააკმაყოფილა დ. სახვაძის კერძო საჩივარი და უცვლელი დატოვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

მოტივაცია: ხარაგაულის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს მხოლოდ ჯ. უჩიძემ და ც. ბუბულაშვილმა, ხოლო დანარჩენ მოპასუხეებს ხსენებული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ. იმ ნაწილში, რომელშიც გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, იგი კანონიერ ძალაში შევიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გადაწყვეტილების იმ ნაწილთან მიმართებით, რომელიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და გასაჩივრებულია.

ვინაიდან არ არსებობს ძირითადი სააპელაციო საჩივარი და შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეტანილია იმ პირთა მიმართ, რომელთაც არ გაუსაჩივრებიათ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მისი წარმობაში მიღების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

აჭარის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ავთანდილ გადახაბაძის, „პრეს-კლუბ ბათუმისა“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 25 მარტს აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ სარჩელით მიმართა ქალაქ ბათუმის სასამართლოს ასოციაცია „ბათუმის პრეს-კლუბის“ თავმჯდომარის ავთანდილ გადახაბაძის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა 2002 წლის 25 თებერვალი-3 მარტის ვახეთ „ახალ ვერსიაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „ასლან აბაშიძის პოლიტიკამ საქართველოს თევზის მეურნეობას ტრაქტორებით გადაუარა“.

სარჩელის თანახმად, პუბლიკაცია თავისი შინაარსით, ფაქტების არასწორი გადმოცემითა და კომენტარებით ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელია როგორც აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურისათვის. მოსარჩელე ორგანიზაციის აზრით, სტატიაში ასლან აბაშიძის მიმართ გავრცელებულია სინამდვილესთან შეუსაბამო, მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები. მოსარჩელემ სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნია პუბლიკაციის ის ნაწილი, სადაც ანონიმი ავტორი აცხადებს, რომ აჭარაში თევზის მეურნეობის განადგურება ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიზეზით მოხდა; ხოლო იმ პირებს, ვინც ამ პროცესების წინააღმდეგ გამოდიოდა, სიცოცხლის ხელყოფით ემუქრებოდნენ, ზოგიერთმა მათგანმა ცოლ-შვილიც კი გახიზნა ბათუმიდან, მათი უსაფრთხოების მიზნით.

მოსარჩლის მტკიცებით, ეს შეურაცხმყოფელი განცხადება აშკარად გადამეტებული ხასიათისაა, რადგანაც ვასილ პერცოვმა (ვისზეც საუბარია სტატიაში) ცოლ-შვილი სანკტ-პეტერბურგში 6 წლით ადრე გადახიზნა და ამ ფაქტს არავითარი კავშირი აქვს ხსენებულ მოვლენებთან. მოსარჩელემ უსაფუძვლოდ მიიჩნია აჭარის ხელმძღვანელობის დადანაშაულება საქართველო-უკრაინას შორის დადებული იმ შეთანხმების გამო, რომლითაც ერთ ტონა ხამსაზე 7 ლარი დაწესდა. მოსარჩლის მტკიცებით, ამ ხელშეკრულების დადების პროცესს აჭარის არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „აჭართევი“ და კოოპერატივი „მებაღური“, რომელთა განადგურებასაც შეეხება სტატია, სტრუქტურულად მოსარჩელე სამინისტროს შემადგენლობაში არიან, აჭარის ხელმძღვანელობამ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეურაცხმყოფელად მიიჩნიეს სადავო პუბლიკაცია; მოსარჩელეთა განცხადებით, გავრცელებული ცნობებით შეილახა ამ ორგანიზაციების საქმიანი რეპუტაცია და ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში.

მოსარჩლემ მოითხოვა, ავთანდილ გადახაბაძეს დაკისრებოდა მორალური ზიანის სახით ათასი ლარის გადახდა და იმავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტების უარყოფა.

2002 წლის 26 ივნისის განჩინებით, არასათანადო მოპასუხე ავთანდილ გადახაბაძე შეიცვალა სათანადო მოპასუხით „პრეს-კლუბ ბათუმით“ და საქმეში მოპასუხედ ჩაება გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქცია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა: „პრეს-კლუბ ბათუმის“ ადმინისტრაციასა და „ახალი ვერსიის“ რედაქციას დაევალებათ პუბლიკაციაში მოყვანილი არასწორი ფაქტების უარყოფა, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის ბოდიშის მოხდა და მისსავე სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით ათასი ლარის გადახდა.

აპელაცია: ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასოციაცია „პრეს-კლუბ ბათუმის“ წარმომადგენელმა ეკა კვაჭაძემ. აპელანტის აზრით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე, 71-ე, 78-ე მუხლებისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 21-ე და 24-ე მუხლების დარღვევით. აპელანტის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, თუ ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მოპასუხეს უნდა წარმოადგენდეს პუბლიკაციის ავტორი და რედაქცია ერთად. სადავო პუბლიკაციის ავტორი კი არის შოთა ხარძეიშვილი (პრეს-კლუბში მიმდინარე სასწავლო პროცესის მონაწილე), რომელსაც გააჩნია სათანადო მტკიცებულებები და რომელიც საქმეში უნდა ჩართულიყო მოპასუხედ.

აპელანტმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ გაზეთ „ახალი ვერსიის“ მიმართ დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნა, რაც იმაში გამოიხატა, რომ რედაქციამ უწყება სასამართლო სხდომის შესახებ 30 ოქტომბერს, ანუ გადაწყვეტილების გამოტანის დღეს მიიღო.

აპელანტმა მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გადაწყვეტილება: აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – თ. ქათამაძე, დ. ანანიძე, ნ. მგელაძე) არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლობის გამო და უცვლელი დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოტივაცია: პალატამ დადგინილად მიიჩნია ის, რომ სადავო პუბლიკაციით შეილახა აჭარის ა/რ ხელმძღვანელობისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა

მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობას.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სადავო სტატია ეკუთვნის შოთა ხარძეიშვილს და შესაბამისად, ის უნდა ჩართულიყო საქმეში როგორც მოპასუხე. პალატის აზრით, საქმის განმხილველმა სასამართლომ საფუძვლიანად უთხრა უარი ამ უკანასკნელს პროცესში ჩართვაზე, რადგანაც „ახალ ვერსიაში“ პუბლიკაციის ავტორად მითითებულია არა შოთა ხარძეიშვილი, არამედ „პრეს-კლუბი ბათუმი“. სასამართლოს აზრით, საქმეში არ მოიპოვება რაიმე დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ სტატია ხარძეიშვილს ეკუთვნის, სააპელაციო პალატის სხდომაზე წარმოდგენილი შავი მასალები კი არ არის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და ყურნალისტის საქმეში მოპასუხედ ჩაბმის საფუძველი.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება იმის შესახებ, რომ „პრეს-კლუბი-სა“ და „ახალი ვერსიისათვის“ ზიანის სოლიდარულად ანაზღაურების დაკისრება არასწორად მოხდა, რადგანაც სტატიის სათაური შეარჩია გაზეთის რედაქციამ, ხოლო თავად სტატია მოამზადა შოთა ხარძეიშვილმა. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ გაზეთში სადავო პუბლიკაციის ავტორად მითითებულია „პრეს-კლუბი ბათუმი“.

სასამართლოს აზრით, ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად არც ის გარემოება გამოდგება, რომ „ახალი ვერსიის“ რედაქციას დროულად არ ჩაბარდა უწყება და ამის გამო ის პროცესზე ვერ გამოცხადდა. პალატის მითითებით, ორჯერ გაფრთხილების მიუხედავად, „ახალი ვერსიის“ წარმომადგენელი არც სააპელაციო პალატის სხდომაზე საქმის განხილვისას გამოცხადდა.

19 თებერვალი

ს. წ. „ალიას“ წინააღმდეგ

სარჩელი: ს. წ-მ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული ფოტოსურათის გამო მიმართა.

მოსარჩლის განცხადებით, ის დაავადებულია ჩიყვით, რის გამოც დამახინჯებული აქვს სახე. მან მეზობლებისაგან შეიტყო, რომ გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნდა მისი ფოტოსურათი, სათაურით „კრეტინები რომ არ გაცხდეთ“. ფოტო-

სურათი გამოყენებულია მაკა ჯაიანის სტატიის საილუსტრაციოდ, რომელიც ჩიყვის დაავადებას შეეხება. ს. ნ.-ს აზრით, მისი ნებართვის გარეშე ფოტოსურათის გამოქვეყნებით შეილახა კანონით დაცული მისი უფლებები, რის გამოც მორალური ზიანის სახით მან მოპასუხისათვის 5 ათასი ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ფოტოსურათი ინახებოდა გაზეთის ფოტოთეკაში ისე, რომ რედაქციამ არ იცოდა მასზე აღბეჭდილი პიროვნების ვინაობა. ფოტოსურათი გამოქვეყნდა თვალეზზე შავი შტრიხით, რაც იმის დასტურია, რომ ფოტო გამოყენებულია მხოლოდ დაავადების ფიზიკური გამოვლინების საილუსტრაციოდ. ამასთანავე, თავად სტატია არ შეიცავდა თუნდაც არაპირდაპირ მინიშნებას კონკრეტულ პიროვნებაზე, ამ შემთხვევაში ს. ნ.-ზე. რაც შეეხება წერილის სათაურს „კრეტინები რომ არ გავხდეთ“, „ალიას“ ინტერესების დამცველის ლ. ალაფიშვილის განმარტებით, „კრეტინიზმი“ სამედიცინო ტერმინოლოგიას განეკუთვნება. ადვოკატის მტკიცებით, არც სათაური, არც სტატია ან ფოტოსურათი მიზნად არ ისახავდა ვინმეს შეურაცხყოფას. „ალიას“ ადვოკატმა არ გაიზიარა მოსარჩლის მოსაზრება, თითქოს ფოტოსურათის გამოქვეყნება ს. ნ.-ის „ინდივიდის პიროვნების ექსპლუატაციასთან, მის დისკრედიტაციასთან“ იგივედება და ამით ილახება მისი თავისუფლება. ლ. ალაფიშვილის განცხადებით, მოსარჩლე, როგორც მინიმუმ, სასამართლოში მისვლამდე მგზავრობს ტრანსპორტით, სასამართლოში ხვდება პირთა განუსაზღვრელ რაოდენობას და თუკი სადავო ფაქტს მოსარჩლისვე ლოგიკით განვიხილავთ, ამ ადამიანებს არა აქვთ უფლება, შეხედონ მას.

ადვოკატის აზრით, სურათის (მით უფრო შტრიხით დაფარულის) გამოქვეყნება სრულად აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის მე-18.5 მუხლის მეორე წინადადებით დადგენილ მოთხოვნებს. მისივე თქმით, მოსარჩლის ფოტოგადაღება არ მომხდარა გაზეთის ფოტოკორესპონდენტის მიერ და სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან მიმართებაში, არამედ წერილისა და ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან ერთობლივ კავშირში.

მოპასუხე მხარემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.6 მუხლის მე-4 წინადადებაზე, რომლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მტკიცებულებით დადასტურებულია პირის ბრალეულობა, ანუ შეგნებული და ნებელობითი მოქმედება მიმართულია მხოლოდ პირის პატივისა და ღირსების შელახვისაკენ. ამასთან დაკავშირებით ლევან ალაფიშვილმა აღნიშნა: ჯერ ერთი, „ბრალეულობა“ შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს; მეორეც, წერილისა და ფოტოსურათის გამოქვეყნებისას გაზეთის ნება და მიზანი არ ყოფილა მოსარჩლის პატივისა და ღირსების შელახვა; და მესამეც, თუკი მტკიცებუ-

ლებებით ვერ დასტურდება განზრახვა, ბრალეულობა, არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, 2001 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დააკმაყოფილა, რადგან ჩათვალა, რომ გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე თვალების შავი შტრიხით დაფარვა გამორიცხავს მოპასუხის განზრახვას (ბრალს).

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა ს. ნ.-მ. თბილისის საოლქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და გაზეთ „ალიას“ აპელანტის სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა დააკისრა. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ, მეორე და მეექვსე ნაწილებზე და მიიჩნია, რომ პირის გამოსახულების გამოქვეყნებას სჭირდება მისი ნებართვა, გარდა იმ გამონაკლისებისა, რაც კანონითაა დადგენილი (მე-5 ნაწილი). საოლქო სასამართლოს აზრით, მართალია, ფოტოსურათი თვალბეზე შავი შტრიხის დადებით არის გამოქვეყნებული, მაგრამ მასზე ს. ნ.-ის ამოცნობა მაინც შესაძლებელია, რადგან ამ უქანასკნელს იშვიათი დამახასიათებელი ნიშანი აქვს, ყელის არეში სიმსივნის სახით. პალატის აზრით, იმისდა მოუხედავად, რამდენი ადამიანი შეიცნობდა ს. ნ.-ს სურათზე, საკმარისი იყო მას თავად ეხილა საკუთარი დამახინჯებული თავი გაზეთში, რომ ის განიცდიდა სულიერ ტკივილს. სასამართლოს აზრით, სახეზე იყო ბრალი, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, გაზეთს დააკისრა პასუხისმგებლობა.

საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხსენებული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი. სასამართლომ მიუთითა სკ-ს 24-ე მუხლზე და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 25-ე მუხლზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ს. ნ.-მ, რომლის აზრით, სასამართლომ არაგონივრულად განსაზღვრა მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხა. აპელანტის განცხადებით, თანხის განსაზღვრისას სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, ერთის მხრივ, მისი მწირი ეკონომიკური შესაძლებლობა და მეორეს მხრივ, ის, რომ „ალია“ მრავალტირაჟიანი გაზეთია და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მას მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა.

საოლქოს გადაწყვეტილება, თავის მხრივ, გაზეთმა „ალიამაც“ გაასაჩივრა, თუმცა ეს სარჩელი, როგორც დავის საგნის გამო დაუშვებელი, უზენაესმა სასამართლომ განუხილველი დატოვა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გა-

კოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, ლ. გოჩელაშვილი, მ. ნიქვაძე) ს. ნ.-ს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა. უცვლელი დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოტივაცია: პალატამ არ გაიზიარა მოსარჩლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მორალური ზიანის ოდენობა უნდა განესაზღვრა მოსარჩლის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლო მორალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს არა დაზარალებულის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ ბრალის ხარისხს, მოპასუხის ქონებრივ მდგომარეობასა და მორალური ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ, პრევენციულ, რეპრესიულ მიზანს. პალატის განმარტებით, დიფამაციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხელყოფილი უფლების რესტიტუცია კი არ ხდება, არამედ ხელყოფით მიყენებული ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის მორალური კომპენსაცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია.

18 აპრილი

ვალერი ასათიანი „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილის და ირაკლი კერესელიძის წინააღმდეგ

სარჩელი: სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით 2001 წლის 1 აპრილს გადაიცა აკაკი გოგიჩაიშვილის საავტორო პროგრამა „60 წუთი“, რომელიც სასამართლო დავის საგანი გახდა. ვალერი ასათიანმა ჩათვალა, რომ ხსენებული გადაცემით გავრცელდა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები: მოპასუხეებმა – ირაკლი კერესელიძემ და გადაცემის ავტორმა აკაკი გოგიჩაიშვილმა ის ორი ადამიანის მკვლელობაში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და სახელმწიფო კრედიტის არამიზნობრივ გამოყოფაში დაადანაშაულეს.

ირაკლი კერესელიძეს მოსარჩლე ედავებოდა გადაცემაში გაკეთებული შემდეგი განცხადებების გამო:

1995 წელს ირაკლი კერესელიძე მუშაობდა მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელის თანაშემწის თანამდებობაზე, ის რუსეთის სპეცსამსახურში სა-

თანამშრომლოდ გადაიბირა რუსეთის საელჩოს იმჟამინდელმა პირველმა მდივანმა ვ. არხიპოვმა. ამავე პერიოდში მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი იყო ვალერი ასათიანი, რომელიც, კერესელიძის თქმით, „ვარდება აპათეში იმის გამო, რომ მისი შვილის გადარჩენა თითქმის შეუძლებელია“. „არხიპოვის სამსახური და თვითონ არხიპოვი სარგებლობენ ამ მომენტით და ასათიანს არწმუნებენ საკმაოდ ავტორიტეტული პირების მოშველიებით იმაში, რომ მისი შვილის ჯანმრთელობას სჭირდება მსხვერპლშეწირვა. რუსეთის სპეცსამსახურებს კი ვ. ასათიანის დარწმუნება მსხვერპლშეწირვის აუცილებლობაში სჭირდებოდათ იმისთვის, რომ შემდგომში ვ. ასათიანი გადაებირებინათ რუსეთის სპეცსამსახურში სამუშაოდ.“

გადაცემის თანახმად, 1995 წლის 20 აგვისტოს ვარკეთილის მასივში მდებარე ბინაში, რომელიც არხიპოვმა კონსპირაციული მიზნებისთვის შეიძინა, ასათიანის მითითებით, კერესელიძემ მოტყუებით მიიყვანა გ. ბახტაძე და მ. ოთიაშვილი. ბინაში იმ დროისთვის იმყოფებოდნენ თავად ვ. ასათიანი, მისი თანაშემწე რ. ბენდელიანი და საქართველოს უშიშროების ორი თანამშრომელი – ზ. გოგიტიძე და გ. ქორიძე, რათა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით განეხორციელებინათ გ. ბახტაძის მკვლელობა. ავტომანქანაში მყოფი არხიპოვი და კერესელიძე ვიდეო და აუდიო გადამცემის საშუალებით აფიქსირებდნენ ბახტაძისა და ოთიაშვილის მკვლელობის ფაქტს, რომელიც ბინაში მყოფებმა განახორციელეს. ირაკლი კერესელიძემ გადაცემაში განაცხადა: „მე მაქვს ვიდეოკამერა მუხლებზე, როდესაც არხიპოვი უყურებს აუდიოს, უყურებს გამოსახულებას, მე ვუსმენ აუდიოს. მე არ ვიცი ეს რიტუალის ნაწილია, მე არ ვიცი ეს ასათიანის აზრება იყო თუ რა იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ბახტაძეს პირველი ჩაარტყა ასათიანმა თავის ქალაში უკნიდან და ბახტაძე ეცემა.“ რის შემდეგაც ბინაში მყოფი პირების მიერ „იწყება დანაწევრება გვამების, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ლითონის საჭრელი ხერხი, ეგრეთ წოდებული „ნაჟივკა“.

იმავე გადაცემის თანახმად, ლამის თერთმეტ საათზე არხიპოვი ვიდეოკამერით ავიდა ვარკეთილის ბინაში და ვალერი ასათიანი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე დაიყოლია, სანაცვლოდ ასათიანმა „დაწყებული რიტუალის ბოლომდე მიყვანა“ მოითხოვა. „ასათიანი თავისი თანამშრომლობის ფასად ასახელებს გვამების გატანას ანუ რიტუალის ბოლომდე მიყვანას; თავების გატანა ხდება სასაფლაოზე აღმოსავლეთით. ამაზე აკვირებული იდეა იყო ასათიანის, ასათიანს უკვე წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა, სად მიდიოდა სხეულის ერთი ნაწილი და სად მიდიოდა სხეულის დანარჩენი ნაწილები, დამარხვა თავების შეიძლებოდა, მაგრამ სხეულები არ უნდა დამარხულიყო“.

გადაცემა „60 წუთის“ ავტორ აკაკი გოგიჩაიშვილს კი მოსარჩლე ედავება იმის

გამო, რომ ჟურნალისტის განცხადებებმა შთაბეჭდილება შეუქმნა მაყურებელს კერესელიძის ვერსიის საფუძვლიანობის შესახებ, რითაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სახელდობრ:

„მკვლელობის წარმოდგენილი ვერსია ორივე შემთხვევაში დადასტურდა“;

„მკვლელობის საქმე კვლავაც გაუხსნელი რჩება“;

„მკვლელობის საქმე, რომ ხელოვნურად დაიხურა, ამას ხუთი წლის წინათაც ყველა ხედებოდა“;

„დაბეჭდვით ვაცხადებ, რომ ხუთი წლის წინათ დახურული მკვლელობის საქმე დღესაც გამოუძიებელია და ღიად დარჩენილი უამრავი კითხვა პასუხის გაცემას მოითხოვს“;

„ცოტა მოგვიანებით ამაში თქვენ თავადაც დარწმუნდებით“.

ამასთანავე, აკაკი გოგიჩაიშვილმა გადაცემაში კომენტარი გაუკეთა გაზეთ „ალიაში“ დაბეჭდილ ასათიანის ინტერვიუს:

„კულტურის ყოფილი მინისტრის პრესაში გაკეთებული დაგვიანებული აღსარება ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია.“

მოსარჩლის აზრით, აკაკი გოგიჩაიშვილის სატელევიზიო განცხადებამ, რომ „60 წუთის“ ჟურნალისტმა ვალერი ასათიანს თავი წარუდგინა „ერთ-ერთი მკვლელის, ზ. გოგიტიძის მხარედ“ – მაყურებელს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ მოსარჩლემ ჩაიდინა მკვლელობა.

ასათიანის განცხადებით, ჟურნალისტი ცრუ ვერსიას აწვდის ტელემყურებელს, როდესაც აცხადებს: „ბენდელიანის დარწმუნებას იმაში, რომ ჩვენ მკვლელობის ამსახველი კასეტა გვექონდა, დრო არ დასჭირვებია და, რომ გადაცემაში ასახული ვერსია ორი ადამიანის მკვლელობის თაობაზე დასტურდება ვ. ასათიანთან და მის ვაჟთან გადაცემა „60 წუთის“ ჟურნალისტის სატელეფონო საუბრით.“

მოსარჩლის აზრით, გადაცემაში მიზანმიმართულად გაყალბებულად არის წარმოდგენილი ექსპერტების მოსაზრებები გარდაცვლილ გ. ბახტაძის თავის ქალაზე მიყენებულ დაზიანებათა შესახებ, რაც იმაში გამოიხატა, რომ ექსპერტთა მოსაზრებები მაყურებელს მიეწოდა როგორც კერესელიძის ვერსიის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. ეს კი დასტურდება მოპასუხეთა შემდეგი გამონათქვამებით:

„საქმეში არსებულ სამედიცინო დასკვნაში ყოველგვარი დაზიანება უარყოფილია“; „სამხედრო სამედიცინო ექსპერტმა გ. კვერნაძემ თავის ქალაზე დაზიანებები შეუიარაღებელი თვალითაც აღმოაჩინა“; „თავის ქალის მიკროსკოპიული შესწავლა დამოუკიდებელმა ექსპერტმა მ. ნიკოლაიშვილმაც ჩაატარა, მისი დასკვნაც ანალოგიური იყო.“

კრედიტთან დაკავშირებული გოგიჩაიშვილის განცხადებები, მოსარჩლის აზრით, მიზნად ისახავს, დაარწმუნოს მაცურებელი, რომ მან ხელი მოაწერა დოკუმენტს კრედიტის გამოყოფაზე პირისთვის, რომელსაც არავითარი შეხება არ ჰქონდა ამ კრედიტის დანიშნულებასთან და როგორც საჯარო მოხელემ გამოიჩინა არაჯანსაღი დაინტერესება. გოგიჩაიშვილი ასევე შეეცადა წარმოეჩინა საკითხი ისე, თითქოს კრედიტის გამოყოფის საკითხი ფაქტობრივად გადანაცვლებული იყო და შესაბამისად, კერესელიძეს არ გააჩნდა ბახტაძისა და ოთიაშვილის მკვლელობის მოტივი.

გოგიჩაიშვილის სიტყვები – „არხიპოვი მაშინ სწორედ ასათიანის გამოწერილი მუდმივი საშვით დადიოდა სახელმწიფო კანცელარიაში“ – მოსარჩლის აზრით, ცრუ წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, თითქოს არხიპოვმა ის ნამდვილად გადაიბირა სპეცსამსახურში.

ასათიანის განცხადებით, ჟურნალისტმა მას ბრალი დასდო სატანისტური რიტუალის დაგეგმვასა და შესრულებაში, როცა განაცხადა, რომ „სატანისტურ რიტუალზე სხვა ფაქტებიც მიუთითებდა, მაგრამ გამოძიებას ისინი შეუმჩნეველი დარჩა... წინასწარ დაგეგმილი რიტუალი მაინც შედგა“.

გოგიჩაიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ „ვ. ასათიანის შვილი უცხოეთიდან სასიკვდილო დიაგნოზით დაბრუნდა“, მოსარჩლის აზრით, არის მის პირად და საოჯახო ცხოვრებაში უხეში ჩარევა, რამაც უმძიმესი ტრავმა მიაყენა მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. ამასთანავე, ვალერი ასათიანს მიაჩნია, რომ გადაცემის დასასრულს გაკეთებული გოგიჩაიშვილის განცხადება – გადაცემის ავტორები არ ამტკიცებენ, რომ ეს შემზარავი მკვლელობა ჩადენილია ასათიანის ან კერესელიძის მიერ დასახელებული სხვა რომელიმე პირის მიერ – ვერ აბათილებს გადაცემაში მანამდე გაკეთებულ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს და არის მხოლოდ პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მცდელობა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე, 997-ე და 998-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების საჯაროდ უარყოფა; სოლიდარულად 10 მილიონი აშშ დოლარის შესაბამისი თანხისა (ეროვნულ ვალუტაში) და მოსარჩლის მიერ განუული ხარჯის (დაკისრებული თანხის 4 %-ის ოდენობით) დაკისრება.

თავის შეგებებულ სარჩელში „რუსთავი 2“-მა და აკაკი გოგიჩაიშვილმა აღნიშნეს, რომ მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებული განცხადებები არ ღაზავს ასათიანის პატივსა და ღირსებას, რადგან სამართალდამცავთა ცუდ მუშაობაზე უფრო მიუთითებს.

კრედიტთან, კასეტასთან, მკვლელობასთან და სამხედრო-სამედიცინო ექ-პერტთან დაკავშირებული გამონათქვამები, გოგიჩაიშვილის განმარტებით, ირაკ-ლი კერესელიძის მონათხრობია, რომლის ინტერპრეტაცია მან ფაქტის სიმართ-ლესთან შესაბამისობაზე მსჯელობის გარეშე მოახდინა. რაც შეეხება მის გამო-ნათქვამს – „ერთ-ერთი მკვლელი ზ. გოგიტიძე“ – გოგიჩაიშვილის განმარტე-ბით, ზ. გოგიტიძის არაქონებრივი უფლების დაცვა ასათიანის კომპეტენცია არ არის.

მოპასუხემ არც ვალერი ასათიანის შვილთან დაკავშირებით მისი გამონათქ-ვამი მიიჩნია მოსარჩლის პატივისა და ღირსების შელახვად, რადგანაც მისი ცნო-ბით, ასათიანის შვილის სასიკვდილო დიაგნოზის შესახებ მითითებული იყო სის-ხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებაშიც. გოგიჩაიშვილის მტკიცებით, გენერალური პროკურატურის დადგენილებაშიც აღნიშნულია ასა-თიანის მიერ არხიპოვისთვის საშვების გამონერის ფაქტი, ამდენად, მან უსაფუძ-ვლოდ მიიჩნია ამ ეპიზოდთან დაკავშირებული ბრალდებაც.

ჟურნალისტის მტკიცებით, მოპასუხეებს არ დაურღვევიათ არც ჟურნალის-ტური ეთიკა და არც კანონმდებლობის მოთხოვნები. მოპასუხეებმა მიუთითეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე და 25-ე მუხლებზე. 24-ე მუხლის თანახმად, ჟურნალისტი მოვალეა, შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა, რაც, მოპასუხეთა განმარტე-ბით, მათ გააკეთეს კიდევ, როდესაც ყველა შესაძლო მეთოდით შეეცადნენ აღ-ნიშნული ინფორმაციის გადამოწმებას და გადაცემის ბოლოს გააკეთეს დასკვნა, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები კერესელიძის მონათხრობის ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის დასადასტურებლად. 25-ე მუხლის თანახმად კი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მასალის ავტორებს ინფორმაციის გამავრცელებელ პირთან ერთად სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქეთა და ორგანიზაციათა შეურაცხყოფა და ცილისწამება მათ პირდაპირ განზრახვას წარმოადგენს, რასაც, „რუსთავი 2“-ისა და აკაკი გოგიჩაიშვილის მტკიცებით, აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მათ უბრალოდ საეთერო დრო დაუთმეს ირაკლი კერესელიძეს და მისი მონათხრობის საფუძველზე საკუთარი ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარეს. ამ-დენად, მოპასუხეებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს არათუ განზრახვაზე, არამედ რა-იმე სახის ბრალზე ლაპარაკი და დაუსაბუთებლად ჩათვალეს არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა.

2001 წლის 16 ნოემბერს ვალერი ასათიანის წინააღმდეგ სასამართლოს შეე-ბებული სარჩელით მიმართა აკაკი გოგიჩაიშვილმა და მოითხოვა მორალური ზი-ანის სახით მოპასუხისთვის 10 მილიონი აშშ დოლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძვლად მოსარჩლემ მიუთითა გაზეთ „ახალ თაობაში“ ასათიანის მიერ მის შესახებ გაკეთებული განცხადებები: „როგორ შეიძლება კომენტარის გაკეთება იმ ადამიანებთან, რომლებიც უზნეობის მატარებელნი არიან, როგორ შეიძლება იმ ადამიანის ნდობა, რომელიც აცხადებს – „უურნალისტს სქესი არა აქვსო“; „როგორ შეიძლება ადამიანის ნდობა, რომელსაც უხარია საზოგადოების დათრგუნულ მდგომარეობაში ყოფნა. ამ ხალხს ზნეობა არა აქვს და ცდილობს საზოგადოებაც მისნაირი გახადოს.“

ამასთანავე, გოგიჩაიშვილის განცხადებით, ასათიანმა მას უწოდა „ბეთჰოვენა“ და დააბრალა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა. გოგიჩაიშვილის განცხადებით, მისთვის, როგორც უურნალისტისათვის, განსაკუთრებული ღირებულების მქონეა სამართლით დაცული სიკეთე, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია ჰქვია, ასათიანმა კი თავისი საჯარო განცხადებით განზრახ შელახა სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს კონსტიტუციით დაცული მისი უფლებები.

აკაკი გოგიჩაიშვილის შეგებებული სარჩელი არ ცნო ვალერი ასათიანმა, რომლის აზრით, მის გამონათქვამებში გოგიჩაიშვილის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი არაფერი ყოფილა, მან ინტერვიუს მომენტში მხოლოდ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა დააფიქსირა. რაც შეეხება მეტსახელს „ბეთჰოვენა“ და სპეცსამსახურებთან გოგიჩაიშვილის თანამშრომლობას, ასათიანმა განაცხადა, რომ „ეს დოკუმენტებზე დაყრდნობით ითქვა და მისი აზრით, გოგიჩაიშვილის აკენტობას ადასტურებენ ის პირები, რომლებიც უშიშროების სისტემაში მუშაობდნენ.“ ასეთ დოკუმენტად ასათიანმა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული თამაზ ნიენივაძის პუბლიკაცია დაასახელა.

შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ირაკლი კერესელიძემაც, რომელმაც მისი პატივისა და ღირსების შელახვისათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. კერესელიძემ სარჩელის საფუძვლად მიუთითა ასათიანის მიერ პრესკონფერენციაზე გავრცელებული გამონათქვამები, რომლებიც გამოქვეყნდა „დილის გაზეთში“:

„ვ. ასათიანმა „დუმილის“ უფლება დაარღვია და მართლმსაჯულებისაგან პაუსუს მოითხოვს“.

ვ. ასათიანი: „კულტურის მინისტრი დღეს უკვე იძულებულია თქვას, რომ ი. კერესელიძე, რომელიც უმამოდ იზრდებოდა, თავის დროზე შეეცოდა და მიიღო თავის თანაშემწედ, მაშინ როცა მას „მგლის ბილეთი“ ჰქონდა და არსად არ იღებდნენ სამუშაოდ.“

კერესელიძემ ასევე მიუთითა „ახალი თაობაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუზე, სადაც ასათიანმა განაცხადა:

„ყოველ შემთხვევაში, ვილაცას რალაციისთვის დასჭირდა, რომ კერესელიძეს ეს ეთქვა, საინტერესოა, რატომ მაინც და მაინც სააკაშვილის მეგობარი გოგიჩაიშვილი შევიდა ამ პატიმართან და არა სხვა ტელეარხი?! ეს არ არის დამაფხვებელი?!“

სტატიაში, სათაურით „ვალერი ასათიანს სატანისტობა სააკაშვილის შეკვეთით დააბრალეს“ ასათიანმა აღნიშნა:

„უზუნალისტმა ჯერ თქვა, რომ სააკაშვილმა პირადად მიიყვანა კერესელიძესთან, მერე კი უარყო, ზოგადად იუსტიციის სამინისტროზე მიუთითა და კონკრეტული გვარ-სახელი არ დაუსახელებია.“

„ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში („უფრთხილდით აღენ დალესის ზნედაცემულ მიმდევრებს“) ვალერი ასათიანმა განაცხადა:

„უზუნალისტები საპატიმროში უნდა შევიდნენ, ეს ბუნებრივია, მაგრამ გოგიჩაიშვილი თავად ამბობს, რომ კონსულტაციები მიიღო იუსტიციის სამინისტროდან, ისიც გავიგე, რომ ამ ჯგუფს პირადად მ. სააკაშვილი დაეხმარა.“

მოსარჩლემ დეზინფორმაციად მიიჩნია განცხადებები მისი და სააკაშვილის ალიანსის შესახებ და მორალური ზიანისათვის მანაც 10 მილიონი აშშ დოლარი მოითხოვა.

გადანყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლომ 2002 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა ვალერი ასათიანის სარჩელი. სასამართლომ დაავალა „რუსთვი 2“-სა და აკაკი გოგიჩაიშვილს პროგრამა „60 წუთის“ მეშვეობით საჯაროდ მოეხდინათ მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა, შემდეგი ფორმულირებით:

„სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ისა და გადაცემა „60 წუთის“ ავტორის, ა. გოგიჩაიშვილის მიერ 2001 წ. 1 აპრილს გადაცემა „60 წუთის“ მეშვეობით გავრცელებული ცნობები – ვ. ასათიანის მიერ ორი ადამიანის მკვლელობის, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურთან თანამშრომლობისა და სახელმწიფო კრედიტის არამიზნობრივი გამოყოფის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება, 2001 წ. 1 აპრილს გადაცემა „60 წუთის“ მეშვეობით საჯაროდ გავრცელებული გამონათქვამები: „მკვლელობის წარმოდგენილი ვერსია ორივე შემთხვევაში „დადასტურდა“, „ცოტა მოგვიანებით ამაში თქვენ თავადაც დარწმუნდებით“, „კულტურის ყოფილი მინისტრის პრესაში გაკეთებული დაგვიანებული აღსარება ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია“, „კრედიტის დოკუმენტზე ხელს აწერს ვალერი ასათიანი“, „არხიპოვი მაშინ სწორედ ვ. ასათიანის მიერ გამოწერილი მუდმივი საშვით დადიოდა სახელმწიფო კანცელარიაში“ – წარმოადგენენ ვალერი ასათიანის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს, რომელთაც საჯაროდ უარვყოფთ.“

ირაკლი კერესელიძეს კი დაევალა გავრცელებული ცნობების უარყოფა შემდეგი ფორმულირებით:

„სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის 1 აპრილის გადაცემა „60 წუთის“ მეშვეობით ვ. ასათიანის დადანაშაულება ორი ადამიანის მკვლელობაში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და სახელმწიფო კრედიტის არამიზნობრივ გამოყოფაში წარმოადგენს ცრუ ინფორმაციას, რომლითაც შელახული იქნა ვ. ასათიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რის გამოც ვ. ასათიანის შესახებ ჩემს მიერ გავრცელებულ ყველა ცნობას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საჯაროდ უარეყოფ.“

სამივე მოპასუხეს ვალერი ასათიანის სასარგებლოდ 50 ათასი ლარისა და სახელმწიფო ბაჟის სოლიდარულად ანაზღაურება დაეკისრა.

აკაკი გოგიჩაიშვილსა და ირაკლი კერესელიძეს უარი ეთქვათ თავიანთი შეგებებული სარჩელების დაკმაყოფილებაზე.

მოტივაცია: საოლქო სასამართლოს კოლეგია თავის გადანყვეტილებაში დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ, გადანყვეტილებას ლინგენის ავსტრიის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, „ზუსტად უნდა დადგინდეს ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავება. ფაქტების არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს მაშინ, როდესაც მოსაზრებები არ ექვემდებარება მტკიცებულებებს.“

კოლეგიის აზრით, მოცემულ შემთხვევაში კერესელიძის მიერ გავრცელებული ყველა განცხადება ცნობაა ფაქტების შესახებ, რომელსაც მტკიცება სჭირდება. სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი კი ლინგენის საქმეზე დადგენილი სტანდარტითა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მის გამავრცელებელს ეკისრება. საოლქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხეებმა ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ უზრუნველყვეს მათი ვერსიის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება და ამასთანავე, მათ მიერ გავრცელებული ცნობები ლახავს ვალერი ასათიანის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან ისინი შეიცავენ მტკიცებას მოსარჩლის მიერ კანონის, მორალის ნორმების დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

კერესელიძის ვერსიის უსაფუძვლობის დასტურად სასამართლომ მიუთითა უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 24 მაისის გამამტყუნებელ განაჩენზე, რომლითაც კერესელიძეს მსჯავრი დაედო ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენაში. კოლეგიამ ასევე მიუთითა გენერალური პროკურორის დადგენილებაზე, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება მსჯავრდებულ კერესელიძისა და ჩიკვაიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 31 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც უცვ-

ლელი დარჩა კერესელიძის მიერ გასაჩივრებული პროკურატურის ზემოთ ხსენებული დადგენილება.

კოლეგიის შეფასებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა და აკაკი გოგიჩაიშვილმა ტენდენციურად გააშუქეს ირაკლი კერესელიძის ვერსია: ჟურნალისტმა თავისი დასკვნებით დამაჯერებლობა შესძინა ცნობებს და საზოგადოებას მიანოდა როგორც უტყუარი, დადასტურებული ფაქტები, რითაც შელახა ვალერი ასათიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

გენერალური პროკურატურის დასკვნაზე დაყრდნობით, საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტს მიზანმიმართულად გაყალბებულად აქვს წარმოდგენილი ექსპერტთა მოსაზრებები გარდაცვლილ გ. ბახტაძის თავის ქალასთან დაკავშირებით.

ვინაიდან ვალერი ასათიანი იმ დროისათვის წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, კოლეგიამ ჩათვალა, რომ მის მიმართ გავრცელებული პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები მიმართული იყო მისი, როგორც საჯარო მოხელის საქმიანი რეპუტაციის დისკრედიტაციისაკენ.

რაც შეეხება ასათიანის შვილის სასიკვდილო დიაგნოზთან დაკავშირებულ განცხადებებს, სასამართლომ დაადგინა, რომ „60 წუთის“ ხსენებული გადაცემის ეთერში გასვლამდე მისი ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არავის გაუცხადებია. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებულ განმარტებაზე და აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების“ უფლება არის უფლება პირად ცხოვრებაზე, ანუ პიროვნების უფლება, იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს და (მისი ცხოვრების წესი) დაცული უნდა იყოს საჯაროობისაგან. სახელმწიფოს ეკისრება არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება – თავად არ გაამჟღავნოს პირად და საოჯახო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, არამედ პოზიტიურიც – „არ დაუშვას მესამე პირთა მიერ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების გახმაურება მისი თანხმობის გარეშე, რათა არ მოხდეს კონვენციის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შელახვა“.

მოსარჩლის შვილის ავადმყოფობის შესახებ მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები წარმოადგენს ვალერი ასათიანის პირადი საოჯახო ცხოვრების საიდუმლოს, ვინაიდან ის არ ეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამოხსნილია პირთა განსაზღვრული წრისთვის. პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შესაძლოა, სინამდვილეს შეესაბამებოდეს, მაგრამ პიროვნება

დაინტერესებულია, დაიცვას ისინი გახმაურებისაგან. აქედან გამომდინარე, კოლეგიამ დაასკვნა, რომ ხსენებული ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებით გოგიჩაიშვილმა უმძიმესი ტრავმა მიაყენა ასათიანის ოჯახს და პირადად ნ. ასათიანს, რომლისთვისაც ადრე არაფერი იყო ცნობილი მისი „სასიკვდილო დიაგნოზის“ შესახებ.

გადანწყვეტილების საფუძვლად კოლეგიამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17, 24-ე მუხლები, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. მორალური ზიანის კომპენსაციის განსაზღვრისას, სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 413-ე მუხლით და გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად ჩათვალა 50 ათასი ლარი.

გოგიჩაიშვილის შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით კოლეგიამ მიუთითა, რომ ასათიანის პოლემიკაში ჩაბმა გამოიწვია სატელევიზიო გადაცემამ, რომლითაც გავრცელდა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები. გოგიჩაიშვილი ვალდებულია, ითმინოს ასეთი გამონათქვამები, რომლებიც მართალია, შეურაცხმყოფელია, მაგრამ ისინი ისე უხეშად არ ხელყოფენ ურუნალისტის რეპუტაციას, როგორც მან შელახა ასათიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

ირაკლი კერესელიძის შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით კოლეგიამ ანალოგიურად მიუთითა, რომ ასათიანის განცხადებები გაკეთდა სადავო გადაცემის სატელევიზიო ეთერში გასვლის შემდეგ, რამაც გამოიწვია ასათიანის პოლემიკაში ჩაბმა.

კასაცია: საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს როგორც მოსარჩლემ, ასევე მოპასუხეებმა.

გადანწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, რ. ნადირიანი, ლ. გოჩელაშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა ტელეკომპანია „რუსთვი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილის და ვალერი ასათიანის საკასაციო საჩივრები და არ დააკმაყოფილა ირაკლი კერესელიძის საკასაციო საჩივარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან უზენაესმა სასამართლომ ამორიცხა შემდეგი გამონათქვამები: „*ცოტა მოგვიანებით ამაში თქვენ თავადაც დარწმუნდებით*“ და „*კულტურის ყოფილი მინისტრის პრესაში გაკეთებული დაგვიანებული აღსარება ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია.*“

პალატამ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილიც, რომლითაც არ დააკმაყოფილდა ვალერი ასათიანის მოთხოვნა იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებაზე და მოპასუხეებს დააკისრა სოლიდარულად 2 ათასი ლარის გადახდა.

საოლქოს გადანყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩა.

მოტივაცია: პალატამ არ გაიზიარა კერესელიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული დავა სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმე არ იყო, რადგან პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას წარმოადგენს.

საკასაციო პალატამ არც „რუსთვი 2“-ისა და აკაკი გოგიჩაიშვილის მოსაზრება გაიზიარა, თითქოს საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლები.

პალატამ მიუთითა, როგორც საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს საკანონმდებლო აქტებზე, ასევე ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციასზე, რომლებითაც დადგენილია როგორც ინფორმაციის გამოხატვისა და გავრცელების, ისე პირთა პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიები. ინფორმაციის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება არ არის აბსოლუტური, რის გამოც სახელმწიფო (კანონი) აწესებს შეზღუდვებს (სანქციებს), რაც ყველას რეპუტაციის დაცვის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად კასატორთა მტკიცებისა, პალატა თვლის, რომ გავრცელებული ცნობები აშკარად ლახავს ვ. ასათიანის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, რადგან შეიცავს მტკიცებას მოსარჩლის მიერ კანონისა და მორალის ნორმების დარღვევის, ასევე უღირსი საქციელის შესახებ.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები და საგნები. „აზრის“ ცნებაში კი იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან და რომლის მართებულობა და მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. აზრი ხშირად ეყრდნობა ფაქტებს, ფაქტები კი აზრის საფუძველია, რაც ადასტურებს ან უარყოფს მას.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს საკანონმდებლო აქტების თანახმად, სხვათა ინტერესების დასაცავად სწორედ მოსაზრებების გამოხატვისა და გავრცელების შეზღუდვაა შესაძლებელი. თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი.

გავრცელებული ინფორმაციიდან ცალკეული გამონათქვამების გამოყოფა და ამ გამონათქვამების უარყოფა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული გამონათქვამი შეიცავს პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობას. ასეთად პალატამ მიიჩნია შემდეგი გამონათქვამები: „ცოტა მოგვიანებით ამაში

თქვენ თავადაც დარწმუნდებით“ და „კულტურის ყოფილი მინისტრის პრესაში გაკეთებული დაგვიანებული აღსარება ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია.“

დანარჩენ ნაწილში უზენაესმა ინსტანციამ გაიზიარა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

პალატის აზრით, მოპასუხებებმა ვერ დაასაბუთეს, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა დიდ საზოგადოებრივ ინტერესს მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით. პალატამ დადგენილად მიიჩნია ის, რომ კერესელიძის ვერსიის შემონმების მიზნით, ჟურნალისტთა ჯგუფმა კანონის უხეში დარღვევით მოახდინა გარდაცვლილის თავის ქალის ექსპუმაცია და ექსპერტიზის ჩატარება, დაკითხეს მონმეები, რის შემდეგაც დადგინდა, რომ კერესელიძის ვერსია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მიუხედავად ამისა, გოგიჩაიშვილმა მიზანმიმართულად, ფაქტების დამახინჯებით გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები ასათიანის შესახებ.

პალატამ არ გაიზიარა ვალერი ასათიანის მოთხოვნა მორალური ზიანის კომპენსაციის გაზრდის ნაწილში და განმარტა, რომ მართალია, მოსარჩლის პიროვნული უფლებების ხელყოფა მეტად სერიოზულია, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსარჩლის მოთხოვნა უზომოდ გაზრდილია და მონყვეტილია რეალობას. 10 მილიონი დოლარის დაკისრებამ შესაძლოა, გააკოტროს მოპასუხე, რაც გამოიწვევს პრესის შეზღუდვას და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

24 აპრილი

გიორგი გეთიაშვილი ეთერ კვეზერელის წინააღმდეგ

სარჩელი: „მარკეტი – 2000“-ის მფლობელმა გიორგი გეთიაშვილმა სარჩელით მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „გურჯაანის ქრონიკაში“ 2003 წლის 11 მარტს გამოქვეყნებული ეთერ კვეზერელის პუბლიკაციის გამო.

სტატიის, რომლის სათაურია „ავტომანქანამ ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე შეიწირა“, აღნიშნულია, რომ „იმ ადგილას, სადაც დღეს „მარკეტი – 2000“ წამოჭიმულა და მყიდველებს სავაჭრო საქონლის ფართო ასორტიმენტს სთავაზობს, მგზავრების მოსაცდელი არსებობდა.“ ხსენებულ ადგილას მოსაცდელის არარსებობას სტატიის ავტორი იქ მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევებს უკავშირებს და სვამს რიტორიკულ შეკითხვას: „განა ისეთი რა ჰონორარი გაიღო „მარკეტის“

მფლობელმა სავაჭრო ცენტრის ჩადგმისათვის, რომ მგზავრების უსაფრთხოებაზე ოდნავადაც არ დაფიქრებულა?"

გიორგი გეთიაშვილის აზრით, მოპასუხეს ობიექტურად რომ მოემზადებინა სტატია, გარკვევდა, რომ პროექტით გათვალისწინებული იყო მოსაცდელის აშენება, მაგრამ მოსარჩლე არ არის დამნაშავე იმაში, რომ მოსაცდელი არ ფუნქციონირებს.

მოსარჩლის განცხადებით, ხსენებული პუბლიკაციით ეთერ კვეზერელმა ცილი დასწამა მას შენობის აღნიშნულ ადგილზე აშენებისათვის ქრთამის გადახდაში, ხელი შეუწყო მისი პიროვნების გარშემო „შავი პიარის“ შექმნას, რის გამოც მან განიცადა მორალური ზიანი. მოსარჩლემ სტატიის ავტორისგან მოითხოვა გაზეთის მეშვეობით ბოდიშის მოხდა, ასევე სტატიის მოშორება, რომელშიც ობიექტურად გააშუქებდა, თუ რატომ და ვისი მიზეზით არ ფუნქციონირებდა მგზავრთა მოსაცდელი. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი გიორგი გეთიაშვილმა ეთერ კვეზერელისათვის 1 ლარის დაკისრება მოითხოვა. თუმცა სასამართლო სხდომაზე მოსარჩლემ ბოდიშის მოხდისა და მორალური კომპენსაციის მოთხოვნა მოხსნა.

მოპასუხე მხარის განმარტებით, მას მიზნად არ ჰქონია „მარკეტი - 2000“-ის მფლობელის შეურაცხყოფა და არც ვინმესთვის ქრთამის მიცემაში დაუდანაშაულება მისი მესაკუთრეები. ჰონორარის გაცემაში კი მან იგულისხმა პროექტირების და მშენებლობის ხარჯები. ყურნალისტის განცხადებით, ხსენებული სტატიის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა იმ გარემოებაზე, რომ მოსაცდელის არარსებობა საფრთხეს უქმნიდა ტრანსპორტის მომლოდინე მოქალაქეებს.

გადანყვეტილება: გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე - ს. გიორგაშვილი) დააკმაყოფილა სარჩელი. ეთერ კვეზერელს დაეკალა, გაზეთ „გურჯაანის ქრონიკაში“ გამოექვეყნებინა სტატია, სადაც ობიექტურად იქნებოდა ასახული, თუ რამდენად კანონიერად იყო აშენებული „მარკეტი - 2000“ და ვისი მიზეზით არ ფუნქციონირებდა მგზავრთა მოსაცდელი.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, სტატიის ავტორს რომ სრულად შეესწავლა საკითხი, აღარ დასვამდა რიტორიკულ კითხვას: „ნუთუ ასე ძნელი იყო მგზავრების მოსაცდელის გათვალისწინება „მავანთა და მავანთა“ მიერ, რომ უბედური შემთხვევებისაგან დაზღვეული ყოფილიყვნენ მგზავრები?“

სასამართლო პროცესზე მოსარჩლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ „მავანთა და მავანთა“ მიერ მგზავრების მოსაცდელი გათვალისწინებულია და ის არ ფუნქციონირებს არა გიორგი გეთიაშვილის მიზეზით. სასამართლოს შეფასებით, სტატიაში არასწორადაა განვითარებული აზრი, რომ მგზავრების უსაფრთხოებას ხელს უშლის „მარკეტი - 2000“, რომელიც „წამოჭიმულია იმ ადგილზე, სადაც მგზავრების მოსაცდელი არსებობდა.“

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე და აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ გ. გეთიაშვილმა სადავო სტატიის შედეგად განიცადა მორალური ზიანი, იგი უფლებამოსილია მოსთხოვოს ე. კე-ზერელს გაზეთის საშუალებით ობიექტური ინფორმაციის გავრცელება.

1 მაისი

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე „ფოთის“, ხათუნა ცომიასა და ანა ჯახიას წინააღმდეგ

საჩივარი: ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ თ. ნურნუშიამ განცხადებით მიმართა ქ. ფოთის პროკურატურას გაზეთ „ფოთში“ 2003 წლის 24 თებერვალს გამოქვეყნებული სტატიის გამო. პუბლიკაცია, სათაურით „წურწუშიამ საკუთარი საქმიანობის შესახებ კომპრომატების მისაჩქმალად შაბათ საღამოს 10-დან 11 საათამდე მთელი ქალაქი ჩააბნელა“ ყურნალისტ ანა ჯახიას მიერ იყო მომზადებული.

განმცხადებლის მითითებით, სტატიის ავტორმა და მოქალაქე ავთანდილ ესაკიამ იგი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულეს. სახელდობრ, პუბლიკაციის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარემ 22 თებერვალს ხელი შეუშალა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლებისა და დემოკრატიის საზოგადოებრივი ცენტრის“ მიერ ანტიკორუფციული პროექტის – „სად მიდის ჩვენი ფული?“ ფარგლებში მომზადებული ტელეგადაცემის სამაუწყებლო კომპანია მე-9 ტალღის ეთერში გასვლას. ამ მიზნით თ. ნურნუშიამ 10-დან 11 სა-ათამდე ქალაქი ჩააბნელა. განმცხადებლის ცნობით, იგივე გაიმეორა 1 მარტს 22 საათსა და 20 წუთზე სატელეფონო საუბარში გაზეთ „ფოთის“ რედაქტორმა ხათუნა ცომიაამ.

თ. ნურნუშიამ ითხოვა გაზეთის ფურცლებზე მის მიმართ ნაყენებული ბრალდებების დადგენის მიზნით მოკვლევის ჩატარება, ხოლო ბრალდებათა დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ცილისმწამებელთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება.

განმცხადებლის თხოვნით, განცხადება კერძო ბრალდების წესით ფოთის პროკურატურიდან განსახილველად ფოთის საქალაქო სასამართლოში გადაიგზავნა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 628-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლიანობის შემონგების მიზნით, განმარტების მისაღებად სასამართლოში გამოიძახეს თეიმურაზ ნურნუშია, ხათუნა ცომაია და ანა ჯახია.

თ. ნურნუშიამ თავის განმარტებაში უარი განაცხადა ცილისწამების ფაქტზე ხათუნა ცომაიასა და ანა ჯახიას მიმართ კერძო ბრალდების წესით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე და ითხოვა მის მიმართ წაყენებული ბრალდების (კომპრომატების) დადგენის მიზნით მასალები მოკვლევის ჩასატარებლად ქ. ფოთის პროკურატურისათვის გადაეგზავნათ.

დადგენილება: ფოთის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ალ. გოგუაძე) უარი თქვა ხათუნა ცომაიასა და ანა ჯახიას მიმართ კერძო ბრალდების წესით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

ამასთანავე, სასამართლოს დადგენილებით, განმცხადებლის მოთხოვნის თანახმად, მასალები შესასწავლად გადაეგზავნა ქ. ფოთის პროკურატურას¹¹.

მოტივაცია: სსსკ-ის 27-ე მუხლის თანახმად, კერძო ბრალდების წესით სისხლის სამართლის საქმე აღიძრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, ხოლო 28-ე მუხლის 1 ნაწილის „კ“ პუნქტის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, თუ არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი, კერძო ბრალდების საქმეთა გამო. ამავე კოდექსის 631-ე მუხლის თანახმად, თუ არ დადგინდება საფუძველი კერძო ბრალდების საქმის აღძვრისა, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

5 მაისი

გურამ შარაძე ლევან რამიშვილის წინააღმდეგ

საჩივარი: 2002 წლის 19 ივლისს გურამ შარაძემ, კერძო ბრალდების წესით, საჩივრით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის ლევან რამიშვილის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორმა სსკ-ს 148-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების გამო მოპასუხის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. საჩივრის საბაზად გურამ შარაძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით გაკეთებულ განცხადებებზე მიუთითა. სახელდობრ:

¹¹ მოგვიანებით პროკურატურამაც უარი თქვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

2002 წლის 1 ივლისს გადაცემა „ლამის კურიერის“ პირდაპირ ეთერში თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თინათინ ხიდაშელმა საჯაროდ, მაყურებელთა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გააკეთეს ცილისმწამებლური განცხადებები საჩივრის ავტორის წინააღმდეგ. მათ გურამ შარაძეს ბრალი დასდეს ანტიქართული საქმიანობისა და რელიგიური და ეროვნული შუღლის გაღვივებაში. შარაძის განმარტებით, მიუხედავად ამ ცილისმწამებლური გამოსვლებისა, მან თავი შეიკავა სასამართლოსთვის მიმართვისაგან. თუმცა მეორე დღეს იმავე გადაცემაში მიწვეულმა თავისუფლების ინსტიტუტის მეორე წარმომადგენელმა – ლევან რამიშვილმა ყოველგვარი ეთიკის, ზნეობისა და მორალის გარეშე, სამართლის ნორმების უხეში დარღვევით უწოდა გურამ შარაძეს საბჭოთა პერიოდის უშიშროების (სუკის) აგენტი; ბრალი დასდო მას ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, ეჭვქვეშ დააყენა მისი წარსული და იმ დროინდელი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, რითაც უხეშად შეურაცხყო მისი პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია. ამასთანავე, მოპასუხემ ბრალი დასდო განმცხადებელს ვახტანგ გორგასლის ორდენის უკანონოდ, დაუშასხურებლად მიღებაში და სიცრუე და ტყუილი უწოდა მის განმარტებებს სამაჩაბლოში ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საომარ მოქმედებებში ამ უკანასკნელის მონაწილეობის შესახებ.

გურამ შარაძის აზრით, ლევან რამიშვილმა მისი მისამართით იხმარა ისეთი გამონათქვამები, რომლებიც პირდაპირ შეიცავენ ბრალდებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა – ჩადენაში.

ლევან რამიშვილის განცხადებით, „ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივება ხდება რუსეთიდან და ამას ახორციელებენ ადგილობრივი ძალების მეშვეობით, რაც ბატონმა გურამმა კარგად იცის“. შარაძის აზრით, დასახელებულ ძალებში სწორედ ის იგულისხმება. ამასთანავე, ლევან რამიშვილმა საჩივრის ავტორს უწოდა ეთნიკური შუღლის პიონერი და ტელეეთერით შესთავაზა მას სიცრუის დეტექტორი: „შეხედეთ საზოგადოებას თვალეზში და ამისწინა, როგორ ახერხებდით, როცა საბჭოთა პერიოდში ბუზიც ვერ გადაფრინდებოდა საზღვარგარეთ, „კაგებე“-ს ნებართვის გარეშე რომ მიდიოდით და იქ ხვდებოდით საქართველოს დაუძინებელ მტრებს, რაში მიიღეთ ვახტანგ გორგასლის ორდენი?“

გურამ შარაძემ მიუთითა ლევან რამიშვილის მიერ სხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ მონაჭორზეც, კერძოდ, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ის აცხადებს:

„მე არ ვენდობი საპარლამენტო კომისიის გამოძიებას და დღეს მივმართავ გენერალურ პროკურატურას, გამოიძიოს შარადის მიერ ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივების ფაქტები და მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება.“

შარადის აზრით, ამ განცხადებით რამიშვილმა მას კიდევ ერთხელ დასდო ბრალი სსკ-ს 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მან მოითხოვა აღნიშნული საჩივრის განხილვა და ლევან რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, 2002 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით, გურამ შარადის საჩივარი არ დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა, გაუქმებულიყო რაიონული სასამართლოს ხსენებული დადგენილება.

სააპელაციო პალატამ გურამ შარადის საჩივარი დაუბრუნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას ხელახალი განხილვისათვის.

გადაწყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოტივაცია: მოსამართლე ს. ციცივიძის აზრით, ლევან რამიშვილის ქმედება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით მინიჭებული უფლებისაგან, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს თავისი სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება. ამავე ნორმის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. სასამართლომ ჩათვალა, რომ ლევან რამიშვილის ქმედებაში არ არსებობს გურამ შარადის მიმართ ცილისწამების განზრახვა დანაშაულის ჩადენის დაბრალებით.

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები რამიშვილის ქმედებაში არ აღინიშნება, არ არსებობს გარემოებები მოპასუხის მიმართ კერძო ბრალდების წესით სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად. ამასთანავე, თუ განმცხადებელი თვლის, რომ ლევან რამიშვილის გამოსვლებით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ეს არის არა სისხლის სამართლის წესით, არამედ სამოქალაქო წესით განსჯადი დავა.

აპელაცია: ხსენებულ დადგენილებაზე კერძო სააპელაციო საჩივარი შეიტანა გურამ შარადემ, რომლის აზრით, რაიონულმა სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს კონსტიტუციის მე-7, მე-14, მე-17 და მე-19 მუხლები, სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, რომლებიც ადგენენ ადამიანის პატივისა და ღირსების, აზრისა და შეხედულებების თავისუფლების სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

ამასთანავე, აპელანტის აზრით, ადგილი ჰქონდა საქმის განმხილველ მოსამართლეებზე ზენოლას, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი.

შარაძემ მოითხოვა ხსენებული დადგენილების გაუქმება და მისი საჩივრის დაკმაყოფილება.

ლევან რამიშვილის აზრით კი, შარაძის საჩივარს არავითარი იურიდიული საფუძველი არა აქვს და საერთოდ, სასამართლო არ არის ის ორგანო, რომელსაც პოლიტიკურ დავებსა და დებატებში არბიტრის ფუნქცია აკისრია.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – ა. ჭეიშვილი, რ. ჭანტუაშვილი, მ. ომხარელი), 2003 წლის 4 თებერვლის განჩინებით, არ დააკმაყოფილა გურამ შარაძის სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა რაიონული სასამართლოს დადგენილება.

მოტივაცია: მართალია, ლევან რამიშვილის გამონათქვამები დიდი სიმძაფრით გამოირჩევა, მაგრამ პალატის აზრით, მისი ინტერვიუები და სატელევიზიო გამოსვლები მსჯელობით ხასიათს ატარებს და გამოხატავს აზრის თავისუფლებას, რაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს.

პალატა თვლის, რომ ლევან რამიშვილის ქმედებაში არ არსებობს ცილისწამების განზრახვა დანაშაულის დაბრალებით და არც ცრუ დასმენის შესახებ დანაშაულის შემადგენლობა.

პალატის აზრით, ცილისწამებას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირი ამცირებს ადამიანის პატივს და ყალბი ცნობების გავრცელების მეშვეობით, ცდილობს საზოგადოების სხვა წევრების თვალში შექმნას არასწორი წარმოდგენა მისი ინტელექტუალური თუ ზნეობრივი თვისებების, ან მისი ცხოვრების წესის თუ საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ ცილისწამება გულისხმობს სახელგამტეხი ცნობების გავრცელებას, ისეთი ფაქტების მტკიცებას, რომლებიც ბლალავენ დაზარალებულის პატივს და ძირს უთხრიან მის ავტორიტეტს. ცილისწამებად არ ჩაითვლება პიროვნების ზოგადად უარყოფითად დახასიათება, თუ ფაქტები სწორად არის დასახელებული, მაგრამ პირი შესაძლოა, არასწორ, თანაც უარყოფით მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას აძლევდეს ამ ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ საზოგადოებას თავად შეუძლია შეფასოს სათანადო ფაქტები და ანგარიში არ გაუწიოს ცალკე პირთა შეხედულებებს.

კანონის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ყალბი, სახელგამტეხი ცნობის გამავრცელებელ სუბიექტს შეგნებული უნდა ჰქონდეს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შეუსაბამობა და მიუხე-

დავად ამისა, ის მაინც უნდა ჩადიოდეს აღნიშნულს. პალატის აზრით, ლევან რამიშვილის ქმედებები არ იძლევა სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას, რადგამ იგი ფაქტების მისეული ანალიზითა და შეფასებებით ავითარებს თავის მოსაზრებებს და დარწმუნებულია გადმოცემული ფაქტების სისწორეში. იმის დასტურად, რომ მოპასუხის გამონათქვამები არის შეფასებითი მსჯელობები და ცენზურის გარეშე საკუთარი აზრის მიწოდება, სასამართლოს მოჰყავს თავად ლევან რამიშვილის მიერ რაიონული სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებები. კერძოდ:

„მე ეს შეფასება დავადასტურე საოლქო სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში და იგივეს ვადასტურებ ახლაც. კერძოდ, მიმაჩნია, რომ გ. შარაძის საქმიანობა აღვივებს ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს და მიმართულია საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. თავის საჯარო გამოსვლებში, აგრეთვე გაზეთების, ტელევიზიებისათვის მიცემულ ინტერვიუებში გ. შარაძეს არაერთხელ გამოუთქვამს ისეთი იდეები, რომლებიც აბსოლუტურად შეუთავსებელია დემოკრატიულ ფასეულობებთან. ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში მან საკუთარ თავს ფაშისტად კი უწოდა „ამ სიტყვის კარგი გაგებით“... თუმცა ჩემთვის უცნობია, კარგი გაგება რას ნიშნავს.“

აქვე საოლქო სასამართლომ მოიშველია სიტყვა „ფაშისტის“ თავად შარაძისეული განმარტება: „ფაშისტი“ არის იტალიური სიტყვა და იგი ერის გამთლიანებას ნიშნავს. ამ სიტყვამ სხვა მნიშვნელობა მოგვიანებით შეიძინა, თორემ თავისი პირვანდელი მნიშვნელობით იგი ერის ერთიანობას და გამთლიანებას ნიშნავდა.

ამ განმარტების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ლევან რამიშვილის მხრიდან გურამ შარაძის მიმართ ცილისწამებას, თანაც დანაშაულის დაბრალებით, ადგილი არ ჰქონია.

პალატამ სამოტივაციო ნაწილში ასევე მიუთითა სხდომაზე გამოთქმული ლევან რამიშვილის სხვა მოსაზრებებიც. სახელდობრ:

„ჩემი აზრით, ის საქმიანობა, რასაც აწარმოებს გურამ შარაძე, მიმართულია ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებისკენ და როდესაც აქ ლაპარაკობენ სსკ-ს 142-ე მუხლზე, ანუ ადამიანთა თანასწორობის ხელყოფაზე, უამრავი მასალა არსებობს იმისა, რომ ბატონი გურამი უარყოფს თანასწორუფლებიანობას და არა მარტო უარყოფს, არამედ მისი, როგორც დეპუტატის საქმიანობა მიზნად ისახავს ამ დისკრიმინაციის საკანონმდებლო წესით დაკანონებას. არსებობს უამრავი გამოსვლა პრესით თუ ტელევიზიით, სადაც ის საჯაროდ ქადაგებს ასეთ იდეებს. მე მიმაჩნია, რომ დღეს არსებული ძალადობის ტალღა არის პირდაპირი შედეგი ბატონ გურამ შარაძის საქმიანობისა... დღევანდელი

ხელისუფლების მიზანს წარმოადგენს სწორედ რელიგიური და ეთნიკური შულის გაღვივება, რათა ყურადღება გადატანილ იქნეს არსებული პოლიტიკურ-სოციალური პრობლემებიდან, რაც არსებობს ქვეყანაში და ამით აიცილოს პასუხისმგებლობა. სწორედ ამ ხელისუფლების დაკეთას ასრულებს ბატონი გურამი და სხვებივით ის მარტო არ არის ამ საქმეში. ჩემი აზრით, ვახტანგ გორგასლის ორდენის მინიჭება, სწორედ ბატონ შარაძის ამ შოკინისტურ საქმიანობას უკავშირდება.“

ლევან რამიშვილი თვლის, – ნათქვამია სამოტივაციო ნაწილში, – რომ საჯარო გამოსვლებით გურამ შარაძე საქართველოში არსებულ რელიგიურ ჯგუფებს ჰყოფს ტრადიციულ და არატრადიციულ ჯგუფებად და ამ უკანასკნელებისთვის თანასწორუფლებიანობის შეზღუდვას უჭერს მხარს, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევაა. მოპასუხის განცხადებით, „ადამიანის შევიწროება, მათი განსხვავება უცხოა ქართული კულტურისათვის და არასდროს ქართულ ისტორიაში არ ყოფილა მსგავსი რამ. არავინ არ უმოწმებდა შუშანიკს, აბო თფილელს, ზაქარია მხარგრძელს ეთნიკურ წარმომავლობას, ვინაიდან ჩვენი მეფეები... პატრიც სცემდნენ სხვა რწმენის, სარწმუნოების ხალხს... ბატონი გურამ შარაძე სწორედ ამ საქმიანობით, ანტიქართული საქმიანობით მიმართულია დღევანდელი საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ, დისკრედიტაციას ახდენს და ხელს უწყობს საერთაშორისო იზოლაციას.“

ლევან რამიშვილმა პროცესზე გამოთქვა სერიოზული ეჭვი გურამ შარაძის პატიოსნებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, გურამ შარაძემ პირდაპირი ეთერით თავი აარიდა პასუხს მის კითხვაზე – თუ როგორ ახერხებდა „კაგებეს“ ნებართვის გარეშე საბჭოთა პერიოდში, როდესაც უცხოეთში ბუზიც კი ვერ გაფრინდებოდა, საზღვარგარეთ გასვლას და იქ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებთან სისტემატურ შეხვედრას.

პალატის აზრით, ყოველივე სხვა არაფერია, თუ არა საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობის ლევან რამიშვილისეული შეფასება, აგრეთვე პირის პოლემიკაში გამონევა. ლევან რამიშვილს არსად პირდაპირ არ დაუდანაშაულებია გურამ შარაძე. შექმნილი მდგომარეობის გამო, მას გააჩნდა ვარაუდის საფუძველი. მოპასუხის გამონათქვამები სხვა არაფერია, თუ არა ფაქტების შეფასება.

ცილისნამების დროს დანაშაულის დაბრალების ფაქტის გავრცელებაზე საუბრისას მთავარია ორი მომენტი:

ა) დანაშაულის ჩადენაში დაბრალების ფაქტის გავრცელება შეგნებულად ცრუ ხასიათს უნდა ატარებდეს, ესე იგი თავიდანვე არ უნდა შეესატყვისებოდეს სინამდვილეს;

ბ) უნდა ბლაღავდეს სხვა პირის პატივსა და ღირსებას, ესე იგი უნდა აკინებდეს სხვა პირის რეპუტაციას.

პირველი მომენტი სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე გამოიკვია, მეორე მომენტთან დაკავშირებით კი განაცხადა: პიროვნების პატივისა და ღირსების დამცირებად არ შეიძლება ჩაითვალოს სახელის გამტეხი ნამდვილი ინფორმაციის გავრცელება. ნამდვილია თუ არა ინფორმაცია, ეს აზრის გამოხატვის საშუალებით დგინდება, რაც პირთა კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. თავის მხრივ, საზოგადოებას შეუძლია, შეაფასოს მისთვის მიწოდებული ინფორმაცია და თვითონ გამოიტანოს დასკვნები.

პალატამ მოიშველია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 და საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლები, რომლებითაც დაცულია გამოხატვის თავისუფლება.

გურამ შარაძის აზრით, კონსტიტუციური ნორმით გარანტირებულია ამა თუ იმ უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა სხვათა უფლებების შელახვის მიზნით. ლევან რამიშვილმა კი, აპელანტის შეფასებით, ბოროტად გამოიყენა სიტყვის თავისუფლება სხვისი უფლებების დასარღვევად.

პალატამ გაიზიარა კონსტიტუციის ნორმის შარაძისეული განმარტება, მაგრამ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ ლევან რამიშვილმა ბოროტად გამოიყენა სიტყვის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, წარმოადგენს საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან პირობას. იგი გამოიყენება არა მხოლოდ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, არამედ მათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხყოფენ, შოკში აგდებენ და ანუხებენ სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე ფენას. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონებაგახსნილობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.

მართალია, მოპასუხე სასამართლო განხილვაში მონაწილეობდა როგორც ფიზიკური პირი, მაგრამ სასამართლო ხაზს უსვამს ამ უფლებით სარგებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლევან რამიშვილის, როგორც თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორის მხრიდან. სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობა ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციის დანიშნულებას და როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში და თვლის, რომ ლევან რამიშვილი ფაქტობრივად გამოხატავს ამ არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიციასაც, როდესაც მიმართავს აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

დასაშვები კრიტიკის ფარგლები ხელისუფლების წარმომადგენლის – დეპუტატის მიმართ გაცილებით ფართო უნდა იყოს, ვიდრე რიგითი ადამიანის მიმართ,

თუ ინფორმაცია შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს და არა პირად ცხოვრებას. რიგითი ადამიანისაგან განსხვავებით, პოლიტიკური მოღვაწე შეგნებულად, თავად აყენებს თავის თითოეულ სიტყვასა და საქმეს მთელი საზოგადოების სამსჯავროზე და ამდენად, მან უფრო მეტად უნდა გამოიჩინოს შემწყნარებლობა. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს მისი რეპუტაცია მაშინაც კი, როდესაც იგი მოქმედებს როგორც კერძო პირი. თუმცა ამგვარ შემთხვევებში დაცვის მოთხოვნების განონანსნორება უნდა მოხდეს პოლიტიკურ საკითხებზე ღია დისკუსიების ინტერესებიდან გამომდინარე, თუნდაც ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ეთნიკური და რელიგიური, ასევე უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობის საკითხები.

იმის გამო, რომ დღემდე არ არის მიღებული ლუსტრაციის კანონი, პირთა უფლებების დაცვის სფეროში სრული გარანტია არ არსებობს. ამ მიმართებით საქართველოს კანონმდებლობა მოუნესრიგებელია, რის გამოც საზოგადოებისათვის გაურკვეველი და ბუნდოვანია ამა თუ იმ თანამდებობის პირის, საზოგადო მოღვაწის, ხელისუფლების წარმომადგენლის წარსული ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. ასეთ პირობებში, სასამართლოს აზრით, ფაქტობრივად შეუძლებელია პირის მიერ გამოთქმული შეხედულებების სიმართლის დამტკიცება. აქედან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ სხვათა რეპუტაციის დასაცავად, ლევან რამიშვილის აზრის გამოხატვის თავისუფლად სარგებლობაში ჩარევა არ არის აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. სასამართლომ მიუთითა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე კსტელსი ესპანეთის წინააღმდეგ და ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ლავრენტი ნაჭყებია კლარა აბრამიას წინააღმდეგ.

რაც შეეხება სსკ-ს 373-ე მუხლით გათვალისწინებულ ცრუ დასმენას, პალატამ განმარტა, რომ ეს მუხლი საჯარო ბრალდებას შეეხება და თუ მხარე თვლის, რომ ლევან რამიშვილმა მის მიმართ განახორციელა ცრუ დასმენა, ამის თაობაზე სათანადო ორგანოებისთვის უნდა მიემართა. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ დაზარალებული გურამ შარაძე პირველი ინსტანციის სასამართლოს ცრუ დასმენის შესახებ ხელწერილის ჩამორთმევით არ გაუფრთხილებია.

პალატამ აპელანტის ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებაზე, რომ 2000 წლის 1 ივნისიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, შეურაცხყოფა არ არის სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება და რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით.

საოლქო სასამართლოს აზრით, კერძო ბრალდების წესით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი არ არსებობს.

გადანყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ისაევი, ი. ბიბილაშვილი, დ. სულაქველიძე) განუხილველი დატოვა გურამ შარაძის საკასაციო საჩივარი.

მოტივაცია: სსსკ-ს 631-ე მუხლის თანახმად, თუ არ არსებობს გარემოება, რომელიც გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, ან თუ არ დადგინდა საფუძველი კერძო ბრალდების საქმის აღსაძრავად, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რაც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

კერძო ბრალდების საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე თავი არ ითვალისწინებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ წარმოადგენს საკასაციო გასაჩივრების საგანს.

16 მაისი

თ. გ.-ი ლ. და ნ. ა.-ების წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 11 ოქტომბერს თ. გ.-მ სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს ლ. და ნ. ა.-ების წინააღმდეგ.

თ. გ.-ს ცნობით, 2002 წლის 2 სექტემბერს მასთან მივიდა მ. ე., რომელმაც შეატყობინა, რომ ა.-ების ოჯახი ავრცელებდა ჭორს, თითქოს თ. გ. ეწეოდა ამორალურ ცხოვრებას და ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ გ. ი.-სთან. ხსენებული არასწორი ინფორმაციის გავრცელება მოსარჩლემ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია და მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისათვის 2 500 ლარის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, თ. გ.-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს მოსარჩლის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 1500 ლარის გადახდა.

ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. და ნ. ა.-ებმა, რომელთაც მოითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და თ. გ.-ს სარჩელზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები არ გამოარკვია.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 5 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რადგანაც, სასამართლოს აზრით, აპელანტებმა ვერ დაამტკიცეს ის გარემოება, რომ თ. გ.-ს პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვა მათი მხრიდან ბრალეულად არ მომხდარა.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. და ნ. ა.-ებმა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმო და გავრცელების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, მ. ნიქვაძე, რ. ნადირიანი) გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 5 დეკემბრის განჩინება მოპასუხისათვის 1 500 ლარის დაკისრების ნაწილში. მოპასუხეებს მოსარჩლის სასარგებლოდ სოლიდარულად ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

მოტივაცია: სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ კასატორები და მოწინააღმდეგე მხარე არიან მეზობლები. მათ შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ნ. ა.-მ შუშის დაყრა აუკრძალა მათსავე მეზობელს, გ. ი.-ს იმ ადგილზე, რომელსაც ეს უკანასკნელი თავის საკუთრებად მიიჩნევდა. გ. ი.-ს გამოუქომბა მისი მეგობარი თ. გ., რის გამოც ნ. ა.-მ ე. ი.-სთან თ. გ.-ს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გაავრცელა, რაც გამოიხატა შემდეგ გამონათქვამში: „ა.-ებმა თქვეს: – თ. გ.-ი გ. ი.-ს ყვარობს.“ ხსენებული გამონათქვამი მხარეებს შორის დავის საფუძველი გახდა.

საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება ა.-ების მიერ თ. გ.-ს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი.

სასამართლოს აზრით, კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, ვერ მიუთითა საქმის მასალებზე, საქმეზე არსებულ იმ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზეც შეიძლებოდა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საპირისპირო გარემოებებზე მითითება.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირს შეუძლია, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების ბრალეულად გავრცელების შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, რომ მას არ მოუთხოვია გავრცელებული ცნობების უარყოფა.

პალატამ არ გაიზიარა კასატორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ თ. გ.-ს სულიერი ტანჯვის გამო, შესაბამისი დანესებულებისათვის უნდა მიემართა. აუცილებელი არ არის, ადამიანის ტანჯვა გამოიხატოს განსაკუთრებული ფორმით. თავისთავად პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება ადამიანისათვის მორალური ტანჯვის მიყენებასაც გულისხმობს. ცნობა

არ ჩაითვლება პატივისა და ღირსების შემლახველად, თუ ის არ ანუხებს ადამიანს, არ უქმნის პრობლემებს მას საზოგადოებასთან ურთიერთობებში და არ ინვესტ მძიმე სულიერ განცდებს.

თუ პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა ხორციელდება ვინმეს ბრალეული მოქმედებით, ფიზიკურ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.

მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. დამდგარი შედეგების გამოსწორება ძალიან ხშირად შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მოსარჩლის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად.

მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, მაგრამ პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შეიძლება, გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის უზომოდ გაზრდა.

კომპენსაციის ოდენობა უსაშველოდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოსწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა, რის გამოც კომპენსაციის განსაზღვრისას უნდა მოხდეს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება.

საკასაციო პალატის აზრით, მოსარჩლის პიროვნული უფლებების ხელყოფა მეტად სერიოზულია, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსარჩლის მოთხოვნა გონივრული არ არის. ამიტომაც პალატამ შეამცირა კომპენსაციის თანხა.

„აზოტის“ გენერალური დირექტორი გიორგი გოგოლაძე მურმან არჯევანიძის წინააღმდეგ

სარჩელი: სს „აზოტის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მურმან არჯევანიძის წინააღმდეგ და საფუძვლად ამ უკანასკნელის მიერ გაზეთ „რუსთავში“, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გამოქვეყნებული წერილი მიუთითა.

გიორგი გოგოლაძის აზრით, ხსენებული წერილი მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას, ცილისმწამებლურია და შეიცავს სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტებს, სახელდობრ:

1. თითქოს „საქენეროგოს“ მიმართ დავალიანება მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გაიზარდა, როდესაც ელექტროენერჯის მიწოდებულთან ანგარიშსწორება, მოსარჩლის მითითებით, ეკისრებოდა არა „სს „აზოტს“, არამედ „ალსოტრანს ინტერნეიშენელს“;

2. საგაზეთო წერილის ავტორმა არ მიუთითა ის, რომ მათ მიერ აღძრული სარჩელის შედეგად ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს სს „აზოტის“ სასარგებლოდ 4770251 ლარის გადახდა დაეკისრა.

3. თითქოს კაპროლაქტამის წარმოების დაწყებას აფერხებდა მოსარჩლე.

4. თითქოს გიორგი გოგოლაძემ უმართებულოდ შეამცირა ამონიუმის გვარჯილის გადამუშავების ღირებულება.

5. თითქოს მოსარჩლე დამნაშავეა იმაში, რომ არ ხდება ამონიუმის გვარჯილის რეალიზაცია.

6. რომ გიორგი გოგოლაძე გროშებად ყიდის ძვირფასი ლითონების შემცველ ჯართადქცეულ მონყობილობა-დანადგარებს.

7. თითქოს ჩოგბურთის კორტები და სპორტკომპლექსი იმიტომ რემონტდება, რომ მოსარჩლემ საკუთარ სახელზე მოახდინოს მათი პრივატიზება.

გავრცელებული ცნობები გიორგი გოგოლაძემ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია და მოპასუხისაგან მოითხოვა როგორც გავრცელებული ცნობების იმავე გაზეთის მეშვეობით უარყოფა, ასევე უარყოფის შესახებ წერილის ადრესატების ინფორმირება. მანვე მოითხოვა საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის სახით მოპასუხისათვის 10 ათასი აშშ დოლარის შესაბამისი თანხის დაკისრება ეროვნულ ვალუტაში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, გიორგი გოგოლაძეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლობის გამო. 25 მარტის გადაწყვეტილებით კი, პირველი ინსტანციის

სასამართლომ ძალაში დატოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგში მოსარჩლემ აპელაციის წესით გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარ-მეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – თ. მუხრანელი, თ. კელანავა, ც. დევრისაშვილი) განუხილველი დატოვა საჩივარი.

მოტივაცია: აპელანტმა სასამართლოს არ წარუდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი საოლქო სასამართლოს განჩინებით დადგენილ ვადაში, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

3 ივნისი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ალიას“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 3 ივნისს მომხმარებელთა უფლებების ასოციაციამ გა-ზეთ „ალიას“ რედაქციის წინააღმდეგ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართ-ლოს მიმართა და მიუთითა 1996-1998 წლებში გამოქვეყნებულ იმ პუბლიკაცი-ებზე, რომლებიც ლახავენ ასოციაციის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტა-ციას. სახელდობრ:

„მომხმარებელთა კავშირი-გამომძალველთა ჯგუფი“; „აურზაური შემოწმე-ბის გამო“; „რა შხამს შეიცავს კოკა-კოლა“; „ღმერთო დაგვიცავი მომხმარე-ბელთა უფლებების დამცველთაგან“; „მეწარმეები კონტრიერიშს იწყებენ“.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩლემ დააზუსტა სასარჩელო მოთ-ხოვნა და გაზეთისაგან მოითხოვა სტატიის – „აურზაური შემოწმების გამო“ – სარედაქციო მინანერის უარყოფა. კერძოდ, სტატიაში აღნიშნულია:

„ასეთ შემთხვევაში ალბათ სასურველია სავაჭრო ობიექტის ხელმძღვანე-ლები უკეთესად ერკვეოდნენ, ვის აქვს მათი შემოწმების უფლება. იურისტებთან კონსულტაციით „ალია“-მ გაარკვია, რომ სულაც არ არის სავალდებულო ზ/ აღნიშნულ ორგანიზაციას ყველაფერში ცხვირი ჩააყოფინოთ. ის კი არა თავის მხრივ მერიის მიერ მსგავსი ხელშეკრულებების დადების იურიდიული სისწორეც სათუთია ისე, რომ თავად სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელებსაც არ უნდა ეზარებოდეთ იურიდიული ნორმების დადგენა, რათა უფლებამოსილების გარეშე მოქმედ ორგანიზაციებთან ყველა საკითხი უმტკივნეულოდ და ზედმეტი ნერ-ვიულობის გარეშე მოაგვარონ.“

მოსარჩლის განცხადებით, პუბლიკაციას „რა შხამს შეიცავს კოკა-კოლა“ ერთის ასოციაციის პრეზიდენტის სურათი, რომელიც ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშეა გამოქვეყნებული.

სტატია „მომხმარებელთა კავშირი-გამომძალეველთა ჯგუფი“ კი ასახავდა 1996 წლის 23 იანვარს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე ლუდის ქარხნის დირექტორის, გოგი თოფაძის გამოსვლას, რომელმაც მომხმარებელთა კავშირს გამომძალეველთა ჯგუფი უწოდა და აღნიშნა, რომ ამ ჯგუფს არავითარი სარგებელი არ მოჰქონდა, ის მხოლოდ ქრთამების აღებით იყო დაკავებული, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მენარმებს.

მოსარჩლის განცხადებით, აღნიშნული პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდეგ ასოციაციას მიადგა როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი, რისთვისაც მან მოპასუხისათვის 100 ათასი ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩლემ ერთხელ უკვე მიმართა ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც 1998 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, დაავალა გაზეთ „ალიას“ სტატიის – „ღმერთო დავიციავი მომხმარებელთა უფლებების დამცველთაგან“ – უარყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნება.

პუბლიკაცია „მეწარმეები კონტრიერიშს იწყებენ“ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, 1997 წლის 17 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ასოციაციის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად ცნო და გაზეთ „ალიას“, მორალური ზიანის სახით, მოსარჩლისათვის 2 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. იმავე პროცესზე ასოციაციამ მოხსნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მოპასუხის წარმომადგენლების ლ. ალაფიშვილისა და თ. გოგსაძის აზრით, სასამართლოს აღნიშნულ მოთხოვნაზე არ უნდა ემსჯელა. მოცემული დავა კი სასამართლოს უნდა განეხილა ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების, კერძოდ მე-7 მუხლის შესაბამისად, რომელიც მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას არ იცნობს. მოპასუხის განმარტებით, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი ხანდაზმული იყო.

„ალიას“ წარმომადგენელთა აზრით, სტატიები – „აურზაური შემოწმების გამო“ და „რა შხამს შეიცავს კოკა-კოლა“ არ ლახავს მოსარჩლის პატივსა და ღირსებას. რაც შეეხება ასოციაციის პრეზიდენტის ფოტოსურათს, ის გადაღებული იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც ასოციაციის პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა. მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლობის თანახმად, ფოტოსურათის გამოქვეყნებაზე თანხმობა საჭირო არ არის.

მოპასუხის მტკიცებით, სტატიაში – „მომხმარებელთა კავშირი-გამომძალველთა ჯგუფი“ მოსარჩლე არ იგულისხმება, რადგან საქართველოში არაერთი მომხმარებელთა კავშირი ფუნქციონირებს. შეფასება „გამომძალველთა კავშირი“ კი ეკუთვნის გოგი თოფაძეს და არა „ალიას“ რედაქციას. მოპასუხემ მიუთითა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 28-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „რედაქტორს, ასევე უზრუნველს, არ ეკისრება პასუხისმგებლობა არასწორი ცნობების გავრცელებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი სიტყვასიტყვით იმეორებენ სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს“.

გადანყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ნ. ზვიადაძე) არ დააკმაყოფილა სარჩელი.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, სტატიები „აურზაური შემოწმების გამო“ და „რა შხამს შეიცავს კოკა-კოლა“ არ ლახავს მოსარჩლის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლით, რომელიც მოქალაქის და ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას იცავდა, პირს არ შეეძლო, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვასთან ერთად მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. სადავო სტატიები კი გამოქვეყნებულია იმ პერიოდში, როდესაც არ მოქმედებდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი პირს აძლევს უფლებას, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან ერთად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მათ შორის არაქონებრივი (მორალური) ზიანისაც, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით. ვინაიდან გაზეთ „ალიას“ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებით არ შელახულა მოსარჩლის პირადი არაქონებრივი უფლებები, ამდენად ამ უკანასკნელს არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია, რადგანაც სახეზე არ არის მოპასუხის ბრალეული მოქმედება.

ფოტოსურათთან დაკავშირებულ ეპიზოდზე სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, პირის თანხმობა მისი ფოტოსურათის პრესაში გამოქვეყნებაზე საჭირო არ არის, როდესაც ფოტო გადაღებულია საზოგადო ვითარებაში.

აპელაცია: რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება აპელაციის ნუსით გაასაჩივრა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციამ. თბილისის საოლქო სასამართლომ უცვლელი დატოვა ქვემდგომი ინსტანციის გადანყვეტილება.

კასაცია: უზენაესმა სასამართლომ განუხილველი დატოვა ასოციაციის პრეზიდენტის ა. მამულაშვილის საკასაციო საჩივარი, რომელიც საოლქო სასამართლოს განჩინების გაუქმებას ითხოვდა. მოსარჩლემ შეამცირა დავის საგნის ღირებულება 1000 ლარამდე.

პალატის განმარტებით, სსკ-ს 391-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება.

30 ივნისი

ზაურ სამხარაძე შრომისა და სოციალური დაცვის იმერეთის რეგიონის დეპარტამენტის დირექტორის გიორგი კუხიანიძისა და „ალიას“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 19 მარტს ზაურ სამხარაძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შრომისა და სოციალური დაცვის იმერეთის რეგიონის დეპარტამენტის დირექტორის გიორგი კუხიანიძის წინააღმდეგ.

მოსარჩლის განცხადებით, ის არის პირველი ჯგუფის ინვალიდი. წლების განმავლობაში იმერეთის რაიონის ჩინოვნიკები ლახავენ მის უფლებებსა და ღირსებას, რის გამოც ის განიცდის მორალურ ზიანს. მოსარჩლემ მიუთითა 2000 წლის 6 ნოემბერს გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე, სათაურით „მე ვარ სახელმწიფო კმაყოფაზე, თუ სახელმწიფოა ჩემს კმაყოფაზე“. ზაურ სამხარაძის მტკიცებით, გიორგი კუხიანიძემ სახელი გაუტეხა და ცილი დასწამა მას სამოსნავლო ხელყუმბარის ტარებაში.

მოსარჩლემ მოითხოვა გიორგი კუხიანიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მორალური ზიანის სახით მისთვის 10 ათასი ლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ „ალიას“ კორესპონდენტი-სათვის მიცემული ინტერვიუ არასწორად იყო ფორმულირებული, მას არ გაუვრცელებია მოსარჩლის პატივის ან ღირსების შემლახველი ინფორმაცია, ხელყუმბარის საკითხთან დაკავშირებით კი ჟურნალისტთან საუბარი საერთოდ არ ჰქონია. გიორგი კუხიანიძემ მოითხოვა საქმეში მოპასუხედ გაზეთ „ალიას“ ჩართვა.

ზაურ სამხარაძემ საქმის გაჭიანურების გამო განმეორებით მიმართა სასამართლოს და მორალური ზიანის სახით ამჯერად 50 ათასი აშშ დოლარი მოითხოვა.

2001 წლის 19 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და გიორგი კუხიანიძეს 50 ათასი აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 21 თებერვლის განჩინებით,

გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზაურ სამხარაძემ, რომელმაც მოითხოვა 5 ათასი აშშ დოლარის დაკისრება როგორც გიორგი კუხიანიძისათვის, ასევე გაზეთ „ალიას“ რედაქციისა და ჟურნალისტ ბ. გულორდავასათვის. მოსარჩლემ დააზუსტა, თუ კონკრეტულად რომელი ცნობები მიიჩნია პატივისა და ღირსების შემლახველად. რესპონდენტი ინტერვიუში აღნიშნავდა: „შემდეგ ნევროლოგიის ინსტიტუტს დავუთავებინდი, იქაც წავიყვანეთ გამოკვლევებზე, გზაში „ლიმონკა“ და ორი „პოლიტრა“ ჰქონდა, წამოიღო და დაიწყო, თავს ავიფეთქებ მე უბედური და თქვენც აგაფეთქებთო. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს „ლიმონკა“ სასწავლო ყოფილა, მაგრამ ექთანმა და მძღოლმა ამის შესახებ არ იცოდნენ. ასე გრიალ-გრიალით და „ლიმონკით“ ხელში ჩავიყვანეთ თბილისში“.

სარჩელი არც ქუთაისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა, რის გამოც ზაურ სამხარაძემ ის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და აკოტრების საქმეთა პალატა (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი) საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო მასალებს და არ დააკმაყოფილა საჩივარი.

მოტივაცია: მართალია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს აქვს უფლება, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესები გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოყენებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, მაგრამ უარყოფის მოთხოვნის უფლება პირის უფლებაა და არა სასამართლოს მოვალეობა. უარყოფის თაობაზე პირს უნდა გააჩნდეს სათანადო სასარჩელო მოთხოვნა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას კი სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ვინაიდან ცნობებისა და ფაქტების უარყოფის დაკისრება პირის ინტერესების დასაცავ ღირებულებას განეკუთვნება, მისი მოთხოვნის უფლება გააჩნია იმ პირს, ვისი ინტერესებიც შეილახა ცნობების ან ფაქტების გავრცელებით. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩლეს თავისი სარჩელით არ მოუთხოვია საგაზეთო სტატი-

ამი გამოქვეყნებული ცნობებისა და ფაქტების უარყოფა, რასაც სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ მოახდენდა. სასამართლოს მხრიდან საპირისპირო მოქმედების განხორციელება დაარღვევდა საყოველთაოდ აღიარებულ დისპოზიურობისა და შეფხიბებითობის პრინციპს, ამასთან რაიონული და სააპელაციო სასამართლო ვერ გასცდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებს.

მართალია, კასატორმა მოითხოვა პუბლიკაციაში მითითებული ცნობებისა და ფაქტების უარყოფა, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების შესახებ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში, ხოლო ამავე კოდექსის 406-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადადება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.

პალატის აზრით, პუბლიკაციაში მითითებული გარემოებები ორი „პოლიტიკისა“ და ხელყუმბარის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველად, თუნდაც ეს ფაქტი არ შეეფერებოდეს სინამდვილეს. მოსარჩლემ არც თავად უარყო, რომ ტკივილების გამო იგი ხშირად სვამდა არაყს, ხოლო პუბლიკაციაში ნახსენები ხელყუმბარა სამოსნავლო აღმოჩნდა და არ ნარმოადგენდა სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოქმედების დაბრალებას. აქედან გამომდინარე, პალატამ მცდარად მიიჩნია კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს მოპასუხემ მას სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოქმედების ჩადენა დააბრალა.

ხსენებული ცნობების გავრცელება არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩლის პატივისა და ღირსების ხელყოფის, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი, რადგან ისინი არ შეიცავენ მტკიცებებს კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის შესახებ. იმის გამო, რომ არ არსებობს არაქონებრივი ზიანი, პალატის აზრით, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც უსაფუძვლოა.

ონისე უგრეხელიძე „P.S.“-ისა და თინათინ დვალისძევილის წინააღმდეგ

სარჩელი: ონისე უგრეხელიძემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაზეთ „P.S.“-ისა და ჟურნალისტ თინათინ დვალისძევილის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა „P.S.“-ში გამოქვეყნებული თინათინ დვალისძევილის სტატია, სათაურით „ქუთაისში რაიმე რომ გააკეთო, მინიმუმ ქალაქის მერის უფლებებით უნდა სარგებლობდე“.

ონისე უგრეხელიძემ ჩათვალა, რომ აღნიშნული პუბლიკაციით უხეშად შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მან მოითხოვა, მოპასუხეებს დაემტკიცებინათ ფაქტი იმის შესახებ, რომ ერთ-ერთმა ჩინოსანმა ნამდვილად აღიარა, თითქოს ნავთობის ბიზნესში ჩაბმულ პირთა შორის მან ონისე უგრეხელიძის იდენტიფიცირება შესძლო. ამასთანავე, მოსარჩლის აზრით, ფრაზით – „რითაც ქალაქში მოარული ხმები კიდევ ერთხელ დაამტკიცა“ თავად ჟურნალისტი დაეთანხმა ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველ ჩინოვნიკს და დაადასტურა, რომ ონისე უგრეხელიძე „მინიმუმ ქალაქის მერის უფლებებით სარგებლობს“ და „ნავთობის ბიზნესში ქალაქის ვიცე-მერის დონეზე არის ჩაბმული.“ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტის მტკიცება მოსარჩლემ თინათინ დვალისძევილისგანაც მოითხოვა, რადგანაც ჟურნალისტმა სადავო პუბლიკაციაში საკუთარი აზრიც გამოთქვა.

ონისე უგრეხელიძემ მოპასუხეებისაგან გავრცელებული ცნობების უარყოფა მოითხოვა.

მოპასუხე მხარემ კი სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ კრიტიკა ეხებოდა საჯარო მოხელის საქმიანობას. რაც შეეხება სადავო ფრაზას – „სამაგიეროდ ამ პიროვნებაში ონისე უგრეხელიძის იდენტიფიკაცია შეძლო ერთ-ერთმა ჩინოსანმა“ – მოპასუხის განმარტებით, ის ეკუთვნის არა ჟურნალისტს, არამედ მის რესპონდენტს, რომელმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, ჟურნალისტი მოვალეა, დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა, მათი ავტორობის არგამხელის შესახებ. ფრაზა – „რითაც ქალაქში მოარული ხმები კიდევ ერთხელ დაამტკიცა“ – კი წარმოადგენს ჟურნალისტის მიერ გაკეთებულ შეფასებას, რაც ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

მოპასუხემ აღნიშნა, რომ მასალა მომზადდა ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით: ჟურნალისტმა გადაამოწმა მოპოვებული ინფორმაცია სხვა წყაროებთან

(დ.კ.-ს და მ.მ.-ს ინტერვიუ, მათი წერილები), კომენტარისათვის მიმართა თავად ონისე უგრეხელიძესაც, თუმცა ამ უკანასკნელმა თავი აარიდა კომენტარის გაკეთებას. ამასთანავე, სადავო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთში ორჯერ დაიბეჭდა მოსარჩლის კომენტარები, სადაც მან უარყო ნავთობის ბიზნესში მისი მონაწილეობა.

მოპასუხის განმარტებით, სტატია არ შეიცავდა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ონისე უგრეხელიძე ბენზოგასამართ სადგურს ლობიერებდა, უურნალისტმა მხოლოდ მთარული ხმები და რესპონდენტთა ინტერვიუები გააშუქა.

გადანყვეტილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე – ზ. ყვა-ვაძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და დაავალა გაზეთ „P.S.“-ს რესპონდენტების – მ. მებურიშვილისა და დ. კოსტავას მიერ ონისე უგრეხელიძესთან დაკავშირებით გაერცვლებული ინფორმაციის უარყოფა.

მოტივაცია: მოწმეებმა მ. მებურიშვილმა და დ. კოსტავამ განაცხადეს, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სწორედ ონისე უგრეხელიძე უშლიდა ხელს მათი პროექტის განხორციელებას, თუმცა მოგვიანებით მიხვდნენ, რომ ცდებოდნენ და ბოდიშიც კი მოუხადეს მას.

სასამართლოს აზრით, ასეთ ვითარებაში არ შეიძლება დადგეს უურნალისტის ან რედაქციის პასუხისმგებლობის საკითხი. გაზეთმა ობიექტური პოზიციიდან გამომდინარე უნდა გააშუქოს მსგავსი ფაქტიც და გამოაქვეყნოს შესაბამისი სტატია, სადაც აისახება რესპონდენტების მიერ მათი ადრეული შეხედულების უარყოფა და პროკურატურის დადგენილების შინაარსიც.

აპელაცია: საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა ონისე უგრეხელიძემ.

მორიგება: სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებმა დააყენეს ერთობლივი შუამდგომლობა მორიგების საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ონისე უგრეხელიძის წარმომადგენელმა მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება. ამავე დროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაითვალა აღსრულებულად, რადგან მ. მებურიშვილისა და დ. კოსტავას მიერ ო. უგრეხელიძის შესახებ გაერცვლებული ცნობების უარყოფა იმ დროისათვის გაზეთს გამოქვეყნებული ჰქონდა.

21 ივლისი

პაატა შავაძე ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: პაატა შავაძემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გაზეთ „აჭარა P.S.“-ისა და მისი მთავარი რედაქტორის ტარიელ ქათამაძის წინააღმდეგ და სარჩელის საფუძვლად მიუთითა „აჭარა P.S.“-ში (2002 წლის 1-8 ნოემბერი) გამოქვეყნებული სტატია „პაატა შავაძე სამართლის ინსტიტუტში უზნეობასა და უმეცრებას ამკვიდრებს“.

მოსარჩლემ მიუთითა იმ ცნობებზე, რომლებიც, მისი აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს, ლახავს მის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, ხელყოფს მის პირად ცხოვრებას. სახელდობრ:

1. „სამწუხარო ფაქტია, მაგრამ არც დამალვა შეიძლება იმისა, რომ ბათუმში არსებულ სამართლის ინსტიტუტს ჭკუამხიარული და ჩიტირეკია რექტორი ჰყავს, რომელსაც ჟურნალისტი ინფორმაციას სთხოვს და ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესდეს ჟურნალისტის ცნობისმოყვარეობის გამო, შეურაცხყოფას აყენებს, „აქაოდა როგორ გაბედე ჩემთან დაკავშირება“.

2. „...ალბათ ყველას აინტერესებს და უკვირს, როგორ გახდა რამდენიმე წლის წინ თავად სტუდენტი პაატა შავაძე ინსტიტუტის რექტორი, შემდეგ კი სპეციალობით გეოგრაფმა როგორ მოახერხა დისერტაცია დაეცვა იურისპრუდენციაში და გამხდარიყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი? რა ხდება, მართლა ჩალითაა ეს ქვეყანა დახურული თუ იმ ჯოჯობხეთში ვცხოვრობთ, რომელსაც ფული ანათებს?“

3. „ინსტიტუტის რექტორს ბევრი სხვა უკანონო ქმედების ჩადენის უფლებაც არა აქვს, მაგრამ პაატა შავაძის პროვოკაციული და შანტაჟისტური გამოხტომის გამო, მისი დასჯისაგან ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებსაც შეუკავებიათ თავი და უპატიებიათ: იარალის უკანონო ტარება, მასწავლებლის შეურაცხყოფა, სტუდენტების დამცირება... და უპატიებიათ მხოლოდ იმის გამო, რომ ახალგაზრდა ლექტორი იქნებ დაღვინდეს, დაკაცდეს და ჭკუა ისწავლოს, მაგრამ შავაძეს ამბიციები კიდევ უფრო მოეძალა – აღარც კანონს სცემს პატივს და აღარც საზოგადოებას“.

4. „ხელმძღვანელმა (ვაი და უი ასეთ ხელმძღვანელს) იმის ნაცვლად, რომ ყველასათვის სამაგალითო იყოს, ინსტიტუტის კედლებში ცოლ-შვილი საერთოდ დაივიწყა და ცხოველური ჟინის დასაკმაყოფილებლად სტუდენტებსა და ლექტორებს დაერია.“

5. „შავაძე, დროთა განმავლობაში თურმე იმდენად გათავხედდა, რომ გარ-

თობა და ორგინების გამართვა არც კი იკმარა და უკანონო შვილებიც კი მოაგლინა ამ ცოდვით სავსე ქვეყანას, თუმცა გვარის მიცემა ველარ გაბედა.“

6. „მაგრამ რექტორისაგან, იმისთანა გამოხტომების, შანტაჟისა და დორბლოთა ფრქვევის მომსწრე გავხდით, რომ უწონადობა გამოძიების ჩატარებას კი არა, მშვიდობიანად დავალწიეთ თავი ქაჯეთის ციხეს.“

7. „ვინც შავაძეს და მის ამბიციებს კარგად იცნობს, ისიც ეცოდინება სტუდენტებთან როგორ მარიაყოფს ქარაფშუტა რექტორი, როცა „ტელეფონების სასაფლაოზე“ შეკვეთით აჟღერებულ ყველაზე სოლიდურ აპარატს დასწვდება და „მიპატიუებას“ პასუხობს: „არა იბრაიმოვიჩი, ახლა არა მცალია, სადილზე ვერ მოვალ, მაგრამ ვახშამზე მოვიცლი და დაგაფასებო.“

8. „ყოველივეს გათვალისწინებით, ალბათ, უფლებაც არა გვაქვს საქმის კურსში არ ჩაგაყენოთ, ის აბიტურიენტები და მათი მშობლები, ვინც განათლების მიღებას აღნიშნულ სასწავლებელში გეგმავს: ეს უდიდესი რისკია თითოეულისათვის, რადგან იმის გარდა, რომ ვერაფერს ისწავლით, თქვენი რეპუტაციაც შეილახება და ვერსად მოიწონებთ თავს, რომ იმ ინსტიტუტის კურსდამთავრებული ხართ, რომლის რექტორიც პაატა შავაძეა.“

9. „პაატა შავაძეს ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ჰგონია, ეს ქვეყანა მთლიანად მისია, ვილაცამ აჩუქა... სამწუხაროა, რომ ინსტიტუტს ასეთი ხელმძღვანელი მართავს.“

მოსარჩლის აზრით, ტარიელ ქათამაძეს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა – მისი პიროვნების საზოგადოებრივი დისკრედიტაცია, პატივისა და ღირსების შელახვა, რის დასტურადაც პაატა შავაძემ კიდევ ერთ ამონარიდს მოუხმო სადავო პუბლიკაციიდან: „აჭარის პროკურატურაში ახლაც შეიძლება იმ განცხადების ნახვა, სადაც დონ უჟან რექტორს გაუპატიურებისთვის უჩიოდნენ“. პაატა შავაძის მითითებით, სტატიაში არ არის აღნიშნული, რომ ხსენებულ საჩივართან დაკავშირებით აჭარის ა/რ პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილება გამოიტანა, მომჩივანმა კი თავის ახსნა-განმარტებაში ბოდიშიც კი მოუხადა მას.

მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეებს იმავე გაზეთის მეშვეობით გამოექვეყნებინათ გავრცელებული ცნობების უარყოფა, მოეხადათ მისთვის ბოდიში და მორალური ზიანის სახით სოლიდარულად გადაეხადათ 2100 ლარი.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ გავრცელებულ ცნობებს შეფასებითი ხასიათი აქვს, წარმოადგენს ავტორისეულ მოსაზრებებს, შეფასებათა საფუძვლიანობის მტკიცებას კი კანონი არ მოითხოვს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პაატა შავაძის სარჩელი გავრცელებული ცნობების უარყოფისა და ბოდიშის მოხდის ნაწილში და ნაწი-

ლობრივ დააკმაყოფილა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში: 2100 ლარის ნაცვლად მოპასუხეს 600 ლარის გადახდა დაეკისრა.

ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

ტარიელ ქათამაძისა და „აჭარა P.S.“-ის რედაქციის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო ციტატები, რადგანაც ჟურნალისტს მტკიცებითი ფორმით არაფერი მიუთითებია, სტატიაში მოყვანილი ცნობები იყო სხვა პირთა ნაამბობი, რომელთა გადამონმება ჟურნალისტმა ვერ შეძლო მოსარჩლის მიზეზით. აპელანტის აზრით, ფრაზა – „ამ ზღვა კომპრომატების გადასამოწმებლად... ბუნებრივი სურვილი გავვიჩნდა გადაგვემოწმებინა თითოეული ფაქტი“ – ადასტურებს, რომ სტატია სხვა პირთა ნაამბობს ეყრდნობა, ხსენებული ცნობები არ არის გადამონმებული და არა აქვს უტყუარობის პრეტენზია. ამდენად, სტატიაში მოყვანილი ცნობების დადასტურების მიზნით, აპელანტმა მოითხოვა მონმეთა დაკითხვა. თუმცა სააპელაციო პალატამ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და მოტივად მიუთითა სსკ-ს 140-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, უარი თქვას მონმის დაკითხვაზე, ან არ გამოიძახოს იგი, თუ თელის, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც მონმეს იძახებენ, მნიშვნელობა არა აქვთ საქმის არსებით გადაწყვეტისათვის. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში უნდა გარკვეულიყო გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის საკითხი; აპელანტის განმარტებით კი, მონმეები დაადასტურებდნენ არა ამ ცნობების უტყუარობას, არამედ იმას, რომ მათ მიანოდეს ტარიელ ქათამაძეს კომპრომატები პაატა შავაძის შესახებ. ამ უკანასკნელს კი, პალატის აზრით, მნიშვნელობა არ ჰქონდა საქმის არსებითი გადაწყვეტისათვის.

გაზეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასამართლოს საერთოდ არ უმჯელია მორალური ზიანის ხარისხსა და ხასიათზე.

აპელანტმა შავაძემ კი მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

გადაწყვეტილება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – ე. კირჩხელი, რ. ბერიძე, თ. გორგოშაძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა როგორც ტარიელ ქათამაძის, ასევე პაატა შავაძის სააპელაციო საჩივრები.

შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I პუნქტი, სადაც პაატა შავაძის რეპუტაციის შემლახველი ცნობის ფორმულირება მოხდა შემდეგი სახით: „რომელსაც ჟურნალისტი ინფორმაციას სთხოვს და ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესდეს ჟურნალისტის ცნობისმოყვარეობის წადილის გამო,

მეურაცხყოფას აყენებს, აქაოდა – როგორ გაბედეთ ჩემთან დაკავშირებაო.”

სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხა შემდეგი ფრაზა:

„გამოთქმისათვის, რომ ბათუმში არსებული სამართლის ინსტიტუტს ჭკუამ-ხიარული და ჩიტირეკია რექტორი ჰყავს“ და გამოთქმისათვის „დორბლთა ფრქვევის მოწმენი გავხდით“ მოპასუხეებს დაევალოთ მოსარჩლისათვის ბო-დიშის მოხდა.

პაატა შავაძეს უარი ეთქვა მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის სახით 2100 ლარის დაკისრებაზე.

მოტივაცია: პალატამ დადგინილად მიიჩნია ის, რომ სინამდვილეს არ შეეფე-რებოდა გავით „აჭარა P.S.“-ის მიერ გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ სამართლის ინსტიტუტის რექტორი უკანონოდ ატარებდა იარაღს, იარაღით ემუქრებოდა და მეურაცხყოფდა მასწავლებლებს, რომ პაატა შავაძემ გააუპა-ტიურა თანამშრომელი და ჰყავს უკანონო შვილი, რომ სამართლის ინსტიტუტს უკანონოდ აქვს დაკავებული №11 სკოლის შენობა, რომ პაატა შავაძემ დაამან-ტაჟა ყურნალისტი.

ხსენებული ფაქტების უტყუარობის დასტურად პალატამ მიუთითა შემდეგ მტკიცებულებებზე: 2001 წლის 10 სექტემბრის №113 დადგინილება პაატა შავაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღდგრაზე უარის თქმის შესახებ; ქ. ბა-თუმის შს სამმართველოს პოლიციის 2002 წლის 10 დეკემბრის №241 წერილი სამართლის ინსტიტუტის სახელზე; 2001 წლის 28 დეკემბერს აჭარის ა/რ შსს-ს მიერ გაცემული №868 ნებართვა იარაღის შენახვაზე, ამავე სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი №117 ზედნადები იარაღის უკან დაბრუნების შესახებ.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართვე-ლოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, ყურნალისტს აქვს უფლება, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელი აცხადებს, რომ სტატიაში გავრცელებული ცნო-ბები სხვათა ნაამბობია, ზემოხსენებული კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტი კი ავალდებულებს ყურნალისტს, შეამონმოს მის მიერ მოპოვებული ცნობების უტ-ყუარობა. პალატამ ასევე მიუთითა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხ-ლზე, რომლის თანახმად, „პრესის უმთავრესი პრინციპია სიმართლე და საზოგა-დოების ობიექტური ინფორმირება.“ იმავე კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მი-ხედვით კი, ყურნალისტი ვალდებულია, შეამონმოს მიღებული ინფორმაციის უტ-ყუარობა.

პალატამ უსაფუძვლოდ და მეურაცხმყოფელად მიიჩნია პაატა შავაძის მიმართ სტატიაში გაკეთებული შეფასებები, რომლებიც დაუდასტურებელ ცნობებს

ეფუძნებოდა. სასამართლოს აზრით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და ავტონომიური რესპუბლიკის ამავე სახელწოდების კანონის მე-20 მუხლის თანახმად, მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ გავრცელებული ცნობების უარყოფა.

პალატამ არც აპელანტის ის პრეტენზია გაიზიარა, რომლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველად არ მიიჩნია შეფასება „ქარაფშუტა“, რადგანაც მასზე არ იმსჯელა. აპელანტის აზრით, „ჭკუამხიარულობა“ და „ჩიტირეკიობაც“ „ქარაფშუტას“ სინონიმებია, ამდენად, არც ისინი უნდა მიეჩნია სასამართლოს მისი პატივისა და ღირსების შემლახველად. სასამართლოს აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსარჩლემ მოითხოვა მის მიმართ გამოყენებული გამონათქვამების, მათ შორის „ქარაფშუტას“ უარყოფა. ის გარემოება, რომ სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილში არ უმსჯელია ამის თაობაზე, არ გამოდგება იმის დასტურად, რომ მოპასუხე ან სასამართლო „ქარაფშუტას“ პაატა შავაძის პატივისა და ღირსების შემლახველ, ყალბ ფაქტებზე დამყარებულ შეფასებად არ მიიჩნევს.

პალატამ გაიზიარა პაატა შავაძის ის მოსაზრება, რომლის თანახმად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1 პუნქტი უნდა შეიცავდეს სრულყოფილ ციტატას, რადგანაც ის შეიცავს ინფორმაციას, რომ მოსარჩლე უურნალისტებს აყენებს შეურაცხყოფას და დამამცირებლად მიიჩნევს მათთან კონტაქტს, რაც მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა.

უკანონო ბავშვის გაჩენის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით მოხდა პაატა შავაძის პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ გავრცელებული ინფორმაციით მორალური ზიანი მიადგა მოსარჩლეს, რადგანაც მცდარი ინფორმაციის შემცველი კორესპონდენციის მიწოდებით, თუნდაც იგი მომხდარიყო წინასწარი განზრახვის გარეშე, უხეში გაუფრთხილებლობით, ფაქტობრივი გარემოებების ზედპირული შესწავლით და უმართებულო შეფასებით, განსაკუთრებული უპატივემულობა გამოიხატა პაატა შავაძის პიროვნების მიმართ. ანუ პალატის აზრით, სახეზეა პირდაპირი კავშირი დამდგარ შედეგებსა და ქმედებებს შორის.

პალატა არ დაეთანხმა აპელანტ შავაძის მოთხოვნას მორალური ზიანის ნაწილში თანხის გაზრდის თაობაზე და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გონივრულად განსაზღვრა ზიანის ოდენობა.

პალატის აზრით, გადაწყვეტილებიდან უნდა ამოირიცხოს ის ნაწილი, რომელიც მოპასუხე მხარეს ბოდიშის მოხდას ავალდებულებს, რადგანაც არც სამოქალაქო კოდექსი და არც საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონები პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ ასეთს არ ითვალისწინებენ.

23 ივლისი

თამაზ ნადარეიშვილი ჯონდი ბალათურიას წინააღმდეგ

სარჩელი: თამაზ ნადარეიშვილმა სარჩელი აღძრა ჯონდი ბალათურიას წინააღმდეგ, რის საფუძველადაც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები დაასახელა. კერძოდ:

2002 წლის 25 ივლისს გაზეთ „ახალ თაობაში“ ბალათურიამ გაავრცელა შემდეგი ცნობები:

„2002 წ. 1 ივლისს სოფ. რუხში მოხდა კორუფციული გარიგება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელსა და აფხაზეთის ა/რ სტრუქტურებს შორის, სადაც აფხაზ სეპარატისტებს გასამრჯელოს სახით გადაეცათ 25 ათასი საბჭოური პასპორტი.“

აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას არ უნდა წასვლა დანგრეულ და გადამწვარ აფხაზეთში, როდესაც აქ ფილარმონიები აქვთ აშენებული, მილიონებს შოულობენ. ეს არის ბენზინის ბიზნესი, ნარკობიზნესი, იარაღის ბიზნესი, თხილის ბიზნესი, ჯართის ბიზნესი და ა. შ.“

მოსარჩლის აზრით, მოპასუხე ხელისუფლებაში გულისხმობდა თამაზ ნადარეიშვილს. ამ უკანასკნელმა „ახალი თაობის“ გარდა მიუთითა 2002 წ. 1 აგვისტოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ლამის კურიერში“ ბალათურიას მიერ გავრცელებულ განცხადებებზე:

„მე მოვეუსმინე ბატონ თ. ნადარეიშვილს და ბატონმა თ-მ ბევრი ტყუილები ილაპარაკა“;

„მილიონობით დოლარი მიედინება საქართველოს იურისდიქციის არქონაში აფხაზეთის ტერიტორიიდან ნადარეიშვილის და მისი თანამზრახველების ჯიბეებში“;

„დევნილების უბედურების ხარჯზე ნადარეიშვილი და მისნაირები გამდიდრდნენ. თქვენ შეიძლება ნახოთ, თუ როგორ სახლებს იშენებენ ისინი, თუნდაც ბაგებში“;

„რაში სჭირდება ნადარეიშვილს ამხელა სახლი, თუ ის აპირებს აფხაზეთში დაბრუნებას“;

„მშენებარე სახლს ვგულისხმობ და თუ ნადარეიშვილის ქონებაზე იქნება საჭირო, ამ ინფორმაციას ბოლოს გამოვაქვეყნებ“;

„თბილისში იმყოფება (ნადარეიშვილი), სადაც დაკავებულია ფულის კეთებით“;

„ნურავინ ნუ სპეკულიანტობს პარტიზანული მოძრაობით, რომელიც პრაქტიკულად შევარდნაძემ და ნადარეიშვილმა გაანადგურეს“;

„დამამტკიცებელი საბუთების გარეშე არ ვსაუბრობ“;

„ამ პროცესს ვაქცევ ნადარეიშვილის და მისი თანამზრახველების ლუსტრაციის პროცესად“;

„მას აქვს ფინანსური ინტერესი და ფუფუნებაში ცხოვრობს“;

„იქნება (ნადარეიშვილი) ლუსტრირებული, რომ მას აქვს ფინანსური ინტერესები“.

2002 წ. 3 აგვისტოს კი „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოსტ სკრიპტუმში“ მოპასუხემ გაავრცელა შემდეგი ცნობები:

„მე ვსაუბრობ არაკანონიერ შემოსავლებზე ანუ კორუფციაზე, რომელშიც ჩართულია თ. ნადარეიშვილი, მე ამაზე პასუხს ვაგებ“;

„მე ძალიან მალე პროკურატურას გადავცემ შესაბამის ფოტომასალებს“.

გავრცელებული ცნობები ნადარეიშვილმა მიიჩნია სიცრუედ, მისი პატივისცა და ღირსების შელახვად და მოითხოვა მათი იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა, ასევე მიყენებული მორალური ზიანის სახით მოპასუხისათვის 600 ათასი ლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში აღნიშნა, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები საზოგადოებაში უკვე 6-7 წელია მუსირებს და რომ გავრცელებული გამონათქვამები არის არა ცნობები, არამედ ცენტრალური და ა/რ ხელისუფლების მოღვაწეობის, ასევე ნადარეიშვილის, როგორც ამ ხელისუფლების ხელმძღვანელის მისეული შეფასება. ბალათურიას მტკიცებით, მისი კრიტიკული შეფასებები ეყრდნობა მის ხელთ არსებულ ინფორმაციებსა და ოფიციალურ დოკუმენტებს. შესაგებელში კი მოპასუხემ მოუხმო მედია საშუალებებში თავად მოპასუხის მიერ გაკეთებულ განცხადებებს:

2002 წ. 1 აგვისტოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში დასმულ შეკითხვაზე – „ბატონო თ., აღორძინების წევრები ამბობენ, რომ თქვენ გაქვთ ბევრი ფული,“ – ნადარეიშვილმა უპასუხა: „რაც შეეხება ასეთ ბრალდებებს, ეს პირველი არ არის, ეს მოდის უკვე 6-7 წელიწადია და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არაერთხელ შეგვაპოწმეს გენერალურმა პროკურატურამ და კონტროლის პალატამ, მაგრამ რამდენი შემოწმება არ იყო ჩემგან დაწყებული, აი ჩემზე მესმის ბევრი რამ, მე არაფერი არა მაქვს და არც მინდა მქონდეს. ყველაფერი

ეს არის გათვლილი ჩვენი დისკრედიტაციისათვის. აი, ესენი კარგად ცხოვრობენ, ესენი გასუქდნენ, ესენი ფულს იპარავენ და მთელი ამბავი. გამოდის ხალხი და აცხადებს, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება არ გვაძლევს შემწეობის თანხებს“.

2002 წ. 3 აგვისტოს იმავე ტელეკომპანიის ჟურნალისტის შეკითხვაზე – „ბატონო თ. იწყება ბრძოლა კომპრომატებით თქვენსა და აღორძინების დეპუტატებს შორის. ძალიან მალე შედეგება სასამართლო პროცესი“, – მოსარჩლემ უპასუხა: „ყველა ის, ვინც გამოდის ჩვენს წინააღმდეგ, პირადად ჩემს წინააღმდეგ, აღორძინების ბლოკის წევრია, სხვა არასდროს გამოხმაურებია ამ ამბავს. აქ, ამ ბლოკში, ყველაზე არ ვამბობ, წესიერი ხალხიც არიან, განსაკუთრებით რამდენიმე კაცია, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან, სხვათა შორის, დიდ საფასურზე. ყველაფერი ეს ფულით ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული. საუბრობენ სხვადასხვას, ნუ მარშრუტებში გაგებული ჭორი ან ქუჩაში, ვიღაც ბებიამ ბებიას რაღაცა უთხრა და ეს გააქვთ პრესკონფერენციაზე სალაპარაკოდ. ამიტომ, როდესაც მე ვისმენ რა ბრალდებებს გვიყენებენ ჩვენ ენგურის ხიდთან კონტრაბანდაზე... არსებობს სასამართლო, რომელიც მოითხოვს პასუხს ცილისწამებისათვის, რომლებმაც ასეთი განცხადება გააკეთა.“

2002 წ. 4 აგვისტოს გაზეთ „ქრონიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ იგი იმ სტრუქტურის ხელმძღვანელია, სადაც „ბევრი გასუქდა აფხაზეთის პრობლემების მივიწყების ნიადაგზე“. 2002 წ. 8-14 ოქტომბერს გაზეთ „ეკოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში კი მოსარჩლემ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია კონტრაბანდული ტვირთების შემოსვლისა და მოძრაობის სქემა, მაგრამ არავითარ ღონისძიებებს არ ატარებს.

ზემოთ მითითებული მტკიცებულებები, ბალათურიას განცხადებით, ადასტურებენ, თუ რა საზოგადოებრივი აზრი იყო იმ დროისთვის შექმნილი და რა ფონზე გააკეთა მან კრიტიკული განცხადებები, უფრო სწორედ, მან ცნობები კი არ გაავრცელა, არამედ გააკეთა მის ხელთ არსებული ინფორმაციის შეფასება.

ბალათურიამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა, რადგან მისი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია – მის აზრს არ შეეძლო მოსახლეობის თვალში ნადარეიშვილის არაჯანსაღი იმიჯის შექმნა და დისკრედიტაცია.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლომ დაავალა ჯონდი ბალათურიას მოსარჩლის სასარგებლოდ 5 ათასი ლარის გადახდა, ასევე მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემების „ლამის კურიერისა“ და „პოსტ სკრიპტუმის“ მეშვეობით, შემდეგი ფორმით:

1. „სიცრუეა, რომ მილიონობით დოლარი მიედინება საქართველოს იურის-

დიქციის არქონაში აფხაზეთის ტერიტორიიდან თ. ნადარეიშვილის ჯიბეში”.

2. „სიკრუეა, რომ თ. ნადარეიშვილი ჩართულია კორუფციაში“.

მოტივაცია: კოლეგიის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური დისკუსია გამოხატვის მეტი თავისუფლებით დაიშვება, იგი მაინც არის გარკვეული ფარგლებით შეზღუდული, რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნული ღირებულება იმდენად დიდი დემოკრატიული უფლებაა, რომ მისი ხელშეუხებლობის საზღვრები არც პოლიტიკური კრიტიკის დროს შეიძლება გადაილახოს.

აღნიშნულ შემთხვევაში კოლეგიამ გამორიცხა მხარეთა შორის პოლემიკის არსებობა – ბალათურიას მიერ მედიის საშუალებებით გაკეთებული განცხადებები არ იყო პოლემიკის ნაწილი, ანუ ისინი არ გაკეთებულა ნადარეიშვილის განცხადებების საპასუხოდ და შესაბამისად, არ არსებობდა ინტერესების ფონი, რომელზეც ჩვეულებრივი პოლემიკა ვითარდება.

გადაწყვეტილებაში მითითებული გამონათქვამები, სასამართლოს აზრით, შეიცავენ მტკიცებას ნადარეიშვილის მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენის შესახებ, როგორცაა თანამდებობრივი (კორუფციული) დანაშაული. კოლეგიის შეფასებით, ცნობების გავრცელება პირის მიერ კანონის დარღვევის შესახებ, სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და იგი ინვესტადრესატის პატივის ანუ საზოგადოებრივი რეპუტაციის დისკრედიტაციას. კრიტიკის დასაშვები ფარგლების დარღვევას, მოჰყვა კრიტიკის თმენის ვალდებულების შეწყვეტა.

სასამართლოს აზრით, მოპასუხემ ვერ შეძლო გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა. კოლეგიამ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ ნადარეიშვილის კორუფციულ დანაშაულში მონაწილეობის საკმარისი მტკიცებაა ის, რომ იგი თავისი უმოქმედობით ხელს უწყობს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში არსებულ დანაშაულს და მოსარჩლის ქონებრივ დეკლარაციაში არსებული მონაცემები არ შეესაბამება მის რეალურ ქონებრივ მდგომარეობას.

კოლეგიამ დაასკვნა, რომ სახეზეა ბალათურიას სამოქალაქო სამართლებრივი ბრალი, ანუ წინდახედულობის ნორმით დაცული ქცევის წესის დარღვევა, რაც საკმარისია სამოქალაქო სამართლებრივი ბრალის არსებობისათვის.

მორალური ზიანის კომპენსაცია სასამართლომ მოპასუხის ფინანსურუნარიანობის მიხედვით განსაზღვრა.

კასაცია: ჯონდი ბალათურიამ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის გამოყენების საკმარისი საფუძველი სასამართლოს არ ჰქონდა. საქმეში არ არსებობს მტკიცება, რომლითაც დასტურდება, რომ კასატორის მიერ გაკეთებული განცხადებების შედეგად გაუარესდა ნადარეიშვილის პატივი და ღირსება.

ბალათურიას აზრით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი და 413-ე მუხლი, ასევე არასწორად მოხდა კომპენსაციის თანხის განსაზღვრა, რადგანაც ის 50-ჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს.

გადანყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და აკორტების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, მ. ნიქვაძე, რ. ნადირიანი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჯონდი ბალათურიას საკასაციო საჩივარი, გააუქმა საოლქოს გადანყვეტილება და მიიღო ახალი. ნადარეიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ჯონდი ბალათურიას დაევალა მის მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფა და იმის აღნიშვნა, რომ – მილიონობით დოლარი მიედინება... ნადარეიშვილის ჯიბეში და ნადარეიშვილი ჩართულია კორუფციაში, არ შეესაბამება სინამდვილეს. მოსარჩლესვე დაევალა თამაზ ნადარეიშვილის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით, 2500 ლარის გადახდა.

მოტივაცია: პალატის აზრით, სარეზოლუციო ნაწილში იმის მითითება, რომ გავრცელებული ინფორმაცია არის სიცრუე, არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. ცნობების უარყოფა უნდა მოხდეს იმ ტერმინთა გამოყენებით, რასაც კანონმდებელი განსაზღვრავს. შესაბამისად, სიტყვა „სიცრუე“, უნდა შეიცვალოს სიტყვებით „არ შეესაბამება სინამდვილეს“.

ამასთანავე, პალატამ ჩათვალა, რომ მართალია, მოსარჩლის პიროვნული უფლებების ხელყოფა სერიოზულად მოხდა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსარჩლის მოთხოვნა გაზრდილია და არ შეესაბამება რეალობას. საკასაციო სასამართლომ გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მოპასუხისათვის 2 500 ლარის დაკისრება მიიჩნია.

დანარჩენ ნაწილში უზენაესი ინსტანცია დაეთანხმა საოლქოს გადანყვეტილებას და აღნიშნა, რომ ცნობების გავრცელება იმის შესახებ, რომ პირის მიერ დარღვეულია კანონი, სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და იგი ინვესტორებს ადრესატის პატივის ანუ საზოგადოებრივი რეპუტაციის დისკრედიტაციას. ასეთ შემთხვევაში, დაირღვა რა კრიტიკის დასაშვები ფარგლები; შესაბამისად, კრიტიკის მიმართ თმენის ვალდებულებაც შეწყდა.

30 ივლისი

გივი ჯიქია ნანა დევდარიანის წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 4 ოქტომბერს გია (გივი) ჯიქიამ სარჩელით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს ნანა დევდარიანის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაკეთებული სხვადასხვა განცხადებების გამო. მოსარჩლემ გაასაჩივრა ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა:

„საუბარია ელემენტარულზე, რაც უკვე დადასტურებულია(...) კაცი, რომელიც აყალბებს დოკუმენტებს არ შეიძლება იყოს პროკურორი“, – გაზეთი „რეზონანსი“, 22 აგვისტო, 2002 წ.

„ჯიქია 1981 წ. ვისი ხელმძღვანელობით შეგნებულად არასწორი გამოძიების გამო დაითხოვეს პოლიციის რიგებიდან. 1981-1982წწ. მან ორჯერ მიმართა შსს-ს კოლეგიას სამსახურში აღდგენის თაობაზე. 20 წლის შემდეგ, 2001 წლის 14 ნოემბერს მან სარჩელით მიმართა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს და მოითხოვა სიტყვა „მიღება“ შეცვლილიყო „აღდგენით“. სიტყვა „მიღება“ შეიცვალა „აღდგენით“ და 1981 წლიდან 1986 წლამდე გაცდენილი წლები ჩაითვალა საერთო სტაჟში“, – „ჯორჯიან თაიმსი“, 27 ივნისი-4 ივლისი, 2002 წ.

„მთავარ სამხედრო პროკურატურაში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ სახალხო დამცველის ოფისში თავმოყრილი უამრავი დოკუმენტაცია დღემდე რეაგირების გარეშეა, ისევე როგორც კონტროლის პალატის მიერ მოკვლეული სამხედრო სტრუქტურებში ჩადენილი მძიმე დანაშაულების მასალები... არც ერთი საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი,“ – „ჯორჯიან თაიმსი“, 27 ივნისი – 4 ივლისი, 2002წ.

„სად იყო ინგა გრიგოლია მაშინ, როდესაც 2 წლის წინ ვითხოვდი მისი და არამარტო მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და დაშვებული შეცდომების შესწავლას,“ – „ჯორჯიან თაიმსი“, 27 ივნისი – 4 ივლისი, 2002წ.

„რაც შეეხება ბატონ სამხედრო პროკურორს, იგი იწყებს თავისი ბიოგრაფიის შემდგომ გათვრებას და განცხადება შეაქვს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში აფხაზეთის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადგენის თაობაზე... სასამართლომ დაადასტურა აფხაზეთის კონფლიქტში მისი მონაწილეობა,“ – „ჯორჯიან თაიმსი“, 27 ივნისი – 4 ივლისი, 2002წ.

„მათ მიერ გამოძიებული ერთი საქმეც კი, რომელიც მაღალჩინოსანთან მიგვიყვანდა, ისტორიას ბოლო წლებში არ ახსოვს. სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა ამის თაობაზე ვრცელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, სამხედრო პროკურატურა წერილფეხა ოფიცრებს იჭერს, მაშინ, როდესაც დანაშაულის ორგანიზატორებად მაღალი თანამდებობის პირებს ასახელებენ,“ – „რეზონანსი“, 5 აგვისტო, 2002 წელი.

„ჯორჯიან თაიმსის ჟურნალისტს სახლის კარი ჩაუმტკრიეს. ჟურნალისტ თამარ მოლაშვილის სახლის კარის შემტკრევას წინ უძღოდა „ჯორჯიან თაიმსში“ გამოქვეყნებული უბოლიკაცია, სადაც სახალხო დამცველის რწმუნებული სამხედრო პროკურორს გია ჯიქიას შეცდომებსა და დანაშაულებებში ამხელდა,“ – „ალია“, 29 ივნისი, 2002 წ.

„ნანა დევდარიანი თელის, რომ გია ჯიქიას არ აქვს მორალური უფლება, მთავარი სამხედრო პროკურორი იყოს,“ – „ახალი თაობა“, 1 აგვისტო, 2002 წ.

„ჯიქია ვერ არჩევს სისხლისსამართლებრივ პაუზისმგებლობას და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ის მასალები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ჯიქიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრათ, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ თანამდებობიდან გაუშვან,“ – „ახალი თაობა“, 26 სექტემბერი, 2002 წ.

„ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ჯიქიას მონაწილეობას აფხაზეთის საომარ მოქმედებებში, სერიოზულ ეჭვს იწვევს,“ – „ახალი თაობა“, 26 სექტემბერი, 2002 წ.

„ჯიქია არ იხდის გადასახადს იმ პატარა ბიზნესუკებიდან, რაც მას გააჩნია,“ – „ახალი თაობა“, 26 სექტემბერი, 2002 წ.

„სახალხო დამცველი ფლობს დოკუმენტაციას, რომელზეც გია ჯიქია სხვადასხვანაირად აწერს ხელს. ეს კი სიყალბეზე მიუთითებს,“ – „ახალი თაობა“, 26 სექტემბერი, 2002 წ.

მსგავსი განცხადებები, მოსარჩლის ცნობით, ნანა დევდარიანმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, „იბერიის“ და საქტელერადიომაუწყებლობის პირველი არხის ეთერიტაც გაავრცელა. სახელდობრ:

ჟურნალისტი ნ. ინსკირველი ახდენს ნ. დევდარიანის პერიფრაზს: „მისი მოთხოვნა იყო, გენერალურ პროკურატურას შეესწავლა პრესაში გამოქვეყნებული ის მასალები, რომლებიც სამხედრო პროკურორს იარაღით ვაჭრობაში, თანამდებობაზე უკანონოდ აღდგენასა და ჟურნალისტებზე ზემოქმედებაში ამხელდა.“ – „კურიერი 9 საათზე“.

მოსარჩლის განცხადებით, ამ ბრალდებების შესწავლის მიზნით, მან მიმართა გენერალურ პროკურორს, რომელმაც მედიის საშუალებებით გამოთქმული განცხადებების შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა. ხსენებულმა კომისიამ კი დაასკვნა, რომ გია ჯიქიას მიმართ გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამებოდა ჭეშმარიტებას.

მოსარჩლემ მოპასუხისაგან მოითხოვა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა შემდეგი ფორმით:

„ჩემს მიერ გავრცელებული ცნობები, რომ: გია (გივი) ჯიქია აყალბებს დოკუმენტებს და ხელმოწერებს, ჩაიდინა დანაშაული, არ იხდის გადასახადებს, მონაწილეობას იღებს იარაღის კონტრაბანდაში, ზეწოლას ახდენს სასამართლოზე, აქვს თანამდებობისათვის შეუფერებელი ბიოგრაფია, ახორციელებს თავდასხმას ჟურნალისტებზე და ხელს აფარებს დამნაშავე მალაჩინოსნებს არ შეესაბამება სინამდვილეს.“

ნანა დევდარიანმა სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში აღნიშნა, რომ მის მიერ გავრცელებული გამონათქვამები წარმოადგენს არა ფაქტებს, არამედ, მისი, როგორც სახალხო დამცველის საჯაროდ გამოთქმულ შეფასებებსა და მოსაზრებებს საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ. მოპასუხის განცხადებით, მისი შეფასებები ეფუძნებოდა კონკრეტულ დოკუმენტაციას. სახელდობრ:

1. აფხაზეთში საომარ მოქმედებაში მონაწილეობის ფაქტის დასადაგენად გია ჯიქიამ სასამართლოს წარუდგინა საბრძოლო მოკვლევის დოკუმენტი, რომელზეც გაყალბებული იყო ერთ-ერთი ხელმოწერა (თავდაცვის საჯარისო სამსახურის მთავარი სამმართველოს მართლწესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის, პირველი განყოფილების უფროსის ლ. ფავლენიშვილის). ამ ფაქტს, დევდარიანის მტკიცებით, ადასტურებს შემდეგი დოკუმენტები: ლ. ფავლენიშვილის მიერ ხელმოწერილი 1995 წლის 21 ოქტომბრის დასკვნა, რომ ხელმოწერები ხსენებულ დოკუმენტზე ეკუთვნის არა უშუალოდ მას, არამედ სხვა პირს; ფავლენიშვილის მოწმის სახით მიცემული ხელწერილი და საქართველოს გენერალური პროკურატურის 2002 წლის 26-27 აგვისტოს დასკვნა, რომლითაც დადასტურდა ლ. ფავლენიშვილის ხელმოწერებს შორის აშკარა განსხვავება.

2. გ. ჯიქია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სამმართველოს გამოძიებისა და მოკვლევის განყოფილების უფროსად დაინიშნა 1993 წლის 10 აგვისტოს, სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად კი, 2001 წლის 1 მარტის სასამართლო სხდომაზე მან ყალბი განმარტება მისცა ამ თანამდებობაზე მისი 1993 წლის ივნისში დანიშნისა და ორი კვირის შემდეგ პირად შემადგენლობასთან ერთად აფხაზეთში ყოფნის შესახებ.

3. შს-ს კადრების სამმართველოს 1986 წლის 26 აგვისტოს დასკვნის თანახმად, ის შს ორგანოებში აღდგენილი კი არა, ხელახლაა მიღებული.

4. ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ანკეტაში მოსარჩლე მიუთითებს, რომ მას 22 და 40 წლის ასაკის შვილები ჰყავს. „აღნიშნული დოკუმენტითაც დასტურდება ჯიქიას მიერ ყალბი მონაცემების ანკეტაში შეტანის ფაქტი, რადგან ხსენებული ანკეტის მიხედვით, ჯიქიას შვილი უნდა შექმნოდა 10 წლის ასაკში,“ – ნათქვამია შესაგებელში.

5. განცხადებას იმის თაობაზე, რომ ჯიქია „არ იხდის გადასახადებს იმ პატარა ბიზნესუკებიდან, რაც მას გააჩნია“, მოპასუხე ასაბუთებს სასამართლოს მიერ მოსარჩლის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის იურიდიული ფაქტის დადგენითა და იმით, რომ ჯიქია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისთვის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს.

6. რაც შეეხება ნანა ინსკირველის მიერ მოპასუხის სიტყვების პერიფრაზს, ეს დევდარიანის განცხადებით, არის არა ცნობები, არამედ ჟურნალისტიკული შეფასება, რომელიც გამოთქმულია არა მოპასუხის, არამედ ჟურნალისტიკის მიერ.

გადანწყვეტილება: კრნანისი-მთანმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ყაჭიშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და ნანა დევდარიანს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლადან 5 დღის ვადაში დაავალა გია ჯიქიას მიმართ გავრცელებული პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, შემდეგი ფორმით:

○ „ჩემს მიერ გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ 2002 წლის 27 ივნისი – 4 ივლისის ნომერში გავრცელებული ცნობა, რომ გივი ჯიქიას ჩადენილი აქვს დანაშაული, არ შეესაბამება სინამდვილეს და უარეყოფ.“

○ „ჩემს მიერ გაზეთ „ახალ თაობაში“ გავრცელებული ცნობა, რომ გივი ჯიქიას ჩადენილი აქვს დანაშაული და გააჩნია ბიზნესი არ შეესაბამება სინამდვილეს და უარეყოფ.“

○ „ჩემს მიერ გაზეთ „რეზონანსში“ 2002 წლის 22 აგვისტოს გავრცელებული ცნობა, რომ გივი ჯიქია აყალბებს დოკუმენტებს – არ შეესაბამება სინამდვილეს და უარეყოფ.“

რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩლის სხვა მოთხოვნები.

მოტივაცია: რაიონული სასამართლოს აზრით, აზრის გამოხატვის თავისუფლება გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს უკავშირდება. მოსამართლემ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 (1) მუხლზე, რომლის თანახმად, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ხელშეუვალია და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლითაც პირს აქვს უფლება, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება.

სასამართლომ მიუთითა, რომ ნანა დევდარიანის წარმომადგენლებმა პროცესზე ვერ დაამტკიცეს შემდეგი გამონათქვამების სინამდვილესთან შესაბამისობა:

1. „მისი და არა მარტო მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და დაშვებული შეცდომის შესწავლას...“

2. „მაგრამ იმის გამო, რომ ჯიქიამ თავისი დანაშაულობები დამალს, მე ბიწადეს ვერჩებო, სადაური ლოგიკაა“.

3. „ჯიქია არ იხდის გადასახადს იმ პატარა ბიზნესუკებიდან, რაც მას გააჩნია“.

4. „საუბარია ელემენტარულზე, რაც უკვე დადასტურებულია(...) კაცი, რომელიც აყალბებს დოკუმენტებს, არ შეიძლება იყოს პროკურორი“.

სასამართლოს აზრით, დევდარიანის მიერ გავრცელებული მოსაზრებები და შეფასებები „კატეგორიული ხასიათის გამო“ წარმოადგენს ცნობებს და არა მოსაზრებებს. მოსამართლემ მიუთითა კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით. გია ჯიქიას მიმართ კი ცნობების გამავრცელებელს არ წარუდგენია გამამტყუნებელი განაჩენი და ამდენად, მოსარჩლეს არ ევალებოდა დანაშაულის ჩადენაში ბრალდების თმენა.

ჯიქიას „ბიზნესუკებზე“ საუბრისას, სასამართლომ მოუხმო „პროკურატურის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომლის თანახმად, „პროკურატურის მუშაკის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან, სამეწარმეო ან სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან“ და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თუკი ჯიქიას ჰქონდა ბიზნესი, ის არლვევდა კანონს, რისი დადასტურებაც მოპასუხემ პროცესზე ვერ შეძლო.

სასამართლომ არ გაიზიარა გაზეთ „ახალი თაობის“ წარმომადგენლის ზ. ხატიაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კრიტიკასთან, რომლის თმენა საჯარო მოსამსახურეს მართებს. სასამართლოს აზრით, ხსენებული გამონათქვამები სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და ლახავს „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად დადგენილ ზღვარს“.

რაც შეეხება ნანა ინწკირველის პერიფრაზს, მოსარჩლემ ვერ დაამტკიცა, თუ სად, რა დროს, რა ვითარებაში, რა საშუალებით და რა შინაარსის ტექსტი გაავრცელა მოპასუხემ, რის გამოც ეს გამონათქვამები ნანა დევდარიანის გავრცელებულად არ ჩათვალა.

მოპასუხის სხვა გამონათქვამები კი სასამართლომ მიიჩნია არა ფაქტებად, არამედ მის მოსაზრებებად და ამ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

აპელაცია: რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა ნანა დევდარიანმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

○ სახალხო დამცველმა გაავრცელა არა ცნობები, როგორც ეს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაშია მითითებული, არამედ შეფასებები და მოსაზრებები.

○ მის შეფასებას, რომ გია ჯიქიამ განახორციელა დოკუმენტების გაყალბება და ჩაიდინა დანაშაული, არ იხდის გადასახადებს იმ პატარა ბიზნესუკებიდან, რაც მას გააჩნია, არაფერი აქვს საერთო „ბრალდებასთან დანაშაულის ჩადენაში“.

○ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია არასათანადო მოპასუხის მიმართ, რადგანაც გადაწყვეტილების თანახმად, პასუხისმგებლობა ეკისრება ფიზიკურ პირს – ნანა დევდარიანს მაშინ, როცა გავრცელებული ცნობების ავტორი სახალხო დამცველია.

გია ჯიქიას ინტერესების დამცველმა გ. ყავლაშვილმა აღნიშნა, რომ მოპასუხედ მიიჩნევენ ნანა დევდარიანს, როგორც ფიზიკურ პირს და არა სახალხო დამცველს. თავად ჯიქიამ კი განცხადებით მიმართა საოლქო სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ დაკარგა მისი პოზიციის სასამართლო წესით დაცვის იურიდიული ინტერესი მას შემდეგ, რაც ნანა დევდარიანმა მედიის საშუალებით არაერთგზის განაცხადა, რომ არ აპირებს გავრცელებული ცნობების უარყოფას. ამ მოტივით მან უარი თქვა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, სხდომაზე გამოუცხადებლობად ითვლება.

დევდარიანის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – მ. თოდუა, თ. მუხრანელი, ც. დევრისაშვილი) დააკმაყოფილა ნანა დევდარიანის სააპელაციო საჩივარი, გააუქმა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი უთხრა გია ჯიქიას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოტივაცია: როდესაც სააპელაციო სასამართლო სხდომაზე არ ცხადდება მონაწილემდეგ მხარე, ასეთ შემთხვევაში, აპელანტის თხოვნით, სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, რადგან საჩივრის ფაქტობრივი საფუძვლები დადასტურებულად ითვლება. ამასთანავე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს იურიდიულ გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარს იტყვის აპელანტის საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, საჩივრის ფაქტობრივი საფუძველი, რომ აპელანტმა საჯაროდ გამოთქვა შეფასებები და მოსაზრებები საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის მიმართ, როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა – სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა. საოლქოს შეფასებით, რაიონულმა სასამართლომ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა დაავალა ნანა დევდარიანს, როგორც ფიზიკურ პირს მაშინ, როდესაც მას ასეთი ინფორმაცია არ გაუვრცელებია.

„მერანი“ „ექოსა“ და რამინ ყურაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 2003 წლის 21 აპრილს შპს „მერანმა“ გაზეთ „ექოსა“ და ჟურნალისტ რამინ ყურაშვილის წინააღმდეგ კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს მიმართა. სარჩელის საბაზი გახდა გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „გამომცემლობა „მერანი“ წიგნებიდან „პუტანკებამდე“. „მერანის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ გურამ გვერდნითელმა სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნია ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა:

1. „გამოძიებით მოპოვებული დოკუმენტური ფაქტები „მერანში“ არსებულ კორუფციასთან დაკავშირებით“...

2. „მერანში“ მოსვლამდე გურამ გვერდნითელი ქართულ ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო სამედიცინო და პოლიტიკენიკურ ინსტიტუტებში. მაშინ ამ ინსტიტუტებში კაცის მოწყობა ათეულობით ათასი მანეთი ღირდა. როცა იქიდან გამოაძევეს, „მერანს“ დაადგა თვალი. ახლა კი, „რუსთაველის საზოგადოების“ ხელში ჩაგდება გადაუწყვეტია. აი, სადამდე მიდის ამ კაცის თავგასულობა“...

3. „სასტუმრო „მერანის“ ყოველდღიური შემოსავალი, რომელიც ამ გამომცემლობის შენობაშია მოთავსებული, დაახლოებითი გამოანგარიშებით, ყოველთვიურად შეადგენს 2500-მდე დოლარს. აღნიშნული თანხა არსად არ ფიგურირებს“...

4. „...ამ საქმის ჩამდენის, გურამ გვერდნითელის მიერ მწერალთა კავშირისთვის თითქმის არაფერი არ არის გადახდილი, თანხებს ის ითვისებს“...

5. „თანხა, რომელიც მწერალთა კავშირს უნდა ჩარიცხოდა (გადასცემოდა), არაოფიციალური წყაროს ცნობით, იხარჯება მრავალსართულიანი სახლის მშენებლობაზე მთაწმინდის უბანში, რუსული ეკლესიის გვერდით.“ (მოსარჩლის განცხადებით, გაზეთში გამოქვეყნებულია შენობის ფოტო, რომელიც „მერანის“ არც ერთ დამფუძნებელს არ ეკუთვნის).

6. „გამომცემლობის დირექტორი (გ. გვერდნითელი) და მისი მფლობელი „მერანში“ მოსვლამდე, ინსტიტუტებში მისაღებ გამოცდაზე გვარიან თანხებს „ლუნავდა“. გამომცემლობაში კი საერთოდ გალალდა“...

7. „...საქმე გვაქვს თავზებელაღებულ კორუფციასთან“...

8. „გამომცემლობის შენობაში არის სასტუმრო, ღამის ბარი, სადაც 15-16 წლის გოგონებს პუტანკებამდე აქცევენ“...

9. „...ისე გვეგონა, რომ: აქ მოსვლისას „პუტანკებსაც“ გვანახებდით“...

ხსენებული გამონათქვამები მოსარჩლემ (შპს „მერანი“) მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია და სამოქალაქო კოდექსის

მე-18 მუხლის საფუძველზე, გაზეთ „ექოს“ ჟურნალისტიკისაგან „სტატიაში გამოთქმული აზრების“ სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება მოითხოვა. სახელდობრ:

1. რომ გურამ გვერდნითელი მისაღებ გამოცდებზე ფულს აკეთებდა და ამისათვის გამოაძევეს იქედან;

2. რომ შპს „მერანის“ პარტნიორებს სასტუმრო „მერანიდან“ დღეში 2500 აშშ დოლარი აქვთ შემოსავალი და ამ თანხებს ითვისებენ;

3. რომ გაზეთში გამოქვეყნებული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია მთანმინდის უბანში, რუსული ეკლესიის მახლობლად მდებარე სახლი, მოსარჩელეთა საკუთრებაა;

4. რომ სასტუმრო „მერანში“ (რომელიც შპს „მერანს“ იჯარით აქვს გაცემული და რომლის დამფუძნებელიც მოსარჩლე არ არის) 15-16 წლის გოგონებს „პუტანკებად“ აქცევენ“;

5. რომ მწერალთა კავშირი არაფერს იღებს შპს „მერანისაგან“ (არ სრულდება შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები – უფასოდ წიგნების გამოცემა და ა.შ.).

გაზეთის პოზიცია: მოპასუხემ სარჩელი უსაფუძვლოდ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

მორალური ზიანის ანაზღაურება შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ იმ პირმა, რომელმაც განიცადა ძლიერი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, ხოლო ასეთი განცდების აღქმა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს და არა იურიდიულ პირს. „პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია არის ცნებები, რომელიც დაკავშირებულია და ახასიათებს ფიზიკურ პირს, ადამიანს და არა იურიდიულ პირს“, – ნათქვამია გაზეთ „ექოს“ შესაგებელში.

მოპასუხის განმარტებით, შპს „მერანის“ მხრიდან არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არაადეკვატურია, რადგან „ექოს“ მხრიდან არავითარ ბრალეულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია: სადავო პუბლიკაცია ეყრდნობოდა „მერანის“ პარტნიორის – მწერალთა კავშირის გამგეობის კომისიის დასკვნას. სტატიაში ასევე გამოყენებული იყო თავად მწერალთა კავშირის წევრების მოსაზრებები. ჟურნალისტიკის ზოგიერთი გამონათქვამი კი, მოპასუხის განცხადებით, არის გაზეთის პოზიცია, რომელიც სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურ ნორმებში ჯდება. პუბლიკაცია წარმოადგენს ფაქტის შეფასებას და არა ყალბი ცნობების გავრცელებას.

რამდენადაც მწერალთა კავშირი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და კომისიის დასკვნა საჯარო ინფორმაციაა, ამდენად, ის ხელმისაწვდომია ყველასათვის. მოსარჩლის განცხადება, რომ შპს „მერანს“ იჯარით აქვს გაცემული შე-

ნობა, რომელშიც სასტუმრო ფუნქციონირებს, მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩლე უნდა იყოს მოიჯარე და არა "მერანი". მოპასუხის განმარტებით, უურნალისტს მტკიცებით ფორმამ არ გადმოუცია ფაქტი სასტუმროში 15-16 წლის გოგონების სტუმრობის შესახებ, მან სტატიაში გადმოსცა როგორც მოარული ხმები, ასევე სასტუმროს ადმინისტრატორის მიერ აღნიშნული ცნობების უარყოფა.

მშენებარე სახლთან დაკავშირებით მოპასუხემ კვლავ მწერალთა კავშირის დასკვნა მოიშველია, ამასთანავე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ შპს „მერანის“ პარტნიორის ემზარ გამეზარდაშვილის მიერ სახლის მშენებლობა საჯარო რეესტრში იყო აღნუსხული და არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლებზე დაყრდნობით, მოპასუხემ მიიჩნია, რომ საგაზეთო პუბლიკაციით არ დამდგარა ზიანი, გაზეთსა და სტატიის ავტორს არ დაურღვევია ნინდახედულობის ნორმით დაცული ქცევის ნესი. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ბოდიშის მოხდის ფორმას არ ითვალისწინებს და ყოველივე აქედან გამომდინარე, მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გადაწყვეტილება: კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – მ. ხარებავა) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. გაზეთ „ექოსა“ და უურნალისტ რამინ ყურაშვილს დაევალით იმავე საინფორმაციო საშუალებით შპს „მერანისა“ და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის გურამ გვერდნითელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი შემდეგი ცნობების უარყოფა:

„გამომცემლობის დირექტორი და მისი მფლობელი „მერანში“ მოსვლამდე, ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე გვარიან თანხებს „ლუნავდა“ და „გამომცემლობის შენობაში არის სასტუმრო, ლამის ბარი, სადაც 15-16 წლის გოგონებს პუტანკებად აქცევენ“.

მოსარჩლეს ეთქვა უარი მორალური ზიანის ანაზღაურებაზე დაუსაბუთებლობის გამო.

მოტივაცია: სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სადავო პუბლიკაცია ეფუძნებოდა საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ქონების დამდგენი კომისიის დასკვნას და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად ასახავდა და წარმოადგენდა იმ ფაქტების ავტორისეულ ინტერპრეტაციას, რაც გადმოცემულია ხსენებულ დასკვნაში. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ უურნალისტის ქმედება არ გასცილებია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19, საქართვე-

ლოს კონსტიტუციის 24-ე და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლებს.

გამონაკლისად სასამართლომ მიიჩნია სტატიაში გადმოცემული ცნობა იმის შესახებ, რომ გ. გვერდნითელი „მერანში“ მისვლამდე „მისაღებ გამოცდებზე გვერდიან თანხებს „ლუნაედა“ და სასტუმროსთან დაკავშირებული გამონათქვამი. ამ შემთხვევებში, სასამართლოს აზრით, ყურნალისტმა გაავერცელა გადაუმონმბელი და სათანადო მტკიცებულებებს მოკლებული ინფორმაცია. ხოლო ცნობა იმის შესახებ, რომ „შენობაში არის სასტუმრო, ლამის ბარი, სადაც 15-16 წლის გოგონებს პუტანკებად აქცევენ“ – სასამართლოს შეფასებით, ლახავს გ. გვერდნითელისა და მთლიანობაში გამომცემლობა „მერანის“ ინტერესებს. აღნიშნული ცნობებით შეილახა გ. გვერდნითელის, როგორც ფიზიკური პირის და „მერანის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსამართლემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელთა სინამდვილესთან შესაბამისობას ამ ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს.

რამდენადაც მოპასუხემ ვერ დაამტკიცა ბრალდებათა ნაწილი, სასამართლოს შეფასებით, მან დაარღვია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, ყურნალისტი „ველდებულება შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა.“

იმის გათვალისწინებით, რომ სადავო პუბლიკაცია ძირითადად ეფუძნებოდა მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ქონების დამდგენი კომისიის დასკვნას და გაზეთისა და ყურნალისტის მოქმედება მოსარჩლე მხარის არაქონებრივი (მორალური) ზიანის დადგომის გამომწვევი პირდაპირი მიზეზი არ ყოფილა, სასამართლომ არ გაიზიარა მოთხოვნა მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში.

8 სექტემბერი

გივი ლომინაძე „მერიდიანისა“ და ილნარ გორელიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: გივი ლომინაძემ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ

სასამართლოს გაზეთ „მერიდიანისა“ და ჟურნალისტ ი. გორელიშვილის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა „მერიდიანში“ (3-5 ივლისი, 2000წ) გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „გაორმაგებული სამინისტროს ხელმძღვანელმა არ იცის, სად და რამდენი აქვს შენახული“.

ხსენებული პუბლიკაცია მოსარჩლემ მიიჩნია მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად, ცრუ და ბოროტ მონაჭორად.

გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული იყო გივი ლომინაძის სააგარაკო სახლის ფოტოსურათი, მინაწერით: „აფხაზეთიდან დევნილი დეპუტატის გ. ლომინაძის ეს არაგვისპირა საზაფხულო დასასვენებელი სახლი არცთუ ისე თავმდაბლად გამოიყურება. თუმცა, რას იზამ, აფხაზეთის დამკარგავმა ქართველობამ სადღაც ხომ უნდა მოიბრუნოს სული.“

სტატია კი, რომელიც განთავსებული იყო გაზეთის მე-5 გვერდზე, შემდეგი შინაარსის იყო:

„სიძით ამაყობს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „აფხაზეთის“ ჯერ კიდევ თავმჯდომარე (შესაძლოა, მალე აღარც იყოს) გ. ლომინაძე. მისი სიძე პრეზიდენტის დაცვის უფროსი ს. პაპაშვილი გახლავთ, რომელმაც ალბათ ცოტა თუ წაუკრა ხელი სიმამრს, თორემ აგარაკს (რომელიც სახლისაგან არაფრით განსხვავდება) სოფ. წითელსოფ-ში, ნამდვილად ვერ დაასრულებდა, თანაც სულ რაღაც 25-35 ათას ლარად. მოგეხსენებათ, აფხაზეთიდან დევნილი ადამიანები, როგორც ჩანს, მაინც წყლისკენ ილტვიან. არაგვი ხომ დიდებული მდინარეა. ბატონ გ-ს თბილისშიც მოუხერხებია 40-45 ათასიანი ბინის შეძენა (ბატონ გ-ს ყველგან ასეთი ორმაგი სავარაუდო ფასები აქვს მითითებული) და თუ წითელსოფლის აგარაკისა და მისი ფასის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ლომინაძის თბილისური ბინა რაღაც გრანდიოზული ნაგებობა უნდა იყოს. ან იქნებ შეცდა ბატონი გ. და ამ არაგვისპირა აგარაკის ფასი ვერ დააფიქსირა სწორად?! გ. ლომინაძის უძრავ ქონებაში მემკვიდრეობით მიღებული 20 000 ლარიანი სახლიც შედის სენაკში და 10 000 ლარიანი საოჯახო ბიბლიოთეკაც. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მთელი წინა წლის პერიოდში ხელფასად სულ 6 300 ლარი მიუღია, პირად საკუთრებაში მაინც აქვს 7 000 ლარი. საინტერესოა, ლომინაძე და მისი მსგავსი ადამიანები პაერით იკვებებიან, თუ ხელფასის დაუხარჯავად, როგორ ახერხებენ ამხელა დანაზოგების გაკეთებას?!“

მოსარჩლის განცხადებით, სააგარაკო ტერიტორია მას შსს-მ 1986 წელს გამოუყო, სახლი ტიპიური პროექტით არის აშენებული და მისი სიძე მშენებლობაში ხელს ვერ წაუკრავდა, რადგან იმ დროისათვის ის სკოლის მოსწავლე იყო; იგი არ არის აფხაზეთიდან დევნილი, აფხაზეთში ომის დაწყებამდე იყო შინაგან

საქმეთა მინისტრი და არის აფხაზეთის დეპუტატი; თბილისის ბინა აფხაზეთის ყოფილ შს მინისტრ არშბას 1976 წელს გაუცვალა და დედაქალაქში სხვა ბინა აღარ შეუძენია; მართალია, 1999 წელს ხელფასის სახით მიიღო 6300 ლარი, მაგრამ წლების განმავლობაში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, 1993 წლიდან არის პარლამენტის წევრი და ამ ხნის განმავლობაში დაზოგა 7 ათასი ლარი.

გივი ლომინაძის აზრით, სტატიის მიზანი იყო მკითხველისათვის მისი წარმოჩენა დევნილად, რომელმაც მოახერხა უკანონო გზით ქონების დაგროვება. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის, 413-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 997-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩლემ მოითხოვა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეებისთვის 20 ათასი ლარის დაკისრება; პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მე-20 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, – გაზეთის საშუალებებით ცრუ გარემოებების უარყოფა.

2002 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით, რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხეებს დაევალებათ გაზეთ „ახალი მერიდიანის“ ფურცლებზე მოსარჩლის ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციის მონაცემების გამოქვეყნება და განმარტების გაკეთება, რომ ლომინაძის ქონების შესახებ გაზეთის მიერ გავრცელებული ცნობები ფაქტობრივ გარემოებათა ზედაპირული შესწავლის შედეგი და მხოლოდ პირადი (ჟურნალისტისა და გაზეთის) შეხედულებები იყო. მორალური ზიანის სახით მოპასუხეებს დაეკისრათ 100-100 ლარის, ასევე მოსარჩლის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (500 ლარის) გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა და მიუთითეს, რომ სტატია ეფუძნება გივი ლომინაძის ქონებრივ დეკლარაციას, რომ მოსარჩლის, როგორც პოლიტიკოსის გაკიცხვის ფარგლებში უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის და რომ სტატია ვარაუდის ფორმითაა შედგენილი და არ შეიცავს მტკიცებებს.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მიიღო ახალი და ნაწილობრივ დააკმაყოფილა გ. ლომინაძის სარჩელი. მოპასუხეებს დაევალებათ გაზეთ „ახალი მერიდიანის“ საშუალებით მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველი შემდეგი ცნობების უარყოფა: „ს. პაპაშვილმა ცოტა წაუყრა ხელი სიმამრს, თორემ ამ ავარაკს ნამდვილად ვერ დაასრულებდა“ და „საინტერესოა, ლომინაძე და მისი მსგავსი ადამიანები ჰაერით იკვებებიან, თუ ხელფასის დაუხარჯავად, როგორ ახერხებენ ამხელა დანაზოგების გაკეთებას?!“

მოპასუხეებს გივი ლომინაძის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით დაეკისრათ 100 ლარის გადახდა.

მოტივაცია: სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება, რომ ლომინაძემ, როგორც პოლიტიკოსმა სხვაზე მეტად უნდა ითმინოს კრიტიკა, რადგან თავად ჩაიყენა თავი განსაკუთრებულ მდგომარეობაში, თუმცა მიაჩნია, რომ პატივი და ღირსება არის პირის ინდივიდუალური უფლება და მას უპირატესობას ანიჭებს, მით უფრო, თუ გამოთქმული აზრი, შეხედულება არ ემყარება ფაქტებს და მოსაზრებები არ შეესაბამება სინამდვილეს. საოლქო სასამართლოს აზრით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებენ სტატიის გა-
მოთქმული სავარაუდო მოსაზრებებისა და ინფორმაციის სიმცდარეს.

ამასთანავე, პალატის აზრით, სტატიის ავტორი აკრიტიკებს არა დეპუტატ ლომინაძის პოლიტიკურ საქმიანობას, არამედ მის პირად ცხოვრებას, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და ევროპის კონვენციის მე-8 მუხ-
ლებით. პირადი და საჯარო ინტერესების დაპირისპირებისას უპირატესობა საჯარო ინტერესს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიენიჭოს, თუ დამტკიცდება ორ უფლებას შორის ბალანსის დარღვევის საზოგადოებრივი აუცილებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია და მოსაზრებები არ შეეფერება სინამდვილეს და მათ საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს, ინფორმაციის გამავრცე-
ლებლებმა პალატა ვერ დაარწმუნეს ასეთ აუცილებლობაში.

კასაცია: საოლქოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გაზეთმა „მერიდიანმა“ და ი. გორელიშვილმა.

კასატორთა აზრით, უსაფუძვლოა სასამართლოს მოსაზრება, თითქოს აპელანტებმა ვერ შეძლეს გავრცელებული მოსაზრებების სინამდვილესთან შესაბამისობის დადასტურება, რადგანაც სტატიის ნაწილი ფაქტობრივი ცნობები არის მონაცემები ლომინაძის ქონებრივი დეკლარაციიდან, ხოლო ის ფრაზები, რომელთა უარყოფაც სასამართლომ მოპასუხეებს დაავალა, სხვა არაფერია, თუ არა ყურნალისტიკის მოსაზრება, ვარაუდი გადმოცემული მხატვრული ფორმით. კასატორის ცნობით, გ. ლომინაძეს ქონებრივი დეკლარაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-17 მუხლის 1 პუნქტის დარღვევით ჰქონდა შევსებული. კერძოდ, დეკლარაციის თანახმად, მოსარჩლის წითელსოფ.-ის აგარაკი 25-35 ათასად არის შეფასებული, რაც მნიშვნელოვნად სცილდება ათპროცენტიან ცდომილებას. კასატორთა განმარტებით, სწორედ კანონის დარღვევით შევსებული დეკლარაცია და ლომინაძის პოლიტიკური მოღვაწეობა გახდა სტატიის დაწერის საფუძველი და არა მისი პირადი ცხოვრება, როგორც ეს სასამართლომ განმარტა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და აკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, მ. ნიქვაძე, ლ. გორელაშვილი) არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, გააუქმა საოლქოს გა-

დაწყვეტილება და გამოიტანა ახალი, რომლითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა გივი ლომინაძის სარჩელი. მოპასუხეებს დაევაღათ იმავე ცნობების უარყოფა, რაც საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში იყო მითითებული.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მოპასუხეებს დაევაღათ გავრცელებული ცნობების უარყოფა „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით, ნაცვლად „ახალი მერიდიანისა“, რომელიც იმ მომენტისთვის არ გამოდიოდა.

მოპასუხეებს მოსარჩლის სასარგებლოდ ასევე დაეკისრათ სოლიდარულად 100 ლარის გადახდა.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ვეროპული კონვენციის მე-10 მუხლებზე, რომლებიც იცავენ გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს ადგენენ პირთა პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიებს. პალატამ აღნიშნა ისიც, რომ სახელმწიფო მოხელეებს მედიის საშუალებით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკის მოთმენა მართებთ და რომ კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და იგი არ უნდა გადაიზარდოს ღვარძლიან კრიტიკაში, რომელიც აშკარად შეუსაბამოა კრიტიკისა და განსჯის საგანთან. პალატის აზრით, როდესაც ჟურნალისტი პატივისა და ღირსების შემლახველ შეფასებებს მიმართავს, მან უნდა დაასაბუთოს, რომ ეს შეფასებები შეესაბამება იმ ფაქტებს, რომლებიც ჟურნალისტურ გამოძიებაშია გამოყენებული და ფაქტობრივი მონაცემები, რომელთაც ჟურნალისტი მიმართავს შეესაბამება სინამდვილეს... ჟურნალისტური შეფასებები უნდა იყოს მის ხელთ არსებული ფაქტების ადეკვატური.

პალატამ „მკვეთრად“ და „ყოველი ადამიანისათვის თვალშისაცემად“ შეაფასა სადავო პუბლიკაციის ფორმა და ჩათვალა, რომ ჟურნალისტი და რედაქცია გასცდნენ პოლიტიკური თანამდებობის პირების კრიტიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს; კრიტიკამ მიიღო აშკარად შეუსაბამო ხასიათი კრიტიკისა და განსჯის საგანთან.

პალატის აზრით, გივი ლომინაძის პატივისა და ღირსებას ლახავს ის გარემოება, რომ ფინანსურ დეკლარაციაზე საუბრამდე ჟურნალისტმა მოიხსენია გრიგოლ რობაქიძის სიტყვები – „ხელისუფლება საკრალური მოვლენაა, ვიგინდარების ყოფნა ხელისუფლებაში დაუშვებელია“; და მოახდინა მათი ჟურნალისტისეული ინტერპრეტირება და აღნიშნა: „ხალხსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მთავარი პრინციპი – სიმართლეა დარღვეული და „ვემორჩილებით თვითნებობას“... ახლა „თვითნებობაში შემჩნეული“ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ქონებრივ და საფინანსო მდგომარეობასაც გადავხედოთ“.

სასამართლო თვლის, რომ ასეთ დროს ჟურნალისტის მიერ გამოთქმული თითოეული შეფასება უნდა იყოს დასაბუთებული და საფუძვლიანი. ის, რომ დეკლარაციაში მითითებული ქონება 80-იან წლებშია შეძენილი, ხოლო ჟურნალისტი ამ ქონებას 90-იან წლებში ლომინაძისა და მისი სიძის საპარლამენტო და პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირებს, პალატის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა უყურადღებობა, რაც ბრალეულ მოქმედებას გულისხმობს.

საკასაციო სასამართლომ უარი თქვა, ემსჯელა ლომინაძის მიერ კანონის დარღვევასა და დეკლარაციის არასწორად შევსებაზე იმ მოტივით, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა დავის საგანს, რადგან დეკლარაციის შევსების ნების დარღვევაზე სტატიაში საუბარი არ ყოფილა.

12 სექტემბერი

რ. მინაშვილი ნ. ცომაიას, მ. ჯორბენაძისა და ლ. ზაქარიაძის წინააღმდეგ

სარჩელი: ქ. თბილისის მე-60 სკოლის დირექტორმა რ. მინაშვილმა სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს ნ. ცომაიას, მ. ჯორბენაძისა და ლ. ზაქარიაძის წინააღმდეგ. მოსარჩლემ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია მოპასუხეების მიერ გაზეთებში „ახალი თაობა“ და „დილის გაზეთი“ გამოქვეყნებული ცნობები და მოითხოვა როგორც მათი უარყოფა, ასევე თითოეული მოპასუხისათვის მორალური ზიანის სახით 5 ათასი ლარის დაკისრება.

საგაზეთო პუბლიკაციებში რ. მინაშვილი მოხსენიებულია „არაპედაგოგად“; თანამდებობაზე „სოლიდური თანხის“ დახარჯვის შედეგად მისულ, „შანტაჟისტ“, სკოლის ჯანსაღი კოლექტივის დამმლელ, უზრდელ და უხეშ ადამიანად, რომლის ხასიათსაც შეენირა პედაგოგი თ. ოქროპირიძე; „განათლების მასშტაბურ ხელმძღვანელ მუშაკებთან ფულის (უცხოური ვალუტით) მისატანად სკოლიდან ფულის ამკრეფად და გამომძალველად.“

მოპასუხეების განმარტებით, 1994 წელს მე-60 სკოლის დირექტორად რ. მინაშვილის დანიშვნის შემდეგ, სასწავლებელში მდგომარეობა დაიძაბა, რისი მიზეზიც გახდა მოსარჩლის მხრიდან მისთვის არასასურველი პედაგოგების შევიწროება და იძულება, დაეტოვებინათ სკოლა. ზოგიერთ პედაგოგს თავად სკოლის დირექტორი ათავისუფლებდა სამსახურიდან სხვადასხვა გზებით. მოპასუხეთა

მითითებით, რ. მინაშვილისაგან თავის დაცვის მიზნით ისინი იძულებულნი გახდნენ, მიემართათ საბურთალოს რაიონის პოლიციისათვის. 1998 წლის 28 ოქტომბერს ისინი ესწრებოდნენ პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის პრესკონფერენციას, სადაც პოლიციის სახელზე დაწერილი განცხადება გააცნეს ასოციაციის იურისტს დ. ნიქარიშვილს. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნული განცხადება, თავის მხრივ, აჩვენა ჟურნალისტებს, რომლებმაც მოპასუხეების სურვილის საწინააღმდეგოდ, ეს განცხადება გადაინერეს და პრესაში გამოაქვეყნეს. თუმცა მოპასუხეებმა ისიც აღნიშნეს, რომ განცხადების გამოქვეყნებისთვის ხელი არ შეუშლიათ, რადგანაც რ. მინაშვილის ქმედებათა აღკვეთა სურდათ. მოპასუხეთა აზრით, გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და იგი არ შეიძლება გახდეს მათი პასუხისმგებლობის საფუძველი.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ტაბატაძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხეებს დაევალებათ რ. მინაშვილის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა „ახალი თაობისა“ და „დილის გაზეთის“ მეშვეობით და მოსარჩლისათვის ბოდიშის მოხდა. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე კი მოსარჩლეს უარი ეთქვა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. თუმცა 2002 წლის 6 მარტს რ. მინაშვილმა უარი განაცხადა თავის სააპელაციო საჩივარზე.

მოპასუხე მხარემ კი თავის სააპელაციო სარჩელში ითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – მ. ფარცვანია, ტ. ზამბახიძე, ი. ლეგაშვილი) დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და გააუქმა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება.

მოტივაცია: სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 1998 წლის 20 ოქტომბერს „დილის გაზეთში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მე-60 სკოლის თერთმეტმა პედაგოგმა საბურთალოს რაიონის პოლიციას განცხადებით მიმართა. ინფორმაციის თანახმად, სკოლის დირექტორი მალავდა საერთო „შემოსავალ-გასავალს“, არასწორად გასცემდა ხელფასებს. პოლიციაში შეტანილ განცხადებასვე შეეხებოდა 1998 წლის 20 ოქტომბერს „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული სტატია, სათაურით „მოსწავლეებისა და მასწავლებლების საფრთხობელები – მეზვრიშვილი და „კაბაში გადაცმული ჯაყო“.

სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ გაზეთში დაბეჭდილი გამონათქვამები მოპასუხეების მიერ

არის გავრცელებული. ის ფაქტი, რომ მოპასუხეებმა პოლიციის სახელზე დანერილი განცხადება პრესკონფერენციაზე გადასცეს პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის ერთ-ერთ წევრს, ამ უკანასკნელმა კი ხსენებული გადანყვეტილება მოპასუხეთა სურვილის გარეშე, პრესკონფერენციაზე გაახმაურა, პალატის აზრით, ადასტურებს იმას, რომ მოპასუხეებს ცნობები არ გავრცელებიათ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა არასწორი ცნობების გავრცელება, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მათი უარყოფა უნდა მომხდარიყო იმავე საშუალებით, ანუ პრესკონფერენციაზე.

რაც შეეხება თავად ცნობებს, პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ, თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს 1999 წლის 2 ნოემბრის №152-ე ბრძანებაზე, რომელიც ადასტურებდა მე-60 სკოლაში გამოვლენილ სხვადასხვა დარღვევებს. სახელდობრ: „არასწორად არის გათვლილი ნაღდი ფულის ნაშთი დღის ბოლოსათვის“, „სალაროს დავთარში შეინიშნება ციფრების ამოფხეკა-გადასწორებები“; დარღვევები გამოვლინდა სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა დაცვისა და აღრიცხვის საქმეში; სკოლაში არსებული ზოგიერთი ტექნიკური საშუალებანი არ არის აღრიცხული საქარხნო ნომრებით და აქვე აღნიშნულია, რომ „საბუღალტრო აღრიცხვის საქმიანობაში დაფიქსირდა შეცდომები, კერძოდ, საბუთები აუკინძავი და დაუნომრავია, დავთრებსა და რეესტრებში ციფრები ძნელად იკითხება, თანხები შეცდომითაა გატარებული ანგარიშებში“; „სრულყოფილად არ არის დამოწმებული სპეცსახსრების შემოსავლებზე ნაერთი რეესტრები.“

სასამართლომ ასევე მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს შრომის დაცვისა და სოციალური საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგის ე. ნაკაშიძის ცნობაზე, რომლითაც დასტურდებოდა პუბლიკაციებში მითითებული ფაქტები ხელფასის არასწორად დაანგარიშების შესახებ.

აქედან გამომდინარე, მოპასუხეთა მიერ ხსენებული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც კი, მათ არ უნდა დაკისრებოდათ გავრცელებული ცნობების უარყოფა, რადგანაც საქმეში არსებული დოკუმენტები, პალატის აზრით, გავრცელებული ცნობების სინამდვილეს ადასტურებენ.

რაც შეეხება ფულის აკრეფის ფაქტს, პალატის მითითებით, აღნიშნულს თავად მოსარჩლე რ. მინაშვილიც ადასტურებდა. გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში (16.11.1998).

პალატის აზრით, რადგანაც მოპასუხეების მხრიდან ცნობების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ცნობების უარყოფის საფუძველი.

კასაცია: თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. მინაშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკორტების საქმეთა პალატამ საოლქოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად და იურიდიულად დაუსაბუთებლად ჩათვალა, გააუქმა ის და ხელახალი განხილვისათვის იმავე ინსტანციას დაუბრუნა.

მორიგება: თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 19 ივნისის განჩინებით, დამტკიცდა მხარეთა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, რ. მინაშვილი აღარ მოითხოვდა ქ. ჩხაიძისა და ნ. ცომიაისგან პრესის საშუალებით ბოდიშის მოხდას და გავრცელებული ცნობების უარყოფას; ხოლო თავის მხრივ, ეს უკანასკნელები აღარ მიაყენებდნენ მოსარჩლეს შეურაცხყოფას. მორიგების აქტის თანახმად, რ. მინაშვილმა უარი თქვა სარჩელზე ლ. ზაქარაიასა და მ. ჯორბენაძის მიმართ, რის გამოც მათ წინააღმდეგ საქმე შეწყდა.

კერძო საჩივარი: ქ. ჩხაიძემ და ნ. ცომიაიმ კერძო საჩივრით მიმართეს საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს 2003 წლის 19 ივნისის განჩინების გაუქმება, რადგან მიიჩნიეს, რომ საქმის ნარმოება მათ მიმართ უნდა შეწყვეტილიყო არა სსკ-ს 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, არამედ მოსარჩლის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი იმ საფუძველით, რომ იგი 12 დღიანი ვადის დარღვევით იყო შეტანილი. საოლქო სასამართლოს განჩინებას კერძო საჩივრის დაუშვებლობის გამო დაეთანხმა უზენაესი სასამართლოც, რომელმაც ძალაში დატოვა საოლქოს განჩინება კერძო საჩივრის დაუშვებლობის შესახებ. უზენაესი ინსტანციის განმარტებით, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრება კერძო საჩივრის ავტორი, საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

15 სექტემბერი

ზურაბ ყვავაძე „ინტერ-პრესისა“ და „ახალი თაობის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 21 მარტს შპს „ოკრიბას“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ყვავაძემ სარჩელით მიმართა კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამარ-

თლოს საინფორმაციო სააგენტო „ინტერ-პრესის“ წინააღმდეგ. მოსარჩლემ სადავოდ მიიჩნია გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული „ინტერ-პრესის“ ინფორმაცია, სათაურით „ჭიათურა-თბილისის მარშრუტის მძლოლები გაიფიცნენ“ და მიუთითა სააგენტოს მიერ დაშვებულ ორ უზუსტობაზე. სახელდობრ:

1. „გაფიცვის მიზეზი თბილისში არსებულ ავტოსადგურ „ოკრიბას“ ხელმძღვანელობაა, რომელთაც მძლოლებს სათანადო პირობები არ შეუსრულეს.“

2. „დაუდასტურებელი ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ავტოსადგურ „ოკრიბას“ დირექტორი ყვავაძე, სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო იქნა ნაცემი.“

მოსარჩლის განცხადებით, გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის დადასტურება შეეძლოთ „ოკრიბას“ თანამშრომლებსა და მძლოლებს. ზურაბ ყვავაძის განცხადებით, არასწორი ინფორმაციის გავრცელებით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რის გამოც ამ უკანასკნელმა მოითხოვა:

○ გავრცელებული ცნობების უარყოფელი სტატიის გამოქვეყნება იმავე გაზეთში, იმავე გვერდზე და იმავე მოცულობით;

○ მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისათვის 1200 ლარის, ასევე სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის ხარჯების დაკისრება;

○ ცემის ფაქტის დადასტურების თუ უარყოფის მიზნით სხდომაზე მონაწილეების სახით ჭიათურა-თბილისის მარშრუტის მძლოლების გამოძახება.

სააგენტო „ინტერ-პრესის“ წარმომადგენლები დაეთანხმნენ სარჩელის იმ მოთხოვნას, რომელიც გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფას ითვალისწინებდა, თუმცა არ გაიზიარეს მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოპასუხეთა განმარტებით, ინფორმაცია ცემის ფაქტის შესახებ მათ გამოაქვეყნეს როგორც დაუდასტურებელი ცნობა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალულ მოქმედებად.

საქმეში მესამე პირად ჩართულმა გაზეთ „ახალი თაობის“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ მისი მარწმუნებლები მოცემულ დავაში მხარეს არ წარმოადგენენ.

გადაწყვეტილება: კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე –ზ. მეტონია) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და დაავალა „ინტერ-პრესს“ გავრცელებული ცნობების იმავე გაზეთის მეშვეობით უარყოფა, ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

მოტივაცია: ზ. ყვავაძის ცემის ფაქტი არ დადასტურდა და თავად მოპასუხეებიც დათანხმდნენ უარყოფის გამოქვეყნებაზე. სასამართლოს აზრით, მოპა-

სუხის მოქმედება არ შეიცავდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას. ამ ნორმისა და ასევე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, ყვავაძეს უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

25 სექტემბერი

აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ვეტერინარიის დეპარტამენტი „ბათუმელებისა“ და ემზარ დიასამიძის წინააღმდეგ

სარჩელი: გაზეთებში „ტრიბუნა“ და „ბათუმელები“ გამოქვეყნდა ემზარ დიასამიძის სტატია „ბათუმში ცოფიანი ძაღლის ნაკბენით ბავშვი დაიღუპა“. ხსენებული პუბლიკაციის გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი თავდაპირველად აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვისა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა აღძრეს. თუმცა მოგვიანებით დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში სოფლის მეურნეობის სამინისტრო აჭარის ა/რ ვეტერინარიის დეპარტამენტმა შეცვალა, მოპასუხეებიდან კი გაზეთი „ტრიბუნა“ ამოირიცხა.

სტატია ეხებოდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში დაბადებულ, 11 წლის ლაშა მალაყმაძეს. სტატიის სათაური შეიცავდა მტკიცებას, რომ 11 წლის ბავშვი ცოფიანი ძაღლის ნაკბენით გარდაიცვალა, რაც, მოსარჩლეთა მტკიცებით, არ შეესაბამება სინამდვილეს.

სტატიის შესავალშივე აღნიშნულია: „ბათუმში ცოფიანი ძაღლის ნაკბენით ბავშვი დაიღუპა. საზოგადოება პანიკამ მოიცვა, რისი რეალური მიზეზიც არსებობს, 11 წლის ლაშა მალაყმაძე 12 დღის განმავლობაში უგონოდ იმყოფებოდა ქ. №1 საავადმყოფოში, ექიმებმა დროულად მიყვანილი ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლეს“...

მოსარჩლეებმა ცილისმწამებლურად მიიჩნიეს ისეთი გამონათქვამები, რომელთაც, მათი აზრით, არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან. სახელდობრ: „ამჟღაბში 200 მგ-ით მეტი წამალი იყო, მაგრამ თქვა ეგ არაფერი იყო და“...; „მინისტრმა ამაზე თქვა სამინისტროში ეგ წამალი არ იყო და ვერც იშოვიდით“...; „სამინისტრო და მისი პირველი პირი ცოფის არსებობას უარყოფს, რითაც ფაქტის დამალვას და მიკერძოებული დასკვნის გაკეთებას ცდილობენ“...

მოსარჩლეთა აზრით, ავტორი შეგნებულად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას და შეგნებულად შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება. მათი ვერსიის თანახმად კი, 2003 წლის 2 აპრილს ძალის დაკბენილი ბავშვი ქალაქ ბათუმის პირველი საავადმყოფოს ანტირაბიულ ცენტრში მიიყვანეს, სადაც მას ნაკბენი დაუმუშავეს და დაუნიშნეს ანტირაბიული ვაქცინა ქვეყანაში მოქმედი სტანდარტითა და საერთაშორისოდ აღიარებული სქემით. იმ ხანად ანტირაბიული ვაქცინით მომარაგებაში შექმნილი დეფიციტის გამო, საჭირო ვაქცინა მშობლებმა ლიცენზირებულ აფთიაქ „ჰეკატემი“ შეიძინეს. მეოთხე ვაქცინის შემდეგ ბავშვი უეცრად ავად გახდა და ის მაღალი ტემპერატურით დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში მიიყვანეს, სადაც ეჭვი მიიტანეს ცოფზე, რის გამოც ინფექციურ საავადმყოფოში გადააგზავნეს. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მოინვია კონსილიუმი, რომელმაც გამორიცხა ცოფის დაავადება. 27 აპრილს ბავშვი გარდაიცვალა. დასკვნით დიაგნოზში მითითებულია მწვავე ენცეფალომიელიტი, პოლინიროპათია, ბულბალური დამბლა, ტეტრაპლეგია, ატონიური კომა.

ამასთანავე სამინისტროთა წარმომადგენლებმა სასამართლოს წარუდგინეს ვეტერინარული დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომ დამკბენი ძალის ცოფით დაავადება გამორიცხებული იყო და რომ ის აცრილი იყო ცოფის სანინალმდეგო ვაქცინით 2002 წლის აპრილში.

მოსარჩლეთა მითითებით, 10 ივნისს გაზეთ „ბათუმელებში“ გამოქვეყნდა ემზარ დიასამიძის მორიგი პუბლიკაცია, რომელშიც ავტორი მომხდარს პირდაპირ უკავშირებდა ჯანდაცვის მინისტრის პიროვნებას, თითქოს სამინისტრო და მინისტრი განზრახ ჩქმალავდნენ ინფორმაციას ბავშვის ცოფით გარდაცვალების შესახებ. ამგვარი გამონათქვამები მოსარჩლეებმა მიიჩნიეს ჯანდაცვის მესვეურთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ მიმართულად. მათი მტკიცებით, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში პანიკა მოჰყვა, შედეგად იმატა აცრების მსურველთა რიცხვმა. ნამატმა შეადგინა 200 ადამიანი, რაც სამინისტროს 20 ათასი ლარი დაუჯდა. დაზარალებულთა ოჯახის მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ მუქარებს ჯანდაცვის მუშაკების მიმართ.

მოსარჩლეებმა მოითხოვეს, მოპასუხეებს გამოექვეყნებინათ გავრცელებული ცნობების უარყოფა თანაზომადი ფორმით (იმავე გაზეთებში, იმავე შრიფტითა და ტირაჟით, იმავე გვერდებზე); საჯაროდ მოეხადათ ბოდიში ჯანდაცვის სამინისტროსა და მისი მედპერსონალის წინაშე; მორალური და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ კი სამინისტროს სასარგებლოდ გადაეხადათ 100 ათასი ლარი.

2003 წლის 29 აგვისტოს აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვა გა-

ზეთ „ბათუმელების“ ქონებაზე ყადაღის დადება. 2003 წლის 1 სექტემბრის განჩინებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და ყადაღა დაადო გაზეთ „ბათუმელების“ საკუთრებაში არსებულ პერსონალურ კომპიუტერებს, ქსეროქს, ციფრულ დიქტოფონს, ელექტრონული კვების წყაროებს და სხვა.

ხსენებული განჩინების გაუქმება მოითხოვა „ბათუმელების“ დირექციამ, რომელმაც კერძო საჩივარში მიუთითა, რომ დაყადაღებული ქონება წარმოადგენდა არა გაზეთ „ბათუმელების“, არამედ ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ საკუთრებას და მათ დროებით სარგებლობაში ჰქონდათ.

გადაწყვეტილება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – თ. ქათამაძე, დ. ანანიძე, თ. წულუკიძე) დააკმაყოფილა გაზეთ „ბათუმელების“ კერძო საჩივარი. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 1 სექტემბრის განჩინება და საქმე არსებითი განხილვისათვის¹² დაუბრუნდა იმავე სასამართლოს იმავე შემადგენლობას.

მოტივაცია: საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სასამართლომ არ მიიღო სათანადო ზომები იმისათვის, რათა გაერკვია, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენდა გაზეთ „ბათუმელებთან“ არსებული და დაყადაღებული ქონება. ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ გაცემული ცნობები ადასტურებს, რომ დაყადაღებული ქონება ამ ორგანიზაციის საკუთრებაა. აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რადგანაც ყადაღა დადებულია ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას.

იქვე პალატამ მიუთითა, რომ საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლომ უნდა დაკითხოს მხარეები განჩინებაში მითითებული ქონების საკუთრების შესახებ და სრულყოფილად გაარკვიოს ხსენებული ქონების საკუთრების საკითხი.

10 ოქტომბერი

¹² საქმეს მსვლელობა არ მიეცა იმის გამო, რომ შემდეგში მოსარჩლეებმა უარი თქვეს სარჩელზე.

„აგროტექნიკი“ და ფადი ასლი ეკა ქადაგიშვილის, რამაზ კორთხონჯიას, მარი ჭიჭინაძის, „ტრიბუნისა“ და „ჯორჯიან თაიმსის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2003 წლის 20 იანვარს შპს „აგროტექნიკმა“ და ფადი ასლიმ სარჩელი აღძრეს კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში ეკა ქადაგიშვილის, რამაზ კორთხონჯიას, მარი ჭიჭინაძის, მედია პოლიტინგ „ჯორჯიან თაიმსის“, გაზეთების „ტრიბუნა“ და „ჯორჯიან თაიმსის“ წინააღმდეგ. სარჩელის მიზეზი გახდა რამოდენიმე პუბლიკაცია. სახელდობრ:

1. 2002 წლის 16 დეკემბერს გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა ეკა ქადაგიშვილის, ხოლო „ჯორჯიან თაიმსში“ – მარი ჭიჭინაძის იდენტური შინაარსის სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე, სათაურით „სადიას გაყინული ქათმები ნიუკასლის დაავადებას ავრცელებს.“ ორთავე გაზეთის პირველ გვერდებზე გამოტანილი იყო შემდეგი შინაარსის ანონსი: „სადიას ქათმები დაავადებებს ავრცელებენ“. „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის ქვესათაური კი ასე უღერდა: „უფრთხილდით სადიას ქათმებს“.

„ჯორჯიან თაიმსის“ სტატია ინტერნეტის მეშვეობითაც (გაზეთის ვებ-გვერდზე) გავრცელდა. სტატია შეიცავდა ინტერვიუს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან ლევან რამიშვილთან. მართალია, რესპონდენტი აკრიტიკებდა საოლქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც დაკმაყოფილდა „აგროტექნიკის“ სარჩელი და გაუქმდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანების ის ნაწილი, რომელიც ბრაზილიას ეხებოდა, მაგრამ რამიშვილს არსად განუცხადებია, რომ „სადიას ქათმები დაავადებებს ავრცელებენ“. მოსარჩელეთა ცნობით, რესპონდენტს არც ქათმების ხარისხიანობა-უხარისხობის მტკიცების ობიექტური შესაძლებლობა აქვს, რადგან, ერთის მხრივ, დეპარტამენტს არ გააჩნია სახსრები, რათა თავისი წარმომადგენელი შემოწმების მიზნით ბრაზილიაში მიავლინოს, ხოლო მეორეს მხრივ, ვეტერინარიის დეპარტამენტი ნებართვას ვერ გაცემდა ბრაზილიაში მივლინების გარეშე.

2. 2002 წლის 31 დეკემბერს კი გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა რამაზ კორთხონჯიას სტატია, სახელწოდებით „ფადი ასლის დაავადებული ქათმების საიდუმლო“, რომელიც შეიცავდა ცნობებს იმის შესახებ, რომ სადიას ქათმები ნიუკასლის დაავადებებს ავრცელებენ; რომ ფადი ასლის საქართველოში ვადაგასული პროდუქტი შემოჰქონდა. მოსარჩელის განცხადებით, სტატია ასევე შეიცავდა კიდევ ერთ უზუსტობას, თითქოს შპს „აგროტექნიკს“ თავდაპირველად „ჯორჯიან ფუდსი“ ეწოდებოდა.

მოსარჩლეთა აზრით, სამთავე პუბლიკაციაში გავრცელებული ცნობები არის ყალბი და იგი სახელს უტეხს ფირმა „აგროტექნიკს“ და ლახავს მის საქმიან რეპუტაციას, რადგანაც სწორედ ხსენებულმა ფირმამ განახორციელა სადიას ქათმის იმპორტი საქართველოში. მოსარჩლეთა მითითებით, მოპასუხეებს არ გააჩნიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სადიას ქათმების მიერ ნიუკასლის დაავადების გავრცელებას. ეს ქმედება სასარჩლო განცხადებაში შეფასებულია როგორც „მართლსაწინააღმდეგობის მომეტებული ხარისხი“ და მოსარჩლეთა „უფლებების ბრალეული ხელყოფა.“

მოსარჩლეებმა მოითხოვეს:

○ ეკა ქადაგიშვილის, მარი ჭიჭინაძის, გაზეთების „ტრიბუნას“ და „ჯორჯიან თაიმსის“, ასევე მედია ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფა შემდეგი სახით: „სიცრუეა ის, რომ სადიას ქათმები ნიუკასლის დაავადებას ავრცელებენ.“ უარყოფის გამოქვეყნება „ტრიბუნისა“ და „ჯორჯიან თაიმსის“ პირველ გვერდებზე, თანაზომადი ფორმით.

○ რამაზ კორთხონჯიას, გაზეთ „ტრიბუნისა“ და მედია ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ მხრიდან კი როგორც სადიას ქათმების მიერ ნიუკასლის დაავადების ფაქტის, ასევე ფადი ასლის მიერ საქართველოში ვადაგასული პროდუქციის შემოტანის შესახებ ცნობის („სიცრუეა ის, რომ ფადი ასლის საქართველოში ვადაგასული პროდუქტი შემოჰქონდა.“) უარყოფა. უარყოფის გამოქვეყნება „ტრიბუნის“ მეხუთე გვერდზე, თანაზომადი ფორმით.

○ გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ვებ-გვერდზე გავრცელებული ცნობების უარყოფა.

○ მიყენებული მორალური (არაქონებრივი) ზიანის საკომპენსაციოდ მოსარჩლეთა სასარგებლოდ 1 ლარის გადახდა.

2003 წლის 31 მარტს ფადი ასლიმ განცხადებით მიმართა სასამართლოს სასარჩლო მოთხოვნის გაზრდის შესახებ. მოსარჩლის ცნობით, 2003 წლის 27 მარტს „ჯორჯიან თაიმსში“ გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „ფადი ასლის „ჯთ“ ქათმის ძვალევიტ ყელში გაეჩხირა.“ ხსენებულ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ფადი ასლიმ საქართველოში შემოიტანა ქათმის პროდუქტი, რომელიც გზაში გაფუჭდა და რომ მან ნელინაძნახევრის განმავლობაში მრავალი „კრიშა“ გამოიცვალა, ხსენებულ მომენტში კი მას ნუგზარ შევარდნაძე მფარველობდა.

მოსარჩლემ ეს ცნობებიც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული სიკეთის ხელყოფად შეაფასა და მოპასუხისაგან მოითხოვა გავრცელებული ცნობების უარყოფა, შემდეგი ფორმულირებით:

„ა) სიცრუეა ის, რომ ფადი ასლის საქართველოში გაფუჭებული ქათმის პროდუქტი ჩამოაქვს;

ბ) სიცრუეა ის, რომ ფადი ასლის ბიზნესს საქართველოში მფარველი ჰყავს.“ მოსარჩლემ ასევე მოითხოვა „ჯორჯიან თაიმსის“ ვებ-გვერდიდან სადიას პროდუქციისა და ფადი ასლის შესახებ ყალბი ცნობების შემცველი სტატიების ამოღება.

მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო და მოსარჩლის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ გამოიტანა დაუსრულებელი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება: კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – პ. ნოზაძე) სარჩელი დააკმაყოფილა და დაავალა მოპასუხეებს ცნობების უარყოფა იმის შესახებ, რომ „სადიას“ ქათმები ნიუკასლის დაავადებებს ავრცელებდნენ და ფადი ასლის საქართველოში ვადაგადაცილებული პროდუქტები შემოჰქონდა.

მოტივაცია: სსკ-ის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და გააკეთა დასკვნა, რომ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოსარჩლეთა მოთხოვნას.

სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია და არაფერი უთქვამს მორალური ზიანის შესახებ, რისი კომპენსაციაც ერთი ლარის ოდენობით მოსარჩლებმა მოითხოვეს.

15 ოქტომბერი

აკაკი ჩხაიძე გოჩა ცქიტიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 18 სექტემბერს აკაკი ჩხაიძემ საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგის კვლევის ცენტრის „აი-ტი-ემ“-ის (იგულისხმება „აი-პი-ემ“-ი – რედ.) ხელმძღვანელის გოჩა ცქიტიშვილის წინააღმდეგ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მიმართა. მოსარჩლის უკმაყოფილება გამოიწვია გაზეთ „ახალ თაობაში“ 2003 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ გოჩა ცქიტიშვილთან, სათაურით „საქართველოში არაფერი გვეშველება, დავრჩებით ისევ მუწუკად!“

აკაკი ჩხაიძემ სიყალბედ მიიჩნია გოჩა ცქიტიშვილის მიერ გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ „სახელისუფლო ბლოკის ერთ-ერთ ლიდერად აკაკი ჩხაიძე მოგვევლინა, ადამიანი, რომელმაც ჩაშალა რკინიგზის რეკონსტრუქციის 60-მილიონიანი პროექტი და ფული, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს კუთვნილება იყო, ჯიბეში ჩაიდო.“

მოსარჩლის განცხადებით, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობის პერიოდში მისთვის განსახილველად არავის წარუდგენია 60 მილიონიანი პროექტი და რადგან საქმე არარსებულ პროექტს შეეხებოდა, შესაბამისად, ის ვერც თანხას მიითვისებდა.

აკაკი ჩხაიძის განცხადებით, არასწორი ცნობების გავრცელებით მოპასუხემ შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლების საფუძველზე, მოსარჩლემ გოჩა ცქიტიშვილისაგან მოითხოვა მის შესახებ გავრცელებული ყალბი ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა და ბოდიშის მოხდა; ამასთანავე, მიყენებული მორალური ზიანის საზღაურად 5 ათასი ლარის გადახდა.

განჩინება: მოსამართლე ზ. მეზონიამ შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: აკაკი ჩხაიძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და უარი თქვა სარჩელზე მოპასუხე მხარესთან მორიგების გამო.

17 ოქტომბერი

აკაკი ჩხაიძე „თავისუფალი გაზეთისა“ და ჟურნალისტ გია მგელაძის წინააღმდეგ

სარჩელი: 2003 წლის 12 აგვისტოს აკაკი ჩხაიძემ სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს „თავისუფალი გაზეთისა“ და ამავე გაზეთის ჟურნალისტის გია მგელაძის წინააღმდეგ. მოსარჩლემ სადავო გახადა პუბლიკაცია, სათაურით „პრეზიდენტის სკანდალური განკარგულება – აკაკი ჩხაიძე საქართველოს მესამედის მფლობელი ხდება – ეს პატარა საქართველო შენია.“

სტატიის თანახმად, „თავისუფალმა გაზეთმა“ კანცელარიაში მომზადებული პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი მოიპოვა, რომლის მიხედვითაც აკაკი ჩხაიძეს, რკინიგზის სარგებლობაში არსებული მიწები, ანუ საქართველოს ტერიტორიის სოლიდური ნაწილი, უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს.“ ამავე პუბლიკაციის მიხედვით, „ჩხაიძეს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებით, უფლება ეძლევა, საქართველოს თითქმის მესამედზე ააშენოს ნებისმიერი შენობა-ნაგებობა და ეს ობიექტები სურვილის მიხედვით გააქირაოს ან სულაც გაასხვისოს... ჩვენი კანონმდებლობა უსასყიდლო აღნაგობის უფლებას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ სასყიდლიან აღნაგობაზეა საუბარი, მაგრამ საქართველოში პრეზიდენტის ახლობლობა, რომ კანონზე მაღლა დგას, ეს არავისთვისაა უცხო.“

მოსარჩლემ აღნიშნული ცნობები შეაფასა როგორც სიყალბე და მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. მისი მტკიცებით, არ არსებობს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი, რომლითაც მას – აკაკი ჩხაიძეს რკინიგზის სარგებლობაში არსებული მიწები უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს, ან მიეცეს მათზე შენობების აშენებისა და გაქირავება-გასხვისების უფლება და ა.შ.

მოსარჩლემ მიუთითა 2003 წლის 24-30 ივნისს გამოქვეყნებულ გია მგელაძის მეორე პუბლიკაციაზე „აკაკი ჩხაიძემ ნათელაშვილს, დუმილის სანაცელოდ, 10 000 აშშ დოლარი გადაუხადა“. ანონიმ ინფორმატორზე დაყრდნობით, ყურნალისტი აცხადებდა, რომ აკაკი ჩხაიძემ შალვა ნათელაშვილს 10 ათასი დოლარი ჩხაიძესა და ალექსანდრე მალაფერიძის დაპირისპირებაში ჩაურევლობის გამო გადაუხადა.

აკაკი ჩხაიძის აზრით, „თავისუფალ გაზეთში“ გია მგელაძის მიერ გავრცელებული ცნობები არ შეეფერება სინამდვილეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17, სამოქალაქო კოდექსის მე-18-ე და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე და 25-ე მუხლების საფუძველზე, მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის სახით კი 20 ათასი ლარის გადახდა.

გია მგელაძემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგ გარემოებათა გამო:

ყურნალისტმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე, რომლის თანახმად, პირს უფლება აქვს, მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება. მოპასუხის განმარტებით, არ შეიძლება პუბლიკაციაში აღნიშნული გამონათქვამების მიჩნევა ისეთ ცნობებად, რომლისგანაც დაცულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებები. გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ჩამოუყალიბდა ყურნალისტს და რა პასუხიც მიიღო მან დასმულ შეკითხვებზე.

სასამართლო პროცესზე, პაექრობის ეტაპზე მოსარჩლის წარმომადგენელმა ა. კბილაშვილმა უარი თქვა სასარჩელო განცხადებაზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

გადაწყვეტილება: სასამართლომ (მოსამართლე – თ. ჯალიაშვილი) შეწყვეტა საქმის წარმოება

მოტივაცია: სსსკ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩლე უარს ამბობს სარჩელზე.

ევგენი ჯულაშვილი გრიშა ონიანის წინააღმდეგ

სარჩელი: 2000 წლის 10 თებერვალს ევგენი ჯულაშვილმა სარჩელი აღძრა გრიშა ონიანის წინააღმდეგ, რის საფუძვლადაც მოპასუხის მიერ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება მიუთითა. სახელდობრ:

გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (28 აგვისტო, 1999 წ.) და ჟურნალ „სარკეში“ (11-18 აგვისტო, 1999წ.) გამოქვეყნებულ ინტერვიუებში გრიშა ონიანმა მოსარჩლე მოიხსენია „ნაძირალად“ და „ნაბიჭვრად“, ასევე აღნიშნა: „იოსებ სტალინს არ ჰყავს შვილიშვილი სახელად - ე. ჯულაშვილი“; „ბელადის ვითომ შვილიშვილი, ვინმე ე. ჯულაშვილი“; „ე. ჯულაშვილი არ არის სტალინის შვილიშვილი“; „ე. ჯულაშვილი გვარად რაბინოვიჩია“; „ე. ჯულაშვილი სტალინის ძალად შვილიშვილია“; „ე. ჯულაშვილი სიონისტების მიერ სტალინის დისკრედიტაციისათვის შექმნილი პირია“; „იგი უცხოეთის სპეტსამსახურებთან კავშირში იმყოფებოდა“.

მოსარჩლის განცხადებით, პრესის მეშვეობით გავრცელებული ეს ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს და ლახავს მის პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას. მან მოპასუხისაგან მოითხოვა გავრცელებული ცნობების უარყოფა, ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 50 ათასი ლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას, როგორც საზოგადოება „სტალინის“ პრეზიდენტის თავმჯდომარეს წესდების საფუძველზე ევალება სტალინის ფენომენთან დაკავშირებული დოკუმენტების, ისტორიული და ჟურნალისტური მასალის დამუშავება. გამოკვლევის საფუძველზე კი საზოგადოება „სტალინი“ მივიდა დასკვნამდე, რომ ე. ჯულაშვილი არ არის სტალინის შვილიშვილი. მოპასუხის აზრით, მოსარჩლემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მისი პიროვნების დამადასტურებელი ვერც ერთი საბუთის დედანი და წარმოადგინა მხოლოდ ასლები, რომლებიც სტალინის გარდაცვალების შემდეგაა გაცემული.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ, 2001 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. გრიშა ონიანს დაეკისრა მის მიერ მოსარჩლის შესახებ გავრცელებული შემდეგი ცნობების უარყოფა: რომ „ე. ჯულაშვილი სიონისტების მიერ სტალინის დისკრედიტაციისათვის შექმნილი პირია“ და „იგი უცხოეთის სპეტსამსახურებთან კავშირში იმყოფებოდა“. უარყოფა უნდა მომხდარიყო იმავე საინფორმაციო საშუალებებით, რომლებითაც გავრცელდა ინფორმაცია და საკუთარი სახსრებით. მოპასუხეს ასევე დაეკისრა მოსარჩლისათვის საჯაროდ („ასავალ-დასავალი“, „სარკე“) ბოდიშის მოხდა ისეთი შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო, როგორიცაა „ნაძირალა“ და „ნაბიჭვარი“. რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში.

ხსენებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გრიშა ონიანმა.

თბილისის საოლქო სასამართლომ, 2002 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სახელდობრ: ბოდის მოხდის ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი. მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში კი საქმე წარმოებით შეწყდა, თავად მოსარჩლის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთანავე, გრიშა ონიანს დაევალა სარჩელში მითითებული სხვა გამონათქვამების უარყოფაც.

საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 413-ე, მე-18 მუხლის მეორე და მესამე ნაწილები. სარჩელის მოთხოვნა ბოდის მოხდის ნაწილში კი უსაფუძველოდ მიიჩნია, რადგან ასეთს კანონი არ ითვალისწინებს.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გრიშა ონიანმა და მიუთითა, რომ კასატორმა არასწორად გადაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი. მოსარჩლემ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი დოკუმენტის დედანი, რომელიც სტალინის სიცოცხლეში იქნებოდა გაცემული და მის იდენტიფიცირებას მოახდენდა. ამასთანავე აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ დაარღვია სსკ-ს მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს სამართალწარმოების ენას, როცა მიიღო მოსარჩლის მიერ რუსულ ენაზე წარმოდგენილი საბუთები.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და აკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოტივაცია: პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, თითქოს სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლების აღმდგენი სარჩელის განხილვის დროს მოპასუხე ვალდებული, სათანადო მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენის გზით, დაადასტუროს მის მიერ გავრცელებული ცნობების რეალურობა.

პალატამ არც კასატორის ის მოსაზრება გაიზიარა, თითქოს სასამართლომ დაარღვია სსკ-ს მე-9 მუხლი. მართალია, მოსარჩლემ წარადგინა რუსულ ენაზე შედგენილი საბუთები, მაგრამ სასამართლოს ისინი მტკიცებულებებად არ შეუფასებია და ამ საბუთების საფუძველზე არ დაუდგენია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რადგან მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეზე მოდიოდა.

ვ. კვარაცხელია ნ. გიორგაძე-სირაძისა და ე. მთიულიშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 22 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ქალაქ რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ვ. კვარაცხელიამ. მოსარჩლის ცნობით, რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და მშობლების ნაწილმა ნერილობით განცხადებაში აღნიშნეს, რომ იგი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მოსწავლეებს, ამით კი შეილახა მისი პატივი და ღირსება.

მოსარჩლემ მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისთვის – ნ. გიორგაძე-სირაძისა და ე. მთიულიშვილისთვის 200-200 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ, 2002 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა ვ. კვარაცხელიამ. საოლქო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და განმარტა, რომ მოსარჩლემ ვერ დაადასტურა ე. მთიულიშვილისა და ნ. სირაძის მიერ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი, რის გამოც არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების იურიდიული საფუძველი.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. კვარაცხელიამ. მან განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და აკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) დააკმაყოფილა რუსთაველი პედაგოგის საკასაციო საჩივარი, გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის იმავე სასამართლოს დაუბრუნა.

მოტივაცია: პალატამ მიუთითა სსკ-ს 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, 294-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, 105-ე მუხლის მეორე ნაწილზე, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად დასაბუთებული არ იყო, რაც მისი სამართლებრივი საფუძვლების შემონმებას შეუძლებელს ხდიდა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის განმარტებისას, პალატამ აღნიშნა, რომ პატივისა და ღირსების შელახვაში იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირების შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებებს

მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ და წარმოადგენს პირის მიერ სასამართლოს მეშვეობით ამგვარი ცნობების უარყოფის მოთხოვნის საფუძველს.

უზენაესი ინსტანციის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე, რის საფუძველზეც დაასკვნა, რომ ვ. კვარაცხელიამ ვერ დაადასტურა მოპასუხეების მიერ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი. ასევე არ მიუთითა, თუ რატომ არ მიაჩნია მოსარჩლის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები მისი პატივისა და ღირსების შემლახველად.

28 ნოემბერი

მერაბ ტყეშელაშვილი „ჯორჯიან თაიმსის“ და ნათია ომაძის წინააღმდეგ

სარჩელი: 2003 წლის 27 ოქტომბერს რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ წინააღმდეგ კრწანისი-მთანმინდის სასამართლოს მიმართა, საჩივრის საფუძველად კი მიუთითა 2003 წლის 16-23 ოქტომბერს „ჯორჯიან თაიმსში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „კრიმინალები სოსო ალავიძეს გაადეპუტატებენ?“

მოსარჩლის განცხადებით, სტატია შეიცავს გამოგონილ და შეურაცხმყოფელ ინფორმაციებს, რომლებიც ლახავენ მის პატივსა და ღირსებას. სახელდობრ: თითქოს ის ქალაქის მერის პოსტზე არჩევნების გაყალბების გზით მოვიდა და რომ „ყველაზე აქტიური გამყალბებლები დღეს ქალაქის ყველაზე შემოსავლიან თანამდებობებზე მოკალათდნენ.“ მოსარჩლემ მოითხოვა ამ ინფორმაციის დასაბუთება და იმ „გამყალბებლების“ დასახელება, ვინც მან „შემოსავლიან თანამდებობებზე“ დანიშნა.

რუსთავის მერმა ცრუ ინფორმაციად შეაფასა ასევე ცნობები იმის შესახებ, რომ მისი მერობის პერიოდში რუსთავი „ერთი პირის საწარმოდ“ იქცა და ქალაქში არსებული კომერციული საწარმოებიდან შემოსავლები მის ჯიბეში მიდის; რომ „დამოუკიდებელი სამსახურების“ მიმართ ის დღესაც „ძალადობის მეთოდებს“ მიმართავს.

„ყველაზე საინტერესო და აბსურდულ“ ბრალდებად კი მოსარჩლემ კრიმინალებთან კავშირში მისი დადანაშაულება მიიჩნია. სასარჩელო განცხადებაში ნათ-

ქვამია, რომ მისი „პომპეზური იუბილე“, როგორც მას სტატიის ავტორი უწოდებს, სინამდვილეში ჯვართამაღლების დღესასწაულსა და რუსთავეში თეატრალური ფესტივალისადმი მიძღვნილ საღამოზე ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენელთა სტუმრობა იყო. ამდენად, მერაბ ტყეშელაშვილმა მთელი ქალაქისათვის შეურაცხყოფელად ჩათვალა ამ პატივსაცემი ადამიანების „შავი სამყაროსათვის“ მიკუთვნება.

რუსთავის მერმა სასარჩელო განცხადებაში მიუთითა პიროვნების შეურაცხყოფელ ისეთი გამონათქვამზე, როგორცაა „ახალბედა ქალაქის თავს იმ დროისათვის წერა-კითხვაც კი ნაკლებად ეხერხებოდა“ და გაკვირვება გამოთქვა, თუ „რატომ დასჭირდა ნათია ომაძეს, პიროვნებას, რომელსაც არც კი ვიცნობ, ჩემთვის ამგვარი ზიანის მოყენება?“ (მ.ტ.).

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მე-20, 24-ე და 25-ე მუხლების, ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე მერაბ ტყეშელაშვილმა მოითხოვა გავრცელებული ცნობების უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებაში, თანაზომადი ფორმით (იმავე გვერდზე, იმავე შრიფტით).

პროცესზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

გადაწყვეტილება: კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ჯალიაშვილი) დააკმაყოფილა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და დაავალა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსსა“ და ჟურნალისტ ნათია ომაძეს გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, შემდეგი სახით:

„ალავიძისათვის სპეციალურად შექმნილ სავარძელს იმ დროიდანვე გადუპუტატების სუნი აუვიდა. მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად დანიშვნას ორმა ვიცე-მერმა პროტესტით უპასუხა, ისინი თანამდებობიდან გადადგნენ“, – აღნიშნული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება და ყალბია.

„მომდევნო არჩევნების დროს ტყეშელაშვილი მამალაძესთან უკვე მამასისხლად არის გადამტერებული, ამის მიუხედავად მაინც იმარჯვებს. ეს კი იმის ფონზე ხდება, როცა ამომრჩეველთა რაოდენობა წინა არჩევნებთან შედარებით ორმაგი ხდება. მოგვიანებით რუსთაველებმა ისიც დაინახეს, რომ საარჩევნო უბნებზე ყველაზე აქტიური გამყალბებლები დღეს ყველაზე შემოსავლიან თანამდებობებზე მოკალათდნენ.“ – აღნიშნული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება და ყალბია.

○ „რუსთავს ერთი პირის საწარმო დაერქვა... კომერციული შუქიდან მიღებული დამატებითი თეთრები ტყეშელაშვილთან მიდის და ასეთი კომპანიების უკან სწორედ ის დგას,“ – აღნიშნული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება და ყალბია.

○ „ცოტა ხნის წინ მერმა თავისი იუბილე დიდი პომპეზურობით აღნიშნა... შევიტყვეთ, რომ იუბილეს შავი სამყაროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა ესწრებოდა და მათ გარემოცვაში იუბილარიც და მისი პროტეჟეც მეტად დაახლოებულ პირებად ითვლებოდნენ,“ – აღნიშნული ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს და ყალბია.

○ „ქალაქის მერი იმ შენობიდან კუდამოძუებული გაიპარა, სადაც მის მაშინდელ მეგობარ რწმუნებულს მამალაძეს მხედრიონელები თავს უჩეჩქვავდნენ,“ – აღნიშნული ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება და ყალბია.

მოტივაცია: საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ამასთანავე, სასამართლოს აზრით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მერაბ ტყეშელაშვილის სასარჩელო მოთხოვნას.

23 დეკემბერი

მ. ბუაჩიძე ლ. ლომსაძის წინააღმდეგ

საჩივარი: მ. ბუაჩიძესა და ლ. ლომსაძეს შორის სასამართლო დავის მიზეზი 2001 წლის 5 მარტს სააქციო საზოგადოება „ბორჯომის“ №1 ჩამომსხმელი ქარხნის ეზოს ტერიტორიაზე მომხდარი კონფლიქტი გახდა.

ქარხნის მუშათა და აქციონერთა უფლებების დარღვევის გამო მიმდინარე კონფლიქტის დროს, რომელსაც თანამშრომლებისა და აქციონერების გარდა ესწრებოდნენ ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი, „თი-ბი-სი“ ბანკის, ბორჯომის ტელევიზიის წარმომადგენლები და სხვა პირები, მ. ბუაჩიძის სიტყვებმა განსაკუთრებით გააღიზიანა ქარხნის დირექტორი ლ. ლომსაძე. ამ უკანასკნელმა კი მ. ბუაჩიძეს განუცხადა:

„შენ ხარ კრიმინალი ქალი, რომელიც ყველა დირექტორმა მოგხსნა გაფლანგვის, მოპარვისა და დანაკლისის გამო, მაგრამ შანტაჟითა და პროვოკაციებით აღდგენილი იყავი სამსახურში. ეს არ გავივა ლ. ლომსაძესთან. მთელი „ეტიკეტი“, „პროფკა“ შენი „პადვლიდან“ იყო ამოღებული. შენ ხარ კრიმინალი ქალი და დაგიმტკიცებ, რაც მოპარული გაქვს, დააბრუნებ, შენ ხარ ყოფილი ქურდი...“

აღნიშნული სიტყვების გამო ბორჯომის რაიონულმა სასამართლომ, 2003 წლის 11 აგვისტოს განაჩენით, ლ. ლომსაძე ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ს 148-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში – დანაშაულის დაბრალებით ცილისწამების ჩადენა. რაიონულმა სასამართლომ ლ. ლომსაძეს დააკისრა ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა.

სხენებული გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა

ლ. ლომსაძემ, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მისი გამართლება.

თბილისის საოლქო სასამართლომ ლ. ლომსაძის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, რის გამოც ამ უკანასკნელმა უზენაეს სასამართლოს მიმართა. ლ. ლომსაძემ მოითხოვა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. ტურავა, დ. სულაქველიძე, გ. ბორჩხაძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლ. ლომსაძის საჩივარი: გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ლ. ლომსაძის მიმართ კი შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

მოტივაცია: საქმის მასალებით დგინდება, რომ ლ. ლომსაძემ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რომელიც კვალიფიცირდება სსკ-ს 148-ე მუხლით, ჩაიდინა 2001 წლის 5 მარტს. აღნიშნული ქმედების თაობაზე სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება კერძო ბრალდების წესით. პალატის აზრით, ამ ტიპის დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონი გაცილებით მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე თავისუფლების აღკვეთას.

სსკ-ს 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზომა არ აღემატება ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, ხანდაზმულობის ვადა არის ორი წელი, რაც გამოითვლება მისი ჩადენის დღიდან.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, ლ. ლომსაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 2003 წლის 20 მარტს, ანუ მაშინ, როცა დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დინება, რომელიც გამოითვლება დანაშაულის ჩადენის დღიდან ამ დანაშაულისათვის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე, არ ყოფილა შეჩერებული ან შეწყვეტილი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუკი აღმოჩნდება, რომ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, საქმე უნდა შეწყდეს, მათ შორის საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის სტადიაზეც (ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად).

ქ. გ. და მ. რაისიანები ე. ხოდიკიანისა და ა. ამბარცუმიანის წინააღმდეგ

სარჩელი: ქ. გ. და მ. რაისიანებმა სარჩელი აღძრეს ე. ხოდიკიანისა და ა. ამბარცუმიანის წინააღმდეგ და საფუძვლად მიუთითეს 2000 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გადაცემა „50/50“-ის ეთერში მოპასუხეების მიერ გაკეთებული განცხადებები.

მოსარჩლეთა ცნობით, ხსენებულ სატელევიზიო გადაცემაში ქ. ახალქალაქის გამგებელმა ა. ამბარცუმიანმა მიმართა ხელისუფლებასა და ხალხს და აღნიშნა, რომ „თუ მას ახალქალაქის რაიონში არ ეყოლებოდა არასასურველი ხალხი რაისიანების სახით, იგი ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობას უკეთ წარმართავდა.“ საკრებულოს თავმჯდომარე ე. ხოდიკიანმა კი რაისიანების გვარის მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზები გამოიყენა, პროკურორს უწოდა კორუმპირებული ელემენტი, ასევე უპატივცემულოდ მოიხსენია მისი ძმა და მამა. ე. ხოდიკიანის თქმით, რაიონის პროკურორი უნდა მოიხსნას, რადგან იგი ხელს უწყობს ხულიგნებს, ნარკომანებსა და სხვა დამნაშავე ელემენტებს, ის და მისი ოჯახის გარემომცველი წრე ხულიგნები, ნარკომანები და მკვლელებიც კი არიან.

მოსარჩლეებმა მოითხოვეს გავრცელებული, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეებისათვის 15 000-15 000 ლარის დაკისრება.

ბორჯომის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი: ე. ხოდიკიანს დააკისრა 15 ათასი ლარის, ხოლო ა. ამბარცუმიანს – 5 ათასი ლარის გადახდა; ასევე მოსარჩლეთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გაბათილება იმავე გადაცემის მეშვეობით.

ხსენებული გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს მოპასუხეებმა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რაიონული ინსტანციის გადაწყვეტილება და გაათავისუფლა ა. ამბარცუმიანი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო ე. ხოდიკიანს დააკისრა მოსარჩლეთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა; მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი – 1 000 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორთავე მხარემ.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, ლ. გოჩელაშვილი, მ. ნიქვაძე) გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისთვის იმავე სასამართლოს დაუბრუნა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა რაისიანების შეგებებული სარჩელი.

მოტივაცია: სსკ-ს 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადანყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, უზენაესი ინსტანციის აზრით, კანონდარღვევა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სასამართლომ უგულებელყო ამავე კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესი. კერძოდ, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ არ მიუთითა იმ მტკიცებულებებზე, რომელთაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი, რაც სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უარყოფის საფუძველი გახდა. ამასთან, სასამართლომ საკმარისად არ დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის გამოყენების (კვალიფიკაციის) საფუძვლიანობას დაასაბუთებდა. გასაჩივრებული გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არაფერია ნათქვამი, თუ რა მტკიცებულებების წარდგენით და რა გარემოებებზე მითითებით იცავდა მოპასუხე თავს სარჩელისაგან, რა მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ გავრცელებული ცნობები დიფამაციური ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ შეუძლებელია გადანყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა. ამ გარემოების გამო სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისთვის უკან დააბრუნა და დაავალა ქვემდგომ ინსტანციას, გაერკვია გამოთქმული მოსაზრებები მართლაც ლახავდა მოსარჩლეთა პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას თუ თავსდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ მოდავე მხარეები იმ ხანად, საჯარო მოხელეებს წარმოადგენდნენ.

პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია არაგონივრულად რაიონული სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური ზიანის ოდენობა.

28 იანვარი

აკაკი ჩხაიძე „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალექსანდრე მალლაფერიძის წინააღმდეგ

სარჩელი: აკაკი ჩხაიძემ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალექსანდრე

მალაფერიძის წინააღმდეგ და სარჩელის საფუძვლად 2002 წლის 27 ოქტომბერსა და 24 ნოემბერს ტელეკომპანიის ეთერით, გადაცემა „60 წუთის“ მეშვეობით გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები მიუთითა.

მოსარჩლემ სადავო გახადა შემდეგი ცნობები:

1. რომ ის არის საქართველოს პრეზიდენტის ოჯახის პირადი ფინანსისტი, რომელიც ფულს საზღვარგარეთ ათეთრებს, ხოლო ბიზნესმენს, რომელიც მასთან თანამშრომლობაზე უარს იტყვის, მოკვლით ემუქრება.

2. ფულის გათეთრების დასტურად გადაცემაში მოყვანილია ფაქტი იმის შესახებ, რომ რკინიგზის დეპარტამენტმა ფირმა „არგომარ ოილის“ მეშვეობით ალ. მალაფერიძეს გადაურიცხა ნახევარი მილიონი დოლარი, ხოლო თანხის მეორე ნაწილის მისაღებად აკაკი ჩხაიძემ ალ. მალაფერიძეს ფულის გათეთრება მოსთხოვა: ამ უკანასკნელს გადარიცხული თანხა ნაღდი ფულის სახით მოსარჩლისათვის უნდა დაებრუნებინა.

3. რომ 2000 წლის 6 იანვარს აკაკი ჩხაიძემ კაბინეტში დაიბარა ალ. მალაფერიძე და ე.წ. „შპალეების“ საქმიდან მას ნახევარი მილიონი დოლარი მოსთხოვა.

4. თითქოს სატელეფონო საუბარში აკაკი ჩხაიძე ალ. მალაფერიძეს დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანით, ანუ მოკვლით დაემუქრა, რის დასტურადაც გადაცემაში მოყვანილია მუქარის შემცველი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი.

5. რომ გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს შემდეგ, სადაც მოსარჩლის გვარი არ ყოფილა მოხსენიებული, აკაკი ჩხაიძემ დაურეკა ალ. მალაფერიძეს და პატიება სთხოვა, რის დასტურადაც გადაცემაში მოყვანილია სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც მოსარჩლე ბოდიშს უხდის ალ. მალაფერიძეს.

6. რომ მოსარჩლე ალ. მალაფერიძის მკვლელობაში ჩათრევას ცდილობდა. თავად ალ. მალაფერიძის მტკიცებით, მოსარჩლის კარის მეზობლის, მურად ნიკლაურის მოკვლის მიზნით, აკაკი ჩხაიძემ ალ. მალაფერიძეს სთხოვა შსს-ს თანამშრომლისათვის, ვინმე პანო კობრეიძისათვის გადაეცა საწყისი თანხა – 25 ათასი აშშ დოლარი, დანარჩენი 25 ათასი კი მკვლელობის შემდეგ მიეცა მისთვის. გადაცემაში აღინიშნა, რომ მურად ნიკლაური მოკლეს.

7. რომ 5 წლის წინ საქართველოს პრეზიდენტმა სარკინიგზო გადაზიდვების ტარიფები გაანახევრა, ხოლო განახევრებამდე ერთი თვით ადრე აკაკი ჩხაიძემ ის გააორმაგა, რითაც შეინარჩუნა გაბერბილი გადასახადები. ამის გამო კი ტვირთების გადამზიდვეები უპირატესობას რუსეთის მარშრუტს ანიჭებენ, შედეგად კი საქართველოს ადგება ზარალი.

8. რომ ევროკავშირმა რკინიგზის რეფორმისათვის მნიშვნელოვანი თანხა გამოჰყო, მაგრამ აკაკი ჩხაიძემ ეს პროექტი თაროზე შემოდო და მსვლელობა არ მისცა.

9. რომ რკინიგზიდან მითვისებული ფულის დიდ ნაწილს აკაკი ჩხაიძე სპორტული კომპლექსების მშენებლობაში „რეცხავს“.

10. რომ აშშ-ს ფედერალური ძიების ბიუროს მასალების თანახმად, აკაკი ჩხაიძეს კავშირი აქვს რუსეთის ორგანიზებული დანაშაულის წევრებთან.

11. როცა საქართველოს რკინიგზის ბოლოდროინდელი საშუალო წლიური მოგება 45 მილიონ ლარს შეადგენს, ბიუჯეტში მხოლოდ 2 მილიონი ლარი ირიცხება. 1998 წელს კი რკინიგზის სუფთა მოგებამ 14 მილიონი ლარი შეადგინა მაშინ, როდესაც აკაკი ჩხაიძის განცხადებით, ამ წელს რკინიგზას მოგება არ ჰქონია. უურნალისტური გამოძიების თანახმად, აკაკი ჩხაიძე რკინიგზის მთელ შემოსავალს – 200 მილიონს ერთპიროვნულად განკარგავს.

12. იმის დასტურად, თუ როგორ არ ჰყოფნის აკაკი ჩხაიძეს ფული, გადაცემაში მოყვანილია სატელეფონო საუბარი, სადაც მოსარჩლე საუბრობს, თუ როგორ უნდა გადაუხადოს პროცენტი ერთ-ერთ სახელმწიფო მოხელეს აშშ-ს მთავრობისგან მისაღები კრედიტიდან.

13. რომ კალიფორნიის საემიგრაციო სასამართლომ იმსჯელა მალლაფერიძის დეპორტაციაზე, მაგრამ ფედერალური გამოძიების ბიუროდან მიღებული დასკვნის საფუძველზე, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი აწერს ხელს, უარყოფითი დასკვნა მიიღო. გადაცემაში წაიკითხეს ფრაგმენტი ხსენებული დასკვნიდან: „ფედერალური გამოძიების ბიურომ დაადგინა, რომ ბატონ მალლაფერიძეს და მის ოჯახს ემუქრება თანამდებობის პირი, რომლის სახელია ბატონი აკაკი ჩხაიძე, რომელსაც როგორც გაირკვა, აქვს კავშირები რუსეთის უმაღლესი დონის ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებთან. აღნიშნულმა თანამდებობის პირმა სცადა ფული გამოეძალა ბატონ მალლაფერიძისაგან, საბოლოოდ დაემუქრა, რომ მოკლავდა მას და მისი ოჯახის წევრებს. დასასრულს ჩვენი შეფასებაა, რომ ბატონი მალლაფერიძე და მისი ოჯახი აღმოჩნდება სერიოზული ფიზიკური საფრთხის წინაშე, თუ ისინი დაბრუნდებიან საქართველოში.“

14. რომ რკინიგზის დეპარტამენტი არ იხდის გადასახადებს და აშშ-ს მთავრობა აკაკი ჩხაიძის საქმიანობას ევრაზიის დერეფნის შემაფერხებლად მიიჩნევს.

15. გადაცემაში ითქვა, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე აღიარებს, რომ ჩხაიძის უწყებაში კონტრაბანდა მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს, რომ საზღვრის გადმოკვეთისას სარკინიგზო შემადგენლობის აღრიცხვას მესაზღვრეები აკაკი ჩხაიძის მხრიდან ზენოლის გამო ვერ ახერხებენ.

ზემოთ ჩამოთვლილი ცნობები მოსარჩლემ მიიჩნია სიყალბედ, რომელიც უხეშად ლახავს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. მან მოპასუხე-

ებისაგან მოითხოვა გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უარყოფა; მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი მათთვის მილიონი დოლარის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და შემდეგ გარემოებებზე მიუთითეს: აკაკი ჩხაიძე ზოგ შემთხვევაში არასწორად ახდენდა გადაცემაში მოყვანილი ფრაზების ციტირებას, ზოგიერთ ეპიზოდში კი ყურნალისტი და საინფორმაციო საშუალება არასათანადო მოპასუხეები იყვნენ, რადგან სადავო ინფორმაციის წყარო იყო ალექსანდრე მალლაფერიძე, მალლაფერიძისა და თავად მოსარჩლის საუბრის აუდიო ჩანაწერი, ასევე ფედერალური ბიუროს დასკვნა და სხვა ოფიციალური დოკუმენტები.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლეები – გ. გულედანი, მ. ჯიყაშვილი, მ. ხოლოაშვილი) დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხეებს დაევალოთ გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებით უარყოფა; ასევე აკაკი ჩხაიძის სასარგებლოდ სოლიდარულად მილიონი ლარის გადახდა.

მოტივაცია: სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:

1. კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ „60 წუთის“ მეშვეობით აკაკი ჩხაიძის შესახებ გავრცელდა სინამდვილესთან შეუსაბამო და მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები.

სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ლინგენსის საქმეზე დადგენილ სტანდარტებზე, სახელდობრ: „ზუსტად უნდა დადგინდეს ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავება. ფაქტების არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს მაშინ, როცა მოსაზრებები არ ექვემდებარება მტკიცებულებებს.“ და „შეხვედულებების სიმართლის დამტკიცების მიმართ – შეუძლებელია ამ მოთხოვნის შესრულება. იგი თავად არღვევს აზრის თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების ფუნდამენტურ ნაწილს.“

ზემოხსენებული სტანდარტის საფუძველზე კოლეგიამ ჩათვალა, რომ „რუსთავი 2“-ისა და აკაკი გოგორაიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის ცნობები ფაქტების შესახებ, რომელთაც მტკიცება სჭირდება. სინამდვილესთან შესაბამისობის ტვირთი კი ლინგენსის საქმეზე დადგენილი სტანდარტითა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეკისრება მის გამავრცელებელს. სასამართლოს მითითებით, მოპასუხეებს ევალებათ გავრცელებული ცნობების ნამდვილობის მტკიცება და არა ინფორმაციის წყაროზე მითითება, როგორც ეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხეებმა გააკეთეს.

კოლეგიის აზრით, მოპასუხეების მიერ ფაქტების შესახებ გავრცელებული ცნობები აშკარად ლახავს აკაკი ჩხაიძის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, რადგანაც შეიცავს მტკიცებას მოსარჩლის მიერ დანაშაულისა და სხვა უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

2. მოპასუხეების მიერ გავრცელებული ცნობების უსაფუძვლობას ადასტურებს საქართველოს გენერალური პროკურატურის 2003 წლის 15 მაისის დადგენილება პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, ასევე აუდიტორული დასკვნა და შპს „საქართველოს რკინიგზის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული სასამართლო ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა.

3. სასამართლოს აზრით, ტელეკომპანიამ და „ბი წუთის“ ავტორმა ტენდენციურად გააშუქეს ა. მალაფერიძისა და სხვა რესპონდენტების მიერ გავრცელებული ცნობები. აკაკი გოგიჩაიშვილმა კი თავისი დასკვნებით მეტი დამაჯერებლობა შესძინა ამ ცნობებს და საზოგადოებას მიანოდა ისინი როგორც უტყუარი და დადასტურებული ფაქტები, რითაც შელახა მოსარჩლის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

გავრცელებული ცნობების ნამდვილობის მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში ეკისრება მის გამავრცელებელს. ამის დასტურად სასამართლომ კვლავ ევროსასამართლოს პრეცედენტს მოუხმო: „*ჟურნალისტები ასეთ შემთხვევაში ვერ გაექცევიან სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობას, თუკი ისინი ვერ დაამტკიცებენ თავინთი განაცხადის სიმართლეს*“ (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ). კოლეგიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ ჟურნალისტი არ უნდა დაისაჯოს ისეთი ცნობების გავრცელებისათვის, რომელიც შეიცავს დანაშაულს, მაგრამ არ დადასტურდა, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს პრაქტიკას.

4. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტებით განსაზღვრულია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაძლებელია შეიზღუდოს აღნიშნული უფლებების განხორციელება საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად. პრეცედენტი – ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ – ავსებს და აზუსტებს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სიტყვების – „*ვალდებულებისა*“ და „*პასუხისმგებლობის*“ მნიშვნელობას, რაც გულისხმობს პირის ვალდებულებას, მიანოდოს საზოგადოებას სწორი ინფორმაცია. იმის დასტურად, რომ პირს ეკისრება პასუხისმგებლობა, ამტკიცოს გავრცელებული ცნო-

ბების ნამდვილობა, კოლეგიამ მოუხმო ევროსასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს საქმეზე ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ. ხსენებული სტანდარტის თანახმად, „თითოეული პიროვნება, ვინც სარგებლობს მისთვის კონვენციით მინიჭებული უფლებებითა და თავისუფლებით, საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას და კისრულობს პასუხისმგებლობას, რაშიც იგულისხმება იმგვარი გამოხატვისაგან თავის შეკავება, რომელიც უმიზეზოდ შეურაცხყოფს სხვებს, წარმოადგენს მათი უფლებების შელახვას, არაფერს მატებს ადამიანურ ურთიერთობებს, არ ემსახურება საზოგადოებრივ პროგრესს.“

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ჟურნალისტი ვალდებულია, შეამონშოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა. იმავე კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, „ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისათვის და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელობას, რედაქტორებს (მთავარ რედაქტორს) და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი.“

5. კოლეგიამ მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად მიიჩნია გადაცემაში ნათქვამი სიტყვები: „ამ უწყების შეფი, პრეზიდენტის ოჯახის პირად ფინანსისტად ცნობილი აკაკი ჩხაიძე, ფულს საზღვარგარეთ ათეთრებს, ხოლო ბიზნესმენს, რომელიც თანამშრომლობაზე უარს ამბობს, ის მოკვლით ემუქრება.“

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს პრეზიდენტისა და აკაკი ჩხაიძის ფინანსურ ურთიერთობას ადასტურებს ის საყოველთაოდ გახმაურებული ფაქტი, რომ მოსარჩლეს პრეზიდენტისათვის 7 მილიონ დოლარად ღირებული ვერტმფრენი აქვს ნაჩუქარი.

იმის დასტურად, რომ აკაკი ჩხაიძეს ფული არ გაუთეთრებია, კოლეგიამ მოიშველია „საქართველოს რკინიგზის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული დასკვნა. ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ცნობების გავრცელებით კი, სასამართლოს აზრით, ამკარად შეილახა მოსარჩლის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. „60 წუთის“ მეშვეობით აკაკი გოგირაძე იმდენად ფართო საზოგადოებას გააცნო აკაკი ჩხაიძე, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც მოკვლით ემუქრებოდა ბიზნესმენს, ვინც მასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა. ამასთანავე, მოსარჩლე წარმოდგენილია როგორც სამეწარმეო საქმიანობაში არასაიმედო პარტნიორი, გამომძალველი, რომელიც ცდილობს საზოგადოებრივი ქონების მითვისებას.

ენ. „შპალების“ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა მხოლოდ ა. მალაფერიძის ინტერვიუდან მოახდინა ციტირება. კოლეგიის აზრით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ჟურნალისტს ევალებოდა მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობის გადამოწმება.

6. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2003 წლის 15 მაისის დადგენილების თანახმად, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისთვის სამართალში მიცემული მ. ნიკლაური 1999 წლის 26 სექტემბერს №15 რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა ღვიძლის ცეროზის დიაგნოზით და არა ა. ჩხაიძის შეკვეთილი მკვლელობით, როგორც გადაცემაში იყო მითითებული.

კოლეგიამ უმძიმეს ბრალდებად მიიჩნია ა. ჩხაიძის დადანაშაულება მკვლელობის მუქარაში, მალაფერიძის მკვლელობაში ჩათრევის მცდელობაში, მოსარჩლის მეზობლის, მ. ნიკლაურის ნამებით მოკვლის შეკვეთასა და მ. ნიკლაურის მოკვლაში. ასეთი ბრალდებები ლახავს მოსარჩლის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, აყენებს მას უდიდეს სულიერ ტკივილსა და მორალურ ზიანს, საზოგადოებას წარუდგენს მას როგორც საშიშ, არასანდო პიროვნებას, რომელთანაც შეუძლებელია თანამშრომლობა და მეზობლობა.

სასამართლომ არამართებულად ჩათვალა ინფორმაციის წყაროზე, ამ შემთხვევაში, ა. მალაფერიძეზე მითითება და განმარტა, რომ საინფორმაციო საშუალებასა და ჟურნალისტს თავად უნდა გადაემოწმებინათ ინფორმაციის უტყუარობა.

7. კოლეგიამ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია ბრალდებები, რომლებიც უკავშირდებოდა ტარიფების, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხის, აშშ-ს ფედერალური ბიუროს მასალების, გადასახადების დამალვის, კრედიტიდან სახელმწიფო მოხელისათვის პროცენტის გადახდის, მალაფერიძის დეპორტაციის საკითხებს.

გავრცელებული ცნობების მიხედვით, საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ა. ჩხაიძე საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდეს, ითვისებდეს რკინიგზის თანხებს. განსაკუთრებით მძიმე ბრალდებად მიიჩნია კოლეგიამ მოსარჩლის დადანაშაულება რუსეთის ორგანიზებული დანაშაულის წევრებთან კავშირში. სასამართლოს აზრით, საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომელიც ამ ცნობის უტყუარობას დაადასტურებდა. მოპასუხის განცხადება, რომ ეს ცნობები ემყარება ვარაუდს, კოლეგიის აზრით, ამ ნაწილში დანაშაულის აღიარებას ნიშნავს.

8. მეორე გადაცემაში (2002 წლის 24 ნოემბერი) მოსარჩლის მიმართ ბრალდებების განმეორება – დადანაშაულება გადასახადების დამალვაში; მისი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიჩნევა ევრაზიული დერეფნის შემაფერხებლად; მოსარჩლის უწყებაში კონტრაბანდის მნიშვნელოვან მასშტაბებზე საუბარი¹³ – კოლეგიის შეფასებით, აშკარად ლახავს აკაკი ჩხაიძის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, რადგან გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის დადასტურება ვერც ამ შემთხვევაში მოხერხდა.

9. საქმეში არსებული კომისიური ფონოსკოპიური დასკვნით დადგენილია, რომ გამოკვლეულ სადავო ფირზე არსებული ჩანანერი წარმოადგენს დამონტაჟებულ მასალას. კერძო მონტაჟის კვალი დადგენილია ჩანანერის ზოგიერთ იმ ფრაგმენტზე, სადაც საუბრის მონაწილე ერთ-ერთი პიროვნება მოხსენიებულია, როგორც აკაკი ჩხაიძე. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ფონოგრამა უვარგისია პიროვნების ხმის იდენტიფიცირებისათვის და კვლევით ნაწილში მითითებული გარემოებების გამო შეუძლებელია იმის გადნაყვეტა, ეკუთვნის თუ არა უცნობი პირის ხმა ა. ჩხაიძეს.

სხვა მტკიცებულებებთან ერთად, კომისიური ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, კოლეგიამ ჩათვალა, რომ სახეზეა გავრცელებული ცნობების აშკარა სიყალბე და მოპასუხეთა სურვილი, განზრახ შელახონ აკაკი ჩხაიძის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ამასთანავე კოლეგიის აზრით, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელებით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა არა მხოლოდ მოსარჩლეს, როგორც ფიზიკურ პირს, არამედ მეურნეობის ისეთ ნამყვან დარგს, როგორიც საქართველოს რკინიგზაა.

10. კოლეგიის აზრით, მოპასუხეებმა უხეშად დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის მოთხოვნები, რის გამოც სახეზეა მორალური ზიანის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საერთო საფუძვლები: მორალური ზიანი, ზიანის მიმყენებელთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ზიანის მიმყენებელთა ბრალი.

11. სასამართლოს აზრით, მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს აკაკი ჩხაიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების ნამდვილობა.

¹³ მხედველობაშია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ინტერვიუ.

12. კოლეგიის აზრით, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ მოპასუხეებმა მასობრივი ინფორმაციის მძლავრი საშუალებით (ტელევიზია) განზრახ გაავრცელეს მოსარჩლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, რამაც უდიდესი ზნეობრივი ტანჯვა მიაყენა ამ უკანასკნელს. მოპასუხეებმა საზოგადოებას გააცნეს აკაკი ჩხაიძე, როგორც უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პიროვნება და ვერც ერთი ცნობის სინამდვილე ვერ დაადასტურეს. კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეთა პასუხისმგებლობა სოლიდარულია. გარდა ამისა, კოლეგიის აზრით, ა. ჩხაიძე არ არის საჯარო მოხელე და იგი, როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი (კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი) არ არის ვალდებული, ითმინოს თანაზომიერების ფარგლებს გადაცილებული, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელება. აქედან გამომდინარე, კოლეგიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აკაკი ჩხაიძის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის მილიონი ლარის დაკისრება.

განსხვავებული აზრი: მოსამართლე მ. ჯიყაშვილის განსხვავებული აზრის მიხედვით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რა სარჩელში მითითებული ცნობების გავრცელების ფაქტი, უნდა განესაზღვრა, დაირღვა თუ არა წონასწორობა პიროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და არსებობს თუ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა სხვისი პატივისა და ღირსების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მოსამართლემ მიუთითა ისიც, რომ მოსარჩლე, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გენერალური დირექტორი და ერთ-ერთი უმსხვილესი უწყების თანამდებობის პირი, საზოგადოების ინტერესის ცენტრშია მოქცეული.

მოსამართლე მ. ჯიყაშვილმა ცნობების ნაწილი მიიჩნია მოსაზრებებად, რომლებიც რესპონდენტებთან საუბრის შედეგად შეექმნათ მოპასუხეებს; ხოლო ნაწილი (ტარიფების გაორმაგება, ტვირთების შემცირება, გადასახადების გადაუხდელობა და ა.შ.) ისეთი ხასიათის ცნობებად, რომლებიც ფიზიკური პირის პატივსა და ღირსებას ვერ შელახავენ.

ერთადერთი ცნობა, რომლის გავრცელების შედეგად, მ. ჯიყაშვილის აზრით, ზიანი მიადგა მოსარჩლეს, არის აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიუროს მიერ აკაკი ჩხაიძის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ გაკეთებული დასკვნა. მოსამართლის აზრით, მოპასუხეებს მხოლოდ ამ ნაწილში უნდა დაკისრებოდათ გავრცელებული ცნობების უარყოფა. ამასთანავე, მ. ჯიყაშვილის აზრით, მილი-

ონი ლარის ნაცვლად მოპასუხეებს მორალური ზიანის სახით უნდა დაკისრებოდეს 5 ათასი ლარის გადახდა.

კასაცია: თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა და აკაკი გოგიჩაიშვილმა.

სასამართლო სხდომაზე ა. ჩხაიძის¹⁴ წარმომადგენელმა ა. კბილაშვილმა უარი განაცხადა სარჩელზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

გადაწყვეტილება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, ლ. გოჩელაშვილი, რ. ნადირიანი) დააკმაყოფილა ა. ჩხაიძის წარმომადგენლის შუამდგომლობა, გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება და შეწყვიტა საქმის წარმოება.

მოტივაცია: სსკ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე.

9 თებერვალი

თემურ შაშიაშვილი დავით კუპრეიშვილისა და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2001 წლის 8 ნოემბერს თემურ შაშიაშვილმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს დავით კუპრეიშვილისა და გაზეთ „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ.

იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა სარჩელის საფუძვლად მიუთითა გაზეთ „ახალი ვერსიის“ 2001 წლის 15-22 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „რკინიგზის რელსებზე თავდადებულ იმერეთის გუბერნატორს შევარდნაძეების მატარებელი გადაუვლის.“ შპს „ეგრისი-მამულის“ გენერალურმა დირექტორმა დავით კუპრეიშვილმა ინტერვიუში განაცხადა, რომ შაშიაშვილს პირადი ანგარება ამოძრავებდა, როდესაც წინააღმდეგობა გაუწია „ეგრისი-მამულს“ სილიკომანგანუმის წილების საზღვარგარეთ გატანაში. კერძოდ:

¹⁴ ა. ჩხაიძე იმ ხანად დაკავებული იყო გადასახადების დამალვისა და სხვა ფინანსური მაქინაციების ბრალდებით.

ჟურნალისტი აღნიშნავს: „ამხელა ვნებათაღელვა სილიკომანგანუმზეა, რომლის საქართველოდან გატანის უფლება კერძო ფირმა „ეგრისი-მამულმა“ მოიპოვა. თემურ შაშიაშვილი ტრადიციულად მემარცხენე პოზიციას იჭერს და „ეგრისი-მამულის“ სამეწარმეო საქმიანობას ბანდიტობას უწოდებს. მისი აზრით, ეს საქმე სახელმწიფომ უნდა აკეთოს.“

ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილის შეკითხვებზე დავით კუპრეიშვილი შემდეგნაირად პასუხობს:

ნ. მ.: „ჩვენი აზრით და ხალხის თქმით, შაშიაშვილი სილიკომანგანუმის საქართველოდან გატანის წინააღმდეგი იმიტომაა, რომ ქარხნიდან გარკვეულ წილს იღებს. იმერეთის გუბერნატორს რამდენი პროცენტი აქვს წილი?“

დ. კ.: როგორც ქარხნის მუშები ამბობენ, 6 პროცენტი.

ნ. მ.: სასამართლოს რომ მიმართოს, რით დაუმტკიცებთ?

დ. კ.: მაგან ისე უნდა მიჩვილოს, როგორც მე მაქვს საჩივლეელი. შაშიაშვილს უნდა ვუჩივლო ის, რომ კაცის მკვლელად, ყაჩაღად, ბანდიტად გამოამაცხადა. მან უნდა დამიმტკიცოს, რომ მე კაცის მკვლეელი, ბანდიტი და ყაჩაღი ვარ, მე კი შაშიაშვილს დაუმტკიცებ, რომ ფეროდან 6 პროცენტი წილი აქვს, ამაზე ქარხნის მუშები და ხალხი ლაპარაკობენ.

ნ. მ.: და ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადებენ?

დ. კ.: ალბათ ის მუშები ხმამაღლა არ იტყვიან, შეიძლება მოფარებულში, ფარულ კამერასთან ყველაფერი თქვან. 100-200 კაცმა შეიძლება ეს დაადანტუროს. ჩვენი ფირმის უკან არავინ დგას. ჩვენს უკან ტრაქტორისტები, მუშები და გლეხები დგანან. 8 წელია ვწვალობთ. მივმართეთ პარლამენტს და მათ მხარი დაგვიჭირეს. ახლა კიდევ ჩვენს საქონელს არასწორი გზით ყადაღა დაადეს. ვაკე-საბურთალოს სასამართლოში შაშიაშვილმა დარეკა. შალიკაშვილი იქ მივიდა. მოსამართლეს ფულიც მისცეს და „ფეროს“ არარსებულ საქონელზე ყადაღა დაადებინეს. დღეს თუ ხვალ იმასაც ვუჩივლებთ და ნახავთ, რომ რამდენიმე დღეში ის ყადაღა გაუქმდება, მაგრამ ჩვენ ხომ ხელი შეგვიშალეს.

ქარხანას ბიუჯეტის, რკინიგზის დეპარტამენტის ვალი აქვს. შაშიაშვილი იმ ქარხანაში კვირაში ორჯერ, ორშაბათს და პარასკევს დადის. რალაც დაინტერესება აქვს, თორემ „ფეროს“ გარდა იმერეთს სხვა ქარხანა არ გააჩნია? შაშიაშვილს დიდი ფული აქვს, დიდი პარტიის ჩამოყალიბება და პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა. მისი შემოსავლის წყარო არის „ფერო“.

მოსარჩლის აზრით, დავით კუპრეიშვილის მიერ გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს, არის შეგნებული მონაჭორი და ლახავს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, რის შედეგადაც მას მიადგა მძიმე და მტკივნეული სულიერი განცდა.

თემურ შაშიაშვილმა დავით კუპრეიშვილისგან მოითხოვა, გავრცელებული ცნობების იმავე გაზეთის მეშვეობით უარყოფა და საჯაროდ ბოდიშის მოხდა; მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი – 1 338 000 აშშ დოლარის („ფეროს“ სანსდებო კაპიტალის 6%) შესაბამისი თანხის დაკისრება ლარებში, ხოლო თანამოპასუხე გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციისთვის – 600 ათასი ლარის.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩლემ უარი თქვა სარჩელზე „ახალი ვერსიის“ მიმართ.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე დავით კუპრეიშვილი. ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა მოსარჩლის შუამდგომლობა დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ: დავით კუპრეიშვილს დაევალა გავრცელებული ცნობების უარყოფა „ახალი ვერსიის“ საშუალებით, მოსარჩლისათვის ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 1 338 000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხის გადახდა ეროვნულ ვალუტაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია მოპასუხემ და იგი ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. მან პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა. საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კუპრეიშვილის სარჩელი და ძალაში დატოვა წინა გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გავრცელების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, მ. ნიქვაძე, რ. ნადირიანი) გააუქმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე კოლეგიას დაუბრუნა.

მოტივაცია: სსკ-ს 130-ე მუხლის საფუძველზე, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა შეტყობინება და მოსარჩლე შუამდგომლობს დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, ასეთ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩლეს მის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატის აზრით, დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს შეუქმნის რწმენას, რომ მოპასუხემ სარჩელი ცნო და დაკარგა საქმის დაცვის ინტერესი, გამართლებულია, მაგრამ გაუმართლებელია იმ მოპასუხის მიმართ, რომლის გამოუცხადებლობამაც სასამართლოს ვერ შეუქმნა ამგვარი რწმენა.

საკასაციო პალატა თელის, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლომ დაარღვია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესი. სასამართლოს არ ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება, რადგანაც მ მისს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე გამოცხადდა და საქმის განხილვაც თითქმის დამთავრებული იყო; დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას კი საფუძვლად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოპასუხე სასამართლო პროცესზე საერთოდ არ ცხადდებოდა და აღიარებდა ან ცნობდა მის წინააღმდეგ წამოყენებულ მოთხოვნას. სასამართლოსათვის მიცემულ განმარტებაში დავით კუპრეიშვილმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა, არ დაექმაცოფილებინათ იგი. მიცემულ შემთხვევაში, პალატის აზრით, სასამართლოს ჰქონდა უფლება, მიეღო არა დაუსწრებელი, არამედ საბოლოო გადაწყვეტილება, რითაც საქმე არსებითად გადაწყდებოდა.

გარდა ამისა, საოლქო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილში არ დაუსაბუთებია, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა სარჩელის მოთხოვნას. ეს კი, უზენაესი სასამართლოს შეფასებით, სსკ-ს 230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნის დარღვევაა.

განჩინება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამწარმოო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლეები – რ. სულნიძე, გ. გოცირიძე, მ. მაისურაძე) გადაწყვეტილებით, იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თ. შაშიაშვილის სასარჩელო განცხადება დარჩა განუხილველი, მხარეთა გამოუცხდებლობის გამო.

მოსარჩელს¹⁵ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 5 ათასი ლარის ოდენობით.

მოტივაცია: საოლქო სასამართლოს ცნობით, სასამართლოში თემურ შაშიაშვილის სარჩელის განხილვისას ის გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან, უწყება სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ გადაეგზავნა და ჩაბარდა მის უფლებამონაცვლეს – იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს – დავით მუმლაძეს, რომელიც პროცესზე არ გამოცხადდა. სასამართლო უწყება, კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა მოპასუხე მხარესაც.

სასამართლომ მიუთითა სსკ-ს 275-ე მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება.

¹⁵ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, ვის დაეკისრა ბაჟის გადახდა – თემურ შაშიაშვილს თუ მის უფლებამონაცვლეს – იმ ხანად იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს – დავით მუმლაძეს.

კოლეგიის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში პროცესზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, რაც სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა თემურ შაშიაშვილის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ იმ მოტივით, რომ შაშიაშვილს სარჩელი აღძრული ჰქონდა როგორც პრეზიდენტის რწმუნებულს და შესაბამისად, პროცესზე გამოძახებული იყო მისი უფლებამონაცვლე – დავით მუმლაძე, კანონით დადგენილი წესით. ამდენად, სასამართლოს აზრით, შაშიაშვილს, როგორც ფიზიკურ პირს სარჩელი შეტანილი არა ჰქონდა და შესაბამისად, არც იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა საქმის განხილვის გადადება.¹⁶

20 თებერვალი

ი. გიორგაძე „ნუგზარის“ წინააღმდეგ

სარჩელი: ი. გიორგაძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სს „ნუგზარის“ წინააღმდეგ.

მოსარჩლის ცნობით, სს „ნუგზარის“ დირექციამ, სამეთვალყურეო საბჭომ და მუშა-მოსამსახურეებმა 2000 წლის 30 ნოემბერს განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ხსენებულ განცხადებაში აღწერილი ფაქტებით შელახეს მისი ღირსება. სახელდობრ:

„იქნებ დავის სამართლიანი გადაწყვეტისათვის იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ ისიც საგულისხმო უნდა იყოს, თუ ვინ არის ი. გიორგაძის პიროვნება. ქუთაისი პატარა ქალაქია და ყველა ერთმანეთს იცნობს, მით უფრო არ არის გასაკვირი ვიცოდეთ ჩვენთან მომუშავე თანამშრომლის ბიოგრაფია. ბოდბეს გიხდით და, თუ მოარულ ხმებს დაუუფერებთ, 50-იან წლებში იგი ქ. მოსკოვში იყო გასამართლებული თაღლითობისა და ყალბი დიპლომის გამოყენებისათვის საწარმოში, მის პირად საქმეშიც მრავლადაა ოფიციალური დოკუმენტები.“

ი. გიორგაძემ მორალური და მატერიალური ზიანის სახით მოითხოვა მოპასუხისათვის 120 ათასი აშშ დოლარის შესაბამისი თანხის დაკისრება ლარებში.

მოპასუხე სს „ნუგზარის“ დირექტორმა სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარ-

¹⁶ თემურ შაშიაშვილის სარჩელი შედგენილია სახელმწიფო რწმუნებულის ბლანკზე, თუმცა მოსარჩლე მითითებულია, როგორც ფიზიკური პირი და აღნიშნულია მისი საცხოვრებელი მისამართი.

ჩელით მოითხოვა ი. გიორგაძისათვის 240 ათასი აშშ დოლარის შესაბამისი ლარის დაკისრება, ამ უკანასკნელის მიერ მოპასუხის მიმართ სხვადასხვა ფორმით გავრცელებული პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არც ერთი სარჩელი არ დააკმაყოფილა. მხარეებმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრეს. სააპელაციო საჩივრის განხილვისას ი. გიორგაძემ სასარჩელო მოთხოვნა 44 ათასამდე შეამცირა.

გადაწყვეტილება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

მოტივაცია: პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული კატეგორიის დავების განხილვისას მოსარჩლე ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ სადავო ცნობები გავრცელებულია მოპასუხის მიერ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადავო წინადადება ფიგურირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში, რომელიც არსად არ არის რეგისტრირებული და მას არ ადევს ადრესატის რეზოლუცია. საქმის განხილვისას გაირკვა, რომ განცხადება თავად ი. გიორგაძემ ამოიღო სხვა საქმიდან და თვითონვე გაახმაურა მისი შინაარსი.

სააპელაციო პალატის აზრით, საქმე გვაქვს მხოლოდ საკუთარი აზრის გამოთქმასთან და სადავო წინადადებაში არაფერია ისეთი, რაც მოპასუხეს პირდაპირ მოსარჩლის მიმართ აქვს ნათქვამი. ი. გიორგაძემ თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დასტურად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ განცხადებაში გამოთქმულმა წინადადებამ შეარყია მისი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა. მართალია, მოსარჩლემ წარმოადგინა სხვადასხვა სამედიცინო ცნობები, თუმცა არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ დაავადება პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირშია სადავო წინადადებასთან.

პალატამ არ დააკმაყოფილა სს „ნუგბარის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ გააჩნია იურიდიულ პირს. კერძოდ, ეს არის პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

კასაცია: ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩლემ.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და აკორტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, თ. კობახიძე, რ. ნადირიანი) არ დააკმაყოფილა ი. გიორგაძის სარჩელი და უცვლელი დატოვა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება.

მოტივაცია: საკასაციო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ხელმყოფი პირის ბრალეული მოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე თავისი მოქმედებით მიზნად უნდა ისახავდეს მოსარჩლის პატივისა და ღირსების შელახვას. მას უნდა ესმოდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა და ჰქონდეს ამის სურვილი.

მოცემულ შემთხვევაში ცხადია, რომ სადავო ცნობები გავრცელებულია სასამართლოში სამოქალაქო დავის განხილვასთან დაკავშირებით, როგორც მხარის პოზიციის დაცვის საშუალება, რომლითაც, მხარის აზრით, შესაძლებელია სასამართლოში სასურველი შედეგის მიღწევა.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ სადავო ინფორმაციის გავრცელებამდე თვით მოსარჩლემაც არაერთხელ გააერცვლა ცნობები მოპასუხეების თაღლითობის შესახებ.

პირადი არაქონებრივი უფლების აღმდგენი სარჩელის განხილვისას, პირის ბრალეულობის შეფასების დროს სასამართლო ითვალისწინებს, ხომ არ იყო მოპასუხის განცხადება პასუხი მოსარჩლის ანალოგიურ მოქმედებაზე. სასამართლომ უნდა მისცეს შეფასება იმ გარემოებას, თუ რა ფონზე განვითარდა მხარეთა ურთიერთდაპირისპირება.

როდესაც პროცესის ერთი მხარე მონიშნავს მოიხსენიებს ემოციური, პატივისა და ღირსების შემლახველი სიტყვებით და მონიშნავს მხარის საპასუხო მიმართვაში დაცული არ არის მაქსიმალური ტაქტი, პასუხი არის არაობიექტური, გადაჭარბებული და წარმოადგენს ემოციურ „თავდასხმასაც“ კი. პალატის აზრით, ეს გარემოება ვერ გახდება მონიშნავს მხარის მიერ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასებით, მოპასუხეს არ ჰქონია მოსარჩლის პატივისა და ღირსების შელახვის სურვილი და ამ მიზნით იგი ბრალეულად არ მოქმედებდა.

19 მარტი

შ. შ. „კვირის პალიტრისა“ და მეგი ცანავას წინააღმდეგ

სარჩელი: შ. შ.-მ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და ჟურნალისტ მეგი ცანავას წინააღმდეგ. დავა შეეხებოდა „კვირის პალიტრის“ ჟურნალ „გზაში“ 2001 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნებულ მეგი ცანავას სტატიას, სათაურით „გაუპატიურების მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით.“

სტატია შეეხებოდა სექსუალური ძალადობის აქტს, რომლის გამოც ამირან შეყრილაძეს მსჯავრი დაედო სსკ-ს 19-137-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 188-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოსარჩლე კი ცნეს დაზარალებულად. ა. შ.-ს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. დაზარალებულის შუამდგომლობის საფუძველზე ყველა სასამართლო სხდომა დახურულად წარიმართა.

მოსარჩლის განცხადებით, მეგი ცანავას პუბლიკაციაში შიშვლად არის გადმოცემული მომხდარი ფაქტი, მითითებულია მისი სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და სხვა მახასიათებლები, რითაც შესაძლებელი გახდა პიროვნების, ანუ მისი იდენტიფიცირება. შ. შ.-ს თქმით, ამ ფაქტის გამოქვეყნების უფლება მას ჟურნალისტისთვის არ მიუცია.

მოსარჩლის განცხადებით, აღნიშნული პუბლიკაციით მოპასუხეებმა დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუცია, კანონი პრესის შესახებ, სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე, სისხლის სამართლის მე-12 და მე-13 მუხლებით დაცული მისი კონსტიტუციური უფლებები.

შ. შ.-მ მოითხოვა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეებისათვის 70 ათასი ლარის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ არ გაუყალბებიათ ფაქტები და გარემოებები. ჟურნალისტს არ მოუპოვებია ინფორმაცია კანონის დარღვევით და იგი მხოლოდ მხარეთა მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებს ემყარებოდა.

გადაწყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო (მოსამართლე – ა. კახნიაური) გადაწყვეტილებით, შ. შ.-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოტივაცია: რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩლის მტკიცება იმის შესახებ, რომ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის შესახებ არ უნდა გახმაურებულიყო იმის გამო, რომ სასამართლო სხდომა დახურულად მიმდინარეობდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლო განაჩენი ნებისმიერ შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება, რაც იმას ნიშნავს, რომ განაჩენში მოყვანილი ფაქტები საიდუმლო ვერ იქნებოდა.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესით დაცვას არ ექვემდებარება ცნობები, რომელთაც შეიცავენ სასამართლო გადაწყვეტილებები, საგამოძიებო ორგანოთა დადგენილებები ფიზიკური პირის შესახებ, რადგან ამ დოკუმენტების განხილვა ექვემდებარება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესს.

სკ-ს 413-ე მუხლის თანახმად კი, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლომ (მოსამართლეები – ზ. კვარაცხელია, მ. ჭყონია, მ. ფარცვანია) გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხეებს დაეკისრათ მოსარჩლის სასარგებლოდ 5 ათასი ლარის გადახდა.

მოტივაცია: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სტატიაში გამოქვეყნებული ფაქტები, მაგრამ ამასთანავე მიუთითა, რომ პუბლიკაცია ასახავდა მოსარჩლის პირადი ცხოვრების საჩოთირო და უსიამოვნო ეპიზოდებს.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლისა და მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო პუბლიკაციით ზიანი მიადგა მოსარჩლის პირადი ცხოვრების უფლებას და მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოიშვა მოპასუხეთა უნებართვო ქმედებისაგან.

პირადი ცხოვრების უფლება გარანტირებულია და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით. აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნებისას მოპასუხეები მოქმედებდნენ უხეში გაუფრთხილებლობით, მიუხედავად მათი სურვილისა, პრესის საშუალებით გამოეცხადებინათ ბრძოლა პუბლიკაციაში ასახული მანკიერი მოვლენისათვის.

სტატიაში მოსარჩლის სახელისა და გვარის სრული სახით მითითებით, სააპელაციო სასამართლოს აზრით, მოპასუხეებმა გაამჟღავნეს ისეთი ინფორმაცია, რომლის გახმაურებაც თავად აპელანტი ერიდებოდა. პრესამ მოსარჩლის ცხოვრებიდან მისთვის უსიამოვნო ფაქტები ამოატივტივა, მოსარჩლემ კი ვერ შეძლო საჯაროობისგან დაეცვა მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები.

სასამართლომ ასევე გაიზიარა მოსარჩლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის საჯაროდ გამოცხადება არ ნიშნავს, რომ იგი ამით მთელი ქვეყნის, საზოგადოების მსჯელობისა და შეფასების საგანი ხდება. პუბლიკაციის გამოქვეყნების შედეგად კი, შ. შ.-ს პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ ცნობილი გახდა როგორც მოსარჩლის ახლობლებისთვის, ისე ნაცნობთა ფართო წრისათვის. ეს კი საბოლოოდ დიდ დალად დააჩნდა მოსარ-

ჩლეს, მას მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა სულიერ ტკივილში, შედეგად დაუქვეითდა მეტყველების უნარი.

კასაცია: საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორთავე მხარემ. შ.შ.-ს აზრით, მოპასუხეზე დაკისრებული თანხა არ შეესაბამებოდა მისთვის მიყენებულ სულიერ ტკივილს. დაცვის მხარემ კი საოლქოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად მიიჩნია და მოითხოვა მისი გაუქმება.

გადაწყვეტილება: უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გეოგრაფიის საქმეთა პალატამ (მოსამართლეები – მ. გოგიშვილი, მ. ნიქვაძე, ლ. გოჩელაშვილი) არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრები და უცვლელი დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოტივაცია: პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლზე და აღნიშნა, რომ ეს ნორმა იცავს არა პირადი საქმიანობის ადგილს, პირად ცხოვრებას, პირად ჩანაწერს, მიმონერას, შეტყობინებას და ა. შ. (ანუ ადგილს, ობიექტებს და საგნებს), არამედ ადამიანს – საქართველოს მოქალაქეს, ამიტომაც მისი ნების გარეშე ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა (იმისდა მიუხედავად, რამდენად სწორად ხდება პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტების გადმოცემა) კონსტიტუციით აღიარებული პრინციპის – პირადი ცხოვრების ხელყოფაა.

იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ყველა სასამართლო პროცესი დახურულად წარიმართა, დაზარალებულს ჰქონდა მოლოდინი და უფლება, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლი დაიცავდა მისი პირადი ცხოვრების უფლებას როგორც სასამართლო პროცესზე, ისე მის შემდეგაც.

პალატამ ასევე მიუთითა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-8 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება თავის პირად და საოჯახო ცხოვრებაზე, სახლსა და კორესპონდენციაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, საჯარო ხელისუფლება არ ჩაერევა ამ უფლების განხორციელებაში იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს კანონით დასაშვებია და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

უზენაესმა ინსტანციამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და ევროკონვენციის მე-8 მუხლები ვრცელდება არა მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როცა საქმე ინდივიდის სახელმწიფოსგან დაცვას ეხება, არამედ მაშინაც, როცა ერთი კერძო პირი ხელყოფს მეორე კერძო პირის ინტერესებს.

სასამართლომ ასევე მიუთითა მოქალაქეთა და პოლიტიკური უფლებების

შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, არავინ შეიძლება განიცდიდეს პირად და საჯარო ცხოვრებაში თვითნებურ ჩარევას, საცხოვრებლისა და კორესპონდენციის კანონსაწინააღმდეგო ხელყოფას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, ყველას აქვს უფლება კანონის მხრიდან დაცვაზე ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

სასამართლომ აღნიშნა ისიც, რომ კონვენციის წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, მიიღონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ზომები ასეთი ჩარევისა და ხელყოფის აღსაკვეთად და შესაბამისი უფლებების ეფექტური უზრუნველყოფისათვის. ამ ნორმათა შესაბამისად, დაუშვებელია როგორც კანონსაწინააღმდეგო, ისე თვითნებური ხელყოფა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩარევა შეიძლება იყოს კანონიერი, მაგრამ თვითნებური, რაც ასევე დაუშვებელია.

პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, პირს აქვს უფლება, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება.

უზენაესმა ინსტანციამ მიუთითა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლზეც და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე „ობზერვერი“ და „გარდინი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებებისა და საჯარო ინტერესების კონფლიქტს, საკითხი წყდება არა იმის მიხედვით, თუ რომელი ინდივიდუალური უფლება რომელ საჯარო ინტერესზე უფრო მნიშვნელოვანია, ანდა პირიქით, არამედ კონკრეტული ვითარებისა და გარემოებების გათვალისწინებით. სანყისი პოზიცია ყოველთვის ადამიანის უფლებების სასარგებლოდაა და ის მხოლოდ მაშინ იზღუდება, როცა ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბალანსის გამოძებნა აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის თავისუფლებას შორის.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საჯარო ინტერესის დაპირისპირებისას, უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალური უფლებების დაცვას. ბალანსი საჯარო ინტერესის სასარგებლოდ შეიძლება დაირღვეს მხოლოდ დამნაშავეს მომეტებული საზოგადოებრივი საშიშრო-

ების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში შ. შ.-ს დანაშაული არ ჩაუდენია, პირიქით, ის იყო დაზარალებული. სასამართლო პროცესი მისი თხოვნით დახურულად ჩატარდა, ამიტომ პირადი ცხოვრების პატივისცემასა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის ბალანსი ინდივიდუალური უფლებების სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე მიუღიერა და სხვები შევიცარიის წინააღმდეგ განმარტა, რომ თვითგამოხატვის უფლება, მართალია, გულისხმობს ისეთი ცნობებისა და იდეების გავრცელებას, რომლებიც შეურაცხმყოფელია, აღმაშფოთებელი და შემანუხებელია, მაგრამ საზოგადოებრივ მორალთან მიმართებაში საქმე უფრო რთულადაა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა მორალური სტანდარტები და კრიტერიუმები მოქმედებს.

საკასაციო სასამართლოს აზრით, მართალია, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაციები საჯარო ინტერესს იწვევს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტიკა სენსაციური სათაურით, ზუსტი სახელებისა და გვარების, ყველა წერილმანის (ნამდვილი) მითითებით აღწეროს დაზარალებულის ვინაობა და მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ყველა დეტალი. ამით ჟურნალისტი უხეშად ჩაერია შ.შ.-ს პირად ცხოვრებაში, რითაც მას მიაყენა ზიანი.

საკასაციო პალატის აზრით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით დაცული უფლების მსგავსად (როცა პირის გამოსახულება, ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ. ქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე), პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა მხოლოდ მაშინ კი არ ხდება, როცა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება, არამედ მაშინაც, როცა ისინი სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ მისი საჯაროობიდან დაცვა დაზარალებულის ცხოვრებისეულ ინტერესშია, რადგან ცხოვრებისეული ეპიზოდების დაზარალებულის ნების სანინააღმდეგოდ გავრცელება ზიანს აყენებს თავად დაზარალებულს.

ამ შემთხვევაში, უზენაესი ინსტანციის აზრით, შ.შ.-ს აქვს როგორც პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება, ასევე უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს მისი დაცვა. ჟურნალისტიკა და საინფორმაციო საშუალებამ პუბლიკაციის გამოქვეყნებით უხეში გაუფრთხილებლობით ხელყვეს დაზარალებულის ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში პრესას საჯაროობის ინტერესზე მაღლა შ. შ.-ს ინდივიდუალური უფლებები უნდა დაეყენებინა.

სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია ამ ინტერესთა პირადი არაქონებრივი უფლებების კომერციალიზაცია. აქედან გამომდინარე არასწორად ჩათვალა შ.შ.-ს მოთხოვნა – გონივრული კომპენსაციის ოდენობა განესაზღვრათ გაზეთის ქო-

ნებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით და მართებულად შეაფასა ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. პალატის აზრით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს დამნაშავეს ქონებრივ მდგომარეობას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გამამწყვეტი.

14 აპრილი

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

სარჩელი: საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მიმართა.

მოსარჩლის განმარტებით, 2003 წლის 10 ნოემბერს მათმა სამსახურმა შეადგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (№002211), რომლის თანახმადაც, „რუსთავი 2“-მა არასათანადო/არაეთიკური/ რეკლამის გავრცელების გზით დაარღვია კანონი რეკლამის შესახებ.

ანტიმონოპოლიური სამსახურის შეფასებით, ტელეკომპანიის ეთერში გასული მოძრაობა „კმარას“ კლიპები არაეთიკურია, რადგანაც შეიცავს შეურაცხმყოფელ სიტყვებს კლიპებში დასახელებული პირების პროფესიის, პოლიტიკური მრწამსის მიმართ, ხელყოფს მათ საქმიანობასა და პროფესიას. სახელდობრ:

რეკლამის მსვლელობის პერიოდში ეკრანზე ჩნდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების სახეები მათი გვარის, სახელისა და პარტიული კუთვნილების მითითებით (გოგი მიქანაძე, შალვა ბულაშვილი, ავთო სულაბერიძე, ნოდარ პაპუკაშვილი – ბლოკი ახალი საქართველო; გივი კომახიძე – ბლოკი დემოკრატიული აღორძინება). რეკლამა შეიცავს მიმართვას ხსენებულ პირთა მიმართ:

„შენ მოგმართავ, ხმათა მპარავო, ყოველ ჩვენგანს სულში ურცხვად რომ ჩააფურთხე, შენ, რომელსაც გეგონა, რომ გეპატიებოდა უპატიებელი, შენ, რომელიც ფიქრობდი, რომ მიგეტყებოდა მიუტყებელი, შენ, რომელმაც არ შეისმინე ჩვენი გაფრთხილება, შენ, რომელმაც არ შეინანე დანაშაული შენი.

ჩვენს ყურს არაფერი გამოორჩება, ჩვენს თვალს არაფერი გამოეპარება, ყველას საკადრის მიეზღვება და არც შენ დარჩები დაუსჯელი, იცოდე, თუ სწორად არ დათვლი ჩვენს ხმებს, ბნელ დილეგში მოგიწევს დღეების დათვლა“...

„არჩევნები სიყალბედ აქციე; შენ, რომელიც გვიკარგავ და მომავალს გვარ-

თმევე; შენ, რომელიც უგუნურად წინ აღუდგე ქი ხალხის ნებას; შენ, რომელსაც თაღლითობით განგიზრახავს დროის შეჩერება, კარგად დაიხსომე, ვერსად გაექცევი სამართალსა და ხალხის რისხვას, კიდევ ერთხელ ნუ გამოცდი ჩვენს მოთმინებას, შენი არც ერთი დანაშაული არ დარჩება დაუსჯელი, 2 ნოემბერს ჩვენ უკვე გავაკეთეთ ჩვენი არჩევანი, დღეს შენ აკეთებ შენს არჩევანს, ხვალ ეს არჩევანი შენთვის საბედისწერო გახდება, ისე არ მოიქცე, რომ შემდეგ არჩევნებს ციხეში შეხვდე.“

ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ხსენებული სარეკლამო რგოლის ეთერში გაშვების გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159¹ მუხლის საფუძველზე, „რუსთავი 2“-ისათვის 127 716, 96 აშშ დოლარის ეკვივალენტის დაკისრება მოითხოვა ლარებში.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელი სხდომაზე არ გამოცხადდა.

გადაწყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე - ნ. დურგლიშვილი) დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, ტელეკომპანიის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159¹-ე მუხლის დარღვევას ადასტურებს ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, ტელეკომპანიამ დაარღვია რეკლამის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი; ასევე ცესკოს თავმჯდომარის ნანა დევედარიანის წერილის ასლი, სადაც აღნიშნულია, რომ ხსენებული რეკლამა არა მარტო შეურაცხყოფელია, არამედ ამკარად ლახავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, პატივსა და ღირსებას. ნანა დევედარიანის შეფასებით, „სადავო რეკლამა სხვა არაფერია, თუ არა შანტაჟი ცესკოს წევრებისადმი და ზეწოლა ადამიანთა პოლიტიკური მრწამსის მიმართ“.

სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია ისიც, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი მელაძემ 2003 წლის 7 ნოემბერს წერილობით მიმართა ტელეკომპანიას და მოსთხოვა ხსენებული კლიპების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში (რეკლამის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი) მოყვანა, რაც ამ უკანასკნელს არ გაუკეთებია. „რუსთავი 2“-მა შემდგომშიც განაგრძო სადავო კლიპების გავრცელება.

სასამართლოს შეფასებით, მოძრაობა „კმარას“ რეკლამა შეიცავს შეურაცხყოფელ სიტყვებსა და გამონათქვამებს, რომელთა გამოყენება არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ლახავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, პატივსა და ღირსებას, რეკლამის შინაარსი არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც ის უნდა ჩაითვალოს არასათანადო-არაეთიკურ რეკლამად.

რეკლამის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ტელეკომპანიის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა და არც ახსნა-განმარტება წარმოადგინა. სასამართლოს დავალების მიუხედავად, არ წარმოადგინა ასევე სარეკლამო რგოლის გავრცელებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება. ამდენად, ჯარიმის განსაზღვრისას სასამართლომ გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის მიერ შედგენილი ანგარიში (47 წამიანი მოცულობის სადავო რეკლამა ტელეკომპანიის ეთერით გავრცელდა 54-ჯერ, ხოლო 37 წამიანი – 21-ჯერ), რომლის საფუძველზეც განსაზღვრა რეკლამის ღირებულება (18 245, 28 აშშ დოლარი) და დააკისრა ტელეკომპანიას ამ თანხის შვიდმაგი ოდენობის – 127 716, 96 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში გადახდა.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-267-ე მუხლებით, რეკლამის შესახებ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მია მწარიაშვილის დადგენილებით, გაუქმდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის დადგენილება და შეწყდა საქმე ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის მიმართ.

მოტივაცია: საოლქო სასამართლოს შეფასებით, საქმის წარმოება განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით. სახელდობრ: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (№002211) არ არის დათარიღებული და არა აქვს მითითებული ოქმის შედგენის ადგილი (ქალაქის ნაცვლად მითითებულია მისამართი), რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის უხეში დარღვევაა. ასეთ ვითარებაში გაურკვეველია, თუ საიდან აითვალა მოსამართლემ ამავე კოდექსის 38-ე მუხლით იმპერატიულად განსაზღვრული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები, რომლის ათვლა, კანონის თანახმად, შესაძლებელია, სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

ამასთანავე, ხსენებულ აქტს არა აქვს მითითებული შემონმების თარიღი, მასში არ არის მითითებული შემონმების ხასიათი და კანონის ის მუხლი, რომელიც დაარღვია საინფორმაციო საშუალებამ.

ამდენად, საოლქო სასამართლოს აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით. ხსენებული მუხლის თანახმად კი, საქმის

განსახილველად მომზადების სტადიაზე გასარკვევია, რამდენად სწორად არის შედგენილი ოქმი და სხვა მასალები.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე და 279-ე მუხლების პირველი ნაწილით.

28 აპრილი

ავთანდილ წულუკიანი „ახალი თაობის“ და შორენა კოწოწაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: ავთანდილ წულუკიანმა სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „ახალი თაობის“ და ჟურნალისტ შორენა კონონაშვილის წინააღმდეგ, რისი საფუძველიც 2001 წლის 2 სექტემბერს ხსენებულ გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაცია გახდა.

შორენა კონონაშვილის სტატია შეეხებოდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის წევრის, ავთანდილ წულუკიანის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეს, რომელშიც განსასჯელ გ. გ.-ს ბრალი ედებოდა სხვადასხვა დანაშაულებში. სახელდობრ: დამამძიმებელ გარემოებებში პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფაში, ცეცხლსასროლი იარაღის გატაცებაში, პირის მძევლად ხელში ჩაგდებაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით განსაკუთრებით ბოროტ ხულიგნობაში, ძალადობის გამოყენებით ავტომანქანის გატაცებასა და სხვისი ქონების განზრახ დაზიანებაში. გ. გ.-ს მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ავთანდილ წულუკიანის განცხადებით, „ახალი თაობის“ ცილისმწამებლური პუბლიკაციის შედეგად მან განიცადა მორალური ზიანი, რის გამოც მოითხოვა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ გამოსაქვეყნებელი სტატიის ტექსტს (ანუ უარყოფას) თვითონ წარმოადგენდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე; ან სასამართლო თავად შეადგენდა ტექსტს, საქმის განხილვის შედეგის მიხედვით. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი მან მოპასუხეებისათვის 10 ათასი ლარის დაკისრება ითხოვა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2003 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციას და შორენა კონონაშვილს დაევალებათ გამოქვეყნებინათ უარყოფა, შემდეგი სათაურით „სენსაცია ქართულ სამართალში“ „ჩემს მიერ მოკლულთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს“ (2001 წ 2 სექტემბერი, „ახალი თაობა“) უარყოფა (სტილი დაცულია – რედ.).

მორალური ზიანის სახით კი რედაქციას 3 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

რაიონული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ. აპელანტის წარმომადგენლის ზ. ხატიაშვილის აზრით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები. სასამართლო ვერ გაერკვა, თავად გაზეთის მიერ მოხდა ფაქტების არასწორი შეფასება, თუ გაზეთმა გამოაქვეყნა ის ინფორმაცია, რომელიც მან რესპონდენტისგან მიიღო. ხატიაშვილის განცხადებით, სასამართლომ ევროკონვენციის დარღვევად მიიჩნია პუბლიკაცია, რომელშიც გაზეთსა და ჟურნალისტს ერთი გადაკრული სიტყვაც არ უთქვამთ ავთანდილ ნულუკიანზე. გაზეთმა ევროკონვენციის მე-10 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით მისცა გ. გ-ს შესაძლებლობა, გამოეხატა თავისუფალი აზრი კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, რომელიც პირადად მას ეხებოდა.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – მ. ფარცვანია, მ. ნასარიძე, თ. მუხრანელი) გააუქმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს დაუბრუნა.

მოტივაცია: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ინფორმაციის უარყოფის გამოქვეყნება დაავალა გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციასა და ჟურნალისტ შორენა კონონაშვილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში მხარეებად შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქცია, პალატის განმარტებით, არ წარმოადგენს არც ფიზიკურ, არც იურიდიულ პირს და არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამოქალაქო პროცესში შეიძლება იყოს მხარე, ამდენად, იგი არც მოპასუხე უნდა ყოფილიყო. სასამართლომ ისე დააკისრა მოქმედების (ინფორმაციის უარყოფა) შესრულება მოპასუხეს, რომ არ გაურკვევია, იყო თუ არა იგი სათანადო მოპასუხე.

რაიონულმა სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში ასევე არ მიუთითა, კონკრეტულად თუ რომელი ინფორმაციის უარყოფა უნდა მოეხდინა მოპასუხეს. თავად მოსარჩლემ სარჩელში მიუთითა, რომ გამოსაქვეყნებელ ტექსტს სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარადგენდა ან ამის გაკეთებას ანდობდა სასამართლოს. საოლქო სასამართლოს განმარტებით კი, სსკ-ს მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს, ხოლო იმავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მათ მოთხოვნებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის

„ე“ პუნქტის თანახმად, სარჩელში მითითებული უნდა იყოს მოსარჩლის მოთხოვნა. მოცემულ შემთხვევაში კი დაკონკრეტებული არ არის, თუ რა ინფორმაციის უარყოფა სურს მოსარჩლეს.

სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული მუხლის თანახმად, პირმა თავად უნდა განსაზღვროს, თუ რომელი ცნობა ლახავს მის პატივსა და ღირსებას, რადგან სასამართლო ვერ დაადგენს, თუ რა არის კონკრეტული პირისათვის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობა. აღნიშნული კატეგორია სუბიექტურია და შესაბამისად, მოსარჩლემ თავად უნდა განსაზღვროს და მიუთითოს იმ კონკრეტულ ცნობებზე, რომელთა უარყოფასაც ის მოითხოვს.

პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოთ ხსენებული ნორმების დარღვევამ გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ეს კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

საპროცესო ნორმების დარღვევის შედეგად სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონემა შეუძლებელი გახდა და რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

19 მარტი

ვახტანგ ხმალაძე „ჯორჯიან თაიმსისა“ და ეკა სეხნიაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 2003 წლის 21 ოქტომბერს ვახტანგ ხმალაძემ სარჩელით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „ჯორჯიან თაიმსისა“ და ამავე გაზეთის უფროსისტიკოს ეკა სეხნიაშვილის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „რომელ მინისტრსა და დეპუტატს ეთაკილება არაქართველობა. გვართ ქართველები, მაგრამ ძირით?..“

მოსარჩლის მითითებით, ხსენებული სათაური, უმსხვილესი შრიფტით, გამოტანილია გაზეთის პირველ გვერდზე და იკავებს საგაზეთო გვერდის 3/4-ს. იქვე მოცემულია სტატიის ანოტაცია:

„რომ არა ჰამლექ მოვსესიანის ნაციონალისტური შთავგონებით პარლამენტის სხდომაზე ნათქვამი ფრაზა, საკანონმდებლო ორგანოს ღრმად პატივცემული დეპუტატები თითქმის არც ერთ გარემოებაში არ გაშიფრავდნენ საკუთარ გენებს!“

თავად სტატიაში კი, რომელიც გაზეთის მეშვიდე გვერდზეა დაბეჭდილი, აღნიშნულია:

„მართალია, გენეტიკური კოდები არც საკანონმდებლო ვაკუუმშია დამნაშავე, არც პოლიტიკურ ინტრიგებსა და არც დისკრედიტირებულ ყოფაში, მაგრამ უბრალო გენეტიკურ არითმეტიკას თუ მიეყვებით, პარლამენტი სომხური წარმომავლობის დეპუტატებითაა გაძეძვილი.“

ყველაზე უცნაური კი ამ ერთი ეროვნების დეპუტატების ორმაგი პოლიტიკაა: ერთის მხრივ, მოვსესიანები ხმამაღლა ნაციონალური იდეებითა და დამტყრეული ქართულით და მეორეს მხრივ – ტოლერანტობის ქურქმობეული გვარ და იმიჯ-შეცვლილი მოქართულე დეპუტატები, რომლებიც ნაციონალურ მენტალობას გულში ფარულად იკლავენ.“

ამ შესავლის შემდეგ ჟურნალისტი ასახელებს იმ დეპუტატებს, მათ შორის ვახტანგ ხმაღაძესაც, რომელთაც ამ კონტექსტში გულისხმობდა. სახელდობრ:

„გვარის გადაკეთების ტენდენციას თავის დროზე, ვახტანგ ხმაღაძეც (ალბათ, უფრო მისი მშობლები) შეუპყრია. მე-8 კლასამდე, მისი ფიზიკის მასწავლებლის დასტურით, ბატონი ვახტანგი მანუკიანად იწოდებოდა. შემდეგ თურმე სხვა სკოლაში გადაიყვანეს და გვარიც გადაუკეთეს.“

გავრცელებული ინფორმაცია მოსარჩლემ მიიჩნია სიყალბედ და ცილისწამებად, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია და მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

„ზემოთ მოყვანილმა განცხადებამ, – ნათქვამია სასარჩელო განცხადებაში, – იმ კონტექსტში, როგორც ეს სტატიაშია მოყვანილი, ვახტანგ ხმაღაძის სახელის და რეპუტაციის დისკრედიტირება მოახდინა (ვახტანგ ხმაღაძე საქართველოს პარლამენტის წევრია).“

მოსარჩლის აზრით, ხსენებული ცნობების გავრცელებისას მოპასუხეები მიზანმიმართულად და ბრალეულად მოქმედებდნენ. ვახტანგ ხმაღაძის ცნობით, სადავო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, მან მიმართა რედაქციას და მოითხოვა შეურაცხმყოფელი ცნობების უარყოფა, მაგრამ უშედეგოდ.

მოსარჩლის ადვოკატის დიმიტრი გაბუნიას აზრით, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მოსარჩლის სუბიექტურ მოსაზრებასთან, არამედ „ფაქტის“ შესახებ – ვახტანგ ხმაღაძემ მე-8 კლასში გვარი გამოიცვალა და ის მანუკიანად იწერებოდა – ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებასთან. მოპასუხეს შეეძლო

გადაემონებინა, შეეფერება თუ არა მითითებული ფაქტი სინამდვილეს, მაგრამ ის ასე არ მოიქცა.

მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეებისათვის დაეკისრებინათ გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალებებით უარყოფა და მიყენებული მორალური ზიანის სახით 5 ათასი ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს ვახტანგ ხმალაძემ დააზუსტა თავისი სარჩელი და უარი თქვა მოთხოვნაზე საქმიანი რეპუტაციის შელახვის ნაწილში.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ, პროცესზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, 2003 წლის 11 დეკემბერს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. მოპასუხე მხარემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მას არ ჩაბარებია სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით.

2004 წლის 17 მაისის განჩინებით, პალატამ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, გააუქმა ამ საქმეზე კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განაახლა საქმის წარმოება.

საოლქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ვახტანგ ხმალაძემ გაასაჩივრა სტატიის ორი მომენტი. სახელდობრ, ინფორმაცია მის მიერ გვარისა და სკოლის გამოცვლის შესახებ და მის მიერ სხვა ქვეყნის ინტერესების გატარება.

მოსარჩლის განცხადებით, ინფორმაცია გვარის შეცვლის შესახებ უკავშირდება არა მხოლოდ მას, არამედ მის შვილებს, ნათესავეებსა და წინაპრებს, რადგანაც ამ ინფორმაციის გავრცელებით ილახება მათი პატივი და ღირსება, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთ გასაჩივრების შესაძლებლობა არა აქვთ.

დომიტრი გაბუნიას თქმით კი, გვარის გამოცვლა არის პირადი საიდუმლოება და მის გასაცნობად, საჭიროა სპეციალური ნებართვა.

მოპასუხე მხარემ მოსარჩლის მოთხოვნა არ ცნო და აღიარა მხოლოდ ერთი დეტალი, რომ კორესპონდენტმა გაავრცელა გადაუმონმებელი ინფორმაცია და ხმალაძეს გვარი არ გადაუკეთებია. რაც შეეხება მეორე მომენტს, „ჯორჯიან თაიმსის“ რედაქტორის გიორგი კაპანაძის მტკიცებით, ხმალაძე არ იგულისხმებოდა იმ ფრაზაში, რომელიც სხვა ქვეყნის ინტერესების გატარებას შეეხებოდა.

გიორგი კაპანაძემ პროცესზე შეკითხვით მიმართა მოსარჩლეს – მასზე რომ ეთქვათ, ინგლისელია და გადაკეთებული აქვს გვარიო, ასეთ შემთხვევაში მაინც მიმართავდა თუ არა სასამართლოს? ვახტანგ ხმალაძის პასუხი დადებითი იყო.

მოპასუხე მხარის აზრით, ვახტანგ ხმალაძემ ვერ დაასაბუთა, თუ რა მორალური ტკივილი მიადგა მას და ამდენად, მორალური ზიანის შესახებ მისი მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარ-მეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – მ. თოდუა, ზ. კვარაცხელია, მ. ჭყონია) ნანილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი.

„ჯორჯიან თაიმსსა“ და ეკა სენიანიშვილს (ფსევდონიმით ეკა მესხს) დაევაალათ ვახტანგ ხმალაძის მიმართ გავრცელებული შემდეგი ცნობების უარყოფა (იმავე გაზეთში, იმავე გვერდზე, იმავე შრიფტით):

„ყველაზე უცნაური კი ამ ერთი ეროვნების დეპუტატების ორმაგი პოლიტიკაა: ერთის მხრივ, მოვსესიანები ხმამაღლა ნაციონალური იდეებითა და დამტვრეული ქართულით და მეორეს მხრივ – ტოლერანტობის ქურქმობეული გვარ და იმიჯშეცვლილი მოქართულე დეპუტატები, რომლებიც ნაციონალურ მენტალობას გულში ფარულად იკლავენ“... ვახტანგ ხმალაძის მიმართ არ შეეფერება სინამდვილეს.

„გვარის გადაკეთების ტენდენციას თავის დროზე, ვახტანგ ხმალაძეც (ალბათ, უფრო მისი მშობლები) შეუპყრია. მე-8 კლასამდე, მისი ფიზიკის მასწავლებლის დასტურით, ბატონი ვახტანგი მანუკიანად იწოდებოდა. შემდეგ თურმე სხვა სკოლაში გადაიყვანეს და გვარიც გადაუკეთეს“ – არ შეეფერება სინამდვილეს.

მოპასუხეებს ასევე დაეკისრათ, ვახტანგ ხმალაძის სასარგებლოდ, სოლიდარულად ათასი ლარის გადახდა.

მოტივაცია: პალატის განცხადებით, სტატიაში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ პარლამენტის დეპუტატები ორმაგი პოლიტიკით არიან დაკავებული და ატარებენ არა საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნის პოლიტიკას.

პალატამ ვერ გაიზიარა მოპასუხეთა პოზიცია, რომლის თანახმადაც, მართალია, მათ გაავრცელეს გადაუმონმებელი ინფორმაცია მოსარჩლის გვართან დაკავშირებით, მაგრამ მათ მიერ გავრცელებული ცნობები არ ატარებენ პატივისა და ღირსების შემლახველ ხასიათს. სასამართლოს აზრით, ამ შემთხვევაში გაზეთმა და ჟურნალისტმა ნამდვილად გაავრცელეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთების შემლახველი ცნობები. მართალია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საერთაშორისო აქტებით უზრუნველყოფილია პირის უფლება, თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს ინფორმაცია, მაგრამ ეს თავისუფლება აბსოლუტური არ არის, რის გამოც კანონი (სახელმწიფო) ანებსებ შეზღუდვებს, რაც ყველას პატივის და ღირსების დაცვის საშუალებას იძლევა.

საქმის მასალების საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სადავო გამონათქვამებით გაზეთმა ფაქტიურად ბრალი დასდო ვახტანგ ხმალაძეს არაქართული პოლიტიკის წარმოებაში და ეს დაუკავშირა მის „ვითომდა სომხურ წარმომავლობას“; ამასთანავე, ყოფილი დეპუტატის არაქართული წარმომავლობა დაუკავშირა დეპუტატის ორმაგ პოლიტიკას. სასამართლოს აზრით,

გავრცელებული ცნობები აშკარად ლახავს ვახტანგ ხმალაძის პატივსა და ღირსებას, რადგან შეიცავს მტკიცებას მოსარჩლის მიერ კანონის, მორალის ნორმების დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

„ის ფაქტი, რომ ვ. ხმალაძეს გვარი არასოდეს შეუცვლია და არასოდეს ყოფილა მისი, როგორც პარლამენტარის საქმიანობა მიმართული საქართველოს ინტერესების საზიანოდ, დაადასტურეს მოპასუხებებმა სასამართლო განხილვის დროს“, – ნათქვამია საქმის სამოტივაციო ნაწილში.

მართალია, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე მეტად უნდა ითმინონ კრიტიკა, მაგრამ ეს კრიტიკა უხეშად არ უნდა ხელყოფდეს საჯარო მოხელის პირად ცხოვრებასა და ხელშეუხებლობას და აქედან გამომდინარე, მის პატივსა და ღირსებას.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში გაზეთმა და ჟურნალისტმა ბრალეულად ხელყვეს ვ. ხმალაძის პატივი და ღირსება, რადგანაც პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ გადაამოწმეს ინფორმაცია გვარის გამოცვლის შესახებ. თუმცა, სასამართლოს აზრით, ამ ცნობის სინამდვილესთან შესაბამისობის გადამოწმების შემთხვევაშიც კი, გაზეთსა და ჟურნალისტს არ ექნებოდათ უფლება, ორმაგი პოლიტიკის წარმოებაში დაედანაშაულებინათ დეპუტატი. შესაბამისად, მოპასუხებებმა ჩაიდინეს ბრალეული მოქმედება, რაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილისა და 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უფლებას აძლევს მოსარჩლეს, მოითხოვოს არა მხოლოდ მის შესახებ გავრცელებული ცნობების უარყოფა, არამედ მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

ამავე დროს პალატამ არაგონივრულ ანაზღაურებად მიიჩნია მოსარჩლის მიერ მოთხოვნილი 5 ათასი ლარი. მორალური ზიანის ანაზღაურება, სასამართლოს განმარტებით, გულისხმობს სამ ასპექტს: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგანაც მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი ფულადი კომპენსაცია.

პალატამ ჩათვალა, რომ ქვეყნის ეკონომიკური და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსარჩლის მოთხოვნა 5 ათას ლარზე მნიშვნელოვნად გაზრდილია და არ შეესაბამება რეალობას. ამ თანხის დაკისრებამ შესაძლოა, გააკოტროს მოპასუხეები, რაც გამოიწვევს პრესის შეზღუდვას. ეს უკანასკნელი კი არ არის აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის.

გონივრულ ანაზღაურებად სასამართლომ ათასი ლარი მიიჩნია.

თამაზ ბუაძე „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ

სარჩელი: თამაზ ბუაძემ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გაზეთ „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ და საფუძველად მიუთითა 2003 წლის 22-28 დეკემბერს გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით „რამდენიმე დღე 200 კილოგრამი ოქრო მანქანაში იდო“... „ახალი დეტალები!-რატომ მოკლეს გენერალი გია გულუა?“

მოსარჩლემ სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიიჩნია შემდეგი ცნობები: „ოქროს შპს „კვარციტი“ აწარმოებს. თუმცა სანამ ეს ფირმა საქმიანობას შეუდგებოდა, რამდენიმე წლით ადრე კაზრეთში არსებულ სპილენძის მადნის გადამამუშავებელ კომბინატის ხელმძღვანელობას სამთომადნო საქმის საკმაოდ კარგი სპეციალისტი თამაზ ბუაძე მოეველინა. ვითომ ეკოლოგიური მდგომარეობით შეწუხებულმა კომბინატის ხელმძღვანელობას ისეთი ფირმის დაარსება შესთავაზა, რომელიც კომბინატის მოხმარებულ წყალს გაწმენდდა და მდინარე მაშავერაში სუფთა წყალს დააბრუნებდა. თ. ბუაძის წინადადებას კომბინატის ხელმძღვანელობა სიხარულით დაეთანხმა და დაარსდა კიდეც შპს „ეკოლოგი“. სინამდვილეში თამაზ ბუაძეს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება სრულიად არ აინტერესებდა, იცოდა, რომ მადნის გარეცხვისა და დამუშავების დროს მოხმარებული წყალი უამრავ ძვირფას ლითონს შეიცავდა და სწორედ იმ კრისტალების ამოკრეფა ჰქონდა განზრახული... სულ მალე ოქროს, პლატინის, პალადიუმის, ინდიუმისა და სხვა ძვირფასი ლითონების კრისტალებისაგან შემდგარი იმდენი კონცენტრატი დაუგროვდა შპს „ეკოლოგს“, რომ დღის წესრიგში მისი რეალიზაციის საკითხი დადგა. მოსკოვში არსებული ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოს თანამშრომლების დახმარებით კლიენტიც მოიძებნა, მაგრამ ვილაცამ „ეკოლოგის“ თანამშრომლები საქართველოს ტრანსპორტის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსთან, აწ/გარდაცვლილ გენერალ გია გულუასთან დააბეზლა. არაუგაღურად მოპოვებული ძვირფასი და იშვიათი მეტალების კონცენტრატი გულუამ დააპატიმრა... ტვირთის საერთო ღირებულება რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარად შეაფასეს ექსპერტებმა... პატიმრობაში აიყვანეს ერთი უცხო ქვეყნის საელჩოს თანამშრომელი... რამდენიმე დღის შემდეგ გია გულუა საეჭვო ვითარებაში მოკლეს. ვინ მოკლა და რატომ დასჯენის გაკეთება თქვენთვის მომინდვია“... „ეკოლოგის“ დამფუძნებელს არავინ შეხებია, ეს ისეთი კაცია, ყველასთან გამონახავს საერთო ენას. არც ბიზნესში ხელის შემშლელის გასაღება გაუჭირდება... ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გენერალი მოკლეს, კაზრეთიდან წამოღებული ძვირფასი კონცენტრატიც იყო.“

მოსარჩლის განცხადებით, ხსენებული გამონათქვამებით „კვირის პალიტრის“ რედაქცია ბრალს სდებს მას ათეულობით მილიონი დოლარის მითვისების მიზნით შპს „ეკოლოგის“ შექმნაში, ძვირფასი ლითონის კონცენტრატის საქართველოდან უკანონოდ გატანაში, ტვირთის დაპატიმრების გამო გია გულუას მკვლელობაში მონაწილეობაში.

იმის დასტურად, რომ „ეკოლოგს“ არავითარი კავშირი არა აქვს უკანონობასთან, მით უფრო გია გულუას მკვლელობასთან, თამაზ ბუაძემ სასამართლოს წარუდგინა „ეკოლოგის“ წესდება, ამავე შპს-ს რეგისტრაციის ცნობა, გენერალურ დირექტორად მისი დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მათ ტვირთს საქართველოს საბაჟოზე დაბრკოლება არ შეხვედრია.

მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეს გამოექვეყნებინა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა; მორალური ზიანის საზღაურად კი – გადაეხადა მისთვის 15 ათასი ლარი.

მოსაპუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ სტატიაში მითითებული ფაქტები იყო არა კორესპონდენტის გამონაგონი, არამედ ემყარებოდა რესპონდენტის – ბოლნისელი კახა მარგიანის მიერ მინოდებულ ინფორმაციას. ამასთანავე, მოპასუხის მითითებით, სადავო პუბლიკაცია არ ემყარებოდა მხოლოდ ერთი წყაროს მიერ მინოდებულ ინფორმაციას, არამედ ასახავდა სხვადასხვა კომპეტენტური სამსახურებისა და თანამდებობის პირების პოზიციასაც. შპს „ეკოლოგის“ შექმნისა და საქმიანობის კანონიერი საფუძვლის გასარკვევად კი, მოპასუხემ მიუთითა საქართველოს კონტროლის პალატის 2000 წლის №308 და №361-ე ბრძანებულებებზე.

2004 წლის 20 აპრილს თამაზ ბუაძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს და არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების გარდა მოითხოვა შემდეგი ცნობების უარყოფა: რომ „ეკოლოგის“ დაარსება მოხდა კომბინატის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების და არა მოსარჩლის პირადი გამორჩენის მიზნით; შპს „ეკოლოგის“ მიერ მოპოვებული კონცენტრატი, რომელიც გადაიტვირთა რეალიზაციის მიზნით, არასოდეს ყოფილა დაკავებული და დაპატიმრებული გენერალ გია გულუას მიერ; რომ ბუაძეს არც არასდროს ჰქონია კავშირი გარდაცვლილ გია გულუასთან; რომ მოსარჩლეს არასდროს გაუტანია უკანონოდ ქვეყნიდან კონცენტრატი. თამაზ ბუაძემ ასევე მოითხოვა კაზრეთიდან გადმოტვირთულ ძვირფას კონცენტრატსა და გია გულუას მკვლელობას შორის რაიმე კავშირისა და იმის უარყოფა, რომ მოსარჩლეს „ბიზნესში ხელის შემშლელის გასაღება არ გაუჭირდებოდა.“

გადაწყვეტილება: ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ა. კახნიაური) არ დააკმაყოფილა სარჩელი.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, მოსარჩლის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, რადგანაც არ არის მითითებული, კონკრეტულად თუ რომელი ცნობის უარყოფას მოითხოვს იგი. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაადგინა, თუ რომელი ცნობის გავრცელებამ გამოიწვია მოსარჩლის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც ის ამყარებს თავის მოთხოვნებს.

10 ივნისი

ქიტესა გურგენაშვილი მერაბ გურგენაშვილისა და „თრიალეთის“ წინააღმდეგ

სარჩელი: ქიტესა გურგენაშვილმა სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მერაბ გურგენაშვილისა და ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიმართ.

სარჩელის საფუძველი გახდა ტელეკომპანია „თრიალეთის“ სატელევიზიო გადაცემა „ანარეკლის“ მეშვეობით 2003 წლის 20 ოქტომბერს გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები. თითქოს იური (იგივე ქიტესა) გურგენაშვილი ხელს უწყობდა ავტომანქანის გამტაცებლებს, გატაცებულ ავტომანქანებს შემდგომი რეალიზაციის მიზნით მალავდა სოფელ ნადარბაზევში, საკუთარ ეზოში. კერძოდ, გადაცემაში ითქვა:

„ერთი თვის წინ სოფ. ნადარბაზევში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, რომელიც იური გურგენაშვილს ეკუთვნის, მოპარული ავტომანქანა მიიყვანეს, რომელიც მეორე დღესვე, ხალხის განცხადებით, ისევ პოლიციის თანამშრომლების მიერ იქნა გაყვანილი“...

მოსარჩლის მტკიცებით, ხსენებული ცნობების გავრცელებით, შეილახა მისი პატივი და ღირსება, რადგანაც საზოგადოებას შეექმნა უარყოფითი შეხედულება მის შესახებ. ქიტესა გურგენაშვილმა მოითხოვა, ტელეკომპანია „თრიალეთს“ მოეხადა მისთვის ბოდიში იმავე გადაცემის მეშვეობით; მორალური ზიანის საკომპენსაციოდ კი გადაეხადა 50 ათასი ლარი. მოსარჩლემ მოხსნა მოთხოვნა მერაბ გურგენაშვილის მიმართ.

„თრიალეთის“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ ტელეკომპანიის მხრიდან ქიტესა გურგენაშვილის მიმართ ცილისწამებას, შეურაცხყოფას და არასწორი ინფორმაციის გავრცელებას ადგილი არ ჰქონია. ჟურნალისტს არ გაუკეთებია კომენტარი, მან მხოლოდ გადმოსცა ფაქტი, რომლის შესახებაც ინფორმაცია მერაბ გურგენაშვილმა მიანოდა.

2003 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გორის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. შავერდაშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი: ტელეკომპანიას დაევალა გავრცელებული ცნობების იმავე გადაცემის მეშვეობით უარყოფა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქიტესა გურგენაშვილმა. აპელანტის აზრით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსი; ასევე არასწორად მიუთითა, თითქოს მერაბ გურგენაშვილის მიმართ მან მოხსნა სასარჩელო მოთხოვნა. სააპელაციო სარჩელში აპელანტმა მოითხოვა, ამ უკანასკნელსაც დაეკისრებოდა 10 ათასი ლარის გადახდა. თუმცა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე კვლავ მოხსნა მოთხოვნა მერაბ გურგენაშვილის მიმართ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ტელეკომპანიამაც გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ (მოსამართლეები – ლ. კობალაძე, თ. კილანავა, მ. ჯინორია) დააკმაყოფილა ქიტესა გურგენაშვილის სააპელაციო საჩივარი. გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება მოსარჩლის მოთხოვნის უარყოფის ნაწილში. ქიტესა გურგენაშვილის სასარგებლოდ ტელეკომპანიას მორალური ზიანის სახით დაეკისრა ათასი ლარის გადახდა.

„თრიალეთის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, „თრიალეთის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს მოსარჩლის პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობას. მოპასუხემ ვერ შეძლო ამ ცნობის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება, რის გამოც რაიონულმა სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მესამე ნაწილი.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ჟურნალისტს არ გაუკეთებია კომენტარი და მან გადმოსცა მხოლოდ ფაქტი, რომელიც მერაბ გურგენაშვილმა მიანოდა. პალატის აზრით, შესაძლებელია, არასწორი ცნობა ავტორს ან რედაქციას მართლაც გადასცეს მესამე პირმა, რედაქცია და ავტორი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ცნობა არის სავალდებულო შეტყობინებაში; მიღებულია საინფორმაციო სააგენტოდან; მო-

იცავს საავტორო ნაწარმოებს, რომელიც გადის ეთერში წინასწარი ჩანაწერის გარეშე და სხვა. მოცემულ შემთხვევაში კი არც ერთ გარემოებას არ ჰქონია ადგილი. პალატამ ჩათვალა, რომ პატივისა და ღირსების შემლახველი ფაქტის დასახელება კომენტარის გარეშეც კი, საკმარისი საფუძველია რედაქციის ან ავტორის პასუხისმგებლობისათვის.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჟურნალისტი მოვალეა, შეამონმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა. კანონის ამ მოთხოვნის დარღვევით (ინფორმაცია გადაიცა შემონმების გარეშე) მოხდა ქიტცსა გურგენაშვილის არაქონებრივი უფლების ხელყოფა მოპასუხის ბრალეული მოქმედებით. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი, მოსარჩლეს ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება.

ამასთანავე, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩლის მიერ მოთხოვნილი თანხა იყო არაგონივრული, რის გამოც 50 ათასის ნაცვლად მოპასუხეს ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

16 ივნისი

ნუგზარ მალულარია და „ბესანა და გიორგი“ გურამ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: 2002 წლის 2 ივლისს ნუგზარ მალულარიამ და შპს „ბესანა და გიორგიმ“ სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გურამ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ. სარჩელის საფუძველი გახდა 2000 წლის 28 თებერვალს გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული მოპასუხის ინტერვიუ, სათაურით „კომპრომატი შევარდნაძის წინააღმდეგ“.

ჟურნალისტ ჯონი კალანდაძის შეკითხვაზე – „თუკი ყველაფრის დოკუმენტურად დასაბუთება შეგიძლიათ, სასამართლოს რატომ არ მიმართეთ“, – რესპონდენტი პასუხობს: „ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დევს ჩვენი კოლექტივის საზედამხედველო საჩივარი და ორი განცხადება – „განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლების შესახებ“ და „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე“, რათა გაუქმდეს ქალაქ ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება-განჩინება, რაც შევარდნაძე-

მალულარიას მიერ შეთითხნილი ყალბი დოკუმენტის საფუძველზეა გამოტანილი.⁶

ბიზნესმენ გ. შვეარდნაძესთან ერთად სტატიისში გაკრიტიკებულია თავად მოსარჩლე. სახელდობრ: „ამ ოპერაციებს კი გოგი შვეარდნაძე ატარებდა თავისივე რამდენიმე ფირმის დირექტორთან და მარჯვენა ხელთან ნუგზარ მალულარიასთან ერთად, ვინც შვეარდნაძის ყველა შავ საქმეში დღესაც გვერდით უდგას.“

ნუგზარ მალულარიას განცხადებით, ხსენებული პუბლიკაციით შეილახა მისი, როგორც წარმატებული ბიზნესმენის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩლე დაადანაშაულეს, რომ მან ყალბი, შეთითხნილი საბუთების საფუძველზე მიაღებინა აჭარის ა/რ-ს უზენაეს სასამართლოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება. სისხლის სამართლის დანაშაულის დაბრალების გამო კი ფეხქვეშ გაითელა მისი პატივი როგორც საზოგადოებაში, სამსახურში, ასევე საკუთარ ახლობლებში, მოხდა მისდამი რწმუნებული სანარმოს რეპუტაციის ხელყოფა, გართულდა ურთიერთობა პარტნიორებთან, ზოგიერთმა საერთოდ უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკების წარმოებაზე.

მიყენებული მორალური ზიანისათვის მოსარჩლეებმა მოითხოვეს მოპასუხეებზე 3 ათასი ლარის დაკისრება. შპს „ბესანა და გიორგის“ მიერ სასარჩელო მოთხოვნის მოხსნის გამო, ნუგზარ მალულარიამ თანხა 2 ათას ლარამდე შეამცირა და მოპასუხისაგან დამატებით მოითხოვა ბოდიშის მოხდა და გავრცელებული ცნობების უარყოფა.

მოგვიანებით დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმეში თანამოპასუხედ გაზეთ „ალიას“ რედაქციისა და ჟურნალისტ ჯონი კალანდაძის ჩართვის თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ნუგზარ მალულარიას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხე ხიმშიაშვილს დაეკისრა გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უარყოფა, ბოდიშის მოხდა და მორალური ზიანის სახით 200 ლარის გადახდა.

ბაჟის გადაუხდელობის გამო არ დაკმაყოფილდა მოპასუხე მხარის შეგებებული სარჩელი როგორც „ბესანა და გიორგის“, ასევე ფირმა „აჯიტალის“ დამფუძნებლის გიორგი შვეარდნაძისა და ნუგზარ მალულარიას წინააღმდეგ და მოთხოვნა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე. გურამ ხიმშიაშვილმა სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ დასახელებულმა პირებმა მაღალი წართმევით, გაუთავებელი დაცებით, მასსა და შრომით კოლექტივს მიაყენეს მძიმე მორალური და მატერიალური ზიანი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გურამ ხიმშიაშვილმა, მანვე შეიტანა კერძო საჩივარი საქმეზე მესამე პირად გი-

ორგი შვეარდნაძის ჩართვის თაობაზე, რაც 2004 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

მესამე პირად ჩართული გიორგი შვეარდნაძე, გაზეთ „ალიას“ რედაქციის წარმომადგენელი და ჯონი კალანდაძე პროცესზე არ გამოცხადდნენ.

გადაწყვეტილება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (მოსამართლებები – თ. გორგოშიძე, ნ. დიასამიძე, თ. ბერიძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა გურამ ხიმშიაშვილის სააპელაციო საჩივარი. გაუქმდა 2003 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. მალულარიას სარჩელიც.

გურამ ხიმშიაშვილს, გაზეთ „ალიას“ რედაქციასა და ჯონი კალანდაძეს დაევა-
ლათ გავრცელებული ცნობების უარყოფა, შემდეგი ფორმით:

„...ცნობები იმის შესახებ, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილებები ნ. მალულარიას მიერ შეთითხნილი ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზეა გამოტანილი, არ შეესაბამება სინამდვილეს.“

ხიმშიაშვილს მალულარიას სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარისა და წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 100 ლარის გადახდა.

მალულარიას უარი ეთქვა სარჩელის იმ ნაწილზე, რომლითაც ის მოპასუხისაგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდა.

მოტივაცია: პალატის აზრით, მალულარიამ სწორად ჩათვალა, რომ საგაზეთო სტატიით შეილახა მისი, როგორც წარმატებული ბიზნესმენის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რადგან პუბლიკაცია შეიცავდა აშკარა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელმა ყალბი, შეთითხნილი საბუთების წარდგენით მიაღებინა სასამართლოს გადაწყვეტილებები. მოპასუხე გასცდა კრიტიკის ფარგლებს და იგი გადაიზარდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის (ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენება) დაბრალებაში, რაც ექვემდებარება მტკიცებას. აპელანტმა ხიმშიაშვილმა მოითხოვა, სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებიდან გამოეთხოვა ბათუმვაჭრობის ყოფილი №36 მაღაზიის პრივატიზაციის დოკუმენტები, რომელთა სიყალბეზეც ის საგაზეთო ინტერვიუში მსჯელობდა.

პალატის აზრით, აპელანტმა ხიმშიაშვილმა ვერ შეძლო გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების სასამართლოსთვის წარდგენა, მიუხედავად იმისა, რომ მას განემარტა ასეთი დოკუმენტების მოძიების კანონიერი გზებისა და საშუალებების შესახებ. პალატის მითითებით, ხიმშიაშვილი მოითხოვდა სასამართლოს გამოეთხოვა მის მიერ მითითებული დოკუმენტები და სასამართლოსვე დაევალებინა კონტროლის პალატისა

და პროკურატურისათვის ამ დოკუმენტების გამოძიება, რაც სასამართლომ მიზანშეუწონლად ჩათვალა. სხვა საბუთი კი აპელანტმა პროცესზე ვერ წარმოადგინა.

პალატის აზრით, პირველმა ინსტანციამ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი. მოპასუხემ ვერ დაამტკიცა გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა, ცნობა გავრცელდა ფართო-ტირაჟიანი გაზეთის მეშვეობით. ინფორმაციის გავრცელება მიზნად ისახავდა მოსარჩლის კომპრომეტირებას, მის ქმედებაში არის ბრალი და მის მიმართ ნაყენებული მოთხოვნა კანონიერია. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ისიც, რომ მალულარია ეწევა კომერციულ საქმიანობას და გააჩნია საქმიანი რეპუტაცია, რომელიც გავრცელებული ცნობებით შეილახა. ამასთანავე, სასამართლომ არასწორად ჩათვალა ბოდიშის მოხდის დაკისრება, რადგან ასეთ ზომას არ ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (მოპასუხე სამუშაოსა და შემოსავლის გარეშე იყო დარჩენილი), სასამართლომ არაგონივრულად მიიჩნია ხიმშიაშვილისათვის 200 ლარის დაკისრება.

17 ივნისი

ზურაბ ჟვანია „თავისუფალი გაზეთისა“ და ირმა მესხიას წინააღმდეგ

სარჩელი: ზურაბ ჟვანიამ სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს „თავისუფალი გაზეთისა“ და ჟურნალისტ ირმა მესხიას წინააღმდეგ. დავის საფუძველი გახდა 2004 წლის 20-26 იანვარს „თავისუფალ გაზეთში“ გამოქვეყნებული სტატია, სათაურით „რა ელის ზურაბ ჟვანიას ინაუგურაციის შემდეგ, შეარჩენს თუ არა სააკაშვილი ოქროს ზოდებზე ნადირობას“.

მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხემ გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები. სახელდობრ:

„ფეხბურთის ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენტისა და მადნეულის საქმის უკან ზურაბ ჟვანია დგას.“

„ერთ-ერთი შეხვედრისას ჟვანიამ პირდაპირ განუცხადა გიორგი ლეჟავას, რომ „რკინიგზის დეპარტამენტის შეფობის საზღაურად 2 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა.“

„ზურაბ ჟვანია მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო ძეგნილ კურტისტან.“

მოსარჩლის განცხადებით, ზემოხსენებული ცილისმწამებლური განცხადებებით შეილახა მისი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია; მან განიცადა მნიშვნელოვანი მორალური ზიანი. ზურაბ ჟვანიას აზრით, ზემოთ მითითებული განცხადებები სტატიაში ისეთ კონტექსტში იყო მოცემული, რომ მოხდა მოსარჩლის სახელისა და რეპუტაციის დისკრედიტირება (პუბლიკაციის მომენტში იგი საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იყო).

მოსარჩლის წარმომადგენლის დიმიტრი გაბუნიას მტკიცებით, მოპასუხეები მიზანმიმართულად და ბრალეულად მოქმედებდნენ, როდესაც ავრცელებდნენ ხსენებულ ცნობებს, მიზანი კი ზურაბ ჟვანიას ფინანსურ მაქინაციებში დადანაშაულება და მისი, როგორც სახელმწიფო მინისტრისა და პოლიტიკოსის საზოგადოებრივი იმიჯის შელახვა იყო. ამის დასტურად მოსარჩლემ დაასახელა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეშვეობით გავრცელებული რეკლამა¹⁷, რომლითაც მოსახლეობის ფართო ფენებს მიეწოდა ინფორმაცია სადავო სტატიისა და მასში მოყვანილი დეტალების შესახებ. ამასთანავე, რეკლამაში ზურაბ ჟვანიას ფოტო ოქროს ზოდებთან ერთად იყო განთავსებული.

დიმიტრი გაბუნიას განმარტებით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს ცილისწამების ორ კატეგორიას: პირველი ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელყოფს საჯარო მოხელის პატივსა და ღირსებას და მისი საჯაროდ გავრცელება წარმოადგენს ცილისწამებას; ხოლო მეორე სუბიექტურ შეფასებას, რომელიც ცილისწამებას არ წარმოადგენს. მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები, დიმიტრი გაბუნიას აზრით, არის ინფორმაცია ზურაბ ჟვანიას შესახებ, კონკრეტული ფაქტების მითითებით, რაც ვერ ჩაითვლება მოპასუხის სუბიექტურ მოსაზრებად.

მოსარჩლემ მიუთითა ევროპის სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტზე, რომლის თანახმად, მოსაზრებები, რომლებიც გავრცელდა გადაუმონებლად, თუმცა ეყრდნობა გადამონმებად ფაქტებს, ზიანს აყენებს საჯარო მოხელის პატივსა და ღირსებას. მოსარჩლემ ასევე მიუთითა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, საქმეზე ტორგეირ ტორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ, სადაც ნათქვამია: „პირს, რომელიც აცხადებდა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება აუცილებლობის გარეშე შეიზღუდა, აღნიშნული უფლება უნდა განეხორციელებინა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად: იგი კეთილსინდისიერად უნდა მოკიდებოდა საკუთარი განცხადებების კანონიერებას, რომლებიც დემოკ-

¹⁷ იგულისხმება გაზეთის იმ ნომრის ანოტაცია, რომლითაც გავრცელდა სადავო ცნობები.

რატოული მიზნების შესაბამისად უნდა ჩამოეყალიბებინა. გარდა ამისა, განმცხადებელს ეფექტურად უნდა შეეწყოს ხელი აღნიშნული მიზნებისათვის და უნდა ჰქონოდა ფაქტობრივი საფუძველი.“

მოსარჩლის აზრით, სახეზეა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი წინაპირობა: ა) შელახულია ზურაბ ჟვანიას პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია; ბ) გავრცელებულია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები; გ) გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს; დ) პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით. აქედან გამომდინარე ზურაბ ჟვანიამ მოითხოვა გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უარყოფა, ასევე მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისათვის 5 ათასი ლარის დაკისრება.

მოპასუხე გაზეთის რედაქტორმა თამარ ლეფსვერიძემ, ჟურნალისტმა ირმა მესხიამ და მათმა წარმომადგენელმა პაატა კიკნაველიძემ სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს შემდეგ გარემოებებზე:

მათი განცხადებით, სარეკლამო რგოლის გამვრცელებელი არის „რუსთავი 2“ და მოსარჩლეს შეეძლო, სარჩელი შეეტანა ხსენებული ტელეკომპანიის მიმართ. სტატიაში მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთის ფედერაციისა და რკინიგზის დეპარტამენტის უკან დგას ზურაბ ჟვანია არ არის შეურაცხმყოფელი, რადგან პუბლიკაციაში არ კონკრეტდება, ფეხბურთის ფედერაციაში რომელი საქმის უკან დგას ზურაბ ჟვანია. ხსენებული ცნობა, მოპასუხის აზრით, არ წარმოადგენს მტკიცებულებას ფაქტის შესახებ და ის მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას. სტატიაზე მუშაობის პროცესში ჟურნალისტს ვერავინ შეუზღუდავს თავისი წარმოსახვის, გამოხატვის უფლებას, სტატიაში არსად არის გამოყენებული სიტყვა „კრიმინალური“. იმის დასტურად, რომ მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის გამოყენება, მოპასუხემ მოუხმო საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებას, საქმეზე აკაკი გოგიჩაიშვილი პარლამენტის წინააღმდეგ.

მოპასუხის განმარტებით, ჯორჯ კურტისი წარმოადგენდა იმ ავსტრიულ კომპანიას, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოში ოქროს ბიზნესთან, ამდენად, თუკი სახელმწიფო მინისტრი მასთან რაიმე მოლაპარაკებებს აწარმოებდა, გაუგებარია, რა იყო ამაში შეურაცხმყოფელი. და თუ მოსარჩლე კურტისთან მოლაპარაკებებს შეურაცხმყოფელად მიიჩნევდა, ეს, მოპასუხის აზრით, აპრიორი ადასტურებდა აზრს, რომ კურტისი დამნაშავე და კრიმინალი იყო.

მოპასუხის აზრით, საქმეში არ იყო წარმოდგენილი საკმარისი მასალები, რითაც დადასტურდებოდა, თუ რა ზიანი განიცადა ზურაბ ჟვანიამ.

ამასთანავე, მოპასუხის განცხადებით, ზურაბ ჟვანიას არ უცდია ესარგებლა

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის თანახმად: „პირს, რომლის პატივის და ღირსების შემლახავი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, უფლება აქვს გამოაქვეყნოს ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში“. ამის ნაცვლად, სარჩელის შეტანამდე ორი კვირით ადრე, გაზეთის რედაქტორი კატეგორიული ტონით დაიბარეს კანცელარიაში.

მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ რედაქციის ინტერესი გააღვივა გიორგი ლეჟავას განცხადებამ იმის შესახებ, რომ რადგანაც მას არ ენდობა ისეთი პირი, როგორც ზურაბ ჟვანიას, იგი დიდ პატივს სცემს ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ტოვებს თანამდებობას და მიდის საქართველოდან. ამ განცხადების შემდეგ რედაქციამ დაიწყო მასალების მოძიება და ჩანერა ინტერვიუ თავად ლეჟავასთან. სტატიაში არ ყოფილა დაკონკრეტებული, აილო თუ არა ზურაბ ჟვანიამ თანხა, საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ მან ეს თანხა მოითხოვა, როგორც ეს გიორგი ლეჟავამ განაცხადა. ჟურნალისტის ცნობით, მან კომენტარისთვის ჟვანიას არ მიმართა.

რაც შეეხება გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოს, რომელზეც ზურაბ ჟვანია ოქროს ზოდების ფონზე იყო გამოსახული, მოპასუხის განმარტებით, ფოტო დამონტაჟებული არ ყოფილა და ის ინახებოდა როგორც ლევან მაღალაძის სახლში, ასევე ზურაბ ჟვანიასთანაც.

ჟურნალისტ ირმა მესხიას განმარტებით, ინფორმაცია ჟვანია-კურტიის შეხვედრის თაობაზე მან თავად კურტიისგან მიიღო.

გადანწყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე – შ. კვარაცხელია) გადანწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაევალა გავრცელებული ცნობების უარყოფა შემდეგი სახით:

„ცნობები იმის თაობაზე, რომ ფეხბურთის ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენტისა და მადნეულის საქმის უკან ზურაბ ჟვანია დგას, არ შეეფერება სინამდვილეს.

ცნობები იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი შეხვედრისას ჟვანიამ პირდაპირ განუცხადა გიორგი ლეჟავას, რომ რკინიგზის დეპარტამენტის შეფობის საზღაურად 2 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა, არ შეეფერება სინამდვილეს.

ცნობები იმის თაობაზე, რომ ზურაბ ჟვანია მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო ძეგნილ კურტისთან, არ შეესაბამება სინამდვილეს.

მოპასუხეს ასევე დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5 ათასი ლარის ოდენობით.

აპელაცია: ხსენებული გადანწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს „თავისუფალმა გაზეთმა“ და ირმა მესხიამ.

ზურაბ ჟვანიამ უარი თქვა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

გადანყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარ-
მეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის (მოსამართლეები – ლ. კობა-
ლაძე, ც. დევრისაშვილი, ნ. ნაზლაიძე) გადანყვეტილებით, გაუქმდა თბილისის
დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის გადან-
ყვეტილება 5 ათასი ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმის წარმოება
შენწყდა. დანარჩენ ნაწილში ქვემდგომი ინსტანციის გადანყვეტილება დარჩა უც-
ვლელი. „თავისუფალი გაზეთის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოტივაცია: სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მორალური ზიანის
ანაზღაურების ნაწილში პირველი ინსტანციის გადანყვეტილების გაუქმება, ხო-
ლო დანარჩენ ნაწილში გადანყვეტილების უცვლელად დატოვება შემდეგ გარე-
მოებათა გამო:

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს საკანონ-
მდებლო აქტები ადგენს როგორც მოსაზრებების, ინფორმაციის გამოხატვისა
და გავრცელების, ისე პირთა პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიებს.

პალატის აზრით, ეს არის ის შემთხვევა, როცა კანონმდებელი ითვალისწინებს
სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობას სიტყვის თავისუფლების განხორცი-
ელებაში და სახელმწიფო განახორციელებს იძულებით ღონისძიებებს პირთა პა-
ტივისა და ღირსების დასაცავად. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ
პოლიტიკურ თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო
პირთა. თუმცა კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და არ უნდა გადაიზარდოს ისეთ
კრიტიკაში, რომელიც აშკარად შეუსაბამოა კრიტიკისა და განსჯის საგანთან.

პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა მკვეთრი შეფასებები უნდა
წარმოადგენდეს განცხადების ავტორის ხელთ არსებული ფაქტების ადეკვატურს,
წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიძლება გახდეს ჟურნალისტის პასუხისმგებლო-
ბის საფუძველი.

გამოხატვის თავისუფლების პრინციპის განხორციელებას ისახავს მიზნად კა-
ნონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, რომლის
21-ე მუხლის შესაბამისად, ჟურნალისტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანე-
ლობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინ-
ციპებით. ჟურნალისტი ვალდებულია, შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორ-
მაციის უტყუარობა. ის პასუხს აგებს თავის წერილზე, ამასთანავე პასუხისმგებ-
ლობა უნდა იკისროს რედაქციამაც, რათა არ გამოაქვეყნოს დაუზუსტებელი,
დამახინჯებული ან ისეთი ინფორმაცია, რომელსაც წინასწარი განზრახვით შეც-
დომაში შეჰყავს საზოგადოება.

სასამართლოს აზრით, მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა იმ ფაქტის სინამ-
დვილე, რომ ზ. ჟვანიამ პირდაპირ განუცხადა გ. ლეჟავას, რომ რკინიგზის დეპარ-

ტამენტის შეფობის საზღაურად მას 2 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. პალატის აზრით, ეს ცნობა ცდება პოლიტიკური თანამდებობის პირების კრიტიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს, რადგანაც ის მიუთითებს მოსარჩლის მიერ ქრთამის გამოძალვის მცდელობაზე და წარმოადგენს ზ. ყვანიას პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

სადავო ფაქტები მოსაზრებადაც რომ იქნეს მიჩნეული, თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი.

როდესაც ე.წ. სკანდალური საქმეების უკან ზურაბ ყვანია მოიხსენიება, როდესაც საერთაშორისო ძეგნილ კურტისტან მოლაპარაკებების წარმოებაზე მიუთითებენ, ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტის მინიშნება და ამგვარი ცნობების გამოქვეყნება ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

1 ოქტომბერი

მამუკა ნოზაძე საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ

საჩივარი: 2004 წლის 2 მარტს გორის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა მამუკა ნოზაძემ და სსკ-ს 148-ე მუხლის საფუძველზე, ჟურნალისტ საბა წინიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

განცხადება აცილების ნესით გორის რაიონული სასამართლოდან თბილისის საოლქო სასამართლოში გადაიგზავნა; საოლქო სასამართლოდან კი აცილების ნესითვე – კასპის რაიონულ სასამართლოში.

საჩივრის თანახმად, გაზეთ „თრიალეთის“ 2004 წლის 1-8 მარტის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ საბა წინიკაშვილის სტატია, სათაურით „ადვოკატი მოსამართლეს შანტაჟს უწყობს“ და ქვესათაურით „დიდი სამეული“ იშლება, ინტრიგები და ხლართები“. განმცხადებლის აზრით, აღნიშნული პუბლიკაცია თავისი მყვირალა და აჟიტირებული სათაურით შეურაცხმყოფელია მისი პიროვნებისათვის და არის ცილისმწამებლური, რადგანაც ბრალს სდებს მას მოსამართლისათვის ფულის გამოძალვაში.

მამუკა ნოზაძის აზრით, პუბლიკაციაში გადმოცემული ფაქტები და მოვლენები არ შეესაბამება სინამდვილეს, ჟურნალისტი ავრცელებს მონაჭორს, არარსებულ ინფორმაციას მისი დანაშაულში მონაწილეობის შესახებ, მოსარჩლის პი-

როვნების პატივისა და ღირსების შელახვის ან სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით.

განმცხადებელმა ასევე მიუთითა საბა ნინიკაშვილის მეორე პუბლიკაციაზე „ადვოკატი ჟურნალისტის გასვრას შეეცადა“, სადაც აღნიშნულია: „ადვოკატ ნოზაძეს ძალიან სურდა, მის მიერ მოთხრობილი ბრალდებები მარიამიძისთვის არ წარმედგინა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ მოსამართლე კომენტარებს არ აკეთებს და იფიქრა – ჟურნალისტმაც არაფერი იცის, არ წავა საოლქო სასამართლოში, ხუთივე სს საქმეს ვერ გაეცნობა და შესაბამისად დასკვნებსაც ვერ გააკეთებსო. შემდგომში მისთვის ცნობილი გახდა, რომ მე ყველა სს საქმის მოკვლევა დავიწყე. ნოზაძე დამიკავშირდა და ხმამაღალი ტონით მითხრა, „რალა მასალები გინდა, მე ხომ მოგაწოდე... შენ აგენტი ხარ. ყველაფერი ჩაუკაკლე მარიამიძეს. კოტიაშვილს შეკვეთილ წერილებს სწერ... შენ ვასვრილი ხარ“. ნოზაძე თავად ცდილობდა ჟურნალისტის გასვრას. კერძოდ, მოსამართლე გორჩიტაშვილი მიაგზავნა მარიამიძესთან, 500 დოლარი მომცეს, თორემ ჟურნალისტს წერილს დავაწერინებო. ნოზაძემ მარიამიძეს გორჩიტაშვილის პირით ისიც შეუთვალა, რომ ფულს თუ გადამიხდის ჟურნალისტს /საბა წიწიკაშვილს/ დავურეკავ, წერილს „დავაბლოკინებ“ და პრობლემა აღარაფერი იქნებაო. ფაქტს გორჩიტაშვილი უარყოფს, ვისგან პქონდა გარანტია მამუკა ნოზაძეს, რომ წერილი მისი ბრძანებით „დაიბლოკებოდა“? ხომ არ ფიქრობდა ადვოკატი, რომ თუკი მარიამიძე „შანტაჟს“ დაემორჩილებოდა და ფულს გადაუხდოდა, იმ თანხიდან უკვე დაწერილი სტატიის „დასაბლოკად“, წილს მომცემდა? შესაძლებელია „ჟმოტობა“ გამოეჩინა და „მეგობრულად“ ეთხოვა - წერილი არ გაუშვაო“...

მამუკა ნოზაძის მტკიცებით, სტატიაში მოყვანილ ფაქტებს არაფერი აქვთ საერთო რეალობასთან და სხვა არაფერია თუ არა ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფი.

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში საბა ნინიკაშვილმა აღნიშნა, რომ ის შეხვდა როგორც ადვოკატ მამუკა ნოზაძეს, ასევე მეორე მხარესაც, მოსამართლეებს – ა. მირიანაშვილსა და ქ. სულაბერიძეს. ჟურნალისტის მტკიცებით, საგაზეთო პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტები და გარემოებები წარმოადგენს არა მონაჭორს, არამედ მასალას, რომელიც ეფუძნება ზემოთ ხსენებული პირების მონათხრობს.

ჟურნალისტმა ასევე მიუთითა 8-15 მარტის გაზეთ „თრიალეთში“ გამოქვეყნებულ მისსავე სტატიაზე „ვინ ლახავს გამარჯვებული პარტიის ავტორიტეტს“. პუბლიკაციაში ჟურნალისტი პროკურატურას სთხოვდა მამუკა ნოზაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას იმ შანტაჟისათვის, რომელსაც ის მოსამართლე ალექსი მარიამიძეს უწყობდა. სტატიის თანახმად, მამუკა ნოზაძე ალექსი მარიამიძეს 500 დოლარს სძალავდა.

გადაწყვეტილება: კასპის რაიონის მოსამართლე გ. მილაძემ ყურნალისტ საბა წინიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა.

მოტივაცია: სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის დისპოზიცია არის შემდეგი: „ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით“. აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სასამართლოს აზრით, ყურნალისტ საბა წინიკაშვილის განზრახვა მიმართული იყო არა შეგნებულად ცრუ ინფორმაციის გავრცელებისაკენ, არამედ მის მიზანს წარმოადგენდა ადვოკატ მ. ნოზაძის მხილება დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც მისი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, ე. ი. არ არსებობს სსკ-ს 148-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

აპელაცია: კასპის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო სააპელაციო წესით გაასაჩივრა მამუკა ნოზაძემ. თბილისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 21 ივლისის განჩინებით გააუქმა ხსენებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად კასპის რაიონულ სასამართლოს დაუბრუნა.

გადაწყვეტილება: კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ. ენუქიძემ ყურნალისტ საბა წინიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის დანაშაულის დაბრალებით. სისხლის სამართლის კოდექსში 2004 წლის 24 ივნისს შეტანილი ცვლილებების თანახმად, აღნიშნული მუხლი კოდექსიდან ამოიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმა გააუქმა ამ ქმედების დანაშაულობა.

სსსკ-ის 28 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ ახალი კანონი აუქმებს დანაშაულს. მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი აღარ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას.

8 ოქტომბერი

მამუკა ნოზაძე „თრიალეთის“ წინააღმდეგ

სარჩელი: მამუკა ნოზაძემ გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა, რისი საფუძველიც გახდა გაზეთ „თრიალეთში“ (2004 წლის 9-16 აგვისტო) გა-

მოქვეყნებული თ. ვაჩაძის პუბლიკაცია „მამუკა ნოზაძეს პროკურატურაში იბარებენ“.

მოსარჩლის აზრით, თ. ვაჩაძე დაინტერესებულია ფაქტებისა და მოვლენების არაობიექტური გაშუქებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჟურნალისტი ფაქტების გარეშე ცდილობს ჭორისა და ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც შემზარავია ყველა ადამიანისათვის. ასეთად კი მამუკა ნოზაძემ მიიჩნია შემდეგი ფრაგმენტი სადავო პუბლიკაციიდან:

„გაზეთ „თრიალეთში“ ლაურა ლოლიჯაშვილის ბოლო წერილის გამოქვეყნებისას კი მამუკა ნოზაძე ლაურა ლოლიჯაშვილს სახლში მივარდნია, ოჯახის სხვა წევრებთან, ლ. ლოლიჯაშვილთან დაკავშირებით, სხვადასხვა ჭორები გავრცელებია, რის შედეგადაც ლ. ლოლიჯაშვილის ოჯახში სერიოზული კონფლიქტი წარმოშობილა.“

გავრცელებული ცნობა მოსარჩლემ შეაფასა სერიოზულ ბრალდებად, რაც გამოიხატა ოჯახის დანგრევაში მის დადანაშაულებაში.

მამუკა ნოზაძემ ასევე გაასაჩივრა გაზეთის პირველ გვერდზე მისი ფოტოსურათის (საგაზეთო მინანურით „ამბავი შეჭმული დოლარებისა – მამუკა ნოზაძის მიერ“) გამოქვეყნების ფაქტი. მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხე საინფორმაციო საშუალებას არ ჰქონდა უფლება, მისი ნებართვის გარეშე გამოექვეყნებინა ფოტო.

მამუკა ნოზაძის მტკიცებით, მის მიმართ ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელებით, თანხმობის გარეშე მისი ფოტოსურათის პერმანენტულად გამოქვეყნებით შეილახა მისი ადამიანური, პროფესიული, საჯარო მოხელის უფლებები და რეპუტაცია. მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეს დაკისრებოდა ბოდიშის მოხდა, ხოლო მორალური და მატერიალური ზიანის სახით 10 ათასი ლარის გადახდა.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ იყო ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი; სურათი გადაღებული იყო ტელეკომპანია „თრიალეთის“ გადაცემაში „თემა“ მამუკა ნოზაძის მონაწილეობისას, სადაც ის მიწვეული იყო, როგორც თანამდებობის პირი – ლიხავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მოპასუხე მხარის განცხადებით, მოსარჩლის გამოსახულება არის საზოგადოებრივი ინფორმაციის შემადგენელი ნაწილი და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის V პუნქტის მეორე წინადადების საფუძველზე, მისი გამოქვეყნებისათვის საჭირო არ არის თანხმობა. სარჩელის უარყოფის საფუძველად მოპასუხემ ასევე მიუთითა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მესამე მუხლის II პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის V ნაწილი და მე-9 მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

გადანყვეტილება: გორის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – გ. გოჩიაშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. გაზეთ „თრიალეთს“ მოსარჩლის სასარგებლოდ დაეკისრა ფოტოსურათის გამოქვეყნებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით და ბოდბის მოხდა იმავე გაზეთის მეშვეობით. მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (2004 წლის 24 ივნისი) კანონის მესამე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობას. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალო მოქმედი სამართლით.“ ამავე კანონის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დანესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვინაშე მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, – ნათქვამია გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

მოსამართლემ ასევე მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე, 24-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებზე, მე-17 მუხლზე და ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მეშვეობით პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე ფიზიკური პირის დამოუკიდებელი არაქონებრივი უფლებაა. საკუთარი გამოსახულების უფლების ობიექტია ინდივიდის თავისუფლება – მისი გამოსახულება გამოტანილი იქნეს საჯაროდ და ეჩვენოს საზოგადოებას მისთვის სასურველი ფორმით, – პიროვნულობის განუყოფელი ნაწილია. ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანა მარტოოდენ პუბლიკაციის ავტორის ნებით, განიხილება როგორც გამოსახულებაზე აღბეჭდილი ინდივიდის პიროვნულობის ექსპლუატაცია. პიროვნების ამგვარი ექსპლუატაცია, შეიძლება, მიზნად ისახავდეს გამოსახულებაზე აღბეჭდილი პირის დისკრედიტაციას /სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი/. აქვე გამოსახულების გამოქვეყნების მართლზომიერების საკითხის გა-

დანყვეტისას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების კოლიზიას – ინდივიდის ინტერესი დაუპირისპირდეს თავისი გამოსახულების საჯაროდ გამოტანას, ერთის მხრივ, და საზოგადოების ინტერესი – მიიღოს ინფორმაცია საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ, მეორეს მხრივ. ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივი ინტერესი საჭიროებს ინდივიდის ინტერესს. საზოგადოებრივად აღიარებული პიროვნების გამოსახულება საზოგადოებრივი ინფორმაციის შემადგენელ ნაწილად გვევლინება, რადგან თანამედრობის პირი ინტეგრირებულია თანამედროვეობის ამსახველ მოვლენებში.

ამასთანავე, მოსამართლემ აღნიშნა, რომ პიროვნების სპეციფიკური ინტერესის დაცვა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა, გახდეს თანამედროვეობის პროცესში ინტეგრირებული პირის გამოსახულების, პუბლიკაციის აკრძალვის საფუძველი, თუ გამოსახულების გამოქვეყნება სცილდება საზოგადოებრივი დაინტერესების სფეროს და კერძო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს ანგარიშსწორებას, იწვევს ინდივიდის პატივისა და ღირსების, საზოგადოებრივი რეპუტაციის დისკრედიტაციას.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლის, როგორც სახელმწიფო მოხელის თმენის ვალდებულება შეწყვეტილია კრიტიკის მიმართ კერძო ინტერესის პრიორიტეტის მიჩნეობით, საჯარო ინტერესთან შედარებით. დაირღვა კრიტიკის დასაშვებობის ფარგლები და ინდივიდის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, რადგან მოხდა საზოგადოდ განხორციელებული ფოტო-ვიდეო-გადაღების გამოყენება არა საზოგადო მოვლენის ასახვისათვის, არამედ მისივე დისკრედიტაციის მიზნით. სადავო ფოტოსურათი გამოყენებულია ისეთ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც მისი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენს „რალაც ამბის“ გაგრძელებას, რომელიც მიუღებელია მოსარჩლისათვის და არ არის დაკავშირებული მის სახელმწიფო მოღვაწეობასთან.

მოსამართლის აზრით, მოსარჩლის პიროვნების, და არა სახელმწიფო მოხელის „წარმოჩინება“ მიუღებელ, უღირს საქციელში მხილების მოტივით, არასაჯარო ინტერესიდან გამომდინარე, უხეშად გასცდა პიროვნების და სახელმწიფო მოხელის საქმიანი კრიტიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს. ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან ერთად გადაუმონმებელმა პუბლიკაციამ მიიღო აშკარად შეუსაბამო ხასიათი განსჯის საგანთან. მოპასუხის ქმედება, რომელიც შეიცავს არაპირდაპირ შეუმონმებელ მტკიცებას მოსარჩლის მხრიდან კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის შესახებ, ფოტოსურათის თვალსაჩინოების გამოქვეყნებით იძლევა მოპასუხის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს. მოპასუხემ თავისი მიზანმიმართული მოქმედებით შელახა მოსარჩლის კანონით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებები.

მოსამართლემ მიუთითა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ ნორმაში სიტყვის, გამოხატვის თავისუფლების განხორციელების უფლებასთან ერთად მოცემულია ვალდებულებები და პასუხისმგებლობის ერთგვარი ბალანსი; ამ პირობების დაუცველობის შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება უპირისპირდება ადამიანის პატივისა და ღირსების თავისუფლებას.

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი მართალია, ადგენს „აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას“, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დებულებით სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებას, რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს... იგი იზღუდება „სხვათა უფლებებით და თავისუფლებებით... საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების იერარქიულ თანაფარდობას სამართლებრივი კოლიზიის გადაწყვეტისა და ასეთი აქტების იურიდიული ძალის განსაზღვრის მიზნით, სადაც პირველ ადგილზე დგას საქართველოს კონსტიტუცია“, – აღნიშნულია სამოტივაციო ნაწილში.

მოსამართლემ მიუთითა კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები“ და ეს კონსტიტუციური ნორმა შემდეგნაირად განმარტა – თითოული ადამიანის უფლება, თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

აქედან გამომდინარე, მოსარჩლის პერმანენტული დისკრედიტაციის გამო, მოპასუხისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება, მოსამართლის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს აზრის (გამოხატვის) თავისუფლების შელახვად.

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველად მოსამართლემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 1, 2, 5 და 6 ნაწილები და 413-ე მუხლის პირველი ნაწილი. მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ სსკ-ს 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩლემ ვერ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები მატერიალური ზიანის ფაქტისა და მოცულობის შესახებ.

18 ოქტომბერი

მამუკა ნოზაძე „თრიალეთისა“ და საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ

სარჩელი: მამუკა ნოზაძემ სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს გაზეთ „თრიალეთისა“ და ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ და სარჩელის საფუძვლად მიუთითა ამ უკანასკნელის პუბლიკაცია „ადვოკატი მოსამართლეს შანტაჟს უწყობს“, ქვესათაურით „დიდი სამეული“ იშლება, ინტრიგები და ხლართები“.¹⁸

მოსარჩლემ მიიჩნია, რომ ხსენებული პუბლიკაციით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, შეირყა საზოგადოებაში მისი იმიჯი. მამუკა ნოზაძემ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ის იმჟამად იყო №85 ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო საქმიანობა და მისი პიროვნების შეურაცხმყოფელი სტატიის გამოქვეყნებით განიცადა დიდი სულიერი ტკივილი. მამუკა ნოზაძემ მოითხოვა მოპასუხეებისაგან ბოდიშის მოხდა და მატერიალური და მორალური ზიანის სახით მათთვის 10 ათასი ლარის დაკისრება.

გადანყვეტილება: გორის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. შავერდაშვილი) არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლობის გამო.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებით ბრალეულად არ შელახულა მოსარჩლის პატივი და ღირსება და მისი, როგორც საჯარო მოსამსახურის საქმიანი რეპუტაცია. მართალია, მოსარჩლე ეწევა საადვოკატო საქმიანობას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, იგი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, საქმიანი რეპუტაცია კი, მოსამართლის განმარტებით, გააჩნიათ მათ, ვინც მხოლოდ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა. საჯარო მოსამსახურეს არ გააჩნია ის საქმიანი რეპუტაცია, რასაც გულისხმობს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩლეს არ შეუწყვეტია საადვოკატო საქმიანობა, რასაც მას არ უკრძალავს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ.

სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო პუბლიკაციით არ შელახულა არც მოსარჩლის საქმიანი რეპუტაცია, არც პატივი და ღირსება. სამოქალაქო კოდექსის

¹⁸ ხსენებულ საგაზეთო პუბლიკაციასთან დაკავშირებით მამუკა ნოზაძემ მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძერა, რაც კასპის რაიონული სასამართლოს 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა. დანვრილებით საგაზეთო პუბლიკაციისა და მოსარჩლის პრეტენზიების შესახებ იხ. საქმე *მამუკა ნოზაძე საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ*.

მე-18 მუხლის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფად ჩაითვლება ისეთი ცნობის გავრცელება, რომელიც შეიცავს ამ ნორმით დაცული ერთი ან რამდენიმე უფლების (პატივის, ღირსების და სხვა) დარღვევას. მოპასუხეთა განმარტებით, პუბლიკაციის გამოქვეყნება მოხდა განვითარებული პოლემიკის ფონზე, რის შესახებაც ჟურნალისტმა გამოთქვა მოსაზრებები. მოპასუხის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სასამართლოს აზრით, იყო პასუხის გაცემა მოსარჩლის მიერ მისთვის მიწოდებულ მასალაზე.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება პატივისა და ღირსების შელახვად, როდესაც იგი მიზნად ისახავს მოსარჩლის პიროვნების დამცირებას და არა კამათს ფაქტის გამო. მოცემულ შემთხვევაში სადავო წერილში გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები დაკავშირებულია ფაქტთან, რომელიც მიზნად არ ისახავდა მოსარჩლის პატივისა და ღირსების შელახვას. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა აზრის თავისუფლად გამოხატვას, რაც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლებითა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონით. მოსამართლემ აღნიშნა ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ მიერ დადგენილი სტანდარტით სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამოთქმულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საგაზეთო ინფორმაცია შეიცავს დასკვნებსა და მოსაზრებებს მოსარჩლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე და არ ისახავს მიზნად მოსარჩლის შეურაცხყოფას.

2 ნომბერი

დოდო ჩოხელი „დუშეთის საზოგადოების ინტელიგენციის“ და „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ

სარჩელი: ელნარ (დოდო) ჩოხელმა დუშეთის რაიონულ სასამართლოში 41 ფიზიკური პირისა და გაზეთ „ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ აღძრა სარჩელი და მიუთითა, რომ ხსენებულმა პირებმა, რომლებიც საკუთარ თავს „დუშეთის საზო-

გადოების ინტელიგენციას" უწოდებენ, გააერცელეს მისი და მისი ოჯახის შეურაცხმყოფელი ცნობები. სახელდობრ:

2004 წლის 7 ივნისის „ახალ ვერსიაში“ გამოქვეყნდა დუშეთის რაიონის საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის მიმართვა, სათაურით „დუშეთის გამგებელი განცხადებაზე დასადაბ რეზოლუციას მაგიდის უჯრაში ორი კვირა ეძებდა“. ხსენებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ „დუშეთის სახეს პარლამენტში წარმოადგენს ასევე სპეციალობით ვეტერინარი, ერთობ საეჭვო ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირი – თეიმურაზ დოლიშვილი¹⁹: – საბჭოთა პერიოდის ფერმის გამგის ტიპიური „მუქთაჭამია“ ეგზემპლარი, მეტად საეჭვო წარსულითა და რეპუტაციით /დუშელებს ახსოვთ სასამართლო პროცესები, სადაც დოლიშვილი ქ-ნ დ. ჩოხელს, ამჟამად მის მეუღლეს, ბავშვისათვის გვარის მიცემაზე უარს ეუბნებოდა იმ მოტივით, თითქოს ქ-ნ დ. ჩოხელს ბავშვი მისგან არ ჰყავდა/“.

გავრცელებული ცნობა მოსარჩლემ მიიჩნია არა მხოლოდ მისი და მისი შვილის, არამედ მისი მეუღლის, როგორც საქართველოს პარლამენტში დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატის, შეურაცხყოფად. დოდო ჩოხელის მტკიცებით, გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს, ისინი გავრცელებულია მიზანმიმართულად და ბრალეულად. მოპასუხეთა ქმედებას საფუძვლად უდევს მოსარჩლის ოჯახის შეურაცხყოფა პოლიტიკური შეხედულებისა და მდგომარეობის გამო. ხსენებული ცნობების გავრცელების შედეგად, დოდო ჩოხელის ცნობით, მას მოუწია სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.

პატივისა და ღირსების შელახვის გამო, მოსარჩლემ მოითხოვა მორალური ზიანის სახით მოპასუხეებზე სოლიდარულად 21 450 ლარის დაკისრება და გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფა.

მოპასუხეთა ნაწილმა (ათმა ადამიანმა) სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო მიმართვა მათ არც დაუნერიათ, მასზე ხელიც არ მოუწერიათ და შესაბამისად, პასუხიც არ უნდა ეგოთ.

ორმა მოპასუხემ წერილზე ხელმოწერის ფაქტი არ უარყო, თუმცა დასძინა, რომ მათ მიერ ხელმოწერილ ვერსიაში მოსარჩლეთა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები არ ფიგურირებდა.

გადანყვეტილება: დუშეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ჯერვალიძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი: მოპასუხეთა ნაწილს – შ. კბილცეცხლაშვილს, დ. ჭიკაიძე-ვაჩაძეს, მ. ზარიძეს, მ. ველთაურს, ნ. ლალიაშვილს, ლ. ბუაჩიძეს და გაზეთ „ახალ ვერსიას“ დაეკისრათ გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფა, სოლიდარულად 700 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

¹⁹ მოსარჩლის მეუღლე.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, გავრცელებული ინფორმაცია შეურაცხმყოფელია როგორც მოსარჩლის ოჯახის, ასევე მისი წევრების მიმართ, რადგანაც არ შეესაბამება სინამდვილეს. გავრცელებული ცნობების სიმცდარის დასტურად, მოსამართლემ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტებზე. სახელდობრ, დოდო ჩოხელის და თემურ დოლიშვილის შვილის გ. დოლიშვილის მიმართ მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერის ასლზე, დაბადების მონმობის სახით, რითაც დასტურდება, რომ მამობის დადგენა მოხდა თემურ დოლიშვილის განცხადების საფუძველზე, ბავშვის დაბადების ფაქტის რეგისტრაციის დღესევე.

მცდარი ფაქტის გავრცელებით კი შეილახა დოდო ჩოხელის პატივი და ღირსება. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილების საფუძველზე, სასამართლომ დაავალა მოპასუხეებს გავრცელებული ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის კომპენსირება, სამართლიანი ანაზღაურების ფარგლებში. მოსამართლემ მხედველობაში მიიღო ის, რომ ხსენებული ინფორმაციის გავრცელების გამო ვნება მიადგა მოსარჩლის ჯანმრთელობას, რაც დადასტურდა დუშეთის რაიონული საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობებით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა ნაწილის განცხადება, რომ მათ ბრალი არ მიუძღვით ცნობების გავრცელებაში, რადგან ხელი კი მოანერგეს მიმართვას, მაგრამ მათთვის უცნობი იყო წერილის შინაარსი. მოპასუხეთა ნაწილს სასამართლომ არ დააკისრა პასუხისმგებლობა, რადგან მათი ბრალეულობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა ვერ მოხერხდა. ამ პირებმა უარყვეს როგორც სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების, ასევე მასზე ხელმოწერის ფაქტი.

24 დეკემბერი

**ინფორმაციის
თავისუფლება**

კარი II

ინფორმაციის თავისუფლება - ფუძემდებლური პრინციპები

ინფორმაცია ძალაუფლებაა. დემოკრატია კი ხალხის ძალაუფლებას წარმოადგენს. ასე რომ, თავისუფალ საზოგადოებაში სამთავრობო ინფორმაცია ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. თუ ტირანია უმეცრებით იკვებება, თავისუფალი საზოგადოების საფუძველთა საფუძველი ინფორმირებული მოქალაქეებია. რაც მეტი იცის ხალხმა ხელისუფლების შესახებ, მით უფრო უკეთ იმართება ქვეყანა, ვინაიდან მთავრობის გახსნილობა კორუფციასთან ბრძოლისა და ხელისუფლების ხალხისადმი ანგარიშვალდებულების საუკეთესო წინაპირობაა.

უფლებები მხოლოდ იმდენადაა დაცული, რამდენადაც ზრუნავენ მათზე მოქალაქეები და არა მოხელეები. რაც არ უნდა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე ადამიანები მსახურობდნენ ხელისუფლებაში, თავისით მთავრობა გამჭვირვალე ვერ გახდება, თუ არ იარსებებს გახსნილობაზე საზოგადოებრივი შეკვეთა და მოქალაქეთა მზადყოფნა, დაიცვან საკუთარი უფლებები.

კანონი მთავარ მოქმედ პირობად სწორედ ჩვენ გვაღიარებს და ყველა საშუალებას გვაძლევს ჩვენი უფლებების დასაცავად. საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ან სხდომაზე დასასწრებლად თითოეულ ჩვენგანს უფლება აქვს, მიმართოს ნებისმიერ ინსტანციას და თუ განსაზღვრულ ვადაში სასურველ პასუხს ვერ მიიღებს, პირდაპირ სასამართლოში იჩივლოს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სასამართლოში სარჩელების შეტანის გასაადვილებლად მოქალაქეს სასამართლო პროცესის დამთავრებამდე არაფრის გადახდა არ მოუწევს.

ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნები ვრცელდება ყველა სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოზე ან დაწესებულებაზე, მაგრამ არა მხოლოდ

მათზე. ანალოგიური მიდგომა ვრცელდება მათზეც, ვისაც სახელმწიფომ გარკვეული უფლებამოსილებების განხორციელება მიანდო ან რომლებიც ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას ლეზულობენ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

ყველა ამ პირს, ორგანოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას, კანონი ერთ კატეგორიაში აქცევს და საჯარო დაწესებულებას უწოდებს, ხოლო საჯარო დაწესებულებაში დაცულ, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოხელის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას – საჯარო ინფორმაციას.

სხდომების საჯაროობის მოთხოვნა უნდა დაიცვას ყველა იმ თავყრილობამ, სადაც საჯარო დაწესებულების სახელით გადაწყვეტილების მიღების ან ამ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით, საკითხის განსახილველად ერთზე მეტი პირი იკრიბება.

თანასწორობის იდეა, თავისუფლებასთან ერთად, დემოკრატიული საზოგადოებისა და ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. თანასწორობის სახელით რამდენად გამართლებული იქნება შემდეგი დასკვნა: რადგან მთავრობას აქვს გახსნილობის ვალდებულება, თუ ბიზნესი ან კერძო მოქალაქე იგივე პირობებში არ ჩადგება, ეს უსამართლობა იქნება. ან პირიქით, თუ დაცული უნდა იყოს პირადი და კომერციული საიდუმლო, რატომ არ უნდა ჰქონდეს მთავრობას უფლება, საიდუმლოდ შეინახოს საკუთარი დოკუმენტები?

ეს დებულებები ფუნდამენტურად მცდარია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორი, ან უთანასწორო შეიძლება იყოს მხოლოდ შესადარისი სიდიდეები. მთავრობა, ბიზნესი და კერძო მოქალაქე არაშესადარისი სიდიდეებია და მათი ერთ სიბრტყეზე დაყენება არ შეიძლება.

ინფორმაციის მიწოდება ანგარიშვალდებულების საწინდარია. მთავრობის გამჭვირვალობა გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-5 მუხლიდან, რომლის თანახმადაც, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს უშუალოდ დემოკრატიისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. შესაბამისად, ხალხის წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი გახსნილობა და გამჭვირვალობა.

ამ პრინციპებზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ მთავრობის ხალხისაგან დამოუკიდებლობა და საზოგადოების ჩაურევლობა ხელისუფლების საქმეებში. მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო თვითკმარი და თვით-

ფასეული ერთეულია, რომელსაც საკუთარი, საზოგადოებისა და მოქალაქეებისაგან განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნია. მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ საჯარო მოხელეები საზოგადოებას კი არ უნდა ემსახურონ, არამედ საკუთარ კერძო ინტერესებს.

თუ ეს ყველაფერი ჩვენი საზოგადოებისათვის მისაღებია, მაშინ არავითარი პრობლემა არ არსებობს. მაშინ თამამად შეიძლება ვთქვათ უარი ხელისუფლების გამჭვირვალობაზე, მაგრამ თუ დანარჩენი პრინციპები არ გვეთმობა, არც ინფორმაციის თავისუფლებაზე უნდა ვთქვათ უარი. თუ ვამბობთ ა-ს, უნდა ვთქვათ ბ-ც, გ-ც და ანბანის სხვა დანარჩენი ასოც. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიქნებით ბოლომდე თანმიმდევრულები.

იგივე ფილოსოფიიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც მთავრობა გახსნილი უნდა იყოს, კერძო პირებს აქვთ პირადი და კომერციული საიდუმლოს უფლება. ხელისუფლება უნდა იყოს ხალხისადმი ანგარიშვალდებული, მაგრამ არამც და არამც – მოქალაქეები ან ბიზნესი მთავრობის წინაშე.

თუ დაცული არ იქნება პირადი საიდუმლოს უფლება, მაშინ მთავრობას საშუალება ექნება, აკონტროლოს საკუთარი მოქალაქეები და მათი კერძო ცხოვრება. აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გამოვა დიდი ძმის ყოვლისმზილველი თვალის როლში: პოლიცია, თემი, ეკლესია, თუ რომელიმე სხვა სოციალური ინსტიტუტი.

ნებისმიერი ტოტალიტარიზმი სწორედ პერსონალური ავტონომიის უფლების ხელყოფით იწყება. განმარტოების უფლება, სამოქალაქო საზოგადოების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების წინაშე ლიდერების ანგარიშვალდებულება, ტოტალიტარიზმი კი არ არის, არამედ სწორედ რომ ტირანიის აღზევებისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

დაუშვებელია, რომ კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ყალბად გაგებული პრინციპი საჯარო პირებმა საკუთარი პირადი ცხოვრების საზოგადოებისაგან დაფარვისათვის გამოიყენონ. ერთის მხრივ, აუცილებელია, საჯარო პირები მუდმივი საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ საკუთარი ლიდერების შესახებ კომპეტენტური მსჯელობა. მეორეს მხრივ, რამდენადაც საჯარო პირები საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში იმყოფებიან, მათ ყოველთვის აქვთ შესაფერისი ტრიბუნა, რათა საზოგადოებაში წამოჭრილ ნებისმიერ კითხვას, კრიტიკას, ან ზოგჯერ ჭორს და დაუსაბუთებელ ბრალდებას უპასუხონ. ასე რომ, ლიდერებს ყოველთვის აქვთ საშუალება, იყვნენ

შესმენილნი ყველაზე დიდი არბიტრის – ხალხის მიერ. ამაზე უკეთესი დაცვა არ არსებობს.

ანალოგიური პრობლემებია კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებით. კომერციულ საიდუმლოებაზე უარის თქმა მთავრობას ბიზნესის ტოტალური კონტროლის საშუალებას მისცემს. აბსოლუტური ძალაუფლება კი, როგორც კარგადაა ცნობილი, აბსოლუტურად რყენის. არ შეიძლება, გამჭვირვალობის სახელით კორუფციისათვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნას. ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის ფლობა საშუალებას აძლევს მენარმეს, მოიპოვოს საკუთარი ადგილი საბაზრო ეკონომიკის მზის ქვეშ, ანუ სხვებზე სწრაფად, ხარისხიანად და იაფად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილება ამა თუ იმ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე. ხოლო კომერციული საიდუმლოების გაუქმება მთლიანად ჩაკლავს კერძო მენარმეობის სულს.

ამასთან, კომერციული საიდუმლოება არ ნიშნავს საზოგადოებისათვის ბიზნესის სრულ დახურულობას. ბიზნესის გამჭვირვალობა დასაშვებია და აუცილებელიც იმ ოდენობით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებლის ინფორმირებული არჩევანი და ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს უსაფრთხოება.

კანონის თანახმად, მომხმარებელს აქვს ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო საქონლისა და მომსახურების მიღების უფლება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების თითოეული წევრის უფლება, იცოდეს, თუ რა გავლენას ახდენს მისი, როგორც მომხმარებლის, გადანყვებილება მის პირად, ან მისი ახლობლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, გარემოს უსაფრთხოებაზე.

ფასიანი ქალაქების კანონმდებლობის შესაბამისად, კორპორაციები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ საკვანძო ინფორმაცია, რათა საზოგადოებას, როგორც საფონდო ბაზრის მომხმარებელს, საშუალება ჰქონდეს გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი.

ოფიციალური დოკუმენტის, ან სხდომაზე დასწრების მოთხოვნაში არაფერი უხერხული არ არის, ისევე როგორც უხერხული არ არის, გამოვიყენოთ საარჩევნო ხმის უფლება და შევცვალოთ ჩვენთვის მიუღებელი თანამდებობის პირები არჩევნების მეშვეობით.

მთავრობა და, შესაბამისად, სამთავრობო ინფორმაცია ეკუთვნის ხალხს და არა სხვადასხვა რანგის მოხელეებს. მოქალაქე, რომელიც თანამდებობის პირისაგან ითხოვს ინფორმაციას, ან სხდომაზე დაშვებას, სხვის საქმეში კი არ ერევა, არამედ საკუთარი კონსტიტუციური უფლებით სარგებლობს.

ბოლოს და ბოლოს, ლათინური სიტყვა „რესპუბლიკა“ ქართულ ენაზე „საზოგადოების საქმეს“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ცალ-ცალკე მოქალაქის საქმე და ჩინოვნიკის საქმე. ნებისმიერი მოხელის საქმე თითოეული ჩვენგანის საქმეა.

დემოკრატია გულისხმობს მოქალაქეთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ მონაწილეობის უფლება გვაქვს არა მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ, არჩევნების დროს, არამედ ყოველდღიურად. საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუკი მოქალაქეებს არ ექნებათ ამომწურავი ინფორმაცია თანამდებობის პირთა საქმიანობის შესახებ.

არჩეულ თანამდებობის პირებთან საქმე შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე გვექონდეს, მაშინ, როცა უბრალო ჩინოვნიკთან სისტემატიური შეხება გვაქვს. ამიტომ, უფრო მეტად თუ არა, პარლამენტის, პრეზიდენტისა და საკრებულოს არჩევნის უფლებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, საჯარო ადმინისტრაციის ანუ ჩვეულებრივ მოხელეთა ანგარიშვალდებულება.

ჩვენ ვიხდით გადასახადებს, ამ ფულით ვქირაობთ მთავრობას, რათა უზრუნველვყოთ საერთო კეთილდღეობა და უსაფრთხოება. ვერავინ ნაგვართმევს იმის უფლებას, რომ ხელისუფლებას მოვკითხოთ დეტალური ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ თანამდებობის პირები ჩვენს მიერ კანონის მეშვეობით მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. საზოგადოებას აქვს სრული უფლება, იცოდეს, თუ რაში ხარჯავს ხელისუფლება მის ფულს და რამდენად ეფექტურია ეს ხარჯვა.

შეიძლება მავან თანამდებობის პირს მოქალაქის ცნობისმოყვარეობა, სავსებით გულწრფელად, ერთგვარ გამოწვევადაც კი მოეჩვენოს – ქვეყნის ბედი სპეციალისტებმა ცივი გონებით უნდა განსაჯონ, რათა ანონილ-დანონილი და კარგად გააზრებული გადაწყვეტილებები მიიღონ. არაკომპეტენტური ხალხის ჩარევა სახელმწიფოს მართვაში კი მხოლოდ ზედმეტ ემოციებს და არასასურველ აჟიოტაჟს შეიტანს.

ეს ფუნდამენტურად მცდარი ფილოსოფიაა. რა თქმა უნდა, ექსპერტთა კომპეტენციასა და პროფესიული გამოცდილების მნიშვნელობას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. საკითხი სწორედ ისაა, ვინ არის სახელმწიფოებრივი საკითხების ყველაზე დიდი ექსპერტი? ვინ არის სახელმწიფო თუ არა ჩვენ, ხალხი? ჩვენზე უკეთ ვინ იცის, თუ რაში მდგომარეობს საზოგადოების ნამდვილი ინტერესები. პირიქით, თანამდებობის პირები თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, განუმარტონ

მოქალაქეებს ოფიციალური პოლიტიკის არსი, დაინტერესონ ისინი სახელმწიფო საქმეებით და უბიძგონ, რომ პასიური დამკვირვებლის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით შეცვალონ. ხელისუფლების ჯანსაღ საზოგადოებრივ კრიტიკას სახელმწიფოსათვის მხოლოდ სარგებლის მოტანა შეუძლია. ერთი მხრივ, თანამდებობის პირებს საქმის გამოსწორების შესაძლებლობა ეძლევათ, მეორე მხრივ, ხელისუფლების მიმართ კრიტიკის გამოთქმით საზოგადოებრივი უკმაყოფილება განიმუხტება.

რაც არ უნდა რთული იყოს დემოკრატია, ქართულ სახელმწიფოს არა აქვს სხვა ალტერნატივა, თუ არა იყოს დემოკრატიული ან არ იყოს საერთოდ. ჩვენ არა გვაქვს იმდენი დრო, იქამდე მოვიცადოთ, სანამ სათანადოდ მოვემზადებით და მერე ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ დავწერგავთ დემოკრატიულ მმართველობას.

ისევე, როგორც ცურვის სწავლა მხოლოდ წყალშია შესაძლებელი, დემოკრატიის სწავლა მხოლოდ დემოკრატიული გამოცდილებით შეიძლება. სხვა არადემოკრატიული ქვეყნების მაგალითი ჩვენთვის ნაკლებად გამოსადეგია. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ქართული რეალობა და ისე გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი.

მოსახლეობის გარკვეულ ფენებში რაც არ უნდა ძლიერი იყოს რკინის ხელის ნოსტალგია, სათანადო ბაზის გარეშე ავტორიტარული რეჟიმის დამყარება, შეუძლებელია. ყველა არადემოკრატიული რეჟიმი გარკვეულ რესურსებს ემყარება: ნიაღისეულ სიმდიდრეებს; ორგანიზაციას, იქნება ეს სამხედრო, პარტიული, თუ რელიგიური; ძლიერ იდეოლოგიას; გარე ძალების მხარდაჭერას...

ამ რესურსის გარეშე, შეუძლებელია, უზრუნველყოფილი იყოს ცენტრიდან გაცემულ ბრძანებათა უპირობო შესრულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყველა ადამიანისა და ჯგუფის მიერ. როცა ავტორიტარული რესურსი ქვეყნის შიგნით არ არსებობს, დაინტერესებულ გარეშე ძალებს შეუძლიათ მისი იმპორტი პირდაპირი ინტერვენციის გზით, ან ქვეყნის შიგნით არსებული გარკვეული დაჯგუფებებისათვის დახმარების განევით.

არც საქართველოს შიგნით და არც მის ფარგლებს გარეთ არ არსებობს არც ერთი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური ან თუნდაც ძალისმიერი ინსტიტუტი, რომელიც დაინტერესებული იქნება ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმის დამყარებით. ეს დაინტერესება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გარკვეულ მზაობას, სისტემატიურად გასწავლოს ავტორიტარული მმართველობის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

საქართველოში წესრიგის დამყარებით დაინტერესებული ერთადერთი ძალა

არის ქართული საზოგადოება, ანუ ჩვენ, ხალხი, რომელსაც სახელმწიფომ უნდა მისცეს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ელემენტარული გარანტიები. ჩვენი მონაწილეობის გარეშე, ახალი ქართული სახელმწიფოს აშენებას იმ უბრალო მიზეზის გამო ვერავინ შეძლებს, რომ სხვას იგი არაფრად სჭირდება.

სახელმწიფო დაწესებულებების ნორმალურ ფუნქციონირებას დღევანდელ საქართველოში საფრთხეს ის კი არ უქმნის, რომ გამჭვირვალობის შემთხვევაში, მოქალაქეთა მოზღვავებული ინტერესის შედეგად, მათი პარალიზება მოხდება, არამედ უფრო პირიქით, საზოგადოების თითქმის სრული სამოქალაქო ნიჰილიზმი და პოლიტიკური ინდიფერენტულობა.

სახელმწიფოსაგან ხალხის გაუცხოებას ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია უმაგრებს ზურგს. თითქმის 600 წელი ჩვენ ერთიან და დამოუკიდებელ სახელმწიფოში არ გვიცხოვრია, ბოლო 200 წელი ქართული სახელმწიფოებრიობის წყვეტას ჰქონდა ადგილი, ხოლო უკანასკნელი 70 წელი ტოტალიტარული სისტემის მარნუხებში ვიყავით მოქცეულები. 1990 წელს აღდგენილ სახელმწიფოებრიობას, XX საუკუნის ბოლო ათწლეულის პირველი ნახევარის სამოქალაქო ომის გამო, საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი არალეგიტიმურად მიიჩნევდა.

1995 წლის კონსტიტუციამ ქართულ სახელმწიფოს ერთგვარი ლეგიტიმურობა შესძინა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების თვალში ხელისუფლება და მისი მსახურნი ერთგვარ დახურულ კასტად აღიქმება. ხალხი თანამდებობის პირთა ყოველ ნაბიჯს უნდობლობითა და ცინიზმით უყურებს. სახელმწიფო მოხელეთა სიტყვებისა და საქმეების უკან პირადი ინტერესების ძებნა კარგა ხანია სპორტის ნაციონალურ სახეობად იქცა და უკვე კოლექტიური პარანოიის ფორმას იღებს.

ხალხისა და ხელისუფლების გაუცხოება პოლიტიკური ინსტიტუტების ეროზიას იწვევს და უაღრესად სახიფათოა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსათვის. იმ შემთხვევებშიც კი, როცა თანამდებობის პირები ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ, ოფიციალური პოლიტიკა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აბსოლუტურად გაუგებარია, ზოგჯერ კი – კატეგორიულად მიუღებელი.

ყოველივე ამას ერთი ძირითად მიზეზი აქვს: დღევანდელ საქართველოში მოქალაქეებს, როგორც წესი, არ ესმით საკუთარი სახელმწიფოსი. ხელისუფლების შესახებ ადეკვატური ინფორმაციის უქონლობის პირობებში, საზოგადოება ძველი სტერეოტიპებით ხელმძღვანელობს. აქედან გამომდინარე, სამთავრობო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში დღესავით ნათელი უნდა იყოს.

საკუთარი მოქალაქეების ნდობის მოპოვება რომ შეძლოს, ახალი ქართული

სახელმწიფო, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, პაპზე უფრო მეტი კათოლიკე უნდა გახდეს. ხალხსა და ხელისუფლებას შორის გაუცხოების ტრადიციის დასაძლევად სახელმწიფო საკითხების გადანყვეტაში საზოგადოება იმაზე ბევრად ღრმად უნდა ჩავაბათ, ვიდრე ეს თვით მსოფლიოს ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოებშია მიღებული.

მხოლოდ მთავრობის გახსნილობა აღადგენს ხალხის ნდობას სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისადმი. მხოლოდ სრული გამჭვირვალობის პირობებში გაიფანტება საზოგადოების ეჭვები და გაქრება თანამდებობის პირთა ტოტალური არაკეთილსინდისიერების სტერეოტიპი. მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი, განხორციელდეს დემოკრატიის იდეალი – ხალხის ხელისუფლება, ხალხის მიერ და ხალხისათვის.

მოქალაქეთა მხარდაჭერისა და გაგების გარეშე ქართული სახელმწიფო ვერ შედგება. ქართული სახელმწიფო კრიზისიდან ვერ გამოვა, თუკი ხალხმა გადასახადების გადახდა არ დაიწყო. მოქალაქეები კი გადასახადებს მანამ არ გადაიხდიან, სანამ არ ეცოდინებათ, თუ რას ხმარდება მათი ფული – საზოგადოებრივ კეთილდღეობასა თუ მავანი ჩინოვნიკის პირად გამორჩენას.

სახელმწიფო დანესებულება მხოლოდ მაშინ და იმდენად ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, რამდენადაც ის ღიაა და, მაშასადამე, – გასაგები მოქალაქეთათვის. სახელმწიფოს ავტორიტეტი და მისი პოლიტიკის ლეგიტიმურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამჭვირვალე იქნება გადანყვეტილებების მიღების პროცესი.

დემოკრატიის პირობებშიც კი ყოველთვის იყო, არის და იქნება მოგებულიც და წაგებულიც, მაგრამ თუ გადანყვეტილების მიღებამდე ყველა თვალსაზრისი იქნება მოსმენილი და შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული, მაშინ საბოლოო გადანყვეტილება წაგებულთათვისაც უფრო ადვილად მისაღები გახდება. მისაღები თუ არა, გასაგები მაინც.

რაც არ უნდა გონივრული იყოს ოფიციალური პოლიტიკა, თუ ის ყველა მხარის მონაწილეობის გარეშეა შემუშავებული, მან შეიძლება უფრო მეტი ზიანი მოიტანოს, ვიდრე სიკეთე. მუდმივად იქნება პოლიტიკური კონფლიქტები, სასამართლო სარჩელები და საზოგადოების პოლარიზაცია.

ნებისმიერი კანონის ადეკვატური განხორციელება რომ მოხდეს, უნდა ვიცოდეთ, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ კანონმდებლები ნორმის დადგენისას. მხოლოდ კანონებისა და კოდექსების ტექსტი სრულფასოვან წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის კანონის სულისკვეთების შესახებ.

რა ვითარებაში აღიარა სახელმწიფომ თავისი ვალდებულება, დაუბრკოლებლივ მიანოდოს მოქალაქეებს სამთავრობო ინფორმაცია და უზრუნველყოს ოფიციალურ სხდომებზე მათი დასწრება? რა დებატები უძღოდა წინ ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის მიღებას?

1995 წელს, დემოკრატიული კონსტიტუციის მიღების შემდეგ, დაიწყო მსჯელობა იმ კანონმდებლობის შესახებ, რომელსაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარე ცხარე დებატებში უამრავი იურისტი, ჟურნალისტი, ადამიანის უფლებების დამცველი, ქართველი თუ უცხოელი ექსპერტი ლებლობდა მონაწილეობას.

დისკუსიის ამოსავალი წერტილი იყო ერთი საკითხი: პრესა უნდა დაემორჩილოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებს, თუ მთავრობა ხალხის მიერ დაწესებულ კანონებს? კანონმა უნდა შეზღუდოს პრესა ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების მხრივ, თუ მთავრობას დააკისროს ვალდებულება, გახსნას ოფიციალური დოკუმენტები და სხდომები? ჟურნალისტებს ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების რაიმე სპეციალური უფლებები უნდა ჰქონდეთ, თუ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორი უნდა იყოს?

1999 წლის ივნისში, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე, არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, პარლამენტმა მიიღო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და მასში ინფორმაციის თავისუფლება მესამე თავად შეიტანა. გადაწყდა, რომ საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებას, პრესის კანონის ნაცვლად, ინფორმაციის თავისუფლება სჭირდება.

ინფორმაციის თავისუფლების უპირველესი გარანტიაა საქართველოს კონსტიტუცია და მის საფუძველზე გამოცემული კანონები: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი – ინფორმაციის თავისუფლება, კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, აგრეთვე ზოგიერთი ეკოლოგიური და სამედიცინო კანონი.

კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია. ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებაში საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროს მთავრობა წარმოადგენს, კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილი აღიარებს საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას.

თუ კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილი ღია მთავრობის პრინციპს ამკვიდრებს, ამავე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან, ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. ეს ნორმა ბუნებრივად გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-20 მუხლით აღიარებული პრინციპიდან, რომელიც ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავს.

კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად, ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

კონსტიტუციის შემდეგ, ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს მოქალაქეთა უფლებას, დაესწრონ საჯარო დაწესებულებების სხდომებს, თავისუფლად მიუწვდებოდეთ ხელი ოფიციალურ დოკუმენტებზე, აგრეთვე საკუთარი თავის შესახებ ხელისუფლების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი – ინფორმაციის თავისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის გამჭვირვალობის სფეროში სხვა კანონებიც მოქმედებენ, აღნიშნული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ეფექტურ კანონად უნდა ჩაითვალოს. ბუნებრივია, რაც უფრო ფართოა კანონის გამოყენების სფერო, მით უფრო დიდია ინტერპრეტაციათა დიაპაზონი. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ინფორმაციის თავისუფლების გარდა, მოქმედებს მთელი რიგი სხვა ნორმატიული აქტებისა, რომელთა ცოდნა, მართალია, მოქალაქეს განცხადების შედგენისას არ სჭირდება, მაგრამ თანამდებობის პირისათვის აუცილებელია განცხადებაზე კანონიერი და დასაბუთებული პასუხის გასაცემად.

გამჭვირვალე მთავრობის არსებობა საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ ეს ინტერესი გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მეორე, არანაკლებ არსებით საზოგადოებრივ ინტერესთან, როგორცაა ხელისუფლების გამართული და ეფექტური საქმიანობა, პირადი, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოს დაცვა. ამგვარი კოლიზიები დამახასიათებელია ნებისმიერი თავისუფალი საზოგადოებისათვის. კანონი მონოდებულია გარკვეულწილად დააბალანსოს ყველა ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი და საშუალება არ მისცეს ღიაობის ზოგადი წესიდან ცალკეულ გამოწვევებს, ინფორმაციის თავისუფლების ეროზია მოახდინონ.

კონსტიტუციური ნორმიდან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების თავი, მთავრობის გამჭვირვალობასთან ერთად, ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის საკითხსაც არეგულირებს. ამასთან, სახელმწიფო, პირადი, კომერციული, ან პროფესიული საიდუმლოების მოტივით პირს შეიძლება შეეზღუდოს უფლება, გაეცნოს სამთავრობო დოკუმენტებში საკუთარი თავის შესახებ არსებულ ინფორმაციას.

უფლება იცოდე, რა იცის მთავრობამ შენს შესახებ ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. სამთავრობო დოკუმენტებში შეიძლება არასწორი მონაცემები იყოს დაცული და ამ მცდარი ინფორმაციის საფუძველზე მოქალაქეს შესაძლოა, ზიანი მიადგეს. მთავრობა შესაძლოა, ჩვენს შესახებ ისეთ ინფორმაციას ფლობდეს, რისი ცოდნის უფლებაც მას კანონით არა აქვს და შესაბამისად, არსებობს ამ ინფორმაციის უკანონო მიზნით გამოყენების საშიშროება.

ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ არასწორი მონაცემების შესწორება და უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის განადგურება. ამ უფლების დაცვა შესაძლებელია სასამართლოსადმი მიმართვით. მთავრობა ვალდებულია, აგვინაზღაუროს საკუთარი დაუდევრობით, შეცდომით ან უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანი.

ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გარდა, სხვა საკანონმდებლო აქტებიც არეგულირებენ. ამგვარად, აუცილებელია, რომ ის საჯარო მოსამსახურე, ვისაც უბდება ინფორმაციის თავისუფლების საკითხების განხილვა და გადანყვეტა, ყველა ამ აქტს საფუძვლიანად იცნობდეს.

ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ნებისმიერ სამთავრობო დოკუმენტს და დაესწროს ნებისმიერ სხდომას, რომელსაც ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო ატარებს. თუმცა, კანონმა შეიძლება დაადგინოს ცალკეული გამონაკლისი.

ჩვენი უფლების განსახორციელებლად საჭირო არ არის შესაბამის სახელისუფლო დაწესებულებას დავუმტიცოთ, რომ ჩვენი მოთხოვნა კანონიერია, ან ინტერესი – საფუძვლიანი. ყველა ჩვენი მოთხოვნა კანონიერად და საფუძვლიანად ითვლება მანამ, ვიდრე შესაბამისი სახელმწიფო ორგანო საპირისპიროს არ დაასაბუთებს.

თუ სახელმწიფო დაწესებულება უარს ამბობს რაიმე ინფორმაციის გაცემასა ან რომელიმე სხდომაზე დასწრებაზე, უართან ერთად მან უნდა დაასაბუთოს საკუთარი უარის კანონიერება და საფუძვლიანობა.

სამთავრობო დოკუმენტის მისაღებად, ან სხდომაზე დასასწრებად მოთხოვნის შედგენისას არ არის საჭირო არც ადვოკატის დახმარება და არც კანონების ღრმა შესწავლა. სახელმწიფო მოხელეს კი, რომელსაც ჩვენი განცხადების განხილვა დაევალება, შესაძლოა მოქმედ კანონმდებლობაში გარკვევა მოუწიოს.

კანონი მოქალაქეს აძლევს მხოლოდ უფლებებს და არ აკისრებს მას რაიმე ვალდებულებებს მაშინ, როცა სახელმწიფო მოხელე პასუხისმგებელია როგორც ინფორმაციის არასწორად დაფარვის, ისე გაცემის შემთხვევაში. ასე რომ, მოქალაქის განაცხადის განხილვისას, თანამდებობის პირებმა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ და მხოლოდ კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

კანონმდებლობა, რომელიც სამთავრობო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და სხდომების საჯაროობას უზრუნველყოფს, მოქალაქეთა მიერ ამ უფლების რეალიზაციის ძალიან მარტივ პროცედურებს ითვალისწინებს. თუმცა ეს არ გამოირიცხავს ისეთ შემთხვევებს, როცა თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს არ ემთხვევა. ყველა უწყება და მოხელე ერთნაირი არ არის. ზოგი მტკიცედ განწყობილია ღიაობისა და თანამშრომლობისთვის, ზოგი კი უკიდურესად დახელოვნებულია ინფორმაციის დამალვაში. თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს დროში, როცა ყველაფერი იცვლება, იცვლება ხელისუფლებაც. ძველი თანამდებობის პირები მიდიან, მათ ადგილას მოდის სხვა ხალხი. ახალ ადამიანებს თან ახალი მიდგომები და ახალი პოლიტიკა მოაქვთ. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ახალი პრაქტიკის დამკვიდრებასა და საზოგადოებისა და დროის მოთხოვნათა უკეთ დაკმაყოფილებას.

სამწუხაროდ, ჩვენ დიდხანს ვცხოვრობდით იმ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლის ყოველი სიტყვა ერთადერთი კანონი და სამართალი იყო. დღეს საზოგადოებას ამ ისტორიული ტრადიციის დაძლევა უხდება, მაგრამ ეს არ არის სწრაფი და ადვილი პროცესი.

წარსული უუფლებობიდან გამომდინარე, ჩვენ ხშირად გვიჭირს ეჭვი შევიტანოთ თანამდებობის პირთა ავტორიტეტული განცხადებების კანონიერებაში და კრიტიკული თვალთ შევხედოთ ხელისუფლების გადაწყვეტილებათა სამართლიანობას.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის აშენებასაც ჩვენ ყველანი ერთად ვცდილობთ, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილებები და განსაჯოს, თუ რა არის ამა თუ იმ შემთხვევაში კანონიერი და რა – არა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოში მიმართვისას, ჩვენი შანსები სასურველი ინფორმაციის მიღებაზე ერთი-ორად იზრდება. ეს ხდება არა იმიტომ, რომ მოსამართლეები უფრო უკეთესი ადამიანები არიან, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოხელეები, არამედ უბრალოდ, მოსამართლე, ჩვეულებრივი ჩინოვნიკისაგან განსხვავებით, საკუთარ გადანყევტილებებში დამოუკიდებელია და ემორჩილება კანონს და არა ზემდგომ თანამდებობის პირს. ამასთან, სასამართლოს არა აქვს პირდაპირი უწყებრივი დაინტერესება, დამალოს ინფორმაცია. ასე რომ, თუ სახელმწიფო დანებსებულებამ საფუძვლიანი არგუმენტები არ მოიტანა თავისი პოზიციის გასამყარებლად და კარგად არ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა გასაიდუმლოვდეს ესა თუ ის ინფორმაცია, მოსამართლე დავას ჩვენს სასარგებლოდ გადანყევტს და შესაბამის სახელმწიფო მოხელეს დახურული ინფორმაციისა თუ სხდომის გახსნას უბრძანებს.

თანამდებობის პირები, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე გადანყევტილებებს იღებენ, ჩვეულებრივი მოკვდავები არიან. ასე რომ, მათთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. ადამიანები კი ხშირად ცდებიან, მათ ახასიათებთ სხვადასხვა სისუსტეები და, როგორც წესი, ნაკლებად მიდრეკილნი არიან რისკისადმი.

თანამდებობის პირი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე წლების განმავლობაში მუშაობს და კონკრეტულ საკითხს დეტალურად იცნობს, იმავდროულად, შეიძლება კარგად არ იყოს გათვითცნობიერებული ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროში. ამასთან, ცალსახად ღია და ცალსახად დახურულ საჯარო ინფორმაციას შორის არის ბუნდოვანების რუხი ზონა. თავის დაზღვევის მიზნით, მოხელემ შეიძლება, თავი არ აიტიკივოს და ბუნდოვანი დახურულად გაასალოს. შეიძლება მას არ ყოფნიდეს გამოცდილება და კანონების ცოდნა, ზოგჯერ საკუთარი შეცდომის, ან სულაც დანაშაულის კვალის დაფარვას ჰქონდეს ადგილი.

მოქალაქეთათვის საკუთარი მთავრობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო:

პირველი მიზეზი ის არის, რომ ინფორმაციის მეშვეობით მოქალაქეები ეცნობიან საკუთარი მთავრობის მოღვაწეობას, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის მართვაში.

მეორე ის არის, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელს უშლის კორუფციასა და არაკომპეტენტურობას, რადგანაც მთავრობის მოხელეებმა იციან, რომ მათი მოქმედებები საჯარო განსჯის საგანია, ეს კი მათ აძლევს სტიმულს, უკეთ

შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. როცა კანონმდებლობა მთავრობის საჯაროობას ითვალისწინებს, მთავრობის თითოეული მოხელე ფიქრობს: „რასაც დღეს ვიტყვი ან გვაკეთებ, ხვალ შეიძლება გაზეთის პირველ გვერდზე ამოვიკითხო“. საზოგადოების მხრიდან კონტროლი აუმჯობესებს მთავრობის მოხელეთა მუშაობის ხარისხს.

მესამე მიზეზი ის არის, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები და არ ელოდონ, რომ ამას მათ ნაცვლად მთავრობა გააკეთებს. მაგალითად, თუ მოქალაქეებს ანუხებთ ბირთვული ელექტროსადგურების უსაფრთხოების საკითხი, მათ შეუძლიათ, მთავრობისაგან მიიღონ ინფორმაცია ამის თაობაზე და თავად გადაწყვიტონ – მოითხოვონ თუ არა ასეთი ელექტროსადგურების გაუქმება. ინფორმაცია პირდაპირ შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, თავად უზრუნველყონ საკუთარი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა და ეს მთავრობას არ მიანდონ.

და მეოთხეც, საჯაროობა ამაღლებს მთავრობის მოღვაწეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს და აგრეთვე, შესაძლებლობას აძლევს მთავრობას, უპასუხოს კრიტიკას და გაამართლოს საკუთარი მოქმედებები. მთავრობის შესახებ ინფორმაციის ქონა საშუალებას აძლევს ადამიანებს, უკეთ გაიაზრონ ნარსული და ისწავლონ ნარსულის გაკვეთილებზე, უადვილებს მათ მთავრობის ქმედებებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას და მომავლისათვის ამზადებს მათ.

გავრცელებული სტერეოტიპის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლები ჟურნალისტები არიან. პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის ზუსტი არ არის. პრესა ჟურნალისტური ხერხებით გაცილებით უფრო სწრაფად იღებს საჭირო ინფორმაციას, ვიდრე ეს ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

ინფორმაციის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, გეჭირდება ჩვენ, ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ანუ იმ ხალხს, ვისაც არაოფიციალური წყაროებიდან და არაფორმალური არხებით ინფორმაციის მოპოვება არ შეგვიძლია.

აქრძალული ხილი ტკბილია, მაგრამ ზოგჯერ ზესაიდუმლო მასალებში მოყვანილი ფაქტები შესაძლოა, შეესაბამებოდეს სინამდვილეს, შესაძლოა – არა. ოფიციალური დოკუმენტები ყოველთვის ვერ ამართლებენ ჩვენს მოლოდინს. ხშირად ინფორმაციის ყველაზე საინტერესო ნაწილს შეიძლება, საიდუმლოების გრიფი დაედოს და კუპიურებით გამოქვეყნდეს.

თავისთავად ის ფაქტი, რომ დოკუმენტი გასაიდუმლოებული იყო, არ იძლევა

იმის გარანტიას, რომ მასში მოყვანილი ინფორმაცია სწორი, ან საინტერესო იქნება. ხშირად სახელმწიფოს ხელთ არსებული ინფორმაცია სწორი არ არის. არც თუ იშვიათად თანამდებობის პირები ისეთ ინფორმაციას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც ნაკლოვანებების მიზეზად სხვებს ასახელებს, ხოლო პირადად მათ და მათ უწყებას დადებითად წარმოაჩენს ხელმძღვანელობის ან საზოგადოების თვალში.

რა თქმა უნდა, ნახევარი სიმართლე სიმართლე არ არის, მაგრამ უმჯობესია გვექონდეს თუნდაც ინფორმაციის ნაწილი, ვიდრე არ გვექონდეს არავითარი ინფორმაცია. ამ და სხვა ნაკლოვანებების მიუხედავად, ოფიციალური დოკუმენტი კარგი საწყისი წერტილია ოფიციალური წყაროდან კომენტარებისა და დამატებითი განმარტებების მოსაპოვებლად. თუნდაც ნაკლები ინფორმაცია შეიძლება, ის გასაღები აღმოჩნდეს, რომელიც სხვა დოკუმენტების კვალზე გაგვიყვანს.

კომენტარები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავზე¹

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა ვრცელდება არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებებზე (იქნება ეს პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, სამინისტრო, სახელმწიფო დეპარტამენტი, საქვეუნყებო დაწესებულება, მარეგულირებელი კომისია, სასამართლო თუ სხვა), არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებზე (საკრებულო, მერია, გამგეობა და ა.შ.), აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე (სახელმწიფო უნივერსიტეტები, ფოთის პორტი, ნოტარიუსთა პალატა და ა.შ, გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა). ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ყველა ამ დაწესებულებას საჯარო დაწესებულებას უწოდებს.

საჯარო დაწესებულებად ჩაითვლება აგრეთვე ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო უფლებამოსილებებს ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას. საჯარო დაწესებულებად ასევე ჩაითვლება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

კოდექსის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს, უცხოეთის მოქალაქეს, იურიდიულ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში არსებული, აგრეთვე მათ მიერ მიღებული, შექმნილი ან გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც კანონის შესაბამისად,

¹ „მედია და კანონი“, თავისუფლების ინსტიტუტი, 2004.

ალიარებულია სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებად.

საჯარო დაწესებულებას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს უფლება, გაასაიდუმლოს ესა თუ ის ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში საჯარო დაწესებულებამ უნდა დაასაბუთოს, რომელი ნორმის საფუძველზე მოხდა ინფორმაციის გასაიდუმლოება. გასაიდუმლოებულ ინფორმაციას უნდა მიენიჭოს გრიფი „საიდუმლო“. საიდუმლო ინფორმაციათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანს სახელმწიფო საიდუმლოება წარმოადგენს. ამა თუ იმ ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს 1996 წლის კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს. ამ კანონის მიხედვით, თანამდებობის პირთა მხოლოდ შეზღუდულ წრეს გააჩნია სახელმწიფო საიდუმლოებად ამა თუ იმ ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება.

კომერციული საიდუმლოება

კომერციულ საიდუმლოებად ჩაითვლება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ღირებულება გააჩნია. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის, პროცესის, ფორმულის სახის და უნდა ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადაამუშავებას, მომზადებას ან მომსახურების განევას. ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს.

კომერციულ საიდუმლოებას ასევე მიეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

ზოგჯერ, კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ინფორმაციის კომერციული საიდუმლოებისთვის მიკუთვნების საკითხს. ასეთია, მაგალითად, ინფორმაცია გადახდილი გადასახადების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება, რომელიც ამ ინფორმაციას მიიღებს, ვალდებულია, ავტომატურად ცნოს ის კომერციულ საიდუმლოებად. სხვა შემთხვევაში, ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი პირის მოთხოვნის საფუძველზე. როდესაც პირი გადასცემს ინფორმაციას საჯარო დაწესებულებას, მან იქვე უნდა მიუთითოს, სურს თუ არა ამ ინფორმაციის შინაარსის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. თუ პირი ინფორმაციის წარდგენისას არ მიუთითებს, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია მის კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება, ეს ინფორმაცია ღია გახდება ნებისმიერი მსურველისათვის.

კომერციულ საიდუმლოდ მიჩნეულ ინფორმაციას დაედება გრიფი „საიდუმლოდ“ და ის გარეშე პირთათვის ხელმიუწვდომელი გახდება.

პირადი საიდუმლოება

კერძო პირების შესახებ საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ინფორმაცია დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა კონსტიტუციითაა გარანტირებული. კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, ხოლო 41-ე მუხლის შესაბამისად, დახურულია „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან.“

არავის აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა დაავადება გადაიტანა ამ თუ იმ კონკრეტულმა პირმა, როგორია მისი შემოსავალი, რამდენ გადასახადებს იხდის ის და ა.შ.

პირად საიდუმლოებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (მაგალითად, პირის მისამართი, ასაკი, ეროვნება და ა.შ.). ასეთი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებამ ავტომატურად უნდა ჩათვალოს პირად საიდუმლოებად და ხელმიუწვდომელი გახადოს სხვა საჯარო დაწესებულებისა და კერძო პირებისთვის. ყურნალებისტმა ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიიღოს მხოლოდ ამ პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ზოგიერთი პერსონალური მონაცემი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მაგალითად, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ამომრჩეველთა სიები, ანუ ამომრჩეველთა შესახებ გარკვეული ინფორმაცია საჯაროა და უნდა გამოქვეყნდეს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ღიაა იმ თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები, რომლებიც ავსებენ ქონებრივ და საფინანსო დეკლარაციებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის შესაბამისად. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, გაიგოს რა შემოსავალი აქვს მინისტრს ან პარლამენტის წევრს, რამდენ გადასახადს იხდის ის, ნასამართლევია თუ არა, როგორია მისი ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ. ღიაა აგრეთვე პარლამენტის წევრობის კანდიდატთა, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირების შესახებ საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაცია.

პერსონალური ინფორმაცია, რომელიც პირად საიდუმლოებას შეიცავს, დახურულია საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ინფორმაცია დახურულია პირისათვის, რომელზეც ეს ინფორმაცია არსებობს. პირის უფლება, დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

ინფორმაციის მიღება კერძო დაწესებულებებიდან

ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა მხოლოდ საჯარო დაწესებულებებზე ვრცელდება. სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თუ კავშირი ვალდებული არ არის, ჟურნალისტს მიაწოდოს ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. ისინი კერძო დაწესებულებებს წარმოადგენენ და სახელმწიფოს დაფინანსებაზე არ იმყოფებიან. კერძო დაწესებულებად ჩაითვლება აგრეთვე ნებისმიერი სანარმო, თუნდაც მასში სახელმწიფო 100% წილს ფლობდეს. ამავე დროს, თუ კერძო დაწესებულებამ მიიღო სუბსიდია სახელმწიფოსაგან, მაშინ ამ თანხის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

სხდომების საჯაროობა

საჯარო ინფორმაციის შექმნა და დამუშავება მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტების მეშვეობით არ ხორციელდება. საჯარო დაწესებულების სხდომების დროს ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარმოდგენა და შეფასება ხდება. საჯარო დაწესებულებათა სხდომები ღიაა. საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, რა პოზიცია გამოხატა კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრმა სხდომის დროს, რა სახის საკითხები იხილება სხდომაზე, მოხდა თუ არა საკითხის ყოველმხრივი განხილვა სხდომის დროს და როგორ მივიდა კოლეგიური საჯარო დაწესებულება საბოლოო გადაწყვეტილებამდე. ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრის და მთლიანად დაწესებულების მუშაობის შეფასება. სწორედ ამიტომ კოდექსი მოითხოვს, რომ ჟურნალისტებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის ყველა საჯარო დაწესებულების სხდომა ღიად წარიმართოს. კოლეგიურ საჯარო დაწესებულებად ჩაითვლება ისეთი დაწესებულება, სადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლეგიურად ორი ან მეტი პირის მიერ კენჭისყრის საფუძველზე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ სხდომას ოფიციალური სახე ჰქონდეს. სხდომა ღიაა, თუკი კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრები იკრიბებიან გადაწყვეტილების არა მარტო მიღების, არამედ მომზადების მიზნითაც.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ შეძლოს მისთვის საინტერესო სხდომაზე დასწრება, სხდომის გამართვისა და განსახილველი საკითხების შესახებ მას წინასწარ უნდა ეცნობოს. რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველმა საჯარო დაწესებულებამ სხდომამდე ერთი კვირით ადრე უნდა გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო თუკი სხდომაზე განზრახულია საი-

დუმლო საკითხების განხილვა, სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილების შესახებაც.

შესაძლებელია, წარმოიშვას სხდომის დაუყოვნებლივი გამართვის აუცილებლობა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, ერთკვირიანი ვადის დაცვა ვერ მოხერხდება. ამიტომ, გადაუდებელი აუცილებლობისას, კოდექსი ითვალისწინებს სხდომის გამართვას წინასწარი გამოცხადების ვადის დაცვის გარეშე. როგორც კი წარმოიშვება სხდომის დადგენილ ვადაზე ადრე გამართვის აუცილებლობა და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებენ, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოაცხადოს გადაუდებელი სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ. ანუ კოდექსი არ უშვებს საზოგადოების ინფორმირების გარეშე სხდომის გამართვის შესაძლებლობას. თუ გადაუდებელ სხდომაზე საიდუმლო ინფორმაციები უნდა განიხილოს, სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება წინასწარ უნდა მოხდეს, რის შესახებ ასევე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საზოგადოებას.

დაუშვებელია სხდომაზე დასასწრებად საგანგებო მოსაწვევის მოთხოვნა. სხდომაზე დასწრების მსურველთა შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელია ყველა მსურველის სხდომის დარბაზში მოთავსება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დაწესდეს სხდომაზე დასწრების სპეციალური წესი. მაგალითად, სხდომაზე დასასწრებად დაიშვებიან ის პირები, რომლებმაც შედარებით ადრე გამოთქვეს სხდომაზე დასწრების სურვილი ან უპირატესობა მიეცემათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს და ა.შ. ისეთმა საჯარო დაწესებულებებმა, რომელთა სხდომების მიმართ საზოგადოების ინტერესი მუდმივად მაღალია, უნდა შექმნან ფართო საზოგადოებისათვის სხდომათა ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა (სხდომის პირდაპირი ტელე ან რადიოტრანსლირება).

კოდექსი ითვალისწინებს სხდომის დახურვის შესაძლებლობას, თუკი ეს აუცილებელია სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. თუ სხდომის დღის წესრიგში შეტანილია რამოდენიმე საკითხი, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, ასეთ შემთხვევაში უნდა დაიხუროს არა მთლიანად სხდომა, არამედ მხოლოდ სხდომის ის ნაწილი, რომლის დროსაც საიდუმლო ინფორმაცია განიხილება.

ინფორმაციის გაცემის ვადები

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ინფორმაციის სწრაფი გაცემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ბევრი ინფორმაცია კონკრეტული პირებისათვის ღირებულება მხოლოდ დროის ხანმოკლე მონაკვეთში. ამიტომაც, მათთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, ამ ინფორმაციაზე რაც შეიძლება სწრაფად მიუწვდებოდეთ ხელი. კოდექსის მოთხოვნით:

○ საჯარო ორგანომ ინფორმაცია უნდა გასცეს დაუყოვნებლივ, ინფორმაციის მოთხოვნისთანავე.

○ სიტყვა „დაუყოვნებლივ“ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების რეგისტრაციისთანავე, ეს განცხადება უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან.

○ ყველა საჯარო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სპეციალურად ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ განცხადების განხილვას და გადანყვეტილება იმავე დღესვე მიიღოს.

○ თუ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ამ საჯარო დაწესებულებაში სხვა მოვალეობებიც გააჩნია, მან ჯერ ინფორმაციის გაცემის შესახებ გადანყვეტილებები უნდა მიიღოს და შემდეგ დაუბრუნდეს სხვა უფლებამოსილებების შესრულებას.

○ თუ ერთი და იმავე დღეს ადმინისტრაციულ ორგანოში ერთბაშად რამოდენიმე განცხადება შევა, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი მათ შესვლის რიგითობის მიხედვით განიხილავს.

რიგ შემთხვევებში, ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა შეუძლებელია. ამიტომაც, გამონაკლისის სახით, კოდექსი ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემის ათდღიან ვადას. ათდღიან ვადას უნდა მიმართონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) მოთხოვნის სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ინფორმაციის მოძიება სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფიდან. ბ) მოთხოვნის სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება სხვა საჯარო დაწესებულებიდან. გ) აუცილებელია სხვადასხვა ტიპის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიება და დამუშავება. დ) ინფორმაციის გაცემისათვის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ჩატარდეს კონსულტაციები სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან.

ათდღიანი ვადის აუცილებლობის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ინფორმაციის მომთხოვნს. ასევე ის უნდა გააფრთხილოს, თუ ზუსტად რამდენი დღე დასჭირდება ინფორმაციის გაცემას.

ისევე როგორც ინფორმაციის გაცემის, ასევე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილების მიღება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. მოქალაქეს, რომელიც ინფორმაციას მოითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინონ ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობის შესახებ. ეს გადანყვეტილება წერილობითა და შესაძლებელია მისი სასამართლოში გასაჩივრება.

იმისათვის, რომ პირმა მისთვის სასურველი საჯარო ინფორმაცია მიიღოს, მან უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია, გასცეს ინფორმაცია ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს ამ დაწესებულების უფლებაა და არა მოვალეობა. ამავე დროს, საჯარო დაწესებულებას არა აქვს უფლება, მოსთხოვოს პირს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივის ან მიზნის დასახელება.

ინფორმაციის მიღების ფორმები

საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით შეიძლება ინახებოდეს – დოკუმენტის, ნახაზის, ნახატის, მაკეტის, ელექტრონული და ა.შ. სახით. შესაბამისად, ნებისმიერ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა ამ ფორმით არსებულ ინფორმაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფორმაციის გარკვეული ნაწილი საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელი გახდებოდა.

თუ საჯარო ინფორმაცია რამოდენიმე ფორმით არსებობს, პირს უფლება აქვს, თვითონ აირჩიოს, რა სახით სურს ინფორმაციის მიღება. პირს აგრეთვე უფლება აქვს, დედანში გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. დოკუმენტის დედანში გაცნობა უნდა მოხდეს უშუალოდ აღნიშნულ საჯარო დაწესებულებაში. ზოგიერთი დოკუმენტის დედანი იმდენად ძველია ან ხშირადაა გამოყენებაში, რომ იქმნება მისი განადგურების ან დაზიანების საფრთხე. ზოგიერთ დოკუმენტს უზარმაზარი ისტორიული ან მხატვრული ღირებულება გააჩნია, რაც მისი დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, საჯარო დაწესებულების გადანყვეტილებით, პირი დედანს გაეცნობა სათანადო ზედამხედველობის ქვეშ ან დედანის ნაცვლად პირს გადაეცემა სათანადო წესით დამონმტებული დოკუმენტის ზუსტი ასლი.

პირს აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ვერსიის გაცნობა ამავე საჯარო დაწესებულებაში, დაწესებულების ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

კოდექსის შესაბამისად, დოკუმენტის ასლის გაცემისათვის რაიმე გადასახა-

დის თუ სხვა სახის გადასახდელის დანესება დაუშვებელია. ასევე ანაზღაურებას არ ექვემდებარება საჯარო დანესებულების მიერ განეული მომსახურება. ერთადერთი, რისი ანაზღაურების ვალდებულებაც ასლის მიმღებ პირს გააჩნია, არის დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხა. აქ საუბარია ქალაქის და ტექნიკურ საშუალებათა დანახარჯზე, რაც არ გულისხმობს საჯარო მოხელის შრომის ანაზღაურებას, მოგებას და ა.შ.

ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრება

თუ ადმინისტრაციული ორგანო გაასაიდუმლოებს რაიმე დოკუმენტს, ეს არ ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილების გადასინჯვა შეუძლებელია. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება როგორც სასამართლოში, ასევე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. სარჩელით/საჩივრით დაინტერესებულ პირს შეუძლია, მოითხოვოს, ერთის მხრივ, მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

ინფორმაციის თავისუფლების თავთან დაკავშირებით საჯარო დანესებულებასა და კერძო პირს შორის წარმოქმნილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მთლიანად საჯარო დანესებულებას ეკისრება. ამ ნორმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ადმინისტრაციული ორგანო უნდა მოქმედებდეს კანონმდებლობის ზუსტი დაცვით და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაასაბუთოს, რომელი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობას კანონმდებლობის საფუძველზე არ ახორციელებს, საერთოდ ზედმეტია სამართლებრივ სახელმწიფოზე საუბარი.

თუ სასამართლოში გასაჩივრებულია ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერება, სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს საჯარო დანესებულების გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ამისათვის, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ის გამოითხოვს როგორც გასაიდუმლოებულ ინფორმაციას, ასევე იმ ადმინისტრაციული წარმოების საქმის მასალებს, რომელთა საფუძველზეც საჯარო დანესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს ხელი მიუწვდება ნებისმიერ დოკუმენტზე, მათ შორის, გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ შეძლებდა საჯარო დანესებულების გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ

ასეთი სარჩელი მან ჩვეულებრივი ნესით ღია სხდომაზე უნდა განიხილოს. თუ სასამართლო ღია სხდომაზე განიხილავს საქმეს, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება გასაიდუმლოებული ინფორმაციის შინაარსი. ასეთ საკითხზე საჯარო განხილვის ჩატარება ყოველგვარ აზრს დაუკარგავდა ინფორმაციის გასაიდუმლოებას და შესაძლოა, მნიშვნელოვანი საფრთხეც შეექმნა საჯარო ან კერძო პირის კანონიერი ინტერესებისათვის. ამიტომაც, კოდექსი უშვებს ასეთი საქმის დახურულ სასამართლო სხდომაზე, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე განხილვის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, შესაძლებელია, მოენყოს in camera განხილვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს უფლება არა აქვს, განხილვის პროცესში გაეცნოს საიდუმლო ინფორმაციას. თუ სასამართლო მხარის სარჩელს დააკმაყოფილებს, მაშინ როგორც უკანონოდ გასაიდუმლოებული ინფორმაცია, ისევე საქმის მასალებიც სრული მოცულობით ხელმისაწვდომი გახდება მხარისათვის და საზოგადოებისათვის.